# ამერიკის ისტორიის

## ესკიზები

შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო

# ამერიკის ისტორიის
## ესკიზები


თავი 1

ადრეული ამერიკა ... 4

თავი 2

კოლონიური პერიოდი ... 29

თავი 3

გზა დამოუკიდებლობისაკენ ... 59

თავი 4

ეროვნული მთავრობის ფორმირება ... 80

თავი 5

გაფართოება დასავლეთის მიმართულებით და რეგიონალური განსხვავებანი ... 122

თავი 6

ადგილობრივი კონფლიქტი ... 147

თავი 7

ზრდა და ტრანსფორმაცია ... 178

თავი 8

უკმაყოფილება და რეფორმა ... 202

თავი 9

ომი, აყვავება და დეპრესია ... 242

თავი 10

ახალი კურსი და მსოფლიო ომი ... 256

თავი 11

ომისშემდგომი ამერიკა ... 279

თავი 12

ცვლილებების ათწლეული ... 302

თავი 13

21-ე საუკუნისკენ ... 363

აშშ ისტორიის შესახებ საკითხავი ლიტერატურის მოკლე სია ... 391

ამერიკის ისტორიის ესკიზები

თავი პირველი

# ადრეული ამერიკა



მესა ვერდე-ს დასახლება კოლორადოში,მე-13 საუკუნე



# „ზეცა და დედამიწა არასოდეს შეთანხმებულან უკეთესად, რათა შეერჩიათ ადამიანის საცხოვრებელი ადგილი“

ჯონ სმიტი, 1607

## პირველი ამერიკელები

მთელი მყინვარული ხანის მანძილზე, 34 000 და 30 000 წლებში ქრისტეს შობამდე, დედამიწაზე არსებული წყლის უმეტესი ნაწილი მოქცეული იყო თეალუწვდენელი კონტინენტური ყინულის საფარ ქვეშ. ამის შედეგად ბერინგის ზღვა ასეული მეტრით დაბლა მდებარეობდა მის თანამედროვე დონესთან შედარებით, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკას შორის კი არსებობდა ბერინგიად ცნობილი მიწის ხიდი. ვარაუდობდნენ, რომ ბერინგიას მაქსიმალური სიგანე 1500 კილომეტრი უნდა ყოფილიყო. ტენიანი და ტყისგან გაცლილი ტუნდრა, დაფარული ბალახითა და მცენარეებით იზიდავდა დიდ ცხოველებს და ადრეულ ადამიანებს, რომლებიც ნადირობით ირჩენდნენ თავს.

პირველმა ადამიანებმა, რომლებმაც მიაღწიეს ჩრდილო ამერიკას, არც კი იცოდნენ, რომ ახალ კონტინენტზე გადავიდნენ. ისინი მისდევდნენ გარეულ ნადირს ისევე, როგორც მათი წინაპრები ათასწლეულების მანძილზე, ციმბირის სანაპიროსა და შემდეგ მიწის ხიდის გასწვრივ.

ალიასკაში პირველ ჩრდილო ამერიკელებს დასჭირდებოდათ ათასწლეულები დიდ მყინვარებში აღმოჩენების გასა-

კეთებლად და სამხრეთში გადასანაცვლებლად, რომელიც ეხლა შეერთებულ შტატებს წარმოადგენს. ჩრდილო ამერიკაში ადრინდელი ადამიანის არსებობის დამადასტურებელი აღმოჩენები დღემდე გრძელდება. ზოგიერთი მათგანი, ალბათ, შეიძლება დათარიღდეს 12 000 წლით ქრისტეს შობამდე; მაგალითად სანადირო აღჭურვილობის თანამედროვე აღმოჩენები ჩრდილო ალიასკაში, მართლაც, შეიძლება დათარიღდეს ამგვარად. ნატიფად დამუშავებული შუბის ბუნიკები და ნივთები ნაპოვნი იქნა კლოვისის (ნიუ-მექსიკის შტატი) მახლობლად.

ანალოგიური რამ იქნა აღმოჩენილი ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ადგილებში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთ ნახევარსფეროს უმეტეს ნაწილში 10 000 წლისთვის ქრისტეს შობამდე ადამიანი უკვე კარგად იყო ფესვგადგმული.

ამ დროისათვის, დაიწყო მამონტების გადაშენება, და ადრეული ჩრდილო ამერიკელებისათვის საკვებისა და ტყავის მთავარ წყაროდ იქცნენ ბიზონები. დროთა განმავლობაში დიდი ზომის ცხოველების სულ უფრო მეტი სახეობების გაქრობის (ნადირობის თუ ბუნებრივი მიზეზების გამო) კვალობაზე ადრეული ამერიკელების რაციონის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად იქცნენ მცენარეები, კენკრა და თესლი. თანდათანობით გაჩნდა საკვების დამზადებისა და პრიმიტიული სოფლის მეურნეობის წარმართვის პირველი ცდები. ინდიელებს, რომლებიც ცენტრალურ მექსიკაში ცხოვრობდნენ, უკვე დაახლოებით 8 000 წლისათვის ქრისტეს შობამდე მოჰყავდათ სიმინდი და ლობიო. ნელ-ნელა ეს ცოდნა ჩრდილოეთითაც გავრცელდა.

3 000 წლისათვის ქრისტეს შობამდე სიმინდის პრიმიტიულ ჯიშს ზრდიდნენ ნიუ-მექსიკისა და არიზონის მდინარეების ხეობებში. შემდეგ გაჩნდა ირიგაციის პირველი ჩანასახები და 300 წლისათვის ქრისტეს შობამდე – ადრეული სოფლური ცხოვრების ნიშნები.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ჰოჰოკუმები ცხოვრობდნენ დასახლებებში ახლანდელი ფენიქსის და არიზონას მახლობლად, სადაც ისინი აგებდნენ სასახლეებსა და პირამიდის ტიპის ყორღანებს, მექსიკაში აღმოჩენილის მსგავს, აგრეთვე არხებს და ირიგაციულ სისტემას.

---

**ყორღანის მშენებლები და ინდიელთა დასახლებანი**

პირველ ინდიელთა ჯგუფებს, რომლებიც ყორღანებს აგებდნენ, შეერთებულ შტატებში ამჟამად ხშირად უწოდებენ ადენანსებს. მათ დაახლოებით 600 წლისათვის ქრისტეს შობამდე დაიწყეს მიწისგან სასაფლაო მოედნებისა და ფორტიფიკაციების კონსტრუირება. ამ დროის ზოგიერთ ყორღანს აქვს

ჩიტის და გველის ფორმა, რაც, სავარაუდოა, რელიგიურ მიზნებს ემსახურებოდა, თუმცა ეს ბოლომდე არაა გაგებული.

როგორც ჩანს, ადენანსები შთანთქეს ან განდევნეს სხვა ჯგუფებმა, რომლებიც ცნობილნი არიან „ჰოუფეელლიანსი“-ს სახელით. მათი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი დაარსდა სამხრეთ ოჰაიოში, სადაც კიდევ არის ათასობით ყორღანის ნარჩენები. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჰოუფეელლიანსები, იყვნენ რა შესანიშნავი ვაჭრები, იყენებდნენ და ერთმანეთში ცვლიდნენ ხელსაწყოებსა და მასალებს ასეულ კილომეტრზე გადაჭიმულ ვრცელ რეგიონში.

დაახლოებით 500 წლისათვის ჩვენი წელთაღრიცხვით ჰოუფეელლინსებიც გაქრნენ, დაუთმეს რა თანდათან გზა მისისიპელების სახელით ცნობილი ტომების ფართო ჯგუფს, რომლებსაც აგრეთვე უწოდებენ ტაძრული ყორღანების კულტურის მქონეთ. ვარაუდობენ, რომ ქალაქ კოჰორიას, რომელიც სენტ-ლუისის (მისურის შტატი) აღმოსავლეთით მდებარეობდა, მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა მე-12 საუკუნეში შეადგენდა 20 000 ადამიანს. ქალაქის ცენტრში აღმართული იყო მიწის უზარმაზარი ყორღანი ბრტყელი წვერით, 30 მეტრის სიმაღლის და 37 ჰექტარზე განლაგებული საფუძლით. ახლო მიდამოებში ნაპოვნი იყო ოთხმოცამდე სხვადასხვა ყორღანი.

თავისი საკვებისა და მომარაგების მხრივ კოჰორიას მსგავსი ქალაქები დამოკიდებულნი იყვნენ ნადირობის, სურსათის დამზადების, ვაჭრობის და სოფლის მეურნეობის კომბინაციაზე. სამხრეთის აყვავებული საზოგადოებების გავლენით, მათ განიცადეს ევოლუცია რთულ იერარქიულ საზოგადოებამდე, რომელიც იყენებდა მონებს და პრაქტიკაში ჰქონდა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა.

იქ, სადაც ამჟამად სამხრეთ-დასავლეთის შეერთებული შტატებია, ანასაზებმა, თანამედროვე ჰოპი ინდიელების წინაპრებმა, დაახლოებით 900 წელს დაიწყეს ქვისაგან და ალიზისაგან ახალშენების მშენებლობა. ეს უნიკალური და განსაცვიფრებელი საცხოვრებელი ტიპის კონსტრუქციები ხშირად განლაგებული იყო ფრიალო კლდის ნაპირის გასწვრივ; ყველაზე ცნობილ მესა ვერდეს, კოლორადოს შტატი, „კლდის სასახლეს“ აქვს 200 ოთახი. მეორე ასეთი ნაგებობის, პუებლო ბონიტო-ს ნანგრევები ნიუ-მექსიკის მდინარე ჩაკოს9

-ს გასწვრივ 800-ზე მეტ ოთახს ითვლის.

შესაძლოა, კოლუმბამდელი ამერიკის ყველაზე მდიდარი ინდიელები ცხოვრობდნენ წყნარი ოკეანის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთით, სადაც ნედლეულისა და თევზის ბუნებრივი სიმრავლე ქმნიდა საკვების სიუხვეს და

განაპირობებდა მუდმივი სოფლების არსებობას ჯერ კიდევ 1 000 წლისათვის ქრისტეს შობამდე.

---

**თვითმყოფი ამერიკული კულტურა**

ამგვარად ამერიკა, რომელიც შეეგება პირველ ევროპელებს სრულიადაც არ წარმოადგენდა უდაბურ ადგილს. ამჟამად .ფიქრობდნენ, რომ დასავლეთ ნახევარსფეროში იმდენივე ადამიანი ცხოვრობდა, რამდენიც დასავლეთ ევროპაში იმ დროს – დაახლოებით 40 მილიონი.

მკვიდრი ამერიკელების რიცხვი, რომლებიც ცხოვრობდნენ შეერთებული შტატების ამჟამინდელ ტერიტორიაზე ევროპელი კოლონიზატორების შემოსვლისას დაახლოებით 2-დან 18 მილიონს შეადგენდა, თუმცა ისტორიკოსთა უმრავლესობა ემხრობა ამ შუალედის ქვედა მნიშვნელობას. რაც დანამდვილებითაა ცნობილი, ეს არის ევროპიდან შემოსული დაავადებების გამანადგურებელი ზემოქმედება მკვიდრ მოსახლეობაზე, დაწყებული, პრაქტიკულად, თავდაპირველი კონტაქტებიდან. კერძოდ, მთელი რიგი თემებისა ყვავილმა გაანადგურა, და ვარაუდობენ, რომ სწორედ ეს იყო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ინდიელთა პოპულაციის მკვეთრი შემცირებისა 1600-იან წლებში, ვიდრე უამრავი ომები და შეტაკებანი ევროპელ ახალმოსახლეებთან.

ინდიელთა ჩვეულებანი და კულტურა იმ დროისათვის ექსტრაორდინალურად მრავალფეროვანი გახლდათ, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, უზარმაზარი ტერიტორიისა და იმ სხვადასხვა გარემო პირობების გამო, რომელშიც მათ განიცადეს ადაპტაცია.

ტომთა უმეტესობა, კერძოდ ტყიანი აღმოსავლეთის რეგიონებისა და შუაგულ დასავლეთში, კომბინირებულად ეწეოდნენ ნადირობას, შემგროვებლობას და სიმინდისა და სხვა კულტურების მოშენებას საკვების მარაგის შესაქმნელად. ბევრ შემთხვევაში, ქალები განაგებდნენ მიწათმოქმედებას და საკვების განაწილებას, ხოლო მამაკაცები ნადირობდნენ და მონაწილეობდნენ ომებში.

ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ინდიელთა საზოგადოება ჩრდილო ამერიკაში მჭიდროდ იყო მიჯაჭვული მიწასთან. ძირითადი თვისებები და მახასიათებლები რელიგიურ ჩვეულებებთან იყვნენ გაერთიანებულნი. ინდიელთა ცხოვრების წესი კლანურად ორიენტირებული და თემური იყო, ბავშვებს ანიჭებდა მეტ თავისუფლებას და იჩენდა მეტ შემწყნარებლობას მათდამი, ვიდრე ეს მაშინდელი ევროპული კულტურისათვის იყო დამახასიათებელი.

თუმცა ზოგიერთმა ჩრდილო ამერიკელმა ტომებმა შექმნეს იეროგლიფიკა, რათა შეენახათ გარკვეული ტექსტები, ინდი-

ლთა კულტურა ძირითადად ზეპირსიტყვიერი იყო, რომელშიც მთავარი ადგილი ეჭირა მოთხრობებისა და სიზმრების გადმოცემას. ნათელია. რომ სხვადასხვა ჯგუფებს შორის წარმოებდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გარიგებები. არსებობს დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მეზობელ ტომებს ჰქონდათ ფართო და ფორმალური ურთიერთკავშირები – მეგობრულიც და მტრულიც.

---

**პირველი ევროპელები**

ჩრდილოეთ ამერიკაში ჩამოსული პირველი ევროპელები, ვის შესახებაც არსებობს დამადასტურებელი საბუთები, – იყვნენ ნორვეგიელები, რომლებიც მოგზაურობდნენ გრენლანდიიდან დასავლეთით, სადაც ერიკ წითურმა დაახლოებით 985 წელს დააარსა დასახლება. სავარაუდოა, რომ 1001 წელს მისმა შვილმა ლეიფმა გამოიკვლია დღევანდელი კანადის ჩრდილოაღმოსავლეთი სანაპირო და იქ ერთი ზამთარი მაინც გაატარა.

თუმცა ნორვეგიული საგები მოგვითხრობენ, თითქოს ვიკინგთა მეზღვაურებმა გამოიკვლიეს ჩრდილო ამერიკის ატლანტის ქვედა სანაპირო თვით ბაჰამის კუნძულებამდე, ასეთი პრეტენზია დასაბუთების გარეშე რჩება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნანახი იქნა ამ პერიოდის ნორვეგიული სახლების ნანგრევები „ლანს-ო-მიდოუ“-ში, ჩრდილო ნიუფაუნდლენდში, რაც განამტკიცებს ნორვეგიული საგების ზოგიერთ პრეტენზიას მაინც.

1497 წელს, ხუთი წლის შემდეგ მას მერე, რაც ქრისტეფორე კოლუმბი, რომელიც ეძებდა დასავლეთის გზას აზიისაკენ, გადაცურა კარიბის ზღვაში, ვენეციელი მეზღვაური, სახელად ჯონ კებოტი, ჩამოვიდა ნიუ-ფაუნდლენდში ინგლისის მეფის მისიით. თუმცა ეს მალე მიეცა დავიწყებას, შემდგომში კებოტის მოგზაურობამ შექმნა ჩრდილო ამერიკაზე ბრიტანეთის პრეტენზიების საფუძველი. ამით აგრეთვე გაიხსნა გზა ჯორჯის მარჩხობის მდიდარ სათევზაო ადგილებისაკენ, სადაც ევროპელმა მეთევზეებმა, კერძოდ, პორტუგალიელებმა დაიწყეს რეგულარული ვიზიტები.

კოლუმბს, რა თქმა უნდა, არასოდეს უნახავს შეერთებული შტატების მთავარი ტერიტორია, მაგრამ შეერთებული შტატების კონტინენტური ნაწილის პირველი მკვლევარები გაგზავნილ იქნენ სწორედ მის მიერ დაარსებული ესპანური სამფლობელოებიდან. პირველად ეს მოხდა 1513 წელს, როდესაც მამაკაცთა ჯგუფი ჯოან პონს დე ლეონეს ხელმძღვანელობით ჩავიდა ფლორიდის სანაპიროზე ამჟამინდელი ქალაქის სენტ-ავგუსტინეს მახლობლად.

მექსიკის დაპყრობით 1522 წელს ესპანელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი პოზიცია დასავლეთ ნახევარსფეროში.

ევროპის ცოდნას იმის შესახებ, რასაც ამერიკა ერქვა, დაემატა შემდგომი აღმოჩენები იტალიელი ამერიგო ვესპუჩის წყალობით, რომელმაც დაწერა მეტად გახმაურებული ანგარიში „ახალ სამყაროში" მოგზაურობის შესახებ. 1529 წლისათვის უკვე შედგენილი იყო ატლანტიკის სანაპიროს რუკები ,დაწყებული ლებრადორიდან „ტიერა დელ ფუეგო"-თი დამთავრებული. თუმცა კიდევ ერთი საუკუნე დასჭირდა მას, რომ საბოლოოდ უკუეგდოთ აზიისაკენ „ჩრდილო დასავლეთის გასასვლელის" აღმოჩენის იმედი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადრეულ ესპანურ გამოკვლევებს შორის აღსანიშნია ერნანდო დე სოტოს მიერ ჩატარებული კვლევა. ეს იყო ვეტერანი კონკისტადორი, რომელიც თან ახლდა ფრანცისკო პიზაროს პერუს დაპყრობის დროს. ჰავანაში ცხოვრების დროს დე სოტომ 1539 წელს მოაწყო ექსპედიცია ფლორიდაში და სიმდიდრის ძიებაში შეაღწია შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთის სიღრმეებში, მდინარე მისისიპამდე.

მეორე ესპანელი, ფრანცისკო კორონადო გამოვიდა მექსიკიდან 1540 წელს მითიური სიბოლას შვიდი ქალაქის საძებნელად. კორონადო თავის ხალხთან ერთად ჩავიდა გრანდ კანიონამდე და კანზასამდე, მაგრამ ვერ აღმოაჩინა ვერც ოქრო და ვერც ძვირფასეულობა, რომელსაც ეძებდა.

მიუხედავად ამისა, კორონადოს კომპანიამ დაუტოვა ამ რეგიონის მაცხოვრებლებს შესანიშნავი, განუზომელი საჩუქარი: მას გაექცა დიდი რაოდენობის ცხენები, რომლებმაც პრერიაში განაგრძეს ცხოვრება. რამოდენიმე თაობაში პრერიების მკვიდრი ინდიელები ცხენოსნობის ოსტატებად იქცნენ, რითაც საოცრად გააფართოვეს თავიანთი საქმიანობის არეალი და ჰორიზონტი.

სანამ ესპანელები სამხრეთიდან იჭრებოდნენ, დღევანდელი შეერთებული შტატების ჩრდილო ნაწილი ნელ-ნელა გამოკვლეულ იქნა ჯოვანი და ვერრაზანოს მოგზაურობების შედეგად. წარმოშობით ფლორენციელი, ის თავისი საზღვაო ექსპედიციებით საფრანგეთის ინტერესებს ემსახურებოდა. 1524 წელს ვერრაზანო გადავიდა ჩრდილო კაროლინაში, შემდეგ გასცურა ჩრდილოეთით ატლანტიკის სანაპიროს გასწვრივ ახლანდელი ნიუ-იორკის ნავსადგურამდე.

ათი წლის შემდეგ იგივე იმედით – მოინახოს ზღვით გასასვლელი აზიისაკენ – მოეწყო ფრანგი კარტიეს ექსპედიცია მდინარე სენტ-ლაურენსის გასწვრივ, რომელიც საფუძვლად დაედო საფრანგეთის პრეტენზიებს ჩრდილო ამერიკაზე, რაც 1763 წლამდე გაგრძელდა.

1540 წლის პირველი კვებეკური კომპანიის მარცხიდან ორი ათეული წლის გასვლის შემდეგ, ფრანგი ჰუგენოტები შეეცა-

დნენ დამკვიდრებულიყვნენ ფლორიდის ჩრდილო სანაპიროზე. 1565 წელს ესპანელებმა, რომლებიც აღიქვამდნენ ფრანგებს როგორც საფრთხეს გოლფსტრიმის გასწვრივ მათი ვაჭრობისათვის, დაანგრიეს ფრანგთა კოლონია. დაცინვის ნიშნად, ესპანური ძალების უფროსმა პედრო მენენდეზმა არც თუ შორს იმ მიდამოებიდან დააარსა ქალაქი სენტ-ავგუსტინე. ეს იყო პირველი მუდმივი ევროპული დასახლება შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

უდიდესმა სიმდიდრემ, რომელიც გაედინებოდა მექსიკის, კარიბის და პერუს კოლონიებიდან ესპანეთში, ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც აღუძრა მძაფრი ინტერესი ამ მიწებისადმი. დროთა განმავლობაში ინგლისმა, ნაწილობრივ ფრენსის დრეიკის მიერ ესპანურ გემებზე ჩატარებული წარმატებული რეიდების წყალობით, დაიწყო ახალი მსოფლიოსადმი ინტერესის გამოჩენა.

1578 წელს ჰამფრეი გილბერტმა, ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელის შესახებ ტრაქტატის ავტორმა, მიიღო დედოფალ ელისაბედისაგან უფლება მოეხდინა იმ „წარმართული და ბარბაროსული მიწების" კოლონიზაცია ახალ მსოფლიოში, რომლებზედაც ჯერჯერობით არ ჰქონდათ პრეტენზია სხვა ევროპულ სახელმწიფოებს. მის მიერ წამოწყებულ მცდელობამდე ხუთი წლით ადრე ის დაიკარგა ზღვაში. ამის შემდგომ ეს მისია იკისრა მისმა ნახევარძმამ უოლტერ რალეიმ.

1585 წელს რალეიმ დააფუძნა პირველი ბრიტანული კოლონია ჩრდილო ამერიკაში, როენოუკის კუნძულზე ჩრდილო კაროლინას სანაპიროზე. მოგვიანებით ეს კოლონია მიტოვებულ იქნა. მარცხით დამთავრდა მეორე ცდაც, რომელიც ორი წლის შემდეგ შედგა. გავიდა კიდევ 20 წელიწადი ბრიტანეთის მორიგ მცდელობამდე, რომელიც წარმატებით დასრულდა 1607 წელს – ჯეიმსთაუნში კოლონიის დაარსებით, და ჩრდილო ამერიკა ახალ ერაში შევიდა.

---

### ადრეული დასახლებანი

ადრეული 1600 წლები იქცა ევროპიდან ჩრდილო ამერიკაში იმიგრაციის დიდი ტალღის შემოსვლის დასაწყისად. გრძელდებოდა რა სამ საუკუნეზე მეტ ხანს, ეს მოძრაობა რამოდენიმე ასეული ინგლისელი კოლონისტისაგან შემდგარ პატარა ნაკადან გადაიქცა მილიონობით ახალჩამოსულთაგან წარმოქმნილ ნიაღვრად. ძლიერი და მრავალფეროვანი მოტივაციით შეგულიანებულებმა, მათ ააშენეს ახალი ცივილიზაცია კონტინენტის ჩრდილო ნაწილში.

პირველმა ინგლისელმა იმიგრანტებმა გადაკვეთეს ატლანტიკა და დაფუძნდნენ ეხლანდელ შეერთებულ შტატებში. ეს მოხდა ესპანური კოლონიების აყვავების შემდეგ მექსიკაში,

ვესტ ინდოეთში და სამხრეთ ამერიკაში. მსგავსად სხვა მოგზაურებისა ახალი მსოფლიოსაკენ, ისინიც ჩამოვიდნენ პატარა, ხალხით გადაჭედილი გემებით. 6-12 კვირიანი მოგზაურობის დროს ისინი მწირ რაციონზე იმყოფებოდნენ. ბევრი დაიღუპა დაავადებებისგან; გემები ხშირად ხვდებოდნენ და იღუპებოდნენ შტორმებში, ზოგიერთი მათგანი კი იკარგებოდა ზღვის უკიდეგანო სივრცეში.

ბევრმა ევროპელმა იმიგრანტმა დატოვა თავისი სამშობლო პოლიტიკური შევიწროებისაგან თავდასაღწევად, რელიგიური თავისუფლების ან თავგადასავლების თუ იღბლის ძიებაში, რასაც მოკლებული იყვნენ სამშობლოში. 1620-1635 წლებში ინგლისში თავი იჩინა ეკონომიკურმა სირთულეებმა. ბევრი ადამიანი ვერ პოულობდა სამუშაოს. გამოცდილი ხელოსნებიც კი ღარიბებზე ოდნავ მეტს შოულობდნენ. ამას დაერთო ცუდი მოსავალიც. გარდა ამისა, სამრეწველო რევოლუციამ შექმნა აღმავალი საფეიქრო მრეწველობა, რომელიც მოითხოვდა მატყლის მუდმივ მზარდ მარაგს, რათა არ გაჩერებულიყვნენ საქსოვი დაზგები. მიწათმფლობელებმა გაასახლეს თავიანთი მიწებიდან გლეხები, შემოღობეს მამულები და დაიწყეს ცხვრის მოშენება. ამ უსახლკაროდ დარჩენილი გლეხებისათვის სწორედ ეს კოლონიალური ექსპანსია იქცა მდგომარეობიდან გამოსავლად.

პირველად, რასაც კოლონისტებმა თვალი მოჰკრეს ახალ მიწაზე, იყო ხშირი ტყე. ჩამოსულებს, შესაძლოა, ვერც კი ერჩინათ თავი, რომ არა მეგობრულად განწყობილი ინდიელები, რომლებმაც ასწავლეს მათ ადგილობრივი კულტურების – გოგრის, ყაბაყის, ლობიოსა და სიმინდის მოყვანა. გარდა ამისა, თვალუწვდენელი, ხელუხლებელი ტყეები, გაშლილი აღმოსავლეთ სანაპიროს 2 100 კილომეტრზე, წარმოადგენდნენ ნანადირევისა და შეშის მდიდარ წყაროს. აქედან ხდებოდა აგრეთვე მათი უხვად მომარაგება ნედლეულით სახლების, ავეჯის, გემების ასაგებად და მოგების მიზნით საექსპორტოდ გასაგზავნად.

თუმცა ახალი კონტინენტი უხვად იყო დაჯილდოებული ბუნებისაგან, ევროპასთან ვაჭრობას მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ნივთების შესაძენად, რასაც იმიგრანტები ვერ აწარმოებდნენ. სანაპირო კარგად ემსახურებოდა იმიგრანტებს. ის მთელ თავის სიგრძეზე სავსე იყო უამრავი პატარა უბეებითა და ნავსადგურებით. მხოლოდ ორი მათგანი – ჩრდილო კაროლინა და სამხრეთ ნიუ-ჯერსი – განიცდიდნენ საოკეანო გემების ნავსადგურების ნაკლებობას.

დიდებული მდინარეები – კენნებეკი, ჰუდსონი, დელავერი, სასკუეჰანნა, პოტომაკი და მრავალი სხვა – ზღვასთან აკავშირებდნენ სანაპიროსა და აპალაჩის მთებს შორის

მოთავსებულ ხმელეთს. თუმცა მხოლოდ ერთი მდინარე, სენტ-ლოურენსი, რომელსაც ფლობდნენ ფრანგები კანადაში, იძლეოდა დიდ ტბებზე გასვლის და კონტინენტის გულში შეღწევის შესაძლებლობას. ხშირი ტყეები, ინდიელთა ზოგიერთი ტომების წინააღმდეგობა და აპალაჩის მთებით შექმნილი დაბრკოლებანი აიძულებდნენ ახალმოსახლეებს თავი შეეკავებინათ სანაპირო დაბლობს იქით წასვლაზე, მხოლოდ ხაფანგით მონადირენი და ვაჭრები ბედავდნენ უდაბურ ადგილებში შესვლას. პირველი ასი წლის მანძილზე კოლონისტები კომპაქტურ დასახლებებს ქმნიდნენ სანაპიროს გასწვრივ.

ბევრი ადამიანის გადასვლა ამერიკაში პოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული. 1630-იან წლებში ინგლისში ჩარლზ I-ის დესპოტურმა მმართველობამ გამოიწვია გამალებული მიგრაცია ახალ ქვეყანაში. ჩარლზის მოწინააღმდეგეთა გამარჯვებას 1640 წელს ოლივერ კრომველის მეთაურობით მოჰყვა როიალისტთა – „მეფის კაცთა“ – გადასროლა ვირჯინიაში. ევროპის გერმანულენოვან რეგიონებში სხვადასხვა წვრილფეხა პრინცების აგრესიულმა პოლიტიკამ, კერძოდ, რელიგიასთან დაკავშირებით, და აოხრებებმა, რომელიც მოჰყვა ომების გრძელ სერიას, ხელი შეუწყო ამერიკისაკენ მოძრაობის დაწყებას მე-17 საუკუნის ბოლოს და მე-18 საუკუნეში.

კოლონისტების ჩამოსვლა მე-17 საუკუნეში მოითხოვდა ფრთხილ დაგეგმვას და მართვას, ასევე მნიშვნელოვან ხარჯებს და რისკს. ახალმოსახლეებს დაახლოებით 5 000 კილომეტრი უნდა გაევლოთ ზღვით. ისინი საჭიროებდნენ ჭურჭელს, ავეჯს, თესლს, ხელსაწყოებს, სამშენებლო მასალას, საკლავს, იარაღსა და საბრძოლო აღჭურვილობას.

განსხვავებით იმ პერიოდის სხვა ქვეყნების კოლონიზაციური პოლიტიკისაგან, ინგლისიდან ემიგრაციის დაფინანსება ხდებოდა არა მთავრობის, არამედ კერძო პირთა ჯგუფების მიერ, რომელთა მთავარ მოტივს მოგება წარმოადგენდა.

## ჯეიმსთაუნი

პირველი ინგლისური კოლონია, რომელიც ჩრდილო ამერიკაში შეიქმნა, იყო ჯეიმსთაუნი. იმ წყალობის საფუძველზე, რომელიც მეფე ჯეიმს I-მა მიანიჭა ვირჯინიის (ან ლონდონის) კომპანიას, 100-ამდე კაცისაგან შემდგარი ჯგუფი 1607 წელს გადმოვიდა ჩესაპიკის ყურეში.

ცდილობდნენ რა მორიდებოდნენ კონფლიქტს ესპანელებთან, მათ აირჩიეს ყურედან 60 კილომეტრით დაშორებული ადგილი მდინარე ჯეიმსის გასწვრივ. ქალაქის მაცხოვრებლებმა და თავგადასავალთა მოყვარულებმა ოქროს ძიება უფრო საინტერესოდ ჩათვალეს, ვიდრე ფერმერობა, რამაც

აღავსო ჯგუფი ტემპერამენტითა და მონდომებით დაეწყოთ სრულიად ახალი ცხოვრება უდაბურ ადგილას. მათ შორის გამორჩეულ ფიგურას წარმოადგენდა კაპიტანი ჯონ სმიტი. მიუხედავად ჩხუბებისა, შიმშილისა და ინდიელთა შეტევებისა, მისმა უნარმა დაემყარებინა დისციპლინა შესაძლებელი გახადა პატარა კოლონიის შენარჩუნება არსებობის პირველი წლის მანძილზე.

1609 წელს სმიტი დაბრუნდა ინგლისში და მისი არყოფნის დროს კოლონია მოიცვა ანარქიამ. 1609-1610 წლების ზამთრის განმავლობაში კოლონისტების უმეტესი ნაწილი დაიხოცა ავადმყოფობისაგან. 1610 წლის მაისისათვის 300 ახალმოსახლიდან მხოლოდ 60 იყო ცოცხალი. ამავე წელს მდინარე ჯეიმსთან დაარსებულ იქნა ქალაქი ჰენრიკო (ეხლანდელი რიჩმონდი).

ეს პერიოდი საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა და გაგრძელდა მანამ, სანამ არ მოხდა აღმოჩენა, რომელმაც კარდინალურად შეცვალა ვირჯინიის ეკონომიკა. 1612 წელს ჯონ როლფმა დაიწყო ვესტ-ინდოეთიდან ჩამოტანილი თამბაქოს მოშენება, რომელიც შეაჯვარა ადგილობრივ მცენარეებს და მიიღო ახალი ჯიში, რომელიც ძალიან მოეწონათ ევროპაში. ამ თამბაქოს პირველმა პარტიამ ლონდონს 1614 წელს მიაღწია. ათწლეულში ეს იქცა ვირჯინიის შემოსავლის მთავარ წყაროდ.

მიუხედავად ამისა, აყვავების ხანა სწრაფად არ დამდგარა და დაავადებებისა და ინდიელთა შემოსევებისაგან დაღუპულთა რიცხვი საკმაოდ მაღალი რჩებოდა. 1607-1624 წლებში კოლონიაში ემიგრირებული 14 000 ადამიანიდან 1624 წლისათვის მხოლოდ 1132 იყო ცოცხალი. სამეფო კომისიის რეკომენდაციით, მეფემ დაშალა ვირჯინიის კომპანია და იმავე წელს ის გადააქცია სამეფო კოლონიად.

---

**მასაჩუსეთსი**

მე-16 საუკუნის რელიგიური გარდაქმნების პერიოდში ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, ეგრეთ წოდებულ პურიტანებს სურდათ ინგლისის ეკლესიის რეფორმა შიგნიდან მოეხდინათ. ფაქტიურად ისინი მოითხოვდნენ, რომ რომის კათოლიციზმთან ასოცირებული რიტუალები და სტრუქტურები შეცვლილიყო თაყვანისცემისა და რწმენის მარტივი პროტესტანტული ფორმით. მათი რეფორმისტული იდეები სახელმწიფო ეკლესიის ერთიანობის დარღვევას, ხალხის დაყოფას და სამეფო ძალაუფლების შერყევას მოასწავებდა.

1607 წელს სეპარატისტების მცირე ჯგუფი – პურიტანების რადიკალური სექტა, რომელთაც არ სჯეროდათ იმისა, რომ არსებული ეკლესია შეძლებდა ოდესმე გარდაქმნას, გაემა-

რთა ჰოლანდიაში, ლეიდენში, სადაც მიიღეს თავშესაფარი. კალვინისტური ჰოლანდია მათ მხოლოდ დაბალ ანაზღაურებად სამუშაოს აძლევდა. ზოგიერთ პურიტანში მატულობდა უკმაყოფილება ასეთი დისკრიმინაციის გამო და მათ გადაწყვიტეს ახალ ქვეყანაში იმიგრაცია.

1620 წელს ლეიდენელი პურიტანების ჯგუფმა მიიღო ვირჯინიის კომპანიისაგან პატენტი მიწაზე და 101 მამაკაცის, ქალის და ბავშვისაგან შემდგარი ჯგუფი ვირჯინიაში გასამგზავრებლად აეიდა გემზე „მეი ფლაუერ". შტორმმა გარიყა ისინი შორს ჩრდილოეთით, რის გამო მათ მოუწიათ ახალ ინგლისში კეიპ კოდში გადმოსხდომა. სჯეროდათ რა, რომ ისინი არც ერთი მთავრობის იურისდიქციის ქვეშ არ იმყოფებიან, მათ მიიღეს ფორმალური შეთანხმება – „სამართლიანობისა და თანასწორობის კანონი", რომელიც ჩამოაყალიბეს მათ მიერ არჩეულმა ლიდერებმა. ეს იყო „მეი ფლაუერის ხელშეკრულება".

დეკემბერში „მეი ფლაუერმა" ჩააღწია პლიმუტის ნავსადგურამდე; ზამთრის განმავლობაში პილიგრიმები აშენებდნენ თავიანთ დასახლებას. კოლონისტების დაახლოებით ნახევარი დაიხოცა განსაცდელისა და დაავადებებისაგან, მაგრამ მეზობელი ვამპანოაგის ინდიელებისაგან მიწოდებულმა ინფორმაციამ, თუ როგორ უნდა მოეშენებინათ სიმინდი, დიდად შეაშველა მათ ხელი. მომდევნო შემოდგომაზე პილიგრიმებს ჰქონდათ სიმინდის მარცვლის შესანიშნავი მოსავალი, და, გარდა ამისა, ისინი, ეწეოდნენ ვაჭრობას ტყავებითა და ხე-ტყით.

1630 წელს მასაჩუსეთსის ყურეს მოაწყდა იმიგრანტების ახალი ტალღა, რომელთაც მეფე ჩარლზ პირველისგან ჰქონდათ მიღებული სიგელი კოლონიის დაარსებაზე. ბევრი მათგანი პურიტანი იყო, რომელთა რელიგია სულ უფრო და უფრო იკრძალებოდა ინგლისში. მათი ლიდერი, ჯონ უინთროპი, საჯაროდ აცხადებდა, რომ მას უნდოდა ახალ ქვეყანაში დაეარსებინა „ქალაქი მთაზე". ამაში ის გულისხმობდა ადგილს, სადაც პურიტანები იცხოვრებდნენ ზუსტად მათი რელიგიური რწმენის შესაბამისად.

მასაჩუსეტსის ყურეს კოლონიას უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი მთელი ახალი ინგლისის რეგიონის განვითარებაში. ნაწილობრივ ამიტომაც უინთროპსა და მის პურიტანელ კოლეგებს დართეს ნება წამოეღოთ თან მათი სიგელი. ამგვარად, კოლონიის მთავრობის ძალაუფლება ვრცელდებოდა მასაჩუსეთსში და არა ინგლისში.

სიგელის მიხედვით, ძალაუფლება ეკუთვნოდა გენერალურ სასამართლოს, რომელიც იქმნებოდა „თავისუფალი ხალხისაგან", რომელთაც მოეთხოვებოდა პურიტანული

ეკლესიის წევრობა. ამით იქმნებოდა გარანტია, რომ პურიტანები მთავარ პოლიტიკურ და რელიგიურ ძალად იქცეოდნენ კოლონიაში. ასეთ ძალას წარმოადგენდა გენერალური სასამართლო, რომელიც ირჩევდა გუბერნატორს. შემდგომ პერიოდში გუბერნატორი უნდა ყოფილიყო ჯონ ეინდროპი.

პურიტანული წესჩვეულებების მკაცრი ორთოდოქსულობა ყველას არ მოსწონდა. პირველი, ვინც საჯაროდ გამოვიდა გენერალური სასამართლოს წინააღმდეგ, იყო ახალგაზრდა მღვდელი როჯერ უილიამსი, რომელმაც პროტესტი გამოხატა კოლონიის მიერ ინდიელთა მიწების მიტაცების გამო და კოლონიის ინგლისის ეკლესიისადმი დამოკიდებულების გამო.

იქნა რა გაძევებული მასაჩუსეთსის ყურედან, მან 1636 წელს ნარრაგანსეტტის ინდიელებისაგან იყიდა მიწა, რომელიც ეხლა პროვიდენსის, როუდის კუნძულის სახელითაა ცნობილი. მან აქ დააარსა პირველი ამერიკული კოლონია, სადაც განხორციელდა სახელმწიფოსა და ეკლესიის სრული გაყოფა და ასევე რელიგიის თავისუფლება.

მასაჩუსეთსი დატოვეს არა მარტო ვილიამსის მსგავსმა, ეგრეთ წოდებულმა ერეტიკოსებმა. მასაჩუსეთსის ყურის კოლონიას მალე გასცილდნენ უკეთესი მიწებისა და იღბლის ძიების სურვილით შეპყრობილი ორთოდოქსები და პურიტანები. მაგალითად, ცნობები კონექტიკუტის მდინარის დაბლობის ნაყოფიერების შესახებ იზიდავდა ფერმერებს, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში იყვნენ მწირი მიწების გამო. 1630-იანი წლების დასაწყისში , ბევრი მათგანი მზად იყო გადაელახა ინდიელთა შემოსევის საშიშროება, ოღონდ კი მდიდარი ნიადაგებიანი ვაკე მიწები დაესაკუთრებინათ. ეს ახალი საზოგადოებანი ხშირად აუქმებდნენ ეკლესიის ხმის უფლების მოსაპოვებლად, წევრობის მოთხოვნას რაც შესაბამისად ზრდიდა არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რიცხვს.

იმავდროულად დაიწყო სხვა დასახლებების შექმნა ნიუ-ჰემპშირსა და მაინის სანაპიროებზე, რადგან იმიგრანტების სულ უფრო მეტ რაოდენობას სურდა მიწებისა და თავისუფლების მოპოვება, რასაც, როგორც ჩანდა, სთავაზობდა ახალი ქვეყანა.

**ახალი ნიდერლანდები და მერილენდი**

მუშაობდა რა ჰოლანდიური ვესტ ინდოეთის კომპანიისათვის, 1609 წელს ჰენრი ჰადსონმა გამოიკვლია რაიონი, რომელიც ეხლა წარმოადგენს ქალაქ ნიუ-იორკს და მდინარეს, რომელიც მის სახელს ატარებს, სავარაუდოდ, ოლბანის (ნიუ იორკის შტატი) ჩრდილო საზღვრამდე. შემდგომში ჰოლანდიელთა მოგზაურობა საფუძვლად დაედო მათ პრეტენზიებსა და ადრეულ დასახლებებს ამ ადგილებში.

ჩრდილოეთში მცხოვრები ფრანგების მსგავსად, ჰოლანდიელების თავდაპირველ ინტერესს წარმოადგენდა ტყავებითა და ბეწვეულით ვაჭრობა. ამის შემდეგ, ჰოლანდიელებმა დაამყარეს მჭიდრო ურთიერთობა იროქეოისის (ნიუ იორკის ჩრდილოეთით და დასავლეთით მცხოვრები ინდიელთა ტომების კონფედერაციის წევრი) „ხუთ ნაციასთან“, რომლებიც წარმოადგენდნენ გასაღებს ქვეყნის შუაგულისაკენ, საიდანაც შემოდიოდა ტყავები და ბეწვეული. 1617 წელს ჰოლანდიელმა ახალმოსახლეებმა მდინარეების ჰადსონისა და მოჰაუკის შესართავში ააშენეს ფორტი, სადაც ამჟამად ოლბანი მდებარეობს.

დასახლება მანჰეტენის კუნძულზე გაჩნდა 1620 წელს. 1624 წელს კუნძული შესყიდული იყო ადგილობრივი ინდიელებისგან 24 დოლარად. მას მაშინვე შეუცვალეს სახელი და დაარქვეს ნიუ ამსტერდამი.

ჰადსონის მდინარის მიდამოებში ახალმოსახლეების მოსაზიდად ჰოლანდიელები ხელს უწყობდნენ გარკვეული ტიპის ფეოდალური არისტოკრატიის ჩამოყალიბებას, რაც ცნობილი გახდა „პატრუნის“ (ჰოლანდიურად „მფარველი“) სისტემის სახელით. პირველი ასეთი უზარმაზარი მამულები ჰადსონის მდინარის გასწვრივ გაჩნდა 1630 წელს.

„პატრუნის“ სისტემის მიხედვით, ნებისმიერ აქციონერს ან მესაკუთრეს, რომელსაც შეეძლო მოეყვანა თავის მიწაზე 50 მოწიფული ადამიანი 4 წლის მანძილზე, აძლევდნენ 25 კილომეტრიან მიწის ნაკვეთს მდინარის გასწვრივ, ნადირობის და თევზაობის განსაკუთრებულ უფლებებს, სამოქალაქო და სისხლის სამართლის იურისდიქციას მის მიწაზე. თავის მხრივ, ის იძლეოდა შინაურ ცხოველებს, ხელსაწყოებს და შენობებს. მოიჯარეები უხდიდნენ „პატრუნს“ რენტას და აძლევდნენ მოსავალის ნამატის პირველად არჩევის უფლებას.

სამი წლის შემდეგ უფრო სამხრეთით ერთმა შვედურმა სავაჭრო კომპანიამ, რომელიც დაკავშირებული იყო ჰოლანდიელებთან, სცადა დაეარსებინა პირველი დასახლება მდინარე დელავერის გასწვრივ. მაგრამ ახალ შვედეთს არ ექონდა რესურსები თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად, და ის თანდათან ახალმა ნიდერლანდებმა შთანთქეს, მოგვიანებით კი პენსილვანიამ და დელავერმა.

1632 წელს კალვერტების ოჯახმა მეფე ჩარლზ პირველისგან მიიღო სიგელი მიწის ბოძებაზე ახლანდელი მერილენდის ტერიტორიაზე. რადგანაც სიგელი გარკვევით არ კრძალავდა არაპროტესტანტული ეკლესიების აღმართვას, ოჯახმა ხელი შეუწყო იქ თავისი ერთმორწმუნე კათოლიკების დასახლებას. მერილენდის პირველი ქალაქი სენტ-მერი დაარსდა 1634 წელს იმ ადგილის მახლობლად, სადაც პოტომაკის მდინარე ერთვის ჩესაპიკის ყურეს.

კალვერტები თავშესაფარს აძლევდნენ კათოლიკეებს, რომლებიც სულ უფრო მეტ დევნას განიცდიდნენ ანგლიკანურ ინგლისში, და ამავე დროს დაინტერესებულნი იყვნენ მომგებიანი მამულების შექმნა-მოწყობაში. ამ მიზნით და ბრიტანეთის მთავრობასთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ისინი ხელს უწყობდნენ პროტესტანტების იმიგრაციას.

სამეფო სიგელი, რომელიც უბოძეს კალვერტების ოჯახს, შეიცავდა როგორც ფეოდალურ, ისე თანამედროვე ელემენტებს. ერთის მხრივ, მათ უფლება ჰქონდათ შეექმნათ ფეოდალური მამულები, მეორეს მხრივ, კი შეეძლოთ კანონების დაწესება მხოლოდ თავისუფალი გლეხების თანხმობის შემთხვევაში. მათ აღმოაჩინეს, რომ ახალმოსახლეების მოსაზიდად – რაც ზრდიდა შემოსავალს მიწებიდან – საჭირო იყო ფერმების შეთავაზება და არა მხოლოდ მიწაზე იჯარის. ამის შედეგად გაიზარდა დამოუკიდებელი ფერმების რიცხვი, მათ პატრონებმა კი მოითხოვეს ხმის უფლება კოლონიის საქმეების წარმართვაში. მერილენდის პირველი საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები შეიკრიბნენ 1635 წელს.

---

### კოლონისტების ურთიერთობა ინდიელებთან

1640 წლისათვის ბრიტანელებს ჰქონდათ სოლიდური კოლონიები ახალი ინგლისის სანაპიროზე და ჩესაპიკის ყურის გასწვრივ. მათ შორის იყო ჰოლანდიური და პატარა შვედური დასახლება. დასავლეთით ცხოვრობდა ამერიკის მკვიდრი მოსახლეობა – ინდიელები.

ზოგჯერ მეგობრულად, ზოგჯერ კი მტრულად განწყობილი აღმოსავლეთის ტომები ევროპელებისთვის უცნობნი აღარ იყვნენ. თუმცა ახალმა ტექნოლოგიამ და ვაჭრობამ გარკვეული სარგებლობა მოუტანა ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას, ახალმოსახლეთა მიერ ჩამოტანილი დაავადებები და მიწის შოვნის წყურვილი სერიოზულად დაუპირისპირდა ინდიელების წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ ცხოვრების წესს.

თავდაპირველად ევროპელ ახალმოსახლეებთან ვაჭრობა სასარგებლო იყო ინდიელებისათვის: მათ შეიძინეს დანები, ნაჯახები, იარაღი, საჭმლის დასამზადებელი მოწყობილობე-

ბი, ანკესები და უამრავი სხვა საქონელი. იმ ინდიელებს, რომლებმაც ადრე დაიწყეს ვაჭრობა, საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ თავის მეტოქეებთან შედარებით, რომლებსაც ეს არ გაუკეთებიათ თავის დროზე.

ევროპელთა მოთხოვნების საპასუხოდ ისეთი ტომები, როგორც იროკეზები, მე-17 საუკუნეში ყურადღებას უთმობდნენ ბეწვის წარმოებას. ბეწვი და ტყავი საშუალებას აძლევდნენ ინდიელ ტომებს შეეძინათ კოლონისტებისგან საქონელი მე-18 საუკუნის ბოლომდე.

კოლონისტების და ინდიელების ურთიერთობა ადრეულ პერიოდში წარმოადგენდა თანამშრომლობისა და მტრობის მღელვარე ნარევს. ერთის მხრივ პენსილვანიის არსებობის საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე ურთიერთობა ინდიელებთან ძირითადად სანიმუშო გახლდათ. მეორეს მხრივ, იყო შეტაკებების, შეტაკებების და ომების პერიოდები, რომლებიც თითქმის უცილობლად ინდიელების დამარცხებით და მათ მიერ მიწების დაკარგვით მთავრდებოდა.

ინდიელთა პირველი მნიშვნელოვანი ამბოხება მოხდა ვირჯინიაში 1622 წელს, როდესაც დაახლოებით 347 თეთრკანიანი იყო მოკლული, ჯეიმსთაუნიდან სულ ახლახანს ჩამოსული რამოდენიმე მისიონერის ჩათვლით. 1637 წელს მას მოჰყვა „პეკოს" ომი, როდესაც ადგილობრივი ტომები შეეცადნენ ხელი შეეშალათ კონექტიკუტის მდინარის მიდამოებში ახალი დასახლების შექმნას.

1675 წელს ფილიპი, იმ ბელადის შვილი, რომელმაც 1621 წელს მშვიდობა დაამყარა პილიგრიმებთან, შეეცადა გაეერთიანებინა ახალი ინგლისის სამხრეთის ინდიელები ევროპელების მიერ მათი მიწების შემდგომი მითვისების წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბრძოლაში ფილიპი დაიღუპა და ბევრი ინდიელი მონად გაიყიდა.

ხუთი წლის შემდეგ 5 000 კილომეტრით დასავლეთით პუებლოს ინდიელები აჯანყდნენ ესპანელი მისიონერების წინააღმდეგ ტაოს მიდამოებში, ნიუ მექსიკოში. მომდევნო 12 წლის მანძილზე პუებლოს ინდიელები კვლავ აკონტროლებდნენ საკუთარ მიწებს, მაგრამ ესპანელებმა მიწა კვლავ წაართვეს. 60 წლის შემდეგ კვლავ მოხდა ინდიელთა აჯანყება და ომი პიმას ინდიელებს და ესპანელებს შორის ახლანდელი არიზონის ტერიტორიაზე.

ახალმოსახლეების შეღწევამ ტყეების მიყრუებულ ადგილებში აღმოსავლეთის კოლონიების რაიონებში, დაანგრია ინდიელთა ცხოვრება. რადგან იხოცებოდა სულ უფრო მეტი ნადირი, ტომები აღმოჩნდნენ რთული არჩევანის წინაშე – მოსალოდნელი შიმშილისა, ომისა ან სხვაგან წასვლისა და დასავლეთის სხვა ტომებთან კონფლიქტისა.

იროკეოისები, რომლებიც ცხოვრობდნენ ონტარიოსა და ერის ტბების ქვემოთ რაიონში, ჩრდილო ნიუ იორკსა და პენსილვანიაში, განსაკუთრებული წარმატებით ეწინააღმდეგებოდნენ ევროპელთა შემოსევას. 1570 წელს 5 ტომი გაერთიანდა, რათა შეექმნათ იმ დროის ყველაზე დემოკრატიული ნაცია, „ჰო-დე-ნო-საუ-ნიი", ანუ იროკეოისის ლიგა. ლიგას ხელმძღვანელობდა საბჭო, რომელიც შედგებოდა ყველა ტომის 50 წარმომადგენლისაგან. საბჭო წყვეტდა საკითხებს, რომლებიც ეხებოდა ყველა ტომს, მაგრამ მას არ უნდა ეკარნახა, თუ როგორ წარმართავდნენ თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ტომები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას. ტომს არ ეძლეოდა უფლება თვითონ დაეწყო ომი. საბჭო ამტკიცებდა კანონებს ისეთი ძალადობის შესახებ, როგორიცაა მკვლელობა.

1600-1700 წლებში ლიგა საკმაოდ ძლიერ ხელისუფლებას წარმოადგენდა. ის ყიდიდა ტყავებსა და ბეწვეულს ბრიტანელებზე და ეხმარებოდა მათ ფრანგების წინააღმდეგ წარმართულ 1754 და 1763 წლების ომში ამერიკაში გავლენის მოსაპოვებლად. ბრიტანელები ვერ მოიგებდნენ ამ ომს ლიგის მხარდაჭერის გარეშე.

ლიგა ძლიერი რჩებოდა ამერიკის რევოლუციამდე. მხოლოდ მაშინ, პირველად, საბჭომ ვერ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება, თუ ვისთვის დაეჭირა მხარი. ლიგის წევრმა ტომებმა მიიღეს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, ზოგი იბრძოდა ბრიტანელების მხარეზე, ზოგი კოლონისტების, ხოლო ზოგი ნეიტრალური რჩებოდა. შედეგად, ყველა იბრძოდა იროკეოისების წინააღმდეგ. მათ განიცადეს დიდი დანაკარგი, და ლიგა ვერასოდეს ვეღარ აღსდგა.

**ბრიტანული კოლონიების მეორე თაობა**

რელიგიურმა და სამოქალაქო კონფლიქტებმა ინგლისში მე-17 საუკუნის შუა პერიოდში შეზღუდა იმიგრაცია, რადგან შესუსტდა მშობელი ქვეყნის ყურადღება ამერიკული კოლონიებისადმი.

ნაწილობრივ იმ მიზნით, რომ უზრუნველეყოთ თავდაცვა, რომელსაც ინგლისი ყურადღებას არ აქცევდა, მასაჩუსეთსის ყურეს, პლიმუტის, კონექტიკუტის და ნიუ-ჰევენის კოლონიებმა 1643 წელს ჩამოაყალიბეს ახალი ინგლისის კონფედერაცია.

ბრიტანელი ახალმოსახლეების ადრეულ ისტორიაში ადგილი ჰქონდა დავას – რელიგიურს და პოლიტიკურს, როცა ჯგუფები მეტოქეობდნენ ძალაუფლებისა და თანამდებობების განაწილებისათვის ერთმანეთს შორის ან მეზობლებთან. კერძოდ, მერილენდი იტანჯებოდა მწვავე რელიგიური

შეუწყნარებლობისაგან, რომელიც მოედო ინგლისს ოლივერ კრომველის ხანაში. ერთ-ერთ დანაკლისს წარმოადგენდა 1650 წელს სახელმწიფოს შემწყნარებლობის აქტის გაუქმება, თუმცა ის მალევე აღსდგა, როგორც კი გარანტირებულ იქნა რელიგიური თავისუფლება.

1675 წელს მოხდა ბეკონის აჯანყება, პირველი მნიშვნელოვანი აჯანყება კოლონიებში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. პირველი ნაპერწკალი გაჩნდა ვირჯინიის საზღვარზე მცხოვრებლებისა და სასკუეჰანნოვის ინდიელების შეტაკების შედეგად, რამაც მალე ჩაითრია უბრალო ფერმერები მდიდარი და პრივილეგირებული პლანტატორებისა და ვირჯინიის გუბერნატორის ვილიამ ბერკლის წინააღმდეგ ბრძოლაში.

წვრილი ფერმერები, რომლებიც გამწარებულნი იყვნენ თამბაქოზე დაბალი ფასებით და ცხოვრების მძიმე პირობებით, გაერთიანდნენ ნათანიელ ბეკონის გარშემო, რომელიც ახლახანს ჩამოვიდა ინგლისიდან. ბერკლიმ არ მისცა ბეკონს ინდიელების დარბევის ნებართვა, მაგრამ დათანხმდა ახალი არჩევნების ჩატარებაზე მოქალაქეთა პალატაში, რომელიც 1661 წლიდან უცვლელი რჩებოდა.

ბერკლის ბრძანების მიუხედავად ბეკონი წუძლვა ხალხს მეგობარი ოკანეჩის ტომის წინააღმდეგ და თითქმის მთლიანად ამოწყვიტა ის. 1676 წლის სექტემბერში ბეკონი დაბრუნდა ჯეიმსთაუნში, გადაწვა ის და აიძულა ბერკლი გაქცეულიყო. თითქმის მთელი შტატი ახლა ბეკონის კონტროლის ქვეშ იყო. მაგრამ მისი გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა; ის გარდაიცვალა ციებ-ცხელებისგან ერთი თვის შემდეგ. აჯანყებამ ბეკონის გარეშე სწრაფად დაკარგა ძალა. ბერკლიმ აღადგინა თავისი ხელისუფლება და ჩამოახრჩო ბეკონის 23 მიმდევარი.

1660 წელს ტახტზე აღადგინეს მეფე ჩარლზ II, და ბრიტანელებმა კვლავ ჩრდილო ამერიკაზე გადაიტანეს ყურადღება. დროის მოკლე მონაკვეთში კაროლინაში გაჩნდა პირველი ევროპული დასახლებები, და ჰოლანდიელები გაძევებულნი იყვნენ ახალი ნიდერლანდებიდან. ბრიტანეთის კუთვნილი ახალი კოლონიები დაარსდა ნიუ იორკში, ნიუ ჯერსიში, დელავერში და პენსილვანიაში.

ჰოლანდიურ დასახლებებს, როგორც წესი, ერთპიროვნულად მართავდნენ ევროპიდან დანიშნული გუბერნატორები. წლების განმავლობაში ისინი სულ უფრო უცხონი ხდებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის. ამის შედეგი იყო ის, რომ ბრიტანელი კოლონისტების შემოჭრისას ჰოლანდიელთა მიწებზე ლონგ აილენდსა და მანჰეტენში არაპოპულარულმა გუბერნატორმა ვერ შემოიკრიბა ხალხი კოლონიის

დასაცავად. ახალი ნიდერლანდები დაეცნენ 1664 წელს. მაგრამ კაპიტულაციის პირობები არ იყო მკაცრი: პოლანდიელმა მოსახლეებმა შესძლეს თავისი საკუთრებისა და რელიგიური უფლებების შენარჩუნება.

1650-იან წლებში აბრემარლ საუნდის მიდამოები სანაპიროდან მოშორებით (ახლანდელი ჩრდილო კაროლინის ტერიტორია) დასახლებული იყო ვირჯინიიდან წამოსულებით. კოლონიის პირველი გუბერნატორი ჩამოვიდა 1664 წელს. აბრემარლის პირველი ქალაქი ამჟამადაც საკმაოდ მოშორებულ ადგილას მდებარეობს, და, ამდენად, მან ვერ შესძლო ჩამოყალიბება, ვიდრე 1704 წელს არ ჩამოვიდა ფრანგი პუგენოტების ჯგუფი.

1670 წელს პირველი მოსახლეები, რომლებიც ახალი ინგლისიდან და კარიბის ზღვის კუნძულ ბარბადოსიდან იყვნენ წამოსულები, განლაგდნენ ახლანდელი ჩარლსტონის ტერიტორიაზე, სამხრეთ კაროლინაში. ახალი კოლონიისათვის მომზადდა მართვის გულმოდგინედ დამუშავებული სისტემა, რომლის შექმნაში თავისი წვლილი შეიტანა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა. ამ სისტემის ერთ-ერთი აღსანიშნი მომენტი იყო უშედეგო ცდა შეექმნათ მემკვიდრეობითი არისტოკრატია. კოლონიის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად მოსაწონი ასპექტი ადრეული პერიოდიდან იყო ინდიელი მონებით ვაჭრობა. თუმცა მოგვიანებით ხე-ტყის მასალამ, ბრინჯმა და ინდიგომ კოლონიას უფრო ღირსეული ეკონომიკური საფუძველი შეუქმნა.

მასაჩუსეტსის ყურეს კოლონია არ იყო ერთადერთი კოლონია, რომელიც რელიგიური მოტივებით იმართებოდა. 1681 წელს უილიამ პენმა, მდიდარმა კვაკერმა და ჩარლზ II-ის მეგობარმა, მიიღო მიწის ერცელი ნაკვეთი მდინარე დელავერის დასავლეთით, რომელიც პენსილვანიის სახელით გახდა ცნობილი. ამ ტერიტორიის დასახლების მიზნით, პენმა ენერგიულად შეკრიბა რელიგიური სექტანტების ჯგუფი ინგლისიდან და კონტინენტიდან – კვაკერები, მენნონიტები, ამიშები, მორავიანები და ბაპტისტები.

როდესაც პენი მეორე წელიწადს ჩამოვიდა, იქ აგრეთვე იყვნენ პოლანდიელი, შვედი და ინგლისელი ახალმოსახლეები, რომლებიც ცხოვრობდნენ მდინარე დელავერის გაყოლებაზე. აქ მან დააარსა ფილადელფია, „ძმური სიყვარულის ქალაქი".

თავისი რწმენიდან გამომდინარე, პენი ხელმძღვანელობდა თანასწორობის გრძნობით, რასაც იმ დროს ვერ შეხვდებოდით სხვა ამერიკულ კოლონიებში. ამგვარად, ქალები პენსილვანიაში სარგებლობდნენ თანასწორი უფლებით გაცილებით ადრე, ვიდრე ამერიკის სხვა ნაწილებში. პენი და მისი წარმომადგენლები, აგრეთვე, დიდ ყურადღებას

უთმობდნენ კოლონიის ურთიერთობას დელავერის ინდიელებთან, ამოწმებდნენ, რომ ინდიელებისათვის გადაეხადათ საფასური ყველა იმ მიწისათვის, რომელზეც ევროპელები სახლდებოდნენ.

1732 წელს იქნა დასახლებული ჯორჯია, უკანასკნელი იმ 13 კოლონიათაგანი, რომელიც შეიქმნა. მდებარეობდა რა ესპანური ფლორიდის ახლოს, ფაქტიურად კი მის საზღვრებს შიგნით, რეგიონი განიხილებოდა როგორც ბუფერი ესპანელთა შემოჭრის წინააღმდეგ. მაგრამ მას სხვა უნიკალური თვისებაც გააჩნდა: კაცი, რომელიც პასუხს აგებდა ჯორჯიას დამცავ ნაგებობებზე, გენერალი ჯეიმს ოგლეთორპი, რეფორმატორი იყო. ის განზრახ ჩავიდა იქ თავშესაფარის შესაქმნელად, სადაც ღატაკებს ან ყოფილ პატიმრებს მიეცემოდათ ახალი ხელსაყრელი შესაძლებლობანი.

**ახალმოსახლენი, მონები და მსახურები**

ბევრი ადამიანი, რომელიც არც თუ ძალიან იყო დაინტერესებული ამერიკაში ახალი ცხოვრების დაწყებით, გაემგზავრა იქ მძლავრი აგიტაციის გავლენით. მაგალითად, უილიამ პენი, ახალი შესაძლებლობების რეკლამის მეშვეობით ცდილობდა ახალი იმიგრანტების მოზიდვას პენსილვანიის კოლონიაში. სასამართლოს და ციხის უფროსობა სთავაზობდა პატიმრებს ჯორჯიის მსგავს კოლონიებში მიგრაციას, ციხეში სასჯელის მოხდის ნაცვლად.

მაგრამ ცოტა ვინმეს თუ შეეძლო დაეფინანსებინა თავისი საკუთარი ოჯახის წევრების გამგზავრება, რომ დაეწყო ახალი ცხოვრება. ზოგიერთ შემთხვევაში გემების კაპიტნები დიდ გასამრჯელოს იღებდნენ სამომსახურო კონტრაქტების გაყიდვაში, რაც ღარიბი ემიგრანტებისათვის იყო განკუთვნილი, რომლებსაც კონტრაქტულ მსახურებს უწოდებდნენ გარდა ამისა, ისინი მიმართავდნენ ყველა მეთოდს – დაწყებული ექსტრავაგანტული დაპირებებიდან და დამთავრებული ბავშვების მოტაცებით, რათა რაც შეიძლება მეტი მგზავრი აეყვანათ თავიანთ გემებზე.

სხვა შემთხვევებში, ტრანსპორტირებისა და რჩენის ხარჯებს იხდიდნენ ვირჯინიისა ან მასაჩუსეთსის ყურის კომპანიების მსგავსი საკოლონიზაციო სააგენტოები. ამის სანაცვლოდ, კონტრაქტული მსახურები თანხმდებოდნენ ემუშავათ სააგენტოებისათვის როგორც კონტრაქტით აყვანილ შავ მუშებს, ჩვეულებრივ, 4-დან 7 წლამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ მათ უბოძებდნენ „თავისუფლების დამსახურებას", რაც ხანდახან გულისხმობდა მათთვის მიწის პატარა ზოლის მიცემას.

დადგენილ იქნა, რომ ახალმოსახლეთა ნახევარი, რომელიც ახალი ინგლისის სამხრეთში ცხოვრობდა, სწორედ ამ

სისტემით ჩამოვიდა ამერიკაში. თუმცა უმეტესმა ნაწილმა ერთგულად შეასრულა თავისი მოვალეობანი, ზოგიერთი გაექცა თავის დამქირავებლებს. ბევრმა მათგანმა მოახერხა მიწის შოვნა და სახლკარის მოწყობა ან თვით იმ კოლონიაში, სადაც თავდაპირველად ჩავიდა, ან მეზობელ კოლონიაში. ის ოჯახები, რომლებმაც ამ ნახევრად მონობის გზით დაიწყეს ამერიკაში ცხოვრება, მიუხედავად ამისა, არავითარ სოციალურ დაღს არ ატარებდნენ. ყოველი კოლონიის ხელმძღვანელთა რიგებში იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავის დროზე კონტრაქტული მსახურები იყვნენ.

არსებობდა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი გამონაკლისი ამ მოდელიდან: აფრიკელი მონები. პირველი შავკანიანები ჩამოყვანილ იქნენ ვირჯინიაში 1619 წელს, ზუსტად 12 წლის შემდეგ ჯეიმსთაუნის დაარსებიდან. დასაწყისში ბევრი მათგანი კონტრაქტულ მსახურებად იქნენ მიჩნეული, რომელთაც შეეძლოთ თავისუფლების მიღება. 1660-იან წლებში სამხრეთ კოლონიებში პლანტაციურ შრომაზე მოთხოვნილების გაზრდის კვალობაზე იწყო გამყარება მონობის ინსტიტუტმა, და აფრიკელები უკვე ბორკილებით ჩამოჰყავდათ ამერიკაში, რათა მათ მთელი ცხოვრება იძულებით შრომაში გაეტარებინათ.

## ანასაზის ტომის ამოუცნობი საიდუმლოება

ჟამთა სვლით დაზიანებული ინდიელთა დასახლებები და ფირალო კლდეში ამოკვეთილი დრამატიზმით აღსავსე ქალაქები მიგვანიშნებენ იმ ადგილზე, სადაც ცხოვრობდა ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთი უძველესი ხალხი – ანასაზი (ნავაჯოს ენაზე სიტყვა ნიშნავს „უძველეს ხალხს“).

ჩვენი წელთაღრიცხვის 500-იან წლებში ანასაზების ტომმა შექმნა უძველესი სოფლები, რომლებიც აღმოჩენილ იქნენ სამხრეთ-დასავლეთ ამერიკაში. ის მისდევდა ნადირობას, მოჰყავდა სიმინდის, გაბაყის და ლობიოს მოსავალი. ანასაზის ტომი კარგად ცხოვრობდა საუკუნეების მანძილზე, აგებდა რთულ კაშხალებს და საირიგაციო სისტემებს, ქმნიდა თიხის ჭურჭლის დამზადების ჩინებულ ტრადიციას; აგებდა კლდის კალთებში ამოკვეთილ მრავალოთახიან საცხოვრებლებს, რომელიც დღეისათვის იქცა შეერთებული შტატების ერთ-ერთ ყველაზე განსაცვიფრებელ არქიტექტორულ ძეგლად.

1300-იანი წლისათვის მათ მიატოვეს თავიანთი დასახლებები, თიხის ჭურჭელი, იარაღები, ტანსაცმელიც კი – თითქოს დაბრუნებას აპირებდნენო – და უკვალოდ გაუჩინარდნენ ისტორიის ბურუსში. მათი მშობლიური მხარე დაუსახლებელი დარჩა საუკუნეზე მეტ ხანს – სანამ იქ არ მოვიდნენ ახალი ტომები, როგორებიცაა ნავაჯო და უტე. შემდეგ კი ესპანელები და ევროპელები.

ანასაზების ცხოვრების ისტორია განუყოფლადაა დაკავშირებული მშვენიერ, მაგრამ სასტიკ გარემოსთან, რომელშიც მათ იჩინეს ყოფნა; ადრეული დასახლებანი შედგებოდა ამოთხრილ ორმოებში აგებული სახლებისგან, რომლებსაც მიწიდან მხოლოდ სახურავები უჩანდათ. შემდგომში ისინი იქცნენ მიწაში ჩაფლულ „კივებად“ – შენობებად, რომლებიც გამოიყენებოდა შეხვედრებისა და რელიგიური რიტუალებისათვის. შემდგომმა თაობებმა ისწავლეს ქვებისა და აგურებისგან მართკუთხა სახლების აშენება. მაგრამ ყველაზე დრამატული ცვლილება ანასაზების ცხოვრებაში მოხდა მაშინ, როდესაც ისინი გაურკვეველი მიზეზების გამო ჩამოვიდნენ მთების ბრტყელი თხემიდან კლდის ფერდობებზე, სადაც ამოკვეთეს განსაცვიფრებელი მრავალსართულიანი საცხოვრებლები.

ანასაზები ცხოვრობდნენ თემურ საზოგადოებაში, რომელიც ძალიან ნელა ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე. ისინი ეწეოდნენ ვაჭრობას ამავე რეგიონის სხვა ხალხებთან, მაგრამ რაც შეეხება ომებს, მათი ნიშნები ნაკლებად მოიპოვება და იზოლირებულ ხასიათს ატარებენ. მიუხედავად იმისა, რომ ანასაზებს, რა თქმა უნდა, ჰყავდათ რელიგიური და სხვა ლიდერები, აგრეთვე თავის საქმეში გაწაფული ოსტატები, სოციალური და კლასობრივი განსხვავებები ფაქტიურად არ არსებობდნენ.

უდავოა, რომ სოციალურმა და რელიგიურმა მოტივებმა გარკვეული როლი შეასრულეს ინდიელთა მიერ კლდეზე საცხოვრებელი სახლების აგებაში, შემდგომ კი მშობლიური კუთხის მიტოვებაში. მაგრამ ამის უმთავრესი მიზეზი უნდა ყოფილიყო საკვების მოსაპოვებლად უაღრესად მძიმე გარემო პირობების არსებობა. მოსახლეობის ზრდასთან ერთად ფერმერები ვაკე მიწების სულ უფრო დიდ ფართობებს ამუშავებდნენ, ზოგიერთი ოჯახი იძულებული იყო დაემუშავებინა განაპირა მიწები, სხვები კი – კლდის ფერდობებზეც დასახლებულიყვნენ. მაგრამ ანასაზები ვერაფერს უშველიდნენ იმას, რომ მიწებით მუდმივი სარგებლობის გამო მათი ნიადაგები იფიტებოდა და ამავე დროს შეუძლებელი იყო შებრძოლება პერიოდულ გვალვებთან, რომლებიც ამ მიდამოებისთვისაა ჩვეული. ხეების რკალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი გვალვა გაგრძელდა 23 წელიწადს – 1276 წლიდან 1299 წლამდე – და საბოლოო ჯამში აიძულა ანასაზები საბოლოოდ მიეტოვებინათ ეს მხარე.

თუმცა ანასაზები მიმოიფანტნენ თავიანთი მშობლიური ადგილებიდან, ისინი არ გამქრალან. მათ დატოვეს მემკვიდრეობა შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლების სახით და შთამომავლები, რომლებიც ჰოპის, ზუნის და პუებლოს სხვა ხალხებით არიან წარმოდგენილი.




ძირითადი ამერიკული მოსახლეობის უდიდესი კულტურული დაჯგუფებები, 500-1300 ქრისტეს შობიდან.

ამერიკის ისტორიის ესკიზები

თავი მეორე

# II

# კოლონიალური პერიოდი



გემზე მყოფი პილიგრიმები გალობენ მეიფლაუერის ხელშეკრულების დებულებებს, 1620



# „ვინ არის მაშინ ამერიკელი, ეს ახალი ადამიანი?“

ჰექტორ სენ ჯონ დე კრევეკური, 1782

**ახალი ადამიანები**

ახალმოსახლეთა უმეტესობა, რომლებიც ჩამოვიდნენ ამერიკაში მე-17 საუკუნეში, ინგლისელები იყვნენ, მაგრამ რეგიონის შუა ნაწილში დასახლდნენ აგრეთვე ჰოლანდიელები,შვედები და გერმანელები,სამხრეთ კაროლინაში და ზოგიერთ სხვა ადგილას მცირე რაოდენობით დასახლდნენ ფრანგი ჰუგენოტები; აფრიკელი მონები ძირითადად ქვეყნის სამხრეთით იყვნენ;კოლონიების ტერიტორიაზე გაფანტული იყვნენ აგრეთვე ესპანელები, იტალიელები და პორტუგალიელები.

1680 წლიდან ინგლისი აღარ იყო იმიგრაციის ძირითადი წყარო. ათასობით ლტოლვილი გამოიქცა ევროპის კონტინენტიდან,რათა აერიდებინათ თავი ომისათვის. ბევრმა დატოვა მშობლიური მიწა, რომ გამოქცეოდა იმ სიღატაკეს და შევიწროებას, რასაც სახელმწიფოსა და მემამულეებისაგან განიცდიდნენ.

1690 წელს ამერიკის მოსახლეობა მეოთხედ მილიონამდე გაიზარდა. მას შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა ყოველ 25 წელიწადში ორმაგდებოდა ვიდრე 1775 წელს არ მიაღწია 2,5 მილიონს.

თუმცა ოჯახს შეეძლო გადასახლებულიყო მასაჩუსეთსიდან ვირჯინიაში, სამხრეთ კოლონიაში ან პენსილვანიაში ცხოვრების სტილის რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე, ცალკეულ კოლონიებს შორის მაინც არსებობდა განსხვავებები. ეს განსხვავება კიდევ უფრო შესამჩნევი იყო კოლონიების სამ რეგიონულ ჯგუფს შორის.

---

**ახალი ინგლისი**

ახალი ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთი ძირითადად თხელი ქვიანი ნიადაგით გამოირჩევა. სწორი მიწების სიმცირისა და გრძელი ზამთრის გამო მეტად ძნელია ფერმერობით თავის გატანა. სხვა საქმიანობის ძიებისას ახალი ინგლისის მოსახლეობამ გამოიყენა წყლის ენერგია და შექმნა წისქვილები და სახერხი ქარხნები. ხე-ტყის მასალის სიუხვემ განაპირობა გემთმშენებლობის განვითარება. შესანიშნავმა ნავსაყუდელმა ადგილებმა ხელი შეუწყვეს ვაჭრობას, და ამდენად, ზღვა გახდა დიდი სიმდიდრის მომტანი. მასაჩუსეთსში მხოლოდ და მხოლოდ ვირთევზის წარმოებაც კი ქმნიდა აყვავების საფუძველს.

ახალმოსახლეთა ძირითადი ნაწილი ცხოვრობდა სოფლებში ან ქალაქებში ნავსადგურების სიახლოვეს და ახალი ინგლისის თითქმის მთელი მოსახლეობა ჩაბმული იყო ვაჭრობის ან ბიზნესის რომელიმე დარგში. საერთო საძოვრები და ტყეები აკმაყოფილებდნენ ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილებებს, რომლებიც მუშაობდნენ ახლომახლო განლაგებულ პატარა ფერმებში. მოსახლეობის კომპაქტურობამ განაპირობა სოფლის სკოლების, ეკლესიების და მუნიციპალიტეტის არსებობა, სადაც მაცხოვრებლები იკრიბებოდნენ მათთვის საინტერესო საკითხების განსახილველად.

მასაჩუსეთსის ყურის კოლონია სწრაფად ავითარებდა კომერციას. მე-17 საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული ის თანდათან სულ უფრო აყვავდა, და ბოსტონი იქცა ამერიკის უდიდეს პორტად.

ჩრდილო-აღმოსავლეთის ტყეებში მოიპოვებოდა მუხის ხე გემების კორპუსებისათვის, მაღალი ფიჭვები რანგოუტისათვის და ანძებისათვის, ფისი ნაკერების გასაფისავად. მასაჩუსეთსის ყურის გემთმშენებლები თავიანთ საკუთარ ხომალდებს აშენებდნენ და ცურავდნენ მათზე მთელი მსოფლიოს პორტებში, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ვაჭრობას, რომლის მნიშვნელობა გამუდმებით იზრდებოდა. კოლონიალური პერიოდის დამლევს ბრიტანეთის დროშის ქვეშ მოცურავე გემების ერთი მესამედი ახალ ინგლისში იყო აშენებული. თევზმა, გემებმა და ხის ნაწარმმა გაზარდა ექსპორტი.

ახალი ინგლისის გემების მფლობელები მალე მიხვდნენ, რომ სპირტიანი სასმელები და მონები სარფიანი ტვირთი იყო. ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი, თუმცა არასასიამოვნო საქმე, იმ დროის ვაჭრობაში იყო ეგრეთ წოდებული „სამკუთხა ვაჭრობა“. ვაჭრები და გემთმფლობელები ყიდულობდნენ აფრიკის სანაპიროზე მონებს სპირტიანი სასმელების ფასად, შემდეგ ყიდიდნენ მათ ვესტ-ინდოეთში და იძენდნენ ბადაგს, რომელიც ჩამოჰქონდათ უკან ახალ ინგლისში, რომ მოეყიდათ რომის მწარმოებელი ადგილობრივი საწარმოებისათვის.

---

## ცენტრალური კოლონიები

ცენტრალურ კოლონიებში საზოგადოება უფრო მრავალფეროვანი, კოსმოპოლიტური და შემწყნარებელი იყო, ვიდრე ახალ ინგლისში. პენსილვანია და დელავერი თავის თავდაპირველ წარმატებას ბევრ რამეში ვილიამ პენს უნდა უმადლოდნენ.

მისი ხელმძღვანელობით პენსილვანია შეუფერხებლად ფუნქციონირებდა და სწრაფად იზრდებოდა. 1685 წელს მისი მოსახლეობა შეადგენდა თითქმის 9 000. კოლონიის გული იყო ფილადელფია, ქალაქი, რომელმაც მალე გაითქვა სახელი თავისი ფართო, ხეივნებიანი ქუჩებით, აგურის და ქვის კაპიტალური სახლებით და ხალხმრავალი დოკებით. კოლონიალური პერიოდის დასასრულისთვის, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, იქ ცხოვრობდა 30 000 ადამიანი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა სარწმუნოების და პროფესიის ხალხი. მათმა უნარმა წარმატებით ეწარმოებინათ ბიზნესი ქალაქი კოლონიალური ამერიკის ერთ-ერთ აყვავებულ კუთხედ აქცია.

თუმცა ფილადელფიაში უმეტესად კვაკერები ცხოვრობდნენ, პენსილვანიის დანარჩენ რეგიონებში სხვა სარწმუნოებების წარმომადგენლებიც მრავლად იყვნენ.გერმანელები გახდნენ კოლონიის ყველაზე დაოსტატებული ფერმერები. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ აგრეთვე მცირე წარმოებებს, როგორიცაა წნა, მეწაღეობა და სხვა ხელობები.

პენსილვანია აგრეთვე ახალ სამყაროში შესასვლელ ძირითად კარიბჭეს წარმოადგენდა შოტლანდიელების და ირლანდიელებისათვის, რომლებმაც მე-18 საუკუნის დასაწყისში დაიწყეს კოლონიაში გადმოსახლება. „მამაც და ღარიბ უცხოელებს“, როგორც მათ პენსილვანიის ერთ-ერთმა მოხელემ უწოდა, სძულდათ ინგლისელები ეჭვის თვალით უყურებდნენ ნებისმიერ მთავრობას. ირლანდიელები და შოტლანდიელები სახლდებოდნენ ქვეყნის შიდა ნაწილებში, სადაც ისინი წმენდნენ მიწას დასამუშავებლად და ცხოვრობდნენ ნადირობით და ეწეოდნენ კარჩაკეტილ მეურნეობას. მიუხედავად პენსილვანიის მოსახლეობის მთელი

მრავალფეროვნებისა, ამერიკის მრავალენოვნების ყველაზე ნათელი მაგალითი მაინც ნიუ იორკი იყო. 1646 წლისათვის მდინარე ჰადსონის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობა შედგებოდა ჰოლანდიელების, ფრანგების, დანიელების, ნორვეგიელების, გერმანელების, პოლონელების, პორტუგალიელების, ბოჰემიელების და იტალიელებისგან, რომლებიც შემდგომი თაობების წინაპრები გახდნენ.

ჰოლანდიელების მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური ზეგავლენა ნიუ იორკის რეგიონზე კიდევ დიდხანს გაგრძელდა მას შემდეგ, რაც დაეცა ახალი ნიდერლანდები და ისინი შეერწყნენ ბრიტანეთის კოლონიალურ სისტემას. მათი სახლების წვეტიანი სახურავები იქცნენ ქალაქს არქიტექტურის განუყოფელ ნაწილად, და მათმა ვაჭრებმა შექმნეს მანჰეტენისთვის დამახასიათებელი მოფუსფუსე, კომერციული ატმოსფერო.

---

**სამხრეთის კოლონიები**

ახალ ინგლისსა და ცენტრალური კოლონიებისგან განსხვავებით, სამხრეთი კოლონიები – ვირჯინია, მერილენდი, ჯორჯია, ჩრდილო და სამხრეთი კაროლინა – ძირითადად აგრარული შტატები იყვნენ.

მე-17 საუკუნის ბოლოს ვირჯინიას და მერილენდის ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურა ემყარებოდა მსხვილ პლანტატორებს და წვრილ მონათმფლობელებს. ზღვისპირა რაიონების პლანტატორებს, მონათა შრომის წყალობით ეკუთვნოდათ პოლიტიკური ძალაუფლების და საუკეთესო მიწების უდიდესი ნაწილი. მათ აიშენეს დიდებული სახლები, შეისისხლხორცეს ცხოვრების არისტოკრატიული სტილი და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ინარჩუნებდნენ კავშირს ოკეანესიქითა მსოფლიო კულტურასთან.

ამავე დროს წვრილი ფერმერები, რომლებიც მუშაობდნენ მიწის უფრო მცირე ნაკვეთებზე, აწყობდნენ პოპულარულ შეკრებებს და იკაფავდნენ გზას პოლიტიკურ სარბიელზე. მათ მხრიდან დამოუკიდებლობის ხაზგასმა მუდმივი გაფრთხილება იყო პლანტატორების ოლიგარქიისათვის, რომ მეტისმეტად არ შეელახათ თავისუფალი ადამიანების უფლებები.

სამხრეთ კაროლინის ქალაქი ჩარლსტონი იქცა სამხრეთის უმთავრეს პორტად და სავაჭრო ცენტრად. ახალმოსახლეებმა სწრაფად ისწავლეს სოფლის მეურნეობის შეთავსება კომერციასთან და შედეგად ბაზრის მოედანი გახდა მათი სიმდიდრის ძირითადი წყარო. ხშირი ტყეები აგრეთვე იძლეოდნენ შემოსავალს: გრძელწიწვიანი ფიჭვის ხე, კუპრი და ფისი იძლეოდა გემთმშენებლობის ერთ-ერთ საუკეთესო მასალას მსოფლიოში. ჩრდილო და სამხრეთი კაროლინა, რომელიც

ვირჯინიისაგან განსხვავებით არ იყო დამოკიდებული მხოლოდ ერთი ტიპის მოსავალზე, აგრეთვე აწარმოებდა ბრინჯსა და ინდიგოს, ლურჯ საღებავს, რომელსაც ამზადებდნენ ადგილობრივი მცენარეებისაგან და იყენებდნენ ქსოვილების შესაღებად. 1750 წელს 100 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინაში.

უკიდურეს სამხრეთის კოლონიებში ისევე, როგორც მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის შიგა ნაწილებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდას. გერმანელი იმიგრანტები შოტლანდიელები და ირლანდიელები, რომლებსაც არ სურდათ თავდაპირველ ზღვისპირა დასახლებებში ცხოვრება, სადაც ძლიერი იყო ინგლისელთა გავლენა, მიიწევდნენ კონტინენტის სიღრმეში. მათ, ვისაც არ შეეძლო ეშოვა ნაყოფიერი მიწები ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ან ვინც გამოფიტა თავისი კუთვნილი მიწა, უფრო დასავლეთით მდებარე მთებში იპოვეს ხელსაყრელი თავშესაფარი. თუმცა მათ ენით გამოუთქმელი სიძნელეების გადალახვა უწევდათ, მოუსვენარი ახალმოსახლეები მოდიოდნენ და მოდიოდნენ და 1730 წლისათვის უკვე ნაკადად სახლდებოდნენ ვირჯინიის შენანდოას დაბლობზე. მალე შიდა ტერიტორია სავსე იყო ფერმერებით.

ფრონტირის (მოწინავე) ხაზზე, ინდიელთა ქვეყნის საზღვარზე მცხოვრები ოჯახები აშენებდნენ ფიცრულებს, ასუფთავებდნენ აუთვისებელ მიწებს, მოჰყავდათ სიმინდი და ხორბალი. კაცებს ეცვათ ირმის და ცხვრის ტყავისაგან დამზადებული ტანსაცმელი, ცნობილი როგორც „ირმის ტყავი"; ქალები კი შინნაქსოვი ტანსაცმლით დადიოდნენ. მათ ძირითად საკვებს წარმოადგენდა ირმის ხორცი, გარეული ინდაური და თევზი. მათი საყვარელი გასართობი იყო წვეულებები, ცეკვები, ახალმოსახლეობის გადახდა ახალდაქორწინებული წყვილებისათვის, შეჯიბრებები სროლაში და ლალიანდაგებული საბნების დამზადებაში. ლალიანდაგებული საბნები დღესაც ამერიკის ტრადიციად რჩება.

---

**საზოგადოება, სკოლები და კულტურა**

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აფერხებდა არისტოკრატიის ან წვრილ მიწათმფლობელთა მძლავრი კლასების წარმოშვებას კოლონიებში, იყო ის, რომ კოლონიის ნებისმიერ მცხოვრებს შეეძლო ეპოვა ახალი სახლი ფრონტირის მიდამოებში.

ასე რომ, დროდადრო, ძალაუფლების მქონე პირები ზღვის პირა რაიონებიდან იძულებულნი იყვნენ განეხორციელებინათ თავიანთი პოლიტიკის, მიწის გაცემის პირობების და რელიგიური ადათ–წესების ლიბერალიზაცია, რომ არ ჰქონოდა

ადგილი ხალხის მასობრივ გადასახლებას ფრონტირის ზონაში. ამ მოძრაობას მთისწინეთისაკენ უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკის მომავლისათვის.

არანაკლები მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა ამერიკის მომავლისათვის განათლების სისტემის და კულტურის საფუძვლის ჩაყრა კოლონიალურ პერიოდში. 1636 წელს დაარსდა ჰარვარდის კოლეჯი მასაჩუსეთსის შტატის ქალაქ კემბრიჯში. საუკუნის ბოლოს ვირჯინიაში ჩამოყალიბებულ იქნა უილიამის და მერის კოლეჯები. რამდენიმე წლის შემდეგ გაიხსნა საუნივერსიტეტო სკოლა კონექტიკუტში და შემდეგ იელის კოლეჯი. მაგრამ კიდევ უფრო აღსანიშნავი იყო სკოლების სისტემის ზრდა, რასაც მთავრობა ახორციელებდა. ის, რომ პურიტანელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პირდაპირ დედანიდან კითხვას, ზრდიდა წიგნიერების მნიშვნელობას.

1647 წელს მასაჩუსეთსის ყურის კოლონიაში ამოქმედდა „ye olde deluder Satan" აქტი, რომელიც მოითხოვდა რომ ყველა ქალაქს, რომლის მოსახლეობა 50 ოჯახს აღემატებოდა, ჰქონოდა საშუალო სკოლა (ლათინური სკოლა, რომელიც ამზადებდა სტუდენტებს კოლეჯისათვის). არ გასულა დიდი ხანი, რომ ახალი ინგლისის ყველა კოლონიებმა მიბაძეს ამ მაგალითს, გარდა როდ აილენდისა.

ახალი ინგლისის პირველ იმიგრანტებს თან მოჰქონდათ წიგნების საკუთარი პატარა ბიბლიოთეკა და შემდგომშიც აგრძელებდნენ წიგნების შემოზიდვას ლონდონიდან. 1680 წელშიც კი ბოსტონში კლასიკური ლიტერატურის, ისტორიის, პოლიტიკის, ფილოსოფიის, თეოლოგიის და ბელეტრისტიკის დარგში წიგნებით ვაჭრობა საკმაოდ შემოსავლიან ბიზნესს წარმოადგენდა. 1639 წელს ჰარვარდის კოლეჯში დაარსდა ინგლისის კოლონიებში პირველი და ჩრდილოეთ ამერიკაში მეორე საბეჭდი სტამბა.

პირველი სკოლა პენსილვანიაში დაარსდა 1683 წელს. მასში ასწავლიდნენ კითხვას, წერას და საბუღალტრო ანგარიშებს. ამის შემდეგ კვაკერთა ყველა დასახლება ცდილობდა გარკვეულწილად ელემენტარული განათლება მიეცა თავისი შვილებისათვის. უფრო საფუძვლიან განათლებას – კლასიკური ენები, ისტორია და ლიტერატურა – იძლეოდა სახელმწიფო სკოლა – ფრენდზ პაბლიქ სქულ, – რომელიც ახლაც არსებობს ფილადელფიაში, როგორც უილიამ პენის სკოლა. სკოლა უფასო იყო ღარიბებისათვის, მაგრამ შეძლებულ მშობლებს უნდა გადაეხადათ სწავლების ფასი.

ფილადელფიაში ძალიან ბევრი კერძო სკოლა, რომლებიც არ იყვნენ რელიგიური მიმართულების, ასწავლიდნენ ენებს, მათემატიკას და საბუნებისმეტყველო საგნებს; არსებობდა

ღამის სკოლები უფროსებისათვის. არც ქალები იყვნენ მთლად უყურადღებოდ დატოვებული, მაგრამ მათი განათლება შემოიფარგლებოდა ოჯახში გამოსაყენებელი საქმიანობის შესწავლით. მდიდარი ფილადელფიელების ქალიშვილებს კერძო მასწავლებლები ასწავლიდნენ ფრანგულს, მუსიკას, ცეკვას, გრამატიკას და ზოგჯერ ანგარიშწარმოებასაც კი.

მე-18 საუკუნეში პენსილვანიის ინტელექტუალური და კულტურული განვითარება ყველაზე მკაფიოდ წარმოჩინდა ორ ძლიერ პიროვნებაში. ესენი იყვნენ ჯეიმს ლოგანი და ბენჯამენ ფრანკლინი. ლოგანი იყო კოლონიის სახელმწიფო მდივანი, სწორედ მის ბიბლიოთეკაში ნახა ახალგაზრდა ფრანკლინმა უახლესი სამეცნიერო ნაშრომები. 1745 წელს ლოგანმა თავისი კოლექციისათვის ააგო შენობა, რომელიც თავისი წიგნებითურთ აჩუქა ქალაქს.

ფრანკლინმა კიდევ უფრო დიდი წვლილი შეიტანა ფილადელფიის ინტელექტუალურ საქმიანობაში. მან ჩამოაყალიბა სადისკუსიო კლუბი, რომელიც იქცა ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების ჩანსახად. მისი ძალისხმევით დაარსდა აგრეთვე საზოგადოებრივი აკადემია, რომელიც შემდგომში პენსილვანიის უნივერსიტეტში გადაიზარდა. ის იყო მთავარი ინიციატორი ხელმოწერითი ბიბლიოთეკის დაარსებისა, რომელსაც თვითონ უწოდებდა „ჩრდილოეთ ამერიკის ყველა ხელმოწერითი ბიბლიოთეკის დედას".

სამხრეთის კოლონიებში მდიდარი პლანტატორები და ვაჭრები ქირაობდნენ თავიანთი შვილებისათვის კერძო მასწავლებლებს საზღვარგარეთ, ირლანდიაში და შოტლანდიაში. ზოგიერთები ბავშვებს ინგლისის სკოლებში აგზავნიდნენ. ვინაიდან ზღვისპირა ზოლის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს ასეთი შესაძლებლობები გააჩნდათ, ისინი არ იყვნენ დაინტერესებულნი ხელი შეეწყოთ საზოგადოებრივი განათლების სისტემის განვითარებისათვის. გარდა ამისა, ფერმები და პლანტაციები ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ დაფანტულნი, რაც აძნელებდა ცალკეული დასახლებებისათვის სკოლების შექმნას. ვირჯინიაში იყო რამოდენიმე უფასო სკოლა; მათ შორის 1647 წელს დაარსებული სიმსის სკოლა და 1659 წელს დარსებული იტონის სკოლა.

დასახლებების არსებული საზღვრები ვერ აკავებდნენ სწავლის წყურვილს. ფრონტირის ტერიტორიაზე შოტლანდიელები და ირლანდიელები თუმცა ცხოვრობდნენ ფიცრულებში, მაგრამ მტკიცედ იყვნენ განათლების ერთგულნი და ყოველ ღონეს ხმარობდნენ თავიანთ დასახლებებში მოეზიდათ ნასწავლი მღვდლები.

ლიტერატურული მოღვაწეობა კოლონიებში ძირითადად შემოიფარგლებოდა ახალი ინგლისის კოლონიით. აქ

ყურადღება კონცენტრირებული იყო რელიგიურ საკითხებზე. ყველაზე ხშირად აქვეყნებდნენ ქადაგებებს. ცნობილმა პურიტანელმა მღვდელმა ღირსეულმა კოტონ მატერმა დაწერა 400 ნაშრომი. მისი შედევრი „Magnalia Christi Americana" წარმოადგენს ახალი ინგლისის ისტორიის ცოცხალ სურათს. მაგრამ იმ დროს ყველაზე პოპულარული ნაშრომები იყო ღირსეული მაიკლ უიგლსტონის გრძელი პოემა „განკითხვის დღე", რომელიც საშინელ ფერებში აღწერდა უკანასკნელი განკითხვის დღეს.

1704 წელს მასაჩუსეთსის შტატის ქალაქ კემბრიჯში გამოიცა პირველი გაზეთი, რომელსაც წარმატება ხვდა. 1745 წლისათვის კოლონიებში გამოდიოდა 22 გაზეთი.

ნიუ-იორკში იდგმებოდა პირველი ნაბიჯი პრესის თავისუფლების პრინციპის დასამკვიდრებლად, როდესაც იოჰან პიტერ ზინგერმა 1733 წელს გამოსცა ნიუ-იორკის ყოველკვირეული ჟურნალი „New York Weekly Journal", რომელიც ოპოზიციაში ედგა მთავრობას. ორი წლის პუბლიკაციების შემდეგ კოლონიების გუბერნატორმა ვეღარ აიტანა ზინგერის სატირული ტონის სიმწარე და ჩასვა ის ციხეში შეამბოხური ცილისწამებისათვის. ზინგერი განაგრძობდა ჟურნალის გამოცემას ციხიდან გასამართლების ცხრათვიანი პროცესის დროს, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია კოლონიებში. ენდრიუ ჰამილტონი, კოლონიების ყველაზე გამოჩენილი ადვოკატი, რომელიც ზინგერს იცავდა, ამტკიცებდა, რომ ზინგერის ბრალდებები სამართლიანი იყო და, მაშასადამე, არაცილისმწამებლური. სასამართლომ ზინგერი უდანაშაულოდ სცნო და იგი ციხიდან გაათავისუფლეს.

ქალაქების სიმდიდრე ბადებდა ეჭვს, რომ საზოგადოებას ეშმაკი შეუჩნდა და უბიძგებს მას ეძიოს ამქვეყნიური გამორჩენა, რამაც 1730 წელს გამოიწვია რელიგიური რეაქცია, რომელიც ცნობილია „დიდი გამოფხიზლების" სახელწოდებით. ამის სულისჩამდგმელი ორი პიროვნება გახლდათ: უაიტფილდი – ევანგელისტი მეთოდისტი მღვდელი, რომელიც ინგლისიდან ჩამოვიდა 1739 წელს, და ჯონათან ედვარდსი, რომელიც თავდაპირველად მასაჩუსეთსის ქალაქ ნორსჰემპტონის სამრევლო ეკლესიის მღვდელი იყო.

უაიტფილდმა წამოიწყო რელიგიური აღორძინება ფილადელფიაში და შემდეგ გადავიდა ახალ ინგლისში. ის იყენებდა მსახიობის ხელოვნებას, ჟესტებს, ემოციურ ორატორობას და მიაღწია იმას, რომ ყოველ მის გამოსვლას ესწრებოდა 20 000-იანი აუდიტორია. რელიგიურმა მღელვარებამ მოიცვა ახალი ინგლისი და ცენტრალური კოლონიები, მღვდლები უარს ამბობდნენ ოფიციალურად მიღებულ ეკლესიაზე და ქადაგებდნენ ევანგელიზმს.

მათ შორის, ვისზედაც გავლენა მოახდინა უაიტფილდმა, იყო ედვარდსი და „დიდმა გამოღვიძებამ“ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია 1741 წელს, როდესაც მან წარმოთქვა ქადაგება „ცოდვილნი განრისხებულნი ღმერთის ხელში“. ედვარდსი არ იყენებდა თეატრალურობას, ის ქადაგებდა მშვიდად, ჩაფიქრებული ტონით. იგი ხაზს უსვამდა, რომ ოფიციალური ეკლესიები უკარგავდნენ ქრისტიანობას მის ემოციურ შინაარსს. მისი „magnum opus“-ი იყო, „ნების თავისუფლება“ (1754), რომელშიც იგი შეეცადა შეერიგებინა კალვინიზმი განათლებასთან.

დიდმა გამოღვიძებამ გამოიწვია ევანგელისტური მიმდინარეობის გაძლიერება და აღორძინების სულისკვეთება, რომელისც კვლავ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ამერიკულ რელიგიასა და კულტურულ ცხოვრებაში. მან შეასუსტა არსებული სამღვდელოების სტატუსი და მოუწოდებდა მორწმუნეთ დაყრდნობოდნენ საკუთარ სინდისს. მაგრამ, ალბათ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამას მოჰყვა სექტებისა და მიმდინარეობების რიცხვის სწრაფი ზრდა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა რელიგიური შემწყნარებლობის პრინციპის განხორციელებას.

---

**კოლონიალური მთავრობის გამოჩენა**

კოლონიალური განვითარების ყველა ფაზის მნიშვნელოვან დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა ინგლისის მთავრობის მაკონტროლებელი გავლენის ნაკლებობა. ყველა კოლონია, გარდა ჯორჯიისა, წარმოიშვა როგორც აქციონერთა კომპანიები, ან როგორც ფეოდალური სამფლობელოები, რომლებიც წარმოიქმნა მეფის მიერ ნაბოძები სიგელების საფუძველზე. ის გარემოება, რომ მეფე ახალი ქვეყნის დასახლებებში უმაღლეს ხელისუფლებას აძლევდა სააქციო კომპანიებს და არა მესაკუთრეებს, რა თქმა უნდა, ნიშნავდა იმას, რომ კოლონისტები ამერიკაში საკმაოდ თავისუფალნი იყვნენ გარეშე კონტროლისაგან. მაგალითად, ვირჯინიის კომპანიის წესდების არსებობის დროს სამთავრობო ხელისუფლება აირჩეოდა თვითონ კომპანიაში. მიუხედავად ამისა, ტახტი ელოდებოდა, რომ კომპანია ინგლისის რეზიდენტი იქნებოდა. ამგვარად, ვირჯინიის მცხოვრებლებს აღარ ექნებოდათ ხმის უფლება მათ მთავრობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეფე აბსოლუტურ ხელისუფლებას არ ინარჩუნებდა.

თავის მხრივ, კოლონიები არასოდეს მიიჩნევდნენ თავიანთ თავს ქვეშევრდომებად. უფრო მეტიც, ისინი განიხილავდნენ საკუთარ თავს ძირითადად, როგორც თვითონ ინგლისის მსგავს სახელმწიფოს ან ფედერაციას, რომელსაც მხოლოდ

სუსტი კავშირი ჰქონდათ ლონდონის ხელისუფლებასთან. ამგვარად, მართვა გარედან თანდათან სუსტდებოდა და კოლონისტებმა – რომელთაც შთამომავლობით გადაეცა ინგლისელების ხანგრძლივი ბრძოლის ტრადიცია პოლიტიკური თავისუფლებისათვის – გააერთიანეს თავისუფლების კონცეფცია ვირჯინიის პირველ წესდებაში. ეგი აძლევდა ინგლისელ კოლონისტებს საშუალებას მიეღოთ ყველანაირი თავისუფლება, არჩევნებში მონაწილეობის უფლება და გადასახადებისაგან განთავისუფლება, „რადგან ისინი დაიბადნენ და მუდმივად ცხოვრობდნენ ინგლისის ამ ჩვენს სამეფოში". მათ შეეძლოთ ესარგებლათ თავისუფლების დიდი ქარტიით და საერთო კანონებით – 1618 წელს ვირჯინიის კომპანიამ გამოუშვა ინსტრუქციები დანიშნული გუბერნატორისათვის. ამ ინსტიტუტების თანახმად, პლანტაციების თავისუფალ მოსახლეებს შეეძლოთ აერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები, რომლებიც გუბერნატორთან და დანიშნულ საბჭოსთან ერთად გამოსცემდნენ კოლონიის საკეთილდღეოდ მიმართულ ბრძანებებს. ეს ზომები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი აღმოჩნდნენ მთლიანად კოლონიური პერიოდის მანძილზე. მას შემდეგ საზოგადოდ აღიარებულიყახდა, რომ კოლონისტებს უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ თავისი საკუთარი სახელმწიფოს მართვაში. უმეტეს შემთხვევაში მეფე, შემდგომი სიგელების გადაცემისას აღნიშნავდა მათში, რომ კოლონიების თავისუფალ ადამიანებს უნდა ჰქონოდათ ხმის უფლება. ამდენად, სიგელებში, რომლებიც უბოძეს კასტერებს – მერილენდში, უილიამ პენს – პენსილვანიაში, მესაკუთრეებს ჩრდილო და სამხრეთ კაროლინაში და მესაკუთრეებს ნიუ ჯერსში, აღნიშნული იყო, რომ კანონების დაწესება შეიძლებოდა მხოლოდ „თავისუფალი ადამიანების თანხმობით".

ახალ ინგლისში მრავალი წლის მანძილზე არსებობდა შედარებით უფრო სრული თვითმმართველობა, ვიდრე სხვა კოლონიებში. „მეიფლაუერის" გემბანზე პილიგრიმებმა მიიღეს დოკუმენტი მთავრობის შესახებ, რომელსაც ეწოდა „მეიფლაუერის ხელშეკრულება". მასში ნათქვამი იყო: „გავერთიანდეთ როგორც გონივრული სამოქალაქო ერთობა, რომ შევძლოთ უკეთ ვმართოთ და შევინარჩუნოთ ჩვენი არსებობა... და ამ კანონის მეშვეობით ჩამოვაყალიბოთ, მივიღოთ და დავაწესოთ თანასწორუფლებიანობის ისეთი კანონები, კონსტიტუციები და ინსტიტუტები..., რომლებსაც მივიჩნევთ ყველაზე შესაფერისად და მოსახერხებლად კოლონიის საერთო კეთილდღეობისათვის".

თუმცა არ არსებობდა არავითარი კანონიერი საფუძველი, რომ პილიგრიმებს შეექმნათ თვითმმართველობის სისტემა,

მათ მოქმედებას არ გამოუწვევია რაიმე წინააღმდეგობა და ხელშეკრულების თანახმად პლიმუტის ახალმოსახლეებს შეეძლოთ წლების მანძილზე გარედან ჩარევის გარეშე ემართათ საკუთარი საქმეები.

მსგავსი სიტუაცია შეიქმნა მასაჩუსეთსის ყურის კომპანიაში, რომელსაც მისცეს თვითმმართველობის უფლება. მთელი ძალაუფლება მოქცეული იყო იმ პირების ხელში, რომლებიც კოლონიაში ცხოვრობდნენ. ამ კომპანიის მკვიდრი დაახლოებით თორმეტიოდე წევრი შეეცადა ერთპიროვნულად ემართათ კომპანია, მაგრამ მალე სხვა კოლონისტებმაც მოითხოვეს ხმის უფლება საზოგადოების მართვის საქმეებში და თან დასძინეს, რომ უარის თქმა გამოიწვევდა მასიურ მიგრაციას.

კომპანიის წევრები იძულებულ. ნი გახდნენ უკან დაეხიათ ამ მუქარის წინაშე და გადაეცათ მთავრობის კონტროლი არჩეული წარმომადგენლებისათვის. შემდეგ ახალი ინგლისის სხვა კოლონიებმაც, კერძოდ, კონექტიკუტმა და როდ აილენდმა, მიაღწიეს თვითმმართველობას იმით, რომ უბრალოდ თავი გამოაცხადეს ყოველგვარი სამთავრობო ძალაუფლების მიღმა მდგომებად და შექმნეს საკუთარი პოლიტიკური სისტემა პლიმუტის პილიგრიმების მოდელის მიხედვით.

მხოლოდ ორი კოლონიის შემთხვევაში არ იყო დაშვებული თვით-მართველობის ნებართვა. ეს იყო: ნიუ-იორკი, რომელიც აჩუქეს ჩარლზ II-ის ძმას, იორკის ჰერცოგს (შემდგომში – მეფე ჯეიმს II); და ჯორჯია, რომელიც აჩუქეს „ნდობით აღჭურვილ პირთა“ ჯგუფს. ორივე შემთხვევაში კანონი მართვის შესახებ მოკლევადიანი აღმოჩნდა, რადგან კოლონისტებმა ისე დაჟინებით მოითხოვეს წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს შექმნა, რომ ხელისუფლება მალე დანებდა.

საბოლოოდ, თითქმის ყველა კოლონია იქცა სამეფო კოლონიად, მაგრამ მე-17 საუკუნის შუა პერიოდისათვის ინგლისელები მეტად დაკავებულნი აღმოჩნდნენ სამოქალაქო ომით (1642-1649). ოლივერ კრომველის პურიტანული რესპუბლიკით და პროტექტორატით, რომ შესძლებოდათ წარმატებით გაეტარებინათ კოლონიალური პოლიტიკა. 1660 წელს ჩარლზ II-ისა და სტიუარტების დინასტიის აღდგენის შემდეგ ინგლისს მეტი საშუალება მიეცა კოლონიების მართვის საქმისათვის მისახედად. მაგრამ მაშინაც კი ის მოუქნელად მოქმედებდა, არ გააჩნდა თანმიმდევრული გეგმა, და, ამდენად, კოლონიები უმეტეს წილად საკუთარი თავის ანაბარა დარჩნენ.

შორი მანძილი და მათ შორის არსებული ვრცელი ოკეანე აგრეთვე ართულებდა კოლონიების კონტროლს. ამას

ემატებოდა თვით ცხოვრების სტილიც ადრეული პერიოდის ამერიკაში. ქვეყნებიდან, რომელთა ფართობიც შეზღუდული იყო და სავსე ხალხმრავალი ქალაქებით, ახალმოსახლეები მოხვდნენ მიწაზე, რომელიც თითქოს უკიდეგანო ჩანდა. ასეთ კონტინენტზე ბუნებრივი პირობები ითხოვდნენ მტკიცე ინდივიდუალიზმს და ადამიანები ეჩვეოდნენ საკუთარი გადაწყვეტილების მიღებას. მთაერობა ნელ-ნელა აღწევდა შიდა რაიონებში და ფრონტირის ზონაში ხშირად ჭარბობდა ანარქია.

მაგრამ მმართველობა კოლონიებში მთლად დაუბრკოლებლად არ დამკვიდრებულა. 1670 წელს ვაჭრობის და პლანტაციების სამეფო კომიტეტმა გადაწყვიტა თავს მოეხვია კოლონიებისათვის სავაჭრო სისტემა და გაეუქმებინა მასაჩუსეთსის ყურის სოფელი, რადგან კოლონია ეწინააღმდეგებოდა მთაერობის ეკონომიკურ პოლიტიკას. 1685 წელს ჯეიმს II დაამტკიცა წინადადება შეექმნათ ახალი ინგლისის დომინიონი და ნიუ-ჯერსის გავლით მოექციათ სამხრეთის კოლონიები მისი იურისდიქციის ქვეშ, და ამგვარად განემტკიცებინათ სამეფო ხელისუფლების კონტროლი მთელ რეგიონში. მეფის გუბერნატორი სერ ედმუნდ ანდროსი ძალით კრეფდა გადასახადებს, ატარებდა მთელ რიგ მკაცრ ზომებს და ციხეში სვამდა იმათ, ვინც არ ემორჩილებოდა.

როდესაც ბოსტონამდე მიაღწია ამბავმა „დიდი რევოლუციის შესახებ" (1688-1689) და ჩარლზ II-ის გადაგდების შესახებ, მოსახლეობა აჯანყდა და ციხეში დაამწყვდია ანდროსი. ახალი ქარტიის მიხედვით, 1691 წელს მასაჩუსეთსი და პლიმუტი პირველად გაერთიანდნენ მასაჩუსეთსის ყურის სამეფო კოლონიად. სხვა კოლონიებში, რომლებიც ადრე შეიყვანეს ახალი ინგლისის დომინიონში, სწრაფად აღადგინეს ძველი მთაერობები.

„დიდმა რევოლუციამ" სხვა დადებითი შედეგებიც მოუტანა კოლონიებს. 1689 წლის „უფლებების ბილით" და „შემწყნარებლობის აქტით" დამტკიცდა რელიგიური თავისუფლება ქრისტიანებისათვის და შეიზღუდა სამეფო ხელისუფლების უფლებები. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ჯონ ლოკის „მეორე ტრაქტატი მთავრობის შესახებ" (1690), რომელშიც ავტორმა წამოაყენა არა ღვთაებრივ უფლებაზე, არამედ კონტრაქტზე დაფუძნებული ხელისუფლების იდეა და ამტკიცებდა, რომ ადამიანებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ცხოვრების, თავისუფლების და საკუთრების ბუნებრივი უფლებები, უნდა ჰქონდეთ აგრეთვე აჯანყების უფლებაც, როდესაც მთავრობა ამ ბუნებრივ უფლებას შელახავს.

მე-18 საუკუნის დასაწყისის კოლონიალური პოლიტიკა ძალიან ჩამოჰგავდა ინგლისის პოლიტიკას მე-17 საუკუნეში.

დიადმა რევოლუციამ დაამტკიცა პარლამენტის ხელისუფლება, მაგრამ კოლონიების გუბერნატორები ცდილობდნენ თვითონ ჩაეგდოთ ხელში ძალაუფლება, რომელიც ინგლისის მეფემ დაკარგა. კოლონიების ასამბლეებმა იცოდნენ ინგლისში მომხდარი მოვლენების შესახებ და ცდილობდნენ განემტკიცებინათ თავიანთი „უფლებები" და თავისუფლებები". მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის კოლონიების საკანონმდებლო ხელისუფლებას ჰქონდა ისეთივე ძალაუფლება, როგორიც ინგლისის პარლამენტს: კენჭისყრის უფლება გადასახადებისა და ხარჯების საკითხებზე და უფლება კანონების შემოთავაზებისა და არა უბრალოდ გუბერნატორის წინადადების დამტკიცებისა.

მათი მეშვეობით საკანონმდებლო ორგანო ცდილობდა გუბერნატორის ძალაუფლების შეზღუდვას და თავისი ძალაუფლების და გავლენის გაფართოებას. ასამბლეებსა და გუბერნატორს შორის განუწყვეტელმა შეხლა-შემოხლამ თანდათან მიიყვანა კოლონისტები იმ აზრამდე, რომ ამერიკის და ინგლისის ინტერესები არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ხშირ შემთხვევაში მეფის მოხელეები ვერ ხვდებოდნენ იმის მნიშვნელობას, რასაც აკეთებდნენ კოლონიების ასამბლეები, და უბრალოდ უგულვებელყოფდნენ მათ. მაგრამ ასამბლეების ამ აქტებმა შექმნეს პრეცედენტი და პრინციპები და, ბოლოს და ბოლოს, იქცნენ კოლონიების „კონსტიტუციის" ნაწილად.

ამგვარი გზით კოლონიების საკანონმდებლო ხელისუფლებამ დაიმკვიდრეს თვითმმართველობის უფლება. დროთა განმავლობაში კოლონიების ადმინისტრაციის ცენტრებმა გადმოინაცვლეს ლონდონიდან პროვინციების დედაქალაქებში.

---

**ომი საფრანგეთთან და ინდიელებთან**

მე-18 საუკუნეში საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის ევროპაში და კარიბის ზღვაში ზედიზედ გარკვეული ინტერვალებით მოხდა რამოდენიმე ომი. ამ ომებმა ბრიტანელებს ნაწილობრივ სარგებლობა მოუტანეს – ძირითადად კარიბის ზღვის შაქრით მდიდარი კუნძულების ხარჯზე, მაგრამ ბრძოლებმა გადამწყვეტი წარმატება მაინც არ მოჰგვარა მათ. საფრანგეთი კვლავ ძლიერ პოზიციებს ინარჩუნებდა ჩრდილოეთ ამერიკაში 1754 წელს, შვიდწლიანი ომის დაწყების დროისათვის.

ამ პერიოდისათვის საფრანგეთმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ინდიელთა მთელ რიგ ტომებთან კანადაში და დიდი ტბების რაიონებში, ხელთ იგდო მისისიპის მდინარე, გამაგრებების ზოლით და სავაჭრო პოსტებით შემოფარგლა ერცელი ტერიტორია კვებეკიდან ნიუ-ორლეანამდე. ამრიგად,

ბრიტანელები შემოზღუდულნი აღმოჩნდნენ ვიწრო ზოლით აპალაჩის მთების აღმოსავლეთით. ფრანგები საშიშროებას უქმნიდნენ არა მარტო ბრიტანეთის იმპერიას, არამედ თვით ამერიკელ კოლონისტებსაც, ვინაიდან საფრანგეთს ეკავა მისისიპის დაბლობი და შეეძლო დაებრკოლებინა მათ მიერ დასავლეთის ათვისება.

1754 წელს ფორტ დუკეზნთან, სადაც ახლა პენსილვანიის ქალაქი პიტსბურგი მდებარეობს, მოხდა შეიარაღებული შეტაკება საფრანგეთის ჯარებსა და ვირჯინიის მილიციას შორის, რომელსაც ხელმძღვანელობდა 22 წლის ჯორჯ ვაშინგტონი, პლანტატორი და მეთვალყურე ვირჯინიიდან.

ლონდონში ვაჭრობის სამინისტრო შეეცადა მოეგვარებინა კონფლიქტი და მოაწყო ნიუ იორკის, პენსილვანიის, მერილენდის და ახალი ინგლისის კოლონიების წარმომადგენლების შეხვედრა. 19 ივნისიდან 10 ივლისამდე ოლბანის კონგრესი (როგორც მას შემდგომში ეწოდა), შეხვდა იროქეოისის ტომის ინდიელებს ნიუ-იორკი ოლბანიში, რომ მოეწესრიგებინათ მათთან ურთიერთობა და მიეღოთ მათი ბრიტანეთისადმი ლოიალობის გარანტია.

დელეგატებმა აგრეთვე გამოაცხადეს, რომ ამერიკის კოლონიების გაერთიანება „აბსოლუტურად აუცილებელი იყო მათ შესანარჩუნებლად", და მიიღეს „ოლბანის გეგმა გაერთიანების შესახებ". „გეგმა", რომელიც შედგენილ იქნა ბენჯამენ ფრანკლინის მიერ, ითვალისწინებდა სამეფო აქტით დანიშნული პრეზიდენტის შეთანხმებულ მოქმედებას დიდ საბჭოსთან, სადაც შევიდოდნენ თითოეული ასამბლეის მიერ არჩეული დელეგატები იმ პროპორციით, თუ რა ფინანსური წვლილი იქნებოდა შეტანილი თითოეული შტატის მიერ საერთო ხაზინაში. ამ ორგანოს კომპეტენციაში შედიოდა დაცვა, ურთიერთობა ინდიელებთან,ვაჭრობა, დასავლეთი ტერიტორიების დასახლება და აგრეთვე გადასახადების აკრეფა. მაგრამ არც ერთმა კოლონიამ არ მიიღო ფრანკლინის გეგმა, ვინაიდან არ სურდათ ცენტრალური ხელისუფლებისათვის კონტროლის დათმობა და დასავლეთის მიწების ათვისება.

უკეთესმა სტრატეგიულმა მდგომარეობამ და კომპეტენტურმა ხელმძღვანელობამ ინგლისს მოუტანა გამარჯვება შვიდწლიან ომში, რომლის ბრძოლების მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოებდა დასავლეთის ნახევარსფეროში.

1763 წელს ხელმოწერილ იქნა „პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულება" და საფრანგეთმა დაუთმო ბრიტანეთს მთელი კანადა, დიდი ტბები და მისისიპის დაბლობის ზედა ნაწილი. ამით დასრულდა ფრანგული იმპერიის შექმნის ოცნება ჩრდილოეთ ამერიკაში.

საფრანგეთზე ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ ბრიტანეთი აღმოჩნდა იმპერიის მართვის საჭიროების წინაშე. ეს იყო პრობლემა, რომელზეც აქამდე ისინი თვალებს ხუჭავდა, – ლონდონს უნდა მოეხდინა თავისი ვრცელი სამფლობელოს ორგანიზება, რათა გაეადვილებინა მათი დაცვა, შეეთანხმებინა სხვადასხვა რეგიონების და ხალხების განსხვავებული ინტერესები და უფრო თანაბრად გაენაწილებინა იმპერიის ადმინისტრაციული ხარჯები.

ბრიტანეთის ტერიტორიები თუნდაც მხოლოდ ჩრდილო ამერიკის ხარჯზე ორჯერ გაიზარდა. ატლანტიკის ოკეანის გასწვრივ მდებარე ვიწრო ზოლს დაემატა კანადის ვრცელი ფართობი და ტერიტორია მისისიპის მდინარესა და ალეგენის მთებს შორის, რაც თავისთავადაც იმპერიას წარმოადგენდა. მოსახლეობა, რომელიც აქამდე ძირითადად პროტესტანტული და ინგლისურენოვანი იყო, ახლა უკვე შეიცავდა აგრეთვე ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე კათოლიკებს კვებეკიდან და გაქრისტიანებულ ინდიელთა დიდ რიცხვს. ახალი ტერიტორიების დაცვა და მართვა მოითხოვდა უზარმაზარ თანხებს და გაწრთნილ პერსონალს. აშკარა გახდა, რომ ძველი კოლონიალური სისტემა არაადეკვატური იყო ამ მიზნებისათვის.

## სალემის კუდიანი ქალები

1692 წელს მასაჩუსეთსის სელემ ვილიჯში მცხოვრებმა რამოდენიმე ახალგაზრდა გოგონამ განიცადა უცნაური ნერვიული შეტევები მას შემდეგ, რაც მათ მოისმინეს ინდიელი მონის ზღაპრები.

გამოკითხვისას მათ ბრალი დასდეს რამოდენიმე ქალს, თითქოს ისინი კუდიანები იყვნენ და აწვალებდნენ ამ გოგონებს. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ ამბავმა შეაძრწუნა, მაგრამ არ გააკვირვა: რწმენა ჯადოქრობის არსებობის შესახებ ფართოდ იყო გავრცელებული მე-17 საუკუნის ამერიკასა და ევროპაში.

ის, რაც შემდეგ მოხდა – თუმცა ერთეული შემთხვევა იყო ამერიკის ისტორიაში – გვაძლევს პურიტანული ახალი ინგლისის სოციალური ფსიქოლოგიური სამყაროს ცოცხალ სურათს. ქალაქის ოფიციალურმა პირებმა დაარწმუნეს სასამართლო მოესმინა კუდიანობაში ბრალდებები, რის შემდეგ სწრაფად დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს სამიკიტნოს პატრონი ბრიჯიტ ბიშოპი. ერთი თვის განმავლობაში კიდევ ხუთი ქალი იყო დაპატიმრებული და ჩამოხრჩობილი.

მიუხედავად ამისა ისტერია კიდევ უფრო გაძლიერდა, რაც გამოწვეული იყო სასამართლოში მოწმეთა ჩვენებით, თითქოს მათ ნახეს ბრალდებული სულების ან მოჩვენებების სახით. თავისი ბუნებით ამგვარი „სპექტრული ჩილვები" განსაკუთრებით საშიში იყო, ვინაიდან შემოწმებას ან ობიექტურ გადასინჯვას არ ექვემდებარებოდნენ. 1692 წლის შემოდგომისათვის 20 მსხვერპლზე მეტი, რამოდენიმე კაცის ჩათვლით, დასაჯეს სიკვდილით და 100-ზე მეტი ჩასვეს ციხეში – მათ შორის იყვნენ ქალაქის ყველაზე გამორჩეული მოქალაქეებიც. მაგრამ ახლა შეიქმნა ისტერიის ფარგლებს გარეთ გასცდენის საშიშროება და მთელ კოლონიაში მოუწოდეს გასამართლებების შეწყვეტისაკენ. კოლონიის გუბერნატორი დაეთანხმა მათ და დაითხოვა სასამართლო. ისინი, ვინც ჯერ კიდევ ძლიდნენ სასჯელს, მოგვიანებით გაანთავისუფლეს ან გადაუვადეს განაჩენის შესრულება.

სალემში კუდიანების გასამართლება კიდევ დიდხანს იპყრობდა ამერიკელთა ყურადღებას. ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ისტორიკოსთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ 1692 წელს სალემ ვილიჯი გარკვეული ტიპის მასობრივმა ისტერიამ მოიცვა, რასაც ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ გულწრფელად სჯეროდათ კუდიანების არსებობა. ისინი აღნიშნავენ, რომ თუმცა ზოგიერთი გოგონა, ალბათ, მართლაც მსახიობობდა, მაგრამ ამ ისტერიამ ჩაითრია ბევრი პასუხისმგებელი პირი.

კიდევ უფრო მრავლისმთქმელია მსჯავრდადებულ და ბრალმდებელ პიროვნებათა ყურადღებიანი ანალიზი. იმ დროისათვის სალემ ვილიჯი, ახალი ინგლისის კოლონიის დიდი ნაწილის მსგავსად, ეკონომიკისა და პოლიტიკის თვალსაზრისით იმყოფებოდა გარდამავალ მდგომარეობაში აგრარული, პურიტანული საზოგადოებიდან უფრო კომერციული ხასიათის შემწყნარებლური საზოგადოებისაკენ. ბრალმდებელთა დიდი ნაწილი ცხოვრების ტრადიციული სტილის მიმდევარი იყო, მჭიდროდ დაკავშირებული ფერმერობასთან და ეკლესიასთან. ამავე დროს, ბრალდებულები იყვნენ ახალი კომერციული კლასის წარმომადგენლები, მაღაზიების პატრონები და ვაჭრები. მსგავსი ფარული ბრძოლა ძველ, ტრადიციულ ჯგუფებსა და უფრო ახალ, კომერციულ კლასს შორის სხვა დასახლებებშიც მეორდებოდა ამერიკის მთელი ისტორიის მანძილზე. მაგრამ მან სალემში აჩირებული და მომაკვდინებელი ხასიათი მიიღო, ვინაიდან მოქალაქეებმა ირწმუნეს, რომ მათ სახლებში ეშმაკი დათარეშობდა.

სალემის „კუდიანთა სასამართლო" დრამატული მაჩვენებელია იმისა, თუ რა მომაკვდინებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს სენსაციურ, მაგრამ უსამართლო ბრალდებებს. „კუდიანებზე ნადირობა" როგორც ტერმინი დღესაც ხშირად გამოიყენება პოლიტიკურ დებატებში ადამიანთა დიდი ჯგუფის წინააღმდეგ წამოყენებული უსამართლო ბრალდებების აღსანიშნავად.




ინგლისის კოლონიების და დასავლეთის ტერიტორიების საზღვრები, 1763-1775


ENGLISH COLONIES
1763–1775.
QUEBEC
NEWFOUNDLAND
1774
1763
ANTICOSTI I.
Gulf of St. Lawrence
NOVA SCOTIA
MIQUELON
ST. PIERRE
CAPE BRETON
Louisbourg
Halifax
Port Royal
C. Sable
Bay of Fundy
St. John R.
Pemaquid
Saco
Dover
Salem
Boston
Plymouth
C. Cod
OCEAN
ATLANTIC
BERMUDAS
from Greenwich

ქვემოთ ასახულია ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი დამაარსებლის – თომას ჯეფერსონის – ფიგურა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალში. ქანდაკებას გარშემოვლებული აქვს წარწერა, რომელიც მაღალფარდოვნად ჟღერს: „მე დავიფიცე ღმერთის საკურთხეველთან სამარადისო ბრძოლა გამოუცხადო ადამიანის გონებაზე ყოველგვარ ტირანიას". მოპირდაპირე გვერდზეა ანასაზების „უძველესი" საცხოვრებელი კლდეში, რომელთა დასახლებანი მიეკუთვნებიან უძველესთა რიცხვს შეერთებულ შტატებში.



ამერიკის ისტორიის ესკიზები

# მონუმენტები და მემორიალები

ისტორია სურათებში

ამერიკის სხვადასხვა საუკუნეების ისტორიის მონუმენტები გაფანტულია მთელ კონტინენტზე. დაწყებული კლდეში ამოკვეთილი მე-13 საუკუნის საცხოვრებლებიდან დამთავრებული მემორიალით თანამედროვე ვაშინგტონში.





თოვლით დაფარული ოლდ გრენერის სასაფლაო ბოსტონში (მასაჩუსეთსის შტატი), სადაც სხვებთან ერთად დასაფლავებულნი არიან ბოსტონის ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლნი, დამოუკიდებლობის დეკლარაციის სამი ხელისმომწერნი და მასაჩუსეთსის 6 გუბერნატორი, პურიტანების სახელით ცნობილნი რელიგიური დისიდენტები ინგლისიდან, რომლებმაც



დააარსეს მასაჩუსეტსის კოლონია. ღვთისმოსავმა, ფხიზელმა და მკაცრმა პურიტანებმა და მათმა უფრო ზომიერმა შთამომავლებმა დაამკვიდრეს მუყაითი შრომის, ინიციატივის, თვითგანვითარების და განათლების ტრადიციები, რაც უძლეველ ციხე-სიმაგრედ იქცა ამერიკის ისტორიის ქარტეხილებში.





ისტორიული ოთახი საკონსტიტუციო დარბაზში, ფილადელფიის შტატი, სადაც 1787 წლის ზაფხულში დელეგატებმა გააკეთეს შეერთებული შტატების კონსტიტუციის მონახაზი. კონსტიტუცია წარმოადგენს ქვეყნის უმაღლეს კანონს, ის აღწერს ფედერალური მმართველობის ფორმასა და უფლებამოსილებებს, იცავს ქვეყნის მოქალაქეთა ფუნდამენტურ თავისუფლებასა და უფლებებს, უფლებათა კანონპროექტის მიხედვით.



WASH[illegible]GTO[illegible]

NEW YORK, NOV. 21.

The British ship Mary Catherine arrived at Boston on Saturday afternoon from Liverpool, which she left on the 10th of October. The dates from London are the same as were brought here by the Cincinnatus. The following is an extract of a letter from the house of *Maury & Latham*, of Liverpool, published in De Gra[illegible]'s Report.

[*By the Mary Catherine, at Boston.*]

LIVERPOOL, 9[illegible]T. 1821.

"Cotton market continues rather [illegible] descriptions. [illegible] considerable, encouraged by the low [illegible] [illegible] We quote [illegible] 12 and 12½d; the average sales 10[illegible] [illegible]

[illegible] Our Corn market is very dull to day, and [illegible] is 6d lower. We quote English at 11s 6d a [illegible] new wheat at 8s 6d a 9s. Flour in bond quite [illegible] but 33 a 34s. would be taken for sweet fresh. [illegible] bbls. 2000 bbls. old Philadelphia, very partially sour, have sold at 24s 6d; but for sour parcels we doubt if 20s would be given. The ports will not open to the United States this year, and probably not in February.

"Tobacco has been brisk for some days, and about 400 hhds. sold, mostly Virginias, at ¼ a ½d advance on leaf, and full ½d on strips; this is owing to the short supplies this season, and we expect the advance will be fully supported. Kentuckys, however, are but stationary."

BALTIMORE, NOVEMBER 22.

გაზეთზე დადებული სათვალე (მე-19 საუკუნის დასაწყისში). იმ დროს ახალგაზრდა ნაცია გაფართოვდა დასავლეთისაკენ, მდინარე მისისიპის გადაღმა, ვრცელ მიწებზე, რომლებიც 1803 წელს შეძენილი იყო ლუიზიანას ნასყიდობით. ეს იყო აგრეთვე დრო რელიგიური დუღილის, ლიტერატურის აყვავების (რომელიც ტრანსცენდენტალიზმის სახელითაა ცნობილი), ახალ ინგლისში საწარმოო სისტემის დასაწყისისა და მონობის წინააღმდეგ რეგიონალური დაძაბულობის გაზრდისა.


Intelligencer
NOVEMBER 24, 1821.
INTERESTING LETTERS.
Monticello, March 8th,
you for your favor of
valuable volume called
JOHN H. JAMES, Pres't.
GEO. M. WILSON, Sec'ry.



ზემოთ. ქანდაკებები ამშვენებენ შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს დიდებულ ფასადს. კლასიკური ბერძნული სვეტების თავზე ამოტვიფრული სიტყვები გამოხატავენ ამერიკის დაარსების ერთ-ერთ პრინციპს: „თანასწორი მართლმსაჯულება კანონის მიხედვით“. (მარჯვნივ) ჯეიმს მედისონი, შეერთებული შტატების მეოთხე პრეზიდენტი, ხშირად ითვლება „კონსტიტუციის მამად“. მისი ესეები, რომლებიც დაწერილია კონსტიტუციის რატიფიკაციასთან დაკავშირებით, ალექსანდრე ჰამილტონის და ჯონ ჯეის ესეებთან ერთად შეტანილია კრებულში – „ფედერალისტური ნაშრომები“. დღეს მათ მიიჩნევენ როგორც რესპუბლიკური მთავრობის მხარდამჭერის კლასიკურ მაგალითს, მთავრობისა, რომელშიც აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებები აკონტროლებენ და აწონასწორებენ ერთმანეთს ხალხის უფლებების და თავისუფლებების დასაცავად.



ამერიკის ისტორიის ეტაპები

თავი მესამე

# III

# გზა დამოუკიდებლობისაკენ



პროტესტი ბრიტანეთის მიერ დაწესებული გადასახადების წინააღმდეგ ცნობილი, როგორც 1773 „ბოსტონის ჩაის სმა"



# „რევოლუცია მოხდა ბრძოლების დაწყებამდე. რევოლუცია იყო ხალხის გულებსა და გონებაში“

ამერიკის მეორე პრეზიდენტი ჯონ ადამსი, 1818

ზოგიერთებს მართლაც სჯერათ, რომ ამერიკის რევოლუცია დაიწყო მანამ, სანამ გაისმოდა პირველი გასროლა 1775 წელს, ინგლისის და ამერიკის გზები გაიყო უკვე 1763 წლიდან; ერთ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გასვლიდან მას მერე, რაც გაჩნდა პირველი მუდმივი დასახლებები ჯეიმსთაუნში, ვირჯინიაში. ამ დროისათვის კოლონიების ეკონომიკური სიძლიერე და კულტურული მონაპოვარი მნიშვნელოვნად გაიზარდა და თითქმის ყველა მათგანს ჰქონდა თვითმმართველობის მრავალწლიანი გამოცდილება. 1760 წლისათვის ჯამში მათი მოსახლეობა 1 500 000 კაცს შეადგენდა, რაც ექვსჯერ მეტი იყო 1700 წელთან შედარებით

## ახალი კოლონიური სისტემა

საფრანგეთთან და ინდიელებთან ომის შედეგად ბრიტანეთისათვის აუცილებელი გახდა იმპერიის სტრუქტურის შეცვლა, მაგრამ სიტუაცია ამერიკაში ცვლილებებისთვის ძალიან არახელსაყრელი იყო. კოლონიები წლების მანძილზე დამოუკიდებლობას მიეჩვივნენ და ითხოვდნენ მეტ თავისუფლებას, განსაკუთრებით ახლა, როდესაც საფრანგეთი აღარ ემუქრებოდათ. ახალი სისტემის ასამოქმედებლად საჭირო იყო კონტროლის გამკაცრება, პარლამენტს მოუწევდა დაეა კოლონისტებთან, რომლებიც გაწაფულნი იყვნენ თვითმმართველობაში და არ ითმენდნენ სხვის ჩარევას.

ერთ-ერთი პირველი, რის მოწესრიგებასაც შეეცადნენ ბრიტანელები, იყო შინაგანი საქმეები. კანადის და ოჰაიოს დაბლობის დაპყრობამ საჭირო გახადა ისეთი პოლიტიკის გატარება, რომ არ გადაემტერებინათ ფრანგული მოსახლეობა და ინდიელები. მაგრამ ამ შემთხვევაში სამეფო ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა კოლონისტების ინტერესებს. სწრაფად მზარდ მოსახლეობას სჭირდებოდა მეტი მიწა დასახლებებისათვის, ბევრი კოლონია ითხოვდა უფლებას გაეფართოვებინა თავისი დასავლეთის საზღვრები მდინარე მისისიპამდე.

ბრიტანეთის მთავრობას ეშინოდა, რომ ახალმოსახლეთა მიგრაცია ახალი მიწებისაკენ გამოიწვევდა ინდიელებთან ომების მთელ სერიას, და თვლიდა, რომ მიწა თანდათანობით უნდა მიეცათ კოლონისტებისათვის. მიგრაციის შეზღუდვა აგრეთვე აადვილებდა სამეფო ხელისუფლების მიერ არსებული დასახლებების კონტროლს, ვიდრე ახალი დასახლებები შეიქმნებოდა. 1763 წელს სამეფო დეკლარაციით ადგილობრივი ამერიკელებისათვის დასავლეთის მიწები შემოფარგლა ალეგენის, ფლორიდას, მდინარე მისისიპის და კვებეკს შორის მდებარე ტერიტორიით.

ამ გზით მეფის ხელისუფლება შეეცადა შეეჩერებინა 13 კოლონიის პრეტენზიები დასავლეთის მიწებზე და დასავლეთის ექსპანსია. თუმცა ეს ზომა ეფექტურად ვერ ხორციელდებოდა, კოლონისტების თვალში ეს გამოიყურებოდა როგორც დასავლეთის მიწაზე დასახლების მათი უპირველესი, ელემენტარული უფლების თვითნებური უგულებელყოფა.

კიდევ უფრო სერიოზული უთანხმოება გამოიწვია ბრიტანეთის მთავრობის ფინანსურმა პოლიტიკამ. მთავრობას სჭირდებოდა მეტი ფული მზარდი იმპერიის შესანარჩუნებლად. კოლონიების დაცვის ფული ან მთლიანი ინგლისის მოსახლეობას უნდა გადაეხადა გადასახადების სახით, ან არა და გადასახადები კოლონისტებისაგან უნდა აეკრიფათ, რისთვისაც საჭირო იყო უფრო ძლიერი ცენტრალური ადმინი-

სტრაცია, რაც კოლონიების თვითმმართველობის ხარჯზე შეიძლებოდა გაკეთებულიყო.

ახალი სისტემის ამოქმედების პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა 1733 წელს მიღებული „ბადაგის აქტის“ (აკრძალვითი ბაჟი, ან გადასახადი, რომის და ბადაგის იმპორტზე არაინგლისური რეგიონებიდან) შეცვლა 1764 წლის „შაქრის აქტით“. „შაქრის აქტი“ კრძალავდა იმპორტული რომის შემოტანას; აწესებდა პატარა გადასახადს ბადაგზე და გადასახადებს ღვინოზე, აბრეშუმზე, ყავაზე და ფუფუნების მთელ რიგ სხვა საგნებზე. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ბადაგზე გადასახადების შემცირება შეასუსტებდა მისი უკანონოდ შემოტანის ცდუნებას ჰოლანდიელებისაგან და ფრანგული ვესტ ინდოეთიდან ახალი ინგლისის არყის სახდელ ქარხნებში დასამუშავებლად. „შაქრის აქტი“-ს განსახორციელებლად საბაჟოს ოფიციალურ პირებს დაევალათ უფრო ენერგიულად და ეფექტურად მოქმედება. ამერიკის წყლებში მყოფ ბრიტანულ ხომალდებს უბრძანეს დაეჭირათ კონტრაბანდისტები, „დროშის სიგელები“ ან „ორდერები“ უფლებას აძლევდნენ მეფის ოფიცრებს გაეჩხრიკათ საეჭვო შენობები.

როგორც დაწესებულმა გადასახადებმა, ასევე მათი ძალით გატარებისათვის მიღებულმა ზომებმა თავზარი დასცა ახალი ინგლისის ვაჭრებს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მცირე გადასახადის გადახდაც კი გამანადგურებები იქნებოდა მათი ბიზნესისათვის. ვაჭრები, საკანონმდებლო ორგანოები და საქალაქო შეკრებები აპროტესტებდნენ კანონს, კოლონიის იურისტებმა კი „შაქრის აქტი“-ს პრეამბულაში დაინახეს პირველი ნიშანი „დაბეგვრისა კოლონიის წარმომადგენლობის გარეშე“. ეს ლოზუნგი აიძულებდა ბევრ ადამიანს მხარი დაეჭირა ამერიკისათვის თავისი მშობლიური ქვეყნის წინააღმდეგ.

მოგვიანებით, 1764 წელს, პარლამენტმა მიიღო „ფულის ნიშნების აქტი“, რომელიც „არ დაუშვებდა ამიერიდან მისი უდიდებულესობის კოლონიებში დაბეჭდილი ქაღალდის აკრედიტივების გადაქცევას ოფიციალურ საგადამხდელო საშუალებად“. ვინაიდან კოლონიები დეფიციტური ვაჭრობის არეში იმყოფებოდნენ და ყოველთვის განიცდიდნენ ნაღდი ფულის ნიშნების ნაკლებობას ეს კანონი სერიოზულ ტვირთად დააწვა მათ ეკონომიკას. არანაკლებ სადავო იყო, კოლონიების თვალსაზრისით 1765 წელს გატარებული „კაზარმების აქტი“, რომლის მიხედვით, კოლონიებს მოეთხოვებოდათ მეფის ჯარების მომარაგება და საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

**საგერბო გადასახადის აქტი**

Ახალი კოლონიალური სისტემის შექმნის უკანასკნელმა ღონისძიებამ გამოიწვია ყველაზე დიდი და ორგანიზებული წინააღმდეგობა. ეს ღონისძიება, რომელიც ცნობილი გახდა „საგერბო გადასახადის აქტის“ სახელით, ადგენდა, საშემოსავლო საგერბო გადასახადების დაწესებას ყველა გაზეთებისათვის, პლაკატისათვის, პამფლეტისათვის, ლიცენზიისათვის, საიჯარო ხელშეკრულებისათვის და სხვა ოფიციალური დოკუმენტებისათვის; მიღებული შემოსავალი (შეკრებილი ამერიკის საბაჟოს მოხელეების მიერ) უნდა მოხმარებოდა კოლონიების „დაცვას, მფარველობას და შენარჩუნებას“.

„საგერბო გადასახადის აქტი“ თანაბრად დააწვა ყველა ადამიანს, რომელიც რაიმე ბიზნესთან იყო დაკავშირებული. მან გამოიწვია ამერიკის ყველაზე ძლიერი და აზრის გამოთქმის უნარის მქონე ფენების: ჟურნალისტების, იურისტების, სამღვდელოების წარმომადგენლების და ბიზნესმენების – მტრული განწყობა ჩრდილოეთსა და სამხრეთში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში. მალე ვაჭრები შეკავშირდნენ წინააღმდეგობის გასაწევად და შექმნეს ასოციაციები იმპორტირების წინააღმდეგ.

სამშობლოსთან ვაჭრობა მკვეთრად შემცირდა 1765 წლის ზაფხულში, როდესაც გამორჩეული ადამიანები გაერთიანდნენ „თავისუფლების შვილების“ კავშირში– საიდუმლო ორგანიზაციაში, რომელიც შეიქმნა „საგერბო გადასახადის აქტისათვის“ წინააღმდეგობის გასაწევად, ხშირად ძალადობის გზითაც კი. მასაჩუსეთსიდან სამხრეთ კაროლინამდე აქტი გაუქმებულ იქნა, საბაჟოს უიღბლო მოხელეები კი იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ თავიანთი სამუშაო ადგილები ბრბოს შიშით, რომელიც ანადგურებდა საძულველ ბეჭდებს.

დელეგატ პატრიკ ჰენრის წაქეზებით ვირჯინიის მოქალაქეთა პალატამ მაისში გაატარა რეზოლუციები, რომლითაც უარს აცხადებდნენ „დაბეგვრაზე წარმომადგენლობის გარეშე“, ვინაიდან ის უქმნიდა საშიშროებას კოლონიების თავისუფლებას. მოქალაქეთა პალატამ განაცხადა, რომ ვირჯინიელებს მინიჭებული აქვთ ინგლისელების უფლებები და, ამდენად მათთვის გადასახადის დაწესება მხოლოდ მათ საკუთარ წარმომადგენლებს შეუძლიათ. 8 ივნისს მასაჩუსეთსის ასამბლეამ მოუწოდა ყველა კოლონიას გამოეგზავნათ დელეგატები ეგრეთ წოდებულ „საგერბო გადასახადის აქტის კონგრესზე“ ნიუ-იორკში, რომელიც ჩატარდებოდა 1765 წლის ოქტომბერში, რათა განეხილათ მეფის და პარლამენტის ბრძანებებისაგან განთავისუფლების მოთხოვნები. ხანგრძლივი დებატების შემდეგკონგრესმა მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ კანონის მიხედვით რაიმე გადასახადების დაწესება კოლონიებისათვის შეიძლე-

ბოდა მხოლოდ მათი წარმომადგენლების მიერ, და რომ „საგერბო გადასახადის აქტმა“ „გამოაამჟღავნა კოლონისტების უფლებების და თავისუფლებების დარღვევის ტენდენცია“.

**დაბეგვრა წარმომადგენლობის გარეშე**

Საკითხის ამგვარი დაყენებით ყურადღება მახვილდებოდა წარმომადგენლობაზე. კოლონისტების აზრით, ისინი ვერ მიიჩნევდნენ თავს პარლამენტში წარმოდგენილად, თუ არ ექნებოდათ თემთა პალატაში თავიანთი წარმომადგენლების არჩევის უფლება. მაგრამ ეს იდეა ეწინააღმდეგებოდა ინგლისელთა პრინციპს „ვირტუალური არჩევნების“ შესახებ, რომლის მიხედვითაც პარლამენტის თითოეული წევრი წარმოადგენდა მთელი ქვეყნის და მთელი იმპერიის ინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ მის საარჩევნო ბაზას შეადგენდა მესაკუთრეთა მხოლოდ ვიწრო ჯგუფი რომელიღაც კონკრეტული უბნიდან. დანარჩენი საზოგადოებაც წარმოდგენილად ითვლებოდა იმის საფუძველზე, რომ მოსახლეობას გააჩნდა იგივე ინტერესები, რაც მესაკუთრეებს, რომლებიც ირჩევდნენ პარლამენტის წევრებს.

ბრიტანეთის ოფიციალურ პირთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ პარლამენტში როგორც იმპერიის ორგანოში წარმოდგენილნი იყვნენ კოლონიებიც და მათ ისეთივე უფლებამოსილება ჰქონდა კოლონიებში, როგორიც თვით სამშობლოში. ამერიკის ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ არ არსებობდა არავითარი „იმპერიული“ პარლამენტი; მათთვის ერთადერთი კანონიერი მთავრობა იყო სამეფო ხელისუფლება. მეფე დათანხმდა კოლონიების შექმნას ოკეანის გადაღმა და სწორედ ის უნიშნავდა მათ მთავრობას. ის ერთდროულად იყო როგორც ინგლისის, ისე კოლონიების მეფე. მაგრამ ამავე დროს, მათი მტკიცებით, ინგლისის პარლამენტს ისევე არ ჰქონდა კანონების დაწესების უფლება კოლონიებში, როგორც ამ საკანონმდებლო ორგანოებს არ გააჩნდათ კანონების მიღების უფლება ინგლისისათვის.

ბრიტანეთის პარლამენტს არ უნდოდა კოლონისტების არგუმენტების შესმენა. მაგრამ ბრიტანელმა ვაჭრებმა, რომლებმაც იგრძნეს ამერიკელების ბოიკოტის შედეგები, ზემოქმედება მოახდინეს პარლამენტზე, რის შედეგად ის 1766 წელს წავიდა დათმობაზე– გააუქმა „საგერბო გადასახადის აქტი“ და შეცვალა „შაქრის აქტი“. მაგრამ ამის შემდეგ კოლონიების ცენტრალიზებული კონტროლის მომხრეთა გულის მოსაგებად პარლამენტმა გაატარა „დეკლარატორული აქტი“. ეს აქტი ამტკიცებდა პარლამენტის უფლებას მიეღო კანონები კოლონიებისათვის, რომლებსაც ისინი „ყველა შემთხვევაში“ უნდა დამორჩილებოდნენ.

**თაუნშენდის აქტები**

1767 წელმა მოიტანა ღონისძიებათა ახალი სერია, რომლებმაც ხელახლა გამოიწვიეს უთანხმოებანი. ჩარლზ თაუნშენდს, ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრს, დაევალა შეედგინა ახალი საფინანსო პროგრამა. ამ უკანასკნელმა, განიზრახა ბრიტანული ბეგარის შემცირება ამერიკასთან ვაჭრობაზე გადასახადების შეგროვების პროცესის ეფექტურობის გაზრდით. მან შეამცირა საბაჟო ადმინისტრაცია და ამავე დროს სპონსორობა გაუწია კოლონიალურ იმპორტს ქაღალდზე, მინაზე, ტყვიაზე და ჩაიზე, რომელთა ექსპორტი ხდებოდა ბრიტანეთიდან კოლონიებში. ეგრეთ წოდებული თაუნშენდის აქტები ეფუძნებოდა წინაპირობას, რომ კოლონიების მიერ იმპორტირებულ საქონელზე ბეგარა კანონიერი იყო, მაშინ როდესაც შიდა ბეგარები (მსგავსი „საგერბო გადასახადის აქტისა“) უკანონო იყო.

თაუნდშენდის აქტი ხელმოწერილ იქნა სახელმწიფო შემოსავალის გაზრდის მიზნით, რომელიც ნაწილობრივ მოხმარდებოდა კოლონიის გუბერნატორების, მოსამართლეების, საბაჟოს ოფიცრების და ამერიკაში მყოფი ინგლისის არმიის უზრუნველსაყოფად. საპასუხოდ ფილადელფიის ადვოკატი ჯონ დიკინსონი „პენსილვანიის ფერმერის წერილებში“ ასაბუთებდა, რომ პარლამენტს უფლება ჰქონდა გაეწია კონტროლი იმპერი ულიკომერციისათვის, მაგრამ არ გააჩნდათ კოლონიების დაბეგვრის უფლება, ქნებოდა ბაჟი საგარეო, თუ საშინაო.

მღელვარება, რომელიც თაუნშენდის ვალდებულებების ძალაში შესვლას მოჰყვა, საგარეო გადასახადების აქტით გამოწვეულთან შედარებით ნაკლებად ძალისმიერი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა ის საკმაოდ მძლავრი აღმოჩნდა, განსაკუთრებით აღმოსავლეთი ზღვისპირეთის ქალაქებში. ვაჭრებმა საშველად ერთხელ კიდევ მიმართეს ხელშეკრულებას იმპორტირების წინააღმდეგ და ხალხი იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო ადგილობრივი პროდუქციით. მაგალითად, კოლონისტები იცვამდნენ შინნაქსოვ ტანსაცმელს და პოულობდნენ ჩაის შემცვლელს. ისინი იყენებდნენ შინ დამზადებულ ქაღალდს და შეუღებავად ტოვებდნენ სახლებს. ბოსტონში ახალი წესების ძალით გატარებამ გამოიწვია მღელვარება. როცა საბაჟოს მოხელეები ცდილობდნენ გადასახადების შეგროვებას, მათ თავს დაესხა ხალხი და ფიზიკურად გაუსწორდა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით საბაჟოს რწმუნებულების დასაცავად გაგზავნილ იქნა ორი ბრიტანული პოლკი.

ბრიტანული ჯარების ჩაყენება ბოსტონში არეულობის მიზეზად იქცა. 1770 წლის 5 მარტს მოქალაქეთა და ბრიტანელ ჯარისკაცთა შორის დაპირისპირება ისევ გადაიზარდა

ძალადობაში. ეგი დაიწყო, როგორც ბრიტანელ ჯარისკაცთა უწყინარი გუნდაობა, რომელიც მალე ბრბოს შეტევამ შეცვალა. ვიღაცამ გასცა ცეცხლის გახსნის ბრძანება. როცა კვამლი გაიფანტა, თოვლზე სამი მოკლული ბოსტონელი იწვა. შეარქვეს რა ამ ინციდენტს „ბოსტონის ხოცვა-ჟლეტა", ის დრამატულად იყო წარმოდგენილი როგორც ბრიტანული ულმობელობის და ტირანიის დამამტკიცებელი საბუთი.

აღმოჩნდა რა ასეთი წინააღმდეგობის წინაშე, პარლამენტი იძულებული გახდა 1770 წელს მიემართა უკანდახევის სტრატეგიისათვის და გაეუქმებინა თაუნშენდის ყველა ვალდებულება, გარდა ვალდებულებებისა ჩაის შესახებ, რომელიც კოლონიებში ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და რომლით სარგებლობა მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს თუ შეეძლო. ზოგადად პარლამენტის მოქმედებამ ცხადყო, რომ კოლონიებმა მიაღწიეს უმთავრეს დათმობებს და კომპანია ინგლისის წინააღმდეგ საგრძნობლად შემცირდა. კოლონიური ემბარგო „ინგლისურ ჩაიზე" გრძელდებოდა, მაგრამ არ განიხილებოდა ძალიან მწვავედ. ქვეყნის კეთილდღეობა იზრდებოდა, და კოლონიათა ლიდერების უმრავლესობას სჯეროდა მომავლის.

---

**სამუელ ადამსი**

Სიმშვიდის სამწლიანი ინტერვალის განმავლობაში რადიკალთა შედარებით მცირე რიცხვი ენერგიულად ცდილობდა არ დაეშვა დავის შეწყვეტა. მათი მტკიცებით ბეგარის გადასახადის მეშვეობით ინერგებოდა პრინციპი, პარლამენტის უფლებისა მართოს კოლონიები. ისინი შიშობდნენ, რომ ნებისმიერ დროს მომავალში პარლამენტური მართვის პრინციპს შეიძლებოდა მოჰყოლოდა დამღუპველი შედეგები კოლონიების მიერ მიღწეული თავისუფლებისათვის.

რადიკალების ყველაზე გამორჩეული ლიდერი იყო სამუელ ადამსი მასაჩუსეთსიდან, რომელიც დაუღალავად იღწვოდა ერთადერთი მიზნისათვის – თავისუფლებისათვის. იმ დროიდან, როდესაც ადამსმა დაამთავრა ჰარვარდის კოლეჯი 1740 წელს, ის უკვე გარკვეულწილად თანამდებობის პირი გახლდათ – კვამლსადენთა ინსპექტორი, გადასახადის შემგროვებელი და ქალაქის თავყრილობების მარეგულირებელი. ბიზნესში ის მუდამ წარუმატებლობას განიცდიდა, მაგრამ სამაგიეროდ გამჭრიახი და ნიჭიერი პოლიტიკოსი იყო; მის სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენდა ახალი ინგლისის საქალაქო შეკრებები.

ადამსის მიზანი იყო ადამიანების განთავისუფლება მორჩილებული შიშისგან ზემდგომ უფროსთა წინაშე, მათ მიერ საკუთარი ძალისა და მნიშვნელობის გაცნობიერება და სამოქმედოდ წამოდგომა. ამ მიზნით მან გამოაქვეყნა სტატი-

ები გაზეთებში და სიტყვით გამოდოდა საქალაქო შეკრებებზე, მხარს უჭერდა რეზოლუციებს, რომლებიც შეესაბამებოდნენ კოლონისტების დემოკრატიულ მისწრაფებებს.

1772 წელს მან დაარწმუნა ბოსტონის მოქალაქეთა კრება შეექმნა „სარედაქციო კომიტეტი“, რომელიც ჩამოაყალიბებდა კოლონისტების უფლებებს და საჩივრებს. კომისია ეწინააღმდეგებოდა ბრიტანელთა გადაწყვეტილებას გადაეხადათ მოსამართლეების ხელფასები საბაჟო გადასახადების შემოსავლიდან. მას ეშინოდა, რომ მოსამართლეების შემოსავალი აღარ იქნებოდა დამოკიდებული საკანონმდებლო ორგანოებზე და ამდენად ისინი აღარ იქნებოდნენ მათზე პასუხისმგებელნი, რასაც შეეძლო გამოეწვია „მმართველობის დესპოტური ფორმის“ გაჩენა. კომიტეტი სხვა ქალაქებსაც მოელაპარაკა ამ საკითხებზე და სთხოვა შეეტყობინებინათ პასუხები. კომიტეტები შეიქმნა თითქმის ყველა კოლონიაში და ისინი შემდგომში იქცნენ კარგად მოქმედი რევოლუციური ორგანიზაციების საფუძვლად. და მაინც, ადამსს არ გააჩნდა ცეცხლის ნაპერწკალი, რომ გაეჩინა ხანძარი.

---

ბოსტონის ჩაის სმა“

1773 წელს ადამსმა და მისმა მომხრეებმა ეს ნაპერწკალი თვით ბრიტანელებისაგან მიიღეს. მძლავრი „ისტ ინდოეთის კომპანია“ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და დახმარების თხოვნით მიმართა ბრიტანეთის მთავრობას, რომელმაც საპასუხოდ მისცა მას მონოპოლია კოლონიებში ჩაის ექსპორტირებაზე. მთავრობამ აგრეთვე უფლება დართო „ისტ ინდოეთის კომპანია“-ს ადგილობრივი საბითუმო მოვაჭრეების გვერდის ავლით უშუალოდ მოემარაგებინა ცალობით მოვაჭრენი, რაც აქამდე არ ხდებოდა. 1770 წლის შემდეგ ამერიკაში არალეგალური ვაჭრობა იმდენად გავრცელდა, რომ იქ ძირითადად იყიდებოდა უცხოური ჩაი, რომელიც შემოჰქონდათ არალეგალურად, ყოველგვარი ბეგარის გადახდის გარეშე. „ისტ ინდოეთის კომპანია“ ჩაის საკუთარი აგენტების მეშვეობით ყიდდა მიღებულ სარეალიზაციო ფასებთან შედარებით გაცილებით დაბალ ფასებში, არალეგალური ბიზნესი აზრს კარგავდა, რაც ამავე დროს გაკოტრებით ემუქრებოდა კოლონიის დამოუკიდებელ ვაჭრებს. აღშფოთებულები არა მხოლოდ ჩაით ვაჭრობის დაკარგვით, არამედ მონოპოლური მეთოდითაც, კოლონიის ვაჭრები შეუერთდნენ რადიკალებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

პორტებში ატლანტის ოკეანის სანაპიროს მთელ გაყოლებაზე „ისტ ინდოეთის კომპანიის“ აგენტებს აიძულებდნენ დაეტოვებინათ სამუშაო და გემებით ჩამოსულ ჩაის ახალ პარტიებს აბრუნებდნენ ინგლისში ან ინახავდნენ საწყობებში.

მაგრამ ბოსტონში კომპანიის აგენტებმა ყურადღება არ მიაქციეს კოლონისტებს და ადგილობრივი გუბერნატორის დახმარებით წინააღმდეგობის მიუხედავად მოემზადნენ ტვირთის ხმელეთზე გადმოსაზიდად. 1773 წლის 16 დეკემბერს, მოჰაუკის ტომის ინდიელების ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანთა ჯგუფი, სამუელ ადამსის მეთაურობით ავიდა სამ ბრიტანულ გემზე, რომლებიც ღუზაზე იდგნენ და ჩაძირა მათი ტვირთი ბოსტონის ყურეში. ეს ნაბიჯი მათ გადადგეს იმის შიშით, რომ ჩაის გადმოტვირთვის შემთხვევაში, კოლონისტები იძულებული გახდებოდნენ დამორჩილებოდნენ გადასახადს და შეესყიდათ ჩაი. ადამსს და მისი მიმდევარი რადიკალების რაზმს ეჭვი ეპარებოდათ თავისი თანამემამულეების პრინციპულობაში.

ბრიტანეთი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. „ისტ ინდოეთის კომპანია"-ს პარლამენტისგან ჰქონდა მიღებული ნებართვა, და ჩაის განადგურების დაუსჯელად დატოვება ნიშნავდა კოლონიებზე კონტროლის დაკარგვის აღიარებას მსოფლიოს წინაშე. ბრიტანეთის ოფიციალური აზრი ერთსულოვნად ჰგმობდა „ბოსტონის ჩაის სმას", როგორც ვანდალიზმის აქტს, მოითხოვდა კანონიერი ზომების მიღებას და მეამბოხე კოლონისტების დამორჩილებას.

---

#### იძულებითი აქტები

პარლამენტმა საპასუხოდ ახალი კანონები გამოსცა, რომლებსაც კოლონისტებმა „იძულებითი ან აუტანელი აქტები" უწოდეს. პირველი კანონით – „ბოსტონის პორტის ბილი" – ბოსტონის პორტი დახურულად ცხადდებოდა, ვიდრე არ იქნებოდა ანაზღაურებული ჩაის ღირებულება. ამგვარი აქტის განხორციელება საშიშროებას უქმნიდა მთელი ქალაქის ცხოვრებას,ვინაიდან ბოსტონის მოწყვეტა ზღვისგან ეკონომიკურ კატასტროფას ნიშნავდა. სხვა აქტებით იზღუდებოდა ადგილობრივი ხელისუფლება და იკრძალებოდა საქალაქო კრებების ჩატარება გუბერნატორის ნებართვის გარეშე. „ყაზარმების აქტის" თანახმად, ადგილობრივ ხელისუფლებას მოეთხოვებოდა ბრიტანეთის ჯარების დაბინავება საჭიროებისას თვით კერძო სახლებშიც. ამგვარად, იმის მაგიერ, რომ დაემორჩილებინათ და იზოლაციაში მოექციათ მასაჩუსეთსი, როგორც ეს პარლამენტს ჰქონდა განზრახული, ამ აქტებით საწინააღმდეგო ეფექტს მიაღწიეს – მოხდა სხვა კოლონიების შეკავშირება მის დასახმარებლად.

„კვებეკის აქტმა", რომელიც დაახლოებით ამ დროს იქნა მიღებული, გააფართოვა კვებეკის პროვინციის საზღვრები და მისცა ფრანგ მოსახლეობას რელიგიური თავისუფლების თავისი ადათ-წესების შესრულების გარანტია. კოლონისტები

დაუპირისპირდნენ ამ აქტს, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა მათ ძველ პრეტენზიებს დასავლეთის მიწებზე და იმუქრებოდა მათი შემოფარგვლით ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან რომის კათოლიკური ეკლესიის სარწმუნოების მომხრე პროვინციით. თუმცა „კვებეკის აქტი" არ იყო გატარებული როგორც დამსჯელი ზომა, ამერიკელებმა ის „იძულებითი აქტების" სიაში ჩათვალეს, რომლებიც „ხუთი აუტანელი აქტის" სახელითაა ცნობილი.

ვირჯინიის მოქალაქეთა პალატის წინადადებით, კოლონიების წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს ფილადელფიაში 1774 წლის 5 სექტემბერს, „რომ მოეთათბირებინათ კოლონიების იმჟამინდელი მძიმე მდგომარეობის შესახებ". ეს შეხვედრა ცნობილი გახდა „ამერიკული კოლონიების პირველი კონგრესის" სახელით და დელეგატები არჩეულნი იყვნენ პროვინციების კონგრესების ან მოსახლეობის კრებების მიერ. ყველა კოლონიამ, ჯორჯიის გარდა, გამოგზავნა ერთი დელეგატი მაინც. დელეგატთა მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 55 კაცი, რაც საკმარისი იყო აზრთა მრავალფეროვნებისათვის, მაგრამ არასაკმარისი ნამდვილი დებატებისათვის და შედეგიანი მოქმედებისათვის. აზრები გაიყო, რამაც კოლონიები დილემის წინაშე დააყენა. მათ უნდა ეჩვენებინათ მტკიცე ერთსულოვნება, რომ აეძულებინათ ბრიტანეთის მთავრობა წასულიყო დათმობაზე, და ამავე დროს, მორიდებოდნენ რადიკალიზმის ან დამოუკიდებლობისკენ მისწრაფების დემონსტრირებას, რაც შეაშფოთებდა უფრო ზომიერ ამერიკელებს. ფრთხილი გამოსვლა, რომელსაც მოჰყვა „გადაწყვეტილება" იმის შესახებ, რომ არ უნდა დამორჩილებოდნენ „იძულებით აქტებს", დამთავრდა მთელი რიგი რეზოლუციების მიღებით, რომელთა შორისაა კოლონისტების უფლებები „ცხოვრებაზე, თავისუფლებაზე და ქონებაზე", პროვინციალური საკანონმდებლო ხელისუფლებების უფლებები „დაბეგვრის ყველა შემთხვევასთან და საშინაო პოლიტიკასთან" დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაზე.

მაგრამ კონგრესის ყველაზე მნიშვნელოვანი აქტი მდგომარეობდა „კოლონიების ასოციაციის" ფორმირებაში, რომელიც უზრუნველყოფდა სავაჭრო ბოიკოტის განახლებას და კომიტეტების სისტემის შექმნას საბაჟო შენატანების შესამოწმებლად, გამოაქვეყნებდა იმ კომერსანტების სახელებს, რომლებიც დაარღვევდნენ შეთანხმებას, მოახდენდა მათი იმპორტის კონფისკაციას, წაახალისებდა მომჭირნეობას, ეკონომიკას და მრეწველობას.

ასოციაცია თავიდანვე კისრულობდა ხელმძღვანელის როლს კოლონიებში, მოუწოდებდა ახლადშექმნილ ლოკალურ ორგანიზაციებს მოესპოთ ყველაფერი რაც იყო დარჩენილი

სამეფო ხელისუფლებისაგან. ასოციაციის შექმნის ეს იდეა წამოაყენეს პრო-დამოუკიდებელმა ლიდერებმა და ამასთან დაკავშირებით შეადგინეს გეგმა, რომლის მიხედვითაც მათ უნდა დახმარებოდნენ არა მხოლოდ შეძლებული ადამიანები, არამედ აგრეთვე თავისი საქმის მცოდნე პროფესიონალები, განსაკუთრებუთ ადვოკატები, სამხრეთის კოლონიების უმეტესი პლანტატორების და კომერსანტების ნაწილი. ისინი აშინებდნენ მათ, ვინც მერყეობდა, და უსწორდებოდნენ მტრებს. მათ დაიწყეს სამხედრო მარაგის შექმნა და ჯარების მობილიზაცია და ამავე დროს საზოგადოებრივი აზრის გადაყვანა რევოლუციურ რელსებზე.

ბევრ ამერიკელს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის შეჭრას ამერიკის უფლებებში, პრობლემის ხელსაყრელ გადაჭრად მიაჩნდა დისკუსია და კომპრომისი. ეს ჯგუფი მოიცავდა ტახტის მიერ დანიშნულ ოფიცრებს, ბევრ კვაკერს და სხვა რელიგიური სექტების წევრებს, რომლებიც ძალადობის წინააღმდეგნი იყვნენ, ბევრ კომერსანტს – განსაკუთრებით შუა კოლონიებიდან, ზოგიერთ უკმაყოფილო ფერმერს და ფრონტიერს სამხრეთი კოლონიებიდან.

მეფეს დროებითი დათმობების მეშვეობით ადვილად შეეძლო მისთვის სასურველი ზემოქმედება მოეხდინა მრავალრიცხოვანი ოპორტუნისტების ამ ალიანსზე, რომელმაც ის გაიმაგრა თავისი პოზიციები, რომ რევოლუციონერებისათვის მეტად ძნელი იყო სამხარ მოქმედებებზე გადასვლა. მაგრამ ჯორჯ III-ს სულაც არ ჰქონდა განზრახული დათმობებზე წასვლა. 1774 წლის სექტემბერში დასცინოდა რა ფილადელფიის კვაკერების პეტიციას, ის წერდა: „სიკვდილი ეხლა რისკია, კოლონიები ან უნდა დამმორჩილდნენ ან მათ უნდა გაიმარჯვონ“. ამ ქმედებამ გამოიწვია ლოიალისტების გამოჩენა, ვინც შეშინებული იყო იმ ამბებით, რაც მოჰყვა „იძულებით აქტებს“.

---

### რევოლუცია იწყება

გენერალი თომას გეიჯი, თავაზიანი ინგლისელი ჯენტლმენი, რომლის ცოლი ამერიკაში იყო დაბადებული, ხელმძღვანელობდა გარნიზონს ბოსტონში, სადაც ვაჭრობა თითქმის მთლიანად შეიცვალა პოლიტიკური აქტივობით. გეიჯის ძირითადი მოვალეობა კოლონიებში მდგომარეობდა „იძულებითი აქტების“ გატარებაში. როდესაც მასთან მოაღწია ამბავმა იმის შესახებ, რომ მასაჩუსეთსის კოლონისტები აგროვებდნენ თოფის წამალს და სამხედრო მარაგს ქალაქ კონკორდში, 32 კილომეტრის მოშორებით, გეიჯმა სამხედრო აღჭურვილობის კონფისკაციის მიზნით გააგზავნა იქ გარნიზონის ძლიერი ნაწილები.

მთელი ღამის განმავლობაში მარშირების შემდეგ 1775 წლის 9 აპრილს ბრიტანული ჯარები მიუახლოვდნენ სოფელ ლექსინგტონს და დილის ნისლში დაინახეს 70 „მინუთმენისაგან" (სახალხო მილიციის ჯარისკაცი) შემდგარი ძლიერი ჯგუფი, რომლებსაც ასე იმიტომ უწოდებდნენ, რომ ისინი როგორც ამბობდნენ ყოველ წუთს იყვნენ მზად ბრძოლისათვის. მინუთმენები აპირებდნენ მხოლოდ ჩუმ პროტესტს, მაგრამ მაიორმა ჯონ პითკეირნმა, ბრიტანული ჯარის უფროსმა, შეჰყვირა, „გაფანტეთ, წყეულო მეამბოხეებო! ძაღლებო, გაიქეცით!" მინუთმენების მეთაურმა, კაპიტანმა ჯონ პარკერმა, უბრძანა თავის ჯარისკაცებს არ ესროლათ პირველებს. ამერიკელები უკან იხევდნენ, როდესაც ვიღაცამ გაისროლა, და ამას მოჰყვა ბრიტანული ჯარის მიერ მინუთმენებისათვის ცეცხლის გახსნა. შედეგად ხიშტებით შეიარაღებულმა ბრიტანელებმა დატოვეს 8 მოკლული და 10 დაჭრილი. რალფ უალდო ემერსონის ხატოვანი გამოთქმა, რომ ვიხმაროთ, ეს იყო „გასროლა, რომელიც მთელ მსოფლიოში გაისმა".

შემდეგ ბრიტანელებმა შეუტიეს კონკორდს. ამერიკელებმა მოასწრეს სამხედრო აღჭურვილობის დიდი ნაწილის გაზიდვა, დანარჩენი ბრიტანელების მიერ განადგურებულ იქნა. ამასობაში ახლომახლო სოფლებიდან მოახდინეს ამერიკელი ჯარისკაცების მობილიზაცია, რომლებმაც შეუტიეს ბრიტანელებს კონკორდში, ბრიტანელებმა დიდი დანაკარგები განიცადეს და უკან ბოსტონისაკენ დაიხიეს. მათ მოკლული და დაჭრილი ჰყავდათ 250 კაცზე მეტი. ამერიკელებმა დაკარგეს 93 კაცი.

ვიდრე ჩაცხრებოდა ლექსინგტონის და კონკორდის ამბებით გამოწვეული შეშფოთება 1775 წლის 10 მაისს ფილადელფიაში, პენსილვანიაში შეიკრიბა „ამერიკული კოლონიების II კონგრესი". 15 მაისისათვის კონგრესმა კენჭისყრით მხარი დაუჭირა ომის დაწყებას, დაავალა კოლონიების მილიციას ჩამდგარიყო ამერიკის კოლონიების დაცვის სამსახურში და დანიშნა პოლკოვნიკი ჯორჯ ვაშინგტონი ვირჯინიიდან, ამერიკული ძალების მთავარსარდლად. ამასობაში ამერიკელებმა დიდი დანაკარგები განიცადეს ბოსტონის მახლობლად ბანკერ ჰილთან. შემოდგომაზე კონგრესმა გააგზავნა ამერიკელთა ჯარები ჩრდილოეთისკენაც, კანადაში. თუმცა მოგვიანებით ამერიკელებმა აიღეს მონრეალი, მათ მარცხი განიცადეს კვებეკზე ზამთრის შეტევის დროს და საბოლოოდ დაიხიეს ნიუიორკისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო ინგლისისგან სრული გამოყოფის იდეა მაინც მიუღებელი ჩჩებოდა „ამერიკული კოლონიების კონგრესის"

ზოგიერთი წევრისათვის. ივლისში ჯონ დიკინსონმა შეადგინა რეზოლუციის პროექტი, ცნობილი ზეთისხილის ხის ტოტის პეტიციის“ სახელით, რომელშიც სთხოვდა მეფეს ხელი შეეშალა შემდგომი მტრული მოქმედებისათვის, ვიდრე არ შეიმუშავებდნენ რაიმე შეთანხმებას. პეტიციას ყური არავინ ათხოვა, მაგრამ 1775 წლის 23 აგვისტოს მეფე ჯორჯ III-მ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც კოლონიები მეამბოხეებად გამოაცხადა.

ბრიტანეთი იმედოვნებდა, რომ სამხრეთის კოლონიები ლოიალურნი დარჩებოდნენ, ნაწილობრივ თუნდაც იმიტომ, რომ ეკონომიკა მონობას ეფუძნებოდა. სამხრეთის კოლონიებში ბევრი შიშობდა, რომ აჯანყება მშობლიური ქვეყნის წინააღმდეგ წააქეზებდა მონათა ამბოხებას პლანტატორების წინააღმდეგ. ფაქტიურად 1775 წლის ნოემბერში ლორდ დანმორმა, ვირჯინიის გუბერნატორმა, თავისუფლებას დაჰპირდა ყველა მონას, ვინც იომებდა ბრიტანეთის მხარეზე. დანმორის განცხადებას მოჰყვა ის შედეგი, რომ აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა ბევრი ისეთი ვირჯინიელი, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში ლოიალური დარჩებოდა.

ჩრდილოეთ კაროლინის გუბერნატორმა, ჯოშუა მარტინმა, აგრეთვე მოუწოდა მოსახლეობას ერთგულნი დარჩენილიყვნენ სამეფო ტახტისა. მარტინის მოწოდებას 1500 კაცი გამოეხმაურა, რომლებიც რევოლუციონერთა ჯარებმა დაამარცხეს, ვიდრე ბრიტანელები მათ დასახმარებლად მოსვლას მოასწრებდნენ.

ბრიტანეთის სამხედრო ხომალდებმა განაგრძეს გზა სამხრეთით, სამხრეთ კაროლინის ქალაქ ჩარლსტონისაკენ, და ცეცხლი გაუხსნეს ქალაქს. მაგრამ სამხრეთ კაროლინელებს ჰქონდათ მოსამზადებელი დრო და თვის ბოლოსათვის ბრიტანელები უკუაქციეს. ორი წლის განმავლობაში ისინი აღარ დაბრუნებულან სამხრეთში.

---

**საღი აზრი და დამოუკიდებლობა**

1776 წლის იანვარში ტომას პეინმა, პოლიტიკოსმა, თეორეტიკოსმა და მწერალმა, რომელიც 1774 წელს ჩამოვიდა ამერიკაში ინგლისიდან, გამოაქვეყნა 50-გვერდიანი პამფლეტი „საღი აზრი“. სამ თვეში გაიყიდა პამფლეტის 100 000 ეგზემპლარი. პეინი გამოდიოდა მემკვიდრეობითი მონარქიის წინააღმდეგ, აცხადებდა, რომ ერთი პატიოსანი ადამიანი მეტს ნიშნავდა საზოგადოებისათვის, ვიდრე „ერთად აღებული ყველა გვირგვინოსანი არამზადა, რომელსაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწის ზურგზე“. მან დააყენა ალტერნატივა – ტირანი მეფის ქვეშევრდომობა და მოძველებული მთავრობა, თუ დამოუკიდებელი თვითმმართველი ერის თავისუფლება და

ბედნიერება. „საღი აზრის“ გავრცელებამ კოლონიებში ხელი შეუწყო გამოყოფის სურვილის კრისტალიზაციას.

მაგრამ ფორმალური დეკლარაციისათვის საჭირო იყო ყველა კოლონიის თანხმობის მიღება. 1776 წლის 10 მაისს – „ამერიკული კოლონიების II კონგრესის“ პირველი შეხვედრის წლისთავზე – მიღებულ იქნა გამოყოფის რეზოლუცია. ახლა საჭირო იყო მხოლოდ ოფიციალური დეკლარაციის გაკეთება. 7 ივლისს რიჩარდ ჰენრი ლიმ, ვირჯინიიდან, გამოაცხადა გადაწყვეტილება, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ესაა გაერთიანებული კოლონიები, და მათ აქვთ უფლება იყვნენ თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები...“. ამის შემდგომ ოფიციალური დეკლარაციის ჩამოსაყალიბებლად დაუყოვნებლივ იქნა დანიშნული 5 წევრისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თომას ჯეფერსონი ვირჯინიიდან.

ძირითადად ჯეფერსონის მიერ დაწერილი და 1776 წლის 4 ივლისს მიღებული „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ იუწყებოდა ახალი ერის დაბადების შესახებ, მაგრამ ამავე დროს, აყალიბებდა ადამიანთა თავისუფლების ფილოსოფიას, რომელიც მამოძრავებელ ძალად იქცა მთელი მსოფლიოსათვის. „დეკლარაციას“ ეტყობა ინგლისური და ფრანგული განმანათლებლობის ფილოსოფიის დიდი გავლენა, მაგრამ განსაკუთრებით საგრძნობია ერთი გავლენა: ჯონ ლოკის ნაშრომის „მეორე ტრაქტატი მთავრობის შესახებ“. ლოკმა აიღო ინგლისელთა ტრადიციული უფლებები და განაზოგადა ისინი როგორც ზოგადსაკაცობრიო უფლებები. დეკლარაციის პირველ, ყველასათვის ნაცნობ აბზაცში აისახა ჯონ ლოკის თეორია სოციალური კონტრაქტის პრინციპით შექმნილი მთავრობის შესახებ.

*ჩვენ მიგვჩნევთ ამ ჭეშმარიტებებს თავისთავად ცხადად, რომ ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორუფლებიანად, რომ მას შემქმნელისაგან ნაბოძები აქვს გარკვეული არაგანსხვისებადი უფლებანი, და მათ შორისაა სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერების ძიება. ამ უფლებების დასაცავად ხალხისაგან იქმნება მთავრობები, რომლებიც იღებენ მინიჭებულ ძალაუფლებას იმის გათვალისწინებით, რომ როდესაც მმართველობის ნებისმიერი ფორმა ხდება დესტრუქციული, ხალხს აქვს უფლება მისი შეცვლისა ან დათხოვნისა, ახალი მთავრობის შექმნისა ისეთ პრინციპებზე დაყრდნობით და მისი ძალაუფლების ისეთი ფორმით ორგანიზებისა, როგორიც მათ მიაჩნიათ ყველაზე საუკეთესოდ მათი თავისუფლებისა და ბედნიერების განსახორციელებლად.*

დეკლარაციაში ჯეფერსონმა მოახდინა ლოკის პრინციპების შეთანხმება კოლონიებში არსებულ სიტუაციებთან. ბრძოლა ამერიკის დამოუკიდებლობისათვის იყო ბრძოლა ხალხის თანხმობით არჩეული მთავრობისათვის მეფის მიერ დანიშნული მთავრობის ნაცვლად, რომელიც „შექმნილი იყო სხვებთან ერთად, რათა დაექვემდებარებინეთ ისეთი იურისდიქციისთვის, რომელიც უცხოა ჩვენი კონსტიტუციისათვის და მიუღებელი ჩვენი კანონებით...". მხოლოდ სახალხო თანხმობით არჩეულ მთავრობას შეეძლო დაეცვა ბუნებრივი უფლებანი სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და ბედნიერების ძიებაზე. ამგვარად, ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ნიშნავდა ბრძოლას თითოეულის ბუნებრივი უფლებებისათვის.

---

**მარცხი და გამარჯვებანი**

თუმცა ამერიკელებმა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მრავალი შეფერხებანი განიცადეს თვეების მანძილზე, მათ შეუპოვრობამ და უდრეკობამ საბოლოოდ მაინც გამოიღო შედეგი. 1776 წლის აგვისტოს განმაელობაში ნიუ-იორკში ლონგ-აილენდის ბრძოლაში ვაშინგტონის პოზიციები საკმაოდ შეირყა, და მან ოსტატურად მოახერხა პატარა ნავებით დაეხია უკან ბრუკლინიდან მანჰეტენის სანაპიროზე. ბრიტანელი გენერალი უილიამ ჰოუვი ორჯერ შეყოყმანდა, რითაც ამერიკელებს მისცა გაქცევის საშუალება. ნოემბრისათვის ჰოუვიმ ხელთ იგდო ვაშინგტონის ფორტი მანჰეტენის კუნძულზე. ქალაქი ნიუ-იორკი რჩებოდა ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ ომის დასრულებამდე.

დეკემბრისათვის ვაშინგტონის ძალებს სრული განადგურება ემუქრებოდა, რადგან მარაგი და დაპირებული დახმარებანი არ ჩანდა. მაგრამ ჰოუვიმ ერთხელ კიდევ დაკარგა შანსი ამერიკელების დამარცხებისა, გადაწყვიტა რა საბოლოო ბრძოლისათვის დალოდებოდა გაზაფხულს. ამ დროს ვაშინგტონმა გადაკვეთა მდინარე დელავერი, ტრენტონის (ნიუ-ჯერსი) ჩრდილოეთით. 26 დეკემბერს დილიდან მისმა ჯარებმა განაცვიფრეს ტრენტონის გარნიზონი, სადაც 900 ტყვე აიყვანეს. ერთი კვირის შემდეგ, 1777 წლის 3 იანვარს, ვაშინგტონმა შეუტია ბრიტანელებს პრინსტონში და ხელში ჩაიგდო იმ ტერიტორიის უმეტესი ნაწილი, რომელიც ფორმალურად ბრიტანელების მიერ იყო ოკუპირებული. გამარჯვებებმა ტრენტონსა და პრინსტონში გამოაცოცხლა მიყუჩებული ამერიკული სული.

1777 წელს ჰოუვიმ დაამარცხა ამერიკული არმია ბრენდივაინთან (პენსილვანია), გარს შემოერტყა ფილადელფიას და აიძულა კოლონიების კონგრესი გაქცეულიყო. ვაშინგტონს

უნდა გადაეტანა 1777-1778 წლების ცივი ზამთარი ფორჯის დაბლობზე, პენსილვანიაში, ნორმალური საკვების, ტანსაცმლის და მარაგის ნაკლებობის პირობებში. ამერიკული ჯარების ხელმოკლეობა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ფერმერები დავაჭრები ამჯობინებდნენ გაეცვალათ თავიანთი საქონელი ინგლისურ ოქროსა და ვერცხლზე, ვიდრე კოლონიების კონგრესისა და შტატების მიერ გამოშვებული ქაღალდის ფულზე.

ფორჯის დაბლობზე ყოფნა ვაშინგტონის არმიის უკიდურესი დაკნინების პერიოდი იყო, მაგრამ 1777 წელი უნდა გადაქცეულიყო შემობრუნების წერტილად ომში. 1776 წლის ბოლოს ბრიტანელმა გენერალმა ჯონ ბარგოინმა მოიფიქრა ნიუ-იორკისა და ახალ ინგლისში შეჭრის გეგმა ჩემპლეინის ტბისა და მდინარე ჰუდსონის გავლით. მაგრამ, სამწუხაროდ, მას ძალიან ბევრი მძიმე მოწყობილობა ჰქონდა, რომ გადაელახა ტყიანი და ჭაობიანი ადგილები. ორისკენისთან (ნიუ იორკი), ინდიელებისა და ლოიალისტების რაზმი, ბარგოინის ხელმძღვანელობით შეეჯახა მანევრულ და კარგად გამოწრთობილ ამერიკულ ძალებს. ბენინგტონთან (ვერმონტი) ბარგოინის ძალების უდიდესი ნაწილი, ეძებდა რა საჭირო მარაგს, მოულოდნელად შეეჩეხა ამერიკულ ჯარებს. ამ ბრძოლებმა იმდენად შეაფერხა და შეაყოვნა ბარგოინის არმია, რომ საშუალება მისცა ვაშინგტონს გაეგზავნა დამატებითი ძალები მდინარე ჰუდსონის ქვედა ნაწილიდან – ოლბანის (ნიუ იორკის შტატი) მახლობელი ადგილებიდან. იმ დროისათვის, როდესაც ბარგოინმა ბოლოს და ბოლოს განახორციელა თავისი შეტევა, ამერიკელები უკვე ელოდებოდნენ მას. ბენედიქტ არნოლდის მეთაურობით, რომელმაც შემდგომში უღალატა ამერიკელებს ვესტ-პოინტში (ნიუ იორკი) – ამერიკელებმა ორჯერ მოიგერიეს ინგლისელების შემოტევა. ბარგოინმა უკან დაიხია სარატოგასკენ (ნიუ-იორკი) სადაც ამერიკულმა ძალებმა გენერალ ჰორაციო გეითსის ხელმძღვანელობით ალყა შემოარტყეს ბრიტანულ ჯარებს. 1777 წლის 17 ოქტომბერს ბარგოინმა იარაღი დააყრევინა მთელ მის არმიას. ბრიტანელებმა დაკარგეს 6 გენერალი, 300 სხვა ოფიცერი და 5 500 ჯარისკაცი.

---

**ფრანკო-ამერიკული ალიანსი**

საფრანგეთში ძლიერი იყო ინტერესი ამერიკული მოვლენებისადმი საფრანგეთის ინტელექტუალური სამყარო თავისთავად ზიზღს განიცდიდა ფეოდალიზმისა და პრივილეგიების მიმართ. ტახტი ეხმარებოდა კოლონიებს უფრო გეოგრაფიული, ვიდრე იდეოლოგიური მოსაზრებით: საფრანგეთის მთავრობა 1763 წელს განცდილი მარცხიდან

მოყოლებული ძლიერ მოსურნე იყო რეპრესალიებისა ინგლისის წინააღმდეგ. ამერიკული მოვლენებისადმი ინტერესის შემდგომი გაღვივების მიზნით 1 776 წელს ბენჯამინ ფრანკლინი გაგზავნილ იქნა პარიზში. მისი ჭკუა, მოხერხებულობა და ინტელექტი მალე მეტად შესამჩნევი გახდა საფრანგეთის დედაქალაქში, რამაც ითამაშა გადამწყვეტი როლი საფრანგეთის დახმარების მოპოვებაში.

საფრანგეთმა დაიწყო კოლონიებისათვის დახმარების მიწოდება 1776 წლის მაისში, როდესაც მან გააგზავნა ამერიკაში საომარი აღჭურვილობით დატვირთული 14 გემი. ამერიკული არმიების მიერ გამოყენებული დენთის უმეტესი ნაწილი მოდიოდა საფრანგეთიდან. ბრიტანელების დამარცხების შემდეგ სარატოგასთან საფრანგეთმა დაინახა თავისი უძველესი მტრის სერიოზული დასუსტების და ძალთა იმ ბალანსის აღდგენის შესაძლებლობა, რომელიც დაირღვა შვიდწლიანი ომის (ფრანგებთან და ინდიელებთან ომი) შედეგად. 1778 წლის 6 თებერვალს ამერიკამ და საფრანგეთმა მოაწერეს ხელი მეგობრობისა და ვაჭრობის ხელშეკრულებას, რომლითაც საფრანგეთი ცნობდა ამერიკას. მათ აგრეთვე მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას ალიანსის შესახებ, რომელიც გულისხმობდა, რომ თუ საფრანგეთი ჩაებმეოდა ომში, არც ერთ მხარეს არ უნდა დაეყარა იარაღი, სანამ ამერიკა არ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას, არც ერთ მხარეს არ უნდა დაედო ზავი ბრიტანეთთან მეორე მხარის თანხმობის გარეშე, და თითოეული მათგანი აღიარებდა მეორე მხარის სამფლობელოებს ამერიკაში. ეს იყო ერთადერთი ორმხრივი თავდაცვის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იყო შეერთებული შტატების ან მისი წინაბორბედის მიერ 1949 წლამდე.

ფრანკო-ამერიკულმა ალიანსმა მალე გააფართოვა კონფლიქტი. 1778 წლის ივნისში ბრიტანულმა გემებმა ცეცხლი გაუხსნეს ფრანგულ გემებს და ეს ორი ქვეყანა ჩაება ომში. 1779 წელს ესპანეთი იმედოვნებდა რა ბრიტანეთის მიერ „შვიდწლიანი ომის“ შემდეგ დაპყრობილი ტერიტორიების მიტაცებას, ჩაება კონფლიქტში საფრანგეთის მხარეზე, მაგრამ არა ამერიკის მოკავშირედ. 1780 წელს ბრიტანეთმა ომი გამოუცხადა ჰოლანდიას, რომელიც განაგრძობდა ამერიკასთან ვაჭრობას. ევროპული სახელმწიფოების გაერთიანება საფრანგეთის მეთაურობით გაცილებით უფრო დიდი საშიშროებას წარმოადგენდა ბრიტანეთისათვის, ვიდრე ცალკე აღებული ამერიკული კოლონიები.

**ბრიტანელები მიიწევენ სამხრეთით**

საფრანგეთის ომში ჩაბმის შემდეგ ბრიტანელებმა მზერა გადაიტანეს სამხრეთის კოლონიებისაკენ, რადგან გრძნობდნენ, რომ სამხრეთელების უმეტესობა ლოიალისტები იყვნენ. კომპანია დაიწყო 1778 წლის ბოლოს სავანას (ჯორჯია) დაპყრობით.ამის შემდეგ ბრიტანული ჯარები წაეიდნენ ჩარლსტონისკენ (სამხრეთ კაროლინა) – სამხრეთის მთავარი პორტისაკენ. ბრიტანელებმა წამოიყვანეს აგრეთვე სამხედრო-საზღვაო ფლოტი და მოახერხეს ჩარლსტონის ნახევარკუნძულზე ამერიკული ძალების გამომწყვდევა. 12 მაისს გენერალმა ბენჯამინ ლინკოლნმა ჩააბარა ქალაქი და მისი 5 000 ჯარისკაცი. ეს იყო ამერიკელების უდიდესი მარცხი ამ ომში.

მაგრამ ფორტუნის ღალატმა გაამხნევა ამერიკელი მეამბოხენი. მალე სამხრეთ კაროლინის მცხოვრებლებმა დაიწყეს სოფელ-სოფელ სიარული და ბრიტანელებისათვის სურსათისა და სხვა მარაგის მიმწოდებლებზე თავდასხმა. ივლისისათვის, ამერიკელი გენერალი ჰორაციო გეიტსი, რომელმაც შეესხმის სახით შეაგროვა გამოუწვრთნელი მილიციელებისაგან შემდგარი რაზმი სწრაფად გაემართა კემდენისაკენ, სამხრეთ კაროლინა, რათა წინააღმდეგობა გაეწია ბრიტანელთა ძალებისათვის, რომლებსაც ხელმძღვანელობდა გენერალი ჩარლზ კორნვალისი. მაგრამ როგორც კი ბრიტანელთა რეგულარულმა ნაწილებმა შეუტიეს, გეიტსის არმიის უწვრთნელი ჯარისკაცები პანიკამ მოიცვა და ისინი უმალ უკუიქცნენ და გაიქცნენ.

კორნვალისის ჯარები კიდევ ბევრჯერ შეხვდნენ ამერიკელებს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა მოხდა კოუპენსთან (სამხრეთ კაროლინა) 1781 წლის დასაწყისში, სადაც ამერიკელებმა საფუძვლიანად დაამარცხეს ინგლისელები. დამქანცავი და უშედეგო მცდელობის შემდეგ ჩრდილო კაროლინაში კორნველისმა მზერა მიაპყრო ვირჯინიას.

**გამარჯვება და დამოუკიდებლობა**

1780 წლის ივლისში საფრანგეთის მეფემ ლუი XVI-მ გააგზავნა ამერიკაში საექსპედიციო ძალები 6 000 კაცის შემადგენლობით ჟან დე როშამბოს მეთაურობით. გარდა ამისა, საფრანგეთის ფლოტმა მოქანცა ბრიტანეთის საეაჭრო ფლოტი და ხელი შეუშალა ბრიტანული ძალებისა და მარაგის აღდგენას ვირჯინიაში, რაც ნიუ-იორკთან ბრიტანეთის ფლოტის მეშვეობით ხდებოდა. ფრანგული და ამერიკული არმიები და სამხედრო საზღვაო ძალები, მთლიანად 18 000 კაცი, მთელი ზაფხულისა და შემოდგომის მანძილზე იგერიებდნენ კორნვალისის შეტევებს. საბოლოოდ 1781 წლის 19 ოქტომბერს მას შემდეგ, რაც მახეში გაება იორკთაუნთან

ჩესაპიკის ყურეს შესართავთან, კორნუელისმა დაყარა იარაღი და ჩააბარა 8 000 ბრიტანელი ჯარისკაცი.

თუმცა კორნუელისის მარცხით ომი არ დასრულებულა – ის კიდევ გრძელდებოდა მთელი ორი წლის მანძილზე – ბრიტანეთის ახალმა მთავრობამ 1782 წლის დასაწყისში გადაწყვიტა შესდგომოდა სამშვიდობო მოლაპარაკებებს პარიზში ამერიკულ მხარესთან, რომელსაც წარმოადგენდნენ ბენჯამინ ფრანკლინი, ჯონ ადამსი და ჯონ ჯეი. 1783 წლის 15 აპრილს კონგრესმა დაამტკიცა საბოლოო ხელშეკრულება, და დიდმა ბრიტანეთმა და მისმა ყოფილმა კოლონიებმა ხელი მოაწერეს მას 3 სექტემბერს. ცნობილი როგორც პარიზის ხელშეკრულება ეს აღიარებდა ყოფილი 13 კოლონიის (ამჟამად სახელმწიფოების) დამოუკიდებლობას, თავისუფლებას და სუვერენიტეტს, მათ დიდმა ბრიტანეთმა გადასცა ტერიტორიები მდინარე მისისიპის დასავლეთით და კანადის ჩრდილოეთით; ფლორიდის სამხრეთით მდებარე ტერიტორია გადაეცა ესპანეთს. გამოუცდელი ახალგაზრდა კოლონიები, როგორც მათ შვიდი წლის წინათ უწოდებდა რიჩარდ ჰენრი ლი, საბოლოოდ გახდნენ „თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოები“. ერის ერთად შეერთების ამოცანა კვლავ დღის წესრიგში რჩებოდა.

## ლოიალისტები ამერიკის რევოლუციაში

*დღესდღეობით ამერიკელები დამოუკიდებლობისათვის ომს რევოლუციად მიიჩნევენ, მაგრამ მნიშვნელოვან წილად ეს იყო სამოქალაქო ომიც. ამერიკელი ლოიალისტები, ანუ „ტორი", როგორც მათ ოპონენტები უწოდებდნენ, გამოდიოდნენ რევოლუციის წინააღმდეგ და ბევრმა მათგანმა იარაღიც აიღო ხელში მეამბოხეების წინააღმდეგ. ლოიალისტთა რიცხვის მიახლოებითი შეფასება 500 000 კაცს აღწევდა, რაც კოლონიების თეთრკანიანი მოსახლეობის 20 პროცენტს შეადგენს.*

*რა მოტივები ამოძრავებდათ ლოიალისტებს? განათლებული ამერიკელების უმეტესობა, სულ ერთია, ლოიალისტები იყვნენ ისინი თუ რევოლუციონერები, აღიარებდა ჯონ ლოკის თეორიას ადამიანის ბუნებრივი უფლებების და ლიმიტირებული უფლებამოსილების მქონე მთავრობის შესახებ. ლოიალისტები რევოლუციონერთა მსგავსად აკრიტიკებდნენ ბრიტანელთა ისეთ ქმედებებს, როგორიც იყო „საგერბო გადასახადის აქტი" და „იძულებითი აქტები". ლოიალისტები არჩევდნენ პროტესტის მშვიდობიან ფორმებს, რადგან მათი აზრით, ძალადობა გამოიწვევდა ბრბოს ხელისუფლების ან ტირანიის დამყარებას. მათ აგრეთვე სჯეროდათ, რომ დამოუკიდებლობა ნიშნავდა იმ ეკონომიკური სარგებლის დაკარგვას, რაც მათ გააჩნდათ როგორც ბრიტანეთის სავაჭრო სისტემის წევრებს.*

*ლოიალისტები ყველანაირი ჯურის ადამიანებს შორის იყვნენ. მათ უმრავლესობას წვრილი ფერმერები, ხელოსნები და მაღაზიების პატრონები შეადგენდნენ. ბრიტანეთის ოფიციალურ პირთა უმრავლესობა, რა საკვირველია, სამეფო კარის ერთგული დარჩა. მდიდარი ვაჭრებიც უფრო მეტ ლოიალურობას ამჟღავნებდნენ, ისევე, როგორც ანგლიკანური ეკლესიის მღვდლები, განსაკუთრებით პურიტანულ ახალ ინგლისში. ლოიალისტთა რიცხვში იყვნენ აგრეთვე ზოგიერთი ზანგები (ვისაც ბრიტანელები თავისუფლებას შეჰპირდნენ), ინდიელები, კონტრაქტით მომუშავენი და გერმანელი იმიგრანტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ მეფეს ძირითადად იმიტომ, რომ ჯორჯ III გერმანული წარმოშობისა იყო.*

*ლოიალისტთა რიცხვი სხვადასხვა კოლონიაში სხვადასხვა იყო. ახლახანს გაკეთებული შეფასებების მიხედვით ნიუ-იორკის მოსახლეობის ნახევარს ლოიალისტები შეადგენდნენ: აქ გამეფებული იყო არისტოკრატიული კულტურა და შტატი მთელი რევოლუციის მანძილზე ბრიტანელებს ეკავათ. კაროლინას შტატში შიდა ტერიტორიებზე მცხოვრები ფერმერები ლოიალისტები იყვნენ, მაშინ როდესაც ოკეანის სანაპიროზე მცხოვრები პლანტატორები რევოლუციას უჭერდნენ მხარს.*

*რევოლუციის პერიოდში ლოიალისტები მეტწილად შევიწროებას განიცდიდნენ თავიანთი შეხედულებების გამო. მაგრამ ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უმცირესობას შეადგენდნენ, 19 000 ლოიალისტი, შეიარაღებული და მომარაგებული ბრიტანელთა მიერ მონაწილეობდა ბრძოლაში.*

*პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებით, კონგრესს ევალებოდა ლოიალისტებისათვის ჩამორთმეული საკუთრებების დაბრუნება. მაგალითად, პენსილვანიაში უილიამ პენის მემკვიდრეებმა და ჯორჯ კალვერტის მემკვიდრეებმა მერილენდში მიიღეს ერცელი სამოსახლოები. კაროლინას შტატში, სადაც აჯანყებულთა და ლოიალისტთა ურთიერთობა განსაკუთრებით მტრული იყო, თავისი საკუთრება აღიდგინა ამ უკანასკნელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა. ნიუ-იორკსა და კაროლინას შტატებში ლოიალისტთა კონფისკებულმა საკუთრებამ სოციალური რევოლუციის მსგავსი შედეგები გამოიწვია, რადგან მათი მიწები დაიყო და დანაწილდა ღარიბ გლეხებს შორის.*

*დაახლოებით 100 000 ლოიალისტმა დატოვა ქვეყანა, მათ შორის იყვნენ ბენჯამინ ფრანკლინის ვაჟი უილიამ ფრანკლინი და იმ დროის ამერიკის ყველაზე თვალსაჩინო მხატვარი სინგლტონ კოპლი. ლოიალისტების უმეტესობა გადასახლდა კანადაში. მათი გარკვეული ნაწილი დაბრუნდა უკან, თუმცა ზოგიერთი სახელმწიფოს მთავრობა უკრძალავდა მათ პოლიტიკურ მოღვაწეობას. გავიდა რამოდენიმე ათეული წელიწადი რევოლუციის შემდეგ და ამერიკელებმა აშკარად დაივიწყებინათ ლოიალისტების არსებობა. ლოიალისტები, კოპლის გარდა უკვალოდ გაქრნენ ამერიკის ისტორიიდან.*

ჯორჯ ვაშინგტონი მიმართავს კონსტიტუციურ კონვენტს ფილადელფიაში. 1787.





ამერიკის ისტორიის ესკიზები

თავი მეოთხე

# IV

# ეროვნული მთავრობის ფორმირება

# „დედამიწაზე მცხოვრებ ყოველ ადამიანს და ადამიანთა ყოველ ჯგუფს აქვს თვითმმართველობის უფლება“

თომას ჯეფერსონი, 1790

**შტატების კონსტიტუციები**

რევოლუციაში მოპოვებული წარმატების წყალობით ამერიკელებს გაუჩნდათ საშუალება ლეგალური ფორმა მიეცათ თავისი იდეალებისათვის და შეესწორებინათ კონსტიტუციებში ზოგიერთი შეცდომა. 1776 წლის 10 მაისს კონგრესმა გაატარა რეზოლუცია, რომლის მიხედვით კოლონიებს ეძლეოდათ რჩევა შეექმნათ საკუთარი მთავრობები „ისეთნაირად, რომ უკეთ შეეწყოთ ხელი თავისი ამომრჩევლების ბედნიერებისა და უსაფრთხოებისათვის“. ზოგიერთ მათგანს ეს უკვე გაკეთებული ჰქონდა და „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ გამოცხადებიდან ერთი წლისვადაში ყველა შტატს, სამის გარდა, შემუშავებული ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია.

ახალ კონსტიტუციებში ჰპოვეს ასახვა დემოკრატიულმა იდეებმა. მაგრამ არც ერთ მათგანში არ იყო რადიკალურად გაწყვეტილი კავშირი წარსულთან, ვინაიდან ყველა კონსტიტუცია აგებული იქნა კოლონიალური პერიოდის გამოცდილებისა და ინგლისური პრაქტიკის მყარ საფუძველზე, ამავე დროს ყოველ მათგანს სიცოცხლეს ჰმატებდა რესპუბლიკელობის სულისკვეთება, იდეალი, რომელსაც დიდი ხანია ხოტბას ასხამდნენ განმანათლებელი ფილოსოფოსები.

ბუნებრივია, თითოეული შტატის კონსტიტუციის შემქმნელების უპირველესი მიზანი იყო, „არაგასხვისებადი უფლებების“ უზრუნველყოფა, რომელთა დარღვევამაც აიძულა კოლონიები უარი ეთქვათ თავის კავშირზე ინგლისთან. ამრიგად ყველა კონსტიტუცია იწყებოდა უფლებათა დეკლარაციით ან ბილით. ვირჯინიის კონსტიტუცია, რომელიც მოდელად იქცა სხვებისათვის, შეიცავდა დეკლარაციის ისეთ პრინციპებსაც, როგორიცაა, მაგალითად, სუვერენიტეტი, მთავრობის კაბინეტების მონაცვლეობა, არჩევნების თავისუფლება და ფუნდამენტური თავისუფლებების სია: თავდებობის გადასახადის შემცირება და ადამიანთა სასჯელის შემსუბუქება, ნაფიც მსაჯულთა მიერ დროული გასამართლება, პრესის და სინდისის თავისუფლება, უმრავლესობის უფლება გადააყენოს ან გამოცვალოს მთავრობა.

სხვა შტატებმა გააფართოვეს უფლებათა სია და უზრუნველყვეს სიტყვის, შეკრების და პეტიციის თავისუფლება, აგრეთვე ხშირად ამტკიცებდნენ ისეთ დადგენილებებს, როგორიცაა ჯარის შენახვა, „habeas corpus“ შეტყობინებები (მიმართვა ადამიანის სასამართლოში მიყვანასთან დაკავშირებით, დაპატიმრების კანონიერების დასადგენად), საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა და თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე. გარდა ამისა, ყოველი კონსტიტუცია მხარს უჭერდა სამი ნაწილისაგან შემდგარ სამთავრობო სტრუქტურას – აღმასრულებელს, საკანონმდებლოს და სასამართლოს, რომლებიც გააკონტროლებდნენ და გააწონასწორებდნენ ერთმანეთს.

ყველაზე რადიკალური იყო პენსილვანიის კონსტიტუცია. ამ შტატში ძალაუფლებას აკონტროლებდნენ ფილადელფიის ხელოსნები, ფრონტირის ზოლში მცხოვრები შოტლანდიელები, ირლანდიელები და გერმანულად მოლაპარაკე ფერმერები. პროვინციის კონგრესმა მიიღო კონსტიტუცია, რომელიც ხმის უფლებას აძლევდა გადასახადების გადამხდელ ყოველ მამაკაცს და მის ვაჟიშვილს, მოითხოვდა სამთავრობო კაბინეტების მონაცვლეობას, (არავის შეეძლო ემსახურა წარმომადგენლად ოთხ წელიწადზე მეტხანს ზედიზედ ყოველ შვიდ წელიწადში) და შექმნა ერთპალატიანი საკანონმდებლო ხელისუფლება.

შტატების კონსტიტუციებში მოცემული იყო აგრეთვე დიდი შეზღუდვები, რომლებიც ახალი ნორმებით იყო განპირობებული. კონსტიტუციები, რომლებიც იცავდნენ ხალხის ბუნებრივ უფლებებს, არ იცავდნენ ყველაზე ფუნდამენტურ უფლებას – თანასწორობას. პენსილვანიის სამხრეთით მდებარე კოლონიებში ზანგი მოსახლეობისათვის არ მიუნიჭებიათ ადამიანთა ყველა განუყოფელი უფლება. ქალებს არ ჰქონდათ პოლიტი-

კური უფლებანი. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ წავიდა ისე შორს, რომ დაეშვა მამაკაცებისათვის ერთნაირი ხმის უფლება, უფრო მეტიც, იმ შტატებშიც კი, სადაც ხმის მიცემის უფლება მიენიჭა ყველა ბეგარის გადამხდელს (დელავერი, ჩრდილო კაროლინა და ვირჯინია, შემდგომში პენსილვანია), ოფისების მფლობელებს მოეთხოვებოდა ჰქონოდათ გარკვეული რაოდენობის ქონება.

---

**კონფედერაციის ნიშნები**

ინგლისთან ბრძოლამ ბევრად შეცვალა კოლონიების ურთიერთდამოკიდებულება. ადგილობრივმა ყრილობებმა უარი განაცხადეს 1754 წელს მიღებულ ოლბანისეულ გეგმაზე „ერთობლივი კავშირის შესახებ",ვინაიდან არ უნდოდათ ვინმესთვის დაეთმოთ თავისი ავტონომიის მცირეოდენი ნაწილიც კი, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ამ დათმობის არჩევანს თვითონვე გააკეთებდნენ. მაგრამ რევოლუციის პერიოდში ურთიერთდახმარება ეფექტიანი გამოდგა და ინდივიდუალური ძალაუფლების დათმობის შიში მნიშვნელოვნად შენელდა.

1776 წელს ჯონ დიკინსონმა შეიმუშავა „კონფედერაციის და სამუდამო კავშირის მუხლები". 1777 წლის ნოემბერში „ამერიკის ყოფილი კოლონიების კონგრესმა" მოიწონა და მიიღო ისინი, 1781 წელს კი, მას შემდეგ, რაც ყველა შტატის კონგრესმა მოახდინა მათი რატიფიკაცია, ისინი ძალაში შევიდნენ, ამ მუხლების მიხედვით შექმნილი მთავრობის სისტემას ბევრი სუსტი წერტილი გააჩნდა. ეროვნულ მთავრობას არ ჰქონდა უფლება საჭიროების შემთხვევაში დაეწესებინა ტარიფები, მოეხდინა კომერციული საქმიანობის რეგულირება და აეკრიფა გადასახადები. მას არ ეძლეოდა საგარეო ურთიერთობების დამოუკიდებლად მოწესრიგების უფლება: ზოგიერთმა შტატმა დაიწყო დამოუკიდებელი მოლაპარაკებების წარმოება უცხოურ სახელმწიფოებთან. ცხრა შტატმა ჩამოაყალიბა საკუთარი არმია, ზოგიერთს ჰქონდა თავისი საზღვაო ფლოტი. არსებობდა მონეტების საოცარი მრავალფეროვნება და სახელმწიფო და ეროვნული ქაღალდის ფულის ნიშნების განსაცვიფრებელი სიმრავლე, ამასთან ყველა მათგანი სწრაფად კარგავდა ღირებულებას.

ომის შემდგომი ეკონომიკური სიძნელეები მოგვარებას საჭიროებდნენ. ომის დამთავრებამ მძიმე შედეგები მოუტანა ვაჭრებს, რომლებიც ამარაგებდნენ ორივე მხარის ჯარებს და რომლებმაც დაკარგეს სარგებელი ბრიტანეთის სავაჭრო სისტემაში მონაწილეობისგან. შტატები თავიანთი სატარიფო პოლიტიკით უპირატესობას ანიჭებდნენ ამერიკულ საქონელს, მაგრამ ეს ტარიფები შეუსაბამოებით გამოირჩეოდნენ და

საჭიროებდნრენ უფრო ძლიერ ცენტრალიზებულ მთავრობას, რომელიც ერთიან პოლიტიკას გაატარებადა.

რევოლუციის შემდგომი ეკონომიკური სიძნელეები ყველაზე მეტად ფერმერებს დააწვა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა ჭარბობდა მასსზე მოთხოვნილების დონეს, ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულმა მღელვარებამ მოიცვა ფერმერები, რომლებიც საჭიროებდნენ სწრაფ ზომებს, რომ არ დაეკარგათ თავისი ქონების გამოსყიდვის უფლება და არ აღმოჩენილიყვნენ ციხეში ვალების გადაუხდელობის გამო. 1786 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში რამოდენიმე შტატში ჩატარებული საზოგადოებრივი შეკრებები და არაფორმალური კრებები მოითხოვდნენ რეფორმის გატარებას შტატების მმართველობაში.

1786 წლის შემოდგომაზე, მასაჩუსეტში, ფერმერთა ბრბომ, ყოფილი სამხედრო კაპიტნის დანიელ შეისის ხელმძღვანელობით, ძალით შეუშალა ხელი ადგილობრივ სასამართლოებს მოესმინათ და გამოეტანათ განაჩენი ვალებთან დაკავშირებულ საქმეებზე და შეაფერხა შტატის შემდგომი არჩევნები. 1787 წლის იანვარში სპრინგფილდში 1 200-კაციანი ფერმერთა არმია დაიძრა ფედერალური არსენალისკენ. აჯანყებულები, რომლებიც შეიარაღებულები იყვნენ ძირითადად საკასრე ფიცრებით და ფიწლებით, ადვილად მოიგერიეს ადგილობრივი მილიციის ძალებმა. შემდეგ გენერალი ბენჯამინ ლინკოლნიც მოვიდა მაშველი ძალებით ბოსტონიდან და გაანადგურა შეისის დარჩენილი მომხრეები, რომელთა ლიდერი ვერმონტში გაიქცა. მთავრობამ დაიჭირა 14 აჯანყებული და სიკვდილის განაჩენი გამოუტანა, მაგრამ შემდეგ ზოგიერთს აპატია და მოკლევადიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა კიდეც. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ახლადარჩეულმა საკანონმდებლო ხელისუფლებამ, რომლის წევრთა უმრავლესობა თანაუგრძნობდა აჯანყებულებს, დააკმაყოფილა ზოგიერთი მათი მოთხოვნა ვალის შემსუბუქების თაობაზე.

---

**გაფართოების პრობლემა**

რევოლუციის დამთავრებასთან ერთად შეერთებული შტატები კვლავ აღმოჩნდნენ დასავლეთის საკითხთან დაკავშირებული ძველი, გადაუჭრელი პრობლემის – ტერიტორიის გაფართოების და მისი თანმხლები სიძნელეების წინაშე, რომლებიც ეხებოდა მიწას, ბეწვეულს, ეაქრობას, ინდიელებს, ახალმოსახლეებს და ადგილობრივ მმართველობას. ქვეყანაში ყველაზე მდიდარი მიწებით მოხიბლული პიონერები გადაეიდნენ აპალაჩის მთებზე და განაგრძეს გზა. 1775 წლისათვის მდინარეების გასწვრივ შორს მიმოფანტულ დასახლებებში ცხოვრობდა ათეულ ათასობით ახალმოსახლე. იყვნენ რა

გამოყოფილები მთებითა და ასეული კილომეტრებით აღმოსავლეთის პოლიტიკური მმართველობის ცენტრებიდან, მოსახლეები ქმნიდნენ საკუთარ მთავრობას. ყველა სანაპირო შტატების ახალმოსახლეები შემჭიდროვდნენ მდინარეების ნოყიერ ხეობებში, რომლებიც გარშემორტყმული იყო ხშირი ტყეებითა და გორაკებიანი პრერიებით. 1790 წლისათვის ტრანს-აპალაჩის რეგიონის მოსახლეობის რიცხვმა გადააჭარბა 120 000-ს.

ომამდე მრავალმა კოლონიამ განაცხადა პრეტენზია აპალაჩის მთების გადაღმა მიწებზე. ასეთი პრეტენზიების არმქონე კოლონიებს კი არ მიაჩნდათ სამართლიანად ამ მდიდარი ტერიტორიების მიტაცება. მერილენდმა, რომელიც ეკუთვნოდა ამ უკანასკნელთა ჯგუფს, მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად დასავლეთის მიწები უნდა განეხილათ როგორც საერთო საკუთრება, რომელიც კონგრესის მიერ დაიყოფოდა თავისუფალ და დამოუკიდებელ პროვინციებად. ამ იდეას მაინც და მაინც დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდნენ. პირიქით, 1780 წელს ნიუ იორკმა პირველმა დასთმო თავისი პრეტენზიები შეერთებული შტატების სასარგებლოდ. 1784 წელს ვირჯინიამ, რომელსაც უდიდესი პრეტენზიები გააჩნდა, დათმო ყველა ტერიტორია მდინარე ოჰაიოს ჩრდილოეთით. სხვა შტატებიც წავიდნენ დათმობაზე, და ჩანდა, რომ კონგრესი გახდებოდა მდინარე ოჰაიოს ჩრდილოეთით და ალეგენის მთების დასავლეთით მდებარე ყველა ტერიტორიის მფლობელი. მილიონობით ჰექტარი მიწა საერთო საკუთრება ეროვნულობის და ერთიანობის ჯერ–ჯერობით ყველაზე ნიშანდობლივი დამამტკიცებელი საბუთი იყო. შეიქმნა ეროვნული სუვერენიტეტის იდეის გარკვეული საფუძველი. ამავე დროს ეს უკიდეგანო ტერიტორიები წარმოშობდნენ პრობლემებს, რომლებიც აუცილებელ გადაჭრას მოითხოვდნენ.

ამ პრობლემებზე პასუხს იძლეოდნენ „კონფედერაციის დებულებები“. ამ დებულებების თანახმად, შემოღებული იყო შეზღუდული თვითმმართველობის სისტემა (ჩამოყალიბებული ჩრდილო-დასავლეთის მუნიციპალურ დადგენილებებში 1787 წელს).

თავდაპირველად ეს სისტემა შემოიღეს ერთადერთი რაიონის, ჩრდილო–დასავლეთის ტერიტორიების ორგანიზაციული მოწყობისათვის. ამ რაიონს მართავდნენ კონგრესის მიერ დანიშნული გუბერნატორი და მოსამართლეები. როგორც კი მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები, თავისუფალი, ხმის ასაკს მიღწეული მამაკაცების რაოდენობა 5 000 მიაღწევდა, რაიონს შეეძლო ჰქონოდა ორპალატიანი საკუთარი საკანონმდებლო ორგანო და თვითონვე აერჩია ქვედა პალატა.

გარდა ამისა შეეძლო გაეგზავნა კონგრესში ხმის უფლების არმქონე დელეგატი.

ამ ტერიტორიას ეძლეოდა არანაკლებ სამი და არაუმეტეს ხუთი ადგილისა, და როდესაც თავისუფალი მოსახლეობის რიცხვი მიაღწევდა 60 000, შეეძლო შესულიყო კავშირში და ჰქონოდა „ყოველნაირად თანასწორი უფლებები თავდაპირველად შესულ შტატებთან“. მუნიციპალური დადგენილებები იძლეოდნენ სამოქალაქო უფლებების და თავისუფლებების გარანტიას, აგრეთვე იმის გარანტიას, რომ მოცემულ ტერიტორიაზე ადგილი არ ექნებოდა არც მონობას და არც იძულებით სამუშაოებს და ხელს უწყობდნენ განათლების სისტემას.

ეს ახალი პოლიტიკა უარყოფდა საუკუნეებით მიღებულ კონცეფციას, რომ კოლონიები არსებობენ მშობლიური ქვეყნის კეთილდღეობისათვის და არიან პოლიტიკურად მათზე დაქვემდებარებულნი და სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომნი. ეს დოქტრინა შეიცვალა პრინციპით, რომ კოლონიები იგივე ერის ნაწილს წარმოადგენენ და იმსახურებენ თანასწორუფლებიანობას არა როგორც პრივილეგიას, არამედ როგორც მათ უფლებას. „ჩრდილო-დასავლეთის მუნიციპალური დადგენილებების პროგრესულმა დებულებებმა საფუძველი ჩაუყარეს ამერიკის საზოგადოებრივ მიწებთან დაკავშირებულ პოლიტიკას.

---

**საკონსტიტუციო ყრილობა**

ჯორჯ ვაშინგტონი პარიზის ხელშეკრულების დადებიდან კონსტიტუციის შემუშავებამდე პერიოდზე წერდა, რომ შტატები შეკავშირებული იყვნენ მხოლოდ „ქვიშის თოკით“. კამათმა მერილენდსა და ვირჯინიას შორის მდინარე პოტომაკზე ნავიგაციის შესახებ განაპირობა 1786 წელს 5 შტატის წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევა ანაპოლისში, (მერილენდის შტატი). ერთ-ერთმა დელეგატმა, ალექსანდრე ჰამილტონმა, დაარწმუნა კოლეგები, რომ კომერცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებთან, და მდგომარეობა მეტისმეტად სერიოზული იყო საიმისოდ, რომ გადაწყვეტილება ამის თაობაზე არაწარმომადგენლობითმა ორგანომ მიიღოსო.

მისი აზრით საჭირო იყო ეთხოვათ ყველა შტატისათვის თავთავიანთი წარმომადგენლების არჩევა და მომავალ გაზაფხულზე მოეწვიათ შეკრება ფილადელფიაში. თავდაპირველად „ამერიკის ყოფილი კოლონიების კონგრესი“ აღშფოთებით შეხვდა ამ გაბედულ ნაბიჯს, მაგრამ ეს პროტესტი უმალ ჩახშობილ იქნა ცნობით, რომ ვირჯინიამ უკვე აირჩია თავისი დელეგატი ჯორჯ ვაშინგტონის სახით. შემდეგ

შემოდგომასა და ზამთარში არჩევნები ჩატარდა ყველა შტატში, გარდა როუდ აილენდისა.

1787 წელს ფილადელფიის შტატის საკანონმდებლო ორგანოს შენობაში ჩატარდა ფედერალური ყრილობა. ეს იყო გამოჩენილი ადამიანების თავყრილობა. შტატების საკანონმდებლო ორგანოებმა გამოაგზავნეს თავიანთი ლიდერები, რომლებსაც გააჩნდათ მუშაობის გამოცდილება კოლონიალურ და შტატების მთავრობებში, კონგრესში, სასამართლოებსა და არმიაში. ჯორჯ ვაშინგტონი, რომელიც ქვეყნის წარჩინებულ მოქალაქედ ითვლებოდა მისი პატიოსნების და სამხედრო დამსახურების გამო რევოლუციის პერიოდში, არჩეულ იქნა ყრილობის თავმჯდომარედ.

შედარებით აქტიურ წევრებს შორის გამოირჩეოდა ორი პენსილვანიელი: გუბერნატორი მორისი, რომელიც ნათლად ხედავდა ეროვნული მთავრობის საჭიროებას და ჯეიმს ვილსონი, რომელიც დაუღალავად იღწვოდა ეროვნულობის იდეისათვის. პენსილვანიიდან იყო აგრეთვე ბენჯამინ ფრანკლინი, რომელიც აკეთებდა თავის ექსტრაორდინალურ კარიერას საზოგადოებრივი სამსახურისა და სამეცნიერო მოღვაწეობის სარბიელზე. ვირჯინიას წარმოადგენდა ჯეიმს მედისონი, პრაქტიკული ახალგაზრდა პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც შეისწავლიდა პოლიტიკასა და ისტორიას და, მისი კოლეგების თქმით, იყო „შრომისმოყვარეობისა და მუყაითობის სულისკვეთებით განსჭვალული... დებატების დროს ნებისმიერ საკითხზე საუკეთესოდ ინფორმირებული ადამიანი". დღეს მედისონი მიჩნეულია „კონსტიტუციის მამად".

მასაჩუსეთსმა გამოაგზავნა რუფუს კინგი და ელდრიჯ გერი, კომპეტენტური და გამოცდილი ახალგაზრდები. როჯერ შერმანი, ფეხსაცმლის ყოფილი მკერავი შემდეგ კი მოსამართლე, წარმოადგენდა კონექტიკუტს. ნიუ იორკიდან იყო ალექსანდრე ჰამილტონი, რომელმაც წამოაყენა შეხვედრის მოწყობის იდეა. ყრილობას აკლდნენ თომას ჯეფერსონი, რომელიც მსახურობდასაფრანგეთში მინისტრად და ჯონ ადამსი, რომელიც აგრეთვე მინისტრად იყო გაგზავნილი დიდ ბრიტანეთში. ყრილობაზე სჭარბობდა ახალგაზრდობა – 55 დელეგატის საშუალო ასაკი 42 წელს უდრიდა.

ყრილობა უფლებამოსილი იყო მიეღო შესწორებანი კონფედერაციის დებულებებში, მაგრამ, როგორც შემდეგ მედისონი წერდა, დელეგატებმა,"თავისი ქვეყნის რწმენით აღვსილებმა", გადადეს დებულებები გვერდზე და შეუდგნენ მმართველობის სრულიად ახალი ფორმის ჩამოყალიბებას.

მათ აღიარეს, რომ უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ორი განსხვავებული ძალაუფლების შერიგება ადგილობრივი

მაკონტროლებელი ხელისუფლებისა, რომელიც კვლავ რჩებოდა ცამეტ ნახევრად დამოუკიდებელ შტატში, და ცენტრალური მთავრობისა. გამოდიოდნენ რა იმ პრინციპიდან, რომ ეროვნული მთავრობის ფუნქციები და ძალაუფლებანი ახალი, ზოგადი და ყოვლისმომცველი იყო, საჭიროდ მიიჩნიეს მათი დიდი სიფრთხილით განმარტება და ფორმულირება. რაც შეეხება ყველა სხვა ფუნქციასა და ძალაუფლებას, ისინი კვლავ ეკუთვნოდა შტატებს. მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებას რეალური ძალაუფლება რომ ჰქონოდა, დელეგატები აგრეთვე შეთანხმდნენ მოენიჭებინათ მთავრობისათვის უფლებამოსილება მოეჭრა ფული, მოეწესრიგებინა კომერცია, გამოეცხადებინა ომი და დაედო ზავი.

---

**კამათი და კომპრომისი**

მე-18 საუკუნის სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც შეიკრიბნენ ფილადელფიაში, იზიარებდნენ მონტესკიეს კონცეფციას პოლიტიკაში ძალაუფლების ბალანსის შესახებ. ამ პრინციპს ამართლებდა კოლონიური გამოცდილება და განამტკიცებდნენ ჯონ ლოკის შრომები, რომლებსაც კარგად იცნობდა დელეგატების უმრავლესობა. ამ გავლენის შედეგი იყო ის შეხედულება, რომ უნდა შემდგარიყო სამი თანასწორი და შეთანხმებულად მომქმედი ნაწილისაგან. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები უნდა ყოფილიყვნენ თანაბრად გაწონასწორებულები, რომ ვერცერთს ვერ შესძლებოდა მთლიანი კონტროლის ხელში ჩაგდება. დელეგატები შეთანხმდნენ, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება, კოლონიალური საკანონმდებლო ორგანოების და ბრიტანეთის პარლამენტის მსგავსად უნდა შედგებოდეს ორი პალატისაგან. ამ საკითხების ირგვლივ ასამბლეაში ერთსულოვნება სუფევდა. მაგრამ აზრთა მკვეთრმა სხვადასხვაობამ თავი იჩინა მათი მიღწევის მეთოდების განხილვისას. პატარა შტატების წარმომადგენლები (მაგალითად, ნიუ ჯერსის) გამოვიდნენ იმ ცვლილებების წინააღმდეგ, რომლებსაც შეეძლოთ შეესუსტებინათ მათი გავლენა ეროვნულ მთავრობაში. კერძოდ, ისინი მოითხოვდნენ, „კონფედერაციის დებულებების" მსგავსად მთავრობაში წარმომადგენლობა აერჩიათ შტატების და არა მოსახლეობის მიხედვით.

მეორეს მხრივ, ვირჯინიის მსგავსი დიდი შტატების წარმომადგენლები მოითხოვდნენ პროპორციულ წარმომადგენლობას. ამ დებატებს დასასრული არ უჩანდა, სანამ როჯერ შერმანმა არ დაასაბუთა შტატის მოსახლეობის მიხედვით პროპორციული წარმომადგენლობა კონგრესის ერთ წარმომადგენლობით პალატაში და თანაბარი წარმომადგენლობა მეორე პალატაში – სენატში.

ამის შემდეგ გაქრა დიდი შტატების განწყობა პატარა შტატების წინააღმდეგ. მაგრამ ყოველი დასმული კითხვა წამოჭრიდა ახალ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ ახალი კომპრომისებით შეიძლებოდა. ჩრდილოეთის წარმომადგენლებს სურდათ, რომ თითოეული შტატის გადასახადის წილის განსაზღვრისას, მონებიც მოეღოთ მხედველობაში, მაგრამ ამავე დროს წინააღმდეგი იყვნენ ასეთი ქმედებისა წარმომადგენელთა პალატაში შტატისათვის კუთვნილი ადგილების დადგენისას. მიღწეული კომპრომისის თანახმად, წარმომადგენელთა პალატაში ადგილების რაოდენობა განისაზღვრებოდა თავისუფალ მოსახლეთა რაოდენობას დამატებული სამი მეხუთედი მონების რიცხვით.

ზოგიერთი წევრი, მაგალითად, შერმანი და ელბრიჯ მერი, რომლებსაც ჯერ დაევიწყებინათ შეისის აჯანყება, შიშობდა, რომ ხალხთა მასებს არ ექნებოდა თავისი თავის მართვისათვის საკმარისი სიბრძნე, და, ამდენათ არ სურდათ,რომ ფედერალური მთავრობის რომელიმე ნაწილი არჩეული ყოფილიყო უშუალოდ ხალხის მიერ. სხვები ფიქრობდნენ, რომ ეროვნული მთავრობა მაქსიმალურად უნდა დაყრდნობოდა ხალხს. ზოგ დელეგატს სურდა ჩამოეშორებინა ქვეყნის სულ უფრო მზარდი დასავლეთი ნაწილი სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობისაგან; სხვები მხარს უჭერდნენ თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა ჩრდილო-დასავლეთის ოლქის მუნიციპალურ დადგენილებებში 1787 წელს.

რაიმე სერიოზულ უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია ეროვნული ეკონომიკის საკითხებში, როგორიცაა ქაღალდის ფული, საკონტრაქტო ვალდებულებების კანონები ან ქალების როლი, რომელიც მთლიანად ჩამოაშორეს პოლიტიკას. მაგრამ საჭირო იყო ადგილობრივი ეკონომიკური ინტერესების გაწონასწორება და ისეთი საკითხების მოგვარება, რომლებიც ეხებოდა ძალაუფლებას, აღმასრულებელი ხელმძღვანელის არჩევას და მათ უფლებამოსილების ვადებს, მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის ვადებს და მომავალი სასამართლოს ტიპის განსაზღვრას.

ფილადელფიის ცხელ ზაფხულს დაძაბული მუშაობის შედეგად ყრილობამ საბოლოოდ მოკლე დოკუმენტის სახით მიიღო მონახაზი აქამდე არსებული ყველაზე რთული მთავრობის ორგანიზაციისა – უმაღლესი მთავრობისა, მისი უფლებამოსილებისა ნათლად განმარტებული და შეზღუდული სფეროთი. ყრილობამ მიანიჭა ფედერალურ მთავრობას ბეგარის აკრეფის, ფულის სესხების, ერთიანი ბაჟის დაწესების, მონეტების, აქციზისა, წონის და ზომების დადგენის,

პატენტების და საავტორო უფლებების მიცემის, საფოსტო განყოფილებების შექმნისა და საფოსტო გზების მშენებლობის სრული ძალაუფლება. ეროვნულ მთავრობას აგრეთვე ჰქონდა უფლება შეენახა ჯარი და ფლოტი და დაერეგულირებინა შტატებს შორის ვაჭრობა. მას ევალებოდა ინდიელებთან ურთიერთობების მოგვარება, საგარეო პოლიტიკისა და ომის წარმოება. ის უფლებამოსილი იყო გაეტარებინა კანონები უცხოელებისათვის ქვეშევრდომობის მინიჭებისა და საზოგადოებრივი მიწების კონტროლის შესახებ და მიეღო ახალი შტატები ძველ შტატებთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

უფლება ყველა კანონის გატარებისა, რომელიც საჭირო და აუცილებელი იყო ამ ნათლად ჩამოყალიბებული ძალაუფლების განსახორციელებლად, შესაძლებლობას აძლევდა ფედერალურ მთავრობას გაეთვალისწინებინა მომავალი თაობების და ძალიან გაზრდილი სახელმწიფოს საჭიროებანი. ძალაუფლებათა განაწილების პრინციპი უკვე საკმაოდ გამოცდილი იყო შტატების უმეტესობაში და მან თავისი თავი გაამართლა. ამის შესაბამისად ყრილობამ შეიმუშავა სამთავრობო სისტემა ერთმანეთისგან გამიჯნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებით, რომლებიც ურთიერთკონტროლს ახორციელებდნენ. კონგრესის კანონპროექტები ვერ შევიდოდნენ ძალაში ვიდრე მათ არ დაამტკიცებდა პრეზიდენტი. ხოლო პრეზიდენტს თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ყველა ხელშეკრულებები უნდა გადაეცა დასამტკიცებლად სენატისთვის. კონგრესს შეეძლო პრეზიდენტის პასუხისმგებლობაში მიცემა და გადაყენება. მოსამართლეებს უნდა მოესმინათ ყველა საქმე, წამოყენებული ფედერალური კანონების და კონსტიტუციის მიხედვით სასამართლოებს ეძლეოდათ როგორც ფუნდამენტალური, ისე კანონმდებლობითი კანონების ინტერპრეტაციის უფლება, მაგრამ კონგრესს, თავისმხრივ შეეძლო პასუხისმგებლობაში მიეცა მოსამართლეთა კორპორაციის წევრები, რომლებსაც ნიშნავდა პრეზიდენტი და ამტკიცებდა სენატი.

კონსტიტუციის დასაცავად ნაჩქარევი ცვლილებებისგან V მუხლი ადგენდა, რომ კონსტიტუციის შესწორებები უნდა წარმოედგინათ კონგრესის ორივე პალატის ორი მესამედით ან კრებაზე მონაწილე შტატების ორი მესამედით. წინადადების რატიფიკაცია ხდებოდა ორიდან ერთ-ერთი მეთოდით: ან შტატების საკანონმდებლო ორგანოების სამი მეოთხედით, მონაწილე შტატების სამი მეოთხედის მიერ კრებაზე, – კონგრესს კი უნდა აერჩია თუ რომელი მეთოდით ისარგებლებდნენ.

საბოლოოდ კრებამ განიხილა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა: იყო თუ არა საჭირო ახალი მთავრობისთვის მიცემული ძალაუფლების ძალდატანებით გატარება? „კონფედერაციის დებულებების " მოქმედების დროს ეროვნულ მთავრობას გააჩნდა მნიშვნელოვანი ძალაუფლება, რომელიც იმჟამად მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა და პრაქტიკაში ნულზე დადიოდა, ვინაიდან ცალკეული შტატები ყურადღებას არ აქცევდნენ მათ. რა დაიცავდა ახალ მთავრობას იგივე ბედისგან?

თავდაპირველად ყველა დელეგატს ერთი პასუხი ჰქონდა – ძალის გამოყენება. მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ შტატებზე ძალისმიერი მოქმედება დაანგრევდა კავშირს. ამიტომ გადაწყდა, რომ მთავრობამ უნდა იმოქმედოს არა შტატებზე, არამედ შტატებში მცხოვრებ ადამიანებზე და გამოსცეს კანონები ქვეყნის ყოველი ცალკეული მაცხოვრებლისათვის. კონსტიტუციის ქვაკუთხედად კონგრესმა მიიღო მოკლე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი დადგენილება:

> *კონგრესს აქვს უფლება... მიიღოს კანონები, რომლებიც საჭირო და ხელსაყრელია იმ ძალაუფლების განსახორციელებლად, რომელიც კონგრესმა მიანიჭა შეერთებული შტატების მთავრობას...* (მუხლი I, ნაწილი 7)
>
> *ეს კონსტიტუცია და შეერთებული შტატების კანონები ამერიდან შესრულებული იქნება და ყველა ხელშეკრულება, რომელიც დაიდება ამერიკის შეერთებული შტატბის მთავრობის მიერ, უნდა იყოს უმაღლესი კანონი ამ მიწაზე; და ყველა შტატის მოსამართლეები შეასრულებენ მათ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცალკეული შტატის კანონი ან კონსტიტუციის პუნქტი საწინააღმდეგოს მიუთითებს.* (მუხლი VI)

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების კანონების იძულებით გატარება შეიძლებოდა მის საკუთარ ეროვნულ სასამართლოებში, მისი საკუთარი მოსამართლეების მეშვეობით, ისევე როგორც ცალკეული შტატების სასმართლოებში და შტატების სასამართლო მოხელეების მიერ.

დღემდე გრძელდება კამათი იმ ადამიანთა მოტივების თაობაზე, რომლებმაც კონსტიტუცია დაწერეს. 1913 წელს ჩარლზ ბიარდი თავის ნაშრომში „კონსტიტუციის ეკონომიკური ინტერპრეტაცია" ამტკიცებდა, რომ დამფუძნებელი მამები მოელოდნენ ეკონომიკურ წინსვლას იმ სტაბილური სიტუაციის წყალობით, რომელიც შეიქმნებოდა ძლიერი და ავტორიტარული ეროვნული მთავრობის არსებობის შემთხვევაში, ვინაიდან მათ გააჩნდათ გაუფასურებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დიდი ნაწილი. მაგრამ, სინამდვილეში ჯეიმს მედისონს, კონსტიტუციის პროექტის ძირითად

ავტორს, არ ჰქონდა ობლიგაციები, მაშინ როდესაც მისი ზოგიერთი ოპონენტის ხელში მოქცეული იყო ობლიგაციების და ფასიანი ქაღალდების დიდი რაოდენობა. ეკონომიკური ინტერესები ისევე როგორც შტატების, სექციების და იდეოლოგიური ინტერესები გავლენას ახდენდნენ დებატების მსვლელობაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ფერმერების იდეალიზაცია. განმანათლებელთა იდეალებზე გაზრდილმა განმანათლებელმა მამებმა ჩამოაყალიბეს მთავრობა, რომელიც მათი რწმენით, ხელს შეუწყობდა ინდივიდუალურ თავისუფლებას და საზოგადოებრივ ღირსებას. აშშ-ს კონსტიტუციაში ხორცშესხმული იდეალები წარმოადგენენ ამერიკის ეროვნული ინდივიდუალურობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს.

---

**რატიფიკაცია და უფლებათა ბილი**

**1787** წლის 17 სექტემბერს, 16-კვირიანი თათბირის შემდეგ, კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტს ხელი მოაწერა 42 დამსწრე დელეგატიდან 39-მა. ფრანკლინმა ხელი გაიშვირა ჯ. ვაშინგტონის სკამის საზურგეზე გამოსახული კაშკაშა ოქროსფრად შეღებილი ნახევარ მზისკენ და თქვა:

*ამ სესიის მსვლელობისას მე ხშირად ვუყურებდი ამ საზურგეს პრეზიდენტის უკან და ვერ გამერკვია, მზის ამოსვლას ასახავდა ის, თუ ჩასვლას; მაგრამ ახლა, ბოლოს და ბოლოს მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ვიცი– ეს მზე ამომავალია და არა ჩამავალი.*

ყრილობა დასრულდა; მისი წევრები „შეიკრიბნენ ქალაქის სამიკიტნოში, ერთად ისადილეს და გულთბილად დაემშვიდობნენ ერთმანეთს“. მაგრამ უფრო სრულყოფილი კავშირისთვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი ჯერ კიდევ წინ იყო. დოკუმენტის ძალაში შესასვლელად საჭირო იყო ცალკეულ შტატებში ხალხის მიერ არჩეული ყრილობების თანხმობის მიღება.

ყრილობამ გადაწყვიტა, რომ კონსტიტუცია შევიდოდა ძალაში მას შემდეგ, რაც მოხდებოდა მისი რატიფიცირება 13-დან 9 შტატის ყრილობებზე მაინც. 1788 წლის ივნისისათვის 9 შტატმა მოახდინა კონსტიტუციის რატიფიცირება, გამონაკლისს შეადგენდნენ ვირჯინიისა და ნიუ იორკის დიდი შტატები. ხალხის უმრავლესობა გრძნობდა, რომ ამ ორი შტატის თანხმობის გარეშე კონსტიტუციას არ ექნებოდა ჯეროვანი რეპუტაცია. დოკუმენტი, ერთი შეხედვით, გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა: ხომ არ შეავიწროებდა მათ დიდი გადასახადებით ჩამოყალიბებული ცენტრალური ხელისუფლება და ხომ არ ჩაითრევდა ომში?

ამ საკითხებზე განსხვავებული შეხედულებისა იყვნენ ორი პარტიის წარმომადგენლები: ფედერალისტები, რომლებიც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მომხრეები იყვნენ, და

ანტიფედერალისტები, რომლებიც ამჯობინებდნენ დამოუკიდებელ შტატებს შორის კავშირის შესუსტებას. ორივე მხარის არგუმენტები გამოქვეყნდა პრესაში და განხილულ იქნა საკანონმდებლო ორგანოების მიერ და შტატების ყრილობებზე.

ვირჯინიაში ანტიფედერალისტებმა ახალ არჩეულ მთავრობას შეუტიეს კონსტიტუციის შესავალი სიტყვებით: „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი". დადგენილებები ამტკიცებდნენ, რომ კონსტიტუციაში ცალკეული შტატების დასახელებების გამოყენების გარეშე შტატები ვერ დაიცავდნენ თავიანთ უფლებებს და ძალაუფლებას. ვირჯინიის ანტიფედერალისტების ლიდერი პატრიკ ჰენრი წარმოადგენდა ფერმერებს, რომლებსაც ეშინოდათ ცენტრალური ხელისუფლების. მერყევი დელეგატები დაარწმუნეს, რომ ვირჯინიის ყრილობა სთავაზობდა „უფლებათა ბილს", და ამდენად, ანტიფედერალისტები შეუერთდნენ ფედერალისტებს, რათა 25 ივნისს მოეხდინათ კონსტიტუციის რატიფიცირება.

ნიუ-იორკში ალექსანდრე ჰამილტონმა, ჯონ ჯეიმ და ჯეიმს მედისონმა თავიანთი ესეების სერიებით, რომლებიც ცნობილია „ფედერალისტების წერილების" სახელით, ბიძგი მისცეს კონსტიტუციის რატიფიცირებას ყრილობის მიერ. ესეები გამოქვეყნდა ნიუ-იორკის გაზეთებში. მასთ თან დაერთო არგუმენტები ცენტრალური ფედერალური ხელისუფლების სასარგებლოდ, რომელსაც გააჩნია ერთმანეთის შემმოწმებელი და გამაწონასწორებელი დამოუკიდებელი აღმასრულებელი საკანონმდებლო და იურიდიული განშტოებები. „ფედერალისტების ნაწერების გავლენით ნიუ იორკის დელეგატებმა მოახდინეს კონსტიტუციის რატიფიცირება 26 ივლისს.

ანტიპატია ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისადმი მხოლოდ ერთ-ერთი იყო კონსტიტუციის წინააღმდეგ არსებულ სხვა დამოკიდებულებებს შორის. ბევრი შიშობდა, რომ კონსტიტუცია საკმარისად არ დაიცავდა ცალკეული პირების უფლებებსა და თავისუფლებას. ვირჯინელი ჯორჯ მესონი, ვირჯინიის 1776 წლის უფლებათა დეკლარაციის ავტორი, ერთ-ერთი იმ სამ დელეგატთაგანი იყო, რომლებმაც უარი განაცხადეს საბოლოო დოკუმენტზე ხელის მოწერაზე იმ მოტივით, რომ მასში არ იყო ჩამოთვლილი პიროვნების უფლებები. პატრიკ ჰენრისთან ერთად მან წამოიწყო კომპანია ვირჯინიაში კონსტიტუციის რატიფიცირების წინააღმდეგ. ხუთმა შტატმა, მასაჩუსეთსის ჩათვლით, მოახდინა კონსტიტუციის რატიფიცირება იმ პირობით, რომ ასეთი შესწორებანი დაუყოვნებლივ იქნება შეტანილი.

როდესაც 1789 წლის სექტემბერში ქალაქ ნიუ-იორკში შეიკრიბა პირველი ყრილობა, მოწოდებებმა კონსტიტუციაში

პიროვნების უფლებებთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანის შესახებ ერთსულოვანი ხასიათი შეიძინა. კონგრესმა სწრაფად მიიღო 12 ასეთი შესწორება; 1791 წლის დეკემბრისათვის უკვე შტატების იმ რაოდენობამ მოახდინა 10 შესწორების რატიფიცირება, რომელიც საკმარისი იყო იმისათვის, რომ შესწორებანი ჩათვლილიყვნენ კონსტიტუციის ნაწილად. ერთობლიობაში ისინი ცნობილნი არიან როგორც „უფლებათა ბილი“. მათ შორისაა: სიტყვის, პრესის, რელიგიის თავისუფლება; მშვიდობიანი შეკრებების პროტესტისა და ცვლილებების მოთხოვნების უფლება (პირველი შესწორება); უმიზეზო ძებნის, ქონების კონფისკაციის და დაპატიმრებისაგან დაცვა (მეათე შესწორება); კანონის გატარება ყველა კრიმინალურ შემთხვევაში (მეხუთე შესწორება); მიუკერძოებელი და სწრაფი განაჩენის გამოტანის უფლება (მეექვსე შესწორება); სასტიკი და უჩვეულო დასჯისგან დაცვა (მერვე შესწორება); გარანტია, რომ ხალხს რჩება დამატებითი უფლებანი, რომლებიც არ არიან ჩამოთვლილნი კონსტიტუციაში (მეცხრე შესწორება).

„უფლებათა ბილის“ მიღებიდან კონსტიტუციას დაემატა მხოლოდ 16 შესწორება. შესაბამის შესწორებათა გარკვეული რიცხვი აწესრიგებდა ფედერალური მთავრობის სტრუქტურას და მოქმედებას; ბევრი მათგანი, „უფლებათა ბილის“ პრეცედენტის მსგავსად, მოითხოვდა პიროვნული უფლებებისა და თავისუფლების გაფართოებას.

---

## პრეზიდენტი ვაშინგტონი

კონფედერაციის ყრილობის ერთ-ერთ უკანესკნელ აქტს წარმოადგენდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის დანიშენა 1789 წლის 4 მარტს, თარიღისა, როდესაც ქვეყანას ახალი მთავრობა ეყოლებოდა. სახელი, რომელიც ყველას ეკერა პირზე როგორც სახელმწიფო ახალი მეთაურისა იყო ჯორჯ ვაშინგტონი, და იგი ერთსულოვნად იქნა არჩეული პრეზიდენტად 1789 წლის 30 აპრილს. როგორც ყველა შემდგომმა პრეზიდენტმა, ვაშინგტონმა ფიცი დადო, რომ ერთგულად შეასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობებს და გამოიყენებდა მთელ თავის შესაძლებლობებს „შეერთებული შტატების კონსტიტუციის დასაცავად“.

ვაშინგტონის პრეზიდენტად არჩევის დროისათვის ახალ კონსტიტუციას არც გააჩნდა არც ტრადიციები და არც მხარდამჭერი ორგანიზებული საზოგადოებრივი აზრი. უფრო მეტიც, ახალ მთავრობას უნდა შეექმნა საკუთარი სახელმწიფო აპარატი. იურიდიულ დამტკიცებამდე კანონებს ვერ გამოიყენებდნენ. არმია მცირერიცხოვანი იყო. სამხედრო საზღვაო ფლოტმა შეწყვიტა არსებობა.

კონგრესმა სწრაფად შექმნა სახელმწიფო დეპარტამენტი და ხაზინა, რომელთა მდივნებად დაინიშნენ შესაბამისად თომას ჯეფერსონი და ალექსანდრე ჰამილტონი. ამავე დროს, კონგრესმა ჩამოაყალიბა ფედერალური სასამართლო, შექმნა არა მარტო უმაღლესი სასამართლო, ათი მთავარი და ხუთი ასოცირებული მოსამართლით, არამედ აგრეთვე სამი სასამართლო ოლქი და ცამეტი რეგიონალური სასამართლო. დაინიშნულ იქნა აგრეთვე სამხედრო და იუსტიციის მინისტრები. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ვაშინგტონი ამჯობინებდა გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ იმ ხალხთან კონსულტაციების შემდეგ, ვის აზრსაც ის აფასებდა, შეიქმნა პრეზიდენტის კაბინეტი, რომელშიც შევიდნენ კონგრესის მიერ შექმნილი დეპარტამენტის ხელმძღვანელები.

დროთა განმავლობაში ქვეყანა თანდათან იზრდებოდა და მატულობდა იმიგრაცია ევროპიდან. ამერიკელებმა გადაინაცვლეს დასავლეთისაკენ: ახალი ინგლისისა და პენსილვანიის მცხოვრებლებმა – ოჰაიოში, ვირჯინიელებმა და კაროლინელებმა – კენტუკსა და ტენესში. იქ შედარებით იაფად შეიძლებოდა კარგი ფერმების შეძენა; დიდი მოთხოვნა იყო მუშახელზე. ზემო ნიუ იორკში, პენსილვანიასა და ვირჯინიაში განლაგებული მდიდარი დაბლობები მალე გადაიქცნენ ხორბლის მომყვან რაიონებად.

მიუხედავად ამისა, მრავალი ნივთი დიდი რაოდენობით კვლავ შინ კეთდებოდა, სამრეწველო რევოლუცია ამერიკაში ჯერ საწყის ფაზაში იყო. მასაჩუსეთსმა და როუდ აილენდმა სათავე დაუდეს მნიშვნელოვან საფეიქრო მრეწველობას; კონექტიკუტი იწყებდა თუნუქისა და საათების წარმოებას; ნიუ იორკი, ნიუ ჯერსი და პენსილვანია აწარმოებდნენ ქაღალდს, მინას და რკინას, სავაჭრო ფლოტი იმდენად გაიზარდა, რომ შეერთებული შტატები ზღვაზე მეორე გახდა ბრიტანეთის შემდეგ. 1790 წლამდე ამერიკული გემები დაცურავდნენ ჩინეთში ტყავისა და ბეწვეულის გასაყიდად და ჩაის, სანელებლებისა და აბრეშუმის ჩამოსატანად.

ქვეყნის ზრდის ამ კრიტიკულ გზაჯვარედინზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვაშინგტონის ბრძნულ ხელმძღვანელობას. მან ჩამოაყალიბა ეროვნული მთავრობა; პოლიტიკა, რომელიც უნდა გატარებულიყო დიდი ბრიტანეთის და ესპანეთის ყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მიმართ; წესრიგი დაამყარა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტირში და მეთვალყურეობა გაუწია სამი ახალი შტატის შექმნას: ვერმონტი (1791), კენტუკი (1792) და ტენესი (1796). დასასრულს, თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში ვაშინგტონმა გააფრთხილა ერი – „მოერიდეთ მუდმივ ალიანსს მსოფლიოს სხვა ნებისმიერ ნაწილთან". ეს რჩევა თაობების მანძილზე

ახდენდა გავლენას ამერიკის ურთიერთობაზე დანარჩენ მსოფლიოსთან.

---

**ჰამილტონი ჯეფერსონის წინააღმდეგ**

კონფლიქტმა, რომელიც წარმოიშვა ფედერალისტებსა და ანტიფედერალისტებს შორის 1790 წლებში ღრმა დაღი დაასვა ამერიკის ისტორიას. ფედერალისტები, ალექსანდრე ჰამილტონის მეთაურობით, რომელიც შაილერების შეძლებული ოჯახის შთამომავალზე დაქორწინდა, წარმოადგენდნენ საპორტო ქალაქების კომერსანტების ინტერესებს. ანტი ფედერალისტები, თომას ჯეფერსონის ხელმძღვანელობით, გამოდიოდნენ სოფლის და სამხრეთის ინტერესების დამცველებად. მათ შორის კამათი შეეხო ცენტრალური ხელისუფლების და შტატების ძალაუფლებათა ურთიერთდამოკიდებულებას. ფედერალისტები უპირატესობას ანიჭებდნენ ძალაუფლების არსებულ ფორმას, ხოლო ანტიფედერალისტები გამოდიოდნენ შტატების უფლების დამცველებად.

ჰამილტონი მოითხოვდა კომერციისა და მრეწველობის დამცველ ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას. მან შთააგონა ხალხს ეფექტურობის, წესრიგისა და ორგანიზაციის სიყვარული. წარმომადგენელთა პალატის მოწოდებაზე „საზოგადოებრივი კრედიტის ადეკვატური მოხმარების“ პასუხად მან დასთმო თავისი პოზიცია და მხარი დაუჭირა არა მარტო სახალხო ეკონომიის პრინციპებს, არამედ მომქმედ ხელისუფლებასაც.

ჰამილტონი მიუთითებდა, რომ ამერიკას უნდა ჰქონოდა კრედიტი მრეწველობის განვითარებისათვის, კომერციული საქმიანობისათვის და მთავრობის მოქმედებათა დასაფინანსებლად. მთავრობას აუცილებლად უნდა ჰქონოდა ხალხის მხრიდან სრული ნდობა და დახმარება. ბევრს სურდა უარი ეთქვა ეროვნულ ვალზე ან მისი ნაწილობრივ გასტუმრებაზე. ჰამილტონი მოითხოვდა ვალის სრულ დაფარვას და გეგმის შედგენას, რომლის მიხედვით ფედერალური მთავრობა დაიბრუნებდა შტატების გადაუხდელ ვალებს, რომლებიც რევოლუციის დროს იქნა აღებული.

ჰამილტონმა მოიფიქრა „შეერთებული შტატების ბანკი“-ს დაარსება, რომლის ფილიალები ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში იქნებოდნენ განლაგებულნი. იგი სპონსორობას უწევდა ეროვნულ ზარაფხანას და მოითხოვდა ტარიფების დაცვას „ჩვილი მრეწველობის“ არგუმენტის მოშველიებით, რომლის თანახმად ახალი ფირმების დროებითი დაცვა დააჩქარებდა ეროვნული მრეწველობის სწრაფ განვითარებას. ყოველივე ამან – ფედერალური ხელისუფლების მიერ ფირმების შესაქმნელად კრედიტის გამოყოფამ და ამ კრედიტის ყველა ახალი

ფირმისათვის მიცემამ განავითარა კომერცია და მრეწველობა და სოლიდური დასაყრდენი შეუქმნა ბიზნესმენებს, რომლებმაც ხელისუფლების დახმარებით განიმტკიცეს პოზიციები.

ჯეფერსონი მხარს უჭერდა დეცენტრალიზებული აგრარული რესპუბლიკის იდეას. იგი აღიარებდა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელობას საგარეო ურთიერთობებში, მაგრამ წინააღმდეგი იყო მისი სხვა სფეროებში გამოყენებისა. ჰამილტონის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ეფექტური ორგანიზაცია, მაშინ როდესაც ჯეფერსონმა ერთხელ აღნიშნა: „მე არა ვარ მომხრე ძალიან ენერგიული მთავრობის". ჰამილტონს ეშინოდა ანარქიის და აზროვნებდა წესრიგიდან გამომდინარე; ჯეფერსონს ეშინოდა ტირანიის და აზროვნებდა თავისუფლებიდან გამომდინარე.

შეერთებულ შტატებს ორივე გზა სჭირდებოდა. ქვეყანას ნამდვილად გაუღიმა ბედმა, რომ ჰყავდა ეს ორი პიროვნება და შესძლო დროულად შეეთანხმებინა მათი ფილოსოფიური შეხედულებანი. ერთმა შეჯახებამ მათ შორის, რომელიც მოხდა მალე მას შემდეგ, რაც ჯეფერსონი სახელმწიფო მინისტრი გახდა, წარმოშვა კონსტიტუციის ახალი და ღრმად მნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია. როდესაც ჰამილტონმა წარმოადგინა ანგარიში ეროვნული ბანკის დაფუძნებასთან დაკავშირებით, ჯეფერსონმა იგი უარყო. იცავდა რა შტატების უფლებებს, ჯეფერსონი ამტკიცებდა, რომ კონსტიტუციაში ნათლად იყო ჩამოთვლილი ყველა ძალაუფლება, რომელიც ეკუთვნოდა ფედერალურ ხელისუფლებას, ხოლო ყველა სხვა უფლებები რჩებოდა შტატებს. კონსტიტუციაში კი არაფერი იყო ნათქვამი ბანკის შექმნის უფლების შესახებ.

ჰამილტონი შეედავა, რომ მრავალმხრივი საჭიროების გამო, უფლებების მთავარ ნაწილში უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი ზოგადი მუხლების არსებობა. ერთ-ერთ მათგანს უნდა მოენიჭებინა კონგრესისათვის უფლებამოსილება „შემოეღო ყველა კანონი, რომელიც აუცილებელი და საჭირო იყო" იმისათვის, რომ განეხორციელებინა მისთვის მინიჭებული ცალკეული უფლებანი. ეროვნულ ხელისუფლებას კონსტიტუცია ანიჭებდა უფლებას დაეწესებინა და შეეგროვებინა გადასახადი, გაესტუმრებინა ვალები და ესესხა ფული. ეროვნული ბანკის არსებობა ხელს შეუწყობდა ამ ფუნქციების ეფექტურად შესრულებას. აქედან გამომდინარე, კონგრესი უფლებამოსილი იყო შეექმნა ასეთი ბანკი. ვაშინგტონმა და კონგრესმა მიიღეს ჰამილტონის შეხედულებანი და ეს იყო მნიშვნელოვანი პრეცენდენტი ფედერალური ხელისუფლების უფლების გაზრდისა.

### ჰამილტონი ჯეფერსონის წინააღმდეგ

თუმცა ახალი მთავრობის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ადგილობრივი ეკონომიკის გამაგრება და ერის ფინანსურად უზრუნველყოფა, შეერთებულ შტატებს არ შეეძლოთ საგარეო ურთიერთობების იგნორირება. ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენდა მშვიდობის დაცვა, იმ მიზნით, რომ ქვეყანას მისცემოდა ჭრილობის მოშუშების საშუალება და შესაძლებელი ყოფილიყო ეროვნული ინტეგრაციის გაგრძელება. მოვლენათა განვითარებამ ევროპაში საფრთხე შეუქმნა ამ მიზნების განხორციელებას. ბევრი ამერიკელი დიდი ინტერესითა და სიმპატიით ადევნებდა თვალყურს საფრანგეთის რევოლუციას, და 1793 წლის აპრილში შემოღწეულმა ახალმა ამბებმა აქცია ეს კონფლიქტი კამათის საგნად ამერიკის პოლიტიკაში. საფრანგეთმა გამოუცხადა ომი დიდ ბრიტანეთს და ესპანეთს. საფრანგეთის ახალი დესპანი, ედმონდ შარლ ჟენე– ცნობილი როგორც მოქალაქე ჟენე– ჩამოდიოდა შეერთებულ შტატებში.

1793 წლის იანვარში მეფე ლუი XVI-ს გადაგდების შემდეგ ბრიტანეთი, ესპანეთი და ჰოლანდია ჩათრეული აღმოჩნდნენ საფრანგეთთან ომში. 1778 წელს დადებული ამერიკა-საფრანგეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების თანახმად შეერთებული შტატები და საფრანგეთი სამუდამო მოკავშირეებად ითვლებოდნენ და ამერიკა ვალდებული იყო დახმარებოდა საფრანგეთს ვესტ ინდოეთის დაცვაში. მაგრამ შეერთებულ შტატებს, სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით სუსტ ქვეყანას, არ შესწევდა ძალა კვლავ ყოფილიყო ჩართული ომში ძლიერ ევროპულ სახელმწიფოებთან. 1793 წლის 22 აპრილს ვაშინგტონმა ფაქტიურად მოახდინა 1778 წლის ხელშეკრულების ვადების ანულირება და შესაძლებელი გახდა ამერიკის დამოუკიდებლობა იმით, რომ გამოეცხადებინა შეერთებული შტატები „მეომარი სახელმწიფოების მეგობრულ და მიუკერძოებელ მხარედ“. როდესაც ჟენე ჩამოვიდა, მას ბევრი ამერიკელი მოქალაქე სიხარულით შეხვდა, მაგრამ მთავრობის დამოკიდებულება მისადმი ცივი და ფორმალური იყო. გაბრაზებულმა ჟენემ დარღვია პირობა, რომ არ აღჭურვიდა დატყვევებულ ბრიტანულ გემს როგორც კაპერს. შემდგომ ჟენე დაიმუქრა, რომ მოახდენდა ზემოქმედებას ამერიკელ ხალხზე. ყოველივე ამის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა მოსთხოვეს საფრენგეთის მთავრობას მისი გაწვევა.

ჟენესთან დაკავშირებულმა ინციდენტმა დაძაბა ამერიკის ურთიერთობა საფრანგეთთან, მაშინ როდესაც ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან კიდევ შორს იყო დამაკმაყოფილებელისაგან. ბრიტანულ ჯარებს კვლავ ჰქონდათ დაკავებული პორტები დასავლეთში რევოლუციის პერიოდში ბრიტანელი

ჯარისკაცების მიერ წაღებული ქონება ჯერ კიდევ არ იყო აღდგენილი ან გადახდილი, და ბრიტანული საზღვაო ფლოტი ატყვევებდა ამერიკულ გემებს ფრანგული პორტების მახლობლად. ამ საკითხების მოსაგვარებლად ვაშინგტონმა სპეციალურ დესპანად გააგზავნა ლონდონში ჯონ ჯეი, უმაღლესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე, სადაც მან მიაღწია შეთანხმებას ბრიტანელი ჯარისკაცების დასავლეთის პორტებიდან გამოყვანის შესახებ და მიიღო ლონდონის დაპირება, რომ აანაზღაურებდა ბრიტანეთის მიერ გემების შეპყრობით და 1793-1794 წლებში მათი ტვირთის გატაცებით გამოწვეულ ზარალს. ასახავდა რა შეერთებული შტატების პოზიციის სისუსტეს, ხელშეკრულება შეიცავდა მთელ რიგ შეზღუდვებს ამერიკელთა ვაჭრობაზე ვესტ ინდოეთთან და არაფერს ამბობდა ამერიკული გემების შეპყრობის შესახებ მომავალში ან ამერიკელი მეზღვაურების იძულებაზე ემსახურათ ბრიტანულ სამხედრო ფლოტში. ჯეიმ აგრეთვე მიაპყრო ბრიტანელთა ყურადღება იმას, რომ ხდებოდა საომარი მასალის კონტრაბანდა, რომელიც არ უნდა გადასცემოდა მტრის პორტებს ნეიტრალური გემებით.

ჯეის ხელშეკრულება იქცა საგარეო პოლიტიკაში ძლიერი უთანხმოების საგნად ანტიფედერალისტებსა, რომელთაც ახლა რესპუბლიკელები ერქვათ, და ფედერალისტებს შორის. ფედერალისტებს მოსწონდათ პრო-ბრიტანული პოლიტიკა, რადგან კომერციული ინტერესები, რომელთაც ისინი წარმოადგენდნენ, სარგებელს პოულობდნენ ბრიტანელებთან ვაჭრობაში. ამის საპირისპიროდ, რესპუბლიკელები მხარს უჭერდნენ საფრანგეთს, ძირითადად იდეოლოგიური მიზეზების გამო, და მიიჩნევდნენ ჯეის ხელშეკრულებას მეტად ხელსაყრელად ინგლისისათვის. ხანგრძლივი დებატების შემდეგ სენატმა მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება.

**ვაშინგტონი და ადამსი**

ვაშინგტონი გადადგა 1797 წელს. მან კატეგორიული უარი განაცხადა სახელმწიფოს სათავეში დარჩენაზე რვა წელიწადზე მეტ ხანს. ახალ პრეზიდენტად აირჩიეს მისი ვიცე-პრეზიდენტი ჯონ ადამსი, მასაჩუსეთსიდან. ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა, მას მოუვიდა უთანხმოება ალექსანდრე ჰამილტონთან – და ამრიგად, არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა პარტიაში განხეთქილების გამო.

საშინაო სიძნელეებს ემატებოდა საერთაშორისო სირთულეები. საფრანგეთმა, გაბრაზებულმა ჯეის ამასწინდელი ხელშეკრულებით ბრიტანეთთან, ისარგებლა ბრიტანეთის არგუმენტით, რომ საკვები პროდუქტები, საზღვაო ფლოტის მარაგი და სამხედრო მასალა, რომელიც შეპქონდათ მტრის

პორტებში, უნდა შეეპყროთ და მოეხდინათ კონფისკაცია. 1797 წლისათვის საფრანგეთმა ხელთ იგდო 300 ამერიკული გემი და დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა შეერთებულ შტატებთან. როდესაც ადამსმა გაგზავნა პარიზში რწმუნებულები მოსალაპარაკებლად, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შარლ მორის დე ტალეირანის ხელქვეითებმა (რომლებსაც ადამსმა კონგრესისათვის გაკეთებულ ანგარიშში X, Y და Z უწოდა), ამერიკელებს განუცხადეს, რომ მოლაპარაკებების დაწყება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები მისცემდა საფრანგეთს 12 მილიონ დოლარს სესხს და მოისყიდიდნენ საფრანგეთის მთავრობის ოფიციალურ პირებს. ამერიკის მტრულმა განწყობილებამ საფრანგეთის მიმართ მწვერვალს მიაღწია. ეგრეთწოდებულმა XYZ საქმემ გამოიწვია სამხედრო სამსახურში მეტი ხალხის შესვლა და აშშ-ს ახლად ჩამოყალიბებული საზღვაო ფლოტის მომძლავრება.

1799 წელს ფრანგებთან რამოდენიმე საზღვაო შეტაკების შემდეგ ომი გარდაუვალი ჩანდა. ამ კრიზისის დროს, ადამსმა ყურადღება არ მიაქცია ჰამილტონის რჩევას, რომელსაც ომი უნდოდა, და კვლავ გააგზავნა საფრანგეთში სამი რწმუნებული. ნაპოლეონმა, რომელიც ახლახანს მოვიდა ქვეყნის სათავეში, გულთბილად მიიღო ისინი, და კონფლიქტის საშიშროება ჩაცხრა; გაიმართა მოლაპარაკებები 1800 წლის კონვენციის თაობაზე, რომელმაც ფორმალურად გაათავისუფლა შეერთებული შტატები საფრანგეთთან 1778 წლის თავდაცვითი ალიანსისაგან. ამერიკის სისუსტის გამო საფრანგეთმა უარი თქვა 20 მილიონი დოლარის კომპენსაციის გადახდაზე იმ ამერიკული ხომალდების საზღაურად, რომლებიც ხელთ იგდო ფრანგების საზღვაო ფლოტმა.

საფრანგეთის მიმართ მტრულმა განწყობამ მიაღებინა კონგრესს „უცხოელების“ და „აჯანყებისკენ მოწოდების“ აქტები, რაც სერიოზული დარტყმა იყო ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებებისათვის. „ქვეშევრდომების აქტი“, რომელთაც ამერიკის ქვეშევრდომობის მისაღებად საჭირო იქ ცხოვრების 5 წლიანი ვადა შეიცვალა 14 წლიანი ვადით, ძირითადად გამიზნული იყო ირლანდიელი და ფრანგი იმიგრანტების წინააღმდეგ, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ რესპუბლიკელთა მხარდაჭერაში. „უცხოელების აქტი“, რომელიც მხოლოდ ორ წელიწადს მოქმედებდა, აძლევდა პრეზიდენტს უფლებას გაეძევებინა ან დაეპატიმრებინა უცხოელები ომის პერიოდში. „აჯანყებისკენ მოწოდების აქტი“ კრძალავდა კონგრესის ან პრეზიდენტის წინააღმდეგ „მცდარი, სკანდალური და ღვარძლიანი“ ხასიათის მასალის დაწერას, გამოქვეყნებას ან ლაპარაკს. ამ აქტის საფუძველზე რამოდენიმე

კაცის დაპატიმრებამ გამოიწვია მხოლოდ ის, რომ გაჩნდნენ სამოქალაქო უფლებებისათვის წამებულნი და გაიზარდა რესპუბლიკელთა პოპულარობა.

აქტებს წინააღმდეგობით შეხვდნენ. ჯეფერსონმა და მედისონმა ხელი შეუწყვეს კენტუკის და ვირჯინიის რეზოლუციების მიღებას ამ ორი შტატის საკანონმდებლო ორგანოების მიერ 1798 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. ამ რეზოლუციების თანახმად, შტატებს შეეძლოთ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ფედერალურ აქტებზე და გაეუქმებინათ ისინი. „გაუქმების" დოქტრინა სამხრეთის შტატებმა შემდგომში გამოიყენეს თავისი ინტერესების დასაცავად ჩრდილოეთთან დაპირისპირების დროს ტარიფების საკითხებთან და, რასაც კიდევ უფრო მძიმე შედეგი მოჰყვა, მონობასთან დაკავშირებით.

1800 წლისათვის ამერიკელი ხალხი მზად იყო ცვლილებებისათვის. ვაშინგტონის და ადამსის პრეზიდენტობისას ფედერალისტებმა შექმნეს მტკიცე მთავრობა, მაგრამ ისინი ზოგჯერ საკმარის ყურადღებას ვერ უთმობდნენ იმ პრინციპს, რომ ამერიკის მთავრობა უნდა პასუხობდეს თავისი ხალხის ნება-სურვილს, ისინი ატარებდნენ პოლიტიკას, რომელმაც მათ წინააღმდეგ განაწყო მრავალი ადამიანი. მაგალითად, 1798 წელს მათ შემოიღეს გადასახადი სახლებზე, მიწებზე და მონებზე, რამაც მოიცვა ქვეყნის ყველა მესაკუთრე.

ჯეფერსონი განუხრელად იძენდა წვრილი ფერმერების, მაღაზიის პატრონების და სხვა მშრომელების მხარდაჭერას, რაც აშკარად გამოხატა კიდეც 1800 წლის არჩევნებში. ჯეფერსონმა დაიმსახურა განსაკუთრებული სიმპატია, ვინაიდან ის მოუწოდებდა „ამერიკული იდეალიზმისაკენ". თავის პირველ გამოსვლაში ახალ დედაქალაქ ვაშინგტონში ის შეჰპირდა ხალხს, რომ „ბრძენი და ყაირათიანი მთავრობა" დაიცავდა წესრიგს მოსახლეობას შორის, მაგრამ „სხვა მხრივ დაუტოვებდა მას სრულ თავისუფლებას, რათა გულმოდგინედ ემუშავა და გაეუმჯობესებინა ცხოვრების პირობები".

ჯეფერსონის ყოფნამ თეთრ სახლში ხელი შეუწყო დემოკრატიულ გარდაქმნებს. იგი უნერგავდა თავის ხელქვეითებს პატივისცემას როგორც ერთმანეთისადმი, ისევე ხალხის ნდობისადმი. მან ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას და ქვეყნის გაფართოებას დასავლეთის მიმართულებით. სჯეროდა რა, რომ ამერიკა უნდა ქცეულიყო სამოთხედ ჩაგრულთათვის, იგი მოითხოვდა კანონების ლიბერალურ ნატურალიზაციას. მისი პრეზიდენტად ყოფნის მეორე ვადის ბოლოს მისმა შორსმჭვრეტელმა ფინანსთა მინისტრმა, ალბერტ გელეტინმა შეამცირა ეროვნული ვალი 560 მილიონ დოლარამდე. როგორც კი ჯეფერსონისეული თაეგამოდების ტალღა გადაედო ერს, ერთიმეორის მიყოლებით შტატებმა

გააუქმეს ქონებრივი ცენზის მიხედვით კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მინიჭების პროცედურა და გამოუშვეს უფრო ჰუმანური კანონები მევალეებისა და კრიმინალებისათვის.

---

**ლუიზიანა და ბრიტანეთი**

ჯეფერსონის ერთმა მოქმედებამ გააორმაგა ქვეყნის ტერიტორია. შვიდწლიანი ომის ბოლოს საფრანგეთმა დაუთმო ესპანეთს მდინარე მისისიპის დასავლეთით მდებარე ტერიტორია ნიუ ორლეანის პორტითურთ მის შესართავთან. ეს პორტი საჭირო იყო ოჰაიოსა და მისისიპის დაბლობებიდან ამერიკული პროდუქციის გემებით გასაზიდად. მას შემდეგ რაც ჯეფერსონი პრეზიდენტი გახდა, ნაპოლეონმა აიძულა ესპანეთის სუსტი მთავრობა კვლავ დაეთმო ლუიზიანა საფრანგეთისათვის. ამან გამოიწვია ამერიკელთა გულისწყრომა და აღშფოთება. ნაპოლეონის გეგმები უზარმაზარი კოლონიური იმპერიის შექმნის შესახებ შეერთებული შტატების დასავლეთით, საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის შიგნით მოსახლე ყველა ამერიკელის სავაჭრო ინტერესებს და მათ თავისუფლებას. ჯეფერსონი ამტკიცებდა, რომ როგორც კი საფრანგეთი მოაქცევდა თავის საკუთრებაში ლუიზიანას, „იმ მომენტიდან უნდა დავუკავშიროთ ჩვენი ბედი ბრიტანეთის ფლოტსა და ერს“.

ნაპოლეონმა, რომელიც მშვენიერად ხედავდა ბრიტანეთთან ახალი ომის გარდაუვალობას, გადაწყვიტა გაემდიდრებინა თავისი ხაზინა ლუიზიანას მიყიდვით ამერიკისათვის და ამით ხელი შეეშალა ბრიტანელებისათვის დაუფლებოდნენ მას. ამან ჯეფერსონი დააყენა კონსტიტუციური კრიზისის წინაშე. კონსტიტუცია არ იძლეოდა ტერიტორიის ყიდვის უფლებას. თავდაპირველად ჯეფერსონს სურდა კონსტიტუციის შესწორება, მაგრამ მრჩევლებმა შეახსენეს, რომ დაგვიანებას შეიძლებოდა გამოეწვია ნაპოლეონის აზრის შეცვლა და, გარდა ამისა, ტერიტორიის ყიდვის უფლება შედიოდა ხელშეკრულების დადების უფლებაში. ჯეფერსონს გულს მოეშვა და თქვა „ჩვენი ქვეყნის საღი აზრი გამოასწორებს მცდარი კონსტრუირების ცუდ შედეგებს, როცა ისინი წარმოშობენ ავადმყოფურ ეფექტებს“.

1803 წელს 15 მილიონ დოლარად შეერთებულმა შტატებმა შეიძინა „ლუიზიანას შესყიდვის ფურცელი“. ეს ტერიტორია მოიცავდა 2 600 000 კვადრატულ კილომეტრს, აგრეთვე ნიუ ორლეანის ნაწილს. ერმა მიიღო ერცელი, მდიდარი დაბლობები, მთები, ტყეები და მდინარეები, რომლებიც 80 წლის შემდეგ იქცნენ ქვეყნის გულად – მსოფლიოში მარცვლეულით ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ მხარედ.

ჯეფერსონი მეორე ვადით გახდა ამერიკის პრეზიდენტი 1805 წელს, მან გამოაცხადა ამერიკის ნეიტრალიტეტი საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ომის პერიოდში. თუმცა ორივე მხარე ცდილობდა შეეზღუდა მეორის ნეიტრალური საზღვაო გადაზიდვები, ბრიტანეთი უკეთ აკონტროლებდა სიტუაციას ზღვაზე და მის მიერ შექმნილი დაბრკოლებები და დატყვევებული ხომალდების რიცხვი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ნაპოლეონის საფრანგეთისა.

1807 წელს ბრიტანეთმა თავისი ფლოტი შეავსო 700 სამხედრო გემამდე, რომლებსაც ემსახურებოდა თითქმის 150 000 მეზღვაური და ოფიცერი. ეს მასიური ძალა აკონტროლებდა საზღვაო გზებს, ბლოკირებას უკეთებდა საფრანგეთის პორტებს, იცავდა ბრიტანეთის ვაჭრობას და ინარჩუნებდა უმნიშვნელოვანეს კავშირებს ბრიტანეთის კოლონიებთან. მაგრამ ადამიანები ბრიტანეთის ფლოტზე ისეთ მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ, რომ შეუძლებელი იყო ეკიპაჟების შევსება ნებაყოფლობითი გზით. ბევრი მეზღვაური გარბოდა და თავშესაფარს პოულობდა ამერიკულ გემებზე. ამ პირობებში ბრიტანელი ოფიცრები თავს უფლებამოსილად თვლიდნენ გაეჩხრიკათ ამერიკული ხომალდები და წამოეყვანათ იქიდან თავიანთი ქვეშევრდომები, რაც ძალიან ამცირებდა ამერიკელებს. უფრო მეტიც, ბრიტანელი ოფიცრები ხშირად აკავებდნენ ხოლმე ამერიკულ სავაჭრო ხომალდებს.

როდესაც ჯეფერსონმა გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც უკრძალავდა ბრიტანეთის სამხედრო გემებს აშშ-ს ტერიტორიალურ წყლებში ცურვას, ბრიტანელებმა უპასუხეს კიდევ უფრო მეტი მეზღვაურის შეპყრობით. ჯეფერსონმა გადაწყვიტა ეკონომიკური ზემოქმედებით აეძულებინა ბრიტანეთი დაეხია უკან. 1807 წელს კონგრესმა მიიღო „ემბარგოს აქტი", რომელიც კრძალავდა ყოველგვარ ვაჭრობას საზღვარგარეთთან. ბედის ირონიით, რესპუბლიკელებმა, რომლებიც შეზღუდული მმართველობის მომხრენი იყვნენ, მიიღეს აქტი, რომლითაც იზრდებოდა ეროვნული მთავრობის ძალაუფლება. ერთ წელიწადში ამერიკის ექსპორტი დაეცა მისი ადრინდელი მოცულობის ერთ მეხუთედამდე. ამ ზომამ თითქმის განადგურებამდე მიიყვანა საზღვაო გადაზიდვების ბიზნესი და ნიუ იორკი და ახალი ინგლისი უკმაყოფილებამ მოიცვა. სოფლის მეურნეობაც ფასების მკვეთრად დაცემის გამო მძიმე ზარალს განიცდიდა, ვინაიდან სამხრეთის და დასავლეთის ფერმერები ვეღარ აწარმოებდნენ ჭარბი ხორბლის, ბამბის, ხორცის და თამბაქოს ექსპორტს.

იმედი, რომ ემბარგო აიძულებდა დიდ ბრიტანეთს საქონლის დეფიციტის გამო შეეცვალა თავისი პოლიტიკა,

ჩაიშალა. ჯეფერსონმა მიმართა უფრო რბილ ზომას, რომელიც შეარიგებდა მას საზღვაო გადაზიდვებში დასაქმებულ შინაურ კომპანიებთან. 1809 წელს მან ხელი მოაწერა „ურთიერთობის გაწყვეტის აქტს", რომელიც იძლეოდა ვაჭრობის უფლებას ყველა ქვეყნებთან, გარდა ბრიტანეთისა, საფრანგეთისა და მათზე დამოკიდებული ქვეყნებისა.

1809 წელს ჯეიმს მედისონმა შეცვალა ჯეფერსონი პრეზიდენტის პოსტზე. ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან კიდევ უფრო გაუარესდა და ორ ქვეყანას შორის სწრაფად იზრდებოდა ომის საშიშროება. პრეზიდენტმა წარუდგინა კონგრესს დეტალური ანგარიში, სადაც აღნიშნული იყო რამოდენიმე ათასობით ფაქტი, როდესაც ბრიტანელებმა დაატყვევეს ამერიკის მოქალაქენი. გარდა ამისა, ჩრდილო დასავლეთით მცხოვრებლები შეწუხებულნი იყვნენ ინდიელების შემოტევებით, რომლებსაც, მათი რწმენით, აქეზებდნენ კანადაში მყოფი ბრიტანელი აგენტები. ბევრი ამერიკელი ამის გამო კანადის დაპყრობას უჭერდა მხარს. მცდელობის წარმატების შემთხვევაში ბრიტანეთი დაკარგავდა გავლენას ინდიელებზე და გაიხსნებოდა ახალი მიწების კოლონიზაციის შესაძლებლობა. კანადის დაპყრობის სურვილი ბევრად იყო განპირობებული მეზღვაურთა დატყვევებით გამოწვეული წყრომით და ამერიკის შერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა დიდ ბრიტანეთს.

---

**1812 წლის ომი**

იმ პერიოდში, როდესაც შეერთებული შტატები კიდევ ერთი ომისათვის ემზადებოდნენ ბრიტანეთთან ქვეყანა შინაურ განხეთქილებას განიცდიდა. თუ სამხრეთი და დასავლეთი ომს უჭერდნენ მხარს, ნიუ იორკი და ახალი ინგლისი ომის წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან ის ხელს შეუშლიდა მათ ვაჭრობას. ომის გამოცხადების დროისათვის, მოსამზადებელი სამუშაოების დასრულებას ბევრი რამ აკლდა. რეგულარულ ჯარში იყო 7 000-ზე ნაკლები ჯარისკაცი, რომლებიც გაფანტულები იყვნენ შორი შორს მდებარე საგუშაგოებზე სანაპიროს გასწვრივ, კანადის საზღვართან და შორეულ შიდა ტერიტორიებზე. ამ ჯარისკაცებს უნდა მიჰმარებოდა შტატების არა დისციპლინირებული მილიცია.

საომარი მოქმედებები ორ ქვეყანას შორის დაიწყო კანადაში შეჭრით. ომი უკეთ რომ ყოფილიყო დროში გაანგარიშებული და სწორად წარმართული, უნდა დასრულებულიყო მონრეალზე ერთობლივი შეტევით. მაგრამ ამის ნაცვლად მთელი კომპანია ჩაიშალა და დასრულდა ბრიტანელთა მიერ დეტროიტის ოკუპაციით. გარკვეულ წარმატებას მიაღწია აშშ-ს ფლოტმა, რითაც რწმენა აღუდგინა ამერიკელებს.

გარდა ამისა, ამერიკის კაპერები სერავდნენ მთელ ატლანტის ოკეანეს და 1812-1813 წლების შემოდგომასა და ზამთარში დაატყვევეს 500 ბრიტანული ხომალდი.

1813 წელს გაიმართა ბრძოლა ერის ტბაზე. გენერალმა უილიამ ჰენრი ჰარისონმა– რომელიც შემდგომში პრეზიდენტი გახდა– დაძრა კენტუკიდან არმია და მილიცია, მოხალისეები და რეგულარული ჯარები დეტროიტის დასაბრუნებლად. 12 სექტემბერს, როდესაც ის ჯერ კიდევ ოჰაიოს შტატის გუბერნატორი იყო, მას მოუვიდა ამბავი, რომ კომოდორმა ოლივერ ჰაზარდ პერიმ გაანადგურა ბრიტანეთის ფლოტი ერის ტბაზე. ჰარისონმა დაიკავა დეტროიტი და გადავიდა კანადის ტერიტორიაზე, დაამარცხა გაქცეული ფრანგები და მათი ინდიელი მოკავშირეები მდინარე თეიმზე. მთელ რეგიონს ახლა ამერიკელები აკონტროლებდნენ.

მეორე გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ერთი წლის შემდეგ, როდესაც კომოდორმა თომას მაკდონაუმ მოიგო პირდაპირი დამიზნებით წარმოებული ზარბაზნების დუელი ბრიტანეთის ფლოტილიასთან ჩემპლეინის ტბაზე ნიუ იორკის ზედა ნაწილში. სამხედრო ფლოტის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა ბრიტანეთის შემტევმა ძალებმა, რომლებიც 10 000 კაცს ითვლიდნენ, დაიხიეს კანადისაკენ. დაახლოებით ამ დროს, ბრიტანეთის ფლოტი უტევდა აღმოსავლეთის სანაპიროებს, მათ ნაბრძანები ჰქონდათ „გაენადგურებინათ და გაეჩანაგებინათ" ქაურობა. 1814 წლის 24 აგვისტოს, ღამით, საექსპედიციო ნაწილები შეიჭრნენ ქალაქ ვაშინგტონში (კოლუმბიის ფედერალური ოლქი), პირდაპირ ფედერალური მთავრობის სამყოფელში და ცეცხლი წაუკიდეს მას. პრეზიდენტი ჯეიმს მედისონი ვირჯინიაში გაიქცა.

ომი გრძელდებოდა, ბრიტანელი და ამერიკელი დიპლომატები კი, ორივენი, ითხოვდნენ დათმობებს მოწინაღმდეგე მხარისაგან, მაგრამ როდესაც ბრიტანელმა დესპანებმა შეიტყვეს მაკდონაუს გამარჯვების შესახებ ჩემპლეინის ტბაზე, მათ გადაწყვიტეს დათმობებზე წასვლა. ჰერცოგი ველინგტონი დაჟინებით ითხოვდა საქმის მოგვარებას. ბრიტანეთის ხაზინა გარკვეულწილად გამოლია ნაპოლეონთან ომის წარმოებისათვის საჭირო დიდმა ხარჯებმა და ბრიტანეთის მხარემ 1814 წლის დეკემბერში მიიღო გენტის ხელშეკრულება. ის ითვალისწინებდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას, დაპყრობილი ტერიტორიების აღდგენას და კომისიის შექმნას საზღვრებთან დაკავშირებული სადავო საკითხების მოსაგვარებლად. მოწინააღმდეგთა ჯარები, რომლებმაც არ იცოდნენ სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ, განაგრძობდნენ ბრძოლას ნიუ ორლეანსა და ლუიზიანაში. გენერალ ენდრიუ ჯექსონის მეთაურობით

ამერიკელებმა ამ ბრძოლაში 1812 წლის ომის სახმელეთო გამარჯვებას მიაღწიეს.

ვიდრე ბრიტანელი ან ამერიკელი დიპლომატები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ კონფლიქტის მოსაგვარებლად, ფედერალისტების დელეგატებმა, რომლებიც არჩეული იყვნენ საკანონმდებლო ორგანოების მიერ მასაჩუსეთსში, როუდ აილენდში, კონექტიკუტში, ვერმონტში და ნიუ ჰემფშირში, ჰარტფორდში (კონექტიკუტის შტატი) მოაწყვეს შეკრება, რომელიც „მედისონის ომის“ ოპოზიციის სიმბოლოდ იქცა. ახალი ინგლისი ახერხებდა ვაჭრობას მტერთან მთელი კონფლიქტის მანძილზე, რის წყალობითაც მისი ზოგიერთი რაიონები აყვავდნენ. მიუხედავად ამისა, ფედერალისტები ამტკიცებდნენ , რომ ომი ანადგურებდა ეკონომიკას.

ყრილობის ზოგიერთი დელეგატი მოუწოდებდა კავშირიდან გამოსვლისაკენ, მაგრამ უმეტესობა შეთანხმდა კონსტიტუციაში მთელი რიგი შესწორებათა შეტანის აუცილებლობაზე, რათა შეზღუდულიყო რესპუბლიკელთა გავლენა მთავრობაში, მათ შორის 60 დღეზე მეტი ხანგრძლივობის ემბარგოების შემოღების და ერთი და იგივე შტატიდან პრეზიდენტების ზედიზედ არჩევის აკრძალვა. მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც ჰარტფორდის ყრილობის შიკრიკმა ვაშინგტონში ჩააღწია, აღმოჩნდა რომ ომი უკვე დამთავრებულა. ჰარტფორდის ყრილობამ ფედერალისტებს ქვეყნისადმი ერთგულების დამრღვევთა დაღი დაასვა, რაც მათ ვეღარ მოიშორეს.

## მეორე დიდი გამოღვიძება

მე-18 საუკუნის ბოლოსთვის ბევრი განათლებული ამერიკელი აღარ იზიარებდა ტრადიციულ ქრისტიანულ რწმენას. ეკლესიისგან დამოუკიდებელი სკოლისთვის ბრძოლის საპასუხოდ, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთის ტერიტორიებზე დაიწყო რელიგიური გამოცოცხლება.

ამერიკის ისტორიაში მეორე დიდი რელიგიური აღორძინება გამოხატებოდა სხვადასხვაგვარი აქტიურობით, რაც დამოკიდებული იყო ადგილსამყოფელზე და რელიგიური ვალდებულებების გამოვლენის გზებზე. ახალ ინგლისში რელიგიური ინტერესის განახლებამ გამოიწვია სოციალური აქტიურობის ტალღა. ნიუ იორკის დასავლეთში რელიგიური აღორძინების სულისკვეთებამ გამოიწვია ახალი სექტების წარმოშობა. აღორძინებამ კენტუკის და ტენესის აპალაჩის რაიონებში გააძლიერა მეთოდისტური და ბაპტისტური ეკლესია და გაჩნდა რელიგიური გამოხატვის ახალი ფორმა – ბანაკის თავყრილობები.

1730-იანი წლების რელიგიური გამოღვიძებისგან განსხვავებით, აღმოსავლეთში აღორძინებას არ მოჰყვა ისტერია და ჭარბი ემოციები. ურწმუნო ადამიანები გაკვირვებულნი იყვნენ მორწმუნეთა „მოკრძალებული სიწყნარით“.

ახალ ინგლისში ევანგელისტური ენთუზიაზმის შედეგად გაჩნდა სექტებს შორისი მისიონერული საზოგადოებები დასავლეთის მოსახლეობაში ევანგელისტური სარწმუნოების გასავრცელებლად. მაგრამ ეს საზოგადოებები ასრულებდნენ არა მხოლოდ მოციქულების როლს, არამედ აგრეთვე განმანათლებლების, სამოქალაქო ლიდერების და აღმოსავლეთის კულტურის გამვრცელებელთა როლს. მათი გამოცემები და განათლების გამავრცელებელი საზოგადოებები ხელს უწყობდნენ ქრისტიანულ განათლებას: მათ შორის ყველაზე აღსანიშნავია „ამერიკის ბიბლიის საზოგადოება“, რომელიც დაარსდა 1816 წელს. აღორძინების მიერ გამოწვეულმა სოციალურმა აქტიურობამ გამოიწვია აბოლიციონისტური ჯგუფების და „სიფხიზლისათვის მებრძოლი საზოგადოების“ გაჩენა, აგრეთვე ციხეების რეფორმის მცდელობა, ხეიბართა და გონებასუსტთა მოვლა.

აღორძინება ნიუ იორკის შტატის დასავლეთში ძირითადად ჩარლზ გრედისონ ფინის, ადვოკატი ადამსიდან (ნიუ იორკის შტატი), სახელთანაა დაკავშირებული. რეგიონი, რომელიც მდებარეობდა ონტარიოს ტბას და ადირონდაკის მთებს შორის, იმდენი რელიგიური აღორძინების მომსწრე იყო წარსულში, რომ მას „მრავალგზის გადამწვარი რაიონი“ უწოდეს. 1821 წელს ფინის ჰქონდა რელიგიური ხილვა, და მან დაიწყო სახარების ქადაგება ნიუ იორკის შტატის დასავლეთში. მისი ქადაგებებისთვის დამახასიათებელი იყო გულდასმითი წინასწარი გეგმა, სანახაობითობა და რეკლამა. ფინი ქადაგებდა „მრავალგზის გადამწვარ რაიონში“ 1820-იან წლებში და 1830-იანი წლების დასაწყისში; 1835 წელს ის გადავიდა ოჰაიოში და განაგრძო მოღვაწეობა თეოლოგიის კათედრაზე, ობერლინის კოლეჯში. შემდგომში ის ობერლინის პრეზიდენტი გახდა.

კიდევ ორი მნიშვნელოვანი სექტა ამერიკაში – მორმონები და „მეშვიდე დღის ადვენტისტები“ აგრეთვე „მრავალგზის გადამწვარ რაიონში“ ჩამოყალიბდა.

აპალაჩის რეგიონში აღორძინებას უფრო დამახასიათებელი თვისებები გააჩნდა, როგორც ადრინდელ „დიდ აღორძინებას“ ერთი საუკუნის წინ. მაგრამ აქ აღორძინების მთავარი მომენტი იყო ბანაკის თავყრილობები – „რელიგიური წირვა, რომელიც რამოდენიმე დღეს გრძელდებოდა და ტარდებოდა ხალხის ჯგუფისთვის, სახლიდან შორს რომ იყო წამოსული და ადგილზევე უნდა ეპოვა თავშესაფარი“. პიონერებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ მეჩხერად დასახლებულ მიდამოებში, ბანაკის თავყრილობა ფრონტირის ზონაში განმარტოებული ცხოვრებისაგან თავის დაღწევის საშუალება იყო. ასობით და, შესაძლოა, ათასობით ადამიანთან ერთად რელიგიურ წირვაში მონაწილეობის სიხარული ხშირად იწვევდა იმას, რომ ამ შეხვედრებს თან სდევდა ცეკვები, ყვირილი და სიმღერები.

პირველი ასეთი ბანაკის თავყრილობა მოხდა 1800 წლის ივლისში მდინარე გასპერ რივერის ეკლესიაში, კენტუკის სამხრეთ– დასავლეთ ნაწილში. გაცილებით უფრო დიდი თავყრილობა გაიმართა კეინ რიჯში (კენტუკის შტატი), 1801 წლის აგვისტოს, სადაც მონაწილეობას იღებდა 10 000-დან 25 000 კაცამდე პრესვიტერიანული, ბაპტისტური და მეთოდისტური ეკლესიების მღვდლები. სწორედ ამ მოვლენის წყალობით მიეცა ორგანიზებულ წირვას რელიგიურობის გავრცელების ძირითადი მეთოდის სახე ისეთი სექტებისთვის, როგორიცაა მეთოდისტური და ბაპტისტური.

დიდი აღორძინება სწრაფად გავრცელდა კენტუკის, ტენესის და სამხრეთ ოჰაიოს შტატებში, და მის მთავარ მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენდა მეთოდისტური და ბაპტისტური ეკლესიები. თითოეულ სექტას გააჩნდა იმდენი სახსრები, რომ შეძლეს კარგად განვითარებულიყვნენ ფრონტირის ზონაში. მეთოდისტებს ჰქონდათ მეტად ქმედითი ორგანიზაცია, რომლის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ მღვდლები. ისინი , ცნობილი როგორც ცხენოსანი მღვდლები,  ცხენით დადიოდნენ დიდ მანძილებზე და ფრონტირის შორეულ რაიონებში ეძებდნენ ხალხს თავისი მრევლისათვის. ცხენოსანი მღვდლები წარმოშობით უბრალო ხალხიდან იყვნენ, რაც ეხმარებოდა მათ საერთო ენის გამონახვაში  ფრონტირის ხაზზე მცხოვრებ ოჯახებთან, რომელთა თავის სარწმუნოებაზე მოქცევასაც იმედოვნებდნენ.

ბაპტისტებს არ ჰქონდათ ოფიციალური რელიგიური ორგანიზაცია. მათი ფერმერი-მქადაგებლები იყვნენ ადამიანები, რომლებმაც „გაიგონეს უფლის მოწოდება“, შეისწავლეს ბიბლია და შექმნეს ეკლესია, რომელმაც შემდგომში ისინი აკურთხა. მღვდლად გახდომის სხვა კანდიდატები გამოვიდნენ უკვე თვით ამ ეკლესიიდან და დაეხმარნენ ბაპტისტებს მათი სარწმუნოების გავრცელებაში შორს, ველურ დასავლეთში. ამ მეთოდების მეშვეობით ბაპტისტები დომინანტურ სექტად იქცნენ მოსაზღვრე შტატებში და თითქმის მთელ სამხრეთში.

„მეორე დიდმა გამოღვიძებამ“ დიდი დაღი დაასვა ამერიკის ისტორიას. ბაპტისტების და მეთოდისტების რიცხვმა გადააჭარბა სხვა სექტების რიცხვს, რომლებიც კოლონიალურ პერიოდში უფრო მძლავრნი იყვნენ, – ანგლიკანებს, პრესვიტერიანელებს და კონგრეგაციონალისტებს. ამ უკანასკნელთა მცდელობა გამოეყენებინათ ქრისტიანული რელიგია სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად მე-19 საუკუნის ბოლოს აღმოცენებული „სოციალური სახარების“ წინამორბედი გახლავთ. ამერიკა მე-19 საუკუნის შუა პერიოდში უფრო მრავალფეროვან ერად იქცა, რასაც ხელს უწყობდა ამერიკული პროტესტანტიზმი, რომელშიც ამ განსხვავებების ზრდამ მკაფიო ასახვა ჰპოვა.

ქვემოთ: ჯონ სმიტი. მტკიცე ხასიათის ინგლისელი მკვლევარი და ახალმოსახლე, რომლის ხელმძღვანელობის წყალობით ჯეიმსთაუნი გადაურჩა დაღუპვას ადრეული კრიტიკული პერიოდის განმავლობაში.




ამერიკის ისტორიის ესკიზები

# ერად ჩამოყალიბება

ისტორია სურათებში

ამერიკა განიცდიდა ტრანსფორმაციას ორი საუკუნის განმავლობაში: ჯეიმსთაუნის 1607 წლის ინგლისური დასახლებებიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე. დამოუკიდებელი კოლონიური დასახლებებიდან ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე ამერიკა გადაიზარდა ახალ ერში, რომელიც დაიბადა რევოლუციაში და ხელმძღვანელობდა დემოკრატიული თვითმმართველობის პრინციპზე აგებული კონსტიტუციით.



ფრაგმენტი ამერიკელი მხატვრის ბენჯამინ ვესტის (1738–1820) ნახატიდან. იგი აღწერს უილიამ პენის მოლაპარაკებას მკვიდრ ამერიკელებთან, რომლებიც ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიაზე, სადაც მან დააარსა პენსილვანიის კოლონია როგორც სამოთხე კვაკერებისა და სხვა ხალხისათვის, ვინც რელიგიურ თავისუფლებას ეძებდა. პენის პატიოსანმა მოპყრობამ დელავერის ინდიელებისადმი წარმოშვა მათთან მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა, განსხვავებით კონფლიქტებისაგან ევროპელ ახალმოსახლეებსა და ინდიელთა ტომებს შორის სხვა კოლონიებში



ღვთისმოშიში პურიტანელი მოხუცი (მარჯვნივ) უშლის ლუდის სმას დუქნის გარეთ. დაპირისპირება რეგიონში პირველად დასახლებულ მკაცრი რელიგიის მიმდევარ პურიტანელებსა და უფრო საერო და კომერციული ინტერესების მქონე მოსახლეობას შორის დამახასიათებელი იყო ახალი ინგლისის კოლონიალური პერიოდისათვის.



როჯერ უილიამსის ქანდაკება, რომელიც იბრძოდა რელიგიური თავისუფლებისა
და ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფისათვის. მასაჩუსეთსის დატოვების
შემდეგ უილიამსმა დააარსა როუდ აილენდის კოლონია.










ზემოთ: პატრიკ ჰენრი, რომელიც წარმოსთქვამს, ალბათ, ყველაზე უფრო ცნობილ სიტყვას ამერიკის რევოლუციის შესახებ დებატებზე 1775 წლის ვირჯინიის ასამბლეის მოწვევამდე. „მომეცით თავისუფლება ან სიკვდილი!" მოპირდაპირე გვერდი: ზემოთ, ბენჯამინ ფრანკლინი – მეცნიერი, გამომგონებელი, მწერალი, გაზეთის გამომცემელი, ფილადელფიის მერი, დიპლომატი და დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და კონსტიტუციის ხელისმომწერი. ფრანკლინმა გამოამჟღავნა ვირტუოზული შორსმჭვრეტელური პრაქტიკულობა და ოპტიმისტობა, რაც ხშირად თვით ამერიკისათვის იყო დამახასიათებელი. კოტონ მადერი (მოპირდაპირე მხარეს, ქვემოთ) პურიტანების ერთ-ერთი ლიდერი მე-17 საუკუნის ბოლოს და მე-18 საუკუნის დასაწყისში. მისი სქელტანიანი „ახალი ინგლისის საეკლესიო ისტორია" (1702) წარმოადგენს შესანიშნავ მატიანეს. ახალი ინგლისის დასახლებებისა და პურიტანების მცდელობისა დაეფუძნათ „ღმერთის სასუფეველი" ახალ ქვეყანაში.

---

შემდეგ გვერდებზე ასახულია: ამერიკული რევოლუციის პირველი გასროლა, რომელიც მოხდა ლექსინგტონში (მასაჩუსეტსი), 1775 წლის 19 აპრილს. ადგილობრივი მილიცია წინააღმდეგობას უწევს ბრიტანულ ჯარებს, რომლებიც მოვიდნენ კოლონიური სამხედრო აღჭურვილობის ხელში ჩასაგდებად ქალაქ კონკორდის მახლობლად.









თომას ჯეფერსონი (ზემოთ), დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი და შეერთებული შტატების მესამე პრეზიდენტი. ჯეფერსონმა აგრეთვე დააარსა ვირჯინიის უნივერსიტეტი და ააშენა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სადღესასწაულო სახლი, მონტიჩელო ჩარლოტესვილში (ვირჯინია). მარჯვნივ, ლორდ კორნუოლისისა და ბრიტანული არმიის კაპიტულაცია ამერიკული და ფრანგული ძალების წინაშე, რომელთაც ჯორჯ ვაშინგტონი მეთაურობდა იორკთაუნში (ვირჯინია) 1781 წლის 19 ოქტომბერს. ბრძოლამ იორკთაუნთან სათავე დაუდო ომის დამთავრებას და ამერიკის დამოუკიდებლობას, რაც დადასტურდა 1783 წლის პარიზის ხელშეკრულებით.





ალექსანდრე ჰამილტონი, პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონის ფინანსთა მინისტრი.
ჰამილტონი იცავდა ძლიერ ფედერალურ ხელისუფლებას და მრეწველობის განვითარებას.
მისი მოწინააღმდეგე თომას ჯეფერსონი ემხრობოდა დეცენტრალიზებულ ხელისუფლებას,
შტატებისათვის უფლებების მინიჭებას და სჯეროდა დამოუკიდებელი ფერმერობისა
და მიწის მესაკუთრეობის ეფექტურობისა.



ჯონ მარშალი, 1801–1835 წლებში შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე. მარშალმა შემოიღო იურიდიული განხილვის პრინციპი – სასამართლოს ენიჭებოდა უფლება განესაზღვრა, იყო თუ არა ნებისმიერი ქმედება კონსტიტუციური და, მაშასადამე, მართებული და ლეგალური.

ხორბლის მოსავლის აღება შუადასავლეთში ცხენშებმული კომბაინის გამოყენებით,მე-19 საუკუნე







თავი მეხუთე

# V

# დასავლეთისაკენ გაფართოება და რეგიონალური განსხვავებანი

# „წადი დასავლეთისაკენ, ახალგაზრდავ, და გაიზარდე ქვეყანასთან ერთად“

ჯონ სოული, 1851

**1812** წლის ომი თავისი სულისკვეთებით წარმოადგენდა მეორე ომს დამოუკიდებლობისათვის. ამ დრომდე შეერთებული შტატები ვერ სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებით ერთა ოჯახში. ომის დამთავრებასთან ერთად გადაიჭრა ბევრი სირთულე, რომელიც იდგა ახალგაზრდა რესპუბლიკის წინაშე რევოლუციის დროიდან მოყოლებული. ერის გაერთიანებამ საერთო კონსტიტუციის საფუძველზე გამოიწვია თავისუფლების და წესრიგის გაწონასწორება. ამერიკას გააჩნდა მცირე ეროვნული ვალი და მთელი კონტინენტი, რომელიც ათვისებას ელოდა. ერის წინაშე იშლებოდა მშვიდობის, აყვავების და სოციალური პროგრესის პერსპექტივა.

**ერთიანობის მშენებლობა**

ამერიკა ამაგრებდა ეროვნულ ერთიანობას. ომის სიძნელეებმა დაარწმუნეს ბევრი ადამიანი ამერიკელ მეწარმეთა დაცვის აუცილებლობაში, ვიდრე ისინი დამოუკიდებლად შესძლებდნენ გამკლავებოდნენ უცხოურ კონკურენციას. ბევრი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა ისეთივე აუცილებელი იყო, როგორც პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობის მიზნით კონგრესის ლიდერებმა ჰენრი კლეიმ კენტუკიდან და ჯონ კოლჰაუნმა სამხრეთ კაროლინიდან მხარი დაუჭირეს პროტექციონიზმის პოლიტიკას – შეზღუდვების დადებას იმპორტირებულ საქონელზე, რომ ბიძგი მიეცათ ამერიკის მრეწველობის განვითარებისათვის.

შეიქმნა ხელსაყრელი დრო საბაჟო ტარიფების მოსამატებლად. ვერმონტის და ოჰაიოს მწყემსებს სჭირდებოდათ დაცვა დიდი რაოდენობით ინგლისური შალის შემოზიდვისგან. კენტუკიში მრეწველობის ახალი სფეროს – ადგილობრივი კანაფის ბამბის ტომრების დამზადებას – ემუქრებოდა შოტლანდიის ტომრების მრეწველობა. პიტსბურგი, პენსილვანია იქცა რკინის გადადნობის განვითარებულ ცენტრად და მზად იყო კონკურენცია გაეწია ბრიტანეთის და შვეციის მეფოლადეებისათვის. 1816 წელს ამოქმედებული ტარიფებით დაწესდა საკმაოდ მაღალი გადასახადები იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ მწარმოებლების რეალური დაცვა. ამის გარდა, დასავლეთის მცხოვრებლები ითხოვდნენ ეროვნული გზების და არხების სისტემის შექმნას, რომ შესაძლებელი გამხდარიყო აღმოსავლეთის ქალაქებსა და პორტებთან დაკავშირება და ფრონტირის ხაზზე ახლად დასახლებული მიწების ათვისება. მაგრამ მათ მოთხოვნამ ფედერალურ მთავრობას მოუღო მონაწილეობა შინაგან მოწესრიგებაში, წარმატებას ვერ მიაღწია, რადგან წააწყდა წინააღმდეგობას ახალი ინგლისისაგან და სამხრეთისაგან. გზების და არხების გაყვანა ითვლებოდა თვით შტატების საქმედ გზატკეცილების აქტის მიღებამდე 1916 წელს.

ამ დროისათვის საკმაოდ გაძლიერდა ფედერალური მთავრობის პოზიცია უმაღლესი სასამართლოს რამოდენიმე გადაწყვეტილების წყალობით. თავგამოდებული ფედერალისტი ჯონ მარშალი ვირჯინიიდან 1801 წელს გახდა მთავარი მოსამართლე და ამ თანამდებობაზე რჩებოდა სიკვდილამდე. სასამართლო – მის მოსვლამდე საკმაოდ სუსტი – გადაიქცა ძლიერ ტრიბუნად, რომელსაც კონგრესთან და პრეზიდენტთან თანაბარი პოზიცია ეკავა. მთელ რიგ თავის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, მარშალს არასოდეს უღალატია უმთავრესი პრინციპისათვის – კონსტიტუციის რო-

როგორც უმაღლესი კანონმდებლობის დაცვის პრინციპისათვის.

მარშალი იყო პირველი უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა გრძელ სიაში, რომლის გადაწყვეტილებები აყალიბებდნენ კონსტიტუციის შინაარსს და გამოყენების ფორმას. როდესაც მან დაასრულა თავისი ხანგრძლივი სამსახური, სასამართლოს ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილებები თითქმის 50 საქმეზე, რომლებიც აშკარად კონსტიტუციის დებულებებს შეეხებოდნენ. მარშალის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საქმეში – მარბერი მედისონის წინააღმდეგ (1803) – მან მტკიცედ დაამტკიცა უმაღლესი სასამართლოს უფლება განიხილოს კონგრესის ან შტატის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი კანონის შესაბამისობა კონსტიტუციასთან. საქმეში– მაკკულოხი მერილენდის წინააღმდეგ (1819), რომელიც შეეხებოდა ძველ საკითხს – სახელმწიფოს ძალაუფლების განსაზღვრას კონსტიტუციის მიხედვით – ის თამამად დადგა ჰამილტონის თეორიის დასაცავად, რომ კონსტიტუცია თავისი შინაარსით აძლევს მთავრობას გაცილებით მეტ ძალაუფლებას, ვიდრე ეს სპეციალურად დაწერილ მუხლებშია ჩამოყალიბებული.

---

**მონობის გავრცელება**

მონობა, რომელსაც აქამდე საზოგადოება ნაკლებ ყურადღებას უთმობდა, იქცა გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად. რესპუბლიკის არსებობის ადრეულ ეტაპზე, როდესაც ჩრდილოეთის შტატები მხარს უჭერდნენ მონების დაუყოვნებლივ ან თანდათანობით გაუქმებას, ბევრი ლიდერი ფიქრობდა, რომ მონობა თავისთავად ჩაქრებოდა. 1786 წელს ჯორჯ ვაშინგტონი წერდა, რომ მას გულით ეწადა მიეღო რაიმე გეგმა, „რომლითაც მონობა მოისპობოდა ნელი, მტკიცე და შეუმჩნეველი ნაბიჯებით“. ჯეფერსონი, მედისონი და მონრო, სამივე ვირჯინიიდან, სხვა სამხრეთელ პოლიტიკოსებთან ერთად იგივე განცხადებებს აკეთებდნენ. ჩრდილო-დასავლეთის მუნიციპალიტეტმა 1787 წელს აკრძალა მონობა თავის ტერიტორიებზე. 1808 წელს, როდესაც გაუქმდა საერთაშორისო მონათვაჭრობა, ბევრი სამხრეთელი თვლიდა, რომ მონობა მალე დასრულდებოდა. იმედები ფუჭი გამოდგა, ვინაიდან შემდეგი თაობის მანძილზე სამხრეთი მტკიცედ იყო გაერთიანებული მონობის აპარატის გარშემო, როდესაც ახალმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა მონობა გაცილებით უფრო მომგებიანი გახადეს, ვიდრე ეს 1790 წლამდე იყო.

ამ ფაქტორებიდან უმთავრესი იყო სამხრეთში ბამბის მოყვანის ინდუსტრიის სწრაფი ზრდა, რომელსაც ხელი

შეუწყო ბამბის ახალი ჯიშების გამოყვანამ და ელი ვიტნის მიერ 1793 წელს ბამბის გამწმენდი აპარატის გამოგონებამ, რომელიც ანცალკევებდა თესლებს ბამბისაგან. ამავე დროს სამრეწველო რევოლუციამ, რომელმაც საფეიქრო ინდუსტრიას ფართო მასშტაბი მისცა, ძალიან გაზარდა მოთხოვნა ბამბაზე. დასავლეთში ახალი მიწების ათვისება 1812 წლის შემდეგ ზრდიდა ბამბის მოსაყვან ფართობებს. ბამბის კულტურა სწრაფად მიიწევდა აღმოსავლეთის სანაპიროს ზღვისპირა შტატებიდან სამხრეთის ტერიტორიების გავლით მისისიპის დელტის რეგიონში და ტეხასში.

შაქრის ლერწამი იყო მეორე კულტურა, რომელიც განაპირობებდა მონობის გავრცელებას სამხრეთში. სამხრეთ-აღმოსავლეთ ლუიზიანის მდიდარი მიწები და ცხელი ჰავა იდეალური იყო შაქრის ლერწმის მოსაყვანად. 1830 წელს შტატი იძლეოდა მთელი ქვეყნის შაქრის მარაგის ნახევარს. ამავე დროს, დასავლეთისკენ დაიძრნენ თამბაქოს მომყვანი ადამიანები და თან გაავრცელეს მონობა.

დასავლეთისკენ მიილტვოდნენ და ახალ მიწებს ითვისებდნენ ორივე – ჩრდილოეთის თავისუფალი და სამხრეთის მონათმფლობელური – საზოგადოებები. დასავლეთის ტერიტორიაზე შექმნილ ახალ შტატებში პოლიტიკურად მართებული ჩანდა თანასწორუფლებიანობის შენარჩუნება. 1818 წლისათვის – ილინოისის კავშირთან შემოერთების დროისათვის – 10 შტატში მონობა დაშვებული იყო და 11-ში აკრძალული; მაგრამ წონასწორობა აღდგა, როდესაც კავშირს შემოუერთდა ალაბამა, მონათმფლობელური შტატი. მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა ჩრდილოეთის შტატებში, რაც საშუალებას აძლევდა მათ ჰყოლოდათ უმრავლესობა წარმომადგენელთა პალატაში. მაგრამ სენატში თანაფარდობა დაცული იყო.

1819 წელს კავშირში შესვლა ითხოვა მისურის შტატმა, რომელშიც ცხოვრობდა 10 000 მონა. ჩრდილოელები გაერთიანდნენ მისურის მიღების წინააღმდეგ, თუ ის არ გახდებოდა თავისუფალი შტატი, და ქვეყანას პროტესტის ტალღამ გადაუარა. გარკვეული დროის მანძილზე კონგრესი გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ჰენრი კლეიმ მონახა ეგრეთ წოდებული „მისურის კომპრომისი": მისური შემოდიოდა მონათმფლობელურ შტატად და იმავდროულად მენი – თავისუფალ შტატად. გარდა ამისა, კონგრესმა აკრძალა მონობა „ლუიზიანის შესყიდვით" შემოერთებულ ტერიტორიაზე, მისურის სამხრეთი საზღვრების ჩრდილოეთ გაყოლებაზე. იმ დროისათვის ეს დადგენილება სამხრეთის შტატების გამარჯვებად მიიჩნიეს, რადგან არავინ მოელოდა,

რომ „დიდი ამერიკული უდაბნო“ ოდესმე დასახლებული იქნებოდა. წინააღმდეგობა დროებით ჩაცხრა. მაგრამ თომას ჯეფერსონი წერდა თავის მეგობარს, რომ „ამ საყურადღებო საკითხმა, როგორც ცეცხლოვანმა ზურთმა ღამეში, გამომაღვიძა და შიში აღმიძრა. მე მაშინვე დავინახე მასში კავშირის დაღუპვის საწინდარი.

---

**ამერიკა და მონროს დოქტრინა**

მე-19 საუკუნის პირველ ათწლეულებში ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში მძვინვარებდა რევოლუციები. მას შემდეგ, რაც ინგლისის კოლონიებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ლათინური ამერიკის ხალხს აღელვებდა თავისუფლების იდეა. 1808 წელს ნაპოლეონის მიერ ესპანეთის დაპყრობამ, თითქოს ნიშანი მისცა ლათინური ამერიკის ხალხებს აჯანყებისაკენ. 1822 წელს სიმონ ბოლივარის, ფრანცისკო მირანდას, ჟოზე დე სან მარტინის, მიგელ იდალგოს ნიჭიერი ხელმძღვანელობით მთელმა ესპანურენოვანმა ამერიკამ არგენტინიდან ჩილემდე სამხრეთით და მექსიკიდან კალიფორნიამდე ჩრდილოეთით მოიპოვა დამოუკიდებლობა მშობლიური ქვეყნისაგან.

ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებლები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს მოვლენებს, რომლებიც თითქოს იმეორებდნენ მათ საკუთარ გამოცდილებას ევროპული მმართველობისგან განთავისუფლებაში. ლათინური ამერიკის ბრძოლამ დამოუკიდებლობისათვის განამტკიცა მათი რწმენა თვითმმართველობის აუცილებლობისა. 1822 წელს პრეზიდენტმა ჯეიმს მონრომ, საზოგადოების დიდი დაწოლის პირობებში, აიღო თავის თავზე უფლებამოსილება ეღიარებინა ლათინური ამერიკის ახალი ქვეყნები – ყოფილი პორტუგალიური კოლონიები ბრაზილიის ჩათვლით, რის შემდეგ მალევე მოხდა ელჩების გაცვლა. ამ აღიარებამ განამტკიცა მათი როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების სტატუსი, რომლებმაც საბოლოოდ გაწყვიტეს ევროპასთან არსებული კავშირები.

ამ დროს რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ რევოლუციისაგან თავის დასაცავად შექმნეს კავშირი, რომელსაც ეწოდა „წმინდა ალიანსი“. იმ ქვეყნების საქმეებში ჩარევით, სადაც მონარქიას რევოლუციური მოძრაობა ემუქრებოდა, ალიანსი, რომელსაც დრო და დრო საფრანგეთიც უერთდებოდა, იმედოვნებდა ხელი შეეშალა რევოლუციისათვის თავის საკუთარ სამფლობელოებში. ასეთი პოლიტიკა წარმოადგენდა ამერიკის თვითგამორკვევის პრინციპის ანტითეზას.

სანამ „წმინდა ალიანსის“ მოქმედება ძველი სამყაროს ქვეყნებით შემოიფარგლებოდა, მას დიდი მღელვარება არ

გამოუწვევია შეერთებულ შტატებში. მაგრამ როდესაც ალიანსმა განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ აღედგინა ესპანეთისათვის ყოფილი კოლონიები, ამერიკელები ძალიან შეშფოთდნენ. თავის მხრივ, ბრიტანეთმა გადაწყვიტა შეეშალა ხელი ესპანეთისათვის იმპერიის აღდგენაში, რადგან ლათინურ ამერიკას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი სავაჭრო ინტერესებისათვის. ბრიტანეთი დაჟინებით ითხოვდა ინგლის-ამერიკის მიერ გარანტიების გაგრძელებას ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის, მაგრამ სახელმწიფო მდივანმა ჯონ კუინსი ადამსმა დაარწმუნა მონრო დამოუკიდებლად მოქმედების მიზანშეწონილობაში: „უფრო გულწრფელი და უფრო ღირსეული იქნება მკაფიოდ ჩამოვუყალიბოთ რუსეთსა და საფრანგეთს ჩვენი პრინციპები, ვიდრე შევასრულოთ ბრიტანეთის სამხედრო გემის „კანჯოს" როლი. 1823 წელს პრეზიდენტმა მონრომ, რომელმაც იცოდა, რომ ბრიტანეთის ფლოტი დაიცავდა ლათინური ამერიკის „წმინდა ალიანსისა" და საფრანგეთისაგან, გამოიყენა კონგრესისათვის წარდგენილი თავისი წლიური ანგარიში, რომ ჩამოეყალიბებინა „მონროს დოქტრინის" სახელით ცნობილი უარი კვლავ მოეთმინათ ევროპელთა მბრძანებლობის გავრცელება ამერიკის კონტინენტზე:

*ამერიკის კონტინენტები . . . ამიერიდან აღარ უნდა განიხილებოდნენ ევროპელთა ძალების მიერ კოლონიზაციის საგნად მომავალში.*
*ნებისმიერი მცდელობა მათი მხრიდან გაავრცელონ თავიანთი (პოლიტიკური) სისტემა ამ ნახევარსფეროს რომელიმე ნაწილში, სახიფათოა ჩვენი მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის.*
*ჩვენ არ ვერევით არსებული კოლონიების ან დამოკიდებული ქვეყნების საქმეებში, მაგრამ რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომელთა მთავრობებმა გამოაცხადეს და შეინარჩუნეს თავიანთი დამოკიდებულება, და რომელთა დამოუკიდებლობაც . . .*
*ჩვენ ვაღიარეთ, გარეშე ჩარევას მათი დაჩაგვრის ან მათი ბედის კონტროლის მიზნით ჩვენ განვიხილავთ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ მტრული განწყობის მანიფესტაციას.*

მონროს დოქტრინა გამოხატავდა სოლიდარობის სულისკვეთებას ლათინური ამერიკის ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკებისადმი. ამ ერებმა, თავის მხრივ, სცნეს პოლიტიკური სიახლოვე შეერთებულ შტატებთან. მათი კონსტიტუციები კი ბევრ შემთხვევაში შექმნილ იყვნენ ჩრდილო ამერიკის მოდელის მიხედვით.

**ფრაქციულობა და პოლიტიკური პარტიები**

მონროს პრეზიდენტობის პერიოდი (1817–1825) ითვლება „კარგი გრძნობების ერად“. გარკვეული აზრით, ეს პერიოდი გამოირჩეოდა ძლიერი ფრაქციული და რეგიონალური კონფლიქტებით; მეორეს მხრივ, ეს გამოთქმა მიგვანიშნებს რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურ ტრიუმფს და ფედერალური პარტიის მარცხს, რომელიც დაიმსხვრა როგორც პოლიტიკური ძალა.

ფედერალისტთა დაცემამ გამოიწვია უწესრიგობა პრეზიდენტის არჩევის სისტემაში. იმ დროისათვის სახელმწიფო საკანონმდებლო ხელისუფლებას შეეძლო დაესახელებინა კანდიდატები. 1824 წელს ტენესში და პენსილვანიაში აირჩიეს ენდრიუ ჯექსონი, სამხრეთ კაროლინაში ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად სენატორი ჯონ კალჰუნი. კენტუკიში პალატის სპიკერად აირჩიეს ჰენრი კლეი; მასაჩუსეთსში – სახელმწიფო მდივნად ჯონ ადამსი. კონგრესის დახურული კრების მიერ ფინანსთა მინისტრად არჩეულ იქნა ვილიამ კროუფორდი.

პირადი თვისებები და კლანური ერთგულება თამაშობდა მნიშვნელოვან როლს არჩევნების შედეგების განსაზღვრაში. ადამსმა მოიგო არჩევნები ახალ ინგლისსა და ნიუ იორკში; კლეიმ – კენტუკიში, ოჰაიოსა და მისურიში; ჯექსონმა მოიგო სამხრეთ აღმოსავლეთში, ილინოისში, ინდიანაში, კაროლინაში, პენსილვანიაში, მერილენდსა და ნიუ ჯერსიში; კროუფორდმა მოიგო ვირჯინიაში, ჯორჯიასა და დელავერში. ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა უმრავლესობა და, ამგვარად, კონსტიტუციის თანახმად, არჩევნები გადატანილ იქნა წარმომადგენელთა პალატაში, სადაც ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო კლეი. იგი დაეხმარა ადამსს, რომელმაც მოიპოვა პრეზიდენტობა.

ადამსის მმართველობის პერიოდში გამოჩნდა ახალი პარტია. ადამსის მიმდევრებმა თავის თავს უწოდეს „ეროვნული რესპუბლიკელები“, რომელიც შემდგომში შეიცვალა „ვიგებით“. თუმცა ადამსი მართავდა პატიოსნად და ეფექტურად, ის მაინც არ იყო პოპულარული პრეზიდენტი, და მის ადმინისტრაციას იმედ-გაცრუება დაეუფლა. წარუმატებლად დამთავრდა ადამსის მცდელობა დაეფუძნებინა გზებისა და არხების ეროვნული სისტემა. მისი პრეზიდენტობის წლები წააგავდა ერთ გრძელ კომპანიას ხელახალი არჩევნებისათვის, ცივი ინტელექტუალური ტემპერამენტის გამო კი მან ვერ შეიძინა მეგობრები. ამის საწინააღმდეგოდ, ჯექსონი საოცარი პოპულარობით სარგებლობდა, განსაკუთრებით თავის მიმდევრებს შორის ახლად შექმნილ დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც წარმოიშვა რესპუბლიკური პარტიიდან

და სათავეს იღებდა ჯერ კიდევ პრეზიდენტების ჯეფერსონის, მედისონის და მონროს დროიდან. 1828 წლის არჩევნებში ჯექსონმა ძალიან დიდი უპირატესობით დაამარცხა ადამსი.

ჯექსონმა – ტენესელმა პოლიტიკოსმა, ინდიელებთან მებრძოლმა და 1812 წლის ომში ნიუ ორლეანთან გამართული ბრძოლის გმირმა – მოიპოვა დასავლეთის წვრილი ფერმერების, მუშების, ხელოსნების და წვრილი ვაჭრების მხარდაჭერა, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ თავიანთი ხმის უფლება იმ მიზნით, რომ გაეწიათ წინააღმდეგობა სამრეწველო რევოლუციის თანამდევი კომერციული და მანუფაქტურული ინტერესების გაძლიერებისათვის.

1828 წლის არჩევნები გამოირჩეოდნენ აგრეთვე მასში მონაწილეთა რიცხვის ზრდის ტენდენციით. ვერმონტში, გაერთიანებაში მისი შესვლის დღიდან, საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა ყველა მამაკაცი; ტენესი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ანიჭებდა საშემოსავლო ბეგარის გადამხდელთა დიდ უმრავლესობას; 1807–1810 წლებში ნიუ ჯერსიში, მერილენდში და სამხრეთ კაროლინაში გააუქმეს მოთხოვნები საკუთრებასა და ბეგარის გადახდაზე. შტატებში, რომლებიც შეეიდნენ კავშირში 1815 წლის შემდეგ, საარჩევნო ხმის უფლება ეძლეოდა ყველა თეთრკანიან მამაკაცს ან ბეგარის (თუნდაც მცირეს) გადამხდელებს. 1815 წლიდან 1821 წლამდე კონექტიკუტმა, მასაჩუსეთსმა და ნიუ იორკმა გააუქმეს ყველა ქონებრივი მოთხოვნა. 1824 წელს ამომრჩეველთა კოლეგია კვლავ იქნა არჩეული ექვსი შტატის საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ. 1828 წლის პრეზიდენტის ამომრჩეველთა კოლეგიის წევრები არჩეულ იქნენ სახალხო კენჭისყრით ყველა შტატში, გარდა დელავერისა და სამხრეთ კაროლინისა. არაფერს მოუხდენია დემოკრატიული სენტიმენტალიზმის ისეთი დრამატიზირება, როგორც ენდრიუ ჯექსონის არჩევნებს ახლდა.

---

**კრიზისის ანულირება**

პრეზიდენტობის პირველი ვადის ბოლოს, ჯექსონი იძულებული გახდა შეწინააღმდეგებოდა სამხრეთ კაროლინის შტატის მიერ დამცავი ტარიფების შემოღებას. შტატის ბიზნესმენები და ფერმერები იმედოვნებდნენ, რომ ჯექსონი გამოიყენებდა თავის საპრეზიდენტო ძალაუფლებას, რათა შეეცვალა კანონი ტარიფების შესახებ, რომელსაც ისინი უკვე დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდნენ. მათი აზრით, ტარიფების დაცვით მიღებული მთელი სარგებელი მიდიოდა ჩრდილოელ ფაბრიკანტებთან, და მაშინ, როდესაც ქვეყანა მთლიანობაში მდიდრდებოდა, სამხრეთ კაროლინა მისი პლანტაციებითურთ,

პირიქით, ღარიბდებოდა, რადგან მას მძიმე ტვირთად აწვა გაზრდილი ფასები.

დამცავი ტარიფი, რომელმაც გაიარა კონგრესი და 1832 წელს ხელმოწერილი იქნა ჯექსონის მიერ, უფრო შერბილებულ ხასიათს ატარებდა 1828 წლის ტარიფთან შედარებით, მაგრამ მაინც ბევრს აღიზიანებდა შტატში. აქედან გამომდინარე, სამხრეთ კაროლინის მოქალაქეთა გარკვეულმა წრეებმა ისარგებლეს შტატების უფლებებში შემავალი ჯონ კლოუნის, 1832 წლამდე ჯექსონის ვიცე-პრეზიდენტის, მიერ შემოღებული „ანულირების" პრინციპით „სამხრეთ კაროლინის აღწერა და პროტესტი" (1828), რომლის საფუძველზე 1828 და 1832 წლებში დაწესებული ტარიფი გამოცხადდა ანულირებულად და გაუქმებულად შტატის საზღვრებს შიგნით. ამასთან ერთად საკანონმდებლო ხელისუფლებამ მიიღო კანონი გამოტანილი ბრძანებულების შესრულების თაობაზე, რომელიც გულისხმობდა ამ მიზნისათვის სამხედრო ძალისა და არმიის გამოყენებას.

ანალოგიური აქტის მიღება ნიშნავდა შტატის მიერ ფედერალური ხელისუფლების უფლებამოსილების უარყოფას. ასეთი რამ პირველად არ ხდებოდა. რესპუბლიკის დაარსების დროიდან მოყოლებული შტატებსა და ეროვნულ მთავრობას შორის მიმდინარეობდა გაუთავებელი დავა ამ უკანასკნელის ძალაუფლების საკითხისა და მოქალაქეობისადმი ლოიალურობის შესახებ. მაგალითად, კენტუკისა და ვირჯინიის მიერ გამოტანილი 1798 წლის რეზოლუციებით იგნორირებულ იქნა „უცხოელების და აჯანყებისაკენ მიწოდების" აქტები, ჰარტფორდის კონვენციაში კი ახალმა ინგლისმა გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება პრეზიდენტ მედისონისადმი და ბრიტანეთის წინააღმდეგ წარმოებული ომისადმი.

სამხრეთ კაროლინის მუქარის პასუხად ჯექსონმა 1832 წლის ნოემბერში გაგზავნა ჩარლსტონში შვიდი პატარა სამხედრო-საზღვაო ხომალდი ჯარისკაცებით. 10 დეკემბერს მან გამოაქვეყნა მოწოდება „ანულირების" მომხრეთა წინააღმდეგ. როგორც პრეზიდენტმა გამოაცხადა, სამხრეთ კაროლინა იდგა „ამბოხისა და ღალატის ზღვარზე", და მან მოუწოდა შტატის მოსახლეობას დაედასტურებინათ თავიანთი ერთგულება იმ კავშირისადმი, რომლისთვისაც იბრძოდნენ მათი წინაპრები.

როცა სატარიფო ვალდებულებების საკითხი კვლავ დადგა კონგრესის წინაშე, აშკარა გახდა, რომ მხოლოდ ერთ ადამიანს – სენატორ ჰენრი კლეის – ვალდებულებების შესრულების ერთგულ დამცველს (და ჯექსონის პოლიტიკურ კონკურენტებს) ძალუძდა კომპრომისის გამონახვა კონგრესში.

კლეის მიერ წარმოდგენილი ტარიფების ნუსხით, რომელიც სწრაფად იქნა მიღებული 1833 წელს, იგულისხმებოდა, რომ ყველა გადასახადი, რომელიც იმპორტირებულ ნაწარმზე მისი ღირებულების 20 პროცენტს აღწევდა, უნდა შემცირებულიყო ეტაპობრივად, ისე, რომ 1842 წლისათვის დასულიყო 1816 წლის საშუალო ტარიფების დონემდე.

„ანულირების" მომხრეები სამხრეთ კაროლინიდან იმედოვნებდნენ, რომ მათ მხარს დაუჭერდნენ სამხრეთის სხვა შტატებიც, რომლებმაც მოულოდნელად გამოაცხადეს მათ მიერ აღებული კურსი არაგონივრულად და არაკონსტიტუციურად. ყოველივე ამის შედეგად სამხრეთ კაროლინამ შეწყვიტა ბრძოლა. მიუხედავად ამისა, ორივე მხარე იჩემებდა გამარჯვებას. ჯექსონმა დაუმტკიცა ფედერალურ მთავრობას კავშირის უზენაესობის პრინციპი. მაგრამ ოროვე კაროლინამ, გამოავლინა რა წინააღმდეგობის გაწევის უნარი, შესძლო მიეღწია ბევრი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის და დაემტკიცებინა, რომ ერთადერთ შტატსაც შესწევს ძალა მოახვიოს კონგრესს თავისი ნება.

---

ოლა
ბთან

ვიდრე გადაწყდებოდა ანულირების საკითხი, წარმოიქმნა სხვა დაპირისპირებაც, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ჯექსონის ლიდერობას. 1791 წელს ალექსანდრე ჰამილტონის თაოსნობით დაარსდა პირველი ბანკი, რომელსაც 20 წლის ვადით მიეცა უფლებამოსილებანი. თუმცა მთავრობას მისი აქციების ნაწილი ეკუთვნოდა, ეს არ იყო სამთავრობო ბანკი; ბანკი წარმოადგენდა კერძო კორპორაციას, და მისი შემოსავალი აქციონერებს შორის ნაწილდებოდა. ის შეიქმნა ფულის სტაბილიზაციის და ვაჭრობისათვის ხელშეწყობის მიზნით; მაგრამ მას ცუდად შეხვდა დასავლეთის მოსახლეობა და მშრომელი ხალხი, რომლებსაც მისურის შტატის სენატორ თომას ჰარტ ბენტონის მსგავსად მიაჩნდათ, რომ ეს იყო ძალაუფლების მქონე ადამიანების სამსახურში ჩაყენებული „ურჩხული". ამდენად, როდესაც 1811 წელს ბანკის უფლებების ვადა ამოიწურა, ის უკვე აღარ გაუგრძელებიათ.

მომდევნო რამოდენიმე წლის მანძილზე საბანკო საქმე სახელმწიფო ბანკების ხელში აღმოჩნდა, რომლებიც მეტისმეტად ბევრ ფულს ბეჭდავდნენ, რაც იწვევდა არეულობას და აძლიერებდა ინფლაციას. თანდათან სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ სახელმწიფო ბანკები ვერ უზრუნველყოფდნენ ქვეყანას ერთიანი ვალუტით, და 1816 წელს შეიქმნა შეერთებული შტატების მეორე ბანკი, რომელიც პირველი ბანკის მსგავსი იყო უფლებამოსილების იგივე ვადა.

მეორე ბანკი დაარსების დღიდანვე არაპოპულარული იყო შედარებით ახალ შტატებსა და ტერიტორიებზე. მისი მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ ბანკს აღებული ჰქონდა მონოპოლია მთელი ქვეყნის კრედიტებზე და ნაღდ ფულზე, და რომ იგი იცავდა მდიდართა მცირე ჯგუფის ინტერესებს. ზოგადად ბანკი კარგად იმართებოდა, და მან დიდი სამსახური გაუწია ქვეყანას; მაგრამ ჯექსონი, რომელიც პრეზიდენტად აირჩიეს როგორც ხალხში მეტად პოპულარული პიროვნება, ბანკის მოწინააღმდეგე იყო და ვეტო დაადო მისი უფლებამოსილების გაგრძელებას. თავის მიმართვაში კონგრესისადმი ის გამოვიდა მონოპოლიზმის და განსაკუთრებული პრივილეგიების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ „ჩვენი მდიდარი მოქალაქენი ვერ დაკმაყოფილდნენ თანასწორი უსაფრთხოებით და თანასწორი სარგებელით, და მოითხოვეს ჩვენგან კიდევ მეტი გამდიდრება კონგრესის აქტის მეშვეობით". მცდელობა გაეუქმებინათ ვეტო ჩაიშალა.

მომდევნო საარჩევნო კომპანიაში ბანკის საკითხმა გამოიწვია ფუნდამენტალური გაყოფა, ერთის მხრივ, ვაჭრებს, ფაბრიკანტებს, ფინანსურად დაინტერესებულ პირებსა (ძირითადად მაღალპროცენტიანი სესხების გამცემ კრედიტორებსა) და , მეორეს მხრივ, მუშებსა და აგრარულ მუშაკებს შორის, რომლებიც ხშირად ვარდებოდნენ ვალებში და სურდათ ფულადი სახსრების მიღება დაბალ პროცენტებში. გამოსავალი მდგომარეობდა „ჯექსონიზმში". ჯექსონმა თავისი ხელახალი არჩევა პრეზიდენტად 1832 წელს შეაფასა როგორც ხალხისაგან მანდატის მიღება ბანკების საბოლოო განადგურებისათვის და იპოვა კიდეც ამისათვის მზა იარაღი. 1833 წელს მან გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ფული არ უნდა შეეტანათ ბანკში, ხოლო ის ფული, რომელიც უკვე იმყოფებოდა ბანკში, თანდათანობით უნდა გამოეტანათ საჭიროების მიხედვით. დიდი სიფრთხილით შერჩეულ სახელმწიფო ბანკებს, რომლებიც გაჭირვებულ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, უნდა შეესრულებინათ შემცვლელის როლი. მომდევნო თაობებში შეერთებული-შტატები გამოირჩეოდნენ შედარებით არარეგულირებული სახელმწიფო საბანკო სისტემით, რომელიც თავისი დაბალპროცენტიანი კრედიტებით ძალიან დაეხმარა ქვეყანას დასავლეთისაკენ გაფართოებაში, მაგრამ ამავე დროს მის მიერვე გამოწვეული პერიოდული პანიკებით ძალზე მტკივნეულად მოქმედებდა ერზე. სამოქალაქო ომამდე შეერთებულ შტატებს არ მიუნიჭებია ეროვნული საბანკო სისტემისათვის რაიმე პრივილეგიები.

ვინაიდან ჯექსონის პოლიტიკურ ოპონენტებს არ ჰქონდათ წარმატების იმედი, ვიდრე ისინი განსხვავებული მიზნებით იხელმძღვანელებდნენ, მათ გადაწყვიტეს ყველა უკმაყოფილო პირის ერთ საერთო პარტიაში გაერთიანება რომელიც „ვიგების“ სახელითა გახდა ცნობილი. თუმცა მათი პარტია 1832 წლის არჩევნების შემდეგ სწრაფად იქნა ჩამოყალიბებული, გაეიდა ერთ ათწლეულზე მეტი დრო, ვიდრე მოხერხდა უთანხმოების მოგვარება და ერთიანი პლატფორმის შემუშავება. პარტიის განმტკიცება ძირითადად ჰენრი კლეის და დანიელ ვებსტერის – პარტიის ყველაზე ბრწყინვალე პოლიტიკოსების – დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ 1836 წლისათვის „ვიგები“ ჯერ კიდევ მეტისმეტად დაქსაქსულნი იყვნენ, რომ გაერთიანებულიყვნენ ერთი კაცის ლიდერობის ქვეშ და საერთო პლატფორმის გარშემო. ამდენად არჩევნებში გაიმარჯვა ჯექსონის ვიცე-პრეზიდენტმა მარტინ ვან ბურენმა, ნიუ იორკიდან.

ეკონომიკურმა დეპრესიამ და მისი წინამორბედის პიროვნულმა მასშტაბურობამ დაჩრდილეს ვან ბურენის დამსახურებები. მისი საზოგადოებრივი საქმეები არ იწვევდნენ ენთუზიაზმს, რადგან მას არ ჰქონდა ლიდერის მომხიბვლელი თვისებები და მსახიობური ალღო, რაც თან სდევდა ჯექსონის ყოველ მოქმედებას. 1840 წლის არჩევნები დაემთხვენ მძიმე პერიოდს ქვეყნის ცხოვრებაში და აქედან გამომდინარე დაბალ ხელფასებს – დემოკრატები თავს იცავდნენ.

„ვიგების“ მიერ წამოყენებული პრეზიდენტობის კანდიდატი უილიამ ჰენრი ჰარისონი, ოჰაიოს შტატიდან, პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ინდიელებთან შეტაკებების და 1812 წლის გმირი. ის, ჯექსონის მსგავსად, ითვლებოდა დემოკრატიული დასავლეთის წარმომადგენლად. მისი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდა ვირჯინიელი ჯონ ტაილერი, რომლის შეხედულებები შტატების უფლებებისა და დაბალი ტარიფების შესახებ პოპულარული იყო სამხრეთში. ჰარისონმა თავბრუდამხვევი განარჯვება მოიპოვა.

ერთი თვეც არ გასულა ჰარისონის პრეზიდენტად ინოგურაციის დღიდან, რომ ის 68 წლის ასაკში გარდაიცვალა და მის მაგიერ პრეზიდენტი გახდა ტაილერი. ტაილერის შეხედულებები მკვეთრად განსხვაედებოდნენ კლეის და უებსტერის და კიდევ უფრო მეტად ქვეყნის გაელენიან პირთა შეხედულებებისაგან. ვიდრე ტაილერის პრეზიდენტობის ვადა გავიდოდა, ამ უთანხმოებებმა აშკარა განხეთქილება ჩამოაგდეს პრეზიდენტსა და იმ პარტიას შორის, რომელმაც ის აირჩია.

მაგრამ თვით ერში ღვიოდა კიდევ უფრო რთული განხეთქილებები, ვიდრე ვიგებისა და დემოკრატების შეხლა-შემოხლა

იყო. მაგალითად, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იმიგრანტების დიდი რაოდენობით ჩამოსვლამ, რომლებიც ირლანდიელებისა და გერმანელებისაგან შედგებოდნენ, უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ პროტესტანტულ მოსახლეობაში.

ამერიკის ნაპირებზე იმიგრანტებს მოჰქონდათ უცხო ადათები და რელიგიური წეს-ჩვეულებები. ისინი ეცილებოდნენ ადგილობრივ ამერიკელებს სამუშაო ადგილებში აღმოსავლეთის სანაპიროს გასწვრივ მდებარე ქალაქებში. გარდა ამისა, 1820-1830 წლების პოლიტიკურმა ცვლილებებმა უცხოეთში დაბადებულები პოლიტიკურ სამიზნედ აქცია. ამ წლებში შტატების კონსტიტუციებში შესწორებები იქნა შეტანილი, რომელთა მიხედვითაც ყველა თეთრკანიანი მამაკაცი სარგებლობდა საარჩევნო უფლებით. ამან გამოიწვია არისტოკრატიული წარმოშობის პოლიტიკოსების მმართველობის დასასრული, რომლებიც პოლიტიკური არენიდან თავიანთი ჩამოშორების მიზეზს იმიგრანტებში ხედავდნენ. და ბოლოს, კათოლიკური ეკლესიის უარმა დაეჭირა მხარი სიფხიზლისათვის მოძრაობისათვის, განაპირობა რომის დადანაშაულება ალკოჰოლის მეშვეობით შეერთებული შტატების დანგრევის ცდაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ადგილობრივი ორგანიზაციებიდან, რომლებიც აღმოცენდა ამ პერიოდში, იყო 1849 წელს დაარსებული საიდუმლო საზოგადოება „შეერთებული შტატების დროშის ორდენი". მას მერე, რაც ამ საზოგადოების წევრებმა უარი თქვეს ვინაობის გამჟღავნებაზე, მათ შეარქვეს „უცნობები". 1853 წელს „უცნობებმა" ნიუ-იორკში მოაწყვეს „დიდი საბჭო", რომელმაც შტატის ორგანიზაციებზე ცენტრალიზებული კონტროლის გაუმჯობესების მიზნით შექმნა ახალი კონსტიტუცია.

„უცნობების" სხვა მთავარ მიზნებს შორის იყო ნატურალიზაციის (გაქვეშემრდომობის) პერიოდის გაზრდის მოთხოვნა 5-დან 21 წლამდე. აგრეთვე, უცხოეთში დაბადებულებისათვის და კათოლიკეებისათვის სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურში მიღებაზე უარის თქმა. 1855 წელს ორგანიზაციამ მოახერხა მოეპოვებინა კონტროლი საკანონმდებლო ხელისუფლებაზე ნიუ იორკსა და მასაჩუსეთში; 1855 წლისათვის პარტიას შეუერთდა დაახლოებით 90 ამერიკელი კონგრესმენი.

მონობასთან დაკავშირებული განხეთქილების გამო პარტია ვერ თამაშობდა რაიმე გარკვეულ როლს ეროვნულ პოლიტიკაში. სამხრეთი შტატების „უცნობები" მხარს უჭერდნენ მონობას, ხოლო ჩრდილოეთელი წევრები წინააღმდეგნი იყვნენ მისი. 1856 წლის ყრილობაზე, რომელსაც უნდა

დაესახელებინა პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურები, 42 ჩრდილოეთელი დელეგატი გაიქცა, როცა „მისურის კომპრომისი"-ს მოძრაობას უარი ეთქვა მხარდაჭერაზე, და პარტია როგორც ეროვნული ძალა მოკვდა.

---

ბის ებკ პოლიტიკური რეფორმების დასაწყისი, რომლის დასტურიც იყო ჯექსონის არჩევნები, იქცა ამერიკელთა მიერ ყველა მოქალაქისათვის უფრო ვრცელი უფლებებისა და შესაძლებლობების ძიების გრძელი გზის პირველ სტადიად. მეორეს წარმოადგენდა მშრომელთა ორგანიზაციების შექმნის დასაწყისი. 1835 წელს მშრომელთა ძალებმა ფილადელფიაში (პენსილვანია) წარმატებას მიაღწიეს „გათენებიდან დაღამებამდე" სამუშაო დღის შემცირებაში 10 საათიან სამუშაო დღემდე. იგივე რეფორმების გატარება შესძლეს ნიუ ჰემპშირში, როუდ აილენდში, ოჰაიოში და კალიფორნიაში – ახალ შტატში, რომელიც 1850 წელს შეუერთდა კავშირს.

თანასწორუფლებიანობის გავრცელებამ გამოიწვია განათლების კონცეფციის შეცვლა, რადგან შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსებისათვის ცხადი გახდა ის საშიშროება, რომელიც საყოველთაო თანასწორობის შემთხვევაში შეიქმნებოდა უსწავლელი, გაუნათლებელი ამომრჩევლების მხრიდან. ამ პოლიტიკოსებს – დე უიტ კლინტონს, ნიუ იორკიდან, აბრაჰამ ლინკოლნს, ილინოისიდან და ჰორაციუს მენს, მასაჩუსეტსიდან, მხარს უჭერდნენ მშრომელთა ორგანიზაციები, რომელთა ლიდერები მოითხოვდნენ უფასო, გადასახადების ხარჯზე მომქმედ სკოლებს, რომლებშიც დაშვებული იქნებოდა ყველა ბავშვი. თანდათან, ჯერ ერთ, შემდეგ მეორე შტატში მიღებულ იქნა კანონმდებლობა უფასო სკოლების დაწესების თაობაზე. ხელმისაწვდომი სკოლების სისტემა შემოღებული იყო ქვეყნის მთელ ჩრდილოეთ ნაწილში. მაგრამ ქვეყნის სხვა რეგიონებში ბრძოლა საზოგადოებრივი სკოლებისათვის წლების მანძილზე გაგრძელდა.

მეორე მნიშვნელოვანი სოციალური მოძრაობა, რომელიც წარმოიშვა ამ პერიოდში, იყო მოძრაობა ალკოჰოლის გაყიდვისა და მოხმარების წინააღმდეგ, ანუ სიფხიზლისათვის მოძრაობა. იგი გამოწვეულ იქნა ინტერესების და მოტივების მთელი რიგით: რელიგიურით, ალკოჰოლის მოქმედებით სამუშაო ძალაზე, ძალადობით, ლოთების ხელში ჩავარდნილი ქალებისა და ბავშვების მძიმე მდგომარეობით. 1826 წელს ბოსტონის მინისტრებმა ჩამოაყალიბეს „სიფხიზლის ხელშემწყობი" საზოგადოება. შვიდი წლის შემდეგ, ფილადელფიაში, საზოგადოებამ მოიწვია ეროვნული ყრილობა,

რომელმაც ჩამოაყალიბა „სიფხიზლისათვის მებრძოლთა კავშირი“. კავშირი მოუწოდებდა ყველა ალკოჰოლური სასმელის დაუშვებლობისაკენ და დაჟინებით მოითხოვდა სახელმწიფო საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან ალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და გაყიდვის აკრძალვას. 1855 წლისათვის 13 შტატი მართლაც ასე მოიქცა, თუმცა სასამართლოში კანონს აცილება მოცა. იგი მოქმედებდა მხოლოდ ახალ ინგლისში, მაგრამ 1830–1860 წლებში სიფხიზლისათვის მოძრაობამ მართლაც შეამცირა მოხმარებული ალკოჰოლის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე.

სხვა რეფორმები ეხებოდა ციხეების და ავადმყოფთა მოვლის პრობლემებს. გაკეთდა მცდელობა გადაექციათ ციხეები, რომლებიც, უპირველესად, სასჯელის მოხდის ადგილს წარმოადგენდნენ, პატიმართა გამოსასწორებელ ადგილად, სადაც დამნაშავენი რეაბილიტაციას გაივლიდნენ. მასაჩუსეტში დოროთეა დიქსი ხელმძღვანელობდა ბრძოლას ავადმყოფთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, რომლებიც ჩაკეტილნი იყვნენ დავრდომილთა უბადრუკ სახლებში და ციხეებში. დოროთეა დიქსმა მას შემდეგ, რაც შესძლო მიეღწია გაუმჯობესებისათვის მასაჩუსეტში, წამოიწყო კომპანია სამხრეთში, სადაც 1845–1852 წლებში აშენდა ცხრა სახელმწიფო საავადმყოფო დავრდომილთათვის.

---

**ქალთა უფლებები**

სოციალური რეფორმების წყალობით ბევრი ქალისათვის ცხადი გახდა მათი დაჩაგრული მდგომარეობა საზოგადოებაში. კოლონიალური დროიდან მოყოლებული გაუთხოვარ ქალებს მინიჭებული ჰქონდათ ის მრავალი კანონიერი უფლება, რაც გააჩნდათ კაცებს, მაგრამ ტრადიცია მოითხოვდა მათ ადრე გათხოვებას, გათხოვებასთან ერთად კი ისინი კანონის თვალსაზრისით ფაქტიურად კარგავდნენ თავის ინდივიდუალობას. მათ არ ჰქონდათ კენჭისყრის უფლება და მათი განათლება მე-17–18 საუკუნეებში შემოიფარგლებოდა კითხვით, წერით, მუსიკით, ცეკვით და ქარგვით.

ქალთა თვითშეგნების გამოღვიძება დაიწყო ფრენსის რაიტის ამერიკაში ჩამოსვლით. რაიტი, შოტლანდიელი ლექტორი და ჟურნალისტი, 1820-იან წლებში იბრძოდა ქალთა უფლებებისათვის შეერთებულ შტატებში. იმ დროს, როდესაც ქალებს საზოგადოებრივ ადგილებში ხშირად ლაპარაკიც კი ეკრძალებოდათ, ის არა მხოლოდ გამოდიოდა სიტყვით აუდიტორიის წინაშე, არამედ ახერხებდა მის შოკირებას თავისი შეხედულებებით, რომ ქალებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია შობადობის კონტროლის და განქორწინების შესახებ.

1840 წელს გამოჩნდა ამერიკელ ქალთა ჯგუფი, რომლებმაც წამოიწყეს მოძრაობა ქალთა უფლებებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება ამ ჯგუფში იყო ელიზაბედ ქედი სტენტონი. 1848 წელს კედი სტენტონმა და ლუკრეცია მოტმა, ქალთა მოძრაობის კიდევ ერთმა აქტივისტმა, მოაწყვეს ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი ყრილობა – მსოფლიო ისტორიაში პირველად – სენექტა ფოლსში (ნიუ იორკის შტატი). დელეგატებმა შეიმუშავეს დეკლარაცია, რომელიც მოითხოვდა კანონის წინაშე ქალთა თანასწორუფლებიანობას მამაკაცებთან, ხმის უფლებას, თანაბარ შესაძლებლობებს განათლებასა და მუშაობაში.

ამავე წელს ერნესტინ როუზი, პოლონელი იმიგრანტი, ცდილობდა გაეტარებინა ნიუ იორკის შტატში კანონი, რომლის თანახმად გათხოვილ ქალებს მიეცემოდა უფლება თავიანთ სახელზე გაეფორმებინათ საკუთარი ქონება. ამ ტიპის ერთ-ერთმა პირველმა კანონმა „მერილენდის ქალების საკუთრების აქტმა“ მაგალითი მისცა სხვა შტატების საკანონმდებლო ორგანოებს მიეღოთ მსგავსი კანონები.

1869 წელს როუზი დაეხმარა ელიზაბეტ კედი სტენტონს და ქალთა უფლებებისათვის მებრძოლ კიდევ ერთ აქტივისტს – სიუზან ზ. ენტონის დაეარსებინათ ქალთა თანასწორუფლებიანობის ეროვნული ასოციაცია (NWSA), რომელიც მხარს დაუჭერდა კონსტიტუციაში შესწორებების შეტანას ქალთა ხმის უფლებასთან დაკავშირებით. ეს ორი მანდილოსანი გახდა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ყველაზე აქტიური პროპაგანდისტი. ამ პარტნიორობის შესახებ კედი სტენტონმა თქვა: „მე ვქმნიდი მეხს, ის კი ისროდა“.

---

კკენ ფრონტირს დიდი წვლილი მიუძღოდა ამერიკული ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში. ატლანტის ოკეანის სანაპიროზე არსებული პირობები ხელს უწყობდნენ მიგრაციას ახალ რაიონებში. ახალი ინგლისიდან, სადაც ნიადაგი არ იძლეოდა მარცვლეულის დიდ მოსავალს, მოდიოდა ქალების და მამაკაცების უწყვეტი ნაკადი, რომლებიც ტოვებდნენ სანაპიროზე მდებარე ფერმებს და სოფლებს კონტინენტის შიდა, მდიდარი მიწების სანაცვლოდ. კაროლინის და ვირჯინიის შიდა ტერიტორიებზე მოსახლე ადამიანები განიცდიდნენ გზების და არხების ნაკლებობას, რომლებიც მათ სანაპირო ბაზრებთან დააკავშირებდათ, და ზღვისპირა პლანტატორების პოლიტიკურ ბატონობას, ამიტომ ისინიც დასავლეთისკენ დაიძრნენ. 1800 წელს მდინარეების მისისიპის და ოჰაიოს ხეობები იქცნენ ფრონტირის დიდ ზონად. „ჰაი-ო, მოვდივართ ჩვენ,

მოყვებით მდინარეს სახელად ო-პაი-ო," – ეს სიმღერა ათასობით ახალმოსახლის სიმღერად იქცა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის მოძრაობამ დასავლეთისკენ გამოიწვია ძველი ტერიტორიების გადანაწილება და ახალი საზღვრების შექმნა. კავშირს უერთდებოდნენ ახალი შტატები და პოლიტიკური რუკა მდინარე მისისიპის აღმოსავლეთით მოწესრიგდა. 1816–1821 წლებში შეიქმნა 6 ახალი შტატი – ინდიანა, ილინოისი, მენი (რომლებიც თავისუფალი შტატები იყვნენ) და მისისიპი, ალაბამა, მისური (მონათმფლობელური შტატები). პირველი ფრონტირი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროპასთან, მეორე – სანაპირო ზოლის დასავლეთთან, მაგრამ მისისიპის დაბლობი დამოუკიდებელი იყო და მისი ხალხის მზერა უფრო დასავლეთისკენ იყო მიპყრობილი, ვიდრე აღმოსავლეთისკენ.

ფრონტირის ახალმოსახლენი სხვადასხვა ჯურის ადამიანები იყვნენ. ერთმა ინგლისელმა მოგზაურმა აღწერა ისინი, როგორც „გამბედავი, ძლიერი რასა ადამიანებისა, რომლებიც ცხოვრობენ უბადრუკ ქოხებში . . . ისინი დაუხვეწავი, მაგრამ სტუმართმოყვარე ხალხია, კეთილნი უცხო ადამიანების მიმართ, პატიოსანნი და სანდონი. მათ მოჰყავთ ცოტაოდენი სიმინდი, გოგრა, აშენებენ ღორებს და ზოგჯერ თითო-ოროლა ძროხაც ჰყავთ . . . მაგრამ მათი ძირითადი სასიცოცხლო იარაღი თოფია". ნაჯახის, მახეების და სათევზაო მოწყობილობის ხმარებაში დახელოვნებული ეს ადამიანები მიჰყვებოდნენ ცხოველთა ნაკვალევს, აშენებდნენ პირველ ხის ქოხებს და უპირისპირდებოდნენ ამერიკის ადგილობრივ მცხოვრებთა ტომებს, ვის მიწასაც იკავებდნენ.

რაც უფრო მეტი და მეტი ახალმოსახლე მიდიოდა ველურ ადგილებში საცხოვრებლად, მით მეტი ფერმერი ხდებოდა აგრეთვე მონადირეც. ქოხები შეცვალა კომფორტაბელურმა ხის სახლებმა მინის ფანჯრებით, გადატიხრული ოთახებით და საკვამლე მილით; წყაროები ჭებმა შეცვალეს. შრომისმოყვარე ახალმოსახლენი ათავისუფლებდნენ მიწებს ტყისგან და წვავდნენ შეშას პოტაშის მისაღებად. მათ მოჰყავდათ მარცვლეული, ბოსტნეული და ხილი, ნადირობდნენ ტყეში ირმებზე, გარეულ ინდაურებზე და ეძებდნენ თაფლს; თევზაობდნენ მახლობელ წყლებში, უვლიდნენ ღორებს და საქონელს. მიწის გადამყიდველები იაფად იძენდნენ მიწის დიდ ნაკვეთებს და მიწაზე ფასების მომატებისას ყიდდნენ თავის საკუთრებას და მიიწევდნენ კიდევ უფრო შორს დასავლეთისკენ, რითაც სხვებსაც უკვალავდნენ გზას.

ექიმები, ადვოკატები, მედუქნეები, გამომცემლები, მქადაგებლები, მექანიკოსები და პოლიტიკოსები ფეხდაფეხ მიჰყვე-

ბოდნენ ფერმერებს, რომლებიც ქმნიდნენ მტკიცე საფუძველს. ფერმერები სახლდებოდნენ იმ ადგილას, სადაც სამუდამოდ დარჩენას აპირებდნენ და იმედოვნებდნენ, რომ მათ შემდეგ აქ მათი შვილები იცხოვრებდნენ. ისინი აშენებდნენ დიდ ბეღლებს და აგურის სახლებს. მათ თან მიჰყავდათ შინაური ცხოველების გაუმჯობესებული ჯიშები, ოსტატურად ხნავდნენ მიწებს და თესავდნენ პროდუქტიულ თესლს. ზოგიერთები აგებდნენ წისქვილებს, სახერხ და არყის გამოსახდელ ქარხნებს. მათ გაჰყავდათ კარგი გზები, აშენებდნენ ეკლესიებს და სკოლებს. რამოდენიმე წელიწადში აქ წარმოუდგენელი ცვლილებები მოხდა. 1830 წელს, მაგალითად, ჩიკაგო (ილინოისის შტატი) წარმოადგენდა უბრალო, პერსპექტივების არმქონე სავაჭრო სოფელს ფორტით; მაგრამ ბევრად ადრე, ვიდრე გარდაიცვლებოდნენ მისი პირველი მოსახლენი, ის იქცა ერთ-ერთ უდიდეს და უმდიდრეს ქალაქად ამერიკაში.

ფერმები ადვილი შესაძენი იყო. სახელმწიფო მიწის ყიდვა 1820 წლის შემდეგ შეიძლებოდა 1,25 დოლარად ნახევარ ჰექტარში, ხოლო 1862 წლის შემდეგ, „სამოსახლო აქტის“ მიხედვით, შესაძლებელი იყო მისი უფასოდ მიღება უბრალოდ დაკავებისა და გაუმჯობესების გზით. გარდა ამისა, მიწის დასამუშავებელი ხელსაწყოების ყიდვა არ წარმოადგენდა სიძნელეს. ეს იყო დრო, როდესაც ჰორაციუს გრილის მიერ გავრცელებული ჯონ სოულის გამონათქვამით თუ ვისარგებლებთ, „ახალგაზრდებს შეეძლოთ წასულიყვნენ დასავლეთში და დავაჟკაცებულიყვნენ ქვეყანასთან ერთად“.

1840 წლის შემდეგ, თუ არ ჩავთვლით მიგრაციას მექსიკის კუთვნილ ტეხასში, ფრონტირის მოძრაობა დასავლეთისკენ არ გასცდენია მისურის. 1819 წელს 5 მილიონი დოლარის დაბრუნების სანაცვლოდ, შეერთებულმა შტატებმა მიიღეს ესპანეთისგან ფლორიდა და ესპანეთის უფლებები ორეგონზე შორეულ დასავლეთში. ამასობაში შორეული დასავლეთი იქცა დიდი აქტიურობის ზონად ვაჭრობაში, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ბეწვეული და ტყავები. ისევე, როგორც ფრანგთა მიერ მისისიპის დაბლობის შესწავლა-ათვისების პირველ დღეებში, ვაჭარი იყო პირველი გზის გამკვალავი მისისიპის გაღმა მიწებზე. ფრანგი, შოტლანდიელი და ირლანდიელი მონადირეები იკვლევდნენ დიდ მდინარეებს და მათ შენაკადებს, შეისწავლეს და აღმოაჩინეს როკი და სიერა მთების ყველა ბილიკი და შესაძლებელი გახადეს იმიგრაცია 1840-იან წლებში და შემდგომში ქვეყნის შიდა ტერიტორიის დაკავება.

ჯამში ერის ზრდა დიდძალი იყო: 1812-დან 1852 წლამდე მოსახლეობა გაიზარდა 7,25 მილიონიდან 23 მილიონამდე.

მიწა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო დასასახლებლად, გაიზარდა თითქმის ევროპისხელა ტერიტორიის ოდენობით – 4,4 მილიონიდან 7,8 მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე. მაგრამ ჯერ კიდევ გადაუჭრელი დარჩა ძირითადი კონფლიქტები, რომელთა საფუძველში იდო ადგილობრივი განსხვავებები, რაც 1860-იანი წლების დასასრულს სამოქალაქო ომში გადაიზარდა. გარდაუვალი იყო ისიც, რომ დასავლეთის ექსპანსია იწვევდა ახალმოსახლეთა კონფლიქტს ამ მიწების ადგილობრივ მცხოვრებლებთან– ინდიელებთან.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას, რომლის სახელიც დაკავშირებული იყო ამ კონფლიქტებთან, წარმოადგენდა ენდრიუ ჯექსონი, პირველი „დასავლელი", რომელმაც დაიკავა თეთრი სახლი. 1812 წლის ომის შუა პერიოდში ჯექსონი, რომელიც მაშინ ტენესის მილიციას ხელმძღვანელობდა, გაიგზავნა სამხრეთ ალაბამაში, სადაც მან დაუნდობლად ჩაახშო კრიკის ტომის ინდიელების აჯანყება. მალე კრიკის ტომმა შეერთებულ შტატებს თავისი ტერიტორიის ორი მესამედი დაუთმო. შემდეგ ჯექსონმა განდევნა სემინოლის ტომის ინდიელები მათი თავშესაფრიდან ესპანეთის კუთვნილ ფლორიდაში.

1820-იან წლებში პრეზიდენტ მონროს სამხედრო მინისტრმა ჯონ კ. კოლჰაუნმა გაატარა დარჩენილი ინდიელების გადასახლების პოლიტიკა სამხრეთ-დასავლეთის მიწებიდან მისისიპის გაღმა ტერიტორიებზე. ჯექსონმა გააგრძელა ეს პოლიტიკა პრეზიდენტად ყოფნის დროსაც.

1830 წელს კონგრესმა მიიღო „ინდიელების გასახლების აქტი" და დააფინანსა აღმოსავლეთის ტომების გადაყვანა მისისიპის იქით. 1834 წელს ინდიელებისათვის გამოიყო სპეციალური ტერიტორია, ახლანდელი ოკლაჰომას ადგილას. ჯამში, ჯექსონის პრეზიდენტობის ორი ვადის მანძილზე ინდიელთა ტომებმა მოაწერეს ხელი 94 ხელშეკრულებას და დაუთმეს მილიონობით ჰექტარი მიწა ფედერალურ მთავრობას, რის შედეგად ათეულობით ტომი გასახლებულ იქნა თავისი წინაპრების სამშობლოდან.

შესაძლოა, ყველაზე ამაზრზენი ფაქტი ამ სამწუხარო ისტორიიდან ეხება ჩეროკის ტომის ინდიელებს, რომლებმაც 1791 წლის ხელშეკრულებით მიიღეს თავისი მიწების შენარჩუნების გარანტია ჩრდილო კაროლინასა და ჯორჯიაში. ჩეროკის ტომის ინდიელები ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულები იყვნენ ქვეყნის აღმოსავლეთში, მაგრამ მათი ბედი გადაწყდა, როდესაც იქ, სადაც ისინი სახლდებოდნენ, 1829 წელს აღმოაჩინეს ოქრო. უმაღლესი სასამართლოს მხრიდან მხარდაჭერამაც კი ვერ უშველა მათ. ჯექსონის

ადმინისტრაციის მოხელისთანავე ჩეროკის ინდიელები აიძულეს 1835 წელს დაეტოვებინათ თავიანთი მიწები და შესდგომოდნენ გრძელ და მძიმე გზას ოკლაჰომისკენ. ბევრი მათგანი დაიღუპა ავადმყოფობისა და მძიმე პირობების გამო ამ გზაზე, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც „ცრემლების კვალი“.

## „სენეკა ფოლზი"

*ფემინისტმა ქალმა ელიზაბეტ კედი სტენტონმა მოკავშირე იპოვა მგზნებარე აბოლიციონისტის ლუკრეცია მოტის სახით, როდესაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ 1840 წელს მონობის წინააღმდეგ გამართულ ყრილობაზე ლონდონში. როდესაც კონფერენცია დაიწყო, მათ აღმოაჩინეს, რომ დელეგატი ქალები იქ არასასურველნი იყვნენ. ქალებს აუკრძალეს სიტყვით გამოსვლა და, საერთოდ, ყრილობის ავანსცენაზე გამოჩენა. ამიტომ კედი სტენტონმა და მოტმა პროტესტი გამოხატეს იმით, რომ დატოვეს ყრილობის დარბაზი სხვა დელეგატ ქალებთან ერთად. სწორედ მაშინ კედი სტენტონმა შესთავაზა მოტს ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი ყრილობის ჩატარება, რომელიც მოითხოვდა ქალებისთვის სოციალურ, სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს. ყრილობას შეუქმნეს დაბრკოლებები. და გავიდა კიდევ 8 წელი, სანამ ეს ორი ქალი მოასერხებდა ქალთა უფლებების პირველი ყრილობის ჩატარებას, რომელიც შესდგა სენეკა ფოლზიში (ნიუ იორკის შტატი) 1848 წელს.*

*ამ შეხვედრაზე კედი სტენტონმა წარმოადგინა „ურთიერთობების დეკლარაცია", რომელიც ეფუძნებოდა „დამოუკიდებლობის დეკლარაციას" და შეიცავდა ქალთა უფლებების დარღვევის 18-პუნქტიან ჩამონათვალს. მათ შორის იყო: გათხოვილი ქალებისათვის უფლებების ჩამორთმევა შვილებზე, თუ ისინი დატოვებდნენ ქმარს, რომელთანაც უთანხმოება ჰქონდათ, ან ისურვებდნენ განქორწინებას. განქორწინების უფლების მიღების შემთხვევაში მათ არ გააჩნდათ არავითარი საშუალება თავის რჩენისა რაიმე პროფესიით, გარდა წერისა და მასწავლებლობისა. ქალს არ შეეძლო სასამართლოში მიეცა ჩვენება თავისი ქმრის წინააღმდეგ. გათხოვილ ქალებს, რომლებიც მუშაობდნენ ფაბრიკებში, არ ჰქონდათ უფლება თავიანთ გამომუშავებულ ფულზე, რომელიც ქმრებისათვის უნდა მიეცათ. ქალის გათხოვებისას მთელი მის საკუთრებაში მყოფი ქონება ავტომატურად გადადიოდა ქმრის ხელში. საკუთრების მქონე გაუთხოვარ ქალებს უნდა ეხადათ გადასახადები, მაგრამ არ ეძლეოდათ უფლება არჩევნებში მიეცათ ხმა იმ კანონმდებლებისათვის, რომლებიც აწესებდნენ გადასახადებს, – ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ამერიკის კოლონიები გამოეყვნენ დიდ ბრიტანეთს.*

*ყრილობის მონაწილეებმა ერთხულოვნად დაუჭირეს მხარი რეზოლუციებს, გარდა ერთისა, რომელიც ქალთა არჩევნებში მონაწილეობას ეხებოდა. ეს რეზოლუცია მიღებულ იქნა მხოლოდ ფრედერიკ დუგლასის, შავკანიანი აბოლიციონისტის, მგზნებარე სიტყვის შემდეგ. მაგრამ მიუხედავად ამისა, დამსწრეთა უმრავლესობისათვის ქალების კენჭისყრაში მონაწილეობის იდეა მიუღებელი იყო. სენეკა ფოლზიში კედი სტენტონი საქვეყნოდ ცნობილი გახდა, როგორც ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი მჭევრმეტყველი ორატორი და მწერალი.*

*წლების შემდეგ მან განაცხადა, რომ, როგორც ის ადრევე მიხვდა, ხმის უფლების გარეშე ქალები ვერასოდეს მიაღწევდნენ თავიანთ საწადელს – თანასწორუფლებიანობას მამაკაცებთან. მისაბაძ მაგალითად მან მიიჩნია აბოლიციონისტი რეფორმატორი უილიამ ლოიდ ჰარისონი. სტენტონის აზრით, წარმატების საწინდარი იყო საზოგადოებრივი აზრის შეცვლა და არაპარტიული აქტიურობა. სენეკა ფოლზმა შეაგნებინა ქალებს ის უსამართლობა, რომელსაც ისინი განიცდიდნენ და შეასრულა მომავალი ცვლილებების კატალიზატორის როლი. მალე ჩატარდა ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი სხვა ყრილობებიც, და უკვე სხვა ქალებიც ჩაუდგნენ სათავეში ბრძოლას მათი პოლიტიკური და სოციალური თანასწორობისათვის.*




ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის გაფართოება 1803 წლიდან 1853 წლამდე.

აჭარის ისტორიის ესკიზები

თავი მეექვსე

# VI

# ძმილობრივი კონფლიქტი



პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი (ცენტრში) კავშირის არმიის ბანაკში 1862 წლის ოქტომბერში, ანტიეტამის ბრძოლის შემდეგ.



# „ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებად გაყოფილი სახლი დაინგრევა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს სახელმწიფო ვერ იქნება მუდამ ნახევრად მონათ-მფლობელური და ნახევრად თავისუფალი".

აბრაამ ლინკოლნი, 1858

მე-19 საუკუნის შუა პერიოდში შეერთებულ შტატებში უწყვეტ ნაკადად ჩამოდიოდნენ უცხოელი სტუმრები. როგორც ერთმა ისტორიკოსმა აღნიშნა, „შეუმჩნეველი და ზოგჯერ რომანტიზირებული კოლონიალური ექსპლუატაცია დაახლოებით ერთ ღამეში იქცა შესასწავლ ფენომენად, პოლიტიკურ და მორალურ ექსპერიმენტად, რომელიც კვლევას მოითხოვდა.

## ორი ამერიკელი

ამერიკის არც ერთ ვიზიტორს არ დაუტოვებია იმდენი ჩანაწერი მისი მოგზაურობისა და შთაბეჭდილებების შესახებ, როგორც ფრანგ მწერალსა და პოლიტიკურ თეორეტიკოსს ალექს დე ტოკევილს, რომლის 1835 წელს გამოქვეყნებული წიგნი „დემოკრატია ამერიკაში“ რჩება ამერიკის სოციალური და პოლიტიკური პრაქტიკის ერთ-ერთ ყველაზე ბასრ და გამჭრიახ ანალიზად. ტოკევილი მეტისმეტად შორსმჭვრეტელი დამკვირვებელი იყო იმისათვის, რომ კრიტიკის გარეშე შეეხედა ამერიკის შეერთებული შტატების სინამდვილისათვის, მაგრამ საბოლოო ჯამში მის მიერ გამოტანილი ვერდიქტი მაინც დადებითი იყო. „დემოკრატიული ხელისუფლება ანიჭებს პოლიტიკურ უფლებებს ყველაზე ღარიბ მოქალაქეებსაც კი“, – წერდა ის, – „ისევე, როგორც ხელმისაწვდომს ხდის ქონების მოპოვებას საზოგადოების ყველა წევრისათვის“. მაგრამ ტოკევილი იყო ერთადერთი მოაზროვნეთა გრძელ სიაში, რომელიც წუხდა, გადაურჩებოდა თუ არა ასეთი ტლანქი თანასწორობა მრეწველობის მზარდ სისტემას, რომელიც იმუქრებოდა განხეთქილების შეტანით მრეწველობაში დაკავებულ მუშებსა და ბიზნესმენთა ახალ ელიტას შორის.

სხვა მოგზაურებს აოცებდა ქვეყნის ზრდა და სიცოცხლისუნარიანობა. ისინი ყველგან ხედავდნენ „სოფლის მეურნეობის, კომერციის და საზოგადოებრივი საქმიანობის აყვავების და სწრაფი პროგრესის უტყუარ დადასტურებას“. მაგრამ ასეთ ოპტიმისტურ შეხედულებას ამერიკულ ექსპერიმენტთან დაკავშირებით ყველა არ იზიარებდა. ერთ-ერთ სკეპტიკოსს წარმოადგენდა ინგლისელი მწერალი ჩარლზ დიკენსი, რომელიც 1841-1842 წლებში ეწვია პირველად შეერთებულ შტატებს. „ეს არ არის ის რესპუბლიკა, რომლის სანახავადაც მე ჩამოვედი“, წერდა იგი თავის წერილში, „ეს არ არის ის რესპუბლიკა, რომელიც წარმომედგინა... რაც უფრო მეტს ვფიქრობ მის ახალგაზრდობასა და სიძლიერეზე, მით უფრო უმნიშვნელოდ და ღარიბად წარმომიდგება ის სხვადასხვა ასპექტში. ყველაფერში, – რითაც ის ტრაბახობდა, – გარდა ხალხის განათლებისა და ღარიბი ბავშვების მოვლისა, – იგი განუზომლად უფრო დაბალ დონეზე დგას, ვიდრე ეს მე წარმომედგინა.“

დიკენსი არ შეადგენდა გამონაკლისს თავის ასეთ შეხედულებებში. ამერიკა მე-19 საუკუნეში და მთელი თავისი ისტორიის მანძილზე აღძრავდა იმედებს და გრძნობებს, რომლებიც ხშირად არ შეესატყვისებოდნენ გაცილებით უფრო ამქვეყნიურ და რთულ რეალობას. უკვე მისი სიდიდე და მრავალფეროვნება უგულვებელყოფდა ადვილი განზოგადოების შესაძლებლობას და ბადებდა წინააღმდეგობრიობას: ამერიკა იყო ერთდროულად თავისუფლებისმოყვარე და მონათმფლობელური საზოგადოება, ქვეყანა ექსპანსიური და პრიმიტიული ფრონტირისა და ამავე დროს მზარდი ინდუსტრიული და კომერციული ქალაქებისა.

---

**აღთქმული ქვეყანა**

**1850** წელს ეროვნული ტერიტორიები გადაშლილი იყვნენ ტყეებსა, ველებსა და მთებზე. ამ დიდ სივრცეზე გადაჭიმულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა 23 მილიონი ადამიანი; კავშირი, 31 შტატს აერთიანებდა. აღმოსავლეთში მრეწველობის ბუმი იყო. შუა დასავლეთში და სამხრეთში სოფლის მეურნეობა განიცდიდა აღმავლობას. 1849 წელს კალიფორნიის ოქროს საბადოებიდან ოქრო ნაკადად შემოედინებოდა ეკონომიკის ყველა სფეროში.

ახალი ინგლისის და ატლანტის ოკეანის სანაპიროს ცენტრალური შტატები წარმოადგენდნენ მრეწველობის, კომერციის და ფინანსების სფეროს ძირითად ცენტრებს. ამ რაიონის უმთავრესს პროდუქციას შეადგენდა საფეიქრო, ხე-ტყის, ტანსაცმლის, ხელსაწყოების, ტყავის და შალის ნაწარმი. ამავე დროს გემით გადაზიდვებმა თავისი აყვავების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს და ამერიკის დროშის ქვეშ მცურავი გემები, რომლებსაც ყველა ქვეყნის საქონელი გადაჰქონდათ, მრავლად იყო ოკეანეებში.

სამხრეთი – ატლანტის ოკეანიდან მისისიპის მდინარემდე და მის გაღმაც – შედარებით კომპაქტურ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, რომლის ეკონომიკა სოფლის მეურნეობის ირგვლივ იყო კონცენტრირებული. თამბაქო მნიშვნელოვანი იყო ვირჯინიის, მერილენდის, ჩრდილო და სამხრეთ კაროლინას ეკონომიკისათვის. ბრინჯი უხვ მოსავალს იძლეოდა სამხრეთ კაროლინაში, ხოლო ლუიზიანის ჰავა და ნიადაგი ხელს უწყობდა შაქრის კულტივირებას.

მაგრამ ყველაზე გავრცელებულ კულტურად იქცა ბამბა, რომელიც სამხრეთის შტატების დამახასიათებელ ნიშნად იქცა. 1850 წელს შეერთებულ შტატებს მოჰყავდათ მსოფლიოს ბამბის მოსავლის 80%.

სამხრეთის მთელი ეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია იქმნებოდა მონების მიერ, განსაკუთრებით ეს ეხებოდა ბამბის კულტურას.

შუა დასავლეთი მისი უკიდეგანო პრერიებით და სწრაფად მზარდი მოსახლეობით აყვავებას განიცდიდა. ევროპას და ამერიკის ადრე დასახლებულ ნაწილებს სჭირდებოდათ მისი ხორბლის და ხორცის პროდუქტები. რაციონალიზირებული ხელსაწყოების – განსაკუთრებით მაკკორმიკის სამკალი მანქანის დანერგვამ – შესაძლებელი გახადა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სწორუპოვარი ზრდა. ქვეყნის ხორბლის მოსავალი ამასობაში გაიზარდა 35 მილიონი ჰექტოლიტრიდან 1850 წელს 61 მილიონამდავე 1860 წელს, რომლის ნახევარზე მეტი მოყვანილი იყო შუა დასავლეთში.

დასავლეთის კეთილდღეობას მნიშვნელოვანი სტიმული მისცა სატრანსპორტო საშუალებათა გაუმჯობესებამ; 1850-დან 1857 წლამდე აპალაჩის მთების ბარიერი გაარღვია რკინიგზის ხუთმა ხაზმა, რომლებიც შუა დასავლეთს აკავშირებდნენ აღმოსავლეთთან. ამ კავშირებმა შექმნეს ეკონომიკური ინტერესები, რომლებმაც გაამაგრეს კავშირის პოლიტიკური ალიანსი 1861 წლიდან 1865 წლამდე.

რკინიგზის ქსელის ზრდაში სამხრეთი თავდაპირველად გაცილებით ნაკლებ როლს თამაშობდა. მხოლოდ 1850-იან წლებში რკინიგზის უწყვეტმა ხაზმა გაიარა მთებში და დააკავშირა მდინარე მისისიპის ქვედა რაიონები ატლანტიკის სამხრეთ სანპიროსათან.

---

**მონობა და სექციონალიზმი**

ერთმა გარემოებამ გააღრმავა რეგიონალური ეკონომიკური განსხვაევებები ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის: ეს იყო მონობა. სამხრეთელებს არ მოსწონდათ, რომ ჩრდილოეთის ბიზნესმენები დიდ მოგებას იღებდნენ ბამბის მოსავლის გაყიდვით, და თავისი რეგიონის შედარებითი ჩამორჩენილობის წყაროდ სწორედ ჩრდილოეთის გაძლიერებას მიიჩნევდნენ. ჩრდილოეთელები, თავის მხრივ, აცხადებდნენ, რომ მონობა – „თავისებური საზოგადოებრივი წყობა“, რომელსაც სამხრეთი თავისი ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესად თვლიდა, – იყო ერთადერთი მიზეზი ამ რეგიონის ჩამორჩენილობისა.

ჯერ კიდევ 1830 წელს გამწვავდა რეგიონალური დაპირისპირება მონობის საკითხთან დაკავშირებით. ჩრდილოეთში სულ უფრო მეტად იმძლავრეს აბოლიციონისტურმა შეხედულებებმა, რასაც მხარი დაუჭირა „თავისუფალი მიწების მოძრაობამ“, ეს მოძრაობა ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა მონობის გავრცელებას დასავლეთის რაიონებში, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოყალიბებული შტატებად. 1850 წელს მონობა სამხრეთელებისათვის იყო პირობა, რომელზედაც ისინი არ გრძნობდნენ თავს პასუხისმგებლად ისევე, როგორც თავის ინგლისურ ლაპარაკზე ან თავის წარმომადგენლობით

დაწესებულებებზე. ზოგიერთ ზღვისპირა რაიონებში მონობას 1850 წლისათვის სულ ცოტა 200-წლიანი ისტორია მაინც ჰქონდა; ის წარმოადგენდა რეგიონის მთლიანი ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს.

სამხრეთის მხოლოდ თეთრკანიანთა უმცირესობას ჰყავდა მონები. 1860 წელს 46 274 პლანტატორი იყო მთელ მონათმფლობელურ შტატებში, თანაც პლანტატორად ითვლებოდა პირი, რომელსაც ჰყავდა სულ ცოტა 20 მონა მაინც. მონათა ნახევარზე მეტი მუშაობდა პლანტაციებში. ზოგიერთ ღარიბ ფერმერს, რომელთა 70% ფლობდა 40 ჰექტარზე ნაკლებ მიწას, ჰყავდა მხოლოდ რამოდენიმე მონა, უმეტესობას კი ისინი საერთოდ არ გააჩნდა. ღარიბი თეთრკანიანები შეადგენდნენ სამხრეთის საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენას და არ ფლობდნენ მონებს. პლანტატორთა დაინტერესება შეენარჩუნებინათ მონობა ადვილი გასაგები იყო – მათ მონების უდიდესი რაოდენობა ეკუთვნოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მონობის ინსტიტუტს უჭერდნენ მხარს წვრილი ფერმერებიც და ღარიბი თეთრკანიანები. ისინი შიშობდნენ, რომ განთავისუფლებული მონები კონკურენციას გაუწევდნენ მათ მიწის საკითხში.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ მონათა არსებობის წყალობით ღარიბი თეთრკანიანები და მიწის მუშები უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე იყვნენ მოქცეულნი; ისინი არ დათმობდნენ ნებით თავიანთ სტატუსს. ჩრდილოელთა შეხედულებებთან ბრძოლისას სამხრეთის პოლიტიკური ლიდერები, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები და სამღვდელოების უმეტესობა უკვე ბოდიშს კი არ იხდიდნენ მონობის გამო, არამედ აქებდნენ კიდეც მას. სამხრეთელი პუბლიცისტები ამტკიცებდნენ, მაგალითად, რომ მესაკუთრეთა და მშრომელთა შორის დამოკიდებულება მონათმფლობელურ სისტემაში უფრო ჰუმანური იყო, ვიდრე ჩრდილოეთში – შრომის ანაზღაურების სისტემის პირობებში.

1830 წელს ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი პლანტაციების მართვის ძველ პატრიარქალურ სისტემას – მონების პირად ზედამხედველობას მონათმფლობელთა მხრიდან. მაგრამ თანდათან ბამბის წარმოების მასშტაბების ზრდასთან ერთად სამხრეთის ქვედა ნაწილში მონათმფლობელთა პირადი ზედამხედველობა მონებზე თანდათან შეიცვალა პროფესიონალი ზედამხედველების დაქირავებით, რომელთა ამ ადგილზე ყოფნის ვადა დამოკიდებული იყო მათ უნარზე მიეღოთ მონებისაგან მაქსიმალური ოდენობის შესრულებული სამუშაო.

მონათმფლობელობა თავისი ხასიათით წარმოადგენდა სისასტიკის და ძალადობის სისტემას, სადაც ცემა და ოჯახების დანგრევა მის წევრთა გაყიდვის გზით, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ საბოლოოდ მონათმფლობელობის

ყველაზე მძიმე ბრალდებას წარმოადგენდა არა ცალკეულ მონათმფლობელთა და ზედამხედველთა ქცევის სისასტიკე, არამედ ის, რომ მონობა არღვევდა ყველა ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებას იყოს თავისუფალი.

---

**აბოლიციონისტები**

ეროვნულ პოლიტიკაში სამხრეთელები ძირითადად დაინტერესებულნი იყვნენ ბამბის წარმოების და მონობის სისტემის დაცვასა და ზრდაში. ექსპანსია აუცილებელ მოვლენად ითვლებოდა, რადგან ერთადერთი კულტურის – ბამბის – მოყვანა სწრაფად ფიტავდა ნიადაგს და აძლიერებდა ახალი ნაყოფიერი მიწების საჭიროებას. გარდა ამისა, სამხრეთი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო ახალი მონათმფლობელური შტატების შექმნა კავშირში ახლად გაერთიანებული თავისუფალი შტატების რაოდენობის გასაწონასწორებლად. მონობის მოწინააღმდეგე ჩრდილოელებმა სამხრეთელთა შეხედულებები აღიქვეს მონათმფლობელობის გაძლიერების კონსპირაციად, რის გამო 1830-იან წლებში მათი დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდა.

მონობის წინააღმდეგ მიმართულმა ადრეულმა მოძრაობამ, რომელიც ამერიკის რევოლუციის ნიადაგზე აღმოცენდა, თავისი უკანასკნელი გამარჯვება მოიპოვა 1808 წელს, როდესაც კონგრესმა აკრძალა მონებით ვაჭრობა აფრიკასთან. მომდევნო წლებში მონობის მოწინააღმდეგებად ძირითადად დარჩნენ კვაკერები, რომლებიც გამოხატავდნენ სუსტ უშედეგო პროტესტს, მაშინ, როდესაც ბამბის გაწმენდა და დასავლეთის ექსპანსია ზრდიდნენ მოთხოვნას მონებზე.

1830-იანი წლების დასაწყისში აღმოცენებული აბოლიციონისტური მოძრაობა, გამოირჩეოდა მებრძოლი, უკომპრომისო ხასიათით და მტკიცედ მოითხოვდა მონობის დაუყოვნებლივ გაუქმებას. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა უილიამ ლოიდ ჰარისონი, ახალგაზრდა კაცი მასაჩუსეთსიდან, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა მოწამეობრივი გმირობა და დემაგოგის საბრძოლო ყაიდა. 1831 წლის 1 იანვარს ჰარისონმა გამოსცა თავისი გაზეთის „განმათავისუფლებლის" პირველი ნომერი, იქ მოთავსებული განცხადებით: „მე ენერგიულად ვიბრძოლებ ჩვენი დამონებული მოსახლეობის დაუყოვნებლივი განთავისუფლებისათვის . . . ამ საკითხთან დაკავშირებით მე არ მინდა ვიფიქრო, ვილაპარაკო ან ვწერო თავშეკავებულად – მე გულახდილი ვარ – მე არ ვიყოყმანებ – მე არ დავინდობ – მე არ დავიხევ არც ერთი ინჩით და მე მომისმენენ".

ჰარისონის სენსაციურმა მეთოდებმა დაანახვეს ჩრდილოელებს სიავე მონობის ინსტიტუტისა, რომლის შეცვლასაც დიდი ხანია შეუძლებლად მიიჩნევდნენ. ის ცდილობდა ეჩვენე-

ბინა საზოგადოებისათვის მონობის ყველაზე საზიზღარი ასპექტები და მკაცრად გაეკრიტიკებინა მონათმფლობელები, როგორც ჯალათები და ადამიანთა სიცოცხლით მოვაჭრენი. ის არ სცნობდა მონათმფლობელთა უფლებებს, არ მიდიოდა კომპრომისებზე და ვერ ურიგდებოდა დროის გაყვანას. სხვა აბოლიციონისტები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ მის კანონის უგულებელმყოფ ტაქტიკას, თვლიდნენ რომ რეფორმა კანონიერი და მშვიდობიანი გზებით უნდა გატარდეს. პარისონს შემოუერთდა ძლიერი მხარდამჭერი, – ფრედერიკ დუგლასი, გაქცეული მონა, შემდგომში მასაჩუსეთსის ანტიმონური საზოგადოების წევრი, რომელიც აღაგზნებდა ჩრდილოელთა აუდიტორიას თავისი მგზნებარე მჭერმეტყველური გამოსვლებით. ის გამოსცემდა აგრეთვე აბოლიციონისტების ყოველკვირეულ გაზეთს „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“.

მონობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის ერთ-ერთი ამოცანა ითვალისწინებდა მონებისათვის დახმარების აღმოჩენას ჩრდილოეთის უსაფრთხო ტერიტორიის გავლით კანადის საზღვარზე გადასვლაში. 1830 წელს ჩრდილოეთის მთელ ტერიტორიაზე მტკიცედ გაიბა საიდუმლო გზების რთული ქსელი, ცნობილი „მიწისქვეშა მატარებლის“ სახელწოდებით, რომლის ყველაზე წარმატებული ოპერაცია ჩატარდა ჩრდილო-დასავლეთში. დადგენილია, რომ მხოლოდ ოჰაიოში 1830 წლიდან 1860 წლამდე დახმარება გაქცევაში მიიღო არანაკლებ 40 ათასმა ლტოლვილმა მონამ. ადგილობრივი ანტიმონური საზოგადოებების რიცხვი გაიზარდა იმდენად, რომ 1840 წელს არსებობდა დაახლოებით 2 000 საზოგადოება, რომელთა წევრების რიცხვი 200 ათასს აღწევდა.

მიუხედავად იმისა, რომ აქტიური აბოლიციონისტები ცდილობდნენ წარმოედგინათ მონობა სინდისის საქმედ, ჩრდილოელთა უმეტესობა არ მონაწილეობდა მონობის წინააღმდეგ მოძრაობაში ან არ უწევდა მას აქტიურ მხარდაჭერას. მაგალითად, 1837 წელს ალტონში ბრბო თავს დაესხა აბოლიციონისტ გამომცემელს ელიჯა პ. ლავჯოის და მოკლა იგი. მაგრამ სამხრეთელთა ზოგიერთმა მოქმედებამ საშუალება მისცა აბოლიციონისტებს დაეკავშირებინათ მონობის საკითხი თეთრკანიანთა სამოქალაქო უფლებებთან. 1835 წელს გაბრაზებულმა ბრბომ გაანადგურა აბოლიციონისტური ლიტერატურა ჩარლსტონის საფოსტო განყოფილებაში (სამხრეთ კაროლინა). როდესაც ფოსტის მოხელემ განაცხადა, რომ ის ძალით არ გაავრცელებდა აბოლიციონისტურ მასალებს, კონგრესში მწვავე დებატები დაიწყო. დამატებით, აბოლიციონისტებმა გადაწყვიტეს აევსოთ კონგრესი პეტიციებით, მონობის აკრძალვის მოთხოვნით კოლუმბიის ოლქში. 1836 წელს მთავრობამ გადაწყვიტა ავტომატურად გადაე-

დოთ ასეთი პეტიციები, რამაც ეფექტიანად ჩაკლა ისინი. ყოფილი პრეზიდენტი ჯონ კუინსი ადამსი, რომელიც 1830 წელს იყო არჩეული წარმომადგენელთა პალატაში, ებრძოდა ამ ეგრეთ წოდებულ „ჩაჩუმების წესს“, როგორც პირველი შესწორების დარღვევას. მთავრობამ აკრძალა „ჩაჩუმების წესი“ 1844 წელს.

---

**ტეხასი და ომი მექსიკასთან**

1820-იამ წლებში ამერიკელები დასახლდნენ ტეხასის ვრცელ ტერიტორიებზე, ამასთან ხშირად მიწაზე უფლებას ისინი მექსიკის მთავრობისგან იღებდნენ. მალე მათ რაოდენობამ შეშფოთება გამოიწვია მექსიკის მთავრობაში, რომელმაც უკვე 1830 წელს აკრძალა იმიგრაცია. 1834 წელს გენერალმა ანტონიო ლოპეს დე სანტა ანამ დიქტატურა დაამყარა მექსიკაში, ერთი წლის შემდეგ ტეხასელები აჯანყდნენ. სანტა ანამ დაამარცხა ამერიკელი მეამბოხეები ალამოს 1836 წლის ცნობილი ალყის დროს, მაგრამ ერთი თვის შემდეგ სან ჯასინტოს ბრძოლის დროს ტეხასელებმა სემ ჰიუსტონის მეთაურობით გაანადგურეს მექსიკელთა არმია და დაატყვევეს სანტა ანა, რითაც ტეხასის დამოუკიდებლობა უზრუნველყვეს. თითქმის 10 წლის მანძილზე ტეხასი დამოუკიდებელ რესპუბლიკად რჩებოდა, ხოლო 1845 წელს ის ამერიკის ოცდამერვე შტატი გახდა.

თუმცა მექსიკამ გაწყვიტა ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან ტეხასის შტატად მიღების გამო, ყველაზე სადავო საკითხად მაინც ტეხასის საზღვრები რჩებოდა; ტექსასს პრეტენზია ჰქონდა მდინარე რიო გრანდაზე; მექსიკა ამტკიცებდა, რომ საზღვარი მდებარეობდა შორს ჩრდილოეთით მდინარე ნუესეს გასწვრივ. ამასობაში ახალმოსახლენი იკავებდნენ ნიუ-მექსიკოს და კალიფორნიის ტერიტორიას, თუმცა ამავე დროს ბევრი ამერიკელი აცხადებდა, რომ შეერთებულ შტატებს „ნამდვილად ბედი ეწერა“ გაფართოებულიყო დასავლეთით წყნარ ოკეანემდე.

შეერთებული შტატების მცდელობა ეყიდათ ნიუ მექსიკოს და კალიფორნიის ტერიტორიები ჩაიშალა და რიო გრანდეს მიდამოებში მექსიკის და შეერთებული შტატების შეტაკების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა 1846 წელს ომი გამოუცხადეს მექსიკას. შეერთებული შტატების ჯარებმა მოახდინეს ნიუ-მექსიკოს ტერიტორიის ოკუპაცია, ხოლო შემდეგ დაეხმარნენ აჯანყებულ ახალმოსახლეებს კალიფორნიაში. შეერთებული შტატების ჯარები ზაჩარი ტეილორის მეთაურობით შეიჭრნენ მექსიკაში, მიაღწიეს წარმატებებს მონტერეისა და ბუენა ვისტაში, მაგრამ ვერ შესძლეს აეძულებინათ მექსიკა დათანხმებულიყო მოლაპარაკებაზე.

1847 წლის მარტში შეერთებული შტატების ძალები უინფილდ სკოტის ხელმძღვანელობით გადასხდნენ ვერა კრუზის მახლობლად მექსიკის დასავლეთ სანაპიროზე და შეტაკებების სერიათა შემდეგ შევიდნენ ქალაქ მეხიკოში. მიუხედავად ამისა მხოლოდ სანტა ანას გადადგომის შემდეგ გახდა შესაძლებელი, რომ შეერთებულ შტატებს დაედოთ მექსიკასთან გვადელუპა ჰილდაგოს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მექსიკამ დათმო სამხრეთ-დასავლეთი რაიონი და კალიფორნია 15 მილიონ დოლარად.

ომმა გამოწვრთნა ამერიკელი ოფიცრები, რომლებსაც შემდგომში სამოქალაქო ომში მოუწიათ ბრძოლა ორივე მხარეს. ეს იყო აგრეთვე პოლიტიკური შეხედულებების ომი, რომელშიც მონობის წინააღმდეგ განწყობილი „ვიგები" აკრიტიკებდნენ დემოკრატი ჯეიმს პოლკის ადმინისტრაციას ექსპანსიის გამო.

მექსიკასთან ომის შედეგად შეერთებულმა შტატებმა მოიპოვეს 1,36 მილიონი კვადრატული კილომეტრის ზომის უზარმაზარი ახალი ტერიტორია, სადაც ამჟამად განლაგებულია არიზონის, ნევადის, კალიფორნიის, იუტას შტატები და ნიუ მექსიკოს, კოლორადოს და ვაიომინგის ნაწილები. მაგრამ ეს აგრეთვე შხამიანი შენაძენიც იყო, რადგან მან კვლავ წარმოშვა ყველაზე ფეთქებადი კითხვა იმდროინდელი ამერიკის პოლიტიკაში – გავრცელდებოდა თუ არა მონობა ახალ ტერიტორიებზე

**1850 წლის კომპრომისი**

1845 წლამდე ისე ჩანდა, თითქოს მონობა დარჩებოდა იმ რაიონებში, სადაც უკვე არსებობდა. ამას განაპირობებდა 1820 წლის „მისურის კომპრომისი", რომლის დარღვევის შესაძლებლობა აქამდე არ ყოფილა. ახალი ტერიტორიების გაჩენამ მონობის ხელახალი გავრცელების რეალური საფრთხე წარმოშვა.

ბევრ ჩრდილოეთელს სჯეროდა, რომ თუ მონობას გავრცელების ნებას არ დართავდნენ, ის აუცილებლად შემცირდებოდა და მოისპობოდა. ახალი მონათმფლობელური შტატების გაჩენის თავიდან ასაცილებლად მათ საკმარისად მიაჩნდათ ვაშინგტონისა და ჯეფერსონის განცხადებანი და 1787 წლის ბრძანებულება, რომლის თანახმად იკრძალებოდა მონობის გავრცელება ჩრდილოეთში. ტეხასი, რომელმაც უკვე დაუშვა მონობა, კავშირში შევიდა როგორც მონათმფლობელური შტატი, მაგრამ კალიფორნიაში, ნიუ-მექსიკოსა და იუტაში არ იყო მონობა, და როდესაც 1846 წელს შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს ამ ტერიტორიების მიერთება, წარმოიშვა საწინააღმდეგო მოსაზრებანი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

სამხრეთელი ექსტრემისტები მოითხოვდნენ მონობის დაშვებას მექსიკისაგან მიღებულ მთელ ტერიტორიაზე. მეორეს მხრივ, მონობის წინააღმდეგ განწყობილი ჩრდილოეთელები მოითხოვდნენ, რომ არცერთ ახალ რაიონში არ ყოფილიყო ნებადართული მონობა. შუალედური შეხედულებების მქონე ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ „მისურის კომპრომისის" მოქმედების არე უნდა გავრცელებულიყო წყნარ ოკეანემდე ჩრდილოეთის თავისუფალ და სამხრეთის მონათმფლობელურ შტატებზე. მეორე ჯგუფმა წამოაყენა წინადადება, რომ საკითხი მოეხდოთ „სახალხო სუვერენიტეტისათვის", რაც იმას ნიშნავდა, რომ მთავრობას უნდა მიეცა ხალხისათვის უფლება დასახლებულიყვნენ ახალ ტერიტორიებზე მონებით თუ მონების გარეშე, მათი სურვილისამებრ, და როდესაც დადგებოდა კავშირში შესვლის მომენტი, ხალხი თვითონ გადაწყვეტდა ამ საკითხს.

სამხრეთელების აზრით, ყველა ტერიტორიას ჰქონდა მონობის დაშვების უფლება. 1848 წელს 300 000 ადამიანმა ხმა მისცა „თავისუფალი მიწების პარტიას", რომელიც მოითხოვდა „მონობის შეზღუდვას, ლოკალიზებას და მოშლას". შუა დასავლეთის და სასაზღვრო შტატები – მერილენდი, კენტუკი და მისური – გამოირჩეოდნენ იმით, რომ უპირატესობას ანიჭებდნენ სახალხო სუვერენიტეტს, როგორც კომპრომისს.

1848 წელს კალიფორნიაში ოქროს აღმოჩენამ გამოიწვია მხოლოდ 1849 წლის განმავლობაში 80 000 ახალმოსახლის გაჩენა. კონგრესისათვის ნათელი გახდა, რომ მას სასწრაფოდ უნდა განესაზღვრა ამ ახალი რაიონის სტატუსი, სანამ შეიქმნებოდა ორგანიზებული მთავრობა. ერი იმედებს ამყარებდა სენატორ ჰენრი კლეიზე, რომელმაც ორჯერ მოახერხა კრიზისის დროს კომპრომისული გადაწყვეტილების პოვნა. ამჯამადაც მან კიდევ ერთხელ შეაჩერა საშიში დავა რთული და ზედმიწევნით გაწონასწორებული გეგმის მეშვეობით.

მისი კომპრომისი (როგორც შემდეგ მას კონგრესში ეწოდა) შეიცავდა დებულებათა მთელ რიგს: კალიფორნია უნდა ყოფილიყო შტატი თავისუფალი მიწების (აკრძალული მონობა) კონსტიტუციით; დანარჩენი ახლად მოერთებული მიწები უნდა დაყოფილიყვნენ ორ ტერიტორიად – ნიუ მექსიკოზე და იუტაზე, სადაც არ იქნებოდა მონობა; ნიუ მექსიკოს ტერიტორიის ნაწილზე ტეხასის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად მას უნდა გადასცემოდა 10 მილიონი დოლარი; უნდა შექმნილიყო უფრო ეფექტური მექანიზმი გამოქცეული მონების პატრონებისათვის დასაბრუნებლად; მონების ყიდვა-გაყიდვა (მაგრამ არა მონათმფლობელობა) აკრძალული უნდა ყოფილიყო კოლუმბიის ოლქში. ეს დებულებანი, რომლებიც ამერიკის ისტორიაში ცნობილნი არიან როგორც 1850 წლის

კომპრომისი, კონგრესის მიერ დამტკიცდნენ, და ქვეყანამ შვებით ამოისუნთქა.

სამი წლის განმავლობაში კომპრომისი, თითქოსდა, ყველა მხარეს აწყობდა, თუმცა დაძაბულობა თანდათან იზრდებოდა. გაქცეულ მონათა შესახებ კანონს მრავალი ჩრდილოელი, რომელსაც არ სურდა რაიმე საერთო ჰქონოდა მონათა დაჭერის საქმესთან, შეურაცხმყოფელად მიიჩნევდა. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი აგრძელებდა ხელშეწყობას გაქცეულ მონათა გაუჩინარებაში, და „მიწისქვეშა მატარებელი" გაცილებით უფრო ეფექტური და გამომწვევი გახდა.

---

**მაყუჩული ერა**

1850-იანი წლები, პოლიტიკური თვალსაზრისით, შეიძლება დახასიათდეს როგორც დაცემის ათწლეული, რომლის განმავლობაში ერის ლიდერებს არ შესწევდათ ძალა გადაეჭრათ ან თუნდაც შეეკავებინათ მონობასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად, 1852 წელს ჰარიეტ ბიჩერ-სტოუმ გამოაქვეყნა რომანი „ბიძია თომას ქოხი", რომლის შექმნაც განპირობებული იყო „გაქცეულ მონათა კანონის" არსებობით. როდესაც სტოუმ დაიწყო ამ წიგნის წერა, მას იგი თავდაპირველად პატარა ნარკვევის სახით ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მუშაობის პროცესში ის გაფართოვდა. გამოქვეყნებისთანავე რომანმა სენსაცია გამოიწვია. პირველივე წელს გაიყიდა 300 000 ეგზემპლიარზე მეტი წიგნი და იბეჭდებოდა განუწყვეტლივ, რათა დაეკმაყოფილებინათ მკითხველთა მზარდი მოთხოვნილება.

მიუხედავად სენტიმენტალურობისა და სტერეოტიპულობისა, „ბიძია თომას ქოხმა" საოცარი სიძლიერით წარმოაჩინა მონობის საშინელებანი და ფუნდამენტალური კონფლიქტი თავისუფალ ადამიანთა და მონათა საზოგადოებებს შორის. ჩრდილოეთში ეს ნაწარმოები აღელვებდა ამომრჩეველთა სულ უფრო მეტ რაოდენობას. მან შეასრულა დიდი როლი მონობის წინააღმდეგ განწყობის შექმნაში, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ადამიანურ ემოციებში – აღშფოთებაში უსამართლობის გამო და სიბრალულში ცალკეული ინდივიდების უმწეობისადმი, რომლებიც განიცდიდნენ სასტიკ ექსპლუატაციას.

1854 წელს განახლდა ძველი დებულება მონობის შესახებ და დაპირისპირებაც უფრო გამწვავდა. რაიონები, რომლებიც ამჟამად კანზასსა და ნებრასკას ეკუთვნიან, სწრაფად იქნენ დასახლებულნი, რაც მოითხოვდა ტერიტორიულ და აქედან გამომდინარე შტატის ხელისუფლების შექმნას.

1820 წლის „მისურის კომპრომისის" თანახმად, მთელი ეს რეგიონი დახურული იყო მონობის გავრცელებისათვის. 1850 წლის კომპრომისმა უნებლიედ ხელახლა წამოჭრა ეს საკითხი.

მისურიში გაბატონებულ მონათმფლობელებს არ სურდათ, რომ კანზასი ყოფილიყო თავისუფალი ტერიტორია, რადგან მაშინ მათ შტატს ეყოლებოდა სამი თავისუფალმიწიანი მეზობელი (ილინოისი, აიოვა და კანზასი). ისინი შიშობდნენ, რომ მომავალში მათ შტატსაც აიძულებდნენ გამხდარიყო თავისუფალი. გარკვეული დროის განმავლობაში კონგრესში მყოფი მისურის შტატის წარმომადგენლები, სამხრეთელების მხარდაჭერით, ცდილობდნენ ყოველნაირად შეეშალათ ხელი ამ რაიონის მოწყობაში.

ამ დროს, უფროსმა სენატორმა სტეფან დუგლასმა, დემოკრატმა ილინოისიდან, ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია თავისი კანონპროექტით, რომელსაც კანზას-ნებრასკას აქტი ეწოდა, და კიდევ უფრო გააფართოვა თავისუფალი მიწების მხარდამჭერთა რიცხვი. დუგლასი ამტკიცებდა, რომ 1850 წლის კომპრომისმა, რომელმაც იუტას და ნიუ-მექსიკოს შტატებს დართო ნება თვითონ გადაეწყვიტათ მონობის შემოღების საკითხი, შეცვალა „მისურის კომპრომისი". მისი გეგმა ეხებოდა კანზასის და ნებრასკას ტერიტორიებს და მოითხოვდა, რომ ამ რაიონების ახალმოსახლეებს მისცემოდა მონების ყოლის უფლება. მცხოვრებლებს თვითონ უნდა გადაეწყვიტათ, რა სახით შევიდოდნენ კავშირში – როგორც თავისუფალი თუ როგორც მონათმფლობელური შტატები.

ჩრდილოეთელებმა დაადანაშაულეს დუგლასი იმაში, რომ მას სურდა სამხრეთელების გულის მოგება, რათა მოეპოვებინა გამარჯვება 1856 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. კანონპროექტის განხილვას თან ახლდა გაღიზიანებული დებატები. თავისუფალ-მიწათა პრესამ დაგმო კანონპროექტი. ჩრდილოეთელმა მღვდლებმა გააკრიტიკეს იგი. ბიზნესმენებმა, რომლებიც იმ დრომდე თანამშრომლობდნენ სამხრეთთან, ახლა ზურგი აქციეს მას. მიუხედავად ამისა, 1854 წლის მაისში „კანზას-ნებრასკას აქტი" სამხრეთელი ენთუზიასტების გაცხოველებული ბრძოლის შედეგად მიღებულ იქნა სენატის მიერ. როცა შემდგომში დუგლასი ეწვია ჩიკაგოს, რათა გამოსულიყო სიტყვით საკუთარი თავის დასაცავად, გემებმა ნავსადგურში სანახევროდ დაუშვეს დროშები, ეკლესიები ერთი საათის განმავლობაში რეკავდნენ ზარებს და 10 000 კაცისაგან შემდგარი ბრბო ისეთ ხმამაღალ ყვირილს გამოსცემდა, რომ იგი საკუთარ თავსაც კი ვერაფერს გააგონებდა.

დუგლასის არასწორმა განზრახვამ დაუყოვნებლივ გამოიღო თავისი შედეგები. ვიგების პარტია, რომელიც ორპირობდა მონობის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვისას, დაიშალა და მის ადგილას წარმოიშვა ახალი ძლიერი ორგანიზაცია, რესპუბლიკელთა პარტია, რომლის უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენდა მონობის გაუქმება მთელ ტერი-

ტორიაზე. 1856 წელს მათ წამოაყენეს ჯონ ფრემონტის კანდიდატურა, რომლის ექსპედიციამ შორეულ დასავლეთში მოუტანა მას დიდება და სახელი. თუმცა ფრემონტმა წააგო არჩევნებში, რესპუბლიკელთა პარტია რჩებოდა ჩრდილოეთის უდიდეს პარტიად. თავისუფალ-მიწათა ლიდერებს, როგორები ყვნენ მაგალითად, სალმონ პ. ჩეიზი და უილიამ სიუარდი, უფრო დიდი გავლენა ჰქონდათ, ვიდრე ოდესმე. მათთან ერთად იყო მაღალი, აწოწილი კაცი, ვექილი ილინოისის შტატიდან, აბრაჰამ ლინკოლნი.

როგორც სამხრეთელი მონათმფლობელების, ასევე მონობი მოწინააღმდეგე ოჯახების შემოსვლამ კანზასში შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვია და ცოტა ხანში ტერიტორიას „სისხლიანი კანზასი" შეერქვა. მოხდა სხვა მოვლენებიც, რომლებმაც კიდევ უფრო დააჩქარეს კონფლიქტი განსაკუთრე ბით უმაღლესი სასამართლოს 1857 წლის სამარცხვინოდ ცნობილი გადაწყვეტილება დრედ სკოტთან დაკავშირებით.

სკოტი იყო მონა მისურის შტატიდან, რომელიც დაახლოებით ოცი წლის წინ მისმა პატრონმა წამოიყვანა საცხოვრებლად ილინოისში და ვისკონსინის ტერიტორიაზე, სადაც მონობა აკრძალული იყო ჩრდილო-დასავლეთის სამუნიციპალიტეტო დადგენილებით. მისურის შტატში დაბრუნების შემდეგ ის უკმაყოფილო დარჩა იქაური ცხოვრებით. სკოტმა სასამართლოს მიმართა თავისუფლების მისაღებად იმ ნიადაგზე, რომ იგი თავისუფალ მიწაზე ცხოვრობდა. უმაღლესმა სასამართლომ, სადაც უმრავლესობას სამხრეთელებ შეადგენდნენ, გადაწყვიტა, რომ სკოტს არ ჰქონდა სასამართლოში საქმარისი საფუძველი, რადგან არ იყო მოქალაქე; რომ თავისუფალი მიწების კანონები მის სტატუსზე არ ვრცელდებოდნენ, ვინაიდან ის მონათმფლობელური შტატის (მისურის) მცხოვრები იყო; რომ მონათმფლობელს უფლება ჰქონდა წაეღო თავისი „საკუთრება", სადაც მოესურვებოდა, მთელ ფედერალურ ტერიტორიის მასშტაბით, და რომ კონგრესს არ შეეძლო შეეზღუდა მონობის გავრცელება. ამგვარად, სასამართლოს გადაწყვეტილებამ გააუფასურა რიგი ზომებისა, რომელთა მეშვეობითაც კონგრესი მთელი თაობის მანძილზე ცდილობდა მოეგვარებინა მონობის საკითხი

დრედ სკოტის საქმეზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ გამოიწვია სასტიკი უკმაყოფილება მთელ ჩრდილოეთში. ადრე არასოდეს ყოფილა სასამართლო ასე მწარედ მხილებული. სამხრეთელი დემოკრატებისათვის სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენდა დიდ გამარჯვებას, ვინაიდან ამით ის იურიდიულ სანქციას აძლევდა მონობის დამტკიცებას მთელ ტერიტორიებზე.

**ლინკოლნი, დუგლასი და ბრაუნი**

აბრაჰამ ლინკოლნი უკვე დიდი ხნით ადრე მიიჩნევდა მონობას ბოროტებად. 1854 წელს ილინოისის შტატის ქალაქ პეორიაში წარმოთქმულ სიტყვაში მან განაცხადა, რომ მთელი ეროვნული კანონმდებლობა უნდა ჩამოყალიბდეს იმ პირობით, რომ მონობა შეიზღუდოს და საბოლოოდ აიკრძალოს. ის ამტკიცებდა აგრეთვე, რომ სახალხო ხელისუფლების პრინციპი მცდარი იყო, ვინაიდან მონობის საკითხი დასავლეთის ტერიტორიებზე ეხებოდა არა მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს, არამედ მთელ შეერთებულ შტატებს. ამ სიტყვამ ფართოდ გაუთქვა სახელი ლინკოლნს მთელ მხარეში.

1858 წლის სენატის არჩევნებში ლინკოლნის მოწინააღმდეგე ილინოისის შტატიდან იყო სტივენ ა. დუგლასი. 17 ივლისს, თავისი საარჩევნო კომპანიის დროს წარმოთქმული სიტყვის პირველ მონაკვეთში ლინკოლნმა განსაზღვრა ამერიკის ისტორიის ძირითადი კურსი მომავალი შვიდი წლისათვის:

*ურთიერთ დაპირისპირებულ მხარეებად გაყოფილი სახლი დაინგრევა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს სახელმწიფო ვერ იქნება მუდამ ნახევრად მონათმფლობელური და ნახევრად თავისუფალი. მე არა მგონია კავშირი დაიშალოს – მე არა მგონია სახლი დაინგრეს – მაგრამ მე მოველი, რომ ის აღარ იქნება გაყოფილი.*

1858 წლის მომდევნო თვეებში ლინკოლნმა და დუგლასმა 7 დებატი გამართეს. სენატორ დუგლასს, ცნობილს „პატარა გოლიათის" სახელით, ჰქონდა ორატორის შესაშური რეპუტაცია, მაგრამ ლინკოლნის სახით მას ღირსეული მოწინააღმდეგე ხვდა წილად, რომელიც მჭევრმეტყველურად გამოვიდა დუგლასის და მისი მომხრეების მიერ წამოყენებული კონცეფციის „სახალხო ხელისუფლების" წინააღმდეგ. საბოლოოდ დუგლასმა გაიმარჯვა არჩევნებში მცირე უპირატესობით, მაგრამ ლინკოლნმა მოიპოვა ეროვნული მნიშვნელობის პოლიტიკოსის სტატუსი.

რეგიონალური ბრძოლა სულ უფრო მძაფრდებოდა. 1859 წლის 16 ოქტომბერს, ღამით, ჯონ ბრაუნი, მონობის მოწინააღმდეგე ფანატიკოსი, რომელმაც სამი წლის წინათ დაიჭირა და მოკლა სამი მონობის მომხრე ახალმოსახლე კანზასში, სათავეში ჩაუდგა თავისი მომხრეების ბანდას და შეუტია ფედერალურ არსენალს ჰარპერზ ფერიში, ახლანდელი დასავლეთ ვირჯინიის ტერიტორიაზე. ბრაუნის მიზანი იყო ხელთ ეგდო იარაღი და წამოეწყო მონათა აჯანყება. ორი დღის ბრძოლის შემდეგ ბრაუნი და მისი მომხრეები, ვინც ცოცხალი გადარჩა, ტყვედ აიყვანა შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითმა ჯარმა პოლკოვნიკ რობერტ ე. ლის მეთაურობით.

ერში განგაში ატყდა. ბევრი სამხრეთელისათვის ბრაუნის მცდელობა მათი ყველაზე უარესი მოლოდინის გამართლებას წარმოადგენდა. მეორეს მხრივ, მონობის მოწინააღმდეგე ფანატიკოსები აღიქვამდნენ ბრაუნს დიდი საქმისათვის წამებულ პიროვნებად. მაგრამ ჩრდილოელთა უმეტესობა არ ამართლებდა მის საქციელს, რადგან მასში წესრიგისა და კანონის დარღვევას ხედავდა.

ბრაუნი გაასამართლეს კონსპირაციის, ღალატის და მკვლელობის ბრალდებით და 1859 წლის 2 დეკემბერს ჩამოახრჩეს. სიცოცხლის ბოლო წუთამდე მას სჯეროდა, რომ ღმერთის ნებას ასრულებდა.

---

**გამოყოფა და სამოქალაქო ომი**

1860 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკურმა პარტიამ თავის კანდიდატად აბრაამ ლინკოლნი დაასახელა. პარტიას სიმხნევე შემატა ლიდერთა განცხადებამ, რომ მონობა სხვა ტერიტორიაზე აღარ გავრცელდებოდა. პარტია აგრეთვე შეპირდა ტარიფის შემოღებას მრეწველობის დასაცავად და აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ შემოიღებდა კანონს, რომელიც მისცემდა დასახლების ნებას იმ ახალმოსახლეებს, ვინც დასავლეთის ათვისებაში დაეხმარებოდა. დემოკრატები ერთსულოვანნი არ იყვნენ. პარტიას გამოეყვნენ სამხრეთელები და პრეზიდენტის კანდიდატურად დაასახელეს ვიცე-პრეზიდენტი ჯონ ბრეკენრიჯი კენტუკის შტატიდან. ჩრდილოეთელი დემოკრატების კანდიდატი იყო სტივენ დუგლასი. კონსერვატორმა ვიგებმა სასაზღვრო შტატებიდან, რომლებმაც შექმნეს კონსტიტუციური ერთიანობის პარტია, დაასახელეს ჯონ ს. ბელი ტენესის შტატიდან.

დასავლეთში მეტოქეობდნენ ლინკოლნი და დუგლასი, სამხრეთში – ბრეკენრიჯი და ბელი. ლინკოლნმა ამომრჩეველთა ხმების 39 პროცენტი მოაგროვა მაგრამ ჰქონდა 180 საარჩევნო ხმის აშკარა უპირატესობა თვრამეტივე თავისუფალ შტატში. ბელმა გაიმარჯვა ტენესში, კენტუკიში და ვირჯინიაში; ბრეკენრიჯმა – დანარჩენ მონათმფლობელურ შტატებში, გარდა მისურის შტატისა, რომელშიც გაიმარჯვა დუგლასმა. მიუხედავად თავისი ცუდი საარჩევნო მაჩვენებლისა შტატების მიხედვით, მას სახალხო კენჭისყრაში მხოლოდ ლინკოლნი უსწრებდა.

ლინკოლნის არჩევამ წინასწარ განსაზღვრა სამხრეთ კაროლინას გამოსვლა კავშირიდან. შტატი ელოდა ისეთ შემთხვევას, რომელიც გააერთიანებდა მის მოსახლეობას მონობის მოწინააღმდეგე ძალების საპირისპიროდ. მას შემდეგ, რაც დაზუსტდა არჩევნების შედეგები, სამხრეთ კაროლინის ყრილობამ გამოაცხადა, რომ არსებული კავშირი

სამხრეთ კაროლინასა და სხვა შტატებს შორის სახელწოდებით „ამერიკის შეერთებული შტატები" ამერიდან დაშლილია. 1861 წლის 1 თებერვალს კიდევ ექვსი სამხრეთის შტატი გამოეყო კავშირს. 7 თებერვალს ამ შვიდმა შტატმა მიიღო ამერიკის კონფედერაციული შტატების დროებითი კონსტიტუცია. დანარჩენი სამხრეთის შტატები ჯერჯერობით კავშირში დარჩნენ.

არ გასულა კიდევ ერთი თვეც, და 1861 წლის 4 მარტს აბრაამ ლინკოლნმა ფიცი დადო როგორც შეერთებული შტატების პრეზიდენტმა. თავის საზეიმო მიმართვაში მან უარი თქვა ეცნო შტატების გამოყოფა და ის „კანონის მიხედვით ბათილად" გამოაცხადა. მისი სიტყვა მთავრდებოდა მოწოდებით აღედგინათ კავშირის ერთიანობა. მაგრამ სამხრეთმა ეს ყურად არ იღო, და 12 აპრილს ფედერალურ ჯარებს გაუხსნეს ცეცხლი ფორტ სამტერში, ჩარლსტონში, სამხრეთ კაროლინის ნავსაყუდელში. დაიწყო ომი, რომელშიც მეტი ამერიკელი დაიღუპა ვიდრე მანამდე ან შემდგომ კონფლიქტებში.

შვიდ შტატში, რომლებიც კავშირიდან გამოვიდნენ, ხალხი სწრაფად გამოეხმაურა ამერიკის კონფედერაციული შტატების ახალი პრეზიდენტის ჯეფერსონ დევისის მოწოდებას. ორივე მხარე ახლა დაძაბულად მოელოდა იმ მონათმფლობელური შტატების მოქმედებას, რომლებიც აქამდე ლოიალურნი იყვნენ. ფორტ სამტერისთვის ცეცხლის დაშენის შედეგად 17 აპრილს შეერთებულ შტატებს გამოეყო ვირჯინია; არკანზასმა, ტენესიმ და ჩრდილო კაროლინამ დაუყოვნებლივ მიბაძეს მას. არც ერთ შტატს არ დაუტოვებია კავშირი ისე უხალისოდ, როგორც ვირჯინიას. მისმა პოლიტიკოსებმა წამყვანი როლი შეასრულეს რევოლუციის გამარჯვებასა და კონსტიტუციის შექმნაში, მან ქვეყანას ხუთი პრეზიდენტი მისცა. ვირჯინიასთან ერთად შეერთებული შტატები დატოვა პოლკოვნიკმა რობერტ ი. ლიმ, რომელმაც უარი თქვა შეერთებული შტატების ჯარების ხელმძღვანელობაზე თავისი შტატისადმი ერთგულების გამო. გაზრდილ კონფედერაციასა და ჩრდილოეთის თავისუფალ მიწებს შორის იყო სასაზღვრო შტატები დელავერი, მერილენდი, კენტუკი და მისური, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთს თანაუგრძნობდნენ, კავშირის ერთგულნი დარჩნენ.

ომის მონაწილე ორივე მხარეს სწრაფი გამარჯვების იმედი ჰქონდა. მატერიალური რესურსების მხრივ ჩრდილოეთს აშკარა უპირატესობა ჰქონდა. 23 შტატი 22-მილიონიანი მოსახლეობით დაუპირისპირდა 11 შტატს, რომელთა მოსახლეობა მხოლოდ 9 მილიონი იყო. ჩრდილოეთის სამრეწველო უპირატესობა კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე მისი მოსახლე-

ობის უპირატესობა, რაც საშუალებას აძლევდა ეწარმოებინა იარაღი, საბრძოლო მასალა, სამხედრო ფორმა და სხვა აღჭურვილობა. გარდა ამისა, ჩრდილოეთის რკინიგზების ქსელიც ზრდიდა ფედერალური ჯარების სამხედრო წარმატების შესაძლებლობას.

სამხრეთსაც გააჩნდა თავისი უპირატესობები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გეოგრაფიული მდებარეობა; სამხრეთი თავდაცვით ომს აწარმოებდა საკუთარ ტერიტორიაზე, მას აგრეთვე უფრო ძლიერი საბრძოლო ტრადიციები ჰქონდა, და რეგიონი იმთავითვე ამაყობდა უფრო გამოცდილი სამხედრო მეთაურებით.

---

**დასავლეთის წინსვლა და აღმოსავლეთის გამოუვალი მდგომარეობა**

ომის პირველი დიდი ბრძოლა მოხდა ვაშინგტონის მახლობლად ბულ რანთან, (რომელსაც პირველ მანასასაც უწოდებდნენ) ვირჯინიას შტატში, და გაფანტა სწრაფი და ოლი გამარჯვების ილუზიები. ის აგრეთვე იქცა მოდელად, ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ შეერთებულ შტატებში, სამხრეთელთა სისხლიანი გამარჯვებებისა, რომლებიც, მიუხედავად ამისა, ვერ იძლეოდნენ გადამწყვეტ სამხედრო უპირატესობას. პირველ წლებში სამხრეთი ხშირად იმარჯვებდა ბრძოლებში, მაგრამ ვერ იგებდა ომს.

შეერთებული შტატების სამხედრო ძალები მარცხს განიცდიდნენ აღმოსავლეთში, მაგრამ სამაგიეროდ მოიგეს რამოდენიმე ბრძოლა და ნელ-ნელა მიაღწიეს სტრატეგიულ წარმატებებს ზღვაზე და დასავლეთში. ომის დასაწყისში ფლოტის ძირითად ნაწილს კავშირი განაგებდა, მაგრამ ის გაფანტული და სუსტი იყო. საზღვაო ფლოტის მინისტრმა გიდეონ უელსმა გადამჭრელი ზომები მიიღო მის გასაძლიერებლად. ამის შემდეგ ლინკოლნმა გამოაცხადა სამხრეთის სანაპიროს ბლოკადა. თუმცა თავდაპირველად ბლოკადის შედეგები არ ჩანდა მნიშვნელოვანი, 1863 წლისათვის მან თითქმის მთლიანად შეაჩერა ბამბის გადაზიდვა ევროპაში და იქიდან იარაღის, ტანსაცმლის და წამლების იმპორტი, რაც ეგზომ სჭირდებოდა სამხრეთს.

ამასობაში ბრწყინვალე საზღვაო სარდალმა დეივიდ ფარაგუმ ჩაატარა ორი ღირსშესანიშნავი ოპერაცია. ერთ შემთხვევაში მან წაიყვანა კავშირის ფლოტი მდინარე მისისიპის შესართავთან და აიღო ლუიზიანის შტატის ქალაქი ნიუ-ორლეანსი, სამხრეთის უდიდესი ქალაქი. მეორე ჯერზე, მან გაიარა მობილ ბეის (ალაბამა) გამაგრებული შესასვლელი, დაატყვევა კონფედერაციის ჯავშნოსანი ხომალდი და ჩაკეტა პორტი.

მისისიპის დაბლობზე კავშირის ჯარებმა თითქმის შეუჩერებლად მოიპოვეს გამარჯვებების მთელი სერია. მათ გაარღვი-

ეს კონფედერაციის გრძელი ხაზი ტენესში და შესაძლებელი გახადეს შტატის თითქმის მთელი დასავლეთი ნაწილის ოკუპაცია. მდინარე მისისიპის მნიშვნელოვანი ნავსადგურის მემფისის აღების შემდეგ კავშირის ჯარებმა 320 კილომეტრით წაიწიეს წინ კონფედერაციის გულში. შეუპოვარი გენერლის ულისე ს. გრანტის მეთაურობით კავშირის ძალებმა გაუძლეს კონფედერაციის უეცარ კონტრშეტევას შილოსთან, მდინარე ტენესის ციცაბო ნაპირებზე, და მედგრად დაიცვეს პოზიციები მაშველი ძალების მოსვლამდე, რომლებმაც კონფედერატები განდევნეს. შილოსთან დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვმა მიაღწია 10 000 კაცს თითოეული მხრიდან, დახოცილთა ასეთი რაოდენობა არასოდეს ყოფილა ადრე ამერიკის ისტორიაში. მაგრამ ეს ხოცვა-ჟლეტის მხოლოდ დასაწყისი იყო.

ვირჯინიაში კი პირიქით – კავშირის ჯარები დამარცხებას დამარცხებაზე განიცდიდნენ, რიჩმონდის, კონფედერატების დედაქალაქის, აღების რამოდენიმე სისხლისმღვრელი და წარუმატებელი მცდელობის შემდეგ კავშირის ჯარებმა სწრაფად დაიხიეს უკან. კონფედერატებს გააჩნდათ ორი დიდი უპირატესობა: კარგი პოზიცია თავდასაცავად ურიცხვი მდინარეების წყალობით, რომლებიც კვეთავდნენ ვაშინგტონიდან რიჩმონდში მიმავალ გზას; და ორი გენერალი რობერტ ლი და თომას სთოუნვოლ („სთოუნვოლ“ – ქვის კედელი) ჯექსონი, რომელთაგან თითოეული ბევრად ჯობნიდა კავშირის ჯარების თავდაპირველ სარდლებს. 1862 წელს კავშირის გენერალი ჯორჯ მაკკლელანი, ნელა და დიდი სიფრთხილით ცდილობდა ხელთ ეგდო რიჩმონდი. მაგრამ შვიდდღიანი ბრძოლის შედეგად 25 ივნისიდან 1 ივლისამდე კავშირის ჯარები გამუდმებით იხევდნენ უკან, ორივე მხარე დიდ დანაკარგებს განიცდიდა.

კონფედერატების მორიგი გამარჯვების შემდეგ, რომელიც მოხდა ბულ რანთან მეორე ბრძოლაში (მეორე მანასასი), ლი გადაეიდა მდინარე პოტომაკზე და დაიპყრო მერილენდი. მაკკლელანი ისევ ფრთხილობდა, თუმცა იცოდა, რომ ლიმ თავისი არმია გაჰყო და ბევრად მცირერიცხოვან ძალებს ფლობდა. კავშირის და კონფედერაციის არმიები შეეჯახნენ ერთმანეთს ანტიეტამ კრიკთან, შარფსბურგის მახლობლად (მერილენდი) 1862 წლის 17 სექტემბერს. ეს იყო ომის ყველაზე სისხლიანი დღე: ორივე მხარემ დაკარგა 4 000 ჯარისკაცზე მეტი მოკლული, 18 000 დაჭრილი. მიუხედავად თავისი რიცხობრივი უპირატესობისა, მაკკლელანმა ვერ გაარღვია ლის ხაზები და ვერ განახორციელა შეტევა, ლიმ მოახერხა უკან დახევა, მდინარე პოტომაკზე გადასვლა და არმიის გადარჩენა. ამის შედეგად ლინკოლნმა მაკკლელანი გადააყენა.

თუმცა სამხედრო თვალსაზრისით, ანტიეტამთან ბრძოლა არ იყო გადამწყვეტი, მისი შედეგები საკმაოდ დიდი მნიშვნე-

ლობის მქონე აღმოჩნდა. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ კონფედერაციის ცნობა, გადადეს გადაწყვეტილების მიღება, და, ამდენად, სამხრეთს არასოდეს მიუღია დიპლომატიური აღიარება და ეკონომიკური დახმარება ევროპიდან, რასაც ასე სასოწარკვეთილებით ელოდა.

ანტიეტამმა დაანახა ლინკოლნს, რომ საჭიროა გამოიცეს ბრძანება „წინასწარი განთავისუფლების გამოცხადების" შესახებ, რომლის თანახმადაც 1863 წლის 1 იანვრიდან კავშირის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა შტატის მონებს მიენიჭათ თავისუფლება. პრაქტიკული თვალსაზრისით, ამ მოქმედებას თავიდან არ ჰქონდა დიდი ეფექტი: ბრძანებულება ათავისუფლებდა მონებს კონფედერაციაში შემავალ შტატებში, მაგრამ ხელუხლებლად ტოვებდა მონობას მოსაზღვრე შტატებში. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ბრძანებულება ნიშნავდა, რომ კავშირის შენარჩუნებასთან ერთად მონობის გაუქმება ამჟამად უკვე შეადგენდა კავშირის მიზანს, რასაც ხელი უნდა შეეწყო ომში წარმატების მოპოვებაში.

1863 წლის 1 იანვარს „განთავისუფლების გამოცხადება" ნებას რთავდა შავკანიან მოსახლეობას შესულიყო კავშირის არმიაში, რასაც აბოლიციონისტი ლიდერები, როგორიც იყო, მაგალითად, ფრედერიკ დუგლასი, მოითხოვდნენ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების დღიდანვე. ფაქტიურად, კავშირის შეიარაღებული ძალები იქცნენ თავშესაფარად გაქცეული მონებისათვის როგორც „ომის კონტრაბანდისთვის"; „განთავისუფლების გამოცხადების" შემდეგ კავშირის არმიაში შეიქმნა და გაიწვრთნა შავკანიან ჯარისკაცთა პოლკები, რომლებიც თავგამოდებით ომობდნენ ყველა ბრძოლაში დაწყებული ვირჯინიიდან მისისიპამდე. დაახლოებით 178 000 აფრიკელი ამერიკელი მსახურობდა შეერთებული შტატების ფერადკანიანთა არმიაში და 29 500 – კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

მიუხედავად „განთავისუფლების გამოცხადებით" გამოწვეული პოლიტიკური სარგებლობისა, ჩრდილოეთელების სამხედრო პერსპექტივები აღმოსავლეთში კვლავ უფერული რჩებოდა, რადგან ლის არმია ჩრდილო ვირჯინიაში განაგრძობდა კავშირის არმიის შევიწროებას და დამარცხებას პოტომაკზე, პირველად ფრედერიკსბურგში (ვირჯინიას შტატი) 1862 წლის დეკემბერში, და შემდგომ ჩანსლორსვილში 1863 წლის მაისში. თუმცა ჩანსლორსვილი წარმოადგენდა ლის ერთ-ერთ საუკეთესო გამარჯვებას, მას იგი ძვირად დაუჯდა, ვინაიდან დაკარგა თავისი საუკეთესო თანაშემწე, გენერალი სტაუნვოლ ჯექსონი, რომელიც შემთხვევით იქნა მოკლული თავისიანის მიერ.

**გეტისბურგიდან აპომატოქსამდე**

კონფედერატების მიერ აქამდე მოპოვებული არც ერთი გამარჯვება არ იყო გადამწყვეტი. ფედერალური მთავრობა წვრთნიდა ახალ არმიებს და აგზავნიდა ფრონტზე. დარწმუნებული იმაში, რომ ჩრდილოეთელების დამარცხება ჩანსლორსვილთან აძლევდა მას წარმატების შანსს, 1863 წელს ლი შეიჭრა პენსილვანიაში და თითქმის მიაღწია მის დედაქალაქ ჰარისბურგს. ლის ლაშქრობა გეტისბურგისკენ შეაჩერა ძლიერმა ფედერალურმა ჯარმა, სადაც ტიტანურ სამ-დღიან ბრძოლაში – უდიდესში ამ სამოქალაქო ომში – კონფედერატები მამაცურად ცდილობდნენ გაერღვიათ ფედერალური ძალების ხაზები. მათ მარცხი განიცადეს და ლის ვეტერანებმა მძიმე დანაკარგებით დაიხიეს უკან პოტომაკისკენ.

ფედერალური ძალების 3 000-ზე მეტი და კონფედერაქტების თითქმის 4 000 ჯარისკაცი დაიღუპა ბრძოლაში გეტისბურგთან; დაჭრილთა და დაკარგულთა რიცხვი თითოეულ მხარეზე 20 000-ს აღემატებოდა. 1863 წლის 19 ნოემბერს გეტისბურგთან ახალი ნაციონალური სასაფლაოს გახსნისას ლინკოლნი გამოვიდა, ალბათ, ყველაზე ცნობილი მიმართვით შეერთებული შტატების ისტორიაში:

*ჩვენ აქ ვიღებთ მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ მათი სიკვდილი არ იქნება ამაო – რომ ეს ერი, ღვთის შეწევნით, ხელმეორედ აღსდგება თავისუფალ ერად – და რომ ეს მთავრობა, შექმნილი ხალხისაგან, ხალხის მიერ, და ხალხისათვის, არ გაქრება დედამიწის ზურგიდან.*

მისისიპზე ფედერალური ჯარები ბლოკირებულნი აღმოჩნდნენ ვიკსბურგთან, სადაც კონფედერატებმა ძლიერ გაამაგრეს თავისი პოზიციები ციცაბო ნაპირებზე, რომლებიც მეტისმეტად მაღალი იყო საზღვაო შეტევისათვის. 1863 წლის დასაწყისში გენერალმა გრანტმა დაიწყო ქვემოთ სვლა და გარშემოერტყა ვიკსბურგს, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში ალყაში ჰყავდა მოქცეული. 4 ივლისს მან აიღო ქალაქი და მასთან ერთად იარაღი დააყრევინა კონფედერატების ყველაზე ძლიერ არმიას დასავლეთში. მდინარეს ახლა მთლიანად კავშირი დაეუფლა, რის გამო კონფედერაცია ორად გაყოფილი აღმოჩნდა და თითქმის შეუძლებელი გახდა ტეხასიდან არკანზასამდე საჭირო სურსათ-სანოვაგისა და სხვა მარაგის მოწოდება.

ჩრდილოეთელების გამარჯვებები ვიკსბურგთან 1863 წლის ივლისში იქცა ამ ომის შემობრუნების წერტილად, თუმცა სისხლისღვრა წელიწადნახევრის განმავლობაში კიდევ გრძელდებოდა.

ლინკოლნმა გადაიყვანა გრანტი აღმოსავლეთში და დანიშნა იგი კავშირის ძალების მთავარსარდლად. 1864 წლის

მაისში გრანტი ღრმად შეიჭრა ვირჯინიაში და შეხვდა ლის კონფედერაციულ ჯარს სამდღიან ბრძოლაში უდაბურ ადგილებში. ორივე მხარემ დიდი დანაკარგები განიცადა, მაგრამ გრანტმა უკან არ დაიხია ფედერალური ჯარების სხვა სარდლების მსგავსად. ამის მაგივრად ის შეეცადა მოწინააღმდეგის ფლანგებიდან შესულიყო, გაეწელა კონფედერატების რიგები და ცეცხლით მოეგერიებინა საარტილერიო და ქვეითი შეტევები. „ჩემი აზრით, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ამ ფრონტის ხაზზე, ეს რომ მთელი ზაფხულიც გაგრძელდეს", თქვა ფედერალური ჯარების სარდალმა სპოტსილვანიაში ხუთდღიანი სისხლისმღვრელი სასანგრო ბრძოლების შემდეგ, რაც იყო დამახასიათებელი აღმოსავლეთის ფრონტზე წარმოებული ბრძოლებისათვის თითქმის მთელი წლის მანძილზე.

დასავლეთით 1863 წლის შემოდგომაზე კავშირის ჯარებმა ჩეტანუგასთან და ლუქაუთის მთასთან გამარჯვების შემდეგ დაიკავეს ტენესი, რითაც გაუხსნეს გზა გენერალ უილიამ ტ. შერმანს ჯორჯიის დასაპყრობად. შერმანმა მანევრირებით აჯობა კონფედერაციის რამოდენიმე შედარებით პატარა ჯარს, დაიკავა დედაქალაქი ატლანტა, შემდეგ წამოვიდა ატლანტის ოკეანის სანაპიროსაკენ, თან გზადაგზა ანადგურებდა რკინიგზებს, ქარხნებს, საწყობებს და სხვა მოწყობილობას. მისი ჯარისკაცები მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ მომარაგების ნორმალურ ზონას და საკვების შოვნის მიზნით ძარცვავდნენ სოფლებს. სანაპიროდან შერმანი დაიძრა ჩრდილოეთისაკენ და 1865 წლის თებერვალში აიღო ჩარლსტონი, სამხრეთ კაროლინაში, სადაც გაისმა ამ სამოქალაქო ომის პირველი გასროლა. შერმანს კავშირის სხვა გენერლებზე უფრო კარგად ესმოდა, რომ სამხრეთის ნებისყოფის გატეხვა და მორალური განადგურება ისევე მნიშვნელოვანი იყო, როგორც მისი არმიების დამარცხება.

გრანტმა ამასობაში ალყა შემოარტყა პიტერსბურგს ვირჯინიაში, რაც ცხრა თვეს გაგრძელდა, ვიდრე 1865 წლის მარტში ლიმ არ დატოვა პიტესბურგი და კონფედერატების დედაქალაქი რიჩმონდი და შეეცადა დაეხია სამხრეთისაკენ. მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო, და 1865 წლის 9 აპრილს კავშირის მრავალრიცხოვანი ჯარებით გარშემორტყმული გენერალი ლი იძულებული გახდა დანებებოდა გრანტს აპომატოქსთან. თუმცა აქა-იქ რამოდენიმე თვის განმავლობაში კიდევ მიმდინარეობდა ბრძოლები, სამოქალაქო ომი დასრულდა.

კაპიტულაციის პირობები დიდსულოვანი იყო, და გენერალ ლისთან შეხვედრიდან დაბრუნებულმა გრანტმა დააშოშმინა თავისი ჯარისკაცები სიტყვებით: „აჯანყებულები ისევ ჩვენი თანამოქალაქენი არიან". ომი სამხრეთის დამოუკიდებლო-

ბისათვის „წაგებული საქმე" იყო, რომლის გმირმაც რობერტ ლიმ აღტაცება დაიმსახურა როგორც თავისი ბრწყინვალე მეთაურობით, ისე დამარცხებისას გამოვლენილი სიდიადით.

---

**„არავის მიმართ გულღვარძლიანობა"**

ჩრდილოეთისათვის ომმა შექმნა კიდევ უფრო დიდი გმირი აბრაამ ლინკოლნი – კაცი, რომელსაც ყველაფერზე მეტად უნდოდა კვლავ შეეკრა კავშირი არა ძალადობის და რეპრესიების გზით, არამედ სითბოთი და დიდსულოვნებით. 1864 წელს ის ხელმეორედ იქნა არჩეული პრეზიდენტად, აჯობა რა თავის დემოკრატ ოპონენტს ჯორჯ მაკკლელანს, გენერალს, რომელიც ლინკოლნმა დაითხოვა ანტიეტამის ბრძოლის შემდეგ.

თავისი მეორე საპრეზიდენტო მიმართვა მან დაასრულა სიტყვებით:

*არავის მიმართ გულღვარძლიანობა, ლმობიერება ყველას მიმართ, სამართლიანობისადმი სიმტკიცე, ისე, როგორც ღმერთს მოუნიჭებია ჩვენთვის სიმართლის აღქმის უნარი, მოდით ვისწრაფოთ, რომ დავამთავროთ საქმე, რომელიც წამოვიწყეთ; განვკურნოთ ერის ჭრილობები; ვიზრუნოთ მათზე, ვინც იბრძოდა; დაღუპულთა ქვრივებსა და ობლებზე... გავაკეთოთ ყველაფერი, რომ მივაღწიოთ და შევინარჩუნოთ სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობა ქვეყნის შიგნით და ყველა ერის მიმართ.*

გავიდა სამი კვირა, ხოლო ლის კაპიტულაციიდან 2 დღე, მას შემდეგ, რაც ლინკოლნმა წარმოთქვა თავისი უკანასკნელი მიმართვა ხალხისადმი, რომელშიც ჩამოაყალიბა რეკონსტრუქციის ლმობიერი პოლიტიკა.

14 აპრილს მან ჩაატარა კაბინეტის უკანასკნელი შეკრება. იმ საღამოს თავის მეუღლესთან და მათთან სტუმრად მყოფ ახალგაზრდა წყვილთან ერთად, ლინკოლნი დაესწრო წარმოდგენას ფორდის თეატრში. იქ ის თავის საპრეზიდენტო ლოჟაში მოკლა ჯონ უილკს ბუთმა, ვირჯინიელმა მსახიობმა, რომელიც გამწარებული იყო სამხრეთის დამარცხების გამო. რამოდენიმე წლის შემდეგ ვირჯინიის ერთ-ერთი სოფლის ფარდულში ამტყდარი სროლის დროს მოკლეს თვით ბუთი. მისი თანამზრახველები მოგვიანებით დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს.

ლინკოლნი გარდაიცვალა ფორდის თეატრის წინ მდებარე სახლის ქვედა სართულზე საწოლ ოთახში 15 აპრილს დილით.

*პოეტი ჯეიმს რასელ ლოუელი წერდა: ადრე არასდროს ყოფილა, რომ აპრილის შემაძრწუნებელ დილას უამრავ ადამიანს ასე ეტიროს იმ კაცის სიკვდილის გამო, რომელიც*

*არც კი უნახავთ, თითქოს მათ დაკარგეს მეგობარი და გულში სიცივემ და მწუხარებამ დაისადგურა. არასდროს ყოფილა დაკრძალვის ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვა ისეთი მრავლისმთქმელი და უცხო ადამიანების ჩუმი მზერა ისეთი ურთიერთთანაგრძნობით გამსჭვალული, როდესაც მათი თვალები ერთმანეთს ხვდებოდნენ. მთელმა ხალხმა დაკარგა სულიერი ნათესავი.*

გამარჯვებული ჩრდილოეთი დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა – ახლა უკვე ლინკოლნის ვიცე-პრეზიდენტის, წარმოშობით სამხრეთელის ენდრიუ ჯონსონის ხელმძღვანელობით, რომელიც კავშირის ერთგული დარჩა – საჭირო იყო იმ შტატების სტატუსის დადგენა, რომლებიც გამოეყვნენ კავშირს. ლინკოლნს უკვე ჰქონდა დასახული ამ მიმართულებით გზა. მისი თვალსაზრისით, სამხრეთის შტატები, კანონის თანახმად, არასოდეს გამოსულან კავშირიდან: ისინი შეცდომაში შეიყვანა და ფედერალური მთავრობისადმი დაუმორჩილებლობისკენ უბიძგა ზოგიერთმა არალოიალურმა მოქალაქემ, და რადგანაც ომი ცალკეული პირების ქმედება იყო, ფედერალურ ხელისუფლებას უნდა დაესაჯა ეს პირები და არა მთლიანად შტატები. 1863 წელს ლინკოლნმა განაცხადა, რომ თუ რომელიმე შტატი 1860 წელს აღრიცხულ ამომრჩეველთა 10 პროცენტით აირჩევდა მთავრობას, რომელიც ლოიალური იქნებოდა შეერთებული შტატების კონსტიტუციისადმი, დაემორჩილებოდა კონგრესის კანონებს და პრეზიდენტის განცხადებას, მაშინ ლინკოლნი ცნობდა ამ მთავრობას შტატის კანონიერ ხელისუფლად.

კონგრესმა უარყო ეს გეგმა და განაცხადა, რომ ლინკოლნს არ ჰქონდა უფლება კონსულტაციის გარეშე ემოქმედა ამ საკითხთან დაკავშირებით. კონგრესის ზოგიერთი წევრი მოითხოვდა მკაცრი სასჯელის შემოღებას კავშირიდან გასული შტატებისათვის. მაგრამ ომი ჯერ ბოლომდე არ იყო დასრულებული, რომ უკვე შეიქმნა ახალი მთავრობები შეიქმნა ვირჯინიაში, ტენესში არკანზასში და ლუიზიანაში.

1865 წელს კონგრესმა თავისი უპირველესი საზრუნავის – ყოფილი მონების მდგომარეობის – მოსაგვარებლად შექმნა „განთავისუფლებულ ადამიანთა ბიურო", რომელიც შეასრულებდა მეურვის როლს. აფრიკელი ამერიკელებისთვის და დაეხმარებოდა მათ საკუთარი თავის რჩენაში. იმავე წლის დეკემბერში კონგრესმა მოახდინა მეცამეტე შესწორების რატიფიკაცია აშშ-ს კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც გაუქმებული იყო მონობა.

1865 წლის ზაფხულში ჯონსონი შეუდგა ლინკოლნის რეკონსტრუქციის პროგრამის განხორციელებას. საპრეზიდენტო განცხადებით მან დანიშნა გუბერნატორები კონფედე-

რაციის ყველა ყოფილ შტატში და დაბრკოლებების გარეშე აღუდგინა პოლიტიკური უფლებები სამხრეთელ მოქალაქეთა დიდ რიცხვს საპრეზიდენტო შეწყალებების მეშვეობით.

დროთა განმავლობაში კონფედერაციის ყველა ყოფილ შტატში ჩატარდა ყრილობები, რომლებმაც უარყვეს გამოყოფის შესახებ მიღებული დადგენილებები, უარი თქვეს კონფედერაციის ომის ვალებზე და შეიმუშავეს ახალი კონსტიტუცია. ბოლოს, ყოველ შტატში გუბერნატორის ადგილი დაიკავა ადგილობრივმა ფედერალისტმა, რომელსაც უფლება ჰქონდა მოეწვია ლოიალურ ამომრჩეველთა ყრილობა. ჯონსონმა მოუწოდა თითოეულ ყრილობას გაეუქმებინა კავშირიდან გამოყოფის გადაწყვეტილება, გაეუქმებინა მონობა, უარი ეთქვა კონფედერაციის ყველა ვალებზე და მოეხდინა მეცამეტე შესწორების რატიფიკაცია. 1865 წლის ბოლოსათვის ეს პროცესი, მხოლოდ რამოდენიმე გამონაკლისის გარდა, დასრულდა.

---

## რადიკალური რეკონსტრუქცია

როგორც ლინკოლნმა, ასევე ჯონსონმა ადრევე განსაზღვრეს, რომ კონგრესს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა სამხრეთელი კანონმდებლებისათვის ადგილების მიცემაზე აშშ-ს სენატში ან წარმომადგენელთა პალატაში კონსტიტუციის იმ დებულების თანახმად, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „თითოეულ პალატას უფლება აქვს იმსჯელოს თავისი წევრების საარჩევნო ცენზზე". ეს განხორციელდა კიდევაც, როდესაც თადეუშ სტივენსის ხელმძღვანელობით იმ კონგრესმენებმა, რომლებსაც სამხრეთის დასჯა სურდათ, უარი უთხრეს არჩეულ სამხრეთელ სენატორებს და წარმომადგენლებს ადგილებზე. მომდევნო რამოდენიმე თვის მანძილზე სამხრეთის რეკონსტრუქცია წარიმართა სულ სხვა გზით, ვიდრე ეს დასახა ლინკოლნმა და განახორციელმა ჯონსონმა.

თანდათან მოიპოვეს საზოგადოების მხარდაჭერა იმ კონგრესმენებმა, რომელთა აზრით, შავკანიანებს უნდა მიეღოთ სრული მოქალაქეობა. 1866 წლის ივლისში კონგრესმა მიიღო სამოქალაქო უფლებების ბილი და შექმნა „განთავისუფლებულ ადამიანთა ბიურო" – რომლის მიზანს შეადგენდა მასობრივი დისკრიმინაციის არ დაშვება სამხრეთის საკანონმდებლო ორგანოების მიერ. ამის შემდეგ კონგრესმა მიიღო კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ყველა პირი, რომელიც დაიბადა აშშ-ში ან მიიღო მისი ქვეშევრდომობა და, ამრიგად, ექვემდებარება მის კანონმდებლობას, არის შეერთებული შტატების მოქალაქე და იმ შტატის მოქალაქე, რომელშიც ცხოვრობს". ამით უარყოფილი

იყო „დრედ სკოტის“ დადგენილება, რომელიც არ აძლევდა მონებს მოქალაქეობის უფლებას.

სამხრეთის არც ერთმა შტატმა, გარდა ტენესისა, არ მოახდინა შესწორების რატიფიკაცია, ზოგიერთმა ერთსულოვნად მისცა მის წინააღმდეგ ხმა. ომის შემდეგ სამხრეთის შტატების საკანონმდებლო ორგანოები შეეცადნენ შემოეღოთ შავი კოდექსები, რომელთა მიზანი იყო ხელახლა მოერგოთ ძველი უღელი განთავისუფლებული მონებისათვის. კოდექსები სხვადასხვა იყო სხვადასხვა შტატებში, მაგრამ ზოგიერთი დადგენილებები საერთო ჰქონდათ. შავკანიანებს უნდა ემუშავათ წლიური კონტრაქტით, კონტრაქტის დარღვევისათვის შემოღებული იყო სასჯელები; კმაყოფაზე მყოფი ბავშვები გადიოდნენ სავალდებულო წვრთნას და მათ პატრონებს შეეძლოთ ფიზიკურად დაესაჯათ ისინი; შეიძლებოდა მაწანწალების გაყიდვა კერძო პირთა სამსახურში, თუ ისინი ვერ გადაიხდიდნენ დიდ ჯარიმას.

ამის საპასუხოდ ჩრდილოელთა გარკვეულმა წრეებმა მოითხოვეს ჩარევა შავკანიანთა უფლებების დასაცავად სამხრეთში. 1867 წლის მარტში მიღებული რეკონსტრუქციის აქტის საფუძველზე კონგრესმა მოახდინა სამხრეთში ჩამოყალიბებული მთავრობების იგნორირება, დაყო სამხრეთი ხუთ რაიონად და დაამყარა იქ სამხედრო ხელისუფლება. სამხედრო ხელისუფლების თავიდან აცილებას შესძლებდა მხოლოდ ის შტატი, რომელიც ჩამოაყალიბებდა სამოქალაქო მთავრობას, მიიღებდა ერთგულების ფიცს, მოახდენდა მეთოთხმეტე შესწორების რატიფიცირებას და აღიარებდა შავკანიანთა თანასწორუფლებიანობას.

შესწორება რატიფიცირებულ იქნა 1868 წელს. კონგრესის მიერ შემდგომ წელს მიღებული და 1870 წელს რატიფიცირებული მეთხუთმეტე შესწორებით დადგინდა, რომ „შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის მიერ მოქალაქეებს არ შეეზღუდებათ და არ წაერთმევათ ხმის უფლება რასის, კანის ფერის ან adrindeli საქმიანობის გამო“. კონგრესის წევრი რადიკალურად განწყობილი რესპუბლიკელები განრისხდნენ იმის გამო, რომ პრეზიდენტმა ჯონსონმა ვეტო დაადო (მიუხედავად იმისა, რომ ეს ვეტო უარყვეს) კანონმდებლობას, რომელიც ითვალისწინებდა ახლად განთავისუფლებული შავკანიანების დაცვას და კონფედერაციის ლიდერთა დასჯას მათთვის თანამდებობის დაკავების უფლების წართმევით. ანტიპათია ჯონსონისადმი იმდენად დიდი იყო, რომ პირველად ამერიკის ისტორიაში პრეზიდენტი გადასცეს სასამართლოში მისი გადაყენების მიზნით.

ჯონსონის ძირითადი დანაშაული იყო ის, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა კონგრესის დამსჯელ პოლიტიკას და იყენებდა

უხეშ გამოთქმებს კონგრესის კრიტიკის დროს. ყველაზე სერიოზული კანონიერი ბრალდება, რომლის წამოყენებაც შეეძლოთ მის მტრებს, მდგომარეობდა იმაში, რომ მიუხედავად „თანამდებობაზე ყოფნის აქტის“ დებულებისა (რომელიც მოითხოვდა სენატის თანხმობას მის მიერ დამტკიცებული პირის თანამდებობიდან განთავისუფლებისას), მან დაითხოვა სამხედრო მინისტრი, კონგრესის თავდადებული მომხრე. როდესაც სენატში საბრალდებულო სასამართლო გაიმართა, დამტკიცდა, რომ ჯონსონს ფორმალურად არ დაურღვევია თავისი უფლებამოსილებანი კაბინეტის წევრის გადაყენების დროს. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ნაჩვენები იყო პრეცენდენტის შექმნის საშიშროება, თუ კონგრესი გადააყენებდა პრეზიდენტს მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ ეთანხმებოდა მისი წევრების უმრავლესობის აზრს. პრეზიდენტის გადაყენება ჩაიშალა და ჯონსონმა გააგრძელა თავისი მოღვაწეობა საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე.

სამხედრო რეკონსტრუქციის აქტის თანახმად კონგრესმა 1868 წლის ივნისისთვის ხელახლა მიიღო კავშირში არკანზასი, ჩრდილო კაროლინა, სამხრეთ კაროლინა, ლუიზიანა, ალაბამა და ფლორიდა. ამ შვიდი აღდგენილი შტატის გუბერნატორთა, წარმომადგენელთა და სენატორთა უმეტესობას ჩრდილოელები შეადგენდნენ – ეგრეთ წოდებული „პორტფელიანები“, – რომლებიც სამხრეთში ჩავიდნენ პოლიტიკური კარიერის გასაკეთებლად და ხშირად თანამშრომლობდნენ ახალ განთავისუფლებულ აფრიკელ ამერიკელებთან. ლუიზიანის და სამხრეთ კაროლინის საკანონმდებლო ორგანოებში აფრიკელმა ამერიკელებმა ადგილების უმრავლესობა დაიკავეს. დარჩენილმა სამმა სამხრეთის შტატმა – მისისიპიმ, ტეხასმა და ვირჯინიამ – ბოლოს და ბოლოს მიიღეს კონგრესის პირობები, და ისინი დაშვებულ იქნენ კავშირში 1870 წელს.

როდესაც მათ პოლიტიკურ და სოციალურ ბატონობას საფრთხე დაემუქრა, ბევრმა თეთრკანიანმა სამხრეთელმა მიმართა უკანონო გზებს, რათა ხელი შეეშალათ შავკანიანებისათვის თანასწორუფლებიანობის მოპოვებაში. სულ უფრო გახშირდა ძალადობა შავკანიანთა მიმართ. 1870 წელს უწესრიგობის ზრდამ გამოიწვია „იძულებითი აქტის“ მიღება, რომელიც სასტიკ სასჯელს ითვალისწინებდა იმათთვის, ვინც შეეცდებოდა განთავისუფლებულ ადამიანთა უფლებების დარღვევას.

**რეკონსტრუქციის დასასრული**

დრო გადიოდა და სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ სამხრეთის პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იყო მკაცრი კანონებით და მუდმივი მტრობით ყოფილ კონფედერატებთან. 1872 წლის მაისში კონგრესმა მიიღო საერთო ამნისტიის აქტი, რომლითაც აღუდგინა სრული პოლიტიკური უფლებები კონფედერაციის ყველა მომხრეს, გარდა დაახლოებით 500 კაცისა.

თანდათან ეგრეთ წოდებული „პორტფელიანების" მთავრობების სანაცვლოდ სამხრეთის შტატებმა დაიწყეს დემოკრატიული პარტიის წევრების არჩევა თანამდებობაზე და შავკანიანთა დაშინება ხმის მიცემის დროს ან თანამდებობის დაკავების მცდელობისას. 1876 წლისათვის რესპუბლიკელები სამხრეთის მხოლოდ სამ შტატში დარჩნენ ხელისუფლების სათავეში. მორიგების თანახმად, რომლის წყალობით იმ წელს საპრეზიდენტო არჩევნების გარშემო ატეხილი დისპუტი რეზერფორდ ბ. ჰეისის სასარგებლოდ გადაწყდა, რესპუბლიკელები პირობას დებდნენ დაემთავრებინათ რადიკალური რეკონსტრუქცია და დაეთმოთ სამხრეთის უდიდესი ნაწილი დემოკრატიული პარტიისათვის. 1877 წელს ჰეისმა გამოიყვანა სამხრეთიდან სახელმწიფო ჯარების დარჩენილი ნაწილები და ჩუმათ მიანება თავი ფედერალური მთავრობის ვალდებულებას დაეცვა შავკანიანთა სამოქალაქო უფლებები.

სამხრეთი ჯერ კიდევ ომისგან გაჩანაგებული მხარე იყო, დამძიმებული არასწორი ხელმძღვანელობით გამოწვეული ვალებით, და დემორალიზებული რასისტული ბრძოლის ათწლეულით. სამწუხაროდ, ეროვნული რასობრივი პოლიტიკა ერთი უკიდურესობიდან მეორისკენ იხრებოდა. თუ ადრე ის ფორმალურად მხარს უჭერდა სამხრეთის თეთრკანიანი ლიდერების მკაცრ დასჯას, ახლა ის ითმენდა სხვადასხვა სახის დამამცირებელ დისკრიმინაციას შავკანიანთა მიმართ. მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სამხრეთის შტატებში განსაკუთრებით მომრავლდა „ჯიმ კროუს" კანონები, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო სკოლები გაიყო თეთრკანიანთა და შავკანიანთათვის, ბევრ საზოგადოებრივ ადგილებში, როგორებიცაა პარკები, რესტორნები და სასტუმროები, ზანგების დაშვება შეზღუდული იყო, ზანგების უმეტესობას წართმეული ჰქონდა საარჩევნო უფლებები ამომრჩეველთა გადასახადების და წერა-კითხვის ცოდნის მკაცრი ტესტირების შემოღებით.

სამოქალაქო ომისათვის დამახასიათებელი მორალური სიწმინდისა და დიდი დრამატიზმისაგან განსხვავებით, ისტორიკოსები რეკონსტრუქციას კრიტიკულად აფასებენ, როგორც პოლიტიკური კონფლიქტის, კორუფციის და რეგრესის პერიოდს. მონებს მისცეს თავისუფლება, მაგრამ არ მიანიჭეს თანასწორობა. ჩრდილოეთმა საერთოდ ვერ დააკმაყოფილა განთავისუფლებულ ადამიანთა ეკონომიკური საჭიროებანი.

ისეთი ღონისძიებები, როგორიც იყო „განთავისუფლებულ ადამიანთა ბიუროს“ შექმნა, არასაკმარისი აღმოჩნდა ყოფილი მონების ისეთი ინსტიტუტებით უზრუნველსაყოფათ, რომლებიც მისცემდნენ მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს ან უბრალოდ დაიცავდნენ ძალადობისა და დაშინებისგან. სინამდვილეში ფედერალური ჯარის ოფიცრები და „განთავისუფლებულ ადამიანთა ბიუროს აგენტები“ თვითონაც ძალიან ხშირად რასისტები იყვნენ. შავკანიანები დამოკიდებულნი იყვნენ ამ ჩრდილოელ თეთრკანიანთა მიერ მათ დაცვაზე სამხრეთელებისაგან, რომლებიც ერთიანდებოდნენ ორგანიზაციებში, როგორიც იყო კუ კლუქს კლანი, აშინებდნენ შავკანიანებს და ხელს უშლიდნენ მათი უფლებების გამოყენებას.

ბევრი სამხრეთელი შავკანიანი, ვინაიდან არ გააჩნდა საკუთარი ეკონომიკური რესურსები, იძულებული იყო გამხდარიყო მეიჯარე ფერმერი თავისი ყოფილი ბატონის მიწაზე და, ამდენად, ექცეოდა სიღარიბის ერთგვარ მახეში, რაც მე-20 საუკუნეშიც გაგრძელდა.

რეკონსტრუქციის პერიოდის მთავრობებმა, მართლაც, მიაღწიეს წარმატებას ომისგან გაჩანაგებული სამხრეთის შტატების აღდგენაში, საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს გაფართოებაში, განსაკუთრებით თეთრკანიანთა და შავკანიანთა უფასო სახელმწიფო სკოლების შექმნაში, რომელთა ფინანსირებაც მოქალაქეთა გადასახადების თანხებიდან ხდებოდა. მაგრამ ურჩი სამხრეთელები არ უშვებდნენ ხელიდან კორუფციის არც ერთ შემთხვევას (რაც იშვიათი როდი იყო იმ დროის სამხრეთში) და იყენებდნენ მათ რადიკალური წესების დასამხობად. რეკონსტრუქციის წარუმატებლობამ გამოიწვია ის, რომ აფრიკელ ამერიკელთა ბრძოლა თანასწორობისათვის და თავისუფლებისათვის შეყოვნდა მე-20 საუკუნემდე, როდესაც ის იქცა მთელი ერის და არა მხოლოდ სამხრეთის პრობლემად.

## მშვიდობიანი დემოკრატები, „გველგესლები" და სავალდებულო სამხედრო გაწვევის მოწინააღმდეგენი

თავისი პრეზიდენტობის პერიოდში ლინკოლნს ჰყავდა სერიოზული ოპოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის საერთო და ომისდროინდელ პოლიტიკას. ჩრდილოეთშიც კი სამოქალაქო ომი იმდენად მძიმე იყო და იმდენი სიცოცხლე და რესურსები შეიწირა, რომ სხვაგვარად ვერც იქნებოდა.

ლინკოლნის ოპოზიციამ, ბუნებრივია, კოალიცია შექმნა დემოკრატიულ პარტიაში, რომლის კანდიდატმა სტივენ დუგლასმა 1860 წლის არჩევნების დროს მიიღო თავისუფალი შტატების სახალხო კენჭისყრაში ხმების 44 პროცენტი.

ოპოზიცია ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ჩრდილოეთის წარმატებები ბრძოლის ველზე. ომის მსვლელობით

და შესაბამისად, ლინკოლნის მოღვაწეობით უკმაყოფილება პირველად დემოკრატებმა კი არ გამოხატეს, არამედ კონგრესმა, რომელმაც 1861 წელს შექმნა ერთობლივი კომიტეტი ომის წარმოების საკითხებთან დაკავშირებით, რათა გამოეძია ფედერალური ჯარების მოქმედება ბულ რანთან და ბოლზ ბლაფთან. ერთობლივი კომიტეტი, რომელშიც უმრავლესობას რადიკალი რესპუბლიკელები შეადგენდნენ, უბიძგებდა ლინკოლნის ადმინისტრაციას უფრო აგრესიული ომისკენ და მონების განთავისუფლებისკენ.

როგორც მოსალოდნელი იყო „სახალხო ხელისუფლების „მომხრე პარტიისაგან, ზოგიერთ დემოკრატს გაუმართლებლად მიაჩნდა სრულმასშტაბიანი ომი კავშირის აღსადგენად. ეს ჯგუფი ცნობილი გახდა „მშვიდობიანი დემოკრატების" სახელით. დემოკრატების უფრო რადიკალურ წევრებს ეწოდათ „გველგესლები".

მიუხედავად იმისა ეკუთვნოდნენ ისინი „ომის" თუ „მშვიდობის" ფრაქციას, ძალიან ცოტა დემოკრატს თუ სჯეროდა, რომ ღირდა ჩრდილოელთა სისხლის დაღვრა მონების გასანთავისუფლებად. მონების განთავისუფლების საკითხებში წინააღმდეგობა დიდი ხანია პარტიის პოლიტიკად იქცა. მაგალითად, 1862 წელს კონგრესის ყველა დემოკრატმა კოლუმბიის ოლქში მონობის გაუქმების და ამ ტერიტორიაზე მისი აკრძალვის წინააღმდეგ მისცა ხმა.

მონების განთავისუფლების მოწინააღმდეგთა დიდ ნაწილს ღარიბი მშრომელები შეადგენდნენ, განსაკუთრებით ირლანდიელი და გერმანელი კათოლიკე ემიგრანტები, რომლებსაც ეშინოდათ ახლად განთავისუფლებული მონების მასიური ემიგრაციის ჩრდილოეთისკენ. ამგვარი განწყობილების გამო 1862 წელს მოხდა რამოდენიმე რასისტული გამოსვლა ჩრდილოეთის ქალაქებში.

1863 წლის იანვარში ლინკოლნმა გამოსცა ბრძანება მონათა განთავისუფლების შესახებ და დაუფარავად აღიარა მონობის გაუქმება ომის ერთ-ერთ მიზნად. ეს კი სულაც არ იყო ერთსულოვნად მოწონებული ჩრდილოეთში. მაგალითად, როგორც ინდიანას, ასევე ილინოისის შტატების საკანონმდებლო ორგანოებმა მიიღეს კანონები, რომლებიც მოითხოვდნენ მშვიდობის დადებას კონფედერაციასთან და „უზნეო, არაჰუმანური და ულვთო" განცხადებაზე უარის თქმას.

ჩრდილოეთში შექმნილმა სირთულეებმა ომის წარმოებასთან დაკავშირებით აიძულეს ლინკოლნი 1862 წელს შეეჩერებინა სამოქალაქო კანონმდებლობის მოქმედება და შემოეღო სამხედრო კანონები მათ მიმართ, ვინც ხელს უშლიდა ჯარში გაწვევას და ეხმარებოდა ან თანაუგრძნობდა მეამბოხეებს. სამოქალაქო კანონების ეს შეჩერება, თუმცა კონსტიტუციის მიხედვით გამართლებული იყო კრიზისის პერიოდში, აძლევდა დემოკრატებს კიდევ ერთ საბაბს ლინკოლნის გასაკრიტიკებლად. სამხედრო მინისტრმა ედვინ სტენტონმა ენერგიულად გაატარა საგანგებო მდგომარეობის კანონები და რამოდენიმე ათასი კაცი – რომლებიც უმეტესწილად სამხრეთელებს თანაუგრძნობდნენ ან დემოკრატები იყვნენ – დააპატიმრეს.

კავშირს სჭირდებოდა ცოცხალი ძალა აშშ-ს ისტორიაში პირველი სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის. შემოღებული იმისათვის. რომ „ხელი შეეწყო"

ჯარის შევსებისათვის, სავალდებულო სამხედრო გაწვევამ, პირიქით, ბევრი ადამიანი ჩამოაშორა ჯარს.

წინააღმდეგობა განსაკუთრებით ძლიერი იყო პენსილვანიის, ოჰაიოს, ინდიანას და ვისკონსინის „გველგესლათა“ მხრიდან, სადაც საჭირო ხდებოდა ფედერალური ჯარების დახმარება გაწვევის ძალით ჩასატარებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ წვევამდელებს შეეძლოთ გამოესყიდათ თავი ჯარიდან სამას დოლარად, რაც იმ დროს მავი მუშის წლიურ შემოსავალს შეადგენდა. ეს კიდევ უფრო განამტკიცებდა აზრს – ფართოდ გავრცელებულს კონფედერაციის ზოგიერთ ნაწილებშიც – რომ ეს იყო „მდიდრების ომი და ღარიბების სისხლისღვრა“.

განსაკუთრებით ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა სავალდებულო გაწვევა ქალაქ ნიუ-იორკში 1863 წლის ზაფხულში. ნიუ-იორკი დემოკრატიული პარტიის საყრდენი იყო, და იმ წელს იქ უკვე რამოდენიმე ოფიციალური პირი მოკლეს, რომლებიც გაწვევას აწარმოებდნენ. ივლისში პოლიციის დაცვის ქვეშ ქალაქში მოიყვანეს შავკანიანთა ჯგუფი, რომლებსაც გაფიცული ირლანდელი მტვირთავები უნდა შეეცვალათ. დაახლოებით იმავე დროს ოფიციალურმა პირებმა გაითამაშეს ლატარეა არაპოპულარულ გაწვევასთან დაკავშირებით. ამ ორი მოვლენის დამთხვევამ გამოიწვია ოთხდღიანი ამბოხება, რომელსაც შეეწირნენ ზოგიერთი შავკანიანი მეზობლები, გაწვევის ბიუროები და პროტესტანტული ეკლესიები. დახოცილთა რიცხვმა შეადგინა სულ ცოტა 105 ადამიანი. წესრიგის აღსადგენად საჭირო გახდა ფედერალური პოლკის ჩამოყვანა გეტისბურგიდან.

იმ წელიწადს მოხდა სამოქალაქო ომის ყველაზე ცნობილი მოვლენა, რომელიც არ იყო დაკავშირებული ბრძოლებთან. საქმე შეეხებოდა კლემენ ვალენდიგემს, დემოკრატების კანდიდატს ოჰაიოს შტატის ხელისუფლებაში. აშკარად თავისი პოპულარობის გაზრდის მიზნით ვალენდიგემმა უგულვებელყო ის ფაქტი, რომ „მოღალატეობრივი საქმიანობა“ აკრძალული იყო სამხედრო ხელისუფლების მიერ და გააკრიტიკა ლინკოლნის პოლიტიკა, მოუწოდა მოლაპარაკებისკენ და ომის დამთავრებისკენ, რომელსაც უწოდა „ომი შავკანიანთა განთავისუფლებისა და თეთრკანიანთა დამონებისთვის“. ფედერალური ჯარის მოსამსახურეები შეუვარდნენ მას სახლში და დააპატიმრეს.

ვალენდიგემის დაპატიმრების კანონიერებამ მომენტალურად გამოიწვია დემოკრატების პროტესტი, მათ მხარი დაუჭირა ზოგიერთმა რესპუბლიკელმაც. ამის საპასუხოდ ლინკოლნმა გაგზავნა ვალენდიგემი ზურგში კონფედერატების ფრონტის ხაზიდან, სადაც ის დასახელებული იყო კანდიდატად არჩევნებში. შემდეგ ის წავიდა კანადისკენ, სადაც ჩაატარა ხმაურიანი, მაგრამ წარუმატებელი კომპანია.

მიუხედავად კავშირის ჯარების გამარჯვებისა 1863 წელს ვიკსბურგთან და გეტისბურგთან, დემოკრატების „მშვიდობისმოყვარე კანდიდატები“ მაინც ახდენდნენ ერის უბედურებებით და რასისტული განწყობილებით მანიპულირებას თავიანთი მიზნის მისაღწევად. ჩრდილოეთში ისეთი განწყობილება სუფევდა, რომ ლინკოლნი დარწმუნებული იყო 1864 წლის ნოემბერში მას ხელმეორედ აღარ აირჩევდნენ.

დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენებული იყო ჯორჯ მაკკლელანი, კაცი, რომელიც ლინკოლნმა გადააყენა პოტომაკის არმიის მთავარსარდლის პოსტიდან ორი წლის წინ. მაკკლელანის კანდიდატი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე იყო ვალენდიგენის ახლო თანამოაზრე. დემოკრატიული პარტიის იმედების საწინააღმდეგოდ მაკკლელანმა უარი თქვა ამ პარტიის მიზანზე – ომის დამთავრების თაობაზე მოლაპარაკებების გამართვაზე. მიუხედავად ყოველივე ამისა, გამარჯვება უკვე ახლოს იყო, და ლინკოლნმა ადვილად დაამარცხა მაკკლელანი ნოემბერში ჩრდილოეთის ყველა შტატში, გარდა ნიუ-ჯერსისა და დელავერისა.

ტრანსკონტინენტალური რკინიგზის მშენებლობა, 1869







თავი მეშვიდე

# VII

# განვითარება და გარდაქმნები

# „საკუთრების ხელშეუხებლობაზე დამოკიდებულია თვით ცივილიზაციაც“

ენდრიუ კარნეგი, 1889

ორ დიდ ომს – სამოქალაქოსა და პირველ მსოფლიო ომს შორის შუალედებში – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სრულწლოვანებას მიაღწია. 50 წელიწადიც კი არ გასულა, და ის აგრარული ქვეყნიდან სამრეწველო ქვეყნად იქცა. ფრონტირი გაქრა. დიდმა ფაბრიკებმა და მეტალურგიულმა ქარხნებმა, ტრანსკონტინენტალურმა რკინიგზებმა, აყვავებულმა ქალაქებმა და ვრცელმა სასოფლო-სამეურნეო ფერმებმა დაფარეს მთელი ტერიტორია. ეკონომიკურ ზრდასთან და სიმდიდრის მოზღვავებასთან ერთად გაჩნდა შესაბამისი პრობლემები. მთელ ქვეყანაში წარმოების ყველა დარგს მართავდა ბიზნესი, დამოუკიდებლად ან სხვებთან კავშირში. სამუშაო პირობები ხშირად ცუდი იყო. ქალაქები ისე სწრაფად იზრდებოდნენ, რომ მათი მოსახლეობის უზრუნველყოფა კარგი ბინებით ძნელი ხდებოდა.

### ცვლილებები და ტექნოლოგია

„სამოქალაქო ომმა“ –წერდა ერთი მწერალი –, „ღრმა კვალი დაამჩნია ქვეყნის ისტორიას; მან ერთი ხელის მოსმით მოახდინა იმ ცვლილებების დრამატიზირება, რომლებიც დაიწყო ადრე, 20-იანდა 30-იან წლებში...“. ომის საჭიროებებმა განაპირობეს მრეწველობის სწრაფი განვითარება, დააჩქარეს ეკონომიკური პროცესები, ლითონის, ოქროსა და ელექტროენერგიის გამოყენება, მეცნიერების და გამომგონებლობის წინსვლა. 1860 წლამდე გაიცა 36 000 პატენტი, მომდევნო 30 წელიწადში – 440 000 პატენტი, ხოლო მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში ამ რიცხვმა მილიონს მიაღწია.

ჯერ კიდევ 1844 წელს სემუელ ფ. ბ. მორზემ სრულყო ტელეგრაფი და მალე კონტინენტის შორეული კუთხეები ერთმანეთს დაუკავშირდნენ ბოძებისა და მავთულების ქსელით. 1876 წელს ალექსანდრე ბელმა მოახდინა ტელეფონის აპარატის დემონსტრირება და ნახევარი საუკუნის განმავლობაში 16 მილიონი ტელეფონი ხელს უწყობდა ერის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებას. ბიზნესის ზრდა დააჩქარა საბეჭდი მანქანის გამოგონებამ 1867 წელს, საანგარიშო მანქანის გამოგონებამ 1888 წელს და სალაროს აპარატის გამოგონებამ 1897 წელს. 1886 წელს გამოიგონეს ასოთამწყობი მანქანა ლინოტიპი, მბრუნავმა წნეხმა და ქაღალდის დასაკეცმა მანქანამ შესაძლებელი გახადა საათში 240 000 ცალი რვაგვერდიანი გაზეთის ბეჭდვა. თომას ედისონის ნათურამ მილიონობით სახლი გაანათა. ედისონმა სრულყო მოლაპარაკე მანქანა, ფონოგრაფი, და ჯორჯ ისტმანთან ერთად მონაწილეობა მიიღო მოძრავი სურათების შექმნაში. მეცნიერების, გამომგონებლების და სხვა მრავალთა მიღწევების წყალობით შრომის ნაყოფიერება თითქმის ყველა დარგში ახალ დონეზე ავიდა.

პარალელურად გზას იკვალავდა ქვეყნის ძირითადი სამრეწველო დარგი – რკინისა და ფოლადის წარმოება, რომელსაც იცავდა მაღალი ტარიფების სისტემა. თუ ადრე რკინის მრეწველობა ძირითადად აღმოსავლეთის შტატებში იყო კონცენტრირებული, გეოლოგების მიერ მადნის ახალი საბადოების აღმოჩენის კვალობაზე ის განვითარდა დასავლეთშიც; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს მესაბის რკინის დიდი საბადოები სუპერიორის ტბის ზემოთ, რომელიც იქცა მსოფლიოში რკინის მადნის ერთ-ერთ უდიდეს მწარმოებლად. მადანი განლაგებული იყო ზედაპირულ ფენაში, და, ამდენად, მისი მოპოვება სიძნელეს არ წარმოადგენდა და იაფი ჯდებოდა. ის საოცრად სუფთა იყო ქიმიური მინარევებისაგან და მისი უმაღლესი ხარისხის ფოლადად

გადამუშავება ჯდებოდა იმ დროს გავრცელებული ხარჯების ერთი მეათედი.

---

**კარნეგი და ფოლადის საუკუნე**

ფოლადის მრეწველობაში მიღწეულ მნიშვნელოვან წარმატებებში დიდი დამსახურება მიუძღოდა ენდრიუ კარნეგის. კარნეგი შოტლანდიიდან ჩამოვიდა ამერიკაში, მუშაობდა მრთველად ბამბის ქარხანაში, ტელეგრაფში, შემდეგ პენსილვანიის რკინიგზის ხაზზე. ის ჯერ 30 წლისაც არ იყო, როდესაც მან გააკეთა ჭკვიანური და შორსმჭვრეტელური დაბანდებანი, რომელთა უმეტესობა 1865 წელს რკინის წარმოებაზე მოდიოდა. რამოდენიმე წელიწადში მას უკვე ჰქონდა სააქციო კაპიტალი ქარხნებში, რომლებიც აწარმოებდნენ რკინის ხიდებს, რელსებს და ლოკომოტივებს. 10 წლის შემდეგ მდინარე მონონგაჰელაზე, პენსილვანიაში, მის მიერ აშენებული ფოლადის ქარხანა გახდა ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაში.

კარნეგიმ შეიძინა არა მარტო ახალ ქარხნებზე მმართველობითი კონტროლი, არამედ ქვანახშირის და კოქსის ქონება, სუპერიორის ტბის რკინის მადანი, თბომავალთა ფლოტი დიდ ტბებზე საპორტო ქალაქი ერის ტბაზე და მასთან დამაკავშირებელი რკინიგზა. მის ბიზნესს რომელიც უამრავ სხვა ბიზნესთან იყო დაკავშირებული შეეძლო ხელსაყრელი პირობების მიღება სარკინიგზო და საზღვაო გზებიდან. მსგავსი სამრეწველო აღმავლობა ამერიკას ადრე არასოდეს უნახავს.

თუმცა კარნეგი დიდხანს მბრძანებლობდა მრეწველობაში, მან ვერ მიაღწია სრულ მონოპოლიას ბუნებრივ რესურსებზე, ტრანსპორტირებაზე და ფოლადის მწარმოებელ ქარხნებზე. 1890 წელს გაჩნდნენ ახალი კომპანიები, რომლებმაც მეტოქეობა გაუწიეს მის მბრძანებლობას. კარნეგი თავდაპირველად უკმაყოფილო კონკურენციით, იმუქრებოდა, რომ შექმნიდა ბიზნესის კიდევ უფრო ძლევამოსილ კომპლექსს. მაგრამ ახლა იგი უკვე დაღლილი მოხუცი იყო, და ის დაარწმუნეს გაეერთიანებინა თავისი საკუთრება ორგანიზაციასთან, რომელიც საბოლოოდ მიითვისებდა ეროვნული რკინის და ფოლადის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

---

**კორპორაციები და ქალაქები**

„შეერთებული შტატების ფოლადის კორპორაცია", რომელიც წარმოიშვა ამ გაერთიანების შედეგად 1901 წელს, მაგალითი იყო იმ პროცესისა, რომელმაც 30 წელი გასტანა: დამოუკიდებელი სამრეწველო ფირმების შერწყმა სხვადასხვა

ნაწილებისგან შემდგარ ან ცენტრალიზებულ კომპანიებად. ეს პროცესი დაიწყო სამოქალაქო ომის შემდეგ და სწრაფად განვითარდა 1870-იან წლებში, როდესაც ბიზნესმენები შემჩნდნენ, რომ ჭარბი წარმოება გამოიწვევდა ფასების დაცემას და მოგების შემცირებას. ისინი მიხვდნენ, რომ შეეძლოთ როგორც წარმოების, ასევე ბაზრების კონტროლი და მეტოქე ფირმების ერთიან ორგანიზაციად გაერთიანება. ამ მიზნის განსახორციელებლად შეიქმნა „კორპორაციები" ანუ „ტრესტები".

კორპორაციები ქმნიდნენ კაპიტალის დიდ მარაგს და აძლევდნენ საწარმოებს მუდმივი არსებობის და ხანგრძლივი კონტროლის საშუალებას, ინვესტორებს კი იზიდავდნენ როგორც მოსალოდნელი მოგებით, ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობით საქმის ჩავარდნის შემთხვევაში. თავის მხრივ ტრესტები იქმნებოდნენ კორპორაციების გაერთიანების შედეგად, როდესაც თითოეული კომპანიის აქციების მფლობელები აბარებდნენ თავიანთ აქციებს მმართველობის წევრებს. ასეთი ტრესტები შესაძლებელს ხდიდნენ დიდ მასშტაბურ კომბინაციებს, ცენტრალიზებულ კონტროლს და მართვას, პატენტების დაგროვებას. მათი დიდი კაპიტალრესურსები გაფართოების საშუალებას იძლეოდნენ და აადვილებდნენ კონკურენციას უცხოურ ფირმებთან. ამავე დროს უყენებდნენ პირობებს მშრომელებს, რომლებიც იმ დროს იწყებდნენ გაერთიანებას ორგანიზაციებში. ისინი აგრეთვე იღებდნენ ხელსაყრელ პირობებს რკინიგზის კომპანიებისგან და ზეგავლენას ახდენდნენ პოლიტიკაზე.

ჯონ დ. როკფელერის მიერ, დაარსებული „სტანდარტ ოილ კომპანი" ერთ-ერთი პირველი უძლიერესი კორპორაცია იყო, რომელსაც მალე მოჰყვა სხვა გაერთიანებებიც – ბამბის თესლის ზეთის, ტყვიის, შაქრის, თამბაქოს და რეზინის მრეწველობები. მალე ცალკეულმა აგრესიულმა ბიზნესმენებმა დაიწყეს მრეწველობაში თავისი ბატონობის სფეროების გამოყენება. ოთხმა ძირითადმა ხორცის შემფუთავმა, რომელთაგან მთავარი იყვნენ ფილიპ არმორი და გუსტავ სვიფტი, ჩამოაყალიბა ხორცის ტრესტი. საირუს მაკკორნიკი ბატონობდა სამკალი მანქანების წარმოებაში. 1904 წლის მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ 5 000 ადრე დამოუკიდებელი კონცერნი გაერთიანდა 300 სამრეწველო ტრესტად.

გაერთიანებისკენ სწრაფვა შეიმჩნეოდა სხვა სფეროებშიც, განსაკუთრებით ტრანსპორტირებასა და კავშირგაბმულობაში. „უესტერნ იუნიონი" იყო ყველაზე ადრეული გაერთიანება კავშირგაბმულობის დარგში, რომელსაც მოჰყვა „ბელ ტელე-

ფონ სისტემ“-ის და „ემერიკან ტელეფონ ენდ ტელეგრაფ კომპანი“-ს გაერთიანება. 1860 წელს კორნელი ვანდერბილტმა გააერთიანა 13 ცალკეული სარკინიგზო გზა ერთ ხაზად, რომელიც აკავშირებდა ქალაქ ნიუ-იორკს დაახლოებით 800 კილომეტრით დაშორებულ ბუფალოსთან. შემდეგი ათწლეულის მანძილზე მან შეიძინა ჩიკაგოს (ილინოისი) და დეტროიტის (მიჩიგანი) სარკინიგზო ხაზები და შექმნა „ნიუ-იორკ სენტრალ რეილროუდ სისტემ“. შეიქმნა სხვა გაერთიანებებიც, და მალე ქვეყნის უმთავრესი რკინიგზის ხაზები გაერთიანდნენ მაგისტრალებად ან სისტემებად, რომლებსაც ერთი მუჭა ხალხი მართავდა.

ამ ახალ სამრეწველო სისტემაში ქალაქები იქცნენ ცენტრებად, რომლებშიც ფოკუსირებული იყო ერის ყველა დინამიური ეკონომიკური ძალა: დიდძალი კაპიტალის დაგროვება, ბიზნესის და ფინანსური დაწესებულებები, დიდი სარკინიგზო პარკები, მბოლავი ქარხნები, მუშების და მოხელეების მთელი ჯარი. სოფლები იზიდავდნენ ქალაქგარეთ მცხოვრებ ადამიანებს და იმიგრანტებს, გადაიზრდებოდნენ ჯერ პატარა, შემდეგ კი დიდ ქალაქებად – თითქმის ერთ ღამეში. 1830 წელს ყოველი 15 ადამიანიდან მხოლოდ ერთი ცხოვრობდა 8 000 მოსახლიან ან უფრო დიდ დასახლებაში; 1860 წელს შეფარდება იყო ერთ ყოველი ექვსთან; ხოლო 1890 წელს – სამი ყოველ ათიდან. 1860 წელს არც ერთი ქალაქის მოსახლეობა არ აღემატებოდა მილიონს, მაგრამ ოცდაათი წლის შემდეგ ნიუ-იორკის მოსახლეობა მილიონ ნახევარს შეადგენდა, ხოლო ჩიკაგოსი (ილინოისი) და ფილადელფიის (პენსილვანია) – მილიონზე მეტს. ამ სამი ათწლეულის მანძილზე, ფილადელფიის და ბალტიმორის (მერილენდი) მოსახლეობა გაორმაგდა, კანზას სიტის (მისური) და დეტროიტის (მიჩიგანი) – გაოთხმაგდა, კლევლენდის (ოჰაიო) გაექვსმაგდა და ჩიკაგოსი – გაათმაგდა. მინეაპოლისი (მინესოტა), ომაჰა (ნებრასკა) და მრავალი მათი მსგავსი დასახლება, რომელიც სამოქალაქო ომის დასაწყისში სოფლები იყვნენ, 50-ჯერ და მეტად გაიზარდნენ.

---

**რკინიგზები, რეგულირება და ტარიფები**

რკინიგზების მნიშვნელობა სულ უფრო მატულობდა ქვეყნის ზრდასთან ერთად, და სულ უფრო ხშირი იყო უსამართლო ქმედებები რკინიგზების კომპანიების მხრიდან. რკინიგზები აწესებდნენ მსხვილი კლიენტებისათვის უფრო დაბალ გადასახადს მისი ნაწილის ფასჩამოკლების გზით, რაც საზიანო იყო წვრილი კლიენტებისათვის. რკინიგზის ზოგიერთი კომპანია

თვითნებურად ითხოვდა ზოგიერთი კლიენტებისაგან სხვებთან შედარებით უფრო მაღალ გადასახადებს გარკვეულ პუნქტებს შორის, მანძილისაგან დამოუკიდებლად.

გარდა ამისა თუ კონკურენცია დაბლა სწევდა გადაზიდვის ფასებს ისეთ ქალაქებს შორის, რომლებსაც რამოდენიმე ხაზი აკავშირებდათ; გადასახადი ძალიან მაღალი იყო ერთი სარკინიგზო ხაზით დაკავშირებულ პუნქტებს შორის. ამგვარად, უფრო იაფი ჯდებოდა ტვირთის გადატანა 1 280 კილომეტრზე ჩიკაგოდან ნიუ-იორკამდე, ვიდრე ჩიკაგოდან რამოდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებულ პუნქტებში. კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით მოქიშპე კომპანიები ერთობლივი მოქმედებით – კაპიტალის გაერთიანების გზით – ინაწილებდნენ გადაზიდვების ბიზნესს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომლითაც სრული შემოსავალი შედიოდა საერთო ფონდში და შემდეგ ნაწილდებოდა.

ამგვარი მოქმედებით გამოწვეული საყოველთაო აღშფოთების გამო შტატების ხელისუფლება შეეცადა მოეწესრიგებინა მდგომარეობა. ამას გარკვეული შედეგები მოჰყვა, მაგრამ პრობლემა ეროვნული იყო და საჭიროებდა კონგრესის ჩარევას.

1887 წელს პრეზიდენტმა გროვერ კლივლენდმა ხელი მოაწერა შტატებს შორის ვაჭრობის აქტს, რომელიც კრძალავდა გადამეტებულ ფასებს, კაპიტალის გაერთიანებას, ფასჩამოკლებას, დისკრიმინაციულ ფასებს და ქმნიდა „შტატებს შორის ვაჭრობის კომისიას" (ICC) რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა აქტის დარღვევათათვის. თავისი არსებობის პირველ ათწლეულებში, კომპანიები იყენებდნენ კონსერვატიული უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომ ჩაეშალათ ICC-ს ყველა მცდელობა მოეხდინა ფასების რეგულირება.

კლივლენდი აგრეთვე აქტიურად ებრძოდა მაღალ ტარიფებს, რომლებიც თავდაპირველად შემოიღეს როგორც ომის პერიოდის ღონისძიება, მაგრამ თანდათან ის რესპუბლიკელი პრეზიდენტების მუდმივ ეროვნულ პოლიტიკად მიიჩნიეს. კლივლენდი დემოკრატი იყო და თვლიდა, რომ სწორედ უმაღლესი ტარიფები განაპირობებდნენ ძირითადად ცხოვრების გაძვირებას და ტრესტების სწრაფ განვითარებას. მრავალი წლის შემდეგ ტარიფი პოლიტიკურ საკითხად იქცა. დემოკრატები 1880 წელს ითხოვდნენ „მხოლოდ საშემოსავლო ტარიფებს" და მალე რეფორმის გატარების მოთხოვნამ დაჟინებული ხასიათი მიიღო. თავის ყოველწლიურ მიმართვაში კონგრესისადმი 1887 წელს კლივლენდმა, მიუხედავად

გაფრთხილებისა არ შეხებოდა სახიფათო საკითხს, თავზარი დასცა ერს იმით, რომ გააკრიტიკა ის უკიდურესობა, სადამდეც მოიდა ამერიკის მრეწველობის უცხოური კონკურენციის დაცვის პრინციპი.

ტარიფი გახდა ძირითადი საკითხი 1888 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კომპანიაში. რესპუბლიკელების კანდიდატმა ბენჯამინ ჰარისონმა, რომელიც დაცვის სისტემის მომხრე იყო, ძლივს გაიმარჯვა დაძაბულ ბრძოლაში. ჰარისონის ადმინისტრაცია, საარჩევნო დაპირებების შესრულებისას 1890 წელს მიიღო მაკკინლის სატარიფო ბილი – ღონისძიება, რომელსაც უნდა დაეცვა მრეწველობის უკვე ჩამოყალიბებული დარგები და ხელი შეეწყო ეგრეთ წოდებული „ახალშობილი“ დარგებისათვის. ახლად დაწესებული მაღალი ტარიფები განაპირობებდნენ მაღალ საცალო ფასებს და იწვევდნენ საყოველთაო უკმაყოფილებას.

ამ პერიოდში საზოგადოების ანტიპატია ტრესტებისადმი გაიზარდა. გიგანტური ეროვნული კორპორაციები 1880-იან წლებში იქცნენ მწვავე პოლიტიკური დებატების საგნად და მკაცრად იქნენ გაკრიტიკებულნი ისეთი რეფორმატორების მიერ, როგორებიც იყვნენ ჰენრი ჯორჯი და ედუარდ ბელემი. მონოპოლიების დასაშლელად 1890 წელს მიიღეს შერმანის ანტიმონოპოლური აქტი, რომელიც კრძალავდა შტატებს შორის ვაჭრობის შემაფერხებელ ყოველგვარ კომბინაციებს და აწესებდა მკაცრი სასჯელის გატარების რამოდენიმე მეთოდს. თავისთავად ეს კანონი ზოგადად და ბუნდოვნად იყო ფორმულირებული და მისი შედეგები იმ პერიოდში უმნიშვნელო აღმოჩნდა. მაგრამ მოგვიანებით, ერთი ათწლეულის შემდეგ თეოდორ რუზველტის ადმინისტრაციის მოსვლისას, ამ კანონის ეფექტიანმა გამოყენებამ პრეზიდენტ რუზველტს შესძინა მეტსახელი „ტრესტების დამქცევი“.

---

**რევოლუცია სოფლის მეურნეობაში**

მიუხედავად დიდი მიღწევებისა მრეწველობის დარგში, სოფლის მეურნეობა რჩებოდა ერის ძირითად საქმიანობად. რევოლუცია სოფლის მეურნეობაში, რომელიც მოხდა სამოქალაქო ომის შემდეგ სამრეწველო რევოლუციის პარალელურად გულისხმობდა ხელით შრომის შეცვლას მექანიზირებული შრომით და „საარსებო“ სოფლის მეურნეობიდან კომერციულზე გადასვლას. 1860-1910 წლებს შორის შუალედში ფერმების რაოდენობა შეერთებულ შტატებში გასამკეცდა, მათი რიცხვი გაიზარდა 2 მილიონიდან 6 მილიონამდე, მაშინ როდესაც დამუშავებული მიწის ფართობი

ორჯერ მეტად გაიზარდა – 160 მილიონიდან 352 მილიონ ჰექტარამდე.

1860-1890 წლებში ისეთი ძირითადი კულტურის წარმოებამ, როგორიც იყო ხორბალი,სიმინდი და ბამბა გაუსწრო ყველა ადრინდელ ტარიფებს შეერთებულ შტატებში. იმავე პერიოდში ქვეყნის მოსახლეობა ორჯერ მეტად გაიზარდა, განსაკუთრებით ქალაქებში.მაგრამ ამერიკელ ფერმერებს მოჰყავდათ იმდენი მარცვლეული და ბამბა, აწარმოებდნენ ისეთი რაოდენობის მატყლს, საქონლის და ღორის ხორცს, რომ საქონლით უზრუნველეყოთ არა მარტო ამერიკელი მუშები და მათი ოჯახები, არამედ შეექმნათ მუდმივად მზარდი ჭარბი პროდუქციაც.

ამგვარი უჩვეულოდ მაღალი მიღწევები გამოწვეული იყო რამოდენიმე ფაქტორით. ერთი იყო დასავლეთის ექსპანსია, მეორე – ფერმებში მექანიზაციის გამოყენება. 1800 წელს ფერმერს ნამგლის მეშვეობით შეეძლო მოეთიბა დღეში ხორბლის მოსავლის მხოლოდ 20 პროცენტი ჰექტარზე. 30 წლის შემდეგ ხის სამკალი მოწყობილობით მას შეეძლო მოემკა ჰექტარის 80 პროცენტი დღეში. 1840 წელს საირუს მაკკორმიკმა მოახდინა სასწაული და მომკა ორი, ორ ნახევარი ჰექტარი დღეში სამკალი მანქანით – საკვირველი მექანიზმით, რომელსაც იგი თითქმის 10 წლის მანძილზე ქმნიდა. გაითვალისწინა რა მოთხოვნა თავის გამოგონებაზე, ის წავიდა ჩიკაგოში – პრერიებში მდებარე პატარა ქალაქში, სადაც ააშენა ფაბრიკა, და უკვე 1860 წლისათვის გაყიდა 250 ათასი სამკალი მანქანა.

ამას მალე მოჰყვა სხვა საფერმერო მანქანების გამოგონება: მავთულის ავტომატური დამხვევი, სალეწი მანქანა და სამკალ-სალეწი მანქანა, ანუ კომბაინი. გაჩნდა მექანიკური სარგველები, საჭრელები, ჩენჩოს და ნაჭუჭის გამცლელები, კარაქის სეპარატორები, ნაკელის განმანაწილებლები, კარტოფილის სარგველები, თივის საშრობები, ქათმების ინკუბატორები და სხვა ასობით გამოგონება.

სასოფლო-სამეურნეო რევოლუციისთვის მექანიზაცია არანაკლები მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა ვიდრე მეცნიერების მიღწევები. 1862 წელს, კოლეჯებისთვის მიწის ჩუქების აქტის საფუძველზე, ყოველ შტატში გამოყვეს სახელმწიფო მიწები სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო კოლეჯებისათვის. მათ უნდა შეესრულებინათ როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე კვლევითი ცენტრების როლი სოფლის მეურნეობის მეცნიერების დარგებში. კონგრესმა გამოყო ფონდები მთელ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის

ექსპერიმენტული სადგურების შესაქმნელად და აგრეთვე მისცა ფონდები უშუალოდ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. ახალი საუკუნის დასაწყისისთვის მეცნიერები მთელ შეერთებულ შტატებში მუშაობდნენ მრავალგვარ პროექტებზე სოფლის მეურნეობის დარგში. ფედერალურმა პოლიტიკამ, რომელიც მოსავლიანობის გაზრდის შესაძლებლობა მისცა ფერმერებს, ამავე დროს განაპირობა პროდუქციის დიდი მარაგის შექმნა, რამაც გამოიწვია ფასების დაცემა და შესაბამისად ფერმერების შეშფოთება.

ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დავალებით ერთ-ერთმა მეცნიერმა იმოგზაურა რუსეთში. იქ მან აღმოაჩინა და ამერიკაში წამოიღო დაავადებებისადმი და გვალვისადმი გამძლე ზამთრის ხორბლის ჯიში, რომელიც ახლა შეერთებული შტატების ხორბლის მოსავლის ნახევარზე მეტს შეადგენს. მეორე მეცნიერმა, მერიონ დორსეტმა, გამოიგონა ღორების ქოლერის საწინააღმდეგო საშუალება, და კიდევ ერთმა – ჯორჯ მოჰლერმა შესძლო ჩლიქების და პირის დაავადების პროფილაქტიკა. ერთმა მკვლევარმა ჩრდილო აფრიკიდან ჩამოიტანა კაფრის მარცვალი; მეორემ თურქმენეთიდან – ყვითელ ყვავილოვანი იონჯა. ლუთერ ბერბენკმა კალიფორნიაში გამოიყვანა ხილის და ბოსტნეულის უამრავი ახალი ჯიში; ვისკონსინში სტივენ ბებკოკმა გამოიგონა ტესტი რძეში კარაქის ცხიმიანობის შემცველობის შესამოწმებლად. ალაბამაში ტასკიგის ინსტიტუტში ზანგმა ამერიკელმა მეცნიერმა ჯორჯ ვაშინგტონ კარვერმა ასობით ახალი გამოყენება მოუძებნა არაქისს, ბატატს და სოიოს მარცვალს.

---

**გაყოფილი სამხრეთი**

**1880** წელს სამხრეთი ყოველ ღონეს ხმარობდა მრეწველობის დარგების სტიმულირებისათვის. ინვესტორებს სთავაზობდნენ სერიოზულ შეღავათებს ფოლადის, ხე-ტყის, თამბაქოს და საფეიქრო მრეწველობის გასანვითარებლად. და მაინც, 1900 წელს სამხრეთის პროცენტული წილი ქვეყნის სამრეწველო ბაზაში დაახლოებით 1860 წლის დონის დარჩა. მეტიც, ინდუსტრიალიზაციისკენ ეს სწრაფვა ძვირი დაუჯდათ: ავადმყოფობა და ბავშვთა შრომა ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთის საქარხნო ქალაქებში.

სამოქალაქო ომიდან ოცდაათი წლის გასვლის შემდეგაც სამხრეთი რჩებოდა ძირითადად ღარიბ, აგრარულ და ეკონომიურად დამოკიდებულ მხარედ. მისი საზოგადოება ემყარე-

ბოდა შავკანიანთა და თეთრკანიანთა მკაცრ იზოლაციას და მომთმენი იყო რასისტული ძალმომრეობის მიმართ, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი. ეროვნულ მთავრობაში, ვაშინგტონში მყოფი შეურიგებელი თეთრკანიანი სამხრეთელები ებრძოდნენ რეკონსტრუქციის პოლიტიკას თავიანთ თანამდებობაზე, ცდილობდნენ შტატის კონტროლის გზით შეენარჩუნებინათ თეთრკანიანთა ბატონობა. 1870 წლების დასაწყისში უმაღლესი სასამართლოს რამოდენიმე გადაწყვეტილებამ შეაგულიანა სამხრეთელები იმით, რომ მხარი დაუჭირა კონსერვატიულ იდეებს ფედერალურ და საშტატო ძალაუფლებას შორის ბალანსის დაცვის შესახებ.

1873 წელს უმაღლესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მეთოთხმეტე შესწორება (მოქალაქეობრივი უფლებების შელახვის დაუშვებლობის შესახებ) არ ანიჭებდა აფრიკელ ამერიკელებს რაიმე ახალ პრივილეგიას და იმუნიტეტს შტატის ძალაუფლებისგან თავის დასაცავად. ამის შემდეგ 1883 წელს მან დაადგინა, რომ მეთოთხმეტე შესწორება არ უკრძალავდა ცალკეულ პირებს შტატებისგან განსხვავებით, დისკრიმინაციის გატარებას. სასამართლომ პლესი ფერგიუსონის წინააღმდეგ საქმესთან დაკავშირებით დაადგინა, რომ აფრიკელი ამერიკელებისთვის „გამოყოფილი, მაგრამ ისეთივე" საზოგადოებრივი ადგილების დაწესება, როგორიცაა მატარებლები და რესტორნები, არ წარმოადგენდა მათი უფლებების დარღვევას.

მალე რასობრივ საფუძველზე დისკრიმინაციის პრინციპი გაბატონდა სამხრეთის ცხოვრების ყველა სფეროში, მატარებლებსა და რესტორნებში, სასტუმროებში, საავადმყოფოებში და სკოლებში. მეტიც, ცხოვრების ყველა იმ სფეროში, სადაც იზოლირება არ იყო დაშვებული კანონით, მას აწესებდა ტრადიცია და პრაქტიკა. ყოვლისმომცველი დისკრიმინაციის გამო აფრიკელი ამერიკელები მხარს უჭერდნენ ბუკერ ტ. ვაშინგტონის მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ყველაზე თვალსაჩინო შავკანიანი ლიდერის პროგრამას, რომელიც მოუწოდებდა მათ დაესახათ პატარა ეკონომიკური მიზნები და დროებით შერიგებოდნენ სოციალურ დისკრიმინაციას. ზანგების მეორე ნაწილს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ზანგ ინტელექტუალს უ.ე.ბ. დიუ ბუას, სურდა იზოლაციისთვის წინააღმდეგობის გაწევა პოლიტიკური მოქმედებების გზით. მაგრამ ამ ორი ძირითადი პოლიტიკური პარტიის მოწოდებებს რასობრივი სამართლიანობის დამყარების შესახებ თითქმის არ მოჰყოლია მხარდაჭერა, და კანონები იზოლირების შესახებ ჩვეულებრივ,

მიღებულ გამოვლენად იქცა სამხრეთის სინამდვილეში მე-20 საუკუნის მეორე ნახევარშიც კი.

**უკანასკნელი ფრონტირი**

1865 წელს ფრონტირის ხაზი გასდევდა მდინარე მისისპის მომიჯნავე შტატების დასავლეთ საზღვრებს და შემოფარგლავდა კანზასის და ნებრასკას სამხრეთ ნაწილებს დაყოლებაზე. პიონერთა ფერმების ამ საზღვრებს იქით გადაშლილი იყო პრერიები და აბზინდით დაფარული მიწები, რომლებიც კლდოვანი მთების ფერდობებამდე აღწევდა. ამის შემდეგ დაახლოებით 1 600 კილომეტრზე აღმართულიყო ეეებერთელა მთაგრეხილები, ბევრი მათგანი მდიდარი იყო ვერცხლით, ოქროთი და სხვა ლითონით. შორს კი ტყიან სანაპირო ზოლამდე და წყნარ ოკეანემდე გადაჭიმულიყო დაბლობები და უდაბნოები. დიდი დასახლებული უბნების გარდა, კალიფორნიაში აქა-იქ მიმოფანტული იყო პატარ-პატარა დაბები, კუნძულების ვრცელი რაიონი ეკავათ ამერიკის ადგილობრივ მცხოვრებლებს: მათ შორის იყვნენ დიდი დაბლობის ტომები – სიუ და ბლექფუტი, პაუნი და ჩეიენი – აგრეთვე, ინდიელები სამხრეთ-დასავლეთიდან აპაჩების, ნავაჯოს და ჰოპის ჩათვლით.

არ გასულა 25 წელიწადიც, და ეს მხარე დაიყო შტატებად. მთელ მთიან რეგიონში მუშაობდნენ მაღაროელები, რომლებიც თხრიდნენ გვირაბებს და ქმნიდნენ პატარა დასახლებებს ნევადაში, მონტანაში და კოლორადოში. საქონლის რანჩოების პატრონები სარგებლობდნენ ვრცელი საძოვრებით, ვინაიდან ხელთ იგდეს უზარმაზარი ფართობი ტეხასიდან მდინარე მისურის ზედა ნაწილამდე. მწყემსებმა გზა გაიკვლიეს ველებსა და მთის ფერდობებზე. ფერმერებმა დაბარეს ველები და დაბლობები და აითვისეს ცარიელი ტერიტორია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. 1890 წელს ფრონტირი გაქრა.

განაშენიანებას ხელი შეუწყო 1862 წლის „სამოსახლო აქტმა", რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს ეძლეოდათ 64 ჰექტარი ფართობის თავისუფალი ფერმები, თუ ისინი იქ დასახლებოდნენ და აითვისებდნენ მიწას. მომავალი ფერმერებისთვის სამწუხაროდ, მიწები უფრო გამოსადეგი იყო რანჩოებისთვის, ვიდრე დასამუშავებლად, და 1880 წლისათვის თითქმის 22 400 000 ჰექტარი „თავისუფალი" მიწა იყო მესაქონლეებისა და რკინიგზის კომპანიების ხელში.

1862 წელს კონგრესმა რკინიგზების გაყვანის უფლება მისცა „იუნიონ პესიფიკ რეილროუდ"-ს, რომელმაც გადაჭიმა

ის კაუნსილ ბლაფიდან (აიოვა) დასავლეთისკენ. მშენებლობაზე იყენებდნენ ძირითადად, ყოფილი ჯარისკაცების და ირლანდიელი იმიგრანტების შრომას. იმავე დროს „სენტრალ პესიფიკ რეილროუდ"-მა დაიწყო რკინიგზის მშენებლობა საკრამენტოდან (კალიფორნია) აღმოსავლეთისკენ, სადაც ფართოდ იყენებდა ჩინელი იმიგრანტების შრომას. მთელი ქვეყანა მღელვარებით ადევნებდა თვალს ორი ხაზის მიახლოებას ერთმანეთთან, რაც ბოლოს და ბოლოს, განხორციელდა 1869 წლის 10 მაისს, პრომონტორი პოინტში (იუტას შტატი). მრავალთვიანი მძიმე მოგზაურობა, რომელიც საჭირო იყო ორ ოკეანეს შორის მანძილის გადასალახავად, ექვს დღემდე შემცირდა. კონტინენტალური რკინიგზის ქსელი დღითი დღე ფართოვდებოდა, და 1884 წლისათვის ცენტრალური მისისიპის დაბლობს 4 დიდი რკინიგზის ხაზი აერთებდა წყნარ ოკეანესთან.

პირველად შორეული დასავლეთის მთის მხარეს მიაწყდა უამრავი ხალხი, როდესაც 1848 წელს კალიფორნიაში იპოვეს ოქრო, ათი წლის შემდეგ იგივე განმეორდა კოლორადოსა და ნევადაში, 1860-იან წლებში მონტანასა და ვაიომინგში, ხოლო 1870-იან წლებში შავი მთების და დაკოტას ტერიტორიაზე. ოქროს მაძიებლებმა აითვისეს ეს მხარე, შექმნეს დასახლებები და საფუძველი ჩაუყარეს უფრო მუდმივ დასახლებებს. მაშინაც კი, როდესაც ახალმოსულები დაკავებულნი იყვნენ ოქროს ძიებით, ზოგიერთი მათგანი მიხვდა, რომ რაიონში ხელსაყრელი პირობები იყო ფერმერობის და მესაქონლეობის განვითარებისათვის. ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ზოგიერთი დასახლების გატაცებისა ოქროს ძიებით, მონტანას, კოლორადოს, ვაიომინგის, აიდაჰოს და კალიფორნიის შტატების ჭეშმარიტი სიმდიდრე მცენარეულობასა და ნიადაგში იყო.

მესაქონლეობამ, რომელიც დიდი ხანია მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა ტეხასში, სამოქალაქო ომის შემდეგ განიცადა დიდი აღმავლობა, როდესაც გამჭრიახმა ადამიანებმა დაიწყეს თავისი რქოსანი პირუტყვის გარეკვა ჩრდილოეთით, თავისუფალ სახელმწიფო მიწებზე. გზადაგზა პირუტყვი იკვებებოდა და კანზასის რკინიგზის სადგურებამდე ჩასვლისას ის ბევრად უფრო მსუქანი იყო, ვიდრე გზის დასაწყისში.

ეს „გრძელი გზა" ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ასობით კილომეტრი გადაჭედილი იყო ჩრდილოეთისკენ მიმავალი ნახირით. მესაქონლეობა გავრცელდა მისურის გაღმაც. კოლორადოს, ვაიომინგის, კანზასის, ნებრასკას და დაკოტას

ტერიტორიებზე გაჩნდა დიდი რანჩოები. დასავლეთის ქალაქები იქცნენ ხორცის წარმოების და დამუშავების ცენტრებად.

მესაქონლეობამ წარმოშვა ხატოვანი წარმოდგენა მათ ცხოვრებაზე, რომლის ცენტრალური ფიგურა იყო კოვბოი. თუმცა კოვბოის რეალური ცხოვრება თავისი დაბალი ანაზღაურებით და მძიმე შრომით შორს იყო რომანტიზმისგან, მისი მითოლოგიური გავლენა ამერიკელთა ფანტაზიაზე მეტად ძლიერი იყო 1870-იანი წლების იაფფასიანი რომანებიდან მოყოლებული მე-20 საუკუნეში ჯონ უეინის და კლინტ ისტვუდის ფილმებით დამთავრებული.

სულ 1866 და 1888 წლებში ექვსი მილიონი თავი საქონელი იყო გამოსაზამთრებლად გადაყვანილი ტეხასიდან კოლორადოს, ვაიომინგის და მონტანას მაღალ საძოვრებზე. მესაქონლეობის ბუმმა თავის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია 1885 წელს, როდესაც იმ მიდამოებს მეტისმეტად ბევრი მენახირე იყენებდა საძოვრებად „გრძელ გზაზე“ გადასვლისას, ამავე დროს იქ თანდათან მომრავლდა რკინიგზის ხაზები. მესაქონლეებს ფეხდაფეხ მოჰყვნენ დახურული ვაგონები ფერმერებითა და მათი ოჯახებით, მუშა ცხენებით, ძროხებითა და ღორებით. „სამოსახლო აქტის“ თანახმად ისინი ირჩევდნენ მიწის ნაკვეთებს და ღობავდნენ მათ ახალი გამოგონებით – ეკლიანი მავთულით. რანჩოების პატრონები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ უკანონოდ აღებული მიწა. სულ მალე რომანტიკული და „ველური დასავლეთი“ აღარ არსებობდა.

---

**ინდიელთა შეჭირვება**

ისევე, როგორც თავის დროზე აღმოსავლეთში, დასავლეთში ოქროს მაძიებელთა მესაქონლეთა და ახალმოსახლეთა მოსვლას მოჰყვა იქაურ ინდიელებთან კონფლიქტების ზრდა. ადგილობრივ ამერიკელთა ბევრი ტომი – იუტადან დიდი წყალსაცავის ზონაში და აიდაჰოში მდებარე ნეზ პერჩესამდე – სხვადასხვა დროს ებრძოდა თეთრკანიანებს. მაგრამ განსაკუთრებით სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ფრონტირის წინსვლას ჩრდილოეთის დაბლობის ტომმა სიუმ და სამხრეთ-დასავლეთის ტომმა აპაჩიმ. სიუ, რომელსაც სათავეში ედგნენ ისეთი მარჯვე ბელადები, როგორც წითელი ღრუბელი და შმაგი ცხენი განსაკუთრებით დახელოვნებულები იყვნენ სწრაფ ცხენოსან შეტევებში. აპაჩები არანაკლები მოხერხებულობით და მოუხელთებლობით გამოირჩეოდნენ, ვინაიდან ისინი თავის ტერიტორიაზე – უდაბნოსა და კანიონებში – იბრძოდნენ.

კონფლიქტი დაბლობის ინდიელებთან დაიწყო სიუს მიერ თეთრკანიანთა გაჟლეტით 1862 წელს და გაგრძელდა მთელი

სამოქალაქო ომის მანძილზე. 1876 წელს მოხდა უკანასკნელი სერიოზული ომი სიუსთან, როდესაც დაკოტას ოქროს ციებ-ცხელებამ მიაღწია შავ მთებს. არმიას ევალებოდა არ მოეშვა ოქროს მაძიებლები ინდიელების სანადირო მიწებზე, მაგრამ ცოტა რამ გააკეთდა ინდიელთა მიწების დასაცავად. ჯარი ენერგიულად ამოქმედდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მან მიიღო ბრძანება გამოსულიყო სიუს ტომის წინააღმდეგ, რომელიც, ხელშეკრულების თანახმად, მისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ნადირობდა.

1876 წელს რამოდენიმე უშედეგო ბრძოლის შემდეგ გენერალმა ჯორჯ კასტერმა მიაგნო სიუს და მისი მომხრეების ძირითად ბანაკს მდინარე ლითლ ბიგ ჰორნზე. კასტერი და მისი ხალხი, რომლებიც მოწყვეტილნი იყვნენ თავის მთავარ ძალებს, მთლიანად გაჟლიტეს.

მოგვიანებით, 1890 წელს, ვუნდიდ ნიში (სამხრეთ დაკოტის შტატი) სიუს ტომის ჩრდილოეთ რეზერვაციაში სულების საცეკვაო რიტუალს მოჰყვა აჯანყება და უკანასკნელი ტრაგიული შეტაკება, რომელიც სიუს ტომის ასობით კაცის, ქალის და ბავშვის დაღუპვით დამთავრდა.

ჯერ კიდევ ამ მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე დაბლობის ინდიელთა ცხოვრების წესი დაარღვია ბიზონების ამოხოცვამ, რომლებიც დაწყებული 1870 წლიდან ერთ ათწლეულში თითქმის გადაშენებამდე მიიყვანა უმოწყალო ნადირობამ. ამასობაში ომი აპაჩებთან სამხრეთ-დასავლეთში გაუთავებლად გრძელდებოდა, ვიდრე 1885 წელს მათი ბელადი ჯერონიმო არ დაიჭირეს.

მთავრობის პოლიტიკა ჯერ კიდევ მონროს პრეზიდენტობის დროიდან მდგომარეობდა იმაში, რომ რაც შეიძლება შორს ჰყოლოდათ ინდიელები თეთრკანიანთა ფრონტირის ზოლიდან. მაგრამ რეზერვაციები სულ უფრო მცირე მიწიანი და ხალხმრავალი ხდებოდა, და ბევრში უკმაყოფილებას იწვევდა მთავრობის პოლიტიკა ადგილობრივი ამერიკელების მიმართ. მაგალითად, ჰელენ ჰანტ ჯექსონმა, დასავლეთში მცხოვრებმა აღმოსავლეთელმა, დაწერა წიგნი „სირცხვილის საუკუნე" (1881), რომელშიც ტრაგიულად აღწერა ინდიელთა უბედურება და ძლიერ იმოქმედა ერის სინდისზე. რეფორმატორთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ინდიელებს უნდა განეცადათ ასიმილაცია გაბატონებულ კულტურასთან. ფედერალურმა მთავრობამ სკოლაც კი გახსნა კარლისლში (პენსილვანია) და შეეცადა თავს მოეხვია ინდიელი ახალგაზრდებისათვის თეთრკანიანთა ფასეულობანი და შეხედულებები (სწორედ ამ სკოლაში სწავლობდა ადგი-

ლობრივი ამერიკელი ჯიმი ტროპი, რომელმაც სახელი გაითქვა მე-20 საუკუნის დასაწყისში, და რომელსაც ხშირად აშშ-ს საუკეთესო ათლეტად მიიჩნევენ).

1887 წელს დეუსის აქტით შეერთებულმა შტატებმა შეცვალეს თავისი პოლიტიკა ინდიელების მიმართ, რის შედეგად პრეზიდენტს მიენიჭა უფლება დაეყო ტომის მიწები 65 ჰექტარიან ნაკვეთებად და დაერიგებინა ისინი ტომის თითოეული ოჯახის უფროსისათვის. ეს ნაკვეთები უნდა ჰქონოდათ სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ 25 წლის მანძილზე, ხოლო ამ ვადის გასელის შემდეგ ნაკვეთის პატრონი იღებდა მოქალაქეობას და ნაკვეთის სრულ მფლობელობას. მიწები, რომლებიც არ იყო განაწილებული ამგვარი წესით, მიეყიდებოდა ახალმოსახლეებს. მაგრამ ეს პოლიტიკა, თუმცა კარგი განზრახვებით იქნა ნაკარნახევი, დამღუპველი აღმოჩნდა, რადგან იძლეოდა ინდიელთა მიწების უფრო დიდი რაოდენობით მიტაცების საშუალებას. გარდა ამისა, ის არღვევდა ტომების თემურ წყობილებას და განაპირობებდა ტრადიციული კულტურის შემდგომ ნგრევას. 1934 წელს აშშ-ს პოლიტიკა კვლავ შეიცვალა „ინდიელთა რეორგანიზაციის აქტით“, რითაც ნაცადი იყო ტომური და თემური წყობილების დაცვა რეზერვაციებში.

---

**წინააღმდეგობრივი იმპერია**

მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულები იყო შეერთებული შტატების იმპერიული ექსპანსიის პერიოდი, როდესაც მან გააფართოვა თავისი გავლენა და დროდადრო აერცელებდა თავის ბატონობას ატლანტის და წყნარ ოკეანეებში ფართოდ გაბნეულ ტერიტორიებზე და ცენტრალურ ამერიკაში. შეერთებული შტატები თავისი ევროპელი მეტოქეებისგან განსხვავებულ კურსს დაადგა, იმიტომ რომ თვითონაც გამოვლილი ჰქონდა ევროპულ იმპერიებთან ბრძოლის ისტორია და უნიკალური დემოკრატიული განვითარების გზით მიდიოდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს ამერიკული ექსპანსიონიზმი იკვებებოდა მრავალგვარი წყაროებიდან. საერთაშორისო ასპარეზზე ეს იყო გამალებული იმპერიალიზმის პერიოდი, როდესაც ევროპის ძალები ცდილობდნენ აფრიკის დანაწილებას და ერთმანეთს უწევდნენ მეტოქეობას აზიაში ვაჭრობასა და ზეგავლენისთვის. ბრძოლაში ჩაება ახალი მეტოქე – იაპონია. ბევრი ამერიკელი, მათ შორის ისეთი გავლენიანი პიროვნებები, როგორც თეოდორ რუზველტი, ჰენრი კებოტ ლოჯი და ელიჰუ რუტი, თვლიდნენ, რომ საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც

უნდა ეზრუნა თავისი ეკონომიკური გავლენის სფეროებზე. ამ აზრს მხარი დაუჭირა სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენელთა ძლიერმა დაჯგუფებამ, რომელიც მოუწოდებდა ფლოტის ზრდა-განვითარებისკენ და საზღვარგარეთ პორტების ქსელის შექმნისკენ, რაც, მათი აზრით, უმნიშვნელოვანესი იყო ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკური უსაფრთხოებისთვის. უფრო ზოგადად, „ნათელი ბედ-იღბლის“ დოქტრინა, რომელიც თავდაპირველად ამერიკის კონტინენტის ექსპანსიის გასამართლებლად, იყო გამოყენებული, ახლა კვლავ გაიხსენეს იმის დასამტკიცებლად, რომ შეერთებული შტატების უფლება მოვალეობანი მდგომარეობდნენ მისი გავლენის და ცივილიზაციის გავრცელებაში დასავლეთ ნახევარსფეროში და კარიბის ზღვაში, ისევე, როგორც წყნარ ოკეანეში.

ამავე დროს ანტიიმპერიალისტურად განწყობილი ჩრდილოელი დემოკრატები და რეფორმის მომხრე რესპუბლიკელები ხმამაღლა და დაჟინებით აცხადებდნენ პროტესტს. ამის შედეგად ამერიკის იმპერია თანდათან იზრდებოდა და ამასთან წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა; კოლონიების ხელისუფლება უფრო ვაჭრობის და ეკონომიკის საკითხებით იყო დაკავებული, ვიდრე პოლიტიკური კონტროლით.

ამერიკის პირველი შენაძენი მის კონტინენტალურ საზღვრებს გარეთ იყო 1867 წელს რუსეთისგან ალიასკის ყიდვა, რომელიც მეჩხერად იყო დასახლებული ინუიტ ტომით და სხვა ადგილობრივი ხალხებით. სახელმწიფო მდივნის უილიამ სიუარდის ეს მოქმედება ამერიკელთა უმეტესობის ინდიფერენტულობას ან აღშფოთებას წააწყდა. ალიასკას კი მოიხსენიებდნენ, როგორც „სიუარდის შეცდომას“ და „სიუარდის საყინულეს“. მაგრამ 30 წლის შემდეგ, როდესაც ალიასკაზე მდინარე კლონდაიკზე აღმოაჩინეს ოქრო, ათასობით ამერიკელი გაეშურა ჩრდილოეთისკენდა ბევრი მათგანი დასახლდა იქ სამუდამოდ. როდესაც 1959 წელს ალიასკა ორმოცდამეცხრე შტატი გახდა, მან როგორც კავშირის უდიდესმა შტატმა პირველი ადგილი დაიკავა ტეხასის ნაცვლად.

1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომი შემობრუნების წერტილად იქცა ამერიკის ისტორიაში. რამოდენიმე წელიწადში ომი დამთავრდა და ამიერიდან ამერიკა აკონტროლებდა და გავლენის სფეროში მოაქცია კარიბის ზღვაში განლაგებული კუნძულები წყნარი ოკეანეს შუა ნაწილში და აზიის კონტინენტის ახლოს.

1890 წლისათვის ესპანეთს მისი ვრცელი იმპერიიდან „ახალ მიწებზე“ დარჩა მხოლოდ კუბა და პუერტო-რიკო,

ხოლო ფილიპინების კუნძულები წარმოადგენდნენ ესპანეთის ძალაუფლების ბირთვს წყნარ ოკეანეში. ომის დაწყებას სამმა ძირითადმა წყარომ შეუწყო ხელი: ხალხის მტრულმა განწყობამ ესპანეთის თვითმპყრობელური ხელისუფლებისადმი, ამერიკელთა სიმპატიამ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მიმართ, თავისთავში დარწმუნებულობის განწყობის გაჩენამ შეერთებულ შტატებში, რასაც ხელს უწყობდა „ურა-პატრიოტული" ან ნაციონალისტური და სენსაციების მოყვარული პრესა.

1895 წელს კუბას მზარდი უკმაყოფილება მშობლიური ქვეყნის ტირანიით გადაიზარდა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. შეერთებული შტატები მზარდი შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს აჯანყების მსვლელობას. ამერიკელთა უმეტესობა თანაუგრძნობდა კუბელებს, პრეზიდენტ კლივლენდს კი გადაწყვეტილი ჰქონდა დაეცვა ნეიტრალიტეტი. მაგრამ სამი თვის შემდეგ მაკკინლის პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ს სამხედრო ხომალდი „მენი" დღემდე გაურკვეველ ვითარებაში განადგურებულ იქნა, როდესაც ის ღუზაზე იდგა ჰავანას ნავსადგურში. 250 კაცზე მეტი დაიღუპა, და მთელ ქვეყანას გადაუარა პრესის მიერ მოვლენის სენსაციური გაშუქებით გაძლიერებულმა აღშფოთების ტალღამ. თუმცა გარკვეული პერიოდის მანძილზე მაკკინლი ცდილობდა შეენარჩუნებინა მშვიდობა, მაგრამ რამოდენიმე თვეში მან გადაწყვიტა, რომ ომის გადადებას აზრი აღარ ჰქონდა და გასცა განკარგულება დაეწყოთ შეიარაღებული ინტერვენცია.

ომი ესპანეთთან იყო სწრაფი და გადამწყვეტი. იმ ოთხი თვის მანძილზე, რაც ის გრძელდებოდა, ამერიკის მხარეს არ განუცდია არცერთი მნიშვნელოვანი დამარცხება. ომის განხორციელებიდან ერთი კვირის თავზე კომონდორი ჯორჯ დიუი, რომელიც მაშინ ჰონგ კონგში იმყოფებოდა, ექვსი ხომალდისგან შემდგარი ესკადრონით დაიძრა ფილიპინებისკენ. მას ნაბრძანები ჰქონდა არ მიეცა იქ ბაზირებული ესპანეთის ფლოტისთვის საშუალება ემოქმედა ამერიკის წყლებში. მან ესპანეთის ფლოტს ღუზაზე გაჩერებულს მიუსწრო და მთლიანად გაანადგურა ისე, რომ ერთი ამერიკელიც არ დაიღუპა.

ამასობაში კუბაში ჯარები გადმოსხდნენ სანტიაგოს მახლობლად და რამოდენიმე სწრაფი გამარჯვების შემდეგ ცეცხლი გაუხსნეს ნავსადგურს. ესპანეთის ოთხ ჯავშნოსან ხომალდს ცეცხლი მოეკიდა სანტიაგოს ყურეში, და რამოდენიმე საათში მათგან დამწვარი კორპუსიღა დარჩა.

ბოსტონიდან სან-ფრანცისკომდე ისმოდა საყვირების ხმა და იყო დროშების ფრიალი, როდესაც სანტიაგოს დაცემის შესახებ მოვიდა ცნობა. გაზეთები კუბასა და ფილიპინებზე აგზავნიდნენ კორესპონდენტებს, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ ქვეყნის ახალ გმირებს. მთავარი გმირები იყვნენ მანილასთან გამარჯვებული ჯორჯ დიუი და თეოდორ რუზველტი, რომელიც გადადგა საზღვაო ფლოტის მინისტრის თანაშემწის თანამდებობიდან, რომ ჩასდგომოდა სათავეში „რაფ რაიდერს", კუბაში სამსახურისთვის მის მიერვე შეკრებილ მოხალისეთა პოლკს. მალე ესპანეთმა მშვიდობა მოითხოვა, და 1898 წლის 10 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად კუბა დროებით გადაეცა შეერთებულ შტატებს, ეიდრე კუნძული სრულ დამოუკიდებლობას მიიღებდა. გარდა ამისა, ესპანეთმა დათმო პუერტო-რიკო და გუამი ომის კომპენსაციის სახით, ხოლო ფილიპინები 20 მილიონი დოლარის საფასურად.

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ზღვის იქით მდებარე სამფლობელოები უცხო ხილი იყო. ახალ ტერიტორიებს დაეხმარნენ დემოკრატიული თვითმმართველობის ისეთი პოლიტიკური სისტემის შექმნაში, რომლის გამოცდილება ადრე არცერთ მათგანს არ ჰქონდა.

მიუხედავად ამისა შეერთებული შტატები კოლონისტის ჩვეულ როლში აღმოჩნდნენ, როდესაც ოკუპაციის პირველ ათწლეულში ჩაახშეს შეიარაღებული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ფილიპინებში. ფილიპინებმა საბოლოოდ მიიღეს უფლება აერჩიათ თავიანთი საკანონმდებლო ხელისუფლების ორივე პალატა, რაც განხორციელდა 1916 წელს და 1936 წელს. შედეგად ჩამოყალიბდა ძირითადად ავტონომიური უფლებების მქონე ფილიპინების რესპუბლიკა. 1946 წელს, II მსოფლიო ომის შემდეგ, კუნძულმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ამერიკის მოქმედება წყნარ ოკეანეში არ შემოიფარგლებოდა ფილიპინებით. იმავე წელს, როდესაც მოხდა ესპანეთ-ამერიკის ომი, შეიცვალა შეერთებული შტატების ურთიერთობა ჰავაის კუნძულებთან. ადრე კონტაქტი ჰავაისთან ძირითადად მისიონერების და თითო-ოროლა ვაჭრის მეშვეობით ხერხდებოდა. 1865 წლის შემდეგ ამერიკელებმა დაიწყეს კუნძულის რესურსების ათვისება – ძირითადად შაქრის ლერწმის და ანანასის. როდესაც 1893 წელს სამეფო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს ბოლო მოუღოს უცხოეთის გავლენას, ამერიკის ბიზნესმენებმა ჰავაის გავლენიან პირებთან ერთად დააყენეს ახალი მთავრობა, რომელმაც ითხოვა შეერთებული შტატების შემადგენლობაში შესვლა.

ამასთან დაკავშირებით მთელ ქვეყანას მოედო პროტესტი ამერიკელი ჯარისკაცების გამოყენების და კოლონიალური მმართველობის პრინციპის წინააღმდეგ, რის გამოც პრეზიდენტი გროუვერ კლივლენდი და კონგრესი თავდაპირველად იძულებულნი იყვნენ უარი ეთქვათ ანექსირებაზე. მაგრამ ესპანეთ-ამერიკის ომით გამოწვეული ნაციონალიზმის მოზღვავების შედეგად კონგრესმა 1898 წელს დიდი უმრავლესობით კენჭი უყარა კუნძულების ანექსირებას და, ამრიგად, ქვეყანამ შეიძინა მნიშვნელოვანი საზღვაო ბაზა პერლ ჰარბორი. 1959 წელს ჰავაი გახდა ამერიკის 50-ე შტატი.

კუბამ მიიღო ფორმალური დამოუკიდებლობა, როდესაც 1902 წელს ამერიკის ჯარები გაყვანილ იქნენ მისი ტერიტორიიდან. მაგრამ შეერთებულმა შტატებმა დაიტოვეს ქვეყნის საქმეებში ჩარევის უფლება სამოქალაქო წესრიგის შენარჩუნების მიზნით, რაც მან სამჯერ განახორციელა ვიდრე 1934 წელს იტყოდა უარს ამ უფლებაზე. კუბის სრულ დამოუკიდებლობის პერიოდშიც კი ამერიკის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა მასზე ძლიერი რჩებოდა 1959 წლამდე, როდესაც ფიდელ კასტრომ მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, შემოიღო მარქსისტული რეჟიმი და მჭიდრო კავშირი დაამყარა საბჭოთა კავშირთან.

პუერტო-რიკომ, კუბის აღმოსავლეთით მდებარე კუნძულმა მიიღო იგივე გაკვეთილები, რაც კუბამ და ფილიპინებმა. 1917 წელს აშშ-ს კონგრესმა მისცა პუერტო-რიკოს უფლება თვითონ აერჩია საკუთარი კანონმდებლები. მაგრამ იგივე კანონი სულ სხვა გზას უკვალავდა კუნძულს, ვინაიდან ოფიციალურად აქცევდა მას შეერთებული შტატების ტერიტორიად და, რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, ამერიკის მოქალაქეობას აძლევდა მის მოსახლეობას. 1950 წელს პუერტო-რიკოს მიეცა კონგრესისგან სრული თავისუფლება საკუთრი ბედის გადაწყვეტაში. 1952 წლის რეფერენდუმში მოქალაქეებმა უარი თქვეს შტატად გადაქცევაზე ან სრული დამოუკიდებლობის მიღებაზე და არჩიეს შესულიყვნენ აშშ-ში „თავისუფლად შემოერთებული სახელმწიფოს“ სტატუსით. ძალიან ბევრი პუერტო-რიკელი დასახლდა კონტინენტზე, სადაც მათ თავისუფლი დაშვება ჰქონდათ და სადაც მათ მიიღეს ყველა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება შეერთებული შტატების სხვა მოქალაქეთა მსგავსად.

**არხი და ამერიკის ორი ოკეანეები**

Ესპანეთთან ომმა ამერიკას გაუღვივა ინტერესი პანამის ყელზე არხის აგების. ასეთი არხის (რომელიც ორ დიდ ოკეანეს შეაერთებდა) მნიშვნელობა ვაჭრობისთვის დიდი ხანია მსოფლიოს უმთავრესი სავაჭრო ქვეყნების მიერ იყო აღიარებული. ფაქტიურად ფრანგებმა დაიწყეს კიდეც ასეთი არხის გაყვანა მე-19 საუკუნეში, მაგრამ უამრავი სიძნელის გამო იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ ამ საქმისთვის. ახლა შეერთებული შტატები სერიოზულ ძალას წარმოადგენდნენ როგორც კარიბის ზღვაში, ასევე წყნარ ოკეანეში და, ამდენად, არხის არსებობას მიიჩნევდნენ სამხედრო აუცილებლობად, რომლის მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა ხომალდების სწრაფი გადაყვანა ერთი ოკეანედან მეორეში.

საუკუნის მიწურულს ახლანდელი პანამა კოლუმბიის პროვინცია იყო. როდესაც 1903 წელს კოლუმბიის კანონმდებლობამ უარი თქვა ხელშეკრულების პროექტის რატიფიცირებაზე, რომლის მიხედვითაც შეერთებულ შტატებს არხის მშენებლობისა და ექსპლოატაციის უფლება ეძლეოდა, უკმაყოფილო პანამელების ჯგუფმა აშშ-ს საზღვაო ფლოტის დახმარებით დაიწყო აჯანყება და გამოაცხადა პანამის დამოუკიდებლობა კოლუმბიისგან. ახლად გამოყოფილი ქვეყანა დაუყოვნებლივ სცნო პრეზიდენტმა რუზველტმა. იმ წლის ნოემბერში ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, პანამა გადასცემდა შეერთებულ შტატებს სამუდამო იჯარით 16 კმ სიგანის მიწის ზოლს ატლანტის და წყნარ ოკეანეებს შორის, სამაგიეროდ შეერთებული შტატები უხდიდნენ 10 მილიონ დოლარს და ყოველწლიურად 250 000 დოლარს. მოგვიანებით კოლუმბიამ მიიღო 25 მილიონი დოლარი ნაწილობრივი კომპენსაციის სახით (პანამის არხის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც 75 წლის შემდეგ დადო ორმა ქვეყანამ, არხი გადაეცემა პანამის ხელისუფლებას 2000 წელს).

1914 წელს არხის მშენებლობის დასრულება წარმოადგენდა პოლკოვნიკ ჯორჯ უ. გეთალსის ხელმძღვანელობით ჩატარებული საინჟინრო სამუშაოების უმაღლეს მწვერვალს, ხოლო მალარიის და ყვითელი ციებ-ცხელების დაძლევა ტროპიკულ ჯუნგლებში უნდა ჩაითვალოს პროფილაქტიკური მედიცინის თვალსაჩინო მიღწევად.

შეერთებულმა შტატებმა ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებშიც ჩაატარეს სწრაფი ინტერვენციების მთელი სერია. მაგალითად, 1900–1920 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატები ჩაერია დასავლეთის ნახევარსფეროს ექვსი ერის საქმეებში, შექმნა პროტექტორატები ჰაიტიში და დომინიკანის რესპუბლიკაში და პერიოდულად შეყავდა თავისი საზღვაო

ქვეით ჯარები ნიკარაგუაში. 1867 წელს შეერთებულმა შტატებმა აიძულა საფრანგეთი გაეყვანა თავის ჯარები მექსიკიდან, სადაც ისინი ეხმარებოდნენ იმპერატორ მაქსიმილიანს. მაგრამ ნახევარი საუკუნის სემდეგ , სავალალო კომპანიის დროს, რომელიც ჩატარდა მექსიკის რევოლუციაზე გავლენის მოსახდენად, შეერთებულმა შტატებმა გაგზავნეს 11 000-კაციანი ჯარი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, და უშედეგოდ შეეცადნენ დაეჭირათ მოუხელთებელი მეამბოხე ბანდიტი ფრანჩესკო „პანჩო“ ვილა.

ამავე დროს, შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამერიკის ორი კონტინენტის ერების საერთაშორისო ორგანიზაციის საფუძვლის შექმნაში. 1889 წელს სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ჯ. ბლეინმა წამოაყენა წინადადება, რომ დასავლეთის ნახევარსფეროს 21 დამოუკიდებელი ერი გაერთიანებულიყო ორგანიზაციაში, რომელიც მშვიდობიანად მოაგვარებდა საკამათო საკითხებს და გააძლიერებდა ეკონომიკურ კავშირებს. პირველი პან-ამერიკული კონფერენციის შედეგად 1890 წელს შეიქმნა მუდმივი ორგანო, რომელიც მისი არსებობის ადრეულ პერიოდში ცნობილი იყო „პან ამერიკული კავშირის“ ხოლო დღესდღეობით „ამერიკის ქვეყნების ორგანიზაციის“ (OAS) სახელით.

ამის გარდა ამერიკის შემდგომმა პრეზიდენტებმა – ჰერბერტ ჰუვერმა და ფრანკლინ დ. რუზველტმა უარი თქვეს აშშ-ს უფლებაზე განახორციელოს ინტერვენცია ლათინურ ამერიკაში. განსაკუთრებით რუზველტის 1930 წელს „კეთილი მეზობლის პოლიტიკამ“, თუმცა ვერ შეასუსტა დაძაბულობა შეერთებულ შტატებსა და ლათინურ ამერიკას შორის, მაინც ხელი შეუწყო იმ მტრული განწყობილების გაქარწყლებას, რომელიც აშშ-ს ადრეულმა ინტერვენციებმა და ცალმხრივმა მოქმედებებმა გამოიწვია.

---

### შეერთებული შტატები და აზია

როდესაც აშშ-მ საუკუნის დასაწყისში ფეხი მოიკიდა ფილიპინებში და განამტკიცა თავის მდგომარეობა ჰავაიზე მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ გააჩაღებდა აქტიურ ვაჭრობას ჩინეთთან. მაგრამ ჩინეთის იაპონიასთან დამარცხების შემდეგ (1894–1895) ევროპის სხვადასხვა ქვეყნებმა მოიპოვეს იქ საზღვაო ბაზები და იჯარით აღებული ტერიტორიები, შექმნეს თავიანთი გავლენის სფეროები. მათ აგრეთვე გაინაღდეს ვაჭრობის მონოპოლიური უფლებები, ისევე, როგორც განსაკუთრებული კონცესიები მოეხდინათ ინვესტირება რკინიგზის მშენებლობაში და წიაღისეულის მოპოვების განვითარებაში.

ადრეულ პერიოდში შეერთებული შტატების მთავრობა აზიასთან ურთიერთობის დამყარებისას ყოველთვის მოითხოვდა ყველა ერისთვის თანაბარ სავაჭრო პრივილეგიებს. მაგრამ ამერიკის საგარეო ვაჭრობის იდეალიზმი ეწინააღმდეგებოდა შორეულ აღმოსავლეთში ევროპის იმპერიულ ძალებთან მეტოქეობის სურვილს. 1899 წლის სექტემბერში სახელმწიფო მდივანმა ჯონ ჰეიმ გაუგზავნა ყველა ამ ძალებს მიმართვა, რომელშიც ჩამოაყალიბა „ღია კარის“ დოქტრინა – ეს გულისხმობდა თანაბარ სავაჭრო შესაძლებლობებს (თანაბარი ტარიფების, საპორტო გადასახადების და სარკინიგზო გადასახადების ჩათვლით) იმ რეგიონებში, რომლებსაც ისინი აკონტროლებდნენ. მიუხედავად მისი იდეალისტური შინაარსისა, „ღია კარები“ თავისი არსით იქცა დიპლომატიურ მანევრად, რომლის მიზანი იყო კოლონიაში პრივილეგიების მიღება ჩინელებთან ჭიდილის გარეშე.

„აღმოსავლური ორთაბრძოლის მიმდევრების“ აჯანყებით 1900 წელს ჩინელებმა დაიწყეს ბრძოლა უცხოელთა წინააღმდეგ. ივნისში აჯანყებულებმა ხელთ იგდეს პეკინი (ბეიჯინგი) და შეუტიეს იქ მდებარე უცხოურ ლეგიონებს. ჰეიმ დაუყოვნებლივ განუცხადა ევროპულ ძალებს და იაპონიას, რომ შეერთებული შტატები წინააღმდეგი იქნებიან ჩინელთა ტერიტორიული და ადმინისტრაციული უფლებების ან „ღია კარის“ პოლიტიკის დარღვევისა. როდესაც აჯანყება ჩახშობილ იქნა, ჰეის დასჭირდა მთელი თავისი ოსტატობის გამოყენება, რომ განეხორციელებინა ამერიკული პროგრამა და დაეცვა ჩინეთი გამანადგურებელი კომპენსაციებისაგან. ოქტომბერში დიდმა ბრიტანეთმა და გერმანიამ განაცხადეს, რომ მხარს უჭერდნენ „ღია კარის“ პოლიტიკას და ჩინეთის დამოუკიდებლობას, ოღონდ უცხოური ძალაუფლების ქვეშ. ძალიან მალე მათ სხვა ერებმაც მიბაძეს.

1907 წელს პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა გაიზიარა რა ამერიკელი მუშების წუხილი უცხოელთა კონკურენციის გამო, სთხოვა იაპონიის მთავრობას დროებით შეეჩერებინა მუშათა ემიგრაცია შეერთებულ შტატებში. სხვა მხრივ, ამერიკის ურთიერთობა იაპონიასთან მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ძირითადად გულითადი იყო და ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა. ერთ ფრიად აღსანიშნავ მოვლენას ჰქონდა ადგილი, როცა პრეზიდენტმა რუზველტმა რუსეთ-იაპონიის ომის დროს გააფრთხილა გერმანია და საფრანგეთი არ ჩარეულიყვნენ ომში რუსეთის მხარეზე. პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების მცდელობისთვის რუზველტმა 1906 წელს მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის დაცვის საქმეში.

კამპანია ქალებისათვის საარჩევნო ხმის უფლების მოსაპოვებლად, მე-20 საუკუნის დასაწყისი.







თავი მერვე

# VIII

# უკმაყოფილება და რეფორმა

# „დიდი დემოკრატია ვერ იქნება ვერც დიდი და ვერც დემოკრატია, თუ იგი არ არის პროგრესული“

ყოფილი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი,
დაახლოებით 1910 წელი

**სოფლის მეურნეობის გასაჭირი და პოპულიზმის აღმოცენება**

მიუხედავად მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებისა, მე-19 საუკუნის ამერიკელმა ფერმერებმა კვლავ გამოსცადეს გაჭირვების პერიოდი. ეს განპირობებული იყო მრავალი არსებითი ფაქტორით – ნიადაგის გამოფიტვით, ბუნების ჭირვეულობით, დამოუკიდებლობის შეზღუდვით და შესაბამისი საკანონმდებლო დაცვისა და დახმარების უქონლობით. მაგრამ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის იყო მაინც ჭარბწარმოება.

მექანიზაციის გაუმჯობესებამ ძლიერ გაზარდა მოსავლის რაოდენობა ერთ ჰექტარზე. რკინიგზის მშენებლობამ და დაბლობზე მცხოვრებ ინდიელთა თანდათანობით სხვა ადგილებში გადანაცვლებამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთის ახალ რაიონებში დასახლებების გაჩენას და ქვეყნის ამ ტერიტორიების ხარჯზე დამუშავებული მიწების ფართობი სწრაფად გაიზარდა. სასოფლო-სამეურნეო მიწების ანალოგიურმა ზრდამ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კანადა, არგენტინა და ავსტრალია, შექმნა ჭარბწარმოებასთან დაკავშირებული პრობლემები საერთაშორისო ბაზარზე, სადაც იყიდებოდა შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი ნაწილი.

რაც უფრო შორს მიიწევდნენ ახალმოსახლენი დასავლეთისაკენ, მით უფრო დამოკიდებულნი ხდებოდნენ რკინიგზაზე, რომლითაც უნდა მომხდარიყო მათი პროდუქციის გადატანა ბაზარზე გასაყიდად. ამავე დროს, ფერმერებს უხდებოდათ ძვირად ეყიდათ ფაბრიკული წესით დამზადებული პროდუქცია, რაც განპირობებული იყო დამცავი ტარიფებით, რომლებიც უკვე დიდი ხანია აღმოსავლეთის სამრეწველო ინტერესებიდან გამომდინარე კონგრესის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. დროთა განმავლობაში შუა დასავლეთის და დასავლეთის ფერმერები სულ უფრო ღრმად ეფლობოდნენ ბანკების ვალებში, რომლებიც თავდებად უდგებოდნენ მათ.

სამხრეთში კონფედერაციის დაცემამ განაპირობა ძირეული ცვლილებანი სოფლის მეურნეობაში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოიჯარე-მონახევრეობა, რომლის მიხედვითაც მოიჯარე ფერმერი მოსავლის ნახევარს „უყოფდა" მიწათმფლობელს თესლისა და სათანადო აღჭურვილობის სანაცვლოდ. სამხრეთის შავკანიან ფერმერთა დაახლოებით 80 პროცენტი და თეთრკანიანთა დაახლოებით 40 პროცენტი ცხოვრობდა ომის შემდეგ წარმოშობილი ამ სისტემით.

მოიჯარეების უმეტესი ნაწილი ჩაფლული იყო ვალებში, რისგანაც თავდასაღწევად ისინი იძულებულნი იყვნენ გაეზარდათ ნათესების რაოდენობა. ეს იწვევდა ბამბისა და თამბაქოს ჭარბწარმოებას და შესაბამისად ფასების დაცემას.

სასოფლო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტის პირველ ორგანიზებულ მცდელობას წარმოადგენდა „ფერმერთა მოძრაობა". შეიქმნა რა 1867 წელს შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ, „ფერმერთა ასოციაციამ" თავდაპირველად გაამახვილა ყურადღება სოციალურ საქმიანობაზე, რათა შეეფასებინა ის იზოლაცია, რასაც ფერმერთა ოჯახების უმეტესობა განიცდიდა. 1873 წლის პანიკის ზეგავლენით შეიქმნა „ფერმერთა ასოციაციის" 20 000-მდე ქვეგანყოფილება და საერთო წევრთა რიცხვმა გადააჭარბა მილიონ ნახევარს.

„ფერმერთა ასოციაციამ" (თუმცა, საბოლოოდ, მათი უმეტესობა დაიშალა) შექმნა საკუთარი საბაზრო სისტემები, მაღაზიები, გადასამუშავებელი კომბინატები, ქარხნები და კოოპერატივები. 1870 წლის განმავლობაში მოძრაობამ მიაღწია აგრეთვე გარკვეულ პოლიტიკურ წარმატებებსაც. რამოდენიმე შტატმა მიიღო „ფერმერთა ასოციაციის კანონები", რომლებითაც იზღუდებოდა რკინიგზისა და საწყობების გამოყენების საფასური.

1880 წლისათვის მოძრაობამ დაღმა სვლა იწყო და შეიცვალა „ფერმერთა კავშირით". 1890 წლისათვის კავშირი აერთიანებდა დაახლოებით 1,5 მილიონ წევრს ნიუ-იორკიდან

კალიფორნიამდე. პარალელურად არსებული აფრიკელ ამერიკელთა ორგანიზაცია „ფერადკანიან ფერმერთა ეროვნული კავშირი" მოიცავდა მილიონზე მეტ წევრს.

თავიდანვე „ფერმერთა კავშირები" იყვნენ პოლიტიკური ორგანიზაციები გულმოდგინედ დამუშავებული ეკონომიკური პროგრამებით. ერთ-ერთი ადრეული პლატფორმის თანახმად, მისი მიზანი მდგომარეობდა „ამერიკის ფერმერთა გაერთიანებაში, კლასობრივი კანონმდებლობისაგან და გარედან შემოჭრილი კონცენტრირებული კაპიტალისაგან თავდასაცავად". მათი პროგრამა აგრეთვე მოითხოვდა რკინიგზის მოწესრიგებას, ან მის სრულ ნაციონალიზაციას; ინფლაციის რეგულირებას ვალების შემსუბუქების მიზნით; ტარიფების შემცირებას; სახელმწიფო საცავების შექმნას და დაბალპროცენტიანი სესხების გაცემას.

1880-იანი წლების ბოლოს გამუდმებულმა გვალვებმა გააჩანაგეს დასავლეთის „დიდი დაბლობები". ოთხი წლის განმავლობაში დასავლეთ კანზასის მოსახლეობა განახევრდა. მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა 1890 წლის „მაკკინლის ტარიფმა", რომელიც ყველაზე მაღალი იყო ქვეყნის ისტორიაში.

1890 წლისათვის სოფლის მეურნეობის გასაჭირმა ძალიან მაღალ დონეს მიაღწია. სამხრეთისა და დასავლეთის ფერმერების ერთმა მესამედმა ნაწილმა, რომლებიც სიმპატიით იყვნენ განმსჭვალულნი დემოკრატებისადმი, შექმნეს „ფერმერთა კავშირი" და წამოიწყეს პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლა. მათ შეადგინეს მესამედი იმ ახლადშექმნილი პოლიტიკური პარტიისა, რომელსაც „პოპულისტურ პარტიას" უწოდებდნენ. პოპულისტებმა გამოიჩინეს ამერიკის პოლიტიკის ისტორიაში ადრე არნახული თავგამოდება და მოიცვეს პრერიები და ბამბის მომყვანი ტერიტორიები. 1890 წლის არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ახალი პარტია, რომელიც მოიცავდა სამხრეთისა და დასავლეთის მრავალ შტატს და რომელმაც მრავალი პოპულისტი სენატორი და წარმომადგენელთა პალატის წევრი გაგზავნა კონგრესში.

პარტიის პირველი ყრილობა შედგა 1892 წელს ომაჰაში (ნებრასკას შტატი), სადაც შეიკრიბნენ დელეგატები ფერმერულ მუშათა და რეფორმისტული ორგანიზაციებიდან. მათ გადაწყვიტეს გაელენის მოხდენა შეერთებული შტატების პოლიტიკურ სისტემაზე, რომელიც, მათი აზრით, უიმედოდ კორუმპირებული იყო სამრეწველო და კომერციული ბიზნესის ფულადი ინტერესების გამო. მათი პლატფორმა აცხადებდა:

*ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ქვეყნის შუაგულში, რომელიც იმყოფება მორალური, პოლიტიკური და მატერიალური განადგურების საზღვარზე. კორუფცია დადგა საარჩევნო*

*ყუთებზე, კანონმდებლობაზე, კონგრესზე მაღლა და შეხო უზენაესი სასამართლოს წევრებსაც კი... ხელისუფლების უსამართლობის ერთი ნოყიერი სამოდან წარმოიშვა ორი დიდი კლასი – მაწანწალებისა და მილიონერებისა.*

მათი პლატფორმის პრაგმატული ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა მიწების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ფინანსების გამოყოფაზე და აგრეთვე ვერცხლის მონეტების შეუზღუდავი რაოდენობით მოჭრაზე.

დასავლეთსა და სამხრეთში პოპულისტებმა გამოავლინეს არაჩვეულებრივი ძალა 1892 წლის არჩევნების დროს და მათმა პრეზიდენტობის კანდიდატმა მილიონ ხმაზე მეტი დააგროვა. ფულთან დაკავშირებულმა საკითხებმა, კერძოდ, ვერცხლისა და ოქროს მონეტებისათვის უპირატესობის მიმნიჭებელთა ურთიერთდაპირებამ, დაჩრდილა ყველა სხვა დებულება. დასავლეთისა და სამხრეთის დელეგატები, რომლებსაც მხარს უჭერდნენ მუშათა ჯგუფები აღმოსავლეთის სამრეწველო ცენტრებიდან, მოითხოვდნენ ვერცხლის მონეტების შეუზღუდავი რაოდენობით მოჭრის განახლებას. იყვნენ რა დარწმუნებულნი, რომ მათი გასაჭირი გამოწვეული იყო ბრუნვაში მყოფი ფულის ნაკლებობით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ფულის მოცულობის გაზრდა გამოიწვევდა ფერმერთა პროდუქციაზე ფასების მომატებას და ასწევდა ხელფასებს მრეწველობის დარგში; ამგვარად, შესაძლებელი გახდებოდა ვალების გასტუმრება გაუფასურებული ფულით. მეორეს მხრივ, კონსერვატორთა და ფინანსური წრეების რწმენით, ასეთი პოლიტიკა საშიშროებას შეიცავდა და შეუძლებელი იქნებოდა ერთხელ დაწყებული ინფლაციის შეჩერება. მათი აზრით, მხოლოდ ოქროს ფულადი სისტემა წარმოადგენდა სტაბილურობის საფუძველს.

1893 წლის ფინანსურმა პანიკამ სიმძლავრე შემატა ამ დებულებას. სამხრეთის და შუა დასავლეთის მრავალი ბანკი გაკოტრდა; უმუშევრობამ იმატა და მოსავალზე ფასები ძლიერ დაეცა. კრიზისმა და პრეზიდენტ გროვერ კლივლენდის უუნარობამ გამოეყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობიდან თითქოს დაშალა დემოკრატიული პარტია. დემოკრატები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ვერცხლის მონეტების გამოშვების კურსს, 1896 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ეიდის მოახლოების გამო მიემხრნენ პოპულისტებს.

იმ წლის დემოკრატთა ყრილობა მოწმე გახდა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამოსვლისა შეერთებული შტატების პოლიტიკურ ისტორიაში. ვერცხლის კურსის მხარამჭერი ახალგაზრა ნებრასკელი, უილიამ ჯენინგს ბრაიანი, რომელმაც სთხოვა ყრილობას „არ ეცვათ კაცობრიობა ოქროს ჯვარზე", პრეზიდენტობის კანდიდატად იქნა წამოყენებული დემოკრატიული პარტიიდან.

ბრაიანს დაუჭირეს მხარი აგრეთვე პოპულისტებმაც. დადგა დრო მათი უმაღლესი მიღწევის დადასტურებისა. მაგრამ ბრაიანმა, რომელიც ეყრდნობოდა სამხრეთის და დასავლეთის შტატებს, გარდა კალიფორნიისა და ორეგონისა, ვერ შესძლო მოეპოვებინა წარმატება ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ყველაზე მრავალრიცხოვან ინდუსტრიულ შტატებში და წააგო არჩევნები რესპუბლიკელ ვილიამ მაკკინლისთან.

შემდგომ წელს დაიწყო ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გამოჯობინება, ნაწილობრივ ალიასკასა და იუკონში ოქროს აღმოჩენის წყალობით. 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომმა გადაიტანა ერის ყურადღება შორს პოპულისტების მოთხოვნებისგან. თუმცა მოძრაობა ჩაკვდა, მისი იდეები მაინც ცოცხლობდნენ. მათი უმეტესობა შევიდა მომდევნო ოცწლეულის განმავლობაში მიღებულ კანონებში.

---

**მუშათა ბრძოლა**

მე-19 საუკუნის ამერიკულ მრეწველობაში დასაქმებული მუშის ცხოვრება არ იყო ადვილი. კარგ პერიოდშიც კი მისი ხელფასი ძლიერ დაბალი იყო, სამუშაო დღე გრძელი და სამუშაო პირობები – სახიფათო. ერის მიერ შექმნილი დოვლათის მხოლოდ მცირედი ნაწილიღა ხვდებოდა მუშებს. უფრო უარეს მდგომარეობაში იყვნენ ქალები და ბავშვები, რომლებზედაც მოდიოდა მრეწველობის ზოგიერთ დარგში დასაქმებული მუშახელის მნიშვნელოვანი პროცენტული წილი. მიუხედავად ამისა ხშირად მათ ეძლეოდათ მხოლოდ იმ ხელფასის ნაწილი, რაც ერგებოდა ზრდასრულ მამაკაცებს. ეკონომიკური კრიზისები, რომლებიც პერიოდულად აზანზარებდნენ ერს, კიდევ უფრო აკნინებდნენ მრეწველობაში არსებულ ხელფასებს და ქმნიდნენ უმუშევრობის მაღალ დონეს.

ახალ ტექნოლოგიათა დანერგვა, რაც ძალიან ზრდიდა პროდუქტიულობას, ამცირებდა გამოცდილ მუშახელზე მოთხოვნას. ამავე დროს გამოუცდელი მუშახელის რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდებოდა იმის ხარჯზე, რომ 1880 წლიდან 1910 წლამდე ქვეყანაში შემოვიდა დაახლოებით 18 მილიონი იმიგრანტი.

1874 წლამდე, როდესაც მასაჩუსეთსის შტატმა, პირველად აშშ-ს ისტორიაში, მიიღო კანონი, რომლითაც ქალებისა და ბავშვების სამუშაო დღის ხანგრძლივობა იზღუდებოდა 10 საათამდე, ქვეყანაში არ არსებობდა არავითარი შრომითი კანონმდებლობა. 1930-იან წლებამდე ფედერალური ხელისუფლება აქტიურად არ ჩარეულა ამ საქმეში. მანამდე ამგვარი საკითხები შტატებსა და ადგილობრივ მმართველობით ორგანოებში წყდებოდა. კაპიტალიზმი, რომელიც არა თუ არ

აწყდებოდა რაიმე სერიოზულ წინააღმდეგობას თავის გზაზე, არამედ დომინირებდა კიდევაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და განაპირობებდა დოვლათისა და ძალაუფლების უზარმაზარ კონცენტრაციას, სარგებლობდა იურისდიქციის მხარდაჭერით, რომელიც დროდადრო იყენებდა თავის ძალაუფლებას მათ წინააღმდეგ, ვინც პრეტენზიებს უყენებდა სისტემას. ამაში ისინი უბრალოდ მისდევდნენ იმდროისათვის გაბატონებულ ფილოსოფიას. ჯონ დ. როკფელერის სიტყვებით: „დიდი ბიზნესის ზრდა არის უბრალოდ ბუნებრივი შერჩევის პროცესი“. ამ „სოციალურ დარვინიზმს“, ჰყავდა ბევრი მომხრე, ვინც ამტკიცებდა, რომ ბიზნესის რეგულირების ნებისმიერი მცდელობა ტოლფასია სახეობის ბუნებრივი ევოლუციის ხელის შეშლისა.

ჯერჯერობით კი კაპიტალის მსხვერპლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება ძვირად უჯდებოდა ქვეყანას. მილიონობით ადამიანი იმყოფებოდა უმძიმეს საცხოვრებელ თუ სამუშაო პირობებში და არ გააჩნდა ამ ღარიბული ცხოვრებიდან თავის დაღწევის არავითარი იმედი. 1900 წლისათვის სამუშაოსთან დაკავშირებულ უბედურ შემთხვევათა მაჩვენებელი შეერთებულ შტატებში გაცილებით სჭარბობდა იგივე მონაცემებს მსოფლიოს სხვა ინდუსტრიალურ ქვეყნებში. მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა უმეტესობა კვლავ 10 საათს მუშაობდა დღეში (12 საათს ფოლადის მრეწველობაში) და გამოიმუშავებდა 20-დან 40 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე ეს იყო საჭირო ნორმალური ცხოვრებისათვის. უფრო მძიმე სიტუაციაში იყვნენ წარმოებაში დასაქმებული ბავშვები, რომელთა რიცხვი 1870 წლიდან 1900წლამდე გაორმაგდა.

პირველი მნიშვნელოვანი ცდა მუშათა ჯგუფების გაერთიანებისა მთელი ერის მასშტაბით გაჩნდა 1869 წელს, ჩამოყალიბდა „შრომის რაინდების კეთილშობილური ორდენი“. ეს თავდაპირველად საიდუმლო და რიტუალური ორგანიზაცია, რომელიც ფილადელფიის მუშების მიერ იქნა შექმნილი ღია იყო ყველა მუშისათვის შავკანიანების, ქალების და ფერმერების ჩათვლით. ორდენი იზრდებოდა ნელა, სანამ 1885 წლის გაფიცვის დროს მათ არ დაამარცხეს რკინიგზის დიდ მაგნატი, ჯეი გოულდსი. ამის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში მათ რიგებს შეუერთდა 500 000 მუშა.

მიუხედავად იმისა, რომ „შრომის რაინდების“ მოღვაწეობა მალე შენელდა, მათი ადგილი მუშათა მოძრაობაში თანდათანობით დაიკავა „ამერიკის შრომის ფედერაციამ“. ფედერაციის წევრად გახდომა შეეძლო ნებისმიერ პირს. ფედერაციამ სიგარების გაერთიანების ყოფილი ოფიციალური პირის, სამუელ გომპერსის თაოსნობით ყურადღება გაამახვილა გამოცდილ მუშებზე. მისი მიზნები იყო „ნათელი და მარტივი“

და აპოლიტიკური ხელფასების გაზრდა, სამუშაო საათების რაოდენობის შემცირება და სამუშაო პირობების გაუმჯობესება. გამპერსმა შეძლო ჩამოეცილებინა მუშათა მოძრაობისათვის სოციალური შეხედულებანი, რომლებიც მუშათა მოძრაობის ძველ ლიდერებს ახასიათებდათ.

ამის მიუხედავად, მუშათა მიზნებმა და კაპიტალისტების მიერ მათ დაკმაყოფილებაზე უარის თქმამ წარმოშვეს ყველაზე ძლიერი მუშათა კონფლიქტი ერის ისტორიაში. მისი პირველი გამოვლენა იყო 1877 წლის რკინიგზელთა დიდი გაფიცვა, როცა მთელი ქვეყნის რკინიგზის მუშები გაიფიცნენ ანაზღაურების 10 პროცენტით შემცირების გამო. გაფიცვის დაშლის მცდელობას მოჰყვა ფართომასშტაბიანი არეულობანი მთელ რიგ ქალაქებში: ბალტიმორში (მერილენდი), ჩიკაგოში (ილინოისი), პიტსბურგში (პენსილვანია), ბუფალოში (ნიუ იორკი) და სანფრანცისკოში (კალიფორნია). ხელისუფლება იძულებული იყო სხვადასხვა ადგილას გაეგზავნა ფედერალური ჯარები, სანამ არ დამთავრდებოდა გაფიცვა.

ცხრა წლის შემდეგ ჰეიმარკეტის მოედანზე მოხდა ინციდენტი, როდესაც ვიღაცამ ისროლა ხელყუმბარა მიტინგის მონაწილეებში, რომლებიც შეიკრიბნენ, რათა ემსჯელათ მომავალი გაფიცვის შესახებ მაკკორმიკ ჰარვესტერ კომპანიაში, ჩიკაგოში. ამას მოჰყვა შეტაკება, რომლის დროს დაიღუპა 9 ადამიანი და დაშავდა 60.

მომდევნო არეულობა მოხდა 1892 წელს კარნეგის ფოლადის საწარმოებში, ჰოუმსტედში (პენსილვანია). კომპანიამ დაიქირავა 300 მცველისაგან შემდგარი ჯგუფი, რომ დაეშალათ „რკინის, ფოლადის და თუნუქის მუშათა გაერთიანებული ასოციაციის“ ძლიერი გაფიცვა; ამტყდარი სროლის შედეგად მოკლულ იქნა 10 ადამიანი. ამის შემდგომ გამოიძახეს ეროვნული გვარდია, დაიქირავეს სხვა მუშები და გაფიცვა ჩაშალეს. 1937 წლამდე აკრძალული იყო მუშათა გაერთიანებების შექმნა საწარმოებში.

ორი წლის შემდეგ ხელფასების შემცირებამ პულმანის ვაგონშემკეთებელ კომპანიაში, ჩიკაგოს მახლობლად, გამოიწვია გაფიცვა, რომელიც „ამერიკის რკინიგზის კავშირის“ დახმარებით მალე ქვეყნის უმეტეს ნაწილის რკინიგზის სისტემას მოედო. სიტუაციის გაუარესების კვალობაზე შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა რიჩარდ ოლნეიმ, რკინიგზის კომპანიების ყოფილმა ადვოკატმა, გააგზავნა 3 000 კაცი, რათა არ მომხდარიყო რკინიგზის გაჩერება. ამას მოჰყვა ფედერალური სასამართლოს ბრძანებულება კავშირის მხრიდან მატარებლებისათვის ხელშეშლის წინააღმდეგ. როდესაც ამბოხი შენელდა, პრეზიდენტმა კლივლენდმა გაგზავნა ფედერალური ჯარები და გაფიცვა მალე ჩაშლილ იქნა.

ყველაზე მებრძოლ, გაფიცვების მოყვარულ ორგანიზაციას წარმოადგენდა „მსოფლიოს ინდუსტრიული მუშები". ის შეიქმნა დასავლეთის მაღაროელთა კავშირების გაერთიანებით, რომლებიც იბრძოდნენ უკეთესი პირობებისათვის. გაერთიანებამ ყველაზე მეტად გაითქვა სახელი 1903 წელს კოლორადოს მაღაროში მომხდარი შეტაკების შემდეგ, როცა მაღაროელებს განსაკუთრებით უხეში მეთოდებით გაუსწორდნენ. მოუწოდებდნენ რა აშკარად ბრძოლისაკენ, ისინი საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ. მაგრამ ბევრი მიმდევარი მათ გაუჩნდა მას შემდეგ, რაც მოიგეს მძიმე საგაფიცვო ბრძოლა 1912 წელს ლოურენსის (მასაჩუსეთსი) საფეიქრო ქარხნებში. მათ მოწოდებამ მუშაობის შეწყვეტის თაობაზე I მსოფლიო ომის დროს 1917 წელს, გამოიწვია მთავრობის საპასუხო ქმედებები, შეტაკება და ამ ორგანიზაციის დაუყოვნებელი დაშლა.

---

რეფორმის ბიძგი

**1900** წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამერიკელ ხალხს მიეცა შანსი გამოეტანათ განაჩენი მაკკინლის ადმინისტრაციისათვის, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში. შეხვედრაზე ფილადელფიაში რესპუბლიკელებმა იზეიმეს ესპანეთთან ომის წარმატებით დამთავრება, კეთილდღეობის აღდგენა და „ღია კარის" პოლიტიკის წყალობით ახალი ბაზრების გაჩენა. მაკკინლის პრეზიდენტად არჩევა უკვე წინასწარ იყო ცნობილი. მაგრამ პრეზიდენტმა ვერ მოასწრო გამარჯვებით დატკბობა. 1901 წლის სექტემბერში, როდესაც ის ესწრებოდა გამოფენას ბუფალოში (ნიუ იორკი), მაკკინლი მოკლულ იქნა დაქირავებული მკვლელის მიერ (ეს იყო მესამე მოკლული პრეზიდენტი სამოქალაქო ომის დაწყებიდან).

პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა მაკკინლის ვიცე-პრეზიდენტი, თეოდორ რუზველტი, როგორც შინა, ისე საგარეო საქმიანობაში, რუზველტის არჩევა ემთხვევა ახალი ეპოქის დაწყებას ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კონტინენტი უკვე დასახლებული იყო, ფრონტირი ქრებოდა. ყოფილი პატარა რესპუბლიკა გადაიქცა მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ. ქვეყნის პოლიტიკურმა ფუნდამენტმა გაუძლო შინა და გარე ომების შედეგებს, აყვავებისა და დეპრესიის პერიოდების მონაცვლეობას. უზარმაზარი ნახტომი იქნა გაკეთებული სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. ფართო გავრცელება ჰპოვა უფასო განათლებამ, შეიქმნა თავისუფალი პრესა; დამკვიდრდა რელიგიური თავისუფლება. დიდი ბიზნესის გავლენა ეხლა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ოდესმე, და ამდენად, ადგილობრივი და მუნიციპალური ხელისუფლება ხშირად კორუმპირებულ პოლიტიკოსებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული.

მე-19 საუკუნის კაპიტალიზმისა და პოლიტიკური კორუფციის ექსცესების საპასუხოდ წარმოიშვა რეფორმისტული მოძრაობა „პროგრესულობა“, რომელმაც განსაზღვრა ამერიკის პოლიტიკის განსაკუთრებული ხასიათი 1890 წლიდან 1917 წლამდე, ამერიკის I მსოფლიო ომში ჩაბმამდე. პროგრესისტები განიხილავდნენ თავიანთ საქმიანობას დემოკრატიულ ლაშქრობად ქალაქების პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და კორუმპირებული მძარცველი ბარონების წინააღმდეგ. ისინი მიზნად ისახავდნენ უფრო მეტ დემოკრატიას და სოციალურ სამართლიანობას, პატიოსან ხელისუფლებას, ბიზნესის უფრო ეფექტურ მართვას და მომსახურების სფეროს გამოცოცხლებას. მათ სჯეროდათ, რომ ხელისუფლების კომპეტენციის გაზრდას მოჰყვებოდა შეერთებული შტატების საზოგადოების პროგრესი და მისი მოქალაქეების კეთილდღეობა. იმ პერიოდის თითქმის ყველა მეტნაკლებად შესამჩნევი ფიგურა, იქნებოდა ის პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, მეცნიერი თუ ლიტერატორი, ნაწილობრივ მაინც იყო დაკავშირებული რეფორმისტულ მოძრაობასთან.

1902-1908 წლები შევიდა ისტორიაში როგორც უდიდესი რეფორმისტული აქტიობის ერა. მწერლები და ჟურნალისტები, მკაცრად აკრიტიკებდნენ მე-18 საუკუნის სოფლური ტიპის რესპუბლიკიდან შემორჩენილ პრაქტიკასა და პრინციპებს, რომლებიც შეუფერებელი აღმოჩნდა მე-20 საუკუნის ქალაქური ყოფისათვის. ჯერ კიდევ შედარებით ადრე, 1873 წელს, შესანიშნავმა მწერალმა მარკ ტვენმა გააკრიტიკა ამერიკული საზოგადოება თავის „მოოქროვილ საუკუნეში“. ამჟამად, გესლიანი სტატიები ტრესტების, დიდი ფინანსების, დაბინძურებული საკვებისა და რკინიგზაზე არსებული შეურაცხმყოფელი პრაქტიკის შესახებ გაჩნდა ყოველდღიურ გაზეთებსა და პოპულარულ ჟურნალებში, კერძოდ, „მაკკლუერ“-სა და „კოლიერ“-ში. მათი ავტორები, როგორიც იყო, მაგალითად, ჟურნალისტი იდა მეი ტარბელი, რომელმაც გაილაშქრა „სტანდარდ ოილ ტრესტის“ წინააღმდეგ, ცნობილი იყვნენ როგორც „მაკრეიკერები“.

სენსაციურ რომანში „ჯუნგლები“, ეპტონ სინკლერმა გამოააშკარავა დიდი ჩიკაგოს ხორცის შემფუთველ სახლებში არსებული ანტისანიტარული მდგომარეობა და ძროხის ხორცის მწარმოებელი ტრესტის მიერ ქვეყნის ხორცით მომარაგების ხელში ჩაგდება. თეოდორ დრაიზერმა თავის რომანებში „ფინანსისტი“ და „ტიტანი“ მკაცრად აუხსნა უბრალო ადამიანებს დიდი ბიზნესის მაქინაციები. ფრენკ ნორისის „მორევი“ აღუძრავდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს პროტესტის გრძნობას იმის აღწერით, თუ რა საიდუმლო მანიპულაციებს ეწეოდნენ მარცვლეულის

ბაზარზე ჩიკაგოში. ლინკოლნ სტეფენსის „ქალაქების სირცხვილი“ ამხელდა პოლიტიკურ კორუფციას. ამ „მამხილებელმა ლიტერატურამ“ არსებითი ეფექტი იქონია ხალხის მოძრაობაში მოსაყვანად.

უკომპრომისო მწერლების ზემოქმედების და ხალხის მასების გამოღვიძების შედეგად პოლიტიკურ ლიდერებს მიეცა სტიმული პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად. ბევრმა შტატმა მიიღო კანონები ხალხის საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. ერთი გამოჩენილი სოციალური კრიტიკოსის დაჟინებული მოთხოვნით, როგორიც იყო ჯეინ ადამსი, მიღებულ იქნა ახალი კანონები ბავშვთა შრომასთან დაკავშირებით, რომლებიც გულისხმობდნენ ასაკობრივი შეზღუდვის გაძლიერებას, სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებას, ღამის ცვლაში ბავშვების მუშაობის აკრძალვას და ბავშვების სკოლაში სწავლის მოთხოვნას.

---

**რუზველტის რეფორმები**

მე-20 საუკუნის დასაწყისში დიდი ქალაქების უმეტესობამ და შტატების ნახევარზე მეტმა შემოიღო 8-საათიანი სამუშაო დღე. ასევე მნიშვნელოვანი იყო მუშათა კომპენსაციის კანონები, რომლებიც აკისრებდნენ დამქირავებლებს პასუხისმგებლობას მოსამსახურის მიერ სამუშაოზე მიღებული სხეულის დაზიანებისათვის. მიღებულ იქნა აგრეთვე კანონები საშემოსავლო გადასახადების შესახებ, რომლებითაც მემკვიდრეობის, კორპორაციების შემოსავლისა და ქონების ან გამომუშავებული თანხის დაბეგვრით ხელისუფლების ხარჯები ეკისრებოდა მათ, ვისაც უკეთესად შეეძლო მათი გადახდა.

მრავალ ადამიანს და მით უმეტეს პრეზიდენტ თეოდორ რუზველტს და კონგრესის ისეთ პროგრესულ ლიდერებს, როგორიც იყო ვისკონსინის სენატორი რობერტ ლაფოლეტი, ესმოდათ, რომ რეფორმატორთა მიერ წამოჭრილ პრობლემათა უმეტესობის გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ ეროვნული მასშტაბით. რუზველტმა, რომელიც ძლიერ იყო დაინტერესებული რეფორმების გატარებაში და გადაწყვეტილი ჰქონდა მიეცა ხალხისათვის ის, რასაც თვითონ „პატიოსან გარიგებას“ უწოდებდა, წამოიწყო ისეთი პოლიტიკა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფდა მთავრობის ზედამხედველობის გაძლიერებას ანტიმონოპოლური კანონების შესრულებაზე. მოგვიანებით, მთავრობის ზედამხედველობის გაზრდამ რკინიგზაზე ბიძგი მისცა მარეგულირებელ კანონპროექტების მიღებას. ერთ-ერთი კანონპროექტის საფუძველზე, დადგინდა გამოქვეყნებული ფასების სტანდარტები, მიმწოდებელი და რკინიგზა თანაბრად პასუხისმგებელნი გახდნენ ფასჩამოკლებაზე. რუზველტის განსაცვიფრებელმა პიროვნებამ და მისმა

„ტრესტების დამშლელმა“ საქმიანობამ დაიპყრო ჩვეულებრივ ადამიანთა გონება. გარდა ამისა, ქვეყნის მიერ ამ დროს მიღწეულმა წარმატებებმა და წინსვლამ განაპირობეს ხალხის კმაყოფილება ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტიის საქმიანობით. მისი გამარჯვება 1904 წლის არჩევნებში ეჭვს არ იწვევდა. სწრაფი საარჩევნო ტრიუმფით გამხნევებული რუზველტი შეუდგა ახალი რეფორმების გატარებას.

თავის პირველ წლიურ მიმართვაში კონგრესისადმი, ხელახალი არჩევის შემდეგ, მან მოითხოვა გადამჭრელი ზომების მიღება რკინიგზის რეგულირების საქმეში. შედეგად, 1906 წლის ივნისში კონგრესმა მიიღო „ჰეფბერნის აქტი“, რომლის საფუძველზე შტატთაშორის კომერციულ კომისიას მიენიჭა რეალური უფლებამოსილებანი ფასების რეგულირებაში, გააფართოვა მისი იურისდიქცია და რკინიგზები იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ ქვანახშირისა და გემების კომპანიებთან პირის შეკვრა საერთო ინტერესების დაცვის მიზნით.

კონგრესის სხვა ღონისძიებების წყალობით ფედერალური კონტროლის პრინციპები კიდევ უფრო შორს წავიდნენ. 1906 წელს მიღებული სუფთა-საკვები პროდუქტის კანონი კრძალავდა „მავნე წამლების, ქიმიკატების ან დამცველი საშუალებების“ გამოყენებას წამლების და საკვები პროდუქტის დამზადებისას. ეს პროცესი მალე შემაგრებულ იქნა ბრძანებულებით, რომელიც მოითხოვდა ყველა იმ კონცერნის ფედერალურ ინსპექტირებას, რომელიც შტატებს შორის ხორცით ვაჭრობას აწარმოებდა.

ამასობაში კონგრესმა შექმნა კომერციისა და შრომის ახალი დეპარტამენტი, რომელსაც თავისი წარმომადგენელი ჰყავდა პრეზიდენტის კაბინეტში. ახალი დეპარტამენტის ერთ-ერთმა ბიურომ, რომელსაც მიენიჭა დიდი ბიზნესის გაერთიანებათა საქმიანობის გამოძიების უფლება, 1907 წელს აღმოაჩინა, რომ „ამერიკის შაქრის რაფინირების კომპანიამ“ გამოსტყუა მთავრობას დიდი თანხები იმპორტთან დაკავშირებული საქმიანობისათვის. კანონდამცავი ორგანოების მუშაობის შედეგად ამოღებულ იქნა 4 მილიონი დოლარი და დაპატიმრებულ იქნა კომპანიის მრავალი წარმომადგენელი. ინდიანას ნავთობის კომპანია მხილებულ იქნა საიდუმლო ფასჩამოკლებების წარმოებაში. კომპანია „ჩიკაგო ენდ ალტონ რეილროუდ“-ის მეშვეობით ტვირთის გადაზიდვისას დაწესებული ჯარიმა – 29 240 000 დოლარის ოდენობით 1 462 დამოუკიდებელ კონტრაქტზე – ასახავდა იმ დროის სულისკვეთებას.

ქვეყნის ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია, რომლითაც ზღვარი დაედო ნედლეულის ხელგაშლილ ექსპლოატაციას; და უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული აუთვისებელი

მიწების დამუშავების დაწყება წარმოადგენენ, აგრეთვე, რუზველტის ეპოქის მთავარ მიღწევებს. პრეზიდენტი, ჯერ კიდევ, თავის პირველ წლიურ მიმართვაში 1901 წლის დასაწყისში, მიუთითებდა კონსერვაციის, ახალი მიწების ათვისების და ირიგაციის ინტეგრაციულ და ხანგრძლივ პროგრამაზე. თუ მისმა წინამორბედებმა ნაკრძალების და პარკების სახით დატოვეს 18 800 000 ჰექტარი ტყე; რუზველტმა ეს ფართობი გაზარდა 59 200 000 ჰექტარამდე და დაიწყო სისტემატიური მუშაობა ტყის ხანძრების თავიდან აცილების მიმართულებით.

## ტაფტი და ვილსონი

1908 წლის საარჩევნო კომპანიის დროისათვის რუზველტის პოპულარობა ზენიტში იყო, მაგრამ მას არ სურდა დაერღვია ტრადიცია, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი არ უნდა დარჩენილიყო პოსტზე ზედიზედ ორ ვადაზე მეტ ხანს. სამაგიეროდ, იგი დაეხმარა უილიამ ჰოვარდ ტაფტს, რომელმაც მოიგო არჩევნები და ცდილობდა თავისი წინამორბედის რეფორმისტული პროგრამის გაგრძელებას. ტაფტმა, რომელიც თავის დროზე იყო მოსამართლე, ფილიპინების გუბერნატორი და პანამის არხის ადმინისტრატორი, მიაღწია გარკვეულ პროგრესს ამ გზაზე. იგი აგრძელებდა ტრესტების დევნას, კიდევ უფრო გააძლიერა ამ შტატთაშორისი კომერციის კომისია, შექმნა საფოსტო შემნახველი ბანკი და ამანათების საფოსტო სისტემა, გააუმჯობესა სამოქალაქო სამსახური და მხარი დაუჭირა კონსტიტუციაში ორი შესწორების შეტანას.

მე-16 შესწორებით მოხდა ფედერალური საშემოსავლო გადასახადის სანქციონირება; მე-17 შესწორებით, რომლის რატიფიკაცია მოხდა 1913 წელს, ხალხს მიენიჭა სენატორების არჩევის უფლება: ძველი სისტემით სენატორებს ირჩევდნენ შტატის კანონმდებლები. ამ მიღწევებს აბათილებდნენ: ტაფტის მიერ მიღებული ტარიფი დამცავი ღონისძიებებით, რომელმაც აღაშფოთა ლიბერალები; წინააღმდეგობა, რომელიც მან გაუწია არიზონას მიღებას კავშირში მისი ლიბერალური კონსტიტუციის გამო; ის გარემოება, რომ იგი სულ უფრო ეყრდნობოდა პარტიის კონსერვატიულ ფრთას.

1910 წელს ტაფტის პარტია გაიყო, და ხმათა უპირატესობის გამო დემოკრატებს კვლავ მიეცათ კონგრესის კონტროლის საშუალება. ორი წლის შემდეგ, ვუდრო ვილსონმა, ნიუ-ჯერსის შტატის პროგრესულმა დემოკრატმა გუბერნატორმა, წამოიწყო კომპანია რესპუბლიკელთა კანდიდატის ტაფტის და რუზველტის წინააღმდეგ, რომელიც წამოყენებული იყო კანდიდატად რესპუბლიკელების ყრილობის მიერ და რომელმაც შექმნა მესამე პარტია – პროგრესულები.

ვილსონმა მიმდინარე დაბაბულ კომპანიაში დაამარცხა ორივე მეტოქე. მისი ხელმძღვანელობით კონგრესმა დაამტკიცა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო პროგრამა ამერიკის ისტორიაში. მისი პირველადი ამოცანა იყო ტარიფების გადასინჯვა. „სატარიფო მოვალეობანი უნდა შეიცვალონ", თქვა ვილსონმა, „ჩვენ უნდა გავაუქმოთ ყველაფერი, რაც ატარებს პრივილეგიის გარეგნულ ნიშნებს". ახალი ტარიფებით, რომელნიც ხელმოწერილ იქნენ 1913 წლის 3 ოქტომბერს, შემცირდა გადასახადები იმპორტირებულ ნედლეულსა და სურსათზე, ბამბისა და მატყლის ნაწარმზე, რკინასა და ფოლადზე, საერთოდ გაუქმდა გადასახადი ასზე მეტი დასახელების სხვადასხვა საგანზე. თუმცა აქტმა ძალაში დატოვა ბევრი დამცავი თავისებურება, იგი მაინც ცხოვრების გაიაფების ჭეშმარიტი მცდელობა იყო.

დემოკრატების პროგრამის მეორე პუნქტს წარმოადგენდა საბანკო და ფულადი სახსრების შეცვლა, რაც ჯერ კიდევ ადრე იყო ჩატარებული. „კონტროლი", ამბობდა ვილსონი, „უნდა იყოს სახელმწიფოებრივი, არა კერძო, და მისი სხვისთვის მინიჭების უფლება უნდა ჰქონდეს თვითონ მთავრობას; ამგვარად, ბანკები შეიძლება იქცნენ ბიზნესის, ინდივიდუალური წარმოებისა და ინიციატივის იარაღად და არა მის ბატონ-პატრონად".

1913 წლის 23 დეკემბრის ფედერალური სარეზერვო აქტი წარმოადგენდა ვილსონის ყველაზე მყარ საკანონმდებლო აქტს. მან შექმნა ახალი ორგანიზაცია, რომელმაც ქვეყანაში არსებული საბანკო სისტემა დაჰყო 12 ოლქად. თითოეულ ოლქში არსებობდა ფედერალური სარეზერვო ბანკი და ყველაფერს ზედამხედველობას უწევდა ფედერალური სარეზერვო საბჭო. ეს ბანკები ხდებოდნენ იმ ბანკების სანაღდო რეზერვების დეპოზიტორები, რომლებიც შეუერთდებოდნენ სისტემას. ამ აქტის გამოშვებამდე შეერთებული შტატების მთავრობას არარეგულირებად კერძო ბანკების არსებობის გამო თითქმის დაკარგული ჰქონდა კონტროლი თავის ფულად სახსრებზე. სანამ ოქროს მონეტები ოფიციალური შუამავლის როლს ასრულებდნენ გაცვლაში, სესხებისა და მათი გასტუმრების ოპერაციები ბანკებში ტარდებოდა ბანკნოტებით, რომლებიც დაპირებისამებრ შეიძლებოდა გადაცვლილიყო ოქროზე. ამ სისტემის სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ ბანკებს სურდათ გაეზარდათ თავიანთი ნაღდი ფულის რეზერვები, რისთვისაც პერიოდულად ქმნიდნენ პანიკებს, რომლის დროსაც შეშინებული დეპოზიტორები ცდილობდნენ გადაეცვალათ თავიანთი საბანკო ქაღალდები ოქროს მონეტებზე. აქტის გატარებით გარანტირებულ იქნა ფულადი სახსრების დიდი მოქნილობა, და განხორციელდა ღონისძიებანი ბიზნესის

მოთხოვნილების შესაბამისად ფედერალური სარეზერვო ფულადი ნიშნების გამოსაშვებად. შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ტრესტების რეგულირება და კორპორაციების დანაშაულთა გამოძიება. ფედერალურ სავაჭრო კომისიას კონგრესის მიერ მიენიჭა უფლება გამოეცა ბრძანებები, რომლებიც აკრძალავდნენ კონცერნების მხრიდან „კონკურენციის არაპატიოსანი მეთოდების" გამოყენებას შტატთაშორის ვაჭრობაში. მეორე კანონი, კლეიტონის ანტიმონოპოლური აქტი, კრძალავდა მრავალი კორპორაციისაგან შემდგარი გაერთიანებების არსებობას, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ერთიანი დირექტორატების შექმნა, ფასების დისკრიმინაცია მყიდველებს შორის, ბრძანებების გამოყენება სამუშაო დისპუტებში, მსგავსი საწარმოების აქციების შეძენა ერთი კორპორაციის მიერ.

ფერმერები და სხვა მუშებიც არ იყვნენ დავიწყებულნი. სესხის ფედერალურმა აქტმა საშუალება მისცა მათ აეღოთ დაბალპროცენტიანი კრედიტები. 1915 წლის სიმენსის აქტით გაუმჯობესდა საცხოვრებელი და სამუშაო პირობები გემებზე. 1916 წლის მუშაკთა კომპენსაციის ფედერალური აქტით გამოიყო ყოველთვიური დახმარება იმ სამოქალაქო პირთათვის, ვინც დასახიჩრდა სამუშაოზე. იმავე წლის ადამსონის აქტით დაწესდა 8-საათიანი სამუშაო დღე რკინიგზის მუშაკთათვის. რეკორდული მიღწევების წყალობით ვილსონმა დაიმკვიდრა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოლიტიკური რეფორმატორის სახელი ამერიკის ისტორიაში. მაგრამ, მისი შინაური რეპუტაცია მალე დაიჩრდილა იმით, რომ იგი გახდა ომის პერიოდის პრეზიდენტი, რომელმაც მიიყვანა ქვეყანა გამარჯვებამდე, თუმცა ვერ შეძლო დახმარებოდა თავის ხალხს ომისშემდგომ მშვიდობიან პერიოდში.

## ერების ერი

*არც ერთი ქვეყნის ისტორია ისე მჭიდროდ არ არის დაკავშირებული იმიგრაციასთან, როგორც შეერთებული შტატებისა. მხოლოდ მე-20 საუკუნის პირველი 15 წლის განმავლობაში 13 მილიონზე მეტი ადამიანი ჩამოვიდა შეერთებულ შტატებში; ბევრი მათგანი ჩამოვიდა ელის აილენდის – იმიგრაციული ცენტრის გავლით, რომელიც გაიხსნა ნიუ-იორკის ნავსადგურში 1892 წელს. ელის აილენდი, რომელიც დიდი ხნის წინ დაიხურა, 1992 წელს კვლავ გაიხსნა, ოღონდ როგორც მონუმენტი იმ მილიონობით ადამიანისა, ვინც გადაკვეთა ამერიკის საზღვარი ამ ადგილას.*

*1790 წლის პირველი ოფიციალური აღწერით 3 929 214 ამერიკელიდან, რომლებიც ცხოვრობდნენ 13 შტატში, დაახლოებით ნახევარი იყო ინგლისური წარმოშობის. დანარჩენები წარმოადგენდნენ შოტლანდიელებს, ირლანდიელებს, გერმანელებს, ჰოლანდიელებს, ფრანგებს, შვედებს, უელსელებს და ფინელებს. თეთრკანიანი ევროპელები ძირითადად იყვნენ პროტესტანტები. მოსახლეობის მეხუთედს შეადგენდნენ აფრიკელი მონები.*

*ადრეული წლებიდანვე ამერიკელები იმიგრანტებს უყურებდნენ, როგორც იაფ სამუშაო ძალას. ამის გამო იმიგრაცია შეერთებულ შტატებში თითქმის არ იყო შეზღუდული 1920 წლამდე. ზოგიერთ ამერიკელს შეეშინდა, რომ რაც უფრო მეტი იმიგრანტი ჩამოვიდოდა, მათი კულტურა მით უფრო დიდ საფრთხეში აღმოჩნდებოდა.*

*„დამფუძნებელ მამებს" არ ჰქონდათ ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი, მიელო თუ არა შეერთებულ შტატებს დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები. ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი ჯეფერსონი ეჭვობდა – ხომ არ ემუქრებოდა დემოკრატიას საფრთხე იმ ქვეყნებიდან ჩამოსული ხალხის მხრიდან, სადაც თაყვანს სცემდნენ მონარქებს ან სადაც მონარქის ხელისუფლება ბრბოს ხელისუფლებით შესცვალეს. მიუხედავად ამისა ძალიან ცოტანი უჭერდნენ მხარს ახალჩამოსულთათვის კარების ჩაკეტვის პოლიტიკას ქვეყანაში, რომელსაც საშინლად სჭირდებოდა მუშახელი.*

*იმიგრაცია შემცირდა მე-18 საუკუნის ბოლოს მე-19 საუკუნის დასაწყისში, როდესაც ომებმა შეაფერხეს მოგზაურობა ატლანტის ოკეანეში და ევროპის სახელმწიფოებმა შეზღუდეს ემიგრაცია, რომ შეენარჩუნებინათ წვევანდელთა ასაკის ახალგაზრდა კაცები. 1750 წლისათვის ევროპაში სიკვდილიანობის რიცხვი შემცირდა გაუმჯობესებული სამედიცინო მომსახურების და სანიტარული პირობების დაცვის წყალობით. გაიზარდა საკვების მარაგიც, რადგან თესლბრუნვამ და ნიადაგში სასუქის შეტანამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. მაგრამ ხალხის რაოდენობის ზრდამ გამოიწვია საფერმერო მოცემული მიწის ფართობზე ნაკვეთების შემცირება იმდენად, რომ ოჯახების გამოკვება დიდი გაჭირვებით თუ შეიძლებოდა. მეტიც, გლეხური წარმოება ემსგავსებოდა სამრეწველო რევოლუციას, რომელმაც განაპირობა წარმოების მექანიზაცია. ათასობით ხელოსანი, რომლებსაც არ სურდათ ან არ შეეძლოთ სამსახურის შოვნა ფაბრიკებში, უმუშევარი დარჩა.*

*1840 წლის შუა პერიოდში, როდესაც ირლანდიაში კარტოფილის მოსავალი გაანადგურეს პარაზიტებმა და გერმანიაში მიმდინარეობდა დაუსრულებელი რევოლუცია, ამერიკისკენ კვლავ დაიძრა მილიონობით ემიგრანტი. ამასობაში გაჩნდა ჩინელი იმიგრანტების ნაკადიც, რომლებიც მოდიოდნენ გაღატაკებული სამხრეთ-ჩინეთის რაიონებიდან და სახლდებოდნენ ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე.*

*თითქმის 19 მილიონი ადამიანი ჩამოვიდა შეერთებულ შტატებში 1890–1921 წლებში. შედეგად 1921 წელს კონგრესმა მიიღო პირველი მკაცრი შეზღუდვები. ამ იმიგრანტების უმეტესობა იყო იტალიიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, საბერძნეთიდან და ბალკანეთიდან. მაგრამ გარდა ევროპისა, იმიგრანტები სხვა ქვეყნებიდანაც მოდიოდნენ: აღმოსავლეთიდან – იაპონია, სამხრეთიდან – მექსიკა და ჩრდილოეთიდან – კანადა.*

*1920-იანი წლების დასაწყისში დამყარდა კავშირი შეგნებული ორგანიზებული მუშებისა და რასობრივ თუ რელიგიურ საფუძველზე იმიგრაციის შეზღუდვის მომხრეებს შორის, როგორიც იყო, მაგალითად, კუ-კლუქს-კლანი და „იმიგრაციის შეზღუდვის ლიგა". 1924 წლის ჯონსონ რიდის საიმიგრაციო აქტით ახალჩამოსულთა რიცხვი შეიზღუდა ეროვნების და წარმოშობის კვოტების მიხედვით.*

*1930-იანი წლების დიდმა დეპრესიამ კიდევ უფრო მკვეთრად შეამცირა იმიგრაცია. საზოგადოებრივი აზრი საერთოდ იმიგრაციის წინააღმდეგ იყო განწყობილი, თვით ევროპის ჩაგრულ უმცირესობათა მიმართაც კი191უ: ლტოლვილთა შედარებით მცირე რიცხვმა პპოვა თავშესაფარი შეერთებულ შტატებში 1933 წლიდან, როდესაც ძალაუფლების სათავეში ადოლფ ჰიტლერი მოვიდა.*

*ომის შემდგომ ათწლეულებში შეერთებული შტატები კვლავ იცავდნენ დადგენილ კვოტებს. 1952 წელს მაკკარენ-უოლტერის აქტის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ კვოტების მოხსნა გამოიწვევდა აღმოსავლეთ ევროპიდან დიდი რაოდენობით მარქსისტების ჩამოსვლას ძირგამომთხრელი საქმიანობის საწარმოებლად.*

*1965 წელს კონგრესმა შეცვალა ეროვნული კვოტები ნახევარსფეროს კვოტებით, რომლითაც უპირატესობა ენიჭებოდა აშშ-ს მოქალაქეთა ნათესავებს და მუშაობის კვალიფიკაციის მქონე იმიგრანტებს, რის ნაკლებობასაც განიცდიდნენ შეერთებული შტატები. 1978 წელს ნახევარსფეროს კვოტები შეიცვალა მსოფლიოს მასშტაბით ზღვარის დაწესებით 290 000 კაცამდე, ეს ზღვარი შემცირდა 270 000-მდე 1980 წელს ლტოლვილთა აქტის მიღებით.*

*1970-იანი წლების შუა პერიოდში შეერთებულ შტატებს მოაწყდა იმიგრანტების ახალი ტალღა, განსაკუთრებით აზიიდან და ლათინური ამერიკიდან, რაც ნირს უცვლიდა მთელი ქვეყნის საზოგადოებას. უკანასკნელი შეფასებების თანახმად, აშშ-ში რეგულარულად ჩამოსულთა რიცხვი წელიწადში დაახლოებით 600 000 ადამიანს შეადგენდა.*

*ვინაიდან ლტოლვილთათვის კვოტები ძალაშია, უკანონო მიგრაცია კვლავ პრობლემად რჩება. მექსიკელები და სხვა ლათინო-ამერიკელები ყოველდღე გადმოდიან აშშ-ს სამხრეთის საზღვარზე სამუშაოს, უფრო მაღალი ხელფასების, თავიანთი ოჯახებისათვის უკეთესი განათლების და სამედიცინო მომსახურების მისაღებად. მიმდინარეობს, აგრეთვე, მნიშვნელოვანი უკანონო მიგრაცია ირლანდიიდან, ჩინეთიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან. შეფასებები სხვადასხვაგვარია, მაგრამ ზოგიერთის მიხედვით, უკანონო იმიგრანტების რიცხვი შეერთებულ შტატებში წელიწადში დაახლოებით 600 000-ს აღწევს.*

*იმიგრანტების ძველი ანდაზა ამბობს: „ამერიკა გვიხმობს, მაგრამ ამერიკელები გვდევნიან". როგორც კი იმიგრანტების ნაკადი შეერევა ამერიკის ძირითად მოსახლეობას ეკონომიკის, პოლიტიკის და კულტურის სფეროებში, დებატები იმიგრაციის შესახებ მწვავდება. მაგრამ ამერიკელთა უმრავლესობაში ღრმად არის გამჯდარი რწმენა, რომ თავისუფლების ქანდაკება დგას როგორც სიმბოლო შეერთებული შტატებისა, რომელსაც ხელში უჭირავს ლამპარი „ოქროს კარიბჭესთან" იმათთვის, ვინც ჩამოდის, „რომ თავისუფლად ისუნთქოს". ამ რწმენამ და ცოდნამ, რომ ამერიკელთა წინაპრებიც ერთ დროს იმიგრანტები იყვნენ, შეერთებული შტატები აქცია ერების ერად.*

ქვემოთ, ენდრიუ ჯექსონის, 1829-1837 წლების ამერიკის პრეზიდენტის ფოტოსურათი. მგზნებარე და ენერგიით აღსავსე ჯექსონმა დემოკრატიული პარტიის შიგნით შექმნა პოლიტიკური კოალიცია დასავლეთის მცხოვრებლებთან, ფერმერებთან და მუშებთან.



ამერიკის ისტორიის ეტაპები

# ერის ტრანსფორმაცია

ისტორია სურათებში

შეერთებულმა შტატებმა ერთხელ კიდევ გარდაქმნეს თავისი თავი მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში. აგრარული ქვეყანა იქცა ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, რომლის ხერხემალს წარმოადგენდა ფოლადი და ქვანახშირი, რკინიგზები და ორთქლის ძალა. ახალგაზრდა ქვეყანამ, რომლის საზღვარი გადიოდა მდინარე მისისიპთან, გააფართოვა თავისი ტერიტორიები, მოიცვა ამერიკის კონტინენტი და ოკეანის გაღმა მიწები. ქვეყანა, რომელიც გაყოფილი იყო მონობით და რომელმაც იგემა სამოქალაქო ომის ტრაგედია, იქცა მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოდ, რომლის გლობალური გავლენა მსოფლიომ პირველად იგრძნო I მსოფლიო ომის დროს.





ჰენრი კლეი კენტუკიდან (ზემოთ), რომელიც არასოდეს გამხდარა პრეზიდენტი, მაგრამ მე-19 საუკუნის I ნახევარში იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსი. კლეი შეუცვლელი გახდა მისი გადამწყვეტი როლის გამო კავშირის შენარჩუნებაში 1820 წლის მისურის კომპრომისის და 1850 წლის კომპრომისის მეშვეობით. კანონმდებლობის ამ ორივე ნაწილმა დროებით გადაჭრა დავა მონობის შესახებ ძველ და ახალ ტერიტორიებზე. მარჯვნივ, ქალების უფლებებისათვის აქტიური მებრძოლნი მე-19 საუკუნეში ელიზაბეტ კედი სტენტონი (ზის) და სუზან ბ. ენტონი. სტენტონმა დიდი როლი ითამაშა ქალთა უფლებათა დაცვისადმი მიძღვნილი ყრილობის ორგანიზებაში, რომელიც ჩატარდა სენეკა ფოლზში (ნიუ-იორკი) 1848 წელს. მოგვიანებით მან მიიღო მონაწილეობა ენტონის ქალთა ეროვნული თანასწორობის ასოციაციის დაარსებაში. „მე ვქმნიდი ელვას", ამბობდა სტენტონი მათ პარტნიორობაზე, „ის კი ისროდა მათ".









საპირისპირო გვერდი, ზემოთ: მონათა ოჯახი აგროვებს ბამბას სევანას მახლობლად (ჯორჯია), 1860 წელი. საპირისპირო გვერდი, ქვემოთ: ორი ყველაზე გულწრფელი და მჭევრმეტყველი აბოლიციონისტი· ვილიამ ლოიდ ჰარისონი (მარცხნივ) და ფრედერიკ დუგლასი. დუგლასი აგრეთვე ცნობილი იყო როგორც ძლიერი დამცველი შავკანიანთა ჯარისკაცებისა, რომლებიც მსახურობდნენ კავშირის არმიაში სამოქალაქო ომის დროს. მარცხნივ, ჰარიეტ ტუბმენი, ყოფილი მონა, რომელმაც „მიწისქვეშა მატარებლის" საშუალებით დაიხსნა მონობისაგან ასობით შავკანიანი.



ქვის კედლის გასწვრივ დახოცილი კონფედერატები ჩანსელორსვილის კომპანიის დროს, 1863 წლის მაისში. ჩანსელორსვილში გამარჯვების შემდეგ სამხრეთელთა ძალები შეიჭრნენ ჩრდილოეთ პენსილვანიაში, მაგრამ დამარცხდნენ სამდღიან ბრძოლაში გეტისბურგთან, რომელიც სამოქალაქო ომში შემობრუნების წერტილად იქცა და წარმოადგენდა უდიდეს ბრძოლას, მათ შორის, რაც კი ოდესმე გამართულა ჩრდილო ამერიკაში. სამოქალაქო ომში (1861-1865) დაიღუპა უფრო მეტი ამერიკელი, ვიდრე ნებისმიერ სხვა კონფლიქტში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამერიკის ისტორიაში.





ზემოთ, ნიუ იორკული კავშირის ჯარების ბანაკი ალექსანდრიაში (ვირჯინია), მდინარე პოტომაკის მეორე ნაპირზე, დედაქალაქ ვაშინგტონთან. მოპირდაპირე გვერდი, სამოქალაქო ომის დიდი მხედართმთავრები კავშირის გენერალი ულისეს ს. გრანტი (ზემოთ) და კონფედერაციის გენერალი რობერტ ე. ლი. მათ მიერ გამოყენებული ტაქტიკა ბრძოლებში ვიკსბურგთან, ჩანსლორსვილთან და ვაილდერნესთან დღესაც შეისწავლება სამხედრო ისტორიკოსების მიერ.









შეერთებული შტატების კონგრესის პირველი აფრიკელი წევრების გრავიურა, რომლებიც არჩეულნი იყვნენ ომის შემდეგ რეკონსტრუქციის პერიოდში. მარცხნივ ზის ჰ. რ. რეველსი, სენატორი მისისიპიდან. დანარჩენები არიან წარმომადგენელთა პალატის წევრები ალაბამას, ფლორიდას, სამხრეთ კაროლინას და ჯორჯიას შტატებიდან.



ენდრიუ კარნეგი, მრეწველობის მაგნატი და ფილანტროპი. დაიბადა შოტლანდიაში. კარნეგიმ შექმნა რკინისა და ფოლადის უდიდესი დამამუშავებელი კორპორაცია ქვეყანაში. თავისი ცხოვრების ბოლო წლებში იგი მუდმივი შემოსავლით უზრუნველყოფდა შეერთებული შტატების საჯარო ბიბლიოთეკებს.





ზემოთ. „მჯდომარე ხარი", სიუს ტომის ბელადი, რომელიც მეთაურობდა დაბლობის ინდიელების უკანასკნელ დიდ ბრძოლას შეერთებული შტატების არმიის წინააღმდეგ; მათ დაამარცხეს გენერალ ჯორჯ კოსტერის სამხედრო ძალები 1876 წელს, ლითლ ბიგჰორნთან ბრძოლაში. მარჯვნივ, კასტერის არმია მარშირების დროს ლითლ ბიგჰორნთან ბრძოლის წინ.









ზემოთ, ქალაქი ოკლაჰომა 1889 წელს, ოთხი კვირის შემდეგ, რაც ოკლაჰომის ტერიტორია გაიხსნა დასახლებებისათვის ახალმოსახლეებმა სარებით შემოღობეს ნაკვეთები, რომლებზედაც პრეტენზია ჰქონდათ, დადგეს კარვები და შემდეგ დაიწყეს ქოხმახებისა და სახლების აშენება; ასე ხდებოდა მთელ დასავლეთში. მარცხნივ. მოპირდაპირე გვერდი, ერთ-ერთი პირველი გემი შედის ახლადგახსნილ პანამის არხში, რომელიც გაიხსნა 1914 წელს. შეერთებულმა შტატებმა მიიღეს არხის მშენებლობის ნებართვა 1903 წელს, პანამასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, რომელიც აჯანყდა და გამოეყო კოლუმბიას. 1978 წლის ხელშეკრულებით არხის კონტროლის უფლება დაუბრუნდება პანამას 2000 წელს.





მარცხნივ, მოპირდაპირე გვერდზე, იმიგრანტები ჩამოდიან ელის აილენდში, ქალაქ ნიუ-იორკში, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისს ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ კარიბჭეში. 1890 წლიდან 1921 წლამდე შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა 19 მილიონამდე იმიგრანტი. ქვემოთ, ბავშვები მუშაობენ ინდიანას მინის ქარხანაში, 1908 წელი. ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული კანონების ამოქმედება იყო პროგრესულების მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა ამ ერაში.

შემდეგი გვერდები, მალბერის ქუჩა ქალაქ ნიუ-იორკში, ცნობილი აგრეთვე „პატარა იტალიის" სახელწოდებით, მე-20 საუკუნის დასაწყისში. ახალჩამოსულ იმიგრანტთა ოჯახები, ძირითადად აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან, ხშირად სახლდებოდნენ ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბნებში. ჩვეულებრივ, მათი შვილები ან შვილიშვილები იფანტებოდნენ, გადადიოდნენ საცხოვრებლად სხვა ქალაქებში ან ქვეყნის სხვა ნაწილებში.










თომას ედისონი (ზემოთ) სინჯავს ფირს, რომელიც გამოიყენებოდა მის მიერ ჯორჯ ისტმენთან ერთად გამოგონებულ მოძრავი სურათების პროექტორში. ედისონის ასეულობით გამოგონებებს შორის ყველაზე აღსანიშნავი იყო ვარვარების ელექტრონათურა. მოპირდაპირე მხარეს, ზემოთ, უილბურ და ორვილ რაიტები, რომლებმაც ააგეს და ააფრინეს პირველი ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატი (თვითმფრინავი) კიტი ჰოუკში (ჩრდილო კაროლინა), 1903 წელს. სურათზე ისინი ახდენენ მათი უფრო გვიანდელი მოდელის დემონსტრირებას, 1909 წელს.









სულ ზემოთ, ამერიკის ქვეითი ძალები 1918 წელს ისვრიან 37 მმ-იანი ქვემეხიდან, რომელიც მიმართულია გერმანელთა პოზიციებისაკენ I მსოფლიო ომში. ზემოთ, „დიდი ოთხეული" პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე 1919 წელს, ომის დამთავრების შემდეგ. სხედან მარცხნიდან: პრემიერ-მინისტრი დევიდ ლოიდ ჯორჯი, საფრანგეთის პრემიერი ჟორჟ კლემანსო და შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი. მიუხედავად ძლიერი წინააღმდეგობისა, ვილსონმა შესძლო დაერწმუნებინა შეერთებული შტატების სენატი დათანხმებულიყო ამერიკის მონაწილეობაზე ერთა ლიგაში, რომელიც შეიქმნა ომის შემდეგ.






განათლებულთათვის და შეძლებულთათვის 1920-იანი წლები იყო ერა „დაკარგული თაობისა", როგორც ამას წარმოადგენდნენ მწერლები, მაგალითად, ერნსტ ჰემინგუეი, რომელმაც ნებაყოფლობით დატოვა შეერთებული შტატები და გადასახლდა პარიზში. ეს იყო აგრეთვე „მოზარდთა ერა", ერა ქარაფშუტობისა და თავშეუკავებლობისა, როცა ახალგაზრდებს შეეძლოთ უარი ეთქვათ უფროსი თაობის იძულებასა და ტრადიციებზე. სულ ზემოთ, 1920-იანი წლების წვეულებაზე ფოტოაპარატის წინ პოზირება: ზემოთ, ჰენრი ფორდი და მისი ვაჟიშვილი დგანან მის ერთ-ერთ პირველ ავტომობილთან, და რიგით 10 მემილიონე ავტომობილი, ფორდი, მოდელი-T; მოდელი-T – პირველი მანქანა, რომლის ფასი ხელმისაწვდომი იყო ხალხის დიდი მასისათვის.

დეპრესიის ხანის საჭმლის რიგი, 1930-იანი წლები







თავი მეცხრე

# IX

# ომი, აყვავება და დეპრესია

# „ამერიკელი ხალხის მთავარი საქმიანობა არის ბიზნესი“

პრეზიდენტი კელვინ კულიჯი, 1925

**ომი და ნეიტრალური ქვეყნის უფლებები**

1914 წელს ევროპაში ომის დაწყებამ შოკში ჩააგდო ამერიკის საზოგადოება. ერთი შეხედვით, კონფლიქტი, თითქოს, შორს იყო, მაგრამ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები სწრაფმოქმედი და ღრმა გამოდგა. 1915 წლისათვის შეერთებული შტატების მრეწველობა, რომელიც მანამდე გარკვეულ დაღმავლობას განიცდიდა, დასავლეთის მოკავშირეებისაგან მიღებული სამხედრო შეკვეთების მეოხებით კვლავ აყვავდა. ომის მონაწილე ორივე მხარე ეწეოდა აქტიურ პროპაგანდას, რათა ემოქმედათ ამერიკის საზოგადოების გრძნობებზე, რომლის მესამედი ან თვითონ იყო უცხოეთში დაბადებული ან უცხოეთში დაბადებული მშობლები ჰყავდა. უფრო მეტიც, ბრიტანელებიც და გერმანელებიც ხელს უშლიდნენ შეერთებული შტატების გემების ნაოსნობას დიდ ზღვებში, რამაც პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის მკაცრი პროტესტი გამოიწვია. უთანხმოება შეერთებულ შტატებსა და გერმანიას შორის ავისმომასწავლებლად იზრდებოდა.

1915 წლის თებერვალში გერმანიის სამხედრო ლიდერებმა განაცხადეს, რომ თავს დაესხმოდნენ ყველა სავაჭრო გემს, რომელთაც აღმოაჩენდნენ ბრიტანეთის კუნძულების ირგვლივ

მდებარე წყლებში. პრეზიდენტმა ვილსონმა გააფრთხილა, რომ შეერთებული შტატები არ დათმობდნენ თავიანთ, როგორც ნეიტრალური ქვეყნის, ტრადიციულ უფლებებს ევაჭრათ დიდ ზღვებში. მაგრამ ეს გაფრთხილება ყურად არ იღეს არც გერმანიამ და არც დიდმა ბრიტანეთმა. ვილსონმა გამოაცხადა, რომ ამერიკა დააკისრებდა გერმანიას მკაცრ პასუხისმგებლობას მისი გემების ან მისი ხალხის სიცოცხლის ხელყოფისათვის. სულ მალე, 1915 წლის გაზაფხულზე, როდესაც გერმანიამ ჩაძირა დიდი ბრიტანეთის ლაინერი „ლუსიტანია", რომელზეც დაახლოებით 1 200 ადამიანი იყო, მათ შორის 128 ამერიკელი, აღშფოთებამ მწვერვალს მიაღწია.

შეშფოთებულმა გერმანიამ შეერთებული შტატების მხრიდან ომის შესაძლო გამოცხადებისაგან თავის დაღწევის მიზნით უბრძანა თავისი წყალქვეშა ნავების მეთაურებს, რომ ვიდრე ცეცხლს გახსნიდნენ, გაეფრთხილებინათ საოკეანო გემები – თვით ისინიც კი, ვინც მათი მტრების დროშით დაცურავდნენ. მაგრამ 19 აგვისტოს ეს ბრძანება არ შესრულდა და ბრიტანეთის გემი „არაბიკი" გაფრთხილების გარეშე ჩაძირეს. 1916 წლის მარტში გერმანელებმა მოახდინეს საფრანგეთის გემის „სასექსის" ტორპედირება და რამოდენიმე ამერიკელი დაჭრეს. პასუხად პრეზიდენტმა ვილსონმა ულტიმატუმი გამოსცა, სადაც ნათქვამი იყო, რომ თუ გერმანია უარს არ იტყოდა წყალქვეშა ნავებით ბრძოლის ასეთ მეთოდებზე, მაშინ შეერთებული შტატები გაწყვეტდნენ მასთან ურთიერთობას. გერმანია დათანხმდა.

როგორც შედეგი, ვილსონმა კვლავ შესძლო გაემარჯვა იმ წლის არჩევნებში თავისი თავისი პარტიის მიერ წამოყენებული დევიზის დახმარებით: „მან გადაგვარჩინა ომს". მოგვიანებით, 1917 წლის იანვარში სენატის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ვილსონმა მოუწოდა „მშვიდობისაკენ გამარჯვების გარეშე", – იმ, მისი თქმით, ერთადერთი სახის მშვიდობისაკენ, რომლის შენარჩუნება შესაძლებელი იყო.

---

### შეერთებული შტატები ებმებიან I მსოფლიო ომში

1917 წლის 22 იანვარს გერმანიის მთავრობამ გაამჟღავნა თავისი განზრახვა განეახლებინა შეუზღუდავი წყალქვეშა ომი. როდესაც აპრილში ჩაძირეს შეერთებული შტატების ხუთი გემი, ვილსონმა მიმართა კონგრესს გერმანიისათვის ომის გამოცხადების თხოვნით. ქვეყანამ დაუყოვნებლივ მოახდინა თავისი სამხედრო რესურსების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მშრომელთა მობილიზება. 1918 წლის ოქტომბერში მოკავშირეთა გამარჯვების წინ შეერთებულმა შტატებმა გადასხეს თავისი არმია 1 750 000-ზე მეტი ჯარისკაცის შემადგენლობით საფრანგეთში.

შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოქმედებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბრიტანეთისათვის, რადგან მან გაარღვია წყალქვეშა ნავების ბლოკადა, და 1918 წლის ზაფხულში ამერიკელთა ჯარებმა გენერალ ჯონ ი. პერშინგის მეთაურობით არსებითი როლი ითამაშეს ხმელეთზე წარმოებულ ბრძოლებში. მაგალითად, ნოემბერში ამერიკელთა ძალებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეს-არგონზე შეტევის განხორციელებაში, რომელმაც გაწყვიტა გერმანიის ეგზომ ნაქები ჰინდერბურგის ხაზი.

ომის შედარებით ადრე დამთავრებას გარკვეულად უნდა ვუმადლოდეთ პრეზიდენტ ვილსონს, რომელმაც განსაზღვრა მოკავშირეთა მიზნები ომში და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ბრძოლა წარმოებდა არა გერმანელი ხალხის, არამედ მისი ავტოკრატული მთავრობის წინააღმდეგ. ვილსონი თავის ცნობილ „თოთხმეტ პუნქტში", რომელიც 1918 წლის იანვარში წარუდგინა სენატს როგორც სამართლიანი მშვიდობის საფუძველი, მოითხოვდა საიდუმლო საერთაშორისო ხელშეკრულებებზე უარის თქმას, თავისუფლების გარანტიას ზღვებზე, ერებს შორის სატარიფო ბარიერების მოსპობას, შეიარაღების შემცირებას, კოლონიალური პრეტენზიების რეგულირებას იქ მცხოვრებთა ინტერესების გათვალისწინებით. სხვა პუნქტები ეხებოდნენ ევროპის ერებისათვის თვითმმართველობისა და შეუფერხებელი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას. მეთოთხმეტე პუნქტი, რომელიც წარმოადგენდა ვილსონის მშვიდობის თვალის ქვაკუთხედს, გულისხმობდა ერების ასოციაციის შექმნას, რომელიც მისცემდა „პოლიტიკური დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთ გარანტიებს როგორც დიდ, ასევე პატარა სახელმწიფოებს".

1918 წლის ზაფხულისათვის, როდესაც უკუგდებულ იქნენ გერმანიის ჯარები, გერმანიის მთავრობამ მიმართა ვილსონს მეთოთხმეტე პუნქტის საფუძველზე მოლაპარაკების დაწყების თაობაზე. პრეზიდენტი მოეთათბირა მოკავშირეებს, რომლებიც დათანხმდნენ გერმანიის წინადადებაზე. ზავი დაიდო 11 ნოემბერს.

---

**ერთა ლიგა**

ვილსონი იმედოვნებდა, რომ საბოლოო ხელშეკრულებებს ექნებოდათ მოლაპარაკების გზით მიღწეული მშვიდობის ხასიათი, მაგრამ ამავე დროს შიშობდა, რომ ომის მერ მიყენებული ჭრილობების გამო მოკავშირეები წამოაყენებდნენ მკაცრ მოთხოვნებს. ამაში იგი მართალი გამოდგა. თვითგამორკვევის კონცეფციის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა. ვილსონი მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ მისი მშვიდობის შენარჩუნების უმთავრესი იმედი – ერთა ლიგა –

ვერასოდეს განხორციელდებოდა, თუ ის არ დაუთმობდა მოკავშირეებს, პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკების დროს წავიდა კომპრომისზე თვითგამორკვევის, ღია დიპლომატიის და სხვა სპეციალურ საკითხებში. მაგრამ ის შეეწინააღმდეგა საფრანგეთის პრემიერის, ჟორჟ კლემანსოს, მოთხოვნას ჩამოეშორებინათ გერმანიისაგან მთელი რეინის მხარე; ხელი შეუშალა საფრანგეთს მიეერთებინა საარის ოლქი და უარყო წინადადება დაეკისრებინათ გერმანიისათვის ომის მთელი ხარჯები; თუმცა მიუხედავად ამისა, ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებამ რეპარაციის მძიმე ტვირთი დააკისრა გერმანიას.

საბოლოოდ, ცოტა რამ თუ დარჩა მყარი და ხანგრძლივი მშვიდობის მოსაპოვებლად წამოყენებული ვილსონის წინადადებებიდან, გარდა თვითონ ლიგისა – და პრეზიდენტი უნდა შეგუებოდა ბედის ირონიას, როდესაც მისმა საკუთარმა ქვეყანამ უარი განაცხადა ლიგის წევრობაზე. ნაწილობრივ თავისი არასწორი განსჯის გამო ვილსონმა დაუშვა პოლიტიკური შეცდომა და უარი თქვა პარიზში, სამშვიდობო კომისიაში, ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის ლიდერის წაყვანაზე. როდესაც ვილსონი პარიზიდან დაბრუნდა განზრახვით, მოეწოდებინა ამერიკელთათვის ლიგაში შესვლისკენ, მან არ მოინდომა წასულიყო ზომიერ დათმობებზეც კი, რაც აუცილებელი იყო რატიფიკაციის მისაღებად სენატში, რომლის უმრავლესობას რესპუბლიკელები შეადგენდნენ.

იწყნია რა მარცხი ვაშინგტონში, ვილსონმა მიმართა ხალხს, რისთვისაც იმოგზაურა მთელ ქვეყანაში. 1919 წლის 25 სექტემბერს მძიმე სამშვიდობო საქმიანობით და ომის პერიოდში დაძაბული მუშაობით ფიზიკურად გადაღლილ ვილსონს, პუებლოში (კოლორადო) ყოფნისას დაემართა შეტევა, რომლისგან ის დაინვალიდდა და ვერასოდეს ბოლომდე ვერ განიკურნა. 1920 წლის მარტში სენატმა უარყო ვერსალის ხელშეკრულებაც და შეთანხმებაც ლიგის შესახებ. შედეგად, ერთა ლიგა, დარჩენილი შეერთებული შტატებისა და რუსეთის მონაწილეობის გარეშე, ჩამოყალიბდა მეტად სუსტ ორგანიზაციად.

ვილსონის შეხედულებანი ომისა და მშვიდობის მორალური და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ აღაფრთოვანებდნენ ერს. მიუხედავად ამისა, როდესაც მოვლენები არ განვითარდნენ ამ ოპტიმისტური სტანდარტების მიხედვით, ვილსონისეული იდეალიზმის ადგილას გულგატეხილობამ და კარჩაკეტილობამ დაისადგურა.

**ომისშემდგომი მღელვარება**

ომიდან მშვიდობისაკენ გადასვლა ბევრისათვის შფოთიანი და მღელვარე აღმოჩნდა. გრიპის მასობრივმა ეპიდემიამ, რომელიც სწრაფად გავრცელდა ევროპაში 1917 წელს, შეერთებულ შტატებში 1918 წლის გაზაფხულზე იფეთქა. სანამ ის ერთი წლის შემდეგ ისევე უცნაურად გაქრებოდა, როგორც დაიწყო, მან შეიწირა ნახევარ მილიონზე მეტი ამერიკელის სიცოცხლე.

უშუალოდ ომის შემდგომ დაწყებულმა ეკონომიკურმა ბუმმა დიდი იმედები წარმოშვა, რომლებიც სწრაფად გაქარწყლდნენ, როგორც კი ომისშემდგომმა ეკონომიკამ ნორმალური სახე დაიბრუნა. თავის მხრივ, მუშები უკმაყოფილონი იყვნენ ცხოვრების შეუჩერებელი გაძვირებით, გრძელი სამუშაო დღით და არასასურველი მმართველობით. მხოლოდ 1919 წელს 4 მილიონზე მეტი მუშა გაიფიცა; იმავე ზაფხულში რასობრივმა მღელვარებამ იფეთქა ჩრდილოეთსა და სამხრეთში.

მაგრამ მოვლენა, რომელმაც მძაფრი ნაციონალური პროტესტი და ამავე დროს დიდი დაინტერესება გამოიწვია, იყო ორი წლის წინათ, 1917 წელს შეერთებული შტატების საზღვრებს გარეთ მომხდარი ბოლშევიკური რევოლუცია რუსეთში. ამერიკელებს შეეშინდათ, რომ თუკი ასეთმა მცირედმა ნაწილმა მოახერხა ძალაუფლების ხელში ჩაგდება რუსეთში, შესაძლებელი იყო იგივეს გაკეთება მსგავსი ჯგუფის მხრიდან შეერთებულ შტატებშიც. ამ შიშმა გამოკვეთილი სახე მიიღო 1919 წლის აპრილში, როცა საფოსტო სამსახურმა აღმოაჩინა დაახლოებით 40 ყუმბარა, რომლებიც უნდა გამოყენებულიყო გამოჩენილი მოქალაქეების წინააღმდეგ.

იუსტიციის მინისტრის, ა. მიტჩელ პალმერის თაოსნობით, იუსტიციის დეპარტამენტში შეიქმნა დაზვერვის განყოფილება, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ედგარ ჰუვერი. ჰუვერი შეუდგა ინფორმაციის შეგროვებას ცნობილი რადიკალების შესახებ და მოაწყო სხვადასხვა ორგანიზაციების რეიდები, რასაც მოჰყვა უამრავი ხალხის გადასახლება. პალმერის გაფრთხილების მიუხედავად, ვითარება გამწვავდა, რასაც შედეგად „წითელი პანიკის“ სახელი ეწოდა. მაგრამ საფრთხე არასოდეს არ რეალიზებულა. 1920 წლის ზაფხულში ამერიკელი ხალხი დარწმუნდა, რომ შეერთებული შტატები ანარქიისაგან დაცული იყო.

1920 წლის ბუმი

1920 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელთა კანდიდატის უორენ გ. ჰარდინგის დიდი უპირატესობით გამარჯვებამ საბოლოოდ დაადასტურა ვილსონის ინტერნაციონალიზმისა და იდეალიზმის საერთო უარყოფის ფაქტი. როგორც ჟურნალისტმა უილიამ ალენ უაიტმა განმარტა, ამერიკელი ხალხი „უთანხმოებამ დაღალა, იდეალებმა დააავადმყოფა და კეთილშობილებამ დაქანცა“.

1920 წლის არჩევნებში პირველად მთელი ქვეყნის მასშტაბით მონაწილეობდნენ ქალებიც. 1919 წელს კონგრესმა წარუდგინა შტატებს მე-19 შესწორება, რომელიც დროულად იქნა რატიფიცირებული და ითვალისწინებდა ქალებისათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას მომდევნო წლიდან.

მდგომარეობის გაუმჯობესების კვალობაზე (ყოველ შემთხვევაში ქვეყნის ქალაქებში) სახელმწიფო პოლიტიკა 1920-იან წლებში მნიშვნელოვანწილად კონსერვატიულ ხასიათს ატარებდა. იგი ეფუძნებოდა რწმენას, რომ თუ ხელისუფლება ყველაფერს იღონებდა კერძო ბიზნესის ხელშეწყობისათვის, მაშინ დანარჩენი მოსახლეობის უმეტესობის კეთილდღეობაც უზრუნველყოფილი იქნებოდა.

შესაბამისად, რესპუბლიკელთა პოლიტიკა მიზნად ისახავდა შეერთებული შტატების მრეწველობისათვის უკეთესი ხელშემწყობი პირობების შექმნას. 1922–1930 წლებში სატარიფო აქტებით შეიცვალა ტარიფების ბარიერები, რაც შეერთებული შტატების მრეწველებს შიდა ბაზარზე მონოპოლიის გარანტიას აძლევდა. ამ ტარიფებთაგან მეორე, 1930 წლის სმუტ-ჰოულის აქტი, ისეთ მაღალ ნორმებს აწესებდა, რომ 1 000-ზე მეტმა ეკონომისტმა პეტიციით მიმართა პრეზიდენტ ჰერბერტ ჰუვერს, რომ ვეტო დაედო მასზე. შემდგომმა მოვლენებმა გაამართლა მათი წინასწარმეტყველება, რომ სხვა ქვეყნები სამაგიეროს გადაუხდიდნენ. იმავდროულად ფედერალურმა ხელისუფლებამ დაიწყო გადასახადების შემცირების პროგრამის განხორციელება, რომელიც ასახავდა ფინანსთა მინისტრის ენდრიუ მელონის რწმენას, რომ დიდი საშემოსავლო გადასახადები ხელს უშლიდნენ მდიდრებს ახალი სამრეწველო საწარმოების შექმნაში. კონგრესი იმ კანონების თანახმად, რომელიც მან 1921–1929 წლებში მიიღო, დადებითად პასუხობდა მელონის წინადადებას ომისდროინდელი საშემოსავლო გადასახადების, ზედმეტი მოგების გადასახადების და კორპორაციების გადასახადების მთლიანი გაუქმების ან მნიშვნელოვანი შემცირების თაობაზე.

„ამერიკელი ხალხის მთავარი საქმიანობა არის ბიზნესი“, – განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა კელვინ კულიჯმა ვერმონტიდან, რომელიც 1923 წელს ჰარდინგის გარდაცვალების

შემდეგ, გახდა პრეზიდენტი, იგი კვლავ არჩეულ იქნა პრეზიდენტად 1924 წელს. კულიჯმა გზა გაუკაფა რესპუბლიკური პარტიის კონსერვატიულ ეკონომიკურ პოლიტიკას, მაგრამ ის ბევრად უფრო უნარიანი ადმინისტრატორი აღმოჩნდა, ვიდრე ჰარდინგი, რომლის ადმინისტრაცია მხილებულ იქნა კორუპციაში მის გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე.

1920 წლისათვის კერძო ბიზნესმა ყველგან ჰპოვა არსებითი მხარდაჭერა, მშენებლობის სესხების, საფოსტო ხელშეკრულებისა და სხვა არაპირდაპირი სუბსიდიების ჩათვლით. მაგალითად, 1920 წლის სატრანსპორტო აქტით ქვეყნის რკინიგზებზე აღადგინეს კერძო მმართველობა, რომელსაც ომის დროს სახელმწიფო აკონტროლებდა. „სავაჭრო ფლოტი", რომელიც 1917–1920 წლებში სახელმწიფოს ეკუთვნოდა, კერძო პირებს მიჰყიდეს.

რესპუბლიკელების პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დარგში მძაფრ კრიტიკას წააწყდა იმ ფერმერების მხრიდან, რომელთაც ნაკლებად შეეხოთ 1920-იანი წლების აღმაელობა. 1900–1920 წლებში ზოგადად ადგილი ჰქონდა ფერმერობის აღმაელობას და მათ პროდუქციაზე ფასების ზრდას; შეერთებული შტატების ფერმერების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე ომის დროინდელმა უპრეცენდენტო მოთხოვნამ დიდი ბიძგი მისცა პროდუქციის რაოდენობის მატებას. ფერმერებმა დაიწყეს იმ მწირი მიწების დამუშავებაც, რომლებიც დიდხანს უქმად იყო მიტოვებული ან წინათ არასოდეს დამუშავებულა. ფერმერებმა მათ პროდუქციაზე ფასების გაზრდის მეოხებით დაიწყეს საქონლის და მანქანა-მოწყობილობების შეძენა, რაც მანამდე მათ არ ძალუძდათ. მაგრამ 1920 წლის ბოლოს ომის დროინდელი მოთხოვნების სწრაფი დაცემის შედეგად, მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის ისეთ მთავარ მარცვლეულ პროდუქციაზე, როგორიცაა ხორბალი და სიმინდი, სწრაფად შემცირდა. ქვეყნის სოფლის მეურნეობის მკვეთრი დაცემა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, მაგრამ მთავარი მაინც უცხოეთის ბაზრების დაკარგვა იყო. შეერთებული შტატების ფერმერებს უკვე აღარ შეეძლოთ ადვილად ევაჭრათ მსოფლიოს იმ ადგილებში, სადაც შეერთებული შტატები არ ყიდულობდნენ საქონელს მათი იმპორტის ტარიფების გამო. მსოფლიო ბაზრის კარები ნელნელა დაიხშო. როდესაც 1930-იან წლებში დაიწყო საერთო დეპრესია, მან სულ დაამსხვრია სოფლის მეურნეობის ისედაც არამყარი მდგომარეობა.

**დაძაბულობა იმიგრაციის გამო**

შემცხოვრელთა იმიგრაციის შეზღუდვამ 1920-იან წლებში გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებანი შეერთებული შტატების პოლიტიკაში. იმიგრაცია სწრაფად იზრდებოდა მე-19 საუკუნის განმავლობაში და მიაღწია მწვერვალს მე-20 საუკუნის დასაწყისში. მაგალითად, 1900–1915 წლებში შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა 13 მილიონზე მეტი ადამიანი უპირატესად სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან. ბევრი მათგანი ებრაელი ან კათოლიკე იყო, რაც ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის შეშფოთებას იწვევდა, ვინაიდან ისინი უმეტესწილად ანგლო-საქსები და პროტესტანტები იყვნენ. ზოგიერთ მათგანს უსიამოვნება ჰქონდა ახალმოსულებთან იმიტომ, რომ ისინი კონკურენციას უწევდნენ მათ დაბალხელფასიან სამუშაოზე, სხვებს კი იმიტომ, რომ იმიგრანტები ინარჩუნებდნენ ძველი მსოფლიოს წეს-ჩვეულებებს, ხშირად სახლდებოდნენ კომპაქტურად ქალაქის რომელიმე რაიონში და თითქოს ეწინააღმდეგებოდნენ ამერიკულ კულტურასთან ასიმილაციას.

როგორც შედეგი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოქმნილი იმიგრანტული ტალღისა, ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგობა გაძლიერდა. რეორგანიზებული „კუ კლუს კლანი" მოუწოდებდა „100 პროცენტიანი ამერიკანიზმისაკენ". რეკონსტრუქციის პერიოდის კლანისაგან განსხვავებით, „კუ კლუს კლანის" წევრებად გახდომა შეეძლო მხოლოდ ამერიკაში დაბადებულ თეთრკანიან პროტესტანტებს; ამჟამად იგი ეწეოდა კომპანიას კათოლიკების, ებრაელების, იმიგრანტების და აფრიკელი ამერიკელების წინააღმდეგ. კლანმა თავისი მოწოდებანი განავრცო ჩრდილოეთსა და შუა დასავლეთში და დროებით მისი წევრების რიცხვი გაიზარდა.

ანტიიმიგრაციული განწყობილებანი კოდექსის სახით ჩამოყალიბდა მთელ რიგ ღონისძიებათა სერიაში, რომლის კულმინაციური გამოხატულება იყო 1924 და 1929 წლების „საიმიგრაციო კვოტების კანონი". ეს კანონები ზღუდავდნენ იმიგრანტების ყოველწლიურ რიცხვს 150 000 ადამიანით, რომლებიც სხვადასხვა ეროვნების ხალხს შორის იქნებოდნენ განაწილებულნი შეერთებულ შტატებში, 1920 წლისათვის მცხოვრები მათ თანამემამულეთა რიცხვის პროპორციულად. ამ შეზღუდვებმა განაპირობეს ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ შექმნილი სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან ანტი იმიგრანტული მოწოდებების შემცირება. 1930-იანი წლების დიდმა დეპრესიამ გამოიწვია იმიგრაციის მკვეთრი შემცირება.

**კულტურათა დაპირისპირება**

1920-იან წლებში ზოგიერთმა ამერიკელმა გამოხატა თავისი უკმაყოფილება თანამედროვე ცხოვრების წესით იმით, რომ გადაიტანა ძირითადი ყურადღება ოჯახსა და რელიგიაზე. მზარდი ქალაქების საერო საზოგადოება დაუპირისპირდა ძველ სოფლურ ტრადიციებს. ფუნდამენტალისტმა ქადაგებლებმა, როგორიც იყო, მაგალითად, ბილი სანდი, ბეისბოლის ყოფილი პროფესიონალი მოთამაშე, რომელიც შემდგომ ევანგელისტი გახდა – გზა უჩვენეს მათ, ვინც უფრო პატრიარქალურ ძველ დროში დაბრუნებას ესწრაფოდა. შესაძლოა, ამ სწრაფვის ყველაზე უფრო დრამატული გამოხატულება იყო ფუნდამენტალისტური ჯვაროსნული ომი, რომელიც ბიბლიურ ინტერპრეტაციას უპირისპირებდა დარვინისტულ მეცნიერებას ბიოლოგიური ევოლუციის შესახებ. 1920-იანი წლებისათვის შუა აღმოსავლეთსა და სამხრეთის შტატების კანონმდებლობებში მიიღეს კანონები, რომლებითაც იკრძალებოდა ევოლუციის თეორიის სწავლება. ამ ჯვაროსნულ ომს, ალბათ, ხელმძღვანელობდა ასაკოვანი უილიამ ჯენინგს ბრაიენი, რომელმაც მარჯვედ შეუთავსა ანტიევოლუციური აქტივიზმი თავის ადრინდელ რადიკალურ ეკონომიკურ შეხედულებებს; იგი ამტკიცებდა, რომ ევოლუცია „სულიერი აღორძინების საჭიროების ან შესაძლებლობების უარყოფის გზით თავგზას აუბნევდა ყოველგვარ რეფორმას“.

დავამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია 1925 წელს ტენესში, როდესაც ამერიკის სამოქალაქო თავისუფლების კავშირმა უარყო ქვეყნის პირველი ანტიევოლუციური კანონი. უმაღლესი სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელს ჯონ სკოუპს მოუწყვეს სასამართლო პროცესი იმის გამო, რომ იგი განაგრძობდა ევოლუციის სწავლებას ბიოლოგიაში. პროცესზე, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, მსჯავრდებულის დამცველმა ადვოკატმა კლარენს დეროუმ მომქანცველი გამოცდა მოუწყო ბრაიენს, რომელიც შტატის ინტერესებს წარმოადგენდა. სკოუპი დამნაშავედ სცნეს, მაგრამ გაათავისუფლეს საქმის ტექნიკური მხარის გამო; ბრაიენი გარდაიცვალა სასამართლოს დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

კულტურებს შორის ფუნდამენტური დაპირისპირების სხვა მაგალითი, რომელსაც უფრო დიდი ეროვნული ხასიათის შედეგები მოჰყვა, იყო სპირტიანი სასმელების გაყიდვის აკრძალვა. 1919 წელს, თითქმის საუკუნოვანი აგიტაციის შემდეგ დაიწყო მოქმედება კონსტიტუციის მე-18 შესწორებამ, რომელიც კრძალავდა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებას, გაყიდვას ან გადატანას. მართალია, ამ აკრძალვის მიზანს წარმოადგენდა ტრაქტირების გაუქმება და ლოთობის მოსპობა, მაგრამ ამის საპირისპიროდ ის იქცა ათასობით

„სპიკიზების“ სახელით ცნობილი არალეგალური სასმელი ადგილების შექმნის მიზეზად და სათავე დაუდო ახალი და მზარდმომგებიანი კრიმინალური საქმიანობის – სპირტიანი სასმელების ტრანსპორტირების – გაჩენას, რასაც „ბუტლეგერობას“ უწოდებდნენ. აკრძალვა, რომელსაც „კეთილშობილი ექსპერიმენტი“ შეარქვეს, მოიხსნა 1933 წელს.

ის საერთო, რაც ამ ორ ფრიად განსხვავებულ მოვლენას, – ფუნდამენტალური რელიგიის აღორძინებას და სპირტიანი სასმელების გაყიდვის აკრძალვას, – აკავშირებდა, იყო რეაქცია იმ დროის სოციალურ და ინტელექტუალურ რევოლუციებზე, პერიოდზე, რომელსაც სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ: ჯაზის საუკუნე, ექსცესების ერა, ხმაურიანი 20-იანელები. ბევრი ამერიკელი განსაკუთრებით შოკირებული იყო საუნივერსიტეტო კოლეჯების მოსწავლეთა ქცევის, მორალისა და მოდის შეცვლით. ინტელიგენციის ფართო წრეებში გმირად იქნა შერაცხული თ. პ. ლ. მენკენი, ჟურნალისტი და კრიტიკოსი, რომელიც დაუნდობლად ამხილებდა სიყალბესა და გამყიდველობას. მწერალმა ფ. სკოტ ფიცჯერალდმა თავის მოთხრობებსა და რომანებში – კერძოდ, „დიდი გეტსბი“-ში – აღწერა ამ ათწლეულის ენერგია, აურზაური და იმედგაცრუება.

ფიცჯერალდი მწერალთა და ინტელექტუალთა იმ მცირე, მაგრამ გავლენიან ნაწილს მიეკუთვნებოდა, რომელსაც „დაკარგულ თაობას“ უწოდებენ. ისინი იყვნენ შეძრწუნებულნი I მსოფლიო ომის ხოცვა-ჟლეტით და უკმაყოფილონი იმით, რაც, მათი აზრით, შეადგენდა მატერიალურ და სულიერ სიცარიელეს შეერთებული შტატების ცხოვრებაში. ბევრი მათგანი – მაგალითად, ერნსტ ჰემინგუეი – ევროპაში გაემგზავრა და როგორც ემიგრანტი პარიზში ცხოვრობდა.

ეროვნული თვითგამოცდის ეს მისწრაფება გადაედო აფრიკელ ამერიკელებსაც. 1910–1930 წლებში უზარმაზარ შავ მიგრაციას ჰქონდა ადგილი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, რომელმაც მწვერვალს 1915–1916 წლებში მიაღწია. მათი უმრავლესობა ქალაქებში სახლდებოდა, კერძოდ, დეტროიტსა და ჩიკაგოში, სადაც გაცილებით მეტი ხელსაყრელი პირობები იყო სამუშაოს პოვნისა და პიროვნული თავისუფლებების თვალსაზრისით, ვიდრე სოფლური ტიპის სამხრეთში. 1910 წელს ვ. ე. ბ. დიუბუამ და სხვა ინტელექტუალებმა დააარსეს ფერადკანიანი ხალხის განვითარების ნაციონალური ასოციაცია, რომელიც დაეხმარა შავკანიან ამერიკელებს ნაციონალურ უფლებათა მოპოვებაში, რაც მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდგომ წლებში.

იმავე დროს წარმოიშვა აფრიკულ-ამერიკული ლიტერატურის და ხელოვნების მიმდინარეობა „ჰარლემის რენე-

სანსის“ სახელწოდებით. „დაკარგული თაობის“ მსგავსად, ეს მწერლები (მაგალითად, ლანგსტონ ჰიუჯი) უარყოფდნენ ღირებულებებს, რომლებიც საშუალო ფენას გააჩნდა, და საყოველთაოდ აღიარებულ ლიტერატურულ ფორმებს, მაშინაც კი, როდესაც ისინი ასახავდნენ ამერიკული ცხოვრების რეალობას.

---

**დიდი დეპრესია**

1929 წლის სექტემბერში საფონდო ბირჟა დაინგრა, განადგურდა საერთო ძირითადი კაპიტალის ფასიანი ქაღალდების 40 პროცენტი. მაგრამ საფონდო ბირჟის კოლაპსის შემდეგაც კი პოლიტიკოსები და მრეწველობის ხელმძღვანელები განაგრძობდნენ ოპტიმისტურ წინასწარმეტყველებებს ქვეყნის ეკონომიკის შესახებ. მაგრამ დეპრესია ღრმავდებოდა, რწმენა ქრებოდა და ბევრი კარგავდა საკუთარ დანაზოგებს. 1933 წელს აქციების ღირებულება ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე ხუთჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1929 წელს, აღმავლობის პიკის დროს. ბიზნესის დაწესებულებებმა ჩაკეტეს თავიანთი კარები, ფაბრიკები დაიხურა და ბანკები გაკოტრდა. ფერმერების შემოსავალი 50 პროცენტით შემცირდა. 1932 წლისათვის დაახლოებით ყოველი ოთხი ამერიკელიდან ერთი უმუშევარი იყო.

პრობლემის არსი მდგომარეობდა უზარმაზარ შეუსაბამობაში ქვეყნის საწარმოო უნარსა და ხალხის მომხმარებლურ შესაძლებლობებს შორის. ომისა და მის შემდგომ პერიოდში მომხდარმა დიდმა სიახლეებმა საწარმოო ტექნიკაში მკვეთრად გაზარდეს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა შეერთებული შტატების ფერმერებსა და ხელფასზე მომუშავე ადამიანების მსყიდველობით უნართან შედარებით. მდიდრებისა და საშუალო ფენის დანაზოგები ბევრად ჭარბობდა თავდაპირველად დაბანდებულ კაპიტალს, რამაც გამოიწვია ამ დანაზოგების ჩათრევა გაშმაგებულ საბირჟო თამაშში საფონდო და ქონების უძრავ ბირჟაზე. საფონდო ბირჟა დაიმსხვრა; ეს იყო მხოლოდ პირველი იმ მრავალ აფეთქებებს შორის, რომელთა დროს ბირჟაზე თამაშის არამყარი მოდელი მიწასთან იქნა გასწორებული.

1932 წლის საპრეზიდენტო კომპანია უმთავრესად წარმოადგენდა კამათს დიდი დეპრესიის მიზეზებსა და შესაძლო გამოსავლის ძიების თაობაზე. ჰერბერტ ჰუვერი, რომელიც, მისდა სამწუხაროდ, თეთრ სახლში შევიდა საფონდო ბირჟის დამსხვრევამდე, მხოლოდ რვა თვით ადრე, დაუღლელად, მაგრამ უშედეგოდ იბრძოდა იმისთვის, რომ კვლავ აემუშავებინა მრეწველობა. მისი დემოკრატი ოპონენტი ფრანკლინ დ. რუზველტი, რომელიც უკვე იყო ცნობილი,

როგორც ნიუ-იორკის გუბერნატორი კრიზისის პერიოდში, ამტკიცებდა, რომ დეპრესია სათავეს იღებდა შეერთებული შტატების ეკონომიკის საფუძველში არსებული ბზარიდან, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავა რესპუბლიკელების პოლიტიკამ 1920-იან წლებში. პრეზიდენტი ჰუვერი პასუხობდა, რომ ეკონომიკა თავისთავად საკმაოდ მყარი იყო, მაგრამ იგი შერყეულ იქნა მთელ მსოფლიოს მოდებული დეპრესიის გამო, რომლის მიზეზი, შესაძლოა, ომი ყოფილიყო. ამ არგუმენტებს უკან იმალებოდა ერთი აშკარა დასკვნა: ჰუვერი უპირატესობას ანიჭებდა გამოჯანსაღების ბუნებრივ პროცესს, მაშინ როდესაც რუზველტი მზად იყო გამოეყენებინა ფედერალური ხელისუფლების ძალაუფლება რადიკალური ექსპერიმენტული მკურნალობის ჩასატარებლად.

არჩევნებში რუზველტმა დიდი გამარჯვება მოიპოვა; მან 22 800 000 ხმა მიიღო ჰუვერის 15 700 000 ხმის საპირისპიროდ. შეერთებული შტატები ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ახალი ერის წინაშე იდგა.

აშშ სამხედრო ხომალდები „უესტ ვირჯინია“ და „ტენესი“ იაპონელთა შეტევის შემდეგ პერლ ჰარბორში



1941 წლის 7 დეკემბერს.





თავი მეათე

# X

# ახალი კურსი და მსოფლიო ომი

# „ჩვენ უნდა ვიყოთ დემოკრატიის დიდი არსენალი“.

პრეზიდენტი ფრანკლინ დ. რუზველტი, 1941

**რუზველტი და ახალი კურსი**

1933 წელს ახალმა პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა რწმენის და ოპტიმიზმის ახალი ატმოსფერო შექმნა, რამაც ბევრი მომხრე შესძინა მის „ახალი კურსით“ ცნობილ პროგრამას. „ერთადერთი, რისიც ჩვენ უნდა გვეშინოდეს, არის თვით შიში“, – განაცხადა ახალმა პრეზიდენტმა თავის საზეიმო მიმართვაში ხალხისადმი.

გარკვეული თვალსაზრისით, სამართლიანი იქნებოდა აღინიშნოს, რომ „ახალი კურსი“ უბრალოდ გულისხმობდა იმ სოციალურ და ეკონომიკურ რეფორმებს, რომლებიც უკვე ერთი თაობის მანძილზე ცნობილი იყო ბევრი ევროპელისთვის. მეტიც, „ახალი კურსი“ წარმოადგენდა „laissez-faire“[1]-ს კაპიტალიზმის უარყოფის გრძელვადიანი პროგრამის კულმინაციას, უბრუნდებოდა 1880 წლის რკინიგზების რეგულირების პოლიტიკას და თეოდორ რუზველტის და ვუდროუ ვილსონის „პროგრესულ ეპოქაში“ გატარებული რეფორმების წყებას ეროვნულ და საშტატო კანონმდებლობაში თუ რაიმე იყო ჭეშმარიტად ახალი ამ „ახალ კურსში“, ეს იყო იმის განხორციელების სიჩქარე, რასაც ადრე თაობები დასჭირდა. ამ რეფორმათაგან ბევრი, სინამდვილეში, ნაჩქარევად შემუშავებული და სუსტად განხორციელებული იყო, ზოგიც ურთიერთსაწინააღმდეგო.

მთელი ეპოქის მანძილზე „ახალი კურსი“-ს გარშემო არ წყდებოდა და არ ნელდებოდა საზოგადოებრივი კრიტიკა და

1 ლაისსეზ-ფაირე (ფრანგ) – თავის ნებაზე მიშვებული

კამათი. ფაქტიურად „ახალმა კურსმა“ თითოეულ მოქალაქეში გამოაღვიძა მთავრობისადმი ინტერესი.

როდესაც რუზველტმა პრეზიდენტის ფიცი დადო, ქვეყნის საბანკო და საკრედიტო სისტემა პარალიზებული იყო. ბანკები ქვეყანაში განსაცვიფრებელი სისწრაფით ჯერ იხურებოდნენ, შემდეგ ისევ იღებოდნენ, თუ, რა თქმა უნდა, გადახდისუნარიანნი იყვნენ. ადმინისტრაციამ აიღო ფულის ინფლაციის ზომიერი კურსი სასაქონლო ფასების ასაწევად და დებიტორებისათვის მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ახალმა სახელმწიფო სააგენტოებმა დიდი კრედიტები გასცეს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე. „ფედერალ დიპოზით ინშურენს კორპორეიშნ“-მა (FDIC) დააზღვია შემნახველი ბანკის დეპოზიტები 5 000 დოლარამდე და მკაცრი კანონები დააწესა ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე.

---

**შრომითი დასაქმება**

1933 წელს მილიონობით ამერიკელი უმუშევარი იყო. პურის რიგები ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქალაქებში. ასობით და ათასობით ადამიანი დაეხეტებოდა ქვეყანაში საკვების, სამუშაოს და თავშესაფრის ძიებაში. „ძმაო, შეგიძლია გაიმეტო ათი ცენტი?“–იყო პოპულარული სიმღერის მისამღერის სიტყვები.

უმუშევრებისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო „კონსერვაციის სამოქალაქო კორპუსი“(CCC) – პროგრამა, რომელიც მიიღო კონგრესმა 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდა კაცების დასახმარებლად. CCC-ს ჰქონდა მუშაობის ნახევრად-გასამხედროებული სტილი, მასში ეწერებოდნენ ახალგაზრდა კაცები მთელ ქვეყანაში განლაგებულ შრომით ბანაკებში სამუშაოდ 30 დოლარად თვეში. ათწლეულის მანძილზე ამ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 2 მილიონმა ახალგაზრდამ. ისინი ჩაბმული იყვნენ კონსერვაციის მრავალფეროვან პროექტებში: რგავდნენ ხეებს ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ საბრძოლველად და ეროვნული ტყეების შესანარჩუნებლად, ატარებდნენ მდინარეების გაბინძურების წინააღმდეგ მიმართულ ზომებს, ქმნიდნენ თევზის, ცხოველთა და ფრინველთა ნაკრძალებს, ახდენდნენ ქვანახშირის, ნავთობის, თიხის ფიქალის, გაზის სოდის და ჰელიუმის ნარჩენების კონსერვაციას.

შრომითი დახმარება დაიწყო „სამოქალაქო სამუშაოების განხორციელების“ პროგრამით. თუმცა მას აკრიტიკებდნენ, როგორც „იძულებით შრომას“, იგი აფინანსებდა სხვადასხვაგვარ სამუშაოებს, დაწყებული თხრილების გაყვანით, გზების შეკეთებით და დამთავრებული სწავლებით. 1933 წელს შემოღებულ ამ პროგრამაზე უარი თქვეს უკვე 1934 წელს;

მაგრამ რუზველტი და მისი ადმინისტრაცია კვლავ უჭერდნენ მხარს უმუშევრობის შემცირების ისეთ პროგრამებს, რომლებიც ემყარებოდნენ უფრო შრომით დახმარებას, ვიდრე ფულადს.

**სოფლის მეურნეობა**

„ახალი კურსის“ პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო რწმენა თითქოს ქვეყნის ბევრი პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა უფრო მეტი რეგულირების გზით. მაგალითად, 1933 წელს კონგრესმა მიიღო „სოფლის მეურნეობის გამოკეთების აქტი“ (AAA), რომელსაც უნდა შეემსუბუქებინა ფერმერთა ეკონომიკური მდგომარეობა. AAA აქტის დედაარსს წარმოადგენდა პროდუქციაზე ფასების აწევის გეგმა ფერმერებისთვის სუბსიდიების გაცემის გზით, რითაც მიიღწეოდა წარმოების ნებაყოფლობითი შემცირება. ამ სუბსიდიების დაფინანსება ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობისათვის გადასახადების დაწესებით. მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც ეს აქტი კანონად იქცა, მოსავლის მოყვანის სეზონი დიდი ხნის დაწყებული იყო, და AAA-მ უბიძგა ფერმერებს გადაეხნათ თავიანთი უხვი მოსავალი. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჰენრი ე. უოლესმა ამგვარ მოქმედებას „ჩვენი ცივილიზაციის აღმაშფოთებელი კომენტარი“ უწოდა. მიუხედავად ამისა, AAA-ს და „სასაქონლო კრედიტის კორპორაციის“ პროგრამის მეშვეობით, რომელიც ითვალისწინებდა გრძელვადიანი სესხების გაცემას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვისა და ბაზარზე არგატანის შემთხვევაში, პროდუქციის რაოდენობა შემცირდა.

1932 წლიდან 1935 წლამდე ფერმების შემოსავალი გაიზარდა 50 პროცენტზე მეტად, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლებოდა ეს ფედერალური პროგრამების დამსახურებად ჩათვლილიყო. იმ წლებში, როდესაც ფერმერები წაახალისეს, რათა არ დაემუშავებინათ მიწის ნაწილი – უარი ეთქვათ მეიჯარეებისა და მოიჯარე-მონახევრეებისთვის, დიდი დაბლობების ტერიტორიაზე მდებარე შტატებს საშინელი გვალვა გაატყდა თავს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მოსავლიანობა. 1930-იან და განსაკუთრებით 1935–1938 წლებში დიდი დაბლობების სამხრეთით მძვინვარებდა საშინელი ქარები და ქვიშის ქარიშხლები, რაც ცნობილი გახდა „ქვიშის ბურთის თამაშის“ სახელით. მოსავალი განადგურდა, მანქანები და მოწყობილობანი დაინგრა, ხალხი და ცხოველები დაშავდნენ. 1930-1940 წლებში დაახლოებით 800 000 კაცმა, რომლებსაც ხშირად უწოდებდნენ „ოუკის“ (სოფლის მოხეტიალე მუშებს) , დატოვა არკანზასი, ტეხასი, მისური და ოკლახომა. უმეტესობა წავიდა უფრო შორს დასავლეთისკენ, მითების და

იმედების მიწისკენ – კალიფორნიისკენ. გადასახლდნენ არა მარტო ფერმერები, არამედ სხვა პროფესიის ადამიანებიც, მედუქნეები და სხვები, ვისი საარსებო წყარო დაკავშირებული იყო ფერმერულ დასახლებებთან. კალიფორნია არ აღმოჩნდა მათი საოცნებო მხარე, ყოველ შემთხვევაში დასაწყისში. გადასახლებულთა უმეტესობა ცდილობდა ეშოვა სეზონური სამუშაო – მოსავლის აღება ძალიან დაბალი გასამრჯელოთი.

1935 წელს მთავრობა შეეცადა დახმარებოდა მათ „ნიადაგის კონსერვაციის სამსახურის" მეშვეობით. ფერმერთა საქმიანობამ, რომელმაც ზიანი მიაყენა ნიადაგებს, გააძლიერა ქარიშხლებიც, და ეს სამსახური ასწავლიდა ფერმერებს, თუ რა ზომებით შეიძლებოდა ეროზიის შემცირება. გარდა ამისა, თითქმის 30 000 კილომეტრზე იყო დარგული ხეები ქარის სიძლიერის შესამცირებლად.

თუმცა AAA ძირითადად წარმატებით ხორციელდებოდა, მასზე მაინც უარი ითქვა 1936 წელს, როდესაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელთათვის გადასახადების დაწესება არაკონსტიტუციურად მიიჩნიეს. ექვსი კვირის შემდეგ კონგრესმა მიიღო ფერმერთა დახმარების კიდევ უფრო ეფექტიანი აქტი, რომელითაც მთავრობას ენიჭებოდა უფლებამოსილება გადაეხადა კომპენსაცია იმ ფერმერებისთვის, ვინც შეამცირებდა ნიადაგის გამომფიტავი კულტურების გაშენების ფართობს. ამით მიიღწეოდა ორგვარი შედეგი – როგორც პროდუქციის შემცირება, ასევე ნიადაგის კონსერვაცია.

1940 წელს ამ პროგრამის შესაბამისად თითქმის 6 მილიონი ფერმერი იღებდა ფედერალურ სუბსიდიებს. ახალი აქტი აგრეთვე ითვალისწინებდა სესხებს ჭარბ პროდუქციაზე, ხორბლეულის დაზღვევას და გეგმაზომიერი შენახვის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა საკვების მიწოდების სტაბილურობას. მალე ფასებმა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე აიწია, და ფერმერებისთვის ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა უკვე შესაძლებელი ჩანდა.

---

**მრეწველობა და მუშები**

**1933** წელს შექმნა ეროვნული აღორძინების ადმინისტრაცია (NRA), რომლის მიზანს „ეროვნული მრეწველობის აღორძინების აქტთან" (NIRA) ერთად წარმოადგენდა დაუნდობელი კონკურენციის აღკვეთა კონკურენციის სამართლიანი კოდექსის შემოღებით და სამუშაო ადგილებისა და მსყიდველობითი უნარის გაზრდა. თუმცა თავდაპირველად NIRA-ს მოწონებით შეხვდნენ, შემდეგ, როდესაც აღორძინება დაიწყო, ბიზნესმენები მწარედ უჩიოდნენ გადაჭარბებულ რეგულირებას. 1935 წელს NRA არაკონსტიტუციურად გამოცხადდა. ამ

დროისთვის უკვე სხვა პოლიტიკური პროგრამებიც უწყობდნენ ხელს აღორძინებას, და მთავრობამ მალე მიიჩნია, რომ ფასების დაწესება ბიზნესის ზოგიერთ დარგში საგრძნობლად ასუსტებდა ეროვნულ ეკონომიკას და აფერხებდა აღორძინებას.

სწორედ „ახალი კურსის“ დროს მუშათა ორგანიზაციებმა მიაღწიეს ისეთ წარმატებას, რაც არასოდეს ჰქონიათ მაანამდე ამერიკის ისტორიაში. NIRA აძლევდა მშრომელებს უფლებას ეწარმოებინათ კოლექტიური მოლაპარაკება (მოლაპარაკება, სადაც კავშირი თითოეული მუშის წარმომადგენელი იყო) შრომის პირობებზე. 1935 წელს კონგრესმა მიიღო „მუშებთან ურთიერთობის აქტი“, რომელიც ზღუდავდა უკანონო შრომით პრაქტიკას, აძლევდა მუშებს კოლექტიური მოლაპარაკების უფლებას პროფკავშირების მეშვეობით, საკუთარი შეხედულებისამებრ, და უკრძალავდა დამქირავებლებს პროფკავშირების საქმიანობისთვის ხელის შეშლას. ის აგრეთვე აფუძნებდა „მუშებთან ურთიერთობის ეროვნულ საბჭოს“, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა კოლექტიური მოლაპარაკებებისთვის, ჩაეტარებინა არჩევნები და უზრუნველეყო მუშათა უფლება თვითონ აერჩია ორგანიზაცია, რომელიც იქნებოდა მათი წარმომადგენელი დამქირავებლებთან ურთიერთობისას.

შრომითი ორგანიზაციების დიდმა პროგრესმა გაზარდა მშრომელი ხალხის შეგნება, რომ მათ გააჩნიათ საერთო ინტერესები, და გააძლიერა მათი გავლენა არა მარტო მრეწველობაში, არამედ პოლიტიკაშიც. ეს ძალა მჟღავნდებოდა ორივე ძირითადი პარტიის საქმიანობაში, თუმცა დემოკრატიული პარტია მეტი მხარდაჭერით სარგებლობდა პროფკავშირებისგან ვიდრე რესპუბლიკური.

**მეორე ახალი კურსი**

საწყის ეტაპზე „ახალმა კურსმა“ სათავე დაუდო საკანონმდებლო ღონისძიებათა თვალსაჩინო სერიას და მიაღწია წარმოების და ფასების მნიშვნელოვან ზრდას, მაგრამ ვერ გაუმკლავდა დეპრესიას. როდესაც უშუალო კრიზისის შეგრძნებამ გადაიარა, გაჩნდა ახალი მოთხოვნები. ბიზნესმენები მისტიროდნენ „laissez-faire“ კაპიტალიზმის დასრულებას და ღიზიანდებოდნენ NIRA-ს კანონებზე. ხმამაღალმა კრიტიკამაც იმატა მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკოსების მხრიდან; გამოჩნდნენ მეოცნებენი, ინტრიგანები და პოლიტიკოსები ეკონომიკის გაჯანსაღების თავ-თავიანთ უებარი საშუალებების შემოთავაზებით, რომლებიც იზიდავდნენ აღორძინების მიმდინარეობით უკმაყოფილო ადამიანების დიდ აუდიტორიებს. ამ შემოთავაზებათა რიცხვში შედიოდა ფრენსის ე. ტაუნსენდის გეგმა ხანშიშესულთათვის დიდი პენსიების

მოთხოვნით, მამა კუგლინის უაზრო წინადადებები, მღვდელისა, რომელიც რადიოთი ქადაგებდა და თავის ანტისემიტური გამოთქმებით შეზავებულ გამოსვლებში ბრალს სდებდა ბანკირებს; ყველაზე საფუძვლიანი იყო გეგმა „ყოველი კაცი-მეფე", რომელიც ეკუთვნოდა ჰიუი პ. ლონგს, სენატორს, ლუიზიანას ყოფილ გუბერნატორს, შეიწროებულთა ძლიერ და დაუნდობელ დამცველს, რომელიც მართავდა შტატს როგორც საკუთარ ფეოდალურ მამულს (რომ არ მოეკლათ, ლონგი ნამდვილად გაუწევდა მეტოქეობას ფრანკლინ რუზველტს 1936 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში).

მემარჯვენეთა და მემარცხენეთა შეტევების ქარცეცხლში მოხვედრილმა პრეზიდენტმა რუზველტმა წამოაყენა ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების ახალი სერია. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სიღარიბესთან ბრძოლის, უმუშევრების სამუშაოთი უზრუნველყოფის ღონისძიებები და სოციალური დაცვის ქსელის შექმნა.

„შრომის პროგრესის ადმინისტრაცია" (WPA), ეგრეთ წოდებული მეორე ახალი კურსის მთავარი სააგენტო, შეიქმნა მუშების დასახმარებლად და წარმოადგენდა მცდელობას მიეცათ მათთვის სამუშაო და არა ფულადი დახმარება. WPA-ს მეშვეობით აშენდა გზები, აეროპორტები და სკოლები. მსახიობებს, მხატვრებს, მუსიკოსებს და მწერლებს სამუშაოს აძლევდნენ „თეატრის ფედერალური პროექტის", „სამხატვრო ფედერალური პროექტის", „მწერალთა ფედერალური პროექტის" მეშვეობით. გარდა ამისა, „ახალგაზრდობის ეროვნული ადმინისტრაცია" ნახევარგანაკვეთიან სამუშაოს სთავაზობდა სტუდენტებს, ქმნიდა კვალიფიკაციის კურსებს და ეხმარებოდა უმუშევარ ახალგაზრდებს. WPA ერთდროულად ასაქმებდა მხოლოდ დაახლოებით 3 მილიონ უმუშევარს; 1943 წლისათვის, როდესაც მასზე უარი ითქვა, მას უკვე დახმარება ჰქონდა გაწეული 9 მილიონი ადამიანისათვის.

მაგრამ რუზველტის აზრით, „ახალი კურსის ქვაკუთხედს წარმოადგენდა 1935 წლის „სოციალური უსაფრთხოების აქტი". „სოციალური უსაფრთხოება" ქმნიდა დაზღვევის და მოსამსახურეთა გადასახადების სისტემას ასაკოვანთათვის, სამუშაოზე დაინვალიდებულთათვის და უმუშევრებისათვის. ბევრმა სხვა სამრეწველო ქვეყანამ უკვე მიიღო ასეთი პროგრამები, მაგრამ შეერთებულ შტატებში „პროგრესულთა" ამგვარ მოწოდებებს 1900 წელს არავინ ათხოვა ყური. თუმცა კონსერვატორები ჩიოდნენ, რომ სოციალური უსაფრთხოების სისტემა ამერიკულ ტრადიციებს ეწინააღმდეგებოდა, სინამდვილეში ის შედარებით კონსერვატიული იყო. სოციალური უსაფრთხოების დაფინანსება ხდებოდა მეტწილად მომსახურეთა გადასახადებიდან. ეს გადასახადი იყო

ფიქსირებული და ყველასათვის თანაბარი, მიუხედავად მათი შემოსავლისა. რუზველტისათვის პროგრამის ეს შეზღუდვები კომპრომისს წარმოადგენდნენ, რომელიც გაკეთდა პროგრამის მიღების უზრუნველსაყოფად. თუმცა საწყის ეტაპზე „სოციალური უზრუნველყოფის" პროგრამა სუსტი იყო, დღესდღეობით ის ერთ-ერთი უდიდესი საშინაო პროგრამაა, რომელსაც ატარებს აშშ-ს მთავრობა.

ახალი კოალიცია

1936 წელს რესპუბლიკელთა პარტიამ რუზველტის მეტოქედ დაასახელა ალფრედ მ. ლენდონი, კანზასის შტატის შედარებით ლიბერალური გუბერნატორი. მიუხედავად „ახალი კურსის" ყოველგვარი კრიტიკისა, რუზველტმა კიდევ უფრო დამაჯერებლად გაიმარჯვა, ვიდრე 1932 წელს. მან მიიღო მთელი მოსახლეობის 60 პროცენტის მხარდაჭერა და გაიმარჯვა ყველა შტატში, გარდა მენისა და ვერმონტისა. ამ არჩევნებზე გაჩნდა ახალი ფართო კოალიცია დემოკრატიულ პარტიასთან, რომელიც შედგებოდა მუშებისაგან, ფერმერთა უმეტესობისაგან, იმიგრანტებისაგან, ქალაქებში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისაგან აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან. რესპუბლიკელებმა მიიღეს ბიზნესმენთა და საშუალო ფენის მხარდაჭერა პატარა ქალაქებში და გუბერნიებში. ეს პოლიტიკური ალიანსი, ზოგიერთი ცვლილებებითა და გადაადგილებებით, გაგრძელდა რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე.

1932–1938 წლებში ფართოდ გავრცელდა საზოგადოების კამათი „ახალი კურსის" პოლიტიკის მნიშვნელობის შესახებ ერის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებისათვის. ცხადი გახდა, რომ ამერიკელები მთავრობისგან მოელოდნენ მეტი პასუხისმგებლობის აღებას თავის თავზე ერის კეთილდღეობისათვის. ისტორიკოსები ხშირად მიიჩნევენ „ახალი კურსის" დამსახურებად იმას, რომ მან შეერთებულ შტატებში შექმნა თანამედროვე კეთილდღეობის საფუძველი. „ახალი კურსის" ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ფუნქციების უსასრულო გაფართოება ძირს გამოუთხრიდა ხალხის თავისუფლებას. მაგრამ ამის საპირისპიროდ პრეზიდენტი რუზველტი დარწმუნებული იყო, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშემწყობი ღონისძიებები გააძლიერებდნენ დემოკრატიას და თავისუფლებას.

1938 წელს რადიოთი წარმოთქმულ მიმართვაში რუზველტმა შეახსენა ამერიკელ ხალხს, რომ:

> *დემოკრატია გაქრა რამოდენიმე სხვა დიდ ქვეყანაში არა მარტო იმიტომ, რომ იმ ხალხებს არ მოსწონდათ იგი, არამედ იმიტომ, რომ მათ მობეზრდათ უმუშევრობა და*

*დაუცველობა, თავისი მშიერი ბავშვების ყურება, როდესაც ისინი უმწეონი აღმოჩნდნენ წინამძღოლობის უნარს მოკლებული მთავრობის დაბნეულობის და სისუსტის გამო... სასოწარკვეთილებმა, მათ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეს დაეთმოთ თავისუფლება საჭმელის შოვნის იმედით. ჩვენ ამერიკაში ვიცით, რომ სრულიად შესაძლებელია აქ არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების შენარჩუნება და ამუშავება. მაგრამ მათ შესანარჩუნებლად ჩვენ უნდა... დავამტკიცოთ, რომ დემოკრატიული ხელისუფლების მოქმედება ნიშნავს ხალხის უსაფრთხოების დაცვას... ამერიკელი ხალხი თანახმაა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, დაიცვას თავისი თავისუფლება, და დაცვის მოწინავე ხაზი სწორედ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.*

---

**მეორე მსოფლიო ომის წინ**

რუზველტის პრეზიდენტობის მეორე ვადის დაწყებამდე მისი საშინაო პროგრამა დაჩრდილა ახალმა საშიშროებამ, რომელსაც ამერიკელები თითქმის ვერ ამჩნევდნენ: იაპონიის, იტალიის და გერმანიის ტოტალიტალური რეჟიმის ექსპანსიონისტურმა გეგმებმა. 1931 წელს იაპონიამ დაიპყრო მანჯურია და გაანადგურა ჩინელთა წინააღმდეგობა; ერთი წლის შემდეგ იაპონელებმა შექმნეს მარიონეტული სახელმწიფო მანჩუკუო. იტალიამ შეწყვიტა ფაშიზმისათვის წინააღმდეგობის გაწევა და გააფართოვა თავისი საზღვრები ლიბიაში, ხოლო 1935 წელს შეუტია ეთიოპიას. გერმანიამ, სადაც ადოლფ ჰიტლერმა ჩამოაყალიბა ნაციონალ-სოციალისტური პარტია და 1933 წელს ხელში ჩაიგდო ხელისუფლების სადავეები, ხელახლა მოახდინა მდინარე რეინის მიწების ოკუპაცია და დაიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღება.

გამომჟღავნდა ტოტალიტარიზმის ჭეშმარიტი ბუნება, და როდესაც გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ გააგრძელეს თავიანთი აგრესია, ამერიკელთა შიშმა განაპირობა იზოლაციონისტური განწყობილების აღმოცენება. 1938 წელს ჰიტლერმა გააერთიანა ავსტრია გერმანიის რაიხში, მისმა პრეტენზიებმა ჩეხოსლოვაკიის ზუდეტენლენდზე ყოველ წუთს გახადა მოსალოდნელი ომი ევროპაში. I მსოფლიო ომის შემდეგ დემოკრატიისათვის ბრძოლის წარუმატებლობის გამო რწმენადაკარგულმა შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს, რომ კონფლიქტში ჩაბმულ არც ერთ ქვეყანას არანაირ პირობებში არ უნდა მიემართა მისთვის დახმარებისათვის. ნეიტრალიტეტის კანონმდებლობა, რომელიც თანდათან ამოქმედდა 1935–1937 წლებში, კრძალავდა შეერთებული შტატების ჩაბმას სხვის ომში.

1939 წელს ნაცისტების პოლონეთზე თავდასხმის და მეორე მსოფლიო ომის დაწყების შედეგად იზოლაციონისტურმა განწყობილებამ იმატა იმ ამერიკელებშიც კი, რომელთა დამოკიდებულება მსოფლიო მოვლენებისადმი შორს იყო ნეიტრალურისაგან. საზოგადოებრივი აზრი აშკარად ჰიტლერის აგრესიის მსხვერპლთა მხარეზე იყო და თანაუგრძნობდა მოკავშირეებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის ექსპანსიას. ამ სიტუაციაში რუზველტს მხოლოდ ლოდინი შეეძლო, თუ როდის შეიცვლებოდა საზოგადოებრივი აზრი აშშ-ს ომში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

საფრანგეთის დაცემასთან და 1940 წელს ბრიტანეთის წინააღმდეგ საჰაერო ომის დაწყებასთან ერთად გამწვავდა კამათი დემოკრატიული სახელმწიფოების დაცვის მომხრეთა და იზოლაციონისტებს შორის, რომლებიც გაერთიანდნენ „ამერიკის პირველი კომიტეტის" გარშემო და რომლებსაც მხარს უჭერდნენ როგორც შუა დასავლეთის კონსერვატორები, ისე მემარცხენე პაციფისტები. ბოლოს და ბოლოს, გაჭიანურებულ საზოგადოებრივ კამათში გაიმარჯვა ინტერვენციის მომხრეთა არგუმენტებმა, რასაც მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო „მოკავშირეთა დახმარების გზით ამერიკის დაცვის კომიტეტმა".

შეერთებულმა შტატებმა და კანადამ შექმნეს თავდაცვის ერთობლივი საბჭო და შეთანხმდნენ სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებთან დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყნების კოლექტიური თავდაცვის შესახებ. კონგრესმა, რომელიც მზარდი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, კენჭი უყარა შეიარაღებისათვის დიდი თანხების გამოყოფას, და 1940 წლის სექტემბერში მშვიდობიანობის პერიოდში პირველად მიღებულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურის ბილი, მართალია, მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით წარმომადგენელთა პალატაში. 1941 წლის დასაწყისში კონგრესმა მიიღო „სესხება-იჯარის" (Lend-Lease) პროგრამა, რომლის საფუძველზე პრეზიდენტ რუზველტს საშუალება ეძლეოდა მიეწოდებინა იარაღი და ტექნიკა ნებისმიერი ქვეყნისათვის (დიდი ბრიტანეთისა, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთისათვის), რაც მიჩნეულ იქნა სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმედ შეერთებული შტატების დასაცავად. „სესხება-იჯარის" დახმარების საერთო თანხამ 50 000 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

1940 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კომპანიამ ნათელჰყო, რომ იზოლაციონისტებს, თუმცა ისინი ბევრს ხმაურობდნენ, შედარებით ნაკლები მიმდევარი ჰყავდათ ქვეყანაში. რუზველტის რესპუბლიკელ მეტოქეს არ ჰქონდა ძლიერი არგუმენტები, რადგან ის მხარს უჭერდა პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკას და იწონებდა, აგრეთვე, მისი საშინაო

პროგრამის დიდ ნაწილს. ამრიგად, ნოემბრის არჩევნებში უპირატესობა კვლავ რუზველტს ჰქონდა. პირველად აშშ-ს ისტორიაში პრეზიდენტი არჩეული იყო მესამე ვადით.

---

## იაპონია, პერლ ჰარბორი და ომი

ვიდრე ამერიყელთა უმეტესობა მღელვარებით ადევნებდა თვალს ევროპაში მიმდინარე ომს, დაიძაბა მდგომარეობა აზიაში. იაპონიამ თამამად გამოაცხადა „ახალი წესი", რომლის მიხედვითაც მას ექნებოდა ჰეგემონია მთელ წყნარ ოკეანეზე. ბრიტანეთი, რომელიც იბრძოდა თავისი არსებობისათვის ნაცისტურ გერმანიასთან, ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას იაპონიას, მან დაიხია შანხაიდან და დროებით ჩაკეტა ბირმის გზა. 1940 წელს იაპონიამ საფრანგეთში ვიშის სუსტი მთავრობისაგან მოითხოვა თანხმობა ესარგებლა ინდოჩინეთის აეროდრომებით. სექტემბრისათვის იაპონია შეუერთდა „რომი-ბერლინის კავშირს". როგორც კონტრღონისძიება, შეერთებულმა შტატებმა ემბარგო დაადეს რკინის ჯართის ექსპორტს იაპონიაში.

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იაპონელები ყურადღებას გადაიტანდნენ სამხრეთით ბრიტანეთის მალაის ნავთობზე, თუნუქზე და კაუჩუკზე და ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთზე. 1941 წლის ივლისში იაპონიამ დაიკავა ინდოჩინეთის დანარჩენი ნაწილი; ამის საპასუხოდ შეერთებულმა შტატებმა გაყინეს იაპონიის ანგარიშები.

1941 წლის ოქტომბერში იაპონიის პრემიერ-მინისტრი გახდა გენერალი ჰიდეკი ტოჯო. შუა ნოემბერში მან გააგზავნა სპეციალური დესპანი შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან კორდელ ჰალთან შესახვედრად. სხვა საკითხებთან ერთად იაპონიამ მოსთხოვა შეერთებულ შტატებს აემოქმედებინა იაპონიის ანგარიშები და შეეწყვიტა აშშ-ს ექსპანსია წყნარ ოკეანეში. ჰალმა გაყინული ანგარიშების ამოქმედების სანაცვლოდ შესთავაზა იაპონიას დაეტოვებინა ჩინეთი და ინდოჩინეთი. იაპონიამ ითხოვა ორი კვირა წინადადების შესასწავლად, მაგრამ 1 დეკემბერს უარყო ის. 6 დეკემბერს ფრანკლინ რუზველტმა მიმართა უშუალოდ იაპონიის იმპერატორს ჰიროჰიტოს. 7 დეკემბერს დილით იაპონიის ავიამზიდებზე ბაზირებულმა თვითმფრინავებმა წყნარ ოკეანეში, პერლ ჰარბორში (ჰავაის კუნძულები) მოულოდნელი, გამანადგურებელი თავდასხმა განახორციელეს აშშ-ს ფლოტზე. ცხრამეტი ხომალდი, მათ შორის 5 სახაზო, და დაახლოებით 150 აშშ-ს თვითმფრინავი განადგურდა; 2 300-ზე მეტი ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი დაიღუპა. მხოლოდ ერთ რამეში გაუმართლდა ამერიყელებს იმ დღეს: აშშ-ს ავიამზიდები, რომლებმაც შემდგომში გადამწყვეტი როლი

ითამაშეს წყნარ ოკეანეში საზღვაო ბრძოლებში გამარჯვების მოპოვებაში, იმ დროს ზღვაში იყვნენ გასული და არ იდგნენ პერლ ჰარბორში.

როდესაც ამერიკის რადიომ გადმოსცა ჰავაიში, მიდუეიში, გუამში და უეიკში იაპონელთა მიერ განხორციელებული რეიდების დეტალები, თავდაპირველი განცვიფრება განრისხებამ შეცვალა იმის გამო, რასაც პრეზიდენტმა რუზველტმა უწოდა „დღე, რომელიც სამარცხვინო ლაქად დარჩება“. 8 დეკემბერს კონგრესმა გამოაცხადა საომარი მდგომარეობა იაპონიასთან; სამი დღის შემდეგ გერმანიამ და იტალიამ ომი გამოუცხადეს შეერთებულ შტატებს.

ქვეყანა სწრაფად ამოქმედდა ადამიანთა და მთელი ინდუსტრიული შესაძლებლობების მობილიზაციაში მოსაყვანად. 1942 წლის იანვარს პრეზიდენტმა რუზველტმა გამოაცხადა წარმოების თავბრუდამხვევი მიზნები: იმ წელს 60 000 თვითმფრინავის, 45 000 ტანკის, 20 000 საზენიტო დანადგარის წარმოება და 18 მილიონი ტონა დედვეიტი (სრული ტვირთამწეობის) საქონლის ტრანსპორტირება. ქვეყნის მთელი საქმიანობა – სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, წიაღისეულის მოპოვება, ვაჭრობა, შრომა, ინვესტირება, კავშირგაბმულობა, განათლებაც და კულტურული ღონისძიებანიც კი – გარკვეულწილად ახლებურ და გაფართოებულ კონტროლს ექვემდებარებოდა. ქვეყანაში იქმნებოდა უშველებელი თანხები, რომლებიც ხმარდებოდა მრეწველობის ახალი დიდი დარგების ჩამოყალიბებას გემების, ჯავშნოსნების და თვითმფრინავების საწარმოებლად. ადგილი ჰქონდა მოსახლეობის დიდ გამოცოცხლებას. ჯარში გაწვევის მთელი რიგი აქტებით შეერთებულმა შტატებმა შეიარაღებული ძალები გაზარდეს 15 100 000-მდე. 1943 წლის ბოლოსათვის დაახლოებით 65 მილიონი კაცი და ქალი სამხედრო ფორმაში იყო ჩაცმული და ომთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩაბმული.

შეერთებული შტატების წინააღმდეგ ჩატარებულმა შეტევამ იზოლაციონისტები განაიარაღა და შესაძლებელი გახადა სწრაფი სამხედრო მობილიზაცია. მაგრამ პერლ ჰარბორის შედეგად და აზიური შპიონაჟის შიშით ამერიკელებმა ჩაიდინეს შეუწყნარებლობის აქტი. 1942 წლის თებერვალში კალიფორნიაში მცხოვრები თითქმის 120 000 იაპონელი-ამერიკელი მოსწყვიტეს თავიანთ სახლებს და მოათავსეს ეკლიან მავთულს მიღმა გაშენებულ 10 უბადრუკ დროებით ბანაკში, საიდანაც შემდეგ უნდა გადაეყვანათ „განმანაწილებელ ცენტრებში“ სამხრეთ-დასავლეთის იზოლირებული ქალაქების მახლობლად. ამ იაპონელი ამერიკელების თითქმის 63 პროცენტი იყო „ნისეი“ – ამერიკაში

დაბადებული – და, ამგვარად, ამერიკის მოქალაქე. უნდა აღინიშნოს, რომ შპიონაჟის არც ერთი შემთხვევა არ გამოაშკარავებულა. სინამდვილეში კი, იაპონელი ამერიკელები ჰავაის კუნძულებიდან და კონტინენტიდან, ღირსეულად იბრძოდნენ ორ ქვეით ნაწილში იტალიის ფრონტზე. ზოგიერთი კი თარჯიმნად და მთარგმნელად მუშაობდა წყნარ ოკეანეში. 1983 წელს აშშ-ს მთავრობამ აღიარა ინტერნირების უსამართლობა და გადაუხადა ლიმიტირებული კომპენსაცია უსამართლოდ დასჯილ იმ იაპონელ ამერიკელებს, ვინც კიდევ ცოცხალი იყო.

---

**ომი ჩრდილოეთ აფრიკასა და ევროპაში**

მალე დასავლეთის მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, რომ მათი ძირითადი მოქმედებები უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული ევროპაში, სადაც არსებობდა მოწინააღმდეგის მთავარი ძალა, მაშინ როდესაც წყნარი ოკეანის ფრონტი მეორეხარისხოვნად მიიჩნიეს.

1942 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ბრიტანეთის ჯარებმა შეაჩერეს გერმანელთა ურიში ეგვიპტეზე და უკან, ლიბიისკენ დაახევინეს გერმანელთა გენერალს ერვინ რომელს, რითაც მოიხსნა საშიშროება გერმანელთა მიერ სუეცის არხის ხელში ჩაგდებისა, რომელიც აკავშირებდა ხმელთაშუა ზღვას წითელ ზღვასთან.

1942 წლის 2 ნოემბერს ამერიკის ჯარები გადმოსხდნენ ჩრდილოეთ აფრიკის საფრანგეთის ტერიტორიაზე და მძიმე ბრძოლების შემდეგ სასტიკად დაამარცხეს იტალიის და გერმანიის ჯარები. 1942 წელი იყო შემობრუნების წელი აღმოსავლეთის ფრონტზეც, სადაც საბჭოთა კავშირმა უზარმაზარი დანაკარგების ფასად შესძლო შეეჩერებინა გერმანელთა შემოჭრა ლენინგრადის და მოსკოვის მისადგომებთან და დაამარცხა გერმანელთა ჯარები სტალინგრადთან.

1943 წლის ივლისში ბრიტანეთისა და ამერიკის ჯარებმა დაიკავეს სიცილია, და გაზაფხულის ბოლოსათვის ნაცისტები განდევნილ იქნენ ხმელთაშუა ზღვის სამხრეთის სანაპიროდან. მოკავშირეთა ჯარები გადმოსხდნენ იტალიის ძირითად ტერიტორიაზე, და თუმცა იტალიის მთავრობამ უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა, ბრძოლამ ნაცისტთა ძალების წინააღმდეგ იტალიაში მწვავე და გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. რომი ვერ გაანთავისუფლეს 1944 წლის 4 ივნისამდე. ჯერ კიდევ მძვინვარებდა ბრძოლები იტალიაში, როდესაც მოკავშირეთა ძალებმა გამანადგურებელი საჰაერო შეტევები განახორციელეს გერმანიის რკინიგზებზე, ქარხნებზე და იარაღის საწყობებზე, მათ შორის გერმანელთა საწვავის მარაგზე პლოესტში, რუმინეთში.

1943 წლის ბოლოს მოკავშირეებმა სტრატეგიულ საკითხებზე დიდი ხნის კამათის შემდეგ გადაწყვიტეს გაეხსნათ დასავლეთის ფრონტი, რომ აეძულებინათ გერმანელები მოეხსნათ დიდი ძალები რუსეთის ფრონტიდან. მოკავშირეთა ძალების მთავარსარდლად ევროპაში დაინიშნა გენერალი დუაიტ დ. ეიზენჰაუერი. დიდი მზადების შემდეგ 1944 წლის 6 ივნისს აშშ-ს, ბრიტანეთის და კანადის ჯარების პირველი კონტინგენტი, რომელსაც იცავდნენ ბევრად ძლიერი საჰაერო ძალები, გადმოვიდა ნორმანდიის სანაპიროზე, საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში. მძიმე ბრძოლების შემდეგ შეიქმნა სანაპირო პლაცდარმი, სადაც გადმოსხდნენ მოკავშირეთა ჯარები და „მარწუხისებრი“ გადაადგილების შედეგად „ტომრებში“ (ალყაში) მოაქციეს გერმანელთა ჯარების დიდი კონტინგენტი. მოკავშირეების ჯარებმა დაიწყეს მოძრაობა საფრანგეთის ტერიტორიის გაელით გერმანიისკენ. 25 აგვისტოს გაანთავისუფლეს პარიზი. გერმანიის საზღვრებთან მოკავშირეები შეაყოვნა გერმანელთა ჯიუტმა წინააღმდეგობამ, მაგრამ 1945 წლის თებერვალსა და მარტში ჯარები შეეიდნენ გერმანიის ტერიტორიაზე დასავლეთიდან ხოლო აღმოსავლეთით გერმანელთა ჯარები დამარცხდნენ რუსებთან ბრძოლებში. 8 მარტს მესამე რაიხის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ჯარების ნარჩენები დანებდნენ.

---

**ომი წყნარ ოკეანეზე**

ამასობაში აშშ-ს ძალები წინ მიიწევდნენ წყნარ ოკეანეში. თუმცა 1942 წელს აშშ-ს სამხედრო ნაწილები იძულებულნი იყვნენ დანებებულიყვნენ ფილიპინებზე, მოკავშირეებმა გაიმარჯვეს მომდევნო თვეებში. გენერალი ჯეიმს („ჯიმი“) დულიტლი სათავეში ედგა აშშ-ს ჯარის ბომბდამშენებს ტოკიოზე განხორციელებული რეიდების დროს, რომლებსაც სამხედრო თვალსაზრისით არ ჰქონდათ რაიმე მნიშვნელობა, მაგრამ სამაგიეროდ მათ დიდი ფსიქოლოგიური სტიმული მისცეს ამერიკელებს. შემდეგ თვეში მოხდა ბრძოლა მარჯნის ზღვაში – ეს იყო ისტორიაში პირველი საზღვაო შეტაკება, რომლის დროსაც ბრძოლა წარმოებდა ავიამზიდებზე ბაზირებული თვითმფრინავებით – იაპონიის ფლოტმა ისეთი მძიმე დანაკარგები განიცადა, რომ იაპონია იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის განზრახვაზე განეხორციელებინა შეტევა ავსტრალიაზე. მიდუეის ბრძოლა ივნისში, წყნარი ოკეანის ცენტრალურ ნაწილში, ომის შემობრუნების წერტილად იქცა მოკავშირეებისათვის, ამ ბრძოლაში იაპონიის ფლოტმა პირველი დიდი დამარცხება განიცადა, დაკარგა ოთხი ავიამზიდი და, ამდენად, ბოლო მოეღო იაპონიის წინსვლას წყნარი ოკეანის ცენტრში.

სხვა ბრძოლებმაც მოუტანეს წარმატება მოკავშირეთა ძალებს. გვადალკანალის ბრძოლა აშშ-ს გადამწყვეტი გამარჯვებებით დამთავრდა 1942 წლის ნოემბერში, ეს იყო აშშ-ს პირველი შეტევითი ოპერაცია წყნარ ოკეანეში. მომდევნო ორი წლის მანძილზე ამერიკის და ავსტრალიის ჯარები ბრძოლებით მიიკვლევდნენ გზას ჩრდილოეთისაკენ წყნარი ოკეანის ცენტრში განლაგებული კუნძულების „კიბით“ და წყალქვეშა ნავებით განხორციელებული შეტევების სერიის შედეგად ხელთ იგდეს სოლომონის, გილბერტის, მარშალის, მარიანის და ბონინის კუნძულები.

---

**ომის პოლიტიკა**

მოკავშირეთა შეტევებს თან სდევდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრები ომის პოლიტიკური საკითხების ირგვლივ. პირველი ასეთი შეხვედრა შედგა პრეზიდენტ რუზველტსა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს შორის 1941 წელს, როდესაც აშშ ჯერ კიდევ არ იყვნენ ომში ჩაბმული, და, ამდენად, არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას ბრძოლაში, სამხედრო მდგომარეობა კი გაურკვეველი რჩებოდა.

შეხვედრა მოხდა კრეისერზე ნიუ-ფაუნდლენდის მახლობლად (კანადა), რის შედეგად რუზველტმა და ჩერჩილმა გამოაქვეყნეს ერთობლივი „ატლანტის ოკეანის ქარტია“, რომელშიც ფორმულირებული იყო მათი განზრახვა მიეღწიათ შემდეგი მიზნებისათვის: ტერიტორიების გაფართოების არ დაშვება; ტერიტორიების გადანაწილების არ დაშვება იმ ხალხის თანხმობის გარეშე, რომელსაც ეს უშუალოდ ეხებოდა; ყველა ხალხის უფლების აღიარება თვითონ აერჩია ხელისუფლების ფორმა; თვითმმართველობის აღდგენა იმათთვის, ვისაც ეს უფლება წაერთვა; ყველა ერის ეკონომიკური თანამშრომლობა; ყველა ხალხის განთავისუფლება ომისგან, შიშისგან, სიღატაკისგან; უარის თქმა ძალის გამოყენებაზე როგორც საერთაშორისო პოლიტიკის წარმოების მეთოდზე.

1943 წელს კასაბლანკაში (მაროკო) ინგლისს-ამერიკის კონფერენციაზე გადაწყდა, რომ „გერმანია-იტალია-იაპონიის კავშირთან“ და მის ბალკანელ მოკავშირეებთან, არ დაიდება არავითარი ზავი, გარდა უსიტყვო კაპიტულაციისა. ეს პირობა, რომელსაც მოითხოვდა რუზველტი, მიზნად ისახავდა კონფლიქტში ჩაბმული ყველა ქვეყნის მოსახლეობის დარწმუნებას, რომ არ მოხდებოდა არავითარი ცალკე მოლაპარაკებები ფაშისტების და ნაცისტების წარმომადგენლებთან; რომ არ იქნებოდა დადებული არავითარი ცალმხრივი შეთანხმება ამ წარმომადგენელთა მიერ თავიანთი შემორჩენილი ძალაუ-

ფლების გადასარჩენად; რომ ვიდრე გერმანიის, იტალიის და იაპონიის ხალხს წარმოუდგენდნენ მშვიდობის საბოლოო პირობებს, მათ სამხედრო ხელმძღვანელობას უნდა ეღიარებინა მთელი მსოფლიოს წინაშე თავისი სრული და აშკარა დამარცხება.

1943 წლის 22 ნოემბერს კაიროში რუზველტი და ჩერჩილი შეხვდნენ ჩინეთის ნაციონალისტ ლიდერს ჩანგ კაი-შეს, რომ შეეთანხმებინათ იაპონიის კაპიტულაციის პირობები, მათ შორის ძველი აგრესიის მონაპოვრების დათმობაც. 28 ნოემბერს რუზველტი, ჩერჩილი და საბჭოთა კავშირის ლიდერი იოსებ სტალინი შეთანხმდნენ შეექმნათ საერთაშორისო ორგანიზაცია „გაერთიანებული ერები". 1945 წელს შემდგომი შეთანხმებების დასადებად ისინი შეხვდნენ იალტაში, როდესაც გამარჯვება უკვე განაღდებული ჩანდა. იქ საბჭოთა კავშირი საიდუმლოდ დათანხმდა იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმას გერმანიის დამარცხების შემდეგ. პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვარი დაახლოებით შემოფარგლეს კერზონის 1919 წელს არსებული ხაზით. გარკვეული კამათის შემდეგ გერმანიისათვის მძიმე გადასახადის დაკისრების თაობაზე – ამ პირობას ითხოვდა სტალინი და ეწინააღმდეგებოდნენ რუზველტი და ჩერჩილი – გადაწყვეტილების მიღება გადაიდო. მოგვარდა კონკრეტული საკითხები მოკავშირეთა მიერ გერმანიის ოკუპაციასთან და სამხედრო დამნაშავეთა გასამართლებასა და დასჯასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა შეთანხმდნენ, რომ გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოში შემავალ ქვეყნებს, ექნებოდათ „ვეტოს" დადების უფლება იმ საკითხებში, რომლებიც მათ უსაფრთხოებას შეეხებოდა.

იალტიდან დაბრუნებიდან ორი თვის შემდეგ ფრანკლინ რუზველტი გარდაიცვალა ცერებრალური სისხლის ჩაქცევისაგან, როდესაც ის ისვენებდა ჯორჯიის შტატში. აშშ-ს ისტორიაში ცოტა იყო პიროვნებები, რომელთა სიკვდილიც ესოდენ ღრმა მწუხარებას იწვევდა. გარკვეული პერიოდის მანძილზე ამერიკელი ხალხი გამოუსწორებელი დანაკარგის დამთრგუნველმა განცდამ მოიცვა. პრეზიდენტი გახდა ვიცე-პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი, ყოფილი სენატორი მისურის შტატიდან.

### ომი, გამარჯვება და ბომბი

ომი წყნარ ოკეანეში გაგრძელდა გერმანიის კაპიტულაციის შემდეგაც და ბოლო ბრძოლები ყველაზე მძიმე იყო. 1944 წლის ივნისის დასაწყისში ფილიპინების ზღვაში ბრძოლისას განადგურდა იაპონელების ფლოტი, რის შედეგადაც გადადგა იაპონიის პრემიერ-მინისტრი ტოჯო. გენერალი დუგლას მაკარტური, რომელმაც უხალისოდ დატოვა ფილიპინები ორი წლის წინ და რომელიც გადაურჩა იაპონელთა ტყვეობას, დაბრუნდა კუნძულებზე ოქტომბერში და გზა გაუნთავისუფლა აშშ-ს ფლოტს. ბრძოლა ლეიტის ყურეში დამთავრდა იაპონიის ფლოტის დიდი დამარცხებით, ფილიპინებზე კონტროლი კვლავ მოკავშირეების ხელში აღმოჩნდა.

1945 წლის თებერვალში აშშ-ს სამხედრო ძალებმა დაიკავეს მანილა. შემდეგ შეერთებულმა შტატებმა ყურადღება ივო ჯიმას და ბონინის კუნძულებზე გადაიტანეს, რომლებიც მდებარეობენ ნახევარ გზაზე მარიანის კუნძულებსა და იაპონიას შორის. მაგრამ იაპონელებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი შეენარჩუნებინათ კუნძული და მოხერხებულად გამოიყენეს ბუნებრივი გამოქვაბულები და კლდოვანი რელიეფი. აშშ-ს მხრიდან დაბომბვას იაპონელებმა დაუპირისპირეს მტკიცე წინააღმდეგობა მიწაზე და კამიკაძეთა თვითმკვლელური შეტევები ციდან. აშშ-ს ჯარებმა კუნძული დაიკავეს მარტის შუა რიცხვებში, მაგრამ ბრძოლებში დაიღუპა დაახლოებით 6 000 ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი და განადგურდა იაპონელთა თითქმის მთელი ძალები. აშშ-მ დაიწყო ფართო საჰაერო შეტევები იაპონიის გემებზე და აეროდრომებზე. მარტიდან აგვისტოს ჩათვლით აშშ-ს მე-20 საჰაერო არმიამ ერთი მეორის მიყოლებით განახორციელა საჰაერო თავდასხმები იაპონიის კუნძულებზე.

აშშ-ს, ბრიტანეთის და საბჭოთა კავშირის მთავრობების ხელმძღვანელები შეხვდნენ პოსტდამში, ბერლინის გარეუბანში 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე, რომ ემსჯელათ იაპონიის წინააღმდეგ ჩასატარებელ სამხედრო ოპერაციებზე, მშვიდობის დამყარებაზე ევროპაში, მომავალი გერმანიის მიმართ გასატარებელ პოლიტიკაზე.

კონფერენცია შეთანხმდა, რომ საჭირო იყო ნაციზმის ბატონობის ხანაში გაზრდილ გერმანელთა თაობის ხელახალი აღზრდა, ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების აღდგენის ზოგადი პრინციპების შემუშავება. კონფერენციაზე აგრეთვე განიხილეს გერმანიის წინააღმდეგ რეპარაციის საკითხი, შეთანხმდნენ ნაცისტი ლიდერების გასამართლებაზე, რომლებსაც ბრალი ედებოდათ კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებრივ ქმედებაში, და მოილაპარაკეს სამრეწველო ქარხნებისა და საკუთრების დემონტაჟზე და საბჭოთა კავშირში გაგზავნაზე. მაგრამ საბჭოთა კავშირის მოთხოვნა

დაეწესებინათ გერმანიისათვის 10 000-მილიონიანი დოლარის ოდენობის რეპარაცია უთანხმოების საგნად დარჩა.

პოტსდამის კონფერენციის დაწყების წინა დღეს ატომური ბომბი ააფეთქეს ალამოგორდოში, ნიუ-მექსიკოში, რაც შეერთებული შტატების ლაბორატორიებში წარმოებული სამწლიანი ინტენსიური კვლევითი სამუშაოების დაგვირგვინება იყო. ეს პროგრამა ცნობილი იყო „მანჰეტენის პროექტის" სახელით. პრეზიდენტმა ტრუმენმა გადაწყვიტა, რომ ატომური ბომბის გამოყენება შეიძლებოდა იაპონიის კაპიტულაციის დასაჩქარებლად და ნაკლები მსხვერპლით, ვიდრე ეს იაპონიის ძირითად ტერიტორიაზე გადასვლით მოხდებოდა, და ბრძანა ბომბის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იაპონელები უარს იტყოდნენ კაპიტულაციაზე 3 აგვისტოსათვის. მოკავშირეებმა გამოაქვეყნეს პოტსდამის დეკლარაცია 26 ივლისს და პირობა დადეს, რომ კაპიტულაციის შემთხვევაში იაპონია არ იქნებოდა განადგურებული ან დამონებული, მაგრამ თუ ის უარს იტყოდა კაპიტულაციაზე, ქვეყანა განადგურებული იქნებოდა.

აშშ-ს სამხედრო და პოლიტიკური ოფიციალური პირებისგან შემდგარმა კომიტეტმა განიხილა ახალი იარაღის სამიზნე პუნქტების საკითხი. ტრუმენის აზრით, სამიზნედ შეიძლებოდა ყოფილიყო შერჩეული მხოლოდ სამხედრო განლაგებების ადგილი. სამხედრო მინისტრი ჰენრი ლ. სტიმსონი ამტკიცებდა, რომ კიოტო, იაპონიის უძველესი დედაქალაქი და ბევრი ეროვნული სიმდიდრის საცავი არ შეიძლებოდა ქცეულიყო სამიზნედ. შეჩერდნენ ჰიროსიმაზე, სამხედრო მრეწველობის და სამხედრო ოპერაციების ცენტრზე.

6 აგვისტოს აშშ-ს თვითმფრინავმა „ენოლა გეიმ" ჩამოაგდო ატომური ბომბი ჰიროსიმაზე. 8 აგვისტოს ჩამოაგდეს მეორე ატომური ბომბი, ამჯერად ნაგასაკიზე. ამერიკელებმა შეება იგრძნეს, რომ ბომბმა ომის დასასრული დააჩქარა; მხოლოდ მოგვიანებით გაიგეს მისი გასაოცარი გამანადგურებელი სიძლიერის შესახებ. 14 აგვისტოს იაპონია დათანხმდა პოტსდამში დასმულ პირობებზე. 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ ოფიციალურად გამოაცხადა კაპიტულაციის შესახებ.

1945 წლის ნოემბერში გერმანიაში, ნიურნბერგში, ჩატარდა დამნაშავეთა სასამართლო, პოტსდამის შეთანხმების შესაბამისად. ბრიტანეთის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის და შეერთებული შტატების გამოჩენილი იურისტები მონაწილეობდნენ სასამართლო პროცესში, რომელზედაც ნაცისტებს წაუყენეს არა მარტო აგრესიული ომის წამოწყების და წარმოების, არამედ თვით ომის და ჰუმანიზმის კანონების

დარღვევის ბრალდება, რაც გამოიხატა ევროპელი ებრაელებისა და სხვა ერების სისტემატურ გენოციდში, რაც ცნობილი იყო „განადგურების“ (Holocaust) სახელით. სასამართლო პროცესი 10 თვე გრძელდებოდა და ყველა ბრალდებულს, სამის გარდა, პატიმრობა მიუსაჯა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელმაც გავლენა მოახდინა ომისშემდგომ მსოფლიოზე, მიღებული იყო 1945 წლის 25 აპრილს ევროპაში ომის უკანასკნელ დღეებში, თუმცა ბრძოლა ჯერ კიდევ ბობოქრობდა წყნარ ოკეანეში. 50 ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბა სან-ფრანცისკოში (კალიფორნია), რომ შეექმნათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურა. მათ მიერ ჩამოყალიბებული კონსტიტუცია იძლეოდა მსოფლიო ორგანიზაციის მონახაზს, რომლის მიხედვით საერთაშორისო უთანხმოებანი მშვიდობიანი მსჯელობის საგანი უნდა ყოფილიყვნენ და ბრძოლა შიმშილთან და ავადმყოფობასთან ერთობლივი ძალისხმევის მიზნად უნდა ქცეულიყო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს ერთა ლიგაში გაწევრიანებაზე, მაგრამ ახლა, პირიქით, აშშ-ს სენატმა დაუყოვნებლივ გაუკეთა რატიფიკაცია გაერთიანებული ერების წესდებას 89 ხმით 2-ის წინააღმდეგ. ამ გადაწყვეტილებამ დაადასტურა, რომ ბოლო მოეღო იზოლაციონისტურ განწყობილებას, რომელიც დომინირებდა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში, და მიანიშნა მსოფლიოს, რომ შეერთებულ შტატებს გადაწყვეტილი ჰქონდათ წამყვანი როლი ეთამაშათ საერთაშორისო საქმეებში.

## სამრეწველო პროფკავშირების აღმავლობა

*1920-იანი წლები შეერთებულ შტატებში შედარებითი კეთილდღეობის წლები იყო, მაგრამ ზოგიერთ სამრეწველო დარგში დასაქმებული მუშები, როგორიცაა ფოლადის, საავტომობილო, რეზინის და საფეიქრო მრეწველობა, შედარებით უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე სხვა დარგის მუშები. სამუშაო პირობები ბევრ დარგებში ისეთივე მძიმე იყო, როგორც საუკუნის დასაწყისში. მაგალითად, 1923 წლამდე ფოლადის წარმოებაში დასაქმებული მუშა საშუალოდ 12 საათს მუშაობდა დღეში და მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ ჰქონდა დასვენების დღე.*

*1920-იან წლებში მასობრივი წარმოების დარგების წარმომადგენელი კაპიტალისტები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ პროფკავშირების ზრდისათვის, რომლებმაც „ამერიკის მუშათა ფედერაციის" დახმარებით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს I მსოფლიო ომის დროს. ეს ხელშეშლა მრავალნაირი ხერხებით ხდებოდა, მათ შორის ჯაშუშების და შეიარაღებული შტრეიკბრეხერების გამოყენებით და იმ პირთა სამსახურიდან დათხოვნით, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ პროფკავშირის მხარდაჭერაში. დამოუკიდებელ პროფკავშირებს ხშირად ბრალს სდებდნენ კომუნისტობაში. ამავე დროს ბევრი კომპანია ქმნიდა თავის საკუთარ პროფკავშირულ ორგანიზაციას.*

*ტრადიციულად შტატების საკანონმდებლო ორგანოები მხარს უჭერდნენ „ღია მაღაზიის" პრინციპს, რომელიც ხელს უშლიდა პროფკავშირს გამხდარიყო მუშების ერთადერთი წარმომადგენელი. ეს უადვილებდა კომპანიებს პროფკავშირისათვის კოლექტიური შეთანხმების უფლებაზე უარის თქმას და სასამართლოს მეშვეობით პროფკავშირების ზრდისათვის ხელშეშლას. შედარებით პოზიტიური ხერხი გამოიყენეს ზოგიერთმა კომპანიებმა, რომლებიც 1920-იან წლებში სთავაზობდნენ მუშებს სხვადასხვა სახის პენსიებს, მოგების წილს, სააქციო ოფციონებს და ჯანმრთელობის პროგრამებს, რათა მოეპოვებინათ მათი მხარდაჭერა.*

*1919 წელს კომპანიები, დაწყებული ფოლადის მრეწველობიდან, მკაცრად ახშობდნენ მრავალრიცხოვან გაფიცვებს მასობრივი წარმოების დარგებში. ამის შედეგად 1920–1929 წლებში პროფკავშირების წევრთა რიცხვი შემცირდა 5 მილიონიდან 3,5 მილიონამდე.*

*დეპრესიამ გამოიწვია სამრეწველო პროდუქციაზე მოთხოვნის კატასტროფული დაცემა. ამის შედეგად გაიზარდა უმუშევრობა. 1933 წელს 12 მილიონი ამერიკელი უმუშევარი იყო. საავტომობილო მრეწველობაში, მაგალითად, 1929 წლიდან 1933 წლამდე სამუშაო ადგილები ორჯერ შემცირდა ამავე დროს ორი მესამედით შემცირდა ხელფასები.*

*მაგრამ ფრანკლინ რუზველტის პრეზიდენტად არჩევამ სამუდამოდ შეცვალა ამერიკის სამრეწველო დარგის მუშების მდგომარეობა. პირველი მაჩვენებელი იმისა, რომ რუზველტს აინტერესებდა მუშების კეთილდღეობა, იყო ფრენსის პერკინსის, შრომითი რეფორმების თვალსაჩინო მომხრის, დანიშვნა შრომის მინისტრად (პერკინსი, აგრეთვე, პირველი ქალი იყო, რომელმაც დაიკავა თანამდებობა მინისტრთა კაბინეტში). 1933 წელს კონგრესმა მიიღო შორსგამიზნული „ეროვნული სამრეწველო აღორძინების აქტი". მისი მიზანი იყო მრეწველობაში ჩაბმული ადამიანებისათვის ხელფასების მომატება, სამუშაო კვირის საათების შეზღუდვა და ბავშვთა შრომის აკრძალვა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კანონი, რომლითაც კომპანიებს ეკრძალებოდა მუშების იძულებითი გაერთიანება თავიანთ პროფკავშირებში და აღიარებულ იქნა მათი უფლება „გაერთიანებულიყვნენ პროფკავშირებში და ეწარმოებინათ კოლექტიური მოლაპარაკება საკუთარი არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით".*

*ჯონ ლ. ლუისს, „მაღაროს მუშების გაერთიანების" ენერგიულ და მჭევრმეტყველ ხელმძღვანელს სხვებზე უკეთ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა ახალი კურსი მუშებისათვის. ამახვილებდა რა ყურადღებას რუზველტის მხარდაჭერაზე, მან*

ჩაატარა პროფკავშირში გაერთიანების მძლავრი კამპანია, რის შედეგადაც UMW წევრების რიცხვი გაიზარდა 150 000-დან 500 000-მდე ერთ წელიწადში.

ლუის უნდოდა, რომ AFL-ს, რომლის აღმასრულებელი საბჭოს წევრი იყო, ჩაეტარებინა ასეთივე კამპანია მასობრივი წარმოების სფეროში. მაგრამ AFL-ს, რომელსაც ტრადიციულად ყურადღება გადატანილი ჰქონდა მაღალკვალიფიცირებულ მუშებზე, არ სურდა ამის გაკეთება. მწვავე უთანხმოების შედეგად ლუისმა და რამოდენიმე მისმა მომხრემ დატოვეს AFL და შექმნეს „სამრეწველო ორგანიზაციის კომიტეტი" (CIO), რომელსაც მოგვიანებით „სამრეწველო ორგანიზაციების კონგრესი" ეწოდა.

ლუისის და CIO-ს პირველ სამიზნედ იქცა საავტომობილო და ლითონის მრეწველობა, რომელიც ცნობილი იყო თავისი ანტიპროფკავშირული პოლიტიკით. 1936 წელს მოხდა მთელი რიგი სპონტანური მჯდომარე გაფიცვებისა „ჯენერალ მოტორსის" ქარხნებში კლივლენდში (ოჰაიო) და ფლინტში (მიჩიგანი). ლუისი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მათ და გაგზავნა პროფკავშირის ორგანიზატორთა ჯგუფი და შესაბამისი თანხა 100 000 დოლარის ოდენობით გაფიცულთა დასახმარებლად. მალე გაფიცვაში მონაწილეობდა უკვე 135 000 მუშა და წარმოება გაჩერდა.

მიჩიგანის თანამგრძნობი მერის დახმარებით პრობლემა მოგვარდა 1937 წელს. იმ წლის სექტემბრისათვის „გაერთიანებულ საავტომობილო მუშებს" ჰქონდათ დადებული კონტრაქტები საავტომობილო მრეწველობის დარგში მომუშავე 400 კომპანიასთან, რომლებიც აძლევდნენ მუშებს საათში 75 ცენტის ხელფასის და 40-საათიან სამუშაო კვირის გარანტიას.

პიტსბურგში (პენსილვანია), შეერთებული შტატების ფოლადის მრეწველობის დედაქალაქში, ამ დარგის წარმომადგენლები მოიხსენიებდნენ ლიუის პრესაში როგორც „წითელს" და „სისხლისმსმელს". მაგრამ მუშები შეაგულიანა რუზველტის ხელახალმა არჩევამ და „მუშებთან ურთიერთობის ეროვნული აქტის" მიღებამ 1936 წელს. თავისი არსებობის პირველი ექვსი თვის მანძილზე „ფოლადის მრეწველობის მუშათა საორგანიზაციო კომიტეტმა (SWOC), რომლის სათავეში იდგნენ ლიუისი და ლეიტენანტი ფილიპ მიური, 125 000 წევრი შემოიკრიბა.

„ჯენერალ მოტორსის" კაპიტულაციამ გავლენა მოახდინა კომპანია „იუ ეს სტილ"-ზე. ის მიხვდა, რომ დრო შეიცვალა და 1937 წელს წავიდა შეთანხმებაზე CIO-სთან. იმავე წელს უმაღლესმა სასამართლომ აღიარა NLRA-ს კონსტიტუციურობა. ამის შედეგად პატარა კომპანიები, რომლებიც ტრადიციულად უფრო ანტიპროფკავშირულნი იყვნენ, ვიდრე „იუ ეს სტილ"-ი, წავიდნენ შეთანხმებაზე CIO-ს კავშირებთან. ერთი მეორის მიყოლებით – რეზინის, ნავთობის, ელექტრო და საფეიქრო მრეწველობებმაც მიბაძეს მათ. მასობრივი წარმოების მშრომელები აღარ იყვნენ მარტონი.

ამერიკის ისტორიის შტრიხები

თავი მეთერთმეტე

# XI

# ომისშემდგომი ამერიკა



შესახლების დღე ახალ გარეუბანში, 1953



# „ჩვენ უნდა ავაშენოთ ახალი სამყარო, ბევრად უკეთესი სამყარო, რომელშიც ადამიანის მარადიული ღირსება დაფასდება“.

პრეზიდენტი ჰარი ს. ტრუმენი, 1945

## კონსენსუსი და ცვლილება

შუალოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში შეერთებული შტატები განაგებდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ მოვლენებს. დიდ ბრძოლაში გამარჯვებამ და ქვეყნის უვნებლად გამოსვლამ დამანგრეველი ომიდან გაუძლიერა ერს რწმენა მისი განსაკუთრებული მისიის შესახებ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. შეერთებული შტატების ლიდერებს სურდათ დემოკრატიული სტრუქტურის შენარჩუნება, რომელსაც იცავდნენ უზარმაზარი ძალისხმევის ფასად და ცდილობდნენ რაც შეიძლებოდა მეტ ხალხს ესარგებლა კეთილდღეობის შედეგებით. მათთვის ისევე, როგორც ჟურნალ „ტაიმსის“ გამომცემლის ჰენრი ლიუსისათვის, ეს პერიოდი იყო „ამერიკის საუკუნე“.

ოცი წლის მანძილზე ამერიკელთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო ამაში. მათ საყოველთაოდ აღიარეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარების საჭიროება ცივ ომში, რომელიც 1945 წლის შემდეგ დაიწყო. მათ მოსწონდათ სახელმწიფო ძალაუფლების ზრდა და აღიარე-

ბდნენ კეთილდღეობის მიღწევის საფუძვლებს, რომლებიც პირველად ჩამოყალიბდა „ახალი კურსის“ პერიოდში. მათ ახარებდათ ომისშემდგომი აყვავება, რომლის დროსაც შეერთებულ შტატებში უზარმაზარი დოვლათი შეიქმნა.

მაგრამ ზოგიერთი ამერიკელი თანდათან დააეჭვა გაბატონებულმა შეხედულებამ ამერიკული ცხოვრების შესახებ. სხვადასხვა საკითხის ირგვლივ გაჩენილმა ეჭვებმა შეარყია არსებული თანხმობა, 1950-იან წლებში აფრიკელმა ამერიკელებმა წამოიწყეს ლაშქრობა, რომელსაც მოგვიანებით სხვა ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფები და ქალები შეუერთდნენ, ამერიკული ოცნების უფრო ფართო მასებში გავრცელების მიზნით. 1960-იან წლებში პოლიტიკურად აქტიურმა სტუდენტებმა პროტესტი გამოხატეს იმ როლის მიმართ, რომელსაც ქვეყანა ასრულებდა უცხოეთში, განსაკუთრებით ვიეტნამის მწვავე ომში. ახალგაზრდათა კონტრკულტურა დაუპირისპირდა ამერიკულ ღირებულებათა სტატუს ქუო-ს. ცხოვრების სხვადასხვა წესის და სხვადასხვა შეხედულებების მქონე ამერიკელები ცდილობდნენ აღედგინათ დარღვეული წონასწორობა შეერთებული შტატების საზოგადოების მსოფლმხედველობაში.

---

ცივი ომი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ომისშემდგომ ადრეულ პერიოდში. იგი გადაიზარდა ხანგრძლივ უთანხმოებაში საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის. 1918 წელს ამერიკელთა რაზმები მონაწილეობდნენ გაერთიანებულ ინტერვენციაში რუსეთის ანტიბოლშევიკური ძალების მხარეზე. 1933 წლამდე ამერიკამ არ სცნო ბოლშევიკური რეჟიმი დიპლომატიურ დონეზე. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს დაუკავშირდა ნაცისტური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში და უგულვებელყო მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი.

ომის დამთავრების შემდეგ ანტაგონიზმმა კვლავ იჩინა თავი. შეერთებული შტატები იმედოვნებდნენ, რომ სხვა ქვეყნებიც გაიზიარებდნენ თავისუფლების, თანასწორობისა და დემოკრატიის მისეულ კონცეფციას. დანარჩენი მსოფლიო იმყოფებოდა შფოთის, სამოქალაქო ომებისა და იმპერიების დაშლის მდგომარეობაში, და შეერთებული შტატები იმედოვნებდნენ, რომ შექმნიდნენ სტაბილურ ვითარებას მშვიდობიანი აღმშენებლობის უზრუნველსაყოფად. ახსოვდათ რა დიდი დეპრესიის (1929–1940) გამოცდილება, შეერთებულმა შტატებმა ამჯერად ხელი შეუწყო თავისუფალ ვაჭრობას და მიაღწია ამ სფეროში არსებული ბარიერების მოსპობას ამერიკული სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციისათვის ბაზრების შექმნისა და დასავლეთ ევროპის

ქვეყნების ექსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, რაც დაეხმარებოდა მათ ეკონომიკურ აღმავლობას და ეკონომიკის აღდგენას. შეამცირა რა ვაჭრობის ბარიერები, ხელისუფლებას სჯეროდა, რომ ამით ხელს შეუწყობდა ეკონომიკის აღმავლობას საკუთარ ქვეყანაში და საზღვარგარეთ და მიაღწევდა სტაბილურობას შეერთებული შტატების მეგობრებსა და მოკავშირეებთან ურთიერთობაში.

საბჭოთა კავშირს თავისი ამოცანები გააჩნდა. რუსეთის ისტორიული ტრადიცია გულისხმობდა ცენტრალიზებულ, ავტოკრატულ სახელმწიფოს, ხოლო ამერიკელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ დემოკრატიას. ომის წლებში მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენა შემცირდა, თუმცა იგი ჯერ კიდევ განაგებდა საბჭოთა პოლიტიკას. საბჭოთა კავშირს, გაჩანაგებულს ბრძოლებით, რომელშიც 20 მილიონი მოქალაქე დაკარგა, განზრახული ჰქონდა ეზრუნა აღდგენაზე და სხვა მსგავსი საშინელი კონფლიქტების თავიდან აცილებაზე. გაუმკლავდნენ რა ჰიტლერის დარტყმას, მათ გადაწყვიტეს თავიდან აეცილებინათ სხვა მსგავსი შეტევებიც. საბჭოთა კავშირს ამჟამად სჭირდებოდა „დასაცავად მოხერხებული“ საზღვრები და ისეთი რეჟიმების არსებობა აღმოსავლეთ ევროპაში, რომლებიც მის მიზნებს შეესაბამებოდა. მაგრამ შეერთებულ შტატებს ომის ერთ-ერთ მიზნად გამოცხადებული ჰქონდათ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენა და თვითმმართველობის დამყარება.

---

**ჰარი ტრუმენი**

ჰარი ტრუმენმა შეცვალა ფრანკლინ დ. რუზველტი პრეზიდენტის პოსტზე ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე. უპრეტენზიო კაცი, რომელიც ადრე დემოკრატი სენატორი იყო მისურიდან, შემდეგ კი ვიცე-პრეზიდენტი, ტრუმენი თავდაპირველად მოუმზადებლად გრძნობდა თავს შეერთებული შტატების სამართავად. რუზველტი მას არ ანდობდა რთული ომისშემდგომი პრობლემების გადაწყვეტას და ამიტომ მას მცირე გამოცდილება ჰქონდა მიღებული საერთაშორისო საქმეებში. „მე არ ვარ საკმარისად მომზადებული ასეთი სამუშაოსათვის“, – უთხრა მან ერთ ყოფილ კოლეგას.

მაგრამ ტრუმენი გამოირჩეოდა სწრაფი რეაგირების უნარით ყოველ ახალ გამოწვევაზე და შეეძლო დროზე მიეღო საჭირო გადაწყვეტილება მის წინაშე მდგარი პრობლემის გადასაჭრელად. წარწერა მის მაგიდაზე თეთრ სახლში, რომელიც აქამდე ცნობილია პოლიტიკოსებს შორის, გვაუწყებდა: „პასუხისმგებლობის საკითხი აქ წყდება“ და ასახავდა მის მზადყოფნას აეღო პასუხისმგებლობა თავის ქცევაზე.

**მისმა საბჭოთა კავშირის მოქმედების საპირისპირო გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადრეულ ცივ ომზე.**

**ცივი ომის წყაროები**

თავდაპირველად, ცივი ომი წარმოიშვა ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის შესახებ განსხვავებული შეხედულებების შედეგად, რომელმაც წარმოშვა ეჭვი და უდნობლობა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. პირველი ასეთი კონფლიქტი მოხდა პოლონეთთან დაკავშირებით. მოსკოვი მოითხოვდა საბჭოების გავლენის ქვეშ მყოფ მთავრობას, ვაშინგტონს კი უფრო დამოუკიდებელი, დასავლეთის მოდელის მსგავსი წარმომადგენლობითი მთავრობა სურდა. იალტის კონფერენციაზე, 1945 წლის თებერვალში, მიღებულ იქნა ფართომასშტაბიანი შეთანხმება, რომელიც უშვებდა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. მის დებულებათა შორის იყო პირობა პოლონეთში „თავისუფალი და შეუზღუდავი" არჩევნების შესახებ.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ვიაჩესლავ მოლოტოვთან პირველი შეხვედრისას ტრუმენმა გამოავლინა, რომ მტკიცედ იდგა პოლონეთის თვითგამორკვევის პოზიციებზე. მან მთელი ლექცია წაუკითხა საბჭოთა დიპლომატს იალტის შეთანხმების შესრულების საჭიროების შესახებ. როცა მოლოტოვი შეედავა: „ჩემს სიცოცხლეში ასეთი რამ არავის უკადრებიაო", ტრუმენმა უპასუხა: „თქვენ ხელშეკრულება შეასრულეთ და ასე არავინ დაგელაპარაკებათო". აქედან მოყოლებული, ურთიერთობა გაუარესდა.

მეორე მსოფლიო ომის ბოლო თვეების მანძილზე საბჭოთა სამხედრო ძალებმა დაიკავეს მთელი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა. მოსკოვმა გამოიყენა თავისი სამხედრო ძალა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური პარტიების მხარდასაჭერად და დემოკრატიული პარტიების გასანადგურებლად. მოსკოვისაგან დავალებულმა კომუნისტურმა პარტიებმა სწრაფად განავრცეს თავიანთი ძალაუფლება და გავლენა რეგიონის ყველა ქვეყანაში, რომელმაც კულმინაციას მიაღწია coup d'état[1]-ის დროს ჩეხოსლოვაკიაში 1948 წელს.

საჯარო განცხადებებმა განაპირობეს ცივი ომის დაწყება. 1946 წელს სტალინმა განაცხადა, რომ საერთაშორისო მშვიდობა შეუძლებელი იყო „მსოფლიო ეკონომიკის ახლანდელი კაპიტალისტური განვითარების პირობებში". უინსტონ ჩერჩილმა, დიდი ბრიტანეთის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა, დრამატიზმით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა ფულტონში (მისურის შტატი) ტრუმენთან ერთად, რომელიც მთელი მიმართვის განმავლობაში ტრიბუნაზე იჯდა. „შჩეცინიდან ბალტიის

1 coup d'état – სახელმწიფო გადატრიალება (მთარგმ.)

ზღვაში ტრიესტამდე ადრიატიკაში", – თქვა ჩერჩილმა, – „კონტინენტზე რკინის ფარდა ჩამოეშვა". მან განაცხადა, რომ ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა უნდა ითანამშრომლონ ერთად საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ.

---

**შეკავების პოლიტიკა**

საბჭოთა კავშირის მისწრაფებათა შეკავება იქცა ამერიკის პოლიტიკის ძირითად მიზნად ომისშემდგომ წლებში. ჯორჯ კენანმა – ამერიკის საელჩოს მაღალი თანამდებობის პირმა მოსკოვში – 1946 წელს შტატების დეპარტამენტისადმი გაგზავნილ გრძელ დეპეშაში ჩამოაყალიბა ამ საკითხებისადმი ახალი მიდგომა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან განავრცო თავისი ანალიზი სტატიაში, რომელიც „X" ხელმოწერით გამოქვეყნდა პრესტიჟულ ჟურნალში „Foreign Affairs". მიუთითებდა რა რუსეთის საფრთხის ტრადიციულ გაგებაზე, კენანი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირი არავითარ შემთხვევაში არ შეარბილებდა თავის პოზიციებს. როგორც ის წერდა, მოსკოვი „ფანატიკურად" იყო დარწმუნებული modus vivendi-ს შეუსრულებლობაში და „ამერიკის საზოგადოების შინაგანი ჰარმონიის დანგრევის" სასურველობა-აუცილებლობაში. მოსკოვის მისწრაფება თავისი ძალაუფლების გავრცელებისაკენ უნდა შეჩერებულიყო „რუსეთის ექსპანსიური ტენდენციების მტკიცე და ფხიზელი შეკავებით...".

შეკავების დოქტრინის პირველ მნიშვნელოვან გამოყენებას ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში. დიდი ბრიტანეთი მხარს უჭერდა საბერძნეთს, სადაც კომუნისტური ძალები სამოქალაქო ომით ემუქრებოდნენ მმართველ მონარქიას, და თურქეთს, რომელსაც საბჭოთა კავშირი უყენებდა ტერიტორიულ პრეტენზიებს და მოითხოვდა მისგან ბოსფორში სამხედრო-საზღვაო ბაზების აშენების უფლებას. 1947 წელს ბრიტანეთმა აცნობა შეერთებულ შტატებს, რომ მას აღარ შეეძლო დახმარების გაწევა ამ ქვეყნებისათვის. შეერთებული შტატების დეპარტამენტმა სასწრაფოდ შეიმუშავა დახმარების გეგმა, მაგრამ, როგორც სენატის ლიდერმა, ართურ ვანდერბერგმა აუხსნა ტრუმენს ახალი ინტერვენციული პოლიტიკის მხარდაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ იგი საკმარისად შეაშინებდა ქვეყანას.

ტრუმენი მზად იყო ასეც მოქცეულიყო. განცხადებაში, რომელიც ცნობილია, როგორც ტრუმენის დოქტრინა, მან გამოაცხადა, „მე მწამს, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა უნდა გულისხმობდეს თავისუფალი ხალხების მხარდაჭერას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დამონებას შეიარაღებული უმცირესობის ან გარეშე ზეწოლის მხრიდან". ამის შემდეგ მან სთხოვა კონგრესს 400 მილიონი დოლარის გამო-

ყოფა საბერძნეთისა და თურქეთის ეკონომიკური და სამხედრო დახმარებისათვის, რასაც მიაღწია კიდევაც.

მაგრამ თვითონ ტრუმენს და ამერიკის საზოგადოებას ეს გამარჯვება გარკვეულ საფასურად დაუჯდათ. ამერიკის პოლიტიკის წარმართვით შეკავებისკენ ტრუმენმა საბჭოთა საფრთხე შეერთებული შტატებისაკენ შემოაბრუნა. ტრუმენი აზვიადებდა საბჭოთა საფრთხეს. თავის მხრივ, მისი გამოსვლები ხელს უწყობდნენ ისტერიული ანტიკომუნიზმის ტალღის აზვირთებას მთელ ქვეყანაში და გარკვეულ წილად განაპირობეს მაკარტიზმის წარმოშობა.

შეკავების პოლიტიკა მოითხოვდა აგრეთვე ფართო ეკონომიკურ დახმარებას ომის მიერ დანგრეული დასავლეთ ევროპის აღსადგენად. ამ რეგიონის მრავალი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა აშინებდა შეერთებულ შტატებს, რადგან შესაძლებელი იყო, რომ ადგილობრივ კომუნისტურ პარტიებს, რომელთაც მოსკოვი მართავდა, გამოეყენებინათ ომის პერიოდში ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება და ხელისუფლების სათავეში მოსულიყვნენ. საჭირო იყო რაღაც ეღონათ. სახელმწიფო მდივანი ჯორჯ მარშალი ხშირად ამბობდა: „ექიმების ბჭობაში პაციენტებს სული გასძვრათ". მანამდე მარშალი შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების უმაღლესი რანგის ოფიცერი და მეორე მსოფლიო ომში ამერიკის სამხედრო გამარჯვებების მთავარი ორგანიზატორი იყო. 1947 წელს მარშალმა სთხოვა გაჭირვებაში მყოფ ევროპის ხალხებს, რომ შეემუშავებინათ პროგრამა, რომელიც „მიმართული იქნებოდა არა რომელიმე ქვეყნის ან დოქტრინის, არამედ შიმშილის, სიღარიბის, სასოწარკვეთილების და ქაოსის წინააღმდეგ". საბჭოები მონაწილეობდნენ პირველ შეხვედრაზე, ხოლო შემდეგ გამოეთიშნენ ამ პროგრამას, რადგან არ სურდათ მიეწოდებინათ დასავლეთისათვის მონაცემები მათი ეკონომიკისა და რესურსების შესახებ. დანარჩენმა 16 ქვეყანამ მოითხოვა 17 000 მილიონი დოლარი ოთხი წლის ვადით. 1948 წლის დასაწყისში კონგრესმა ხმა მისცა ევროპის ეკონომიკის აღორძინების დახმარებას, რომელიც ცნობილია „მარშალის გეგმის" სახელწოდებით.

საზოგადოდ იგი განიხილებოდა, როგორც შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმატების მქონე პოლიტიკური ინიციატივა ქვეყნის ისტორიაში. ომის შემდგომი გერმანია დაყოფილ იქნა შეერთებული შტატების, საბჭოთა, ბრიტანეთის და საფრანგეთის საოკუპაციო ზონებად. ამასთანავე გერმანიის ყოფილი დედაქალაქი ბერლინი (თავისთავად დაყოფილი ოთხ ზონად) მდებარეობდა საბჭოთა ზონის ცენტრთან. შეერთებულმა შტატებმა, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა განიხილეს საკითხი თავიანთი ზონების მთლიან, ერთიანი თვითმმართველობის მქონე რესპუბლიკად გამოცხადების შესა-

ხებ. მაგრამ საბჭოთა კავშირი წინ აღუდგა ერთიანი გერმანიის შექმნის გეგმას, და ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ამ საკითხის განხილვის შედეგად ეს გეგმა ჩაიშალა. როდესაც დასავლეთის სამმა სახელმწიფომ განაცხადეს თავიანთი განზრახვის შესახებ შეექმნათ მათ გამგებლობაში მყოფი ზონებისაგან გაერთიანებული სახელმწიფო, სტალინი ამას იმით გამოეხმაურა, რომ 1948 წლის 23 ივნისს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ბერლინის ბლოკადა დაიწყეს, რამაც დასავლეთისაკენ მიმავალი ყველა საავტომობილო გზა და რკინიგზა ჩაკეტა.

ამერიკის ლიდერები შიშობდნენ, რომ ბერლინის დაკარგვა გერმანიის და საბოლოოდ მთელი ევროპის დაკარვის დასაწყისი იქნებოდა. ამიტომ დასავლეთმა გადაწყვიტა ბერლინთან საჰაერო ტრანსპორტით დაკავშირება. მოკავშირეების საჰაერო სამხედრო ძალებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა მოემარაგებინათ ბერლინი საჭირო საქონლით. საფრანგეთის და ბრიტანეთის თვითმფრინავებმა გადაზიდეს დაახლოებით 2 250 000 ტონა საქონელი სურსათის და ნახშირის სახით. სტალინმა ბლოკადა არ მოხსნა 231 დღის განმავლობაში, რომლის დროსაც მოკავშირეების თვითმფრინავებმა 277 264 გაფრენა განახორციელეს.

საბჭოეთის ბატონობა აღმოსავლეთ ევროპაში შეშფოთებას იწვევდა. შეერთებული შტატები შეეცადნენ შეექმნათ სამხედრო კავშირი, რათა გაეწიათ ეკონომიკური მხარდაჭერა შეკავების პოლიტიკის გატარებისათვის. 1949 წელს შეერთებულმა შტატებმა და 11 სხვა ქვეყანამ შექმნეს ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), კავშირი, რომელიც დაფუძნებული იყო კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპზე. ერთ-ერთის წინააღმდეგ შეტევა განიხილებოდა როგორც ყველას წინააღმდეგ შეტევა.

მომდევნო წელს შეერთებულმა შტატებმა ნათლად განსაზღვრეს თავიანთი თავდაცვითი მიზნები. ეროვნული უშიშროების საბჭომ (NSC) წარმოადგინა ამერიკის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის დასრულებული მიმოხილვა. დასკვნითი დოკუმენტი, რომელიც ცნობილია როგორც NSC-68, ამერიკის თავდაცვითი პოლიტიკის ახალი მიმართულების მანიშნებელი იყო. იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ „საბჭოთა კავშირი ფანატიკურად არის დაინტერესებული გაუწიოს კონტროლი ყველა მთავრობას, სადაც კი ეს შესაძლებელია", დოკუმენტი ნებას რთავდა ამერიკას დახმარებოდა მოკავშირე ქვეყნებს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას, თუკი ისინი დაინახავდნენ საბჭოთა აგრესიის საფრთხეს. შეერთებული შტატები განაგრძობდნენ თავდაცვაზე ხარჯების ზრდას, რაც საჭირო იყო ევროპის წინააღმდეგ მიმართულ საბჭოთა საფრთხის აღსაკვეთად. ამერიკა, ბრიტანეთი და საფრანგეთი დასავლეთ ბერლინში იმყოფებოდნენ.

### ცივი ომი აზიასა და შუა აღმოსავლეთში

ევროპაში კომუნისტური იდეოლოგიის შემდგომი გაძლიერების თავიდან აცილების მიზნით შეერთებული შტატები რეაგირებდნენ აგრეთვე ნებისმიერ გამოწვევაზე მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას. ამერიკელებს აღელვებდათ მაო ძე დუნის და მისი კომუნისტური პარტიის წინსვლა ჩინეთში. მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ჩან კაი შის ეროვნულმა მთავრობამ და კომუნისტურმა ძალებმა სამოქალაქო ომი გააჩაღეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ისინი იაპონიას ებრძოდნენ. ჩინეთი ომისდროინდელი მოკავშირე იყო, მაგრამ თვით ამერიკის მხარდაჭერასაც არ ძალუძდა უიმედოდ მოუქნელი და კორუმპირებული მთავრობის გადარჩენა. ბოლოს და ბოლოს, მაოს ძალებმა 1949 წელს ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, და როდესაც მათ განაცხადეს, რომ ახალი რეჟიმი მხარს დაუჭერდა საბჭოთა კავშირს „იმპერიალისტური" შეერთებული შტატების წინააღმდეგ, ცხადი გახდა, რომ კომუნიზმი ყოველგვარ კონტროლს გარეშე გავრცელდა აზიაში.

კორეის ომი წარმოადგენდა შეიარაღებულ კონფლიქტს შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს იაპონიისაგან განთავისუფლების შემდეგ კორეა დაიყო მოკავშირეების მიერ 38-ე პარალელის გასწვრივ. საბჭოთა კავშირმა იაპონიის კაპიტულაცია მიიღო 38-ე პარალელის ჩრდილოეთით, შეერთებულმა შტატებმა კი სამხრეთით. გამყოფი ხაზი, რომელიც თავდაპირველად სამხედრო თვალსაზრისით მოხერხებულად იქნა მოფიქრებული, უფრო მკაცრი გახდა მას შემდეგ, რაც ცივი ომის ესკალაცია დაიწყო. ორივე ზესახელმწიფომ თავიანთ დაქვემდებარებულ საოკუპაციო ზონებში შექმნეს მთავრობები და განაგრძობდნენ მათ მხარდაჭერას ქვეყნის დატოვების შემდეგაც.

1950 წლის ივნისში ჩრდილოეთ კორეის რაზმებმა გადაკვეთეს 38-ე პარალელი და შეუტიეს სამხრეთს სეულის მიმართულებით. ტრუმენმა, რომელმაც ჩრდილოეთ კორეას საბჭოეთის პაიკად განიხილავდა, მოამზადა ამერიკული ჯარები და გაგზავნა გენერალი დუგლას მაკარტური კორეაში. ამასობაში გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ჩრდილოეთ კორეა აგრესორად განიხილებოდა. (საბჭოთა კავშირმა, რომელსაც ნებისმიერ საკითხზე ვეტოს დადების უფლება ჰქონდა და უშიშროების საბჭოს წევრი იყო, ბოიკოტი გამოუცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წევრად მიღების უარის თქმის გამო).

ომი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. შეერთებული შტატებისა და კორეის ძალები თავდაპირველად უკუგდებულ იქნენ სამხრეთისაკენ ქალაქ პუსანამდე. მამაცმა ამფიბია-თვითმფრინავებმა, რომლებიც ინჩონში, ქ.სეულის პორტში სხდებოდნენ, ჩრდილოეთ კორეელები უკან განდევნეს; მაგრამ, როდესაც ფრონტის ხაზი ჩინეთის საზღვარს მიუახლო-

ვდა, ბრძოლაში ჩინეთიც ჩაება; მან უამრავი ძალები გაგზავნა მდინარე იალუს მეორე ნაპირზე. გაერთიანებული ორგანიზაციის ძალებმა, უმთავრესად ამერიკულებმა, ცხარე ბრძოლებში კვლავ უკან დაიხიეს, ხოლო შემდეგ თანდათან აღიდგინეს ძალები და გარეკეს ისინი უკან 38-ე პარალელისკენ.

როდესაც მაკარტურმა დაარღვია სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლის პრინციპი იმ მიზნით, რომ მოეპოვებინა საზოგადოების მხარდაჭერა ჩინეთის დასაბომბად და მის ტერიტორიაზე შესაჭრელად ჩან კაი შის მხარდამჭერი ჩინეთის ეროვნული ძალებით, ტრუმენმა ბრალი დასდო მას სუბორდინაციის დარღვევაში და გაათავისუფლა დაკისრებული მოვალეობებისაგან; შეცვალა იგი გენერალმა მეთიუ რიჯუეიმ. თუმცა ცივი ომი კვლავ მწვავე მიმდინარეობით გამოირჩეოდა, მთავრობის ძალისხმევა მისი შეზღუდვის მიმართულებით ბევრ ამერიკელთა შეშფოთებას იწვევდა, ვინაიდან უჭირდათ ასეთი შეზღუდვის აუცილებლობის გაგება. ტრუმენის პოპულარობა 24 პროცენტამდე დაეცა. ეს იყო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მას შემდეგ, რაც დაიწყეს პრეზიდენტის პოპულარობის შეფასება.

საზავო მოლაპარაკება დაიწყო 1951 წლის ივლისში. საბოლოოდ, ორმა მხარემ შეთანხმებას მიაღწია 1953 წლის ივლისში – დუაიტ ეიზენჰაუერის , ტრუმენის მომდევნო პრეზიდენტის, პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს.

ცივმა ომმა თავი იჩინა აგრეთვე შუა აღმოსავლეთშიც. ეს რეგიონი (რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო როგორც ნავთობის მიმწოდებელი) 1946 წელს დაძაბულობის კერად გადაიქცა, როდესაც საბჭოთა ჯარებმა შეპირების მიუხედავად არ დატოვეს ირანი მას შემდეგაც კი, რაც იქიდან უკვე გაყვანილი იყვნენ ბრიტანეთის და ამერიკის სამხედრო ძალები. შეერთებულმა შტატებმა მიმართეს გაეროს, რომ მას ემხილებინა მოსკოვი, რომელსაც არ გაჰყავდა ირანიდან ჯარები. როდესაც შეერთებულმა შტატებმა დააფიქსირეს რეგიონში საბჭოთა ტანკების შესვლა, ვაშინგტონი პირდაპირი შეჯახებისთვის მოემზადა. შეერთებული შტატების დაპირისპირების გამო საბჭოთა კავშირი იძულებული იყო გაეყვანა ირანიდან თავისი სამხედრო ძალები.

ორი წლის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად სცნეს ისრაელის ახალი სახელმწიფო, მისი გამოცხადებიდან 15 წუთის შემდეგ. ტრუმენმა ეს გადაწყვეტილება მიიღო მარშალისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მძაფრი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად. ისრაელთან მჭიდრო კავშირის დამყარების პარალელურად შეერთებული შტატები იმავე დროს ეძიებდნენ მეგობრობას არაბულ ქვეყნებთან, რომლებიც ისრაელს უპირისპირდებოდნენ.

**ეიზენჰაუერი და ცივი ომი**

დუაიტ ეიზენჰაუერი, რომელიც პრეზიდენტად აირჩიეს 1953 წელს, განსხვავდებოდა მისი წინამორბედებისაგან. ერთის მხრივ, ის გარემოება, რომ იგი ომის გმირი იყო, და მეორეს მხრივ, მისი ქცევის შინაურული მანერა ფართოდ პოპულარულს ხდიდნენ მას. მისი საპრეზიდენტო კომპანიის ლოზუნგი იყო – „მე მომწონს აიკი" (აიკი ეიზენჰაუერის მეტსახელია). ომის შემდგომ წლებში იგი არმიის შტაბის უფროსი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი და ბოლოს ნატოს ხელმძღვანელი იყო, ვიდრე რესპუბლიკელები მას პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელებდნენ. თუმცა მას გააჩნდა ხალხის ამუშავების ნიჭი, ის ცდილობდა თავშეკავებული როლი ეთამაშა საზოგადოებაში. იგი იზიარებდა ტრუმენის ძირითად შეხედულებებს ამერიკის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ეიზენჰაუერიც აღიქვამდა კომუნიზმს ისეთ მონოლითურ ძალად, რომელიც მსოფლიო პირველობისთვის იბრძოდა. მას სწამდა, რომ მოსკოვი სტალინის ხელმძღვანელობით მსოფლიო რევოლუციის მოხდენას ლამობდა. თავის პირველ საპრეზიდენტო მიმართვაში ეიზენჰაუერმა განაცხადა: „კეთილი და ბოროტი ძალები აზვირთდნენ, შეიარაღდნენ და ერთმანეთს ისე დაუპირისპირდნენ, როგორც ადრე არასოდეს ყოფილა ისტორიაში. თავისუფლება დაუპირისპირდა მონობას, სინათლე – სიბნელეს".

ოფიციალურად ეიზენჰაუერი და მისი სახელმწიფო მდივანი ჯონ დალესი ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა ექსპანსიის შესაჩერებლად შეკავების პოლიტიკა არ იქნებოდა საკმარისი. აუცილებელი იყო განთავისუფლებისკენ გამიზნული უფრო შემტევი პოლიტიკის გატარება იმათ გამოსახსნელად, ვინც კომუნიზმის ტყვეობაში იმყოფებოდა. მაგრამ ამ რიტორიკის მიუხედავად, როდესაც იფეთქა დემოკრატიულმა აჯანყებამ ერთ-ერთ რეგიონში, რომელიც საბჭოთა დაქვემდებარებაში იყო – უნგრეთში 1956 წელს – შეერთებულმა შტატებმა უკან დაიხია საბჭოთა ჯარების წინაშე, რომლებმაც აჯანყება ჩაახშეს.

ეიზენჰაუერის მთავარ მოვალეობად მაინც კომუნიზმის შეკავება დარჩა და, ბოლოს და ბოლოს, მან დაარწმუნა ამერიკელები ბირთვული ფარის საიმედობაში. მეორე მსოფლიო ომის დროს „მანჰეტენის" პროექტის ჩარჩოებში შეიქმნა პირველი ატომური ბომბი. 1950 წელს ტრუმენის მიერ სანქციონირებულ იქნა ახალი და უფრო მძლავრი წყალბადის იარაღის შექმნა. ახლაც კი ეიზენჰაუერმა საბიუჯეტო ხარჯებისთვის კონტროლის გაწევის მიზნით მიმართა „მასობრივი საპასუხო დარტყმის" პოლიტიკას. ამ დოქტრინის თანახმად, შეერთებული შტატები მზად იყვნენ გამოეყენებინათ ბირთვული იარაღი, მათი სასიცოცხლო ინტერესების შელახვის შემთხვევაში.

მაგრამ რეალურად ეიზენჰაუერმა დიდი სიფრთხილით გამაგრა შეერთებული შტატების სამხედრო ძალები. მან უარყო

ყველა რჩევა ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე ინდოჩინეთში, სადაც 1954 წელს ვიეტნამის კომუნისტური ძალები ჯობნიდნენ საფრანგეთს, ან ტაივანზე, სადაც შეერთებული შტატები კისრულობდნენ ჩინეთის ეროვნული რეჟიმის დაცვას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ განხორციელებული შეტევის წინააღმდეგ.

ეიზენჰაუერი წინააღმდეგი იყო შუა აღმოსავლეთში ძალის გამოყენებისა მაშინაც კი, როცა ბრიტანეთის და საფრანგეთის ჯარებმა სუეცის არხი დაიკავეს და ისრაელი 1956 წელს სინაიში შეიჭრა, რაც ეგვიპტის მიერ არხის ნაციონალიზაციას მოჰყვა. შეერთებული შტატების ძლიერი ზეწოლის შემდეგ ბრიტანეთის, საფრანგეთის და ისრაელის ჯარები გაყვანილ იქნენ ეგვიპტედან, რომელმაც არხზე კონტროლი შეინარჩუნა.

---

ცივი ომი შინ

ცივი ომი შეერთებული შტატების არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ფორმა იყო, არამედ მან საშინაო საქმესაც დაამჩნია ღრმა კვალი. ამერიკელებს დიდხანს ჰქონდათ რადიკალური ცვლილებების წინაშე შიში, და მთავრობამ „წითელი საფრთხის" წლებში (1919–1920) სცადა მოესპო ამერიკის საზოგადოებისთვის ჩანერგილი საშიშროების განცდა. კიდევ უფრო მეტი ძალისხმევის გამოჩენა გახდა საჭირო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებულ შტატებში აღმოცენებული კომუნიზმის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისას.

საგარეო პოლიტიკის მოვლენებმა და ჯაშუშობასთან დაკავშირებულმა სკანდალებმა განაპირობეს ამ პერიოდში ანტიკომუნისტური ისტერიის აღმოცენება. 1949 წელს საბჭოთა კავშირმა ააფეთქა თავისი ატომური ბომბი, რამაც შეაშფოთა ამერიკელები, რადგან მათ მტკიცედ სჯეროდათ, რომ საბჭოთა შეტევის სამიზნე შეერთებული შტატები იქნებოდნენ. 1948 წელს ალგერ ჰისს, სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს და იალტაში რუზველტის მრჩეველს, ბრალი დასდეს კომუნისტების ჯაშუშობაში და ყოფილ საბჭოთა აგენტ უიტეკერ ჩემბერსთან თანამშრომლობაში. ჰისმა უარყო ბრალდება, მაგრამ 1950 წელს ბრიტანეთსა და ამერიკაში აღმოჩენილ იქნა საბჭოთა ჯაშუშების ქსელი, რომელიც გადასცემდა სსრკ-ს მასალებს ატომური ბომბის სრულყოფის ირგვლივ. ეთელ და იულიუს როზენბერგების დაპატიმრებამ და სასამართლო პროცესმა ატომური ბომბის საიდუმლოების გამო ხელი შეუწყვეს შინაური კომუნისტური საფრთხის შთაგონებას. იუსტიციის მინისტრმა ი.ჰოვარდ მაკგრეთმა განაცხადა, რომ არსებობს ბევრი ამერიკელი კომუნისტი, რომელთაგან თითოეული „საზოგადოებისთვის სასიკვდილო ჩანასახს" ატარებსო.

როდესაც 1946 წელს კონგრესის არჩევნებში გაიმარჯვეს რესპუბლიკელებმა, და გაამჟღავნეს მზადყოფნა გამოეძიათ

ყოველგვარი ძირგამომთხრელი საქმიანობა, პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა „მოსამსახურეთა ლოიალურობის ფედერალური პროგრამა". მუშებს, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ წარსულში ან აწმყოში სხვადასხვა ორგანიზაციებისადმი თანაგრძნობაში თავდაცვის მცირე შესაძლებლობები გააჩნდათ.

ამასობაში კონგრესმა წამოიწყო ლოიალურობის საკუთარი პროგრამა. 1947 წელს არაამერიკული საქმიანობის საშინაო კომიტეტმა გამოიკვლია კინომრეწველობა იმ თვალსაზრისით, აისახებოდა თუ არა პოპულარულ ფილმებში კომუნისტური განწყობილებანი. როდესაც რამოდენიმე მწერალმა უარი განაცხადა შემოქმედებაზე, ისინი სასამართლოში გამოიძახეს და დააპატიმრეს. ამის პასუხად, ჰოლივუდმა კაპიტულაციის გზას მიმართა და უარი თქვა ისეთი პიროვნებების დაქირავებაზე, რომლებსაც საეჭვო წარსული ჰქონდათ.

მაგრამ კომუნისტებისადმი ყველაზე მეტი შეურიგებლობით გამოირჩეოდა სენატორი ჯოსეფ რ. მაკკარტი, რესპუბლიკელი ვისკონსინიდან. მან 1950 წელს ქვეყნის ყურადღება მიიპყრო განცხადებით, რომ, თითქოს, მას გააჩნდა სახელმწიფო დეპარტამენტში მოკალათებული 205 ცნობილი კომუნისტის სია. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში მაკკარტიმ მრავალჯერ გადაასხვაფერა ეს განცხადება და ვერ შესძლო ჯეროვნად დაესაბუთებინა რომელიმე ამ ბრალდებათაგანი, ამან საკმაოდ იმოქმედა საზოგადოების გრძნობებზე.

განსაკუთრებული ძალა შესძინა მაკკარტის 1952 წელს რესპუბლიკური პარტიის მიერ სენატზე კონტროლის უფლების მოპოვებამ. ამჟამად მას როგორც კომისიის თავმჯდომარეს გააჩნდა შეტევის ყველა პირობა. ფართო პრესაზე და სატელევიზიო გადაცემებზე დაყრდნობით იგი განაგრძობდა მაღალი თანამდებობის პირების ღალატში დადანაშაულებას. სარგებლობდა რა თავისი მყარი რეპუტაციით, იგი ხშირად ვულგარულ გამოთქმებს ხმარობდა მისთვის არასასურველი „საზიზღარი და უხეში" პიროვნებების მიმართ.

მაგრამ მაკკარტიმ ნამეტანი გადაამლაშა. თუმცა გამოკითხვებმა უჩვენეს, რომ მას მოსახლეობის ნახევარი უჭერდა მხარს, მაკკარტიმ თავის შესაძლებლობებს გადააჭარბა, როდესაც მისი ერთ-ერთი თანაშემწის ჯარში გაწვევისას ბრალი დასდო შეერთებული შტატების არმიას.

ტელევიზიის საშუალებით ბევრ ამერიკელს მიეცა საშუალება დაენახა მაკკარტის უხეში ტაქტიკა, და როცა საზოგადოების მხარდაჭერამ ნელნელა იკლო, სენატმა, ბოლოს და ბოლოს, მსჯავრი დაადო მას შეუფერებელი ქცევის გამო. მაგრამ მანამდე მაკკარტი შეეცადა უზარმაზარი ძალაუფლება მოეპოვებინა შეერთებულ შტატებში. იგი განტევების ვაცებს სთავაზობდა იმათ, ვინც შეწუხებული იყო კორეაში გამოუვალი მდგომარეობის ან კომუნისტების წარმატებების გამო. იგი

აწვიადებდა საშიშროებას, რომელიც ტრუმენის ადმინისტრაციამ შექმნა, აწვიადებდა საკუთარ ანტიკომუნისტურ ძალისხმევას და აკანონებდა ტაქტიკას, რომელიც ხშირად უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ იყო მიმართული. მოკლედ , მაკკარტი შინაური ცივი ომის ყველაზე ცუდ ექსცესს წარმოადგენდა.

---

**ომისშემდგომი ეკონომიკა 1945-1960 წლებში**

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი თხუთმეტი წლის განმავლობაში ცივი ომის გაძლიერებასთან ერთად შეერთებულმა შტატებმა განიცადეს ფენომენალური ეკონომიკური ზრდა. ომის წყალობით აღსდგა კეთილდღეობა და ომისშემდგომ პერიოდში შეერთებულმა შტატებმა მოახდინეს თავისი მდგომარეობის კონსოლიდირება, როგორც მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნისა. გაიზარდა ეროვნული პროდუქცია; ყველა საქონლისა და მომსახურეობის პროდუქტის ღირებულება 1940 წლის დაახლოებით 200 ათასი მილიონი დოლარიდან 1950 წლისათვის გაიზარდა 300 ათას მილიონ დოლარამდე და 1960 წელს 500 ათასი მილიონ დოლარზე მეტი გახდა. ამერიკელთა სულ უფრო მეტი რიცხვი მიაკუთვნებდა თავის თავს საშუალო ფენას.

ზრდას სხვადასხვა წყარო განაპირობებდა. ამის მიზეზი ნაწილობრივ ავტომობილების წარმოება იყო; 1946-1955 წლებში ავტომობილების რიცხვი ყოველწლიურად ოთხმაგდებოდა. ბინათმშენებლობის ბუმი, რომელიც ნაწილობრივ სტიმულირებულ იყო დაბრუნებულ სამხედრო მოსამსახურეთათვის ადვილად მისაწვდომი გირავნობით, სწრაფად მატულობდა. ცივი ომის ესკალაციის პერიოდში გარკვეულ როლს თამაშობდა აგრეთვე თავდაცვითი ხარჯების ზრდა.

1945 წლის შემდეგ ამერიკის მთავარი კორპორაციები კიდევ უფრო გამსხვილდნენ. კორპორაციების პირველი დიდი გაერთიანებები გაჩნდნენ 1890 წლებში და 1920 წლებში. 1950 წელს ქვეყანა მოიცვა გაერთიანების ახალმა ტალღამ. შეიქმნა ახალი კონგლომერატები – ფირმები, რომლებიც ერთდროულად მუშაობდნენ მრეწველობის სხვადასხვა დარგებში. „International Telephone and Telegraph“ კომპანიამ სხვა კომპანიებთან ერთად იყიდა „Sheraton Hotels“, „Continental Baking“, „Hartford Fire Insurance“ და „Avis Rent-a-Car“. უფრო მცირე კომპანიებმა, როგორიც იყო, მაგალითად, მაკდონალდის სწრაფი კვების რესტორნები, შეცვალეს თავიანთი მუშაობის სტილი. შედარებით დიდმა კორპორაციებმა გახსნეს ფილიალები საზღვარგარეთ, სადაც მუშახელი უფრო იაფი იყო.

ინდუსტრიული ამერიკის ცვლილებასთან ერთად შეიცვალა მუშათა ცხოვრებაც. საქონელს აწარმოებდნენ უფრო მცირე რაოდენობის მუშები; მეტწილმა დაიწყო მომსახურების სფეროში მუშაობა. 1956 წელს მოსახლეობის

უმრავლესობა მოსამსახურედ მუშაობდა, კერძოდ, მენეჯერებად, მასწავლებლებად, გამყიდველებად, და ოფისის მოსამსახურეებად. ზოგიერთი ფირმა იძლეოდა წლიური ხელფასის გარანტიას, ხანგრძლივ სამუშაო კონტრაქტებს და სხვა ხელსაყრელ პირობებს. ასეთი ცვლილებების შედეგად მუშათა საბრძოლო განწყობილებას საფუძველი ეცლებოდა და კლასობრივი განსხვავება გაქრობას იწყებდა.

მეორეს მხრივ, ფერმერებისათვის რთული დრო დადგა. პროდუქციულობის გაზრდა მოითხოვდა სოფლის მეურნეობის კონსოლიდაციას; სოფლის მეურნეობა დიდ ბიზნესად იქცა. თავის მხრივ, ოჯახური ფერმერები რთულ კონკურენციას წააწყდნენ, რის გამოც სულ უფრო მეტი ფერმერი სტოვებდა მიწას.

ომის შემდგომ პერიოდში დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ზრდას განაგრძობდა, და ეს ტენდენცია საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. ქალაქები – ჰიუსტონი (ტეხასი); მაიამი (ფლორიდა); ალბუკერკე (ნიუ-მექსიკო); ტუსონი და ფინიქსი (არიზონა) – სწრაფად იზრდებოდნენ და ვითარდებოდნენ. ლოსანჟელესმა (კალიფორნია) წინ გაუსწრო ფილადელფიას (პენსილვანია) და შეერთებული შტატების მესამე უდიდესი ქალაქი გახდა. 1963 წლისათვის კალიფორნიაში მეტი ხალხი ცხოვრობდა, ვიდრე ნიუ იორკის შტატში.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ამერიკელთა საცხოვრებლად გადასვლა ქალაქის ტერიტორიიდან ახალ გარეუბნებში, სადაც ისინი იმედოვნებდნენ ხელსაყრელი საბინაო პირობების შექმნას დიდი ოჯახებისათვის, რადგან ომის შემდგომ პერიოდში ბავშვთა შობადობის აღმავლობა დაიწყო. გამომგონებლებმა, როგორიც იყო, კერძოდ, უილიამ ლევიტი, შექმნეს ახალი დასახლებანი შენობებით, რომლებიც ერთმანეთს ჰგავდნენ და რომელთა ასაგებად მასობრივი პროდუქციის ტექნიკას იყენებდნენ. ლევიტის სახლები ქარხნული წესით მზადდებოდა, ნაწილობრივ იწყობოდა ქარხნებში და მზა კონსტრუქციების სახით მიდიოდა საბოლოო დასადგმელ ადგილას. სახლები სადა იყო, მაგრამ ლევიტის მეთოდი ამცირებდა ფასებს და, ამდენად, ახალ მესაკუთრეებს ეძლეოდა ამერიკული ოცნების თუნდაც ნაწილის ახდენის შესაძლებლობა.

რადგან გარეუბნები იზრდებოდნენ, ბიზნესიც ახალ ტერიტორიებს იკავებდა. მსხვილმა სავაჭრო ცენტრებმა, რომლებიც მოიცავდნენ მრავალფეროვან დიდ მაღაზიებს, შეცვალეს თავიანთი მუშაობის მოდელი. მეორე მსოფლიო ომის ბოლოსთვის ასეთი დიდი ცენტრების რიცხვი რვას არ აღემატებოდა, 1960 წლისათვის კი მათ მიაღწიეს 3 840. მანქანებისათვის თავისუფალი გასაჩერებელი ადგილების არსებობისა და საღამოს საათებში სამუშაო გრაფიკის შემოღების წყალობით, მომხმარებელს შეეძლო მთლიანად თავიდან აეცილებინა ქალაქში ვაჭრობა.

ახალი გზატკეცილები ბევრად უფრო ხელმისაწვდომს ხდიდნენ გარეუბნებსა და მათ მაღაზიებს. 1956 წლის გზატკეცილების კანონით, გამოეყო 26 000 მილიონი დოლარი 64 000 კილომეტრზე მეტი ფედერალური გზების გასაყვანად და ქვეყნის სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთთან დასაკავშირებლად, რაც ამერიკის ისტორიაში წარმოადგენდა სახელმწიფო სამუშაოებისათვის გაწეულ ყველაზე დიდ ხარჯებს.

ტელევიზიამ ძლიერი ზემოქმედება მოახდინა სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობაზე. იგი 1930 წელს შეიქმნა, მაგრამ ომის დამთავრებამდე ტელევიზორები არ იყო ფართო გაყიდვაში. 1946 წელს ქვეყანაში 17 000-ზე ნაკლები ტელევიზორი იყო. სამი წლის შემდეგ მომხმარებლები ყიდულობდნენ თვეში 250 000 ტელევიზორს, ხოლო 1960 წლისათვის ოჯახების სამი მეოთხედი ფლობდა ერთ ტელევიზორს მაინც. ათწლეულის ბოლოსათვის საშუალო ოჯახი ტელევიზორს უყურებდა დღეში სულ ცოტა 4–5 საათის განმავლობაში. პოპულარული შოუ ბავშვებისათვის იყო „ჰოუდი დოუდი თაიმ“ და „მიკი მაუსის კლუბი“, უფრო მოზრდილი მაყურებელი ირჩევდა კომედიებს როგორიც იყო „მე მიყვარს ლუსი“ და „მამამ უკეთ იცის“. ყველა ასაკის ამერიკელი ძალაუნებურად უყურებდა კარგი ცხოვრებისათვის აუცილებელი პროდუქტების რეკლამებს, რომლებიც სულ უფრო დახვეწილი ხდებოდნენ.

---

**პატიოსანი გარიგება**

„პატიოსანი გარიგების“ სახელით ცნობილი ტრუმენის ახალი საშინაო პროგრამა ემყარებოდა რუზველტის „ახალ კურსს“. ტრუმენს სჯეროდა, რომ ფედერალურ მთავრობას უნდა უზრუნველეყო მოსახლეობა ეკონომიკური შესაძლებლობებით და სოციალური სტაბილურობით. ამ მიზნის განსახორციელებლად ის ყოველ ღონეს ხმარობდა კონსერვატორულ კანონმდებლობის მხრიდან წინააღმდეგობის პირობებში, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ შეეზღუდათ მთავრობის როლი.

ტრუმენისათვის უპირველეს საქმეს წარმოადგენდა უშუალოდ ომის შემდგომ პერიოდში მშვიდობიანობის დროის ეკონომიკაზე გადასვლა. სამხედრო მოსამსახურეები ჩქარობდნენ სახლში დაბრუნებას, მაგრამ დაბრუნების შემდეგ ისინი აღმოჩნდებოდნენ ბინის და სამუშაოს პოვნის პრობლემის წინაშე. სახელმწიფო კანონი, G.I. ბილი, გამიზნული იყო მათთვის სამოქალაქო ცხოვრებაში დაბრუნების შესამსუბუქებლად, აძლევდა მათ შეღავათებს, როგორიც იყო გარანტირებული სესხი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, და უწევდა ფინანსურ დახმარებას კვალიფიკაციის ან საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად.

უფრო შემაშფოთებელი იყო მუშათა მღელვარება. სამხედრო მრეწველობის მოსპობასთან ბევრი მუშა უმუშევარი და-

რჩა. სხვებს ხელფასის მომატება სურდათ, რაც უკვე დიდი ხანია აღარ მომხდარა. 1946 წელს 4,6 მილიონი მუშა გაიფიცა – გაცილებით მეტი, ვიდრე ოდესმე ამერიკის ისტორიაში. მათ მხარს სავტომობილო, ფოლადის და ელექტრონული მრეწველობის მუშებმა. როდესაც იგი გავრცელდა რკინიგზებსა და ნახშირის საბადოებზე, საქმეში ტრუმენი ჩაერია, რის შედეგადაც მან მილიონობით ამერიკელი მუშის მხარდაჭერა დაკარგა.

შეუდგნენ სასწრაფო დებულებების შემუშავებას. ტრუმენმა მოქმედების ფართო გეგმა დასახა. ერთი კვირაც არ იყო გასული ომის დამთავრების შემდეგ, რომ მან წარუდგინა კონგრესს 21 პუნქტიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა მუშების დაცვას უსამართლო სამუშაო პირობებისგან, უფრო მაღალი ხელფასის მინიმუმის დაწესებას, უმუშევართა კომპენსაციის გაზრდას და საბინაო დახმარებას. მომდევნო რამოდენიმე თვეში მან სხვა წინადადებები წამოაყენა ჯანმრთელობის დაზღვევის და ატომური ენერგიის გამოყენების კანონმდებლობასთან დაკავშირებით. მაგრამ ტრუმენი ბევრ საქმეს ერთდროულად, თანაც ზერელედ აკეთებდა, რამაც ბუნდოვანი გახადა მისი უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

რესპუბლიკელები გადავიდნენ შეტევაზე. 1946 წელს კონგრესის არჩევნებში ისინი სვამდნენ კითხვას: „არ გვეყო?", და ამომრჩევლები პასუხობდნენ „გვეყო". რესპუბლიკელები, რომლებიც კონგრესის ორივე პალატაში 1928 წლიდან მოყოლებული უმრავლესობას შეადგენდნენ, ვარაუდობდნენ რუზველტის პრეზიდენტობის დროინდელი ლიბერალური მიმართულების პოლიტიკისკენ დაბრუნებას.

ტრუმენი შეებრძოლა კონგრესს, როდესაც კონგრესმა შეკვეცა ხარჯები და შეამცირა გადასახადები. 1948 წელს იგი ხელახლა აირჩიეს პრეზიდენტად მიუხედავად იმისა, რომ ხმების წინასწარმა დათვლამ უჩვენა, რომ მას შანსი არ ჰქონდა. დაძაბული კომპანიის შემდეგ ტრუმენმა ძალიან შეაშფოთა ამერიკელი პოლიტიკოსები იმით, რომ დაამარცხა რესპუბლიკელების კანდიდატი თომას დიუი, ნიუ-იორკის გუბერნატორი. მან აღადგინა „ახალი კურსის" კოალიცია, დაეყრდნო მუშებს, ფერმერებს და შავკანიან ამომრჩევლებს, რითაც კვლავ გაიმარჯვა არჩევნებში.

როდესაც ტრუმენმა საბოლოოდ დატოვა თეთრი სახლი 1953 წელს, მის „პატიოსან გარიგებას" მხოლოდ გარდამავალი წარმატება ჰქონდა. 1948 წელს მან აკრძალა ფედერალურ მთავრობაში დაქირავების პოლიტიკის რადიკალური დისკრიმინაცია და ბრძანება გასცა მოესპოთ სამხედრო სეგრეგაცია. მინიმალური ხელფასი გაიზარდა და გაფართოვდა სოციალური დაზღვევის პროგრამა. საბინაო პროგრამამ გარკვეული სარგებლობა მოიტანა, მაგრამ ბევრი რამ მაინც გასაკეთებელი დარჩა. კონგრესზე არასოდეს განხილულა ჯანმრთელობის

სახელმწიფო დაზღვევის საკითხი და განათლების ხელშემწყობი ზომები. ტრუმენი ძლიერ იყო დაკავებული ცივი ომის პოლიტიკით, რაც ხელს უშლიდა მის საქმიანობას განსაკუთრებით ძლიერი ოპოზიციის პირობებში.

**ეიზენჰაუერის მიდგომა**

დუაიტ ეიზენჰაუერმა აღიარა მთავრობის პასუხისმგებლობა, რომელიც ახალმა კურსმა დააკისრა, მაგრამ მას პრეზიდენტის როლის შეზღუდვა სურდა. მან თავის მიდგომას „დინამიკური კონსერვატიზმი", ანუ „თანამედროვე რესპუბლიკანიზმი" უწოდა, რაც, მისი ახსნით ნიშნავდა „კონსერვატულობას ფულთან დაკავშირებულ საკითხებში და ლიბერალობას ადამიანებთან დამოკიდებულობაში". კრიტიკოსები საყვედურობდნენ ეიზენჰაუერს, რომ იგი „ბევრი სკოლების აგების მტკიცე რეკომენდაციას იძლეოდა..., მაგრამ ამ საქმეს ფულით არ უზრუნველყოფდა".

ეიზენჰაუერის უპირველესი საქმიანობა მდგომარეობდა ბიუჯეტის დაბალანსებაში მრავალწლიანი დეფიციტის შემდეგ. მას სურდა ხარჯების და გადასახადების შემცირება და დოლარის კურსის შენარჩუნება. რესპუბლიკელები თანახმანი იყვნენ წასულიყვნენ უმუშევრობის რისკზე, ოღონდ შეეჩერებინათ ინფლაცია. მათ არ სურდათ ქვეყნის ეკონომიკის ზედმეტი სტიმულირება, რის გამოც 8 წლის განმავლობაში მოხდა ეკონომიკის სამი მკვეთრი დაცემა.

ადმინისტრაციამ ნავთობის მომპოვებელი ადგილების კონტროლი ფედერალური მთავრობის ნაცვლად შტატებს დააკისრა. ამრიგად, ენერგეტიკის განვითარებაში კერძო ბიზნესს ენიჭებოდა უპირატესობა სახელმწიფოსთან შედარებით; ამ უკანასკნელს დემოკრატები უჭერდნენ მხარს. ყველაფერში, რასაც ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ მოჰკიდა ხელი, იგრძნობოდა კერძო ბიზნესისადმი სიმპატია.

ეიზენჰაუერის მისწრაფებას ეთამაშა ზომიერი როლი საზოგადოებაში, ხშირად საქმე საკანონმდებლო საქმიანობის დაბრკოლებამდე მიჰყავდა. იგი კულისებს მიღმა აქტიურობდა თავისი საყვარელი პროგრამის გასატარებლად. ეიზენჰაუერი მიეკუთვნებოდა პრეზიდენტთა იმ მცირე რიცხოვან კატეგორიას, ვინც თეთრი სახლი ისეთივე პოპულარულმა დატოვა, როგორც იქ შევიდა.

**1950-იანი წლების კულტურა**

1950-იანი წლების განმავლობაში ამერიკის საზოგადოებას ერთგვაროვნების განცდა დაეუფლა. თანხმობა საყოველთაო იყო; როგორც ახალგაზრდა, ასევე უფროსი თაობა ჯგუფის ინტერესებს პირადულზე უფრო მაღლა აყენებდა, თუმცა მამაკაცებიც და ქალებიც მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში

ახალ სამუშაო პირობებში აღმოჩნდნენ, ომის დამთავრებისთანავე ისინი ტრადიციულ როლებს დაუბრუნდნენ. მამაკაცებს მიაჩნდათ, რომ მათ უნდა შესძლებოდათ ოჯახის რჩენა. ქალები – ისინიც ვინც მსახურობდა – თავიანთ მთავარ სამუშაო ადგილად სახლს თვლიდნენ. სოციოლოგი დევიდ რაისმენი თავის სახელგანთქმულ წიგნში „მარტოხელა ბრბო“ ამ ახალ საზოგადოებას „სხვაგვარად მიმართულს“ უწოდებდა და ამტკიცებდა, რომ სწორედ მას მოყავართ სტაბილურობამდე და თანხმობამდე. ტელევიზია ხელს უწყობდა ერთგვაროვნებისაკენ სწრაფვის ტენდენციას იმით, რომ მისი წყალობით ახალგაზრდები და მოხუცები იძენდნენ საერთო გამოცდილებას, რომელიც ასახავდა მიღებულ სოციალურ ფორმებს.

მაგრამ ასეთ კულტურულ ნორმებს ყველა ამერიკელი ვერ შეეწყო. მწერლების ერთი ჯგუფი ეგრეთწოდებული „შემტევი თაობა“, გამოვიდა ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ. სულიერად დათრგუნულნი, ისინი ინტუიციას გონებაზე მაღლა აყენებდნენ, აღმოსავლეთის მისტიციზმს დასავლეთის დაკანონებულ რელიგიას ამჯობინებდნენ. „შემტევები“ ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შებრძოლებოდნენ წეს-ჩვეულებების დაკანონებულ ნორმებს და შეერყიათ არსებული კულტურა.

მათი ლიტერატურული ნაწარმოებები გამოხატავდნენ თავისუფლების მათთვის ჩვეულ გაგებას. ჯეკ კეროუაკის რომანი „გზაზე“, რომელიც დაიბეჭდა 75 მეტრი სიგრძის ქაღალდზე, მომენტალურად გაიყიდა. თუმცა მისი ნაწარმოები არც თავებად იყო დაყოფილი და არც სასვენი ნიშნებით დაიკვეხნიდა, მან მაინც მოიპოვა პოპულარობა როგორც თავისუფალი აზროვნებისა და ცხოვრების გამოვლინებამ. პოეტმა ალენ გინსბერგმა აგრეთვე მსგავსი ყალბი სახელი მოიპოვა თავის პოემით „ღმუილი“, რომელიც წარმოადგენდა თანამედროვე მექანიკური ცივილიზაციის გაბოროტებულ კრიტიკას. როდესაც პოლიციამ ნაწარმოები უხამსობად მიიჩნია და ტირაჟის კონფისკაცია მოახდინა, გინსბერგმა საქვეყნო პოპულარობა მოიხვეჭა და მოიგო სასამართლო პროცესი.

ასეთივე ამბოხება მოხდა მუსიკოსთა და მსახიობთა წრეებში. ტენესელმა მომღერალმა ელვის პრესლიმ მოახდინა შავკანიანთა მუსიკის საოცარი პოპულარიზაცია თავისი როკ-ენ-როლით, მისმა აჩეხილმა თმამაც კი გამაოგნებელი ზემოქმედება იქონია ბევრ მშვიდ ამერიკელზე. ელვისმა და როკ-ენ-როლის სხვა მომღერლებმა დაამტკიცეს, რომ შავკანიანთა მუსიკა თეთრკანიანთა აუდიტორიასაც იზიდავს; ეს კი ადასტურებდა ამერიკული კულტურის ინტეგრაციულობის ზრდას. მხატვრებმა, მსგავსად ჯექსონ პოლოკისა, უარი თქვეს მოლბერტზე და გაფინეს უზარმაზარი ტილოები იატაკზე, შემდეგ საღებავის, ქვიშის და სხვა მასალის გამოყენებით შექმნეს უხეში შეშხეფებულ ფერებიანი ნახატები. ყველა ეს მხატვარი

და ავტორი ნებისმიერი საშუალებებით ასახავდა 1960-იანი წლების სოციალური რევოლუციის მძაფრ ვნებათა ღელვას.

## სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობის დასაწყისი

ომის შემდგომ წლებში აფრიკელი ამერიკელები სულ უფრო მეტად გააქტიურდნენ. ომის დროს ისინი იბრძოდნენ დისკრიმინაციის წინააღმდეგ სამხედრო სამსახურში და სამუშაო ობიექტებში და მიაღწიეს კიდევაც გარკვეულ წარმატებებს. მილიონობით შავკანიანმა დატოვა სამხრეთის ფერმები და გაემგზავრა ჩრდილოეთის ქალაქებში უკეთესი სამუშაოს შოვნის იმედით. ამის ნაცვლად მათ იქ დახვდა ღარიბთა ხალხმრავალი კვარტლები. ახლა სამუშაოს მაძიებელი შავკანიანები ბრუნდებოდნენ სახლებში მტკიცე სურვილით როგორმე დაეღწიათ თავი მეორე ხარისხოვან ადამიანთა როლს. ზანგებმა დაიწყეს მტკიცება, რომ დადგა მათი რასობრივი თანასწორობის დრო.

1947 წელს ჯეკი რობინსონმა გაამძაფრა რასობრივი საკითხი, როდესაც გაარღვია რასობრივი ბარიერი ბეისბოლში და დაიწყო თამაში მთავარ ლიგაში. როგორც გუნდ „ბრუკლინ დოჯერსის" მოთამაშე ის წააწყდა ბევრ უსიამოვნებას მოწინააღმდეგებისა და თვით საკუთარი თანაგუნდელების მხრიდან. მაგრამ დიდი წარმატებით ჩატარებულმა პირველმა სეზონმა გამოიწვია ის, რომ იგი მიღებულ იქნა, რითაც გზა მისცა სხვა შავკანიან მოთამაშეებს, რომელნიც აქამდე მოჯაჭვულნი იყვნენ ზანგთა ლიგაზე და ახლა ტოვებდნენ მას.

სახელმწიფო ოფიციალურმა პირებმა, ბევრი სხვა ამერიკელის მსგავსად, აღმოაჩინეს, რომ არსებობდა კავშირი რასობრივ პრობლემებსა და ცივ ომს შორის. შეერთებულ შტატებს როგორც თავისუფალი სამყაროს ლიდერს სჭირდებოდა აფრიკის და აზიის ქვეყნების მხარდაჭერა. დისკრიმინაცია საკუთარ ქვეყანაში საფრთხეს უქმნიდა მის მცდელობას ეშოვა მეგობარი მსოფლიოს სხვა ნაწილებში.

ჰარი ტრუმენი მხარს უჭერდა მოძრაობას მოქალაქეთა უფლებებისთვის. მას აუცილებელი მიაჩნდა პოლიტიკური, მაგრამ არა სოციალური თანასწორუფლებიანობა, როგორიცაა ქალაქებში შავკანიანთა მონაწილეობა არჩევნებში. 1946 წლის მონაცემების მიხედვით, ლინჩის წესით გასამართლებას და ბრბოს ძალადობის სხვა ფორმებს ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი სამხრეთში. ტრუმენმა შექმნა მოქალაქეობრივი უფლებების კომიტეტი რასობრივ ან რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის შემთხვევების გამოსაძიებლად. ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა მომდევნო წელს დოკუმენტალურად ადასტურებდა, რომ ზანგებს მეორეხარისხოვანი როლი ენიჭებოდათ ამერიკის ცხოვრებაში. ეს ადასტურებდა ფედერალური მთავრობის მიერ ყველა მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფის აუცილებლობას.

ამის საპასუხოდ ტრუმენმა გაუგზავნა კონგრესს სამოქალაქო უფლებების დაცვის 10-პუნქტიანი პროგრამა. როდესაც სამხრეთელმა დემოკრატებმა, გაბრაზებულებმა უფრო მკაცრი კანონის შემოღებით სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებით, დატოვეს პარტია 1949 წელს, ტრუმენმა გამოსცა ადმინისტრაციული ბრძანება, რომლითაც იკრძალებოდა დისკრიმინაცია სახელმწიფო დაწესებულებებში სამუშაოდ მიღებისას, წესდებოდა თანასწორი დამოკიდებულება შეიარაღებულ ძალებში და იქმნებოდა კომიტეტი, რომელსაც უნდა მოეხსნა სამხედრო სეგრეგაცია. სამხედრო ძალებში უკანასკნელი შეზღუდვები მოიხსნა კორეის ომის დროს.

თუ სამხრეთის შავკანიანებს საერთოდ გააჩნდათ სამოქალაქო უფლებები, მათი რიცხვი ძალიან შეზღუდული იყო. მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა 1 მილიონზე მეტი შავკანიანი ჯარისკაცი, მაგრამ მათ ვინც სამხრეთიდან იყვნენ, არჩევნებში ხმის უფლება არ ჰქონდათ. შავკანიანები, რომლებიც შეეცდებოდნენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, შეიძლება ეცემათ, სამსახურიდან გაეგდოთ, წაერთმიათ კრედიტი ან გაეძევებინათ თავისი მიწიდან. ლინჩის წესით გასამართლება კვლავ ხდებოდა, ჯიმ კროუს კანონები აწესებდნენ რასობრივ იზოლაციას ტრანსპორტში, მატარებლებში, სასტუმროებში, რესტორნებში, საავადმყოფოებში, დასვენების ადგილებში და სამსახურებში.

---

**დესეგრეგაცია**

შავკანიანებმა გადაწყვიტეს თვითონ მოეხედათ თავიანთი საქმისათვის. „ფერადკანიანთა წინსვლის ეროვნული ასოციაცია“ (NAACP) შეიქმნა იმისთვის, რომ დაერღვია იურიდიული დოქტრინა, რომელიც დამკვიდრდა 1896 წელს „პლესი ფერგიუსონის წინააღმდეგ“ სასამართლო პროცესის შემდეგ და ამტკიცებდა, რომ თეთრკანიანთა და შავკანიანთა სკოლების ცალცალკე არსებობა შეესაბამებოდა კონსტიტუციას, თუ სკოლები იყო განცალკევებული, მაგრამ ხარისხით თანაბარი. ეს დებულება გამოიყენებოდა ათწლეულების მანძილზე, რომ გაემართლებინათ მკაცრი სეგრეგაცია სამხრეთში, სადაც ერთნაირი დონის სკოლების არსებობა დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

შავკანიანებმა მიაღწიეს თავის მიზანს 1954 წელს და „პლესი“ დადგენილების შედეგი გადაფარა სასამართლო პროცესის „ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ“ დადგენილებამ, რომელიც მიიღო უმაღლესმა სასამართლომ ეიზენჰაუერის მიერ დანიშნული მოსამართლის – მთავარი მსაჯულის ერლ უორენის თავმჯდომარეობით. სასამართლომ ერთსულოვნად განაცხადა, რომ განცალკევებული სკოლების არსებობა თავისთავად უთანასწორობას ნიშნავდა და რომ

დოქტრინა – „განცალკევებული, მაგრამ ერთნაირი“ – აღარ შეიძლება გამოიყენებოდეს სახელმწიფო სკოლებში. ერთი წლის შემდეგ უმაღლესმა სასამართლომ მოითხოვა, რომ ადგილობრივი სკოლების საბჭოებს „მაქსიმალურად სწრაფად“ განეხორციელებინათ გადაწყვეტილება.

ეიზენჰაუერი, მიუხედავად თავისი თანაგრძნობისა სამხრეთელთა გასაჭირისადმი, როდესაც ისინი უდიდესი ცვლილების წინაშე აღმოჩნდნენ, სწრაფად მოქმედებდა კანონის სისრულეში მოსაყვანად. მან ბრძანა დესეგრეგაციის ჩატარება ქ. ვაშინგტონის სკოლებში, რაც სამაგალითო უნდა ყოფილიყო დანარჩენი ქვეყნისათვის, და შეეცადა მოესპო დისკრიმინაცია სხვა სფეროებშიც.

მთავარი წინააღმდეგობა მას შეხვდა ლითლ როქში (არკანზასი) 1957 წელს. ზუსტად დესეგრეგაციის განხორციელების წინ, რომლის მიხედვითაც ცხრა შავკანიანი მოსწავლე უნდა მიეღოთ ადრე მხოლოდ თეთრკანიანთათვის განკუთვნილ სკოლებში, გუბერნატორმა განაცხადა, რომ არსებობდა ძალადობის საფრთხე და გამოიყვანა არკანზასის ეროვნული გვარდია სიმშვიდის დასაცავად და შავკანიანი მოსწავლეების ისევ სკოლაში დასაბრუნებლად, მაგრამ როდესაც გენერალურმა სასამართლომ სამხედრო ნაწილს დაბრუნება უბრძანა, და მოსწავლეები ახალ სკოლაში მოვიდნენ, მათ იქ აგრესიული, მტრული და დამცინავი განწყობილება დახვდა. ბრბო საშიში გახდა, შავკანიანმა მოსწავლეებმა სკოლა დატოვეს.

ამის საპასუხოდ ეიზენჰაუერმა ეროვნული გვარდია ფედერალური მთავრობის ძალაუფლებას დაუქვემდებარა და კვლავ ჩამოიყვანა ლითლ როქში. მან ეს უხალისოდ გააკეთა, რადგან ფედერალური ჯარები არ გამოუყენებიათ შავკანიანთა უფლებების დასაცავად რეკონსტრუქციის პერიოდიდან მოყოლებული, მაგრამ მან იცოდა რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ამგვარად, დესეგრეგაცია დაიწყო იმით, რომ კლასში იდგნენ ჯარისკაცები კანონის დასაცავად.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი მოძრაობაში სამოქალაქო უფლებების დასაცავად მოხდა 1955 წელს მონტგომერში (ალაბამა). როზა პარკსი, 42 წლის შავკანიანი მკერავი, რომელიც ამავე დროს შტატის NAACP-ის განყოფილების მდივანი იყო დაჯდა ავტობუსის წინა ადგილზე, იმ ნაწილში, რომელიც კანონით თეთრკანიანთათვის იყო განკუთვნილი. როდესაც მას უკან გადაჯდომა უბრძანეს, მან უარი განაცხადა. პოლიციამ ის დააპატიმრა. შავკანიანმა ლიდერებმა, რომლებიც სწორედ ასეთ შემთხვევას ელოდნენ. მოაწყვეს ავტობუსების ბოიკოტი. მარტინ ლუთერ კინგ უმცროსმა, ბაპტისტური ეკლესიის ახალგაზრდა მღვდელმა, წარმოთქვა საპროტესტო სიტყვა. „მოვა დრო, როდესაც ადამიანებს მობეზრდებათ... შემავიწროებელი დაუნდობელი მუჯლუ-

გუნების მოთმენა“. კინგი დააპატიმრეს, რაც შემდგომში კიდევ მრავალჯერ განმეორდა, მაგრამ შავკანიანებმა მონტგომერში მოაწყვეს ბოიკოტი და 65 პროცენტით შეამცირეს ავტობუსების მოგება. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სეგრეგაცია არაკონსტიტუციური იყო და ბოიკოტი შეწყდა. სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობამ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა – და ასპარეზზე გამოვიდა ძალიან ძლიერი, გონიერი და მჭევრმეტყველი ლიდერი მარტინ ლუთერ კინგ უმცროსი.

აფრიკელ ამერიკელებს ასევე სურდათ ხმის უფლების მიღება. თუმცა აშშ-ს კონსტიტუციის მე-15 შესწორება აძლევდა მათ არჩევნებში კენჭისყრის უფლებას, ბევრმა შტატმა გამონახა გზები – ან გადასახადის, ან წერა-კითხვის ცოდნის ტესტირების საშუალებით – ამ კანონის გვერდის ასავლებათ. ეიზენჰაუერი, სენატის უმრავლესობის ლიდერთან ბ.ჯონსონთან ერთად მხარს უჭერდა კონგრესის მცდელობას მიეცათ შავკანიანებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. „სამოქალაქო უფლებათა აქტი“ – პირველი ღონისძიება 82 წლის მანძილზე – წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს, რომელიც აკანონებდა ფედერალური მთავრობის ჩარევას შავკანიანების არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში. მაგრამ მაინც დარჩა კანონის გვერდის ავლის შესაძლებლობა, ამიტომ აქტივისტებმა წარმატებით იბრძოლეს „სამოქალაქო უფლებების აქტის“ მისაღებად 1960 წელს, რომელიც მკაცრ სასჯელს აწესებდა მათთვის, ვინც ხელს შეუშლიდა არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ არც ამას დაუვალდებულებია ფედერალური ოფიციალური პირები მოეხდინათ შავკანიანთა რეგისტრირება.

თვით შავკანიანი ამერიკელთა ძალისხმევით და მეცადინეობით სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობა გაძლიერადა ომის შემდგომ პერიოდში. მოქმედებდნენ რა უმაღლეს სასამართლოზე და კონგრესზე დაყრდნობით სამოქალაქო უფლებების მომხრეებმა მოამზადეს ნიადაგი კიდევ უფრო მძლავრი მოძრაობისთვის 1960-იან წლებში.

ასტრონავტი მთვარეზე.20 ივლისი, 1969.





აფრიკის ისტორიის ეპოქები

ცვლილებების ათწლეულები

# XII

# ცვლილებების ათწლეულები

# „მე მაქვს ოცნება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჯორჯიას წითელ მთებზე ყოფილი მონების შვილები და ყოფილი მონათმფლობელების შვილები ერთად მიუსხდნენ ძმობის მაგიდას“.

მარტინ ლუთერ კინგი, 1963

1960 წელს მთავრობა სულ უფრო მნიშვნელოვან ძალად ქცეოდა ადამიანთა ცხოვრებაში. 1930 წელს თეთრი სახლი ახალი კანონების ინიციატორი გახლდათ და კონგრესთან მჭიდრო კავშირში მუშაობდა დიდი დეპრესიისაგან მიღებული ტრავმის შესამსუბუქებლად. შეიქმნა ახალი აღმასრულებელი ორგანოები ამერიკის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით. ფედერალურ მთავრობაზე მომუშავე სამოქალაქო პირთა რაოდენობა 1 მილიონიდან 3,8 მილიონზე ავიდა 1950-იან წლებში. ფედერალური დანახარჯები, რომლებიც 1929 წელს შეადგენდა 3,1 ათას მილიონს გაიზარდნენ 75 ათას მილიონამდე 1953 წელს და 150 ათას მილიონამდე 1960 წელს.

ამერიკის უმეტესობა გაგებით შეხვდა მთავრობის როლის გაძლიერებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ იყო თანხმობა საკითხში, თუ რამდენად უნდა გაზრდილიყო ეს როლი. დემოკრატები ხედავდნენ მთავრობის ძალის გამოყენების აუცილებლობას ქვეყნის სტაბილურობის და განვითარების უზრუნველყოფის საქმეში, აგრეთვე საჭიროდ მიაჩნდათ მთავრობის მიერ განათლების სისტემის დაფინანსების გაზრდა. რესპუბლიკელები აღიარებდნენ მთავრობის ძირითად და აუცილებელ პასუხისმგებლობას, მაგრამ იმედოვნებდნენ, დანახარჯების შეზღუდვას და პირადი ინიციატივის დიდი როლის აღდგენას.

## კენედი და ახალი ფრონტირი

ჯონ კენედი, დემოკრატიული პარტიის კანდიდატი, რომელმაც გაიმარჯვა 1960 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში იყო 43 წლის, ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი, რომელიც კი ოდესმე ყოფილა აშშ-ს ისტორიაში. ტელევიზიით გამართულ მთელ რიგ დებატებში თავის მეტოქესთან რიჩარდ ნიქსონთან, მან თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა, მჭევრმეტყველმა და ენერგიულმა პიროვნებამ. თავისი საარჩევნო კამპანიის დროს ის ლაპარაკობდა ახალ ათწლეულში ენერგიულად შესვლის საჭიროებაზე, რადგანაც „ახალი ფრონტირი აქ არის, მიუხედავად ჩვენი სურვილისა“. თავისი პირველი საპრეზიდენტო სიტყვა მან დაამთავრა ლამაზი ფრაზით: „ნუ კითხულობთ რისი გაკეთება შეუძლია თქვენთვის თქვენ ქვეყანას, იკითხეთ, თქვენ თვითონ რისი გაკეთება შეგიძლიათ მისთვის“. მისი ხანმოკლე პრეზიდენტობის მანძილზე მიმზიდველობის, გონიერებისა და სტილის განსაკუთრებულმა შეზავებამ ხელი შეუწყო მის პოპულარობას და გავლენა მოახდინა პოლიტიკოსთა მომავალ თაობებზე.

კენედის უნდოდა ძლიერი მმართველობის განხორციელება ყველა მოქალაქის ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, მაგრამ მან მცირე უპირატესობით გაიმარჯვა, რაც მას ცოტა მანდატებს აძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ

დემოკრატიული პარტია უმრავლესობით იყო წარმოდგენილი ორივე პალატაში და კონგრესში, კონსერვატორი სამხრეთელები ეწინააღმდეგებოდნენ მის გეგმას გაზრდილიყო ფედერალური დახმარება განათლების სისტემისთვის, ჯანმრთელობის დაზღვევაზე ხანშიშესულთათვის და შექმნილიყო „ქალაქების პრობლემების“ დეპარტამენტი. ამგვარად, მიუხედავად მისი მჭევრმეტყველებისა, კენედის პოლიტიკა ხშირად შეზღუდულ და თავშეკავებულ ხასიათს ატარებდა.

ერთ-ერთ უპირველეს საქმეს წარმოადგენდა კრიზისის გაღრმავების შეჩერება და აღმავლობის დაწყებისათვის ხელშეწყობა. მაგრამ 1962 წელს კენედიმ დაკარგა ბიზნესმენი ლიდერების ნდობა, როდესაც კვლავ შეეცადა შეეჩერებინა ლითონის მრეწველობის ფასების ზრდა, რომელსაც ადმინისტრაცია გადაჭარბებულად მიიჩნევდა. თუმცა იმ მიზნის განხორციელებაში წარმატებას მიაღწია, მან დაკარგა მნიშვნელოვანი მხარდაჭერის წყარო. როდესაც შემდგომში მოუწოდა გადასახადების მნიშვნელოვანი შემცირებისკენ კაპიტალის დასახმარებლად და ეკონომიკის სტიმულირებისთვის, კონგრესის კონსერვატიულმა ოპოზიციამ არ დაუტოვა მას ამ აუცილებელი ღონისძიების გატარების არავითარი იმედი. კენედის ადმინისტრაციის მიერ მიღებული კანონების რიცხვი საკმაოდ მცირე იყო. პრეზიდენტმა გააკეთა ზოგიერთი ნაბიჯი სამოქალაქო უფლებების ლიდერების მხარდასაჭერად, მაგრამ ამ მოძრაობის მიზნები აუხდენელი დარჩა კენედის პრეზიდენტობის თითქმის ბოლო დრომდე. მან ვერ მოახერხა დახმარებოდა საზოგადოებრივი განათლების საქმეს და უზრუნველეყო ხანშიშესული ადამიანების სამედიცინო დაზღვევა. მან მოახდინა ხელფასების მხოლოდ მცირედი მომატება, მაგრამ სამაგიეროდ, მისი დამსახურებით მოხდა კოსმოსური კვლევის პროგრამის დაფინანსება და „სამშვიდობო კორპუსის“ შექმნა კაცების და ქალების გასაგზავნად განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად. კენედის თავისი პრეზიდენტობის ბოლო წლისთვის განზრახული ჰქონდა პატივმოყვარე საკანონმდებლო პროგრამის მიღება, მაგრამ 1963 წლის 22 ნოემბერს იგი მოკლულ იქნა, როდესაც ღია მანქანით ჩავიდა დალასში (ტეხასი).

ეს მოვლენა ისეთივე ჭრილობისმომტანი და მთელი თაობის ბედის განმსაზღვრელი აღმოჩნდა, როგორც ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალება. რეტროსპექტივაში კენედის ლიბერალური რეპუტაცია ეყრდნობოდა უფრო მის სტილს და იდეებს, ვიდრე მის მიერ გატარებულ პოლიტიკას, მაგრამ რადგანაც გეგმები, რომელიც მას დასახული ჰქონდა თავისი პრეზიდენტობის ბოლო წლისათვის განხორციელდა 1964-1966 წლებში, სიკვდილის მერე ის ითვლებოდა ლიბერალად, რომელიც მხარს უჭერდა ცვლილებებს.

**ლინდონ ჯონსონი და დიდებული საზოგადოება**

ტეხასელი ლინდონ ჯონსონი, რომელიც უმრავლესობის ლიდერი იყო სენატში, ვიდრე კენედის ვიცე-პრეზიდენტი გახდებოდა, დიდი პოლიტიკოსი იყო. მან დიდი გამოცდილება მიიღო კონგრესში, სადაც შეიძინა ადამიანთა ამოქმედების საოცარი ნიჭი. საჭიროებისდა მიხედვით მას შეეძლო თხოვნით, თავის მოქონვით ან მუქარით მიეღწია თავისი მიზნებისათვის. პრეზიდენტად გახდომისას ის შეეცადა აქტიურად გამოეყენებინა თავისი ძალაუფლება სიღარიბის მოსასპობად ყველასათვის კეთილდღეობის შესაქმნელად.

ჯონსონმა ჩაიბარა თანამდებობა მტკიცე გადაწყვეტილებით განეხორციელებინა კენედის მიერ დასახული ღონისძიებები. მათ შორის ყველაზე გადაუდებელი იყო გადასახადების შემცირება და სამოქალაქო უფლებების გარანტია. ისარგებლა რა ადამიანთა დარწმუნების საოცარი ნიჭით და მოკლული პრეზიდენტისადმი კანონმდებელთა პატივისცემით, მან 1964 წელს მიაღწია კენედის მიერ შემუშავებული „სამოქალაქო უფლებების ბილის" მიღებას. ეს იყო სამოქალაქო უფლებების ყველაზე შორს გამიზნული კანონმდებლობა რეკონსტრუქციის პერიოდის დროიდან. მალე ჯონსონმა განახორციელა მეორე პუნქტიც. 1964 წლის გაზაფხულისთვის მან რეფორმების თავის პროგრამას უწოდა"დიდებული საზოგადოება". ამ ტერმინის კიდევ უფრო ფართო გამოყენება დაიწყო მას შემდეგ, რაც მან მოიპოვა მკვეთრი გამარჯვება კონსერვატორ რესპუბლიკელზე ბარი გოლდუოტერზე იმ წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

რაც შეეხება ეკონომიკას, აქ ჯონსონმა წარმატებით მოახდინა გადასახადების შემცირება და შემდეგ წარმართა მთელი ძალისხმევა კენედის მიერ წამოწყებული „სიღარიბის პროგრამის" განხორციელებაზე. „ეს ადმინისტრაცია დღეს, აქ და ამ წუთს უცხადებს უპირობო ომს სიღარიბეს ამერიკაში"– განაცხადა მან.

„ეკონომიკური შესაძლებლობების ოფისი" ეხმარებოდა ღარიბებს კვალიფიკაციის მიღებაში და ახორციელებდა საზოგადოებრივი სამუშაოების მთელ რიგ პროგრამებს ღარიბებისათვის ბინით უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის და განათლების პროგრამებში ხმის უფლების მიცემის მიზნით. შემდეგ დადგა სამედიცინო მომსახურების ჯერი. 20 წლამდე მეტი ხნით ადრე ტრუმენმა წამოაყენა ცენტრალიზებული გეგმა, მაგრამ ვერ მიაღებინა ის კონგრესს. ჯონსონის პრეზიდენტობის დროს კონგრესმა მიიღო ხანშიშესულთა სამედიცინო მომსახურების და ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა, რომელიც სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფდა ღარიბებს.

ამის მსგავსადვე ჯონსონმა წარმატებას მიაღწია დაწყებითი და საშუალო სკოლებისთვის დახმარების აღმოჩენაში,

რაც ვერ მოახერხა კენედიმ. დასახული ღონისძიება ითვალისწინებდა შტატებისთვის სახსრების გამოყოფას იმის მიხედვით, თუ რამდენი ბავშვი ცხოვრობდა იქ დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებიდან. ფონდების გამოყენება შეიძლებოდა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სკოლებში მყოფი ბავშვებისთვის.

„დიდებული საზოგადოება" კიდევ უფრო ერცელ გეგმებს ითვალისწინებდა. „საცხოვრებლით უზრუნველყოფის" ახალი აქტი გულისხმობდა ღარიბების დახმარებას ქირის გადახდაში და აყალიბებდა „დაბინავების და ქალაქების განვითარების დეპარტამენტს". იმიგრაციასთან დაკავშირებულმა ღონისძიებებმა, ბოლოს და ბოლოს, გააუქმეს 1924 წელს მიღებული დისკრიმინაციული კვოტები. ფედერალური დახმარება მიიღეს მხატვრებმა და მეცნიერებმა, მათი მუშაობისთვის ხელის შეწყობის მიზნით.

ჯონსონის ადმინისტრაციამ მიიღო აგრეთვე უსაფრთხო ტრანსპორტირების კანონები, რაც ნაწილობივ წარმოადგენდა ახალგაზრდა იურისტის და კონსულტანტის ლობისტი რალფ ნადერის დამსახურებას. 1965 წელს თავის წიგნში „სახიფათო ნებისმიერ სიჩქარეზე. ამერიკული ავტომობილების დაპროექტებული საშიშროებანი" ნადერი ამტკიცებდა, რომ ბევრი მანქანა დაბალი სიჩქარის შემთხვევაშიც კი შეიძლება გახდეს სიკვდილის ან დასახიჩრების მიზეზი. ნადერის აზრით, ავტომობილების მეწარმენი სტილის გულისთვის უგულვებლყოფდნენ უსაფრთხოების პრინციპებს, ამასთან დაკავშირებით ის ასახელებდა კონკრეტულ მოდელებს, რომელთა საინჟინრო გადაწყვეტა განაპირობებდა სიკვდილიანობის ზრდას ტრასებზე. 1966 წლის სექტემბერში ჯონსონმა ხელი მოაწერა ტრანსპორტთან დაკავშირებულ ორ ბილს. პირველით ხდებოდა ფონდების გამოყოფა შტატებსა და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის უსაფრთხოების პროგრამების გასატარებლად, მეორეში ჩამოყალიბებული იყო უსაფრთხოების ფედერალური ნორმები მანქანებისთვის და საბურავებისთვის.

მთლიანობაში „დიდებული საზოგადოების" განხორციელებამ მოითხოვა უდიდესი საკანონმდებლო აქტიობის გაშლა. მაგრამ ჯერ კიდევ 1966 წლისათვის შესუსტდა ჯონსონის ადმინისტრაციის პოლიტიკის მხარდაჭერა. ჯონსონის ზოგიერთმა პროგრამამ ვერ გაამართლა ბევრი მოლოდინი; ბევრმა პროგრამამ ვერ მიიღო საკმარისი დაფინანსება. და მაინც, პროგრამამ „დიდებული საზოგადოება" მიაღწია სიღარიბის გარკვეულ შემცირებას – 1965–1968 წლებში მაგალითად, შავკანიანთა ოჯახების შემოსავალი გაიზარდა თეთრკანიანთა ოჯახების შემოსავლის 54 პროცენტიდან 60 პროცენტამდე.

**კონფრონტაცია კუბის გამო**

1960-იან 1970-იან წლებში შეერთებულ შტატებსა და კომუნისტურ ქვეყნებს შორის კვლავ მწვავე კონფლიქტს ჰქონდა ადგილი. იმ პერიოდში ამერიკელ ლიდერთა უმეტესობა მსოფლიოს „ცივი ომის" პოზიციიდან უყურებდა და ცდილობდა რაიმე დაეპირისპირებინა საბჭოთა საფრთხისათვის. კენედის პრეზიდენტობის დროს ბრძოლის ასპარეზად იქცა კუბა.

მას შემდეგ, რაც1959 წელს ფიდელ კასტროს რევოლუციურმა არმიამ ხელთ იგდო ძალაუფლება და მიიღო საბჭოთა კავშირის მხარდაჭერა, ურთიერთობა კუბასთან დაიძაბა. შეერთებულმა შტატებმა გაწყვიტეს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა სწორედ კენედის პრეზიდენტად არჩევის წინ, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ კი დაიწყო კუბიდან დევნილთა გაწვრთნა სამშობლოში გადასაგზავნად და ამბოხების დასაწყებად. შეტევა, რომელიც განხორციელდა 1961 წელს ბეი ოფ ფიგზ-თან, საცოდავად ჩაიშალა. კენედიმ, რომელმაც მოიწონა ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის გეგმა, აღიარა თავისი პასუხისმგებლობა ამ დამარცხებისათვის.

მომავალ წელს დაკარგული პრესტიჟის აღდგენის მიზნით კენედიმ მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა კავშირს, როდესაც გაიგო, რომ ის საიდუმლოდ ათავსებდა თავდასხმით ატომურ რაკეტებს კუბაზე. სხვადასხვა ვარიანის განხილვის შემდეგ მან არჩევანი შეაჩერა კარანტინის დაწესებაზე საბჭოთა გემებით კუბაზე დამატებითი რაკეტების შემოტანის აღსაკვეთად და ყველას გასაგონად მოსთხოვა საბჭოთა კავშირს გაეტანა იარაღი კუბიდან. რამდენიმე დღის დაძაბულობის შემდეგ, როდესაც მსოფლიო უფრო ახლოს იყო ატომურ ომთან, ვიდრე ოდესმე ადრე, საბჭოთა კავშირმა უკან დაიხია. მომხრეები ხოტბას ასხამდნენ კენედის სიმამაცისთვის, კრიტიკოსები ბრალს სდებდნენ, რომ მან შექმნა ატომური ომის საფრთხე მაშინ, როდესაც საქმის მოგვარება შეიძლებოდა წყნარი, დიპლომატიური ხერხებით. მაგრამ რეტროსპექტივაში, კუბის რაკეტების კრიზისი იქცა შემობრუნების წერტილად აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, რადგან ორივე მხარემ დაინახა იმ დაძაბულობის შენელების აუცილებლობა, რომელსაც შეეძლო გამოეწვია პირდაპირი სამხედრო კონფლიქტი. მომავალ წელს საბჭოთა კავშირმა, შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „იარაღის ლიმიტირებული გამოცდის აკრძალვის" შესახებ, რომლითაც აიკრძალა ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში.

**კოსმოსური პროგრამა**

კოსმოსი იქცა კონკურენციის კიდევ ერთ სფეროდ, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა გაუშვა 1957 წელს ხელოვნური თანამგზავრი – „სპუტნიკი“. ამერიკელები გულდაწყვეტილნი დარჩნენ,ვინაიდან რუსებმა აჯობეს მათ კოსმოსში და ამასთანავე რაკეტაზე სულ ადვილად შეიძლებოდა ატომური ბომბიც ყოფილიყო. შეერთებულმა შტატებმა მოახერხეს თავიანთი პირველი თანამგზავრის „ექსპლორერ I“ გაშვება 1958 წელს. საზოგადოების განწყობილება კვლავ გაუარესდა, როდესაც საბჭოთა კავშირმა 1961 წელს გაუშვა პირველი ადამიანი კოსმოსში. ამის საპასუხოდ კენედიმ მიზნად დაუსახა შეერთთებულ შტატებს „ათწლეულის ბოლომდე“ გაეგზავნათ ადამიანი მთვარეზე და უკან.

პროექტი „მერკური“ განხორციელდა 1962 წლის აგვისტოში, და ჯონ ჰ. გლენი გახდა აშშ-ს პირველი ასტრონავტი, რომელიც გაეიდა დედამიწის ორბიტაზე. 1960-იანი წლების შუა პერიდში აშშ-ს მეცნიერები პროგრამა „ჯემინი“-ს ჩარჩოებში იკვლევდნენ ადამიანზე ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის ზეგავლენას. „Gemini“- ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ტყუპებს. და ამ სახელწოდების კოსმოსურ ხომალდში გაიგზავნა ორი კოსმონავტი, ერთით მეტი, ვიდრე „მერკური“-ს სერიაში, და ერთით ნაკლები ვიდრე მომდევნო კოსმოსურ ხომალდში „აპოლონში“. პროგრამა „ჯემინი“-მ ზოგიერთ რაიმეში გაუსწრო საბჭოთა კავშირს, მათ შორის იყო რვა დღიანი მისია 1965 წლის აგვისტოში – იმ დროის ყველაზე ხანგრძლივი გაფრენა – და 1966 წლის ნოემბერში პირველად ავტომატურად მართვადი შესვლა დედამიწის ატმოსფეროში. „ჯემინი“-ს პროგრამით განხორციელდა აგრეთვე კოსმოსში ორი ხომალდის შეპირაპირება, რომელზეც ადამიანები იმყოფებოდნენ და ადამიანის პირველი გასვლა კოსმოსში.

პროექტი „აპოლონით“ მიღწეულ იქნა კენედის მიზანი. 1969 წლის ივლისში ასობით და ათასობით ტელემაყურებელი მთელ მსოფლიოში მომსწრე იყო იმისა, თუ როგორ გახდა ნეილ ა.

არმსტრონგი პირველი ადამიანი, ვინც გაიარა მთვარის ზედაპირზე. ამას მოჰყვა „აპოლონის“ სხვა გაფრენები, მაგრამ ბევრი ამერიკელი კითხვის ქვეშ აყენებდა ადამიანის კოსმოსში გაგზავნის საჭიროებას. 1970-იან წლებში გაჩნდა სხვა უფრო სასწრაფო საქმეები და შეერთებულმა შტატებმა შეამცირეს თავისი კოსმოსური პროგრამა. უარი ითქვა „აპოლონის“ ზოგიერთ დაგეგმილ გაშვებაზე. შემოთავაზებული ორი კოსმოსური ლაბორატორია-სადგურის ნაცვლად აშენდა მხოლოდ ერთი.

**ომი ვიეტნამში**

ინდოჩინეთი ისევ „ცივი ომის“ ბრძოლის ველს წარმოადგენდა. საფრანგეთი აკონტროლებდა ვიეტნამს მე-19 საუკუნის შუა წლებიდან, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს განდევნილ იქნა იაპონიის მიერ. ამასობაში ომში ჰო-ში-მინი, ვიეტნამელი კომუნისტი, ცდილობდა გამოენთავისუფლებინა თავისი ერი კოლონიალური უღლიდან და მოდელად აიღო ამერიკელთა ომი დამოუკიდებლობისათვის. მას შემდეგ, რაც 1945 წელს მოკავშირეებმა დაამარცხეს იაპონია, მათ უკვე საქმე ჰქონდათ ჰო-ში-მინთან.

საფრანგეთი იმედოვნებდა თავისი ძლიერი ქვეყნის სტატუსის აღდგენას და მოითხოვდა ვიეტნამის დაბრუნებას. ჰო უკან არ იხევდა და განაგრძობდა განთავისუფლებისთვის ბრძოლას. შეერთებულ შტატებს სურდათ საფრანგეთის მხარდაჭერის შენარჩუნება ევროპაში სსრკ-ს აგრესიის შეკავების პოლიტიკის ჭრილში და ეკონომიკურად ეხმარებოდნენ საფრანგეთს, რითაც გამოთავისუფლდა რესურსები ვიეტნამთან ომისათვის. ამ დახმარებამაც კი ვერ იხსნა საფრანგეთი დამარცხებისგან 1954 წელს. საერთაშორისო კონფერენციაზე ჟენევაში ვიეტნამი გაიყო, ჩრდილოეთში ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა ჰო, სამხრეთში კი – ნგო-დინ დიემი, კათოლიკე ანტიკომუნისტი, რომელიც მართავდა ძირითადად ბუდისტურ მოსახლეობას. ორი წლის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო არჩევნები ქვეყნის გასაერთიანებლად.

ეიზენჰაუერი დაარწმუნეს, რომ ვიეტნამის დაცემა გამოიწვევდა ბირმის, ტაილანდის და ინდონეზიის დაცემას, და მან მხარი დაუჭირა დიემის მიერ არჩევნებზე უარის თქმას 1956 წელს და გაუზარდა ეკონომიკური და სამხედრო დახმარება სამხრეთ ვიეტნამს. კენედიმ კიდევ უფრო გაზარდა ეს დახმარება და გაგზავნა იქ სამხედრო მრჩეველთა მცირე ჯგუფები, მაგრამ ჩრდილოეთის და სამხრეთის ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. დიემის არაპოპულარობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და დამთავრდა მისი გადაყენებით და სიკვდილით 1963 წელს.

სიტუაცია უფრო არასტაბილური გახდა, ვიდრე მანამდე იყო. სამხრეთში პარტიზანები, ცნობილნი „ვიეტ კონგი“-ს სახელით, ებრძოდნენ სამხრეთ ვიეტნამის მთავრობას ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ კი ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მეშვეობით, რომელიც მათი პოლიტიკური იარაღი იყო. ჩრდილოეთ ვიეტნამის დახმარებით, მათ განსაკუთრებით მოიკიდეს ფეხი სოფლებში გლეხთა შორის. ჯონსონმა გადაწყვიტა შეეჩერებინა კომუნისტთა წინსვლა და ვიეტნამის ომი საკუთარ ომად აქცია. მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ვიეტნამის ფლოტმა იერიში მიიტანა ამერიკულ გამანადგურებლებზე, ჯონსონმა მიაღწია იმას, რომ 1964 წლის 7 აგვისტოს კონგრესმა მიიღო „ტონკინის ყურის

რეზოლუცია", რომელიც უფლებას აძლევდა პრეზიდენტს „მიეღო ყოველგვარი ზომები, რათა უკუეგდო შეერთებული შტატების ჯარზე შეიარაღებული თავდასხმა და შემდგომი აგრესია". 1964 წლის ნოემბერში ხელმეორედ არჩევის შემდეგ მან განახორციელა ესკალაციის პოლიტიკა. თუ კონფლიქტის დასაწყისში, 1965 წელს, ჯარისკაცთა რიცხვი შეადგენდა 25 000 კაცს, 1968 წლისათვის მათი რიცხვი – როგორც მოხალისეების, ასევე წვევანდელების – გაიზარდა 500 000 კაცამდე. მასირებულმა დაბომბვებმა მიწასთან გაასწორეს ჩრდილო და სამხრეთ ვიეტნამი.

როდესაც ტელევიზიით იქნა ნაჩვენები საზარელი ბრძოლის ეპიზოდები, ამერიკელებმა დაიწყეს პროტესტის გამოთქმა თავისი ქვეყნის ომში მონაწილეობის გამო. საგარეო პოლიტიკის ისეთი ექსპერტები, როგორიც იყო ჯორჯ კენანი, აშშ პოლიტიკას მცდარად მიიჩნევდა. სხვები თვლიდნენ, რომ აშშ-ს არ გააჩნდა ომის დამთავრების სტრატეგია. ამერიკელები თვალყურს ადევნებდნენ მასობრივ სამხედრო კომპანიას, რომელიც, თითქოს, არაფითარ გავლენას არ ახდენდა ომზე. აშშ-ს პოლიტიკით საზოგადოების უკმაყოფილობამ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, უბიძგა ჯონსონს დაეწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები.

ომის წინააღმდეგ გამეფებულმა განწყობილებამ 1968 წელს აიძულა ჯონსონი აღარ წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებში. ჩიკაგოში (ილინოისი) დემოკრატთა ეროვნულ ყრილობაზე დემონსტრანტებს მოუვიდა პოლიციასთან შეტაკება ქუჩებში. ქაოსმა დემოკრატიულ პარტიაში, განსაკუთრებით რობერტ კენედის მკვლელობის შემდეგ, თეთრკანიანთა წინააღმდეგობამ სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიმართ 1960 წელს და მესამე პარტიის კანდიდატის, ალაბამას გუბერნატორის, ჯორჯ უოლისის მონაწილეობამ არჩევნებში ( მან გაიმარჯვა თავის მშობლიურ შტატებში, მისისიპში, არკანზასში, ლუიზიანაში და ჯორჯიაში) განაპირობეს რესპუბლიკელი რიჩარდ ნიქსონის არჩევა. იგი მიზნად ისახავდა შეერთებული შტატების გამოყვანას ომიდან და „წესრიგისა და კანონიერების" დამყარებას ქვეყანაში.

ნიქსონს ნელნელა გამოჰყავდა ვიეტნამიდან ამერიკის ჯარები, მაგრამ ამავე დროს სწორედ მისი ბრძანებით მოხდა მთელი ამ ომის მანძილზე ყველაზე საშინელი დაბომბვა. მან აგრეთვე ჯარი შეიყვანა კამბოჯაში ჩრდილოეთ ვიეტნამელების მომარაგების ზონიდან მოწყვეტის მიზნით, რომელიც გადიოდა კამბოჯიდან სამხრეთ ვიეტნამისაკენ. ამან გამოიწვია პროტესტის და დემონსტრაციების მეორე ტალღა, და მრავალი უნივერსიტეტის სტუდენტი გამოვიდა ქუჩებში. ერთ-ერთი ასეთი დემონსტრაციის დროს კენტ სტეიტში (ოჰაიო)

წესრიგის აღსადგენად გამოძახებულებმა ეროვნული გვარდიის ნაწილებმა პანიკის დროს მოკლეს ოთხი სტუდენტი.

მოლაპარაკებები ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომლებსაც შეერთებული შტატების მხრიდან აწარმოებდა ნიქსონის ადმინისტრაციის ეროვნული უშიშროების მრჩეველი ჰენრი კისინჯერი, ბოლოს და ბოლოს, ხელშეკრულების ხელმოწერით დასრულდა 1973 წელს. თუმცა ამერიკის ჯარებმა დატოვეს ქვეყანა, ომი გაგრძელდა 1975 წლის გაზაფხულამდე, როდესაც ჩრდილოეთ ვიეტნამმა თავისი ძალაუფლება მთელ ტერიტორიაზე დაამყარა.

ომი ძალიან ძვირად დაუჯდა ამერიკას. მან დატოვა ვიეტნამი დამარცხებულმა, ათასობით ამერიკელი დაიღუპა ან დასახიჩრდა. შეერთებულმა შტატებმა დახარჯა 150 ათასი მილიონი დოლარი ომზე, რომელიც დამარცხებით დამთავრდა და რომელსაც 58 000 ამერიკელის სიცოცხლე შეეწირა. ამ ომით დასრულდა აგრეთვე „ცივი ომის" საგარეო პოლიტიკა. საზოგადოებამ გაიგო, რომ ამერიკის ჯარის ზოგიერთი ნაწილები მხეცობას ჩადიოდნენ ვიეტნამში და რომ მთავრობამ ტყუილი ინფორმაცია გაავრცელა ტონკინის ყურეში 1964 წელს მომხდარი ინციდენტის შესახებ. ბევრი ამერიკელი შეაძრწუნა კამბოჯის დაპყრობამ. ომმა ბევრი ახალგაზრდა ამერიკელი აიძულა კრიტიკულად შეეხედა მათი ერის საქციელისათვის და იმ ღირებულებებისათვის, რომლებსაც ის იცავდა.

---

**დაძაბულობის შენელება**

როდესაც ომი დაწყნარდა, ნიქსონის ადმინისტრაციას საშუალება მიეცა პრაგმატულად მიდგომოდა ურთიერთობას ძირითად კომუნისტურ ძალებთან. ყველაზე დრამატული ნაბიჯი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან კავშირის დამყარება. იმ 2 ათწლეულის მანძილზე, რაც მაო ძედუნმა გაიმარჯვა ჩინეთში, შეერთებული შტატები აცხადებდნენ, რომ მთელი ჩინეთის ერთადერთი წარმომადგენელი იყო ტაივანის ნაციონალისტური მთავრობა. 1971 და 1972 წლებში ნიქსონმა შეარბილა ამერიკის პოზიცია, შეამცირა ვაჭრობის შეზღუდვები და გახდა პირველი ამერიკელი პრეზიდენტი, რომელიც ჩავიდა პეკინში.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში ნიქსონს არანაკლები წარმატება ჰქონდა დაძაბულობის შენელების თვალსაზრისით. გავიდა რამოდენიმე თვე მისი ჩინეთში მოგზაურობის შემდეგ, და ის ვიზიტით ეწვია საბჭოთა კავშირს. მას ჰქონდა რამოდენიმე გულითადი შეხვედრა საბჭოთა ლიდერთან ლეონიდ ბრეჟნევთან, რომლის დროსაც ისინი შეთანხმდნენ შეემცირებინათ რაკეტების მარაგი, ეთანამშრომლათ კოსმოსში და შეესუსტებინათ სავაჭრო შეზღუდვები. „მოლაპარაკებები

სტრატეგიული შეზღუდვის“ შესახებ (SALT) დასრულდა 1972 წელს დადებული შეიარაღების კონტროლის შეთანხმებით, რამაც შეასუსტა ატომური არსენალების ზრდა და აკრძალა ანტიბალისტიკური სარაკეტო დანადგარები.

**ნიქსონის წარმატებები და წარუმატებლობები**

ნიქსონმა დაიკავა თეთრი სახლი დემოკრატების 8 წლიანი მმართველობის შემდეგ. ის იყო ეიზენჰაუერის ვიცე-პრეზიდენტი, შემდეგ დამარცხდა 1960 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მისი დამოკიდებულება პოლიტიკისადმი არ იყო ისეთი მგზნებარე, როგორც პრეზიდენტ ჯონსონისა. თავდაჭერილი, ის ხშირად, თითქოს, უხერხულად გრძნობდა თავს და ყოველთვის წინასწარ ანგარიშობდა თავის შემდგომ ნაბიჯს. თავდაპირველად ეს ეხმარებოდა მას, მაგრამ საბოლოოდ მისი მარცხის მიზეზი გახდა.

თუმცა ნიქსონი როგორც რესპუბლიკელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფინანსურ პასუხისმგებლობას, ის აღიარებდა, რომ მთავრობას უფრო მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა და მთელი ქვეყნის კეთილდღეობის მიღწევის ძირითადი მონახაზი, მას მხოლოდ უნდოდა უკეთ განეხორციელებინა სახელმწიფო პროგრამები.

თავის პრეზიდენტობის პერიოდში ნიქსონი რამოდენიმე ეკონომიკური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. 1973 წელს ინფლაციის დონე შეადგენდა 9 პროცენტს; სამრეწველო აქციების დოუ-ჯონსოის ინდექსი დაეცა 36 პროცენტამდე 1968 წლის ნოემბრიდან 1970 წლის მაისამდე; უმუშევრობის დონემ 1970 წლის ბოლოსთვის მიაღწია 6,6 პროცენტს. 1971 წელს ნიქსონმა განახორციელა ხელფასების და ფასების კონტროლის ღონისძიებები, მაგრამ ამას დიდი შედეგები არ მოჰყოლია.

ფაქტორები, რომელთა მართვაც ნიქსონს არ შეეძლო, ძირს უთხრიდნენ მის ეკონომიკურ პოლიტიკას. 1973 წელს ისრაელ-სირიის ომის გამო საუდის არაბეთმა და ეგვიპტემ ემბარგო დაადეს ისრაელის მოკავშირისთვის – შეერთებული შტატებისთვის – ნავთობის გაგზავნას. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა გაათრმაგეს თავიანი ფასები. ამერიკელები აღმოჩნდნენ როგორც საწვავის უკმარისობის, ისე სწრაფად მზარდი ფასების პრობლემების წინაშე. როდესაც შემდეგ წელს ემბარგო მოიხსნა, ფასები მაინც მაღალი დარჩა. ენერგომატარებლებზე ფასების ზრდამ გავლენა მოახდინა ამერიკის მთელ ეკონომიკაზე: 1974 წელს ინფლაციამ მიაღწია 12 პროცენტს და გამოიწვია არევდარევა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა უმუშევრობის დონე; ეკონომიკური დაცემითა და ინფლაციით (სტაგფლაციით) დასრულდა უპრეცედენტო ეკონომიუკრი ბუმი, რომელიც კი უნახავს ამერიკას 1948 წლიდან.

ნიქსონი ცდილობდა ეკონომიკის მართვას და იმავე დროს „კანონის და წესრიგის“ აღდგენას. დანაშაულების ზრდა ამერიკის ქალაქებში და პოლიტიკური პროტესტები, ნარკოტიკების მოხმარება და უფრო თავისუფალი შეხედულებები სექსზე აშშ-ს უნივერსიტეტებში, ბევრი ამერიკელის უკმაყოფილებას იწვევდა. თავისი პოლიტიკური პოპულარობის მიზნით ნიქსონმა გადაწყვიტა გამოეყენებინა სახელმწიფო ხელისუფლება არეულობების წინააღმდეგ. მან დაარბია დემონსტრანტები, შეუტია პრესას საკითხების არასწორი გაშუქების გამო და შეეცადა ჩაეჩუმებინა თავისი მოწინააღმდეგენი.

ამ სტრატეგიის უკუქმედებითი შედეგი გამოიხატა „უოტერგეიტის“ საქმეში. როდესაც თავისი პრეზიდენტობის პირველ წელიწადს პარლამენტის ორივე პალატაში ნიქსონი დემოკრატთა უმრავლესობის პირისპირ აღმოჩნდა, მას გაუჩნდა სურვილი მოეგო – შემდგომი, 1972 წლის არჩევნები დიდი უპირატესობით, რაც განაპირობებდა რესპუბლიკელების უმრავლესობას კონგრესში და შესაძლებელი გახდებოდა საკანონმდებლო ჩიხიდან გამოსვლა. პრეზიდენტის ხელახალი არჩევნების კომიტეტმა დაიწყო ფონდების გაზრდის კომპანია, რომ ფული შეგროვებულიყო მანამ, სანამ საჭირო გახდებოდა შემოწირულობების გაფორმება ახალი კანონის მიხედვით.

1972 წელს ნიქსონის ჯგუფმა განიზრახა ვაშინგტონში უოტერგეიტის ბინების კომპლექსში, ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის წევრთა ტელეფონების მოსმენა. ცდა ჩაიშალა, როდესაც დააპატიმრეს მძარცველები და მათ უპოვეს ფული და დოკუმენტები, რომელთა კვალიც აშკარად თეთრ სახლამდე მიდიოდა. ადმინისტრაცია შეეცადა დაემალა თავისი მონაწილეობის ფაქტი. შტაბ-ბინის გატეხვიდან ექვსი თვის შემდეგ ნიქსონმა მოსთხოვა მთავარ სადაზვერვო ბიუროს ბრძანების გაცემა ფედერალური საგამომძიებლო ბიუროსათვის გამოძიების შეწყვეტის თაობაზე იმ მიზეზით, რომ საქმე ეხებოდა ეროვნულ უშიშროებას.

სინამდვილეში შტაბ-ბინის გატეხვა ერთ-ერთი ასპექტი იყო კომპანიისა, რომელიც მიზნად ისახავდა იმ ადამიანების გამოვლინებას და განადგურებას, რომლებსაც ადმინისტრაცია თავის მტრებად მიიჩნევდა. ეს საქმიანობა მოიცავდა ტელეფონების მოსმენას, ბინების და ოფისების გატეხვას, ფონდების გაზრდას. თუმცა ნიქსონი იმ წელს დიდი უპირატესობით ხელახლა იქნა არჩეული პრეზიდენტად, პრესა, კერძოდ კი „უოშინგტონ პოსტი“, განაგრძობდა გამოძიებას. სკანდალი გამომჟღავნდა და დემოკრატთა უმრავლესობამ წამოიწყო სისხლის სამართლის პროცესი ნიქსონის წინააღმდეგ. სამხილებელი მასალა მისი საქმეში მონაწილეობის შესახებ მატულობდა, და იგი გადადგა 1974 წლის 9 აგვისტოს.

### ფორდის ინტერლუდია

ჯერალდ ფორდი, უპრეტენზო კაცი, რომელმაც თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების უმეტესი ნაწილი კონგრესში გაატარა, ნიქსონის ვიცე-პრეზიდენტი გახდა თავისი წინამორბედის სპირო თ. აგნიუს გადადგომის შემდეგ, როდესაც ის მხილებულ იქნა ქრთამების აღებაში როგორც ვიცე-პრეზიდენტად არჩევამდე, ასევე მას შემდეგაც. ოცი თვის შემდეგ გადადგა ნიქსონი და პრეზიდენტი გახდა ფორდი. მისი უპირველესი საქმე იყო მთავრობისადმი ნდობის აღდგენა, რომელიც შეირყა ნიქსონის წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო პროცესის დროს. თავდაპირველად ფორდი დიდი ნდობით სარგებლობდა, მაგრამ ეს ნდობა სწრაფად გაქარწყალდა მას შემდეგ, რაც მან აპატია ნიქსონს და აარიდა მას მომავალში სასამართლო წესით დევნა.

საზოგადოებრივ პოლიტიკაში ფორდი მისდევდა ნიქსონის კურსს. ეკონომიკური პრობლემები კვლავ სერიოზული რჩებოდა, რადგან კვლავ მატულობდა ინფლაცია და უმუშევრობა, წარმოება კი ეცემოდა. თავიდან ფორდი შეეცადა მოეთაფლა საზოგადოება, როგორც ეს 1929 წელს გააკეთა ჰერბერტ ჰუვერმა. როდესაც აქედან არაფერ გამოვიდა, მან მიიღო ზომები ინფლაციის შესაჩერებლად, რამაც გამოიწვია უმუშევრობის მომატება 12 პროცენტამდე და ყველაზე უფრო სერიოზული ეკონომიკური დაცემის პერიოდი „დიდი დეპრესიის“ შემდეგ. გადასახადების შემცირებამ და უმუშევართა დახმარების ზრდამ ოდნავ შეამსუბუქა მდგომარეობა, მაგრამ ბოლო ვერ მოუღო ეკონომიკურ სიძნელეებს.

---

### კარტერის პრეზიდენტობის წლები

ჯიმი კარტერი, ჯორჯიის ყოფილი დემოკრატი გუბერნატორი, პრეზიდენტად აირჩიეს 1976 წელს. წინა საარჩევნო კომპანიის დროს მან წარადგინა თავისი თავი როგორც უცხო პირმა ვაშინგტონის პოლიტიკაში და, ამდენად, შეპირდა ამომრჩევლებს ახლებური მიდგომის გატარებას ქვეყნის მართვის საქმეში. მაგრამ სწორედ ეროვნულ დონეზე მოღვაწეობის გამოცდილების ნაკლებობამ განაპირობა ის სიძნელეები, რომლებსაც დასაწყისშივე წააწყდა კარტერი. საზღვაო ოფიცერი და განათლებით ინჟინერი, ის ხშირად ტექნოკრატი იყო, მაშინ, როდესაც ამერიკელებს სჭირდებოდათ უფრო მოქნილი პიროვნება, რომელიც გამოიყვანდა მათ გაჭირვების პერიოდიდან.

ეკონომიკაში კარტერი თავდაპრველად დაადგა დეფიციტის შემცირების კურსს. როდესაც სარეზერვო ფედერალურმა საბჭომ, რომელიც პასუხს აგებდა ფულადი პოლიტიკის საქმეებზე, გაზარდა ფულის რაოდენობა დეფიციტის დასაფარავად, ინფლაცია ავიდა 10 პროცენტამდე წელიწადში. ამის საპასუხოდ კარტერმა შეამცირა ბიუჯეტი

ინფლაციის შესანელებლად, მაგრამ ეს შეკვეცა შეეხო სოციალურ პროგრამებსაც – დემოკრატთა პოლიტიკის ქვაკუთხედს. მისი საპრეზიდენტო ვადის ბოლოსთვის დეფიციტი ისევ მაღალი იყო, ობლიგაციების ფასები ეცემოდა, პროცენტები იზრდებოდა და ბიზნესმენთა წრეები მას მხარს არ უჭერდნენ.

კარტერს აკრიტიკებდნენ აგრეთვე იმის გამოც, რომ მან ვერ განავითარა ეფექტური ენერგეტიკული პროგრამა. მან შეიმუშავა დაწვრილებითი პროგრამა, რომლითაც ამერიკა ნაკლებად დამოკიდებული იქნებოდა უცხოურ ნავთობზე და უწოდა მას „ომის მორალური ექვივალენტი", მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ჩაუშალეს ეს საქმე კონგრესში.

თუმცა კარტერი თავის თავს პოპულისტს უწოდებდა მისი პოლიტიკური მიზნები არასოდეს არ იყო ნათელი. ის იწონებდა ხელისუფლების მიერ დამცველის როლის შესრულებას, მაგრამ ამავე დროს წამოიწყო რეგულირების წინააღმდეგ მიმართული პროცესი – ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო კონტროლის მოხსნა. ის ამტკიცებდა, რომ ზოგიერთმა აკრძალვებმა გასული საუკუნის მანძილზე შეზღუდეს კონკურენცია და გაზარდეს სამომხმარებლო ფასები. ის მხარს უჭერდა კონტროლის მოხსნას ნავთობის, საავიაციო, რკინიგზის და საავტომობილო გადაზიდვების დარგებში.

კარტერი ესწრაფოდა დემოკრატთა ლიდერობის აღდგენას, მაგრამ მისმა მცდელობამ ვერ მოიპოვა საზოგადოების ან კონგრესის მხარდაჭერა. საპრეზიდენტო ვადის დასასრულისთვის მის წინააღმდეგ რეიტინგმა მიაღწია 77 პროცენტს და ამერიკელებმა იმედით შეხედეს რესპუბლიკურ პარტიას.

---

**ვიეტნამის ომის შემდგომი საგარეო პოლიტიკა**

ვიეტნამის ომის შემდეგ შეერთებული შტატების პოლიტიკა კვლავ აქტიური რჩებოდა მსოფლიოს საქმეებში ევროპაში, შუა აღმოსავლეთსა და ლათინურ ამერიკაში საკამათო საკითხების მოგვარებაში. მაგრამ 1970 წელს სერიოზული პრობლემები წამოიჭრა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში, განსაკუთრებით ირანთან დაკავშირებით.

პრეზიდენტი ფორდი აგრძელებდა ნიქსონის ადმინისტრაციის პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების მიმართულებით. 1974 წელს ფორდი შეხვდა საბჭოთა ლიდერს ლეონიდ ბრეჟნევს ვლადივოსტოკში. შეხვედრის შედეგად მიღწეულ იქნა წინასწარი შეთანხმება აშშ-სსრკ-ს შეიარაღების კონტროლის თაობაზე. ეს შეთანხმება აგრეთვე გზას უკაფავდა 1975 წლის მრავალეროვან ჰელსინკის კონფერენციას, ფინეთში.

ჰელსინკის კონფერენცია უმაღლესი დონის ყველაზე დიდი კონფერენცია იყო ევროპის ისტორიაში, რომელსაც ესწრე-

ბოდა 35 ევროპული ქვეყნის ლიდერი, აგრეთვე შეერთებული შტატები და კანადა. კონფერენციის შედეგად მიღებულ იქნა ისტორიული 30 000-სიტყვიანი „დასკვნითი აქტი", სადაც თავმოყრილი იყო რამოდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელთა შორის ზოგიერთი წამოყენებულ იქნა დასავლეთის მთავრობის მიერ, ზოგი კი აღმოსავლეთის ბლოკის მხრიდან. მასში აღიარებული იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის საზღვრებში მომხდარი ცვლილებები მუდმივი იქნებოდა, – აღიარება, რომელსაც მოსკოვი დიდი ხანია ითხოვდა. ჰელსინკის დასკვნითი აქტი აგრეთვე შეიცავდა პიროვნების უფლებების და ადამიანის თავისუფლების პატივისცემის პირობას. დასავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ გაეზარდათ ზემოქმედება აღმოსავლეთის ბლოკის მთავრობებზე იმით, რომ აიძულებდნენ მათ ხელი მოეწერათ პირობაზე. ფაქტიურად დასავლეთის სახელმწიფოები ეფექტიანად იყენებდნენ პერიოდულ „ჰელსინკის მიმოხილვით შეხვედრებს", რომლებზეც ყურადღებას ამახვილებდნენ კომუნისტური რეჟიმის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის სხვადასხვა შემთხვევებზე აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში.

პრეზიდენტ ჯიმი კარტერის დახმარებით მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები ეგვიპტე-ისრაელის ურთიერთობაში, რის შედეგდაც დამთავრდა ამ ქვეყნებს შორის მიმდინარე 30-წლიანი ომი. კარტერი, რომელიც ამ მოლაპარაკებათა მონაწილეც იყო და შუამავალიც, 1978 წელს კემპ დევიდში (მერილენდი) შეხვდა, ეგვიპტის პრეზიდენტს ანვარ ალ-სადათს და ისრაელის პრემიერ-მინისტრს მენახიმ ბეგინს მშვიდობის პირობების შესათანხმებლად. ორივე ლიდერი შემდეგ ჩამოვიდა შეერთებულ შტატებში ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად, რაც შედგა 1979 წლის მარტში თეთრ სახლში.

გაჭიანურებული და ზოგჯერ ემოციური დებატების შემდეგ კარტერმა მიაღწია ხელშეკრულების რატიფიცირებას სენატში, რომლის მიხედვით პანამის არხი უნდა დაბრუნებოდა პანამას 2000 წლისთვის. მან გააგრძელა ნიქსონის პოლიტიკა, როდესაც ფორმალური დიპლომატიური გზით სცნო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

მაგრამ კარტერმა ვერ მოასწრო დამტკბარიყო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში მიღწეული წარმატებებით, თუმცა მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო განსაზღვრული და მაღალი მიზნებით და განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა თავი დააღწის „კომუნიზმის წინაშე უზომო შიშს". მისი მტკიცება, რომ „ჩვენი ერთგულება ადამიანთა უფლებებისადმი უნდა იყოს უცილობელი" ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა მთავრობის ინტერესებს. მეორე შეთანხმება SALT II, რომელიც კიდევ უფრო ზღუდავდა ატომურ იარაღს, ხელმოწერილი იქნა, მაგრამ არ იყო რატიფიცირებული აშშ-ს სენეტის მიერ,

ნაწილობრივ 1979 წელს საბჭოთა კავშირის ავღანეთში შესვლისადმი პროტესტის ნიშნად. იმ წელს კარტერმა დაიწყო თავდაცვითი ზომების მიღება, რამაც განაპირობა დანახარჯების გაზრდა 1980-იან წლებში.

1979 წელს კარტერი კიდევ უფრო დიდ უსიამოვნებებს წააწყდა ირანთან დაკავშირებით. მუსულმანთა ლიდერი აიათოლა ჰომეინის ხელმძღვანელობით მომხდარ ფუნდამენტალისტთა რევოლუციის შემდეგ, რომელმაც შეცვალა კორუმპირებული, მაგრამ მეგობრული რეჟიმი, კარტერმა გაძევებულ შახს დართო შეერთებულ შტატებში სამკურნალოდ ჩასვლის ნება. გაბრაზებულმა შეიარაღებულმა ირანელებმა ხელთ იგდეს ამერიკის საელჩო თეირანში და აიყვანეს 53 ამერიკელი მძევალი, რომლებიც ერთ წელიწადზე მეტ ხანს ჰყავდათ შეპყრობილი. მიუხედავად დიდი მცდელობისა კარტერმა ვერ მიაღწია მათ განთავისუფლებას და ამ წარუმატებლობამ განსაზღვრა მისი დამარცხება არჩევნებში.

---

**მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის 1960–1980 წლებში**

შავკანიანი ამერიკელების ბრძოლამ თანასწორობისათვის 1960-იანი წლების შუაში კულმინაციურ წერტილს მიაღწია. 1950-იან წლებში ზედიზედ მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ შავკანიანებმა კიდევ უფრო მეტად მიმართეს არაძალისმიერ მოქმედებას. ზოგიერთი ჯგუფები, მსგავსად „სამხრეთის ქრისტიანულ ლიდერთა კონფერენციისა“, შავკანიანთა სამღვდელოების და ახალგაზრდა აქტივისტებისაგან შემდგარი სტუდენტთა არაძალისმიერი საკოორდინაციო კომიტეტის სახით შეეცადნენ გაეტარებინათ რეფორმები მშვიდობიანი კონფერენციის გზით.

1960 წელს სამხრეთ კაროლინაში შავკანიანთა კოლეჯის სტუდენტები დასხდნენ ზანგებისთვის გამოყოფილ ვულვორთის სასაუზმე დახლთან და უარი თქვეს წასვლაზე. ამ მოქმედებამ მიიპყრო პრესის ყურადღება და გამოიწვია მსგავსი დემონსტრაციები სამხრეთში. მომდევნო წელს სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლებმა მოაწყვეს „თავისუფლების მსვლელობა“, რომლის დროსაც როგორც შავკანიანები, ისე თეთრკანიანები ჩასხდნენ ავტობუსებში და გაემართნენ სამხრეთისაკენ, შავკანიანებისათვის გამოყოფილი ავტობუსების გაჩერებებისაკენ, სადაც მომხდარ კონფრონტაციას შეეძლო მოეპყრო პრესის ყურადღება და გამოეწვია ცვლილებანი.

მათ მოაწყვეს მასობრივი მიტინგები, რომელთა შორის ყველაზე დიდი იყო 1963 წლის „ვაშინგტონის მარში“. 200 000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა ქვეყნის დედაქალაქში, რათა დაედასტურებინათ თავიანთი მხარდაჭერა ყველა ადამიანის

თანასწორობისათვის. მთელი დღის განმავლობაში სრულდებოდა სიმღერები და გამოდიოდნენ სიტყვებით. დღის კულმინაციური წერტილი გახდა მარტინ ლუთერ კინგი უმცროსის გამოსვლა, რომელმაც თავი გამოიჩინა როგორც სამოქალაქო უფლებებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა. „მე ვოცნებობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჯორჯიას წითელ მთებზე ყოფილი მონების შვილები და ყოფილი მონათმფლობელების შვილები ერთად მიუსხდნენ ძმობის მაგიდას“, – განაცხადა კინგმა. ყოველთვის, როცა იგი ხმარობდა გამოთქმას „მე ვოცნებობ“, ხალხი გრგვინავდა.

მაგრამ სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის ასეთ ფორმას დასაწყისში წარმატება არ მოჰყოლია. თავდაპირველად პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ დიდი სურვილი არ გამოიჩინა თეთრკანიანი სამხრეთელების მხარდასაჭერად სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლაში, ვინაიდან მას ესაჭიროებოდა მათი ხმები სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მაგრამ მოვლენებმა აიძულეს იგი მოეხედა ამ პრობლემებისათვისაც. როდესაც ჯეიმს მერედითს 1962 წელს უარი ეთქვა მისისიპის უნივერსიტეტში მიღებაზე მისი რასის გამო, კენედიმ კანონის გასატარებლად გაგზავნა იქ ფედერალური ჯარები. ბირმინგემის (ალაბამა) დესეგრეგაციის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტებს სწრაფად მოჰყვა პოლიციის მკაცრი პასუხი, რის შედეგადაც კენედიმ გაუგზავნა კონგრესს სამოქალქო უფლებების ახალი ბილი, რომლითაც წესდებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების გაერთიანება. მაგრამ თვით „ვაშინგტონის მარშმაც“ კი ვერ მიაღებინა კონგრესის კომიტეტს ეს კანონები, რომლებიც შეჩერებულ იქნენ კენედის მკვლელობის შემდეგ.

პრეზიდენტ ჯონსონს უფრო მეტი წარმატება ხვდა წილად ამ მიმართებით. იგი იყო სამხრეთელი, ტეხასიდან, და როგორც კი თეთრ სახლში შევიდა, შეუდგა სამოქალაქო უფლებების დამცავი ღონისძიებების გატარებას. 1963 წელს მან კონგრესს განუცხადა: „ვერც ერთი მოსაგონარი ან ხოტბის შემსხმელი სიტყვა ვერ შეძლებს მეტი პატივი მიაგოს პრეზიდენტ კენედის ხსოვნას, ვიდრე სამოქალაქო უფლებების ბილის რაც შეიძლება სწრაფად დამტკიცება“. გამოიყენა რა მთელი თავისი ავტორიტეტი, მან დაარწმუნა სენატი შეეწყვიტა დებატები და უზრუნველეყო 1964 წლის სამოქალაქო უფლებების აქტის დამტკიცება, რომელიც კანონგარეშედ აცხადებდა დისკრიმინაციის ყველა შემთხვევას საზოგადოებრივ ადგილებში. შემდეგ წელს მან მიაღებინა კანონი, რომელიც ცნობილია 1965 წლის „საარჩევნო უფლებების აქტის“ სახელწოდებით. ამ კანონის თანახმად ფედერალურ ხელისუფლებას ეძლეოდა უფლება ხმის მიმცემთა რეგისტრაციის დროს დაენიშნა ზედამხედველი იქ, სადაც ადგილობრივი ოფიციალური პირები შეუძლებლად მიიჩნევდნენ შავკანიანთა რეგისტრაციას.. ამ კანონის მიღე-

ბიდან ერთი წლის შემდეგ 400 000 შავკანიანი იქნა რეგისტრირებული სამხრეთში. 1968 წელს ამ რიცხვმა ერთ მილიონს მიაღწია და ამომრჩეველ შავკანიანთა რაოდენობა არსებითად გაიზარდა. 1968 წელს კონგრესმა მიიღო კანონმდებლობა, რომელიც კრძალავდა დისკრიმინაციას ბინების მიღების საკითხში.

საკანონმდებლო ორგანოების ამ აქტიურობის პერიოდში ზოგიერთი შავკანიანი მაინც იჩენდა მოუთმენლობას პროგრესის ტემპთან დაკავშირებით. მალკოლმ X, მოძრაობის მჭერმეტყველი აქტივისტი, ამტკიცებდა შავკანიანთა თეთრკანიანებისაგან გამოყოფის არსებობას. სტოკლი კარმაიკელი – სტუდენტთა ლიდერი – იმედგაცრუებული დარჩა შავკანიანთა მიერ ძალისმიერ მეთოდებზე უარის თქმისა და ინტერრასობრივი კოოპერაციის იდეის გამო. ფაქადაგებდა შავკანიანთა მიერ ძალაუფლების მოპოვების საჭიროებას, რაც ნებისმიერი გზით უნდა მომხდარიყო.

ამბოხს თან სდევდა საბრძოლო მოწოდებები რეფორმების გატარების თაობაზე. 1966 და 1967 წლებში რამდენიმე დიდ ქალაქში დაიწყო ბუნტი. 1968 წლის გაზაფხულზე მარტინ ლუთერ კინგი მოკლულ იქნა, რამდენიმე თვის შემდეგ სენატორ რობერტ კენედის – გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების დამცველს, ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეს და მოკლული პრეზიდენტის ძმას, იგივე ბედი ეწია. ბევრი ადამიანისათვის ეს ორი მკვლელობა ნიშნავდა უდანაშაულობისა და იდეალიზმის დასასრულს სამოქალაქო უფლებებსა და ომის საწინააღმდეგო მოძრაობაში. ბრძოლის სულისკვეთების ზრდამ, რომელთანაც გარდუვალად იყო დაკავშირებული ბზარის გაჩენა კონსერვატიული განწყობილების გაძლიერების გამო, ერის ფსიქიკას დაასვა დაღი, რომლისგან განკურნებას წლები დასჭირდა.

რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ფედერალური ხელისუფლების ყურადღება სამოქალაქო უფლებების დაცვისადმი შესუსტდა. ნიქსონი თავის პოლიტიკურ დასაყრდენს ხედავდა კონსერვატიულად განწყობილ თეთრკანიანებში, რომელთა აზრით შავკანიანთა მოძრაობამ თანასწორობისათვის ძალიან შორს შეტოპა. „სამხრეთის სტრატეგიამ" აიძულა ადმინისტრაცია შეემცირებინა დაფინანსება ბინების მშენებლობის საქმეში, ხოლო 1970 წელს უარი ეთქვა საარჩევნო უფლებების აქტის გაფართოებაზე, რომელსაც, მართალია, წარმატება არ ჰქონია. როდესაც 1971 წელს უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ დესეგრეგაციული სკოლებისათვის დასაშვები იყო ბავშვების ავტობუსით სკოლაში გადაყვანა, ნიქსონმა ტელევიზიით გამოსვლისას დადგენილება გაუქმებულად გამოაცხადა და დაიწყო საკონგრესო მორატორიუმის ან შეზღუდვის გზების

ძიება. თუმცა მან მიზანს ვერ მიაღწია, სამაგიეროდ გამომჟღავნდა მისი პოზიცია. ავტობუსით გადაყვანის მოწინააღმდეგებმა გაიმარჯვეს 1974 წელს, პროცესში „მილიკენი ბრედლის წინააღმდეგ“, როდესაც უმაღლესმა სასამართლომ აღკვეთა მცდელობანი ავტობუსებით გადაეყვანათ ქალაქში მცხოვრები შავკანიანი მოსწავლეები გარეუბნის სკოლებში, სადაც უმეტესწილად თეთრკანიანები სწავლობდნენ. ეროვნული უმცირესობის პრივილეგიების მიმართ წინააღმდეგობა კიდევ უფრო აშკარა გახდა 1978 წელს უმაღლესი სასამართლოს პროცესზე. ალან ბეკკი, თეთრკანიანი, ამტკიცებდა, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის გამოყოფილი ადგილების კვოტის არსებობის გამო ის არ მიიღეს კალიფორნიის სამედიცინო სასწავლებელში. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მისი ჩარიცხვის შესახებ და მოითხოვა კვოტის გაუქმება, მაგრამ შემდეგ მხარი დაუჭირა რასის განხილვას როგორც ერთ-ერთი გამართლებულ ფაქტორს კანდიდატურათა შერჩევის პროცედურაში.

ამ წინააღმდეგობის არსებობის გამო ხშირად შეუმჩნეველი რჩებოდა ის ფაქტი, რომ ამ მშფოთვარე წლებში ბევრი აფრო-ამერიკელი გადადიოდა საშუალო ფენაში.

---

**ქალთა მოძრაობა**

1950-1960-იანი წლების მანძილზე გათხოვილ მომუშავე ქალთა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ 1963 წელს მომუშავე ქალების ანაზღაურება საშუალოდ მამაკაცთა ანაზღაურების მხოლოდ 63 პროცენტს შეადგენდა. ამ წელს ბეტი ფრაიდენის მიერ გამოქვეყნებულმა წიგნმა „ქალთა მისტიკურობა“, სადაც მძაფრად იყო გაკრიტიკებული საშუალო ფენებში გამეფებული ცხოვრების სტილი, მილიონობით ქალს მისცა სტიმული გამოეხატათ თავიანთი უკმაყოფილება. ავტორის მტკიცებით ხშირად ქალებს არ გააჩნდათ საკუთარი თავის გამოხატვის სხვა საშუალება, გარდა „ქმრების პოვნისა და ბავშვების გაჩენისა“. ფრაიდენი მოუწოდებდა მკითხველს ახალი როლისა და პასუხისმგებლობის ძიებისაკენ, საკუთარი პიროვნული და პროფესიული ინდივიდუალობის მოპოვებისაკენ, რომელიც გაბატონებული მამაკაცთა საზოგადოების მიერ შემოთავაზებულისაგან განსხვავებული იქნებოდა.

1960-იანი 1970 წლების ქალთა მოძრაობის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის. მისი წევრები ძირითადად საშუალო ფენებიდან იყვნენ გამოსულები და ამდენად, გამოირჩეოდნენ მეამბოხე სულისკვეთებით, რომელიც დამახასიათებელი იყო 1960-იანი წლების საშუალო ფენების ახალგაზრდობისათვის. ამ მოძრაობის აღმოცენების მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო 1960 წლებში სექსუალური რევოლუცია, რომელიც, თავის მხრივ,

დაიწყო ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოგონების და ფართოდ გაყიდვის შედეგად.

ცვლილებები გამოიწვია აგრეთვე კანონმდებლობის რეფორმამ. 1964 წელს „სამოქალაქო უფლებების ბილის" გამო გამართულ დებატებზე კონსერვატორები ცდილობდნენ არ დაეშვათ მისი მიღება იმ შესწორების შემოთავაზების წყალობით, რომლითაც დისკრიმინაცია სქესობრივ ნიადაგზე ისევე, როგორც რასობრივზე, კანონგარეშე ცხადდებოდა. ჯერ შესწორების, მხოლოდ შემდეგ თვით ბილის მიღებამ მისცა ქალებს კანონიერი იარაღი თავიანთი უფლებების დასაცავად.

ქალებმა თვითონ მიიღეს ზომები თავის ხვედრის გასაუმჯობესებლად. 1966 წელს 28 პროფესიონალმა ქალმა (მათ შორის ბეტი ფრაიდენმაც) შექმნა ქალთა ეროვნული ორგანიზაცია (NOW), რომლის „სამოქმედო მიზანს შეადგენდა ამერიკელი ქალების ჩაბმა ამერიკის საზოგადოების ცხოვრებაში", მომავალი წლისთვის 1 000 ქალი შეუერთდა მოძრაობას; 4 წლის შემდეგ ორგანიზაციის წევრების რიცხვმა მიაღწია 15 000. NOW და სხვა მსგავსი ორგანიზაციები ეხმარებოდნენ ქალებს თავიანთი დაჩაგრული როლის გაცნობიერებაში და მათი გადაწყვეტილების განმტკიცებაში გაეუმჯობესებინათ საკუთარი მდგომარეობა.

ფემინიზმმა, ანუ ქალების უფლებების და ინტერესების დასაცავად წარმართულმა მუშაობამ, თავის მწვერვალს მიაღწია 1970-იან წლებში. ჟურნალისტმა გლორია სტეინემ და რამოდენიმე სხვა ქალმა დააარსეს ახალი ჟურნალი Ms., რომლის გამოსვლა დაიწყო 1972 წელს. 1971 და 1976 წლებში გაიყიდა 850 000 ცალი ცნობარი „ჩვენი სხეული, ჩვენ", რომელიც ეხებოდა ქალთა ჯანმრთელობის საკითხებს.

ზოგიერთი აქტივისტი ითხოვდა კონსტიტუციის „თანასწორი უფლებების შესწორების" (ERA) რატიფიცირებას. კონგრესის მიერ 1972 წელს მიღებული, იგი აცხადებდა, რომ „კანონის წინაშე შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის მხრიდან არ იქნება უარყოფილი ან შემცირებული თანასწორი უფლებები პიროვნების სქესის გამო." მომდევნო რამოდენიმე წლის მანძილზე აუცილებელი 38 შტატიდან კანონის რატიფიცირება მოახდინა 35-მა. სქესობრივი თანასწორობა აღიარეს აგრეთვე სასამართლოებმა. 1973 წელს უმაღლესმა სასამართლომ პროცესზე „რო უეიდის წინააღმდეგ" დაადასტურა ქალთა უფლება გაეკეთებინათ აბორტი ორსულობის საწყის პერიოდში – ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო ქალთა მოძრაობაში.

1970-იანი წლების შუა და ბოლო პერიოდში ქალთა მოძრაობა შესუსტდა. მან ვერ შესძლო თავის გავლენის სფეროს გაფართოება საშუალო ფენების გარეთ. გაჩნდა უთანხმოება ზომიერ და რადიკალ ფემინისტებს შორის.

კონსერვატორებმა გააძლიერეს წინააღმდეგობის კომპანია „თანასწორი უფლებების შესწორების" მიმართ, და ის უარყოფილ იქნა 1982 წელს, რადგან ვერ მიიღო რატიფიცირებისთვის საჭირო 38 შტატის ხმა.

**ლათინოამერიკელთა მოძრაობა**

II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ამერიკაში დისკრიმინაციას განიცდიდა ესპანურ ენოვანი მოსახლეობაც. ისინი ჩამოსულნი იყვნენ კუბიდან, პუერტო რიკოდან, მექსიკიდან, ცენტრალური ამერიკიდან და ხშირად ცუდათ ან საერთოდ ვერ ლაპარაკობდნენ ინგლისურად. ზოგი მუშად მუშაობდა ფერმებში და ხშირად დაუნდობელ ექსპლუატაციას განიცდიდნენ მოსავლის აღებისას; სხვებს ქალაქები იზიდავდა, სადაც ადრეული წლების იმიგრანტების მსგავსად, უკეთესი ცხოვრების ძიებისას სერიოზულ პრობლემებსაც აწყდებოდნენ.

ჩიკანოს, ანუ მექსიკელი ამერიკელები, შეიკრიბნენ ისეთი ორგანიზაციების გარშემო, როგორიც იყო რადიკალური „Acociacion Mexico-Americana", მაგრამ არ მიდიოდნენ დაპირისპირებაზე 1960-იან წლებამდე, ისინი იმედოვნებდნენ, რომ ლინდონ ჯონსონის „სიღარიბის პროგრამა" გააუმჯობესებდა მათ მდგომარეობას, მაგრამ ბიუროკრატები ყურადღებას არ აქცევდნენ ნაკლებად ხმაურიან ჯგუფებს. შავკანიან აქტივისტთა მაგალითმა დაანახა ესპანურ ენოვან მოსახლეობის პლურალისტურ საზოგადოებაში ზეწოლის პოლიტიკის მნიშვნელობა.

1935 წლის „მშრომელებთან ურთიერთობის ეროვნული აქტი" გამორიცხავდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშებისათვის ორგანიზაციებში გაერთიანების და კოლექტიური მოლაპარაკების უფლების გარანტიას. მაგრამ ცეზარ ჩავესმა, ძირითადად ესპანურ ენოვან მუშათა ორგანიზაციის „ფერმის მუშების გაერთიანების" დამაარსებელმა, უჩვენა პირდაპირი მოქმედების ეფექტურობა კავშირის აღიარებისთვის ბრძოლის საქმეში. ჩავესმა დაიწყო კალიფორნიის მევენახეებით და შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოუწოდა ბოიკოტისაკენ, რის შედეგადაც ექსპლუატირებულმა იმიგრანტმა მუშებმა მიიღეს თავიანთი პროფკავშირი. წარმატებით დასრულდა აგრეთვე სხვა მსგავსი ბოიკოტები, მაგალითად, სალათის და სხვა პროდუქტების მომყვანთა ბოიკოტი. თუმცა დაინტერესებული ჯგუფები ცდილობდნენ ჩავესის ორგანიზაციისთვის ხელისშეშლას, პროფკავშირებს მიეცა კანონიერი საფუძველი ებრძოლათ ხელფასების მოსამატებლად და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად.

ესპანურენოვანი მოსახლეობა პოლიტიკურადაც გააქტიურდა. 1961 წელს ჰენრი ზ. გონზალესმა გაიმარჯვა კონგრესის არჩევნებში ტეხასის შტატიდან. სამი წლის შემდეგ ასევე იქნა

არჩეული კონგრესში კიდევ ერთი ტეხასელი ელიზო (კიკა) ლა გარზა, ხოლო ჯოზეფ მონტოია ნიუ-მექსიკოდან გავიდა სენატში, მოგვიანებით როგორც გონზალესმა, ასევე დე ლა გარზამ მნიშვნელოვან ძალაუფლებას მიაღწიეს, როგორც პალატის თავმჯდომარეებმა. 1970-იან და 1980-იან წლებში ესპანელ ენოვან ადამიანთა აქტიურობა გაიზარდა, და იმ დროისთვის, როდესაც ბილ ქლინტონი გახდა პრეზიდენტი, მისი კაბინეტის წევრად ესპანურენოვანი მოსახლეობის ორი ცნობილი წარმომადგენელი იქნა დასახელებული: სან ანტონიოს ყოფილი გუბერნატორი ჰენრი კისნეროსი განსახლების და ქალაქების განვითარების (HUD) მდივნად, და დენვერის ყოფილი მერი ფრედერიკო პენა – ტრანსპორტის მინისტრად.

---

**ინდიელთა მოძრაობა**

1950-იან წლებში ამერიკის მკვიდრი მოსახლეობა ებრძოდა მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებდა მათ გადასახლებას რეზერვაციებიდან ქალაქებში, სადაც მათ შეიძლება განეცადათ ასიმილაცია ამერიკის ძირითად მოსახლეობასთან.

ინდიელები კარგავდნენ არა მარტო მიწას, ბევრი მათგანი ვერ ეჩვეოდა ქალაქურ ცხოვრებას. 1961 წელს, როდესაც ეს პოლიტიკა უარყოფილ იქნა, შეერთებული შტატების სამოქალაქო უფლებების კომისიამ აღნიშნა, რომ ინდიელთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო „სიღარიბე და დეპრესია".

1960-იან 1970-იან წლებში მკვიდრი ამერიკელები თვალს ადევნებდნენ როგორც მესამე მსოფლიოს ნაციონალიზმს, ასევე სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობის პროგრესს და ისინი უფრო აქტიურნი გახდნენ თავისი საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლაში. ლიდერთა ახალმა თაობამ სასამართლოს მიმართა, რომ დაეცვათ ის, რაც კიდევ შერჩათ მათი ტომების კუთვნილი მიწიდან ან დაებრუნებინათ ის, რაც წაართვეს ადრე, ხშირად უკანონოდ. ისინი საჩივრით შედიოდნენ ხან ერთ შტატში და ხან მეორეში ხელშეკრულების დარღვევის გამო, და 1967 წელს მოიპოვეს მრავალ გამარჯვებათაგან პირველი, რომლითაც მიიღეს დიდი ხნის წართმეული მიწაწყალი. 1968 წელს დაარსებული „ამერიკელ ინდიელთა მოძრაობა" (AIM) ხელს უწყობდა ინდიელთა ორგანიზაციებს სამთავრობო ფონდების მიღებაში და დახმარებას უწევდა ქალაქებში მცხოვრებ მოიწყებულ ინდიელებს.

დაპირისპირება ხშირ მოვლენად იქცა. 1969 წელს 78-კაციანი ინდიელთა ჯგუფი გადავიდა ალკატრასის კუნძულზე სან-ფრანცისკოს ყურეში და დაიკავა ის, ვიდრე ფედერალურმა ოფიციალურმა პირებმა არ განდევნეს ისინი. 1973 წელს AIM დაიკავა სოფელი სამხრეთ დაკოტაში „ვუნდიდ ნი", სადაც ჯარისკაცებმა მე-19 საუკუნეში ამოჟლიტეს სიუს ტომის

ბანაკი. ისინი იმედოვნებდნენ მოეხდინათ ქალაქებით გარშემორტყმულ რეზერვაციაში არსებული ცხოვრების მძიმე პირობების ჩვენება, სადაც ოჯახთა უმეტესობა სახელმწიფო დახმარების ხარჯზე ცხოვრობდა და სადაც ალკოჰოლიზმი იყო მოდებული. ეპიზოდი დასრულდა იმით, რომ ერთი ინდიელი მოკლეს და მეორე დაჭრეს, მაგრამ მთავრობა დათანხმდა გადაესინჯა სახელშეკრულებო უფლებები, თუმცა ამით შემდეგ თითქმის არაფერი გაკეთებულა.

ინდიელთა აქტიურობამ გარკვეული შედეგები გამოიღო. ამერიკის სხვა მცხოვრებლები გაეცნენ ინდიელთა პრობლემებს. ყველა სახელმწიფო დაწესებულებას უნდა უზრუნველეყო თანასწორი დამოკიდებულება ინდიელთა მიმართ, რაც დიდი ხნით ადრე უნდა გაკეთებულიყო. სენატის პირველი ინდიელი წევრი ბენ ნაითჰორს კემპბელი კოლორადოდან არჩეულ იქნა 1992 წელს.

---

## კონტრკულტურა და გარემოს დაცვა

თანასწორი შესაძლებლობებისათვის ბრძოლა იწვევდა პროტესტის სხვა ფორმების გაჩენასაც. ახალგაზრდები უარს ამბობდნენ საშუალო ფენების ცხოვრების სტანდარტებზე, რომლებიც მათ მშობლებმა შექმნეს II მსოფლიო ომის შემდგომ ათწლეულებში; ზოგიერთები ჩაებნენ რადიკალურ პოლიტიკურ საქმიანობაში; ძალიან ბევრმა მიმართა ჩაცმულობის და სექსუალური ყოფაქცევის ახლებურ ნორმებს.

კონტრკულტურის თვალსაჩინო ნიშნები გაჩნდა ამერიკის საზოგადოებაში 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში. თმა დაგრძელდა, მოშვებული წვერი იშვიათობა აღარ იყო. ლურჯმა ჯინსებმა და თიი ფორმის მაისურებმა დაიკავეს განიერი შარვლების, კოსტუმების და ჰალსტუხების ადგილი. წარსულიდან მომდინარე შეზღუდვებისგან განთავისუფლების ცდაში იმატა ნარკოტიკების უკანონო მოხმარებამ. როკ-ენ-როლის პოპულარობა იზრდებოდა, განიცდიდა სახეცვლილებას და ბადებდა სხვადასხვა მუსიკალურ ვარიაციებს. „ბიტლს"-ი, „როლინგ სტოუნ"-ი და სხვა ბრიტანული ჯგუფები შტურმით იღებდნენ ქვეყანას. პოპულარული გახდა „ჰარდ როკი", გავრცელდა პოლიტიკური და სოციალური დატვირთვის მქონე სიმღერები, როგორიც იყო მომღერალ-კომპოზიტორის ბობ დილანის სიმღერები. ახალგაზრდების კონტრკულტურამ აპოგეას მიაღწია 1969 წლის აგვისტოში ვუდსტოკში, სამდღიან მუსიკალურ ფესტივალზე ნიუ იორკის შტატის სოფლის მიდამოებში, რომელსაც თითქმის ნახევარი მილიონი კაცი ესწრებოდა. ფესტივალმა, რომელიც ფილმების და ფირფიტების ალბომების საშუალებით მითად იქცა, სახელი მისცა იმ ხანას – „ვუდსტოკის თაობა".

ენერგიამ, რომელიც კვებავდა სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობას და გააჩინა კონტრკულტურა, ხელი შეუწყო აგრეთვე გარემოს დაცვის მოძრაობას 1960-იანი წლების შუა პერიოდში. ძალიან ბევრი დაინტერესდა 1962 წელს გამოსული რეიჩელ კარსონის წიგნით „ჩუმი გაზაფხული", რომელშიც აღწერილი იყო ქიმიური პესტიციდების, განსაკუთრებით DDT-ს გამანადგურებელი შედეგები. საზოგადოების შეშფოთება გარემოს გაბინძურებასთან დაკავშირებით მატულობდა 1960-იან წლებში, როდესაც ბევრმა შეიტყო მის გარშემო არსებული გაბინძურების წყაროების – ავტომობილების გამონაბოლქვის, საწარმო ნარჩენების, დაქცეული ნავთობის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ მათ ჯანმრთელობას და გარე სამყაროს სილამაზეს. 1970 წლის 20 აპრილს სკოლები და დასახლებები მთელ შეერთებულ შტატებში ზეიმობდნენ „დედამიწის დღეს". სპეციალური „teach-ins" აწვდიდა ამერიკელებს ცნობებს გარემოს გაბინძურების საშიშროებათა შესახებ.

ქვეყნის ჰაერის და წყლების გასუფთავებისათვის ჩასატარებელ ზომებს ბევრი ეწინააღმდეგებოდა. ბიზნესმენთათვის ამ საკითხის გადაწყვეტა ხარჯებს ნიშნავდა, ხოლო ცალკეული პიროვნებებისთვის მათი ცხოვრების ან მუშაობის სტილის შეცვლას. მაგრამ 1970 წელს კონგრესმა შესწორება შეიტანა 1967 წლის „სუფთა ჰაერის აქტში" ქვეყნის ჰაერის ხარისხის სტანდარტების ჩამოყალიბების მიზნით. მან აგრეთვე მიიღო „წყლის ხარისხის გაუმჯობესების აქტი", რაც ითვალისწინებდა ოკეანეებში ნავთობის ლაქების გაწმენდას და გამბინძურებლის პასუხისმგებლობას. შემდეგ 1970 წელს, შეიქმნა „გარემოს დაცვის სააგენტო" როგორც დამოუკიდებელი ფედერალური სააგენტო, რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა დარღვევების კონტროლის საქმე.

დიდი დეპრესიის პერიოდი (ქვემოთ), 1933 წლის მარტი, აღელვებული მეანაბრენი დგანან რიგში ნიუ-იორკის ბანკთან, ახალმა პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა დროებით დახურა ეროვნული ბანკები, რათა აღეკვეთა ბანკების სახსრების გაფლანგვა. მხოლოდ გადახდისუნარიან ბანკებს ეძლეოდა მოქმედების უფლება კიდევ 4 დღის განმავლობაში.




ამერიკის ისტორიის ეპიზოდები

# მღელვარება და ცვლილებები

ისტორია სურათებში

შეერთებული შტატებისთვის მე-20 საუკუნე წარმოადგენდა ექსტრაორდინარულ მღელვარებისა და ცვლილებების პერიოდს. ამ ათწლეულებში ქვეყანამ განიცადა თავის ისტორიაში ყველაზე ძლიერი ეკონომიკური დეპრესია; მოკავშირეებთან ერთად გაიმარჯვა II მსოფლიო ომში; აიღო გლობალური ხელმძღვანელის როლი ბინდით მოცულ კონფლიქტში, რომელსაც „ცივი ომი" ერქვა; განიცადა მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნები ქვეყნის შიგნით. შეერთებული შტატები ამ ათწლეულებში ისევე გარდაქმნიდა თავის თავს, როგორც წინა საუკუნეების განმავლობაში.





ხელ ზემოთ, „ჯენერალ მოტორს"-ის საავტომობილო ქარხნის მუშები „მჯდომარე" გაფიცვის დროს ფლინტში (მიჩიგანი), 1937 წელს. ამგვარმა გაფიცვებმა განაპირობეს პროფკავშირების ალიარება ქვეყნის სამრეწველო მუშებს შორის 1930 წელს. ზემოთ, პრეზიდენტი რუზველტი ხელს აწერს „ახალი კურსის" ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელურ კანონმდებლობას – 1935 წლის სოციალური დაზღვევების აქტს. დღესდღეობით სოციალური დაზღვევა სოციალური კეთილდღეობის ერთ-ერთი უდიდესი პროგრამაა შეერთებულ შტატებში, რომელიც საპენსიო და საინვალიდო შემოსავალს აძლევს მილიონობით ამერიკელს.







„მოპირდაპირე გვერდი. მეორე მსოფლიო ომი წყნარ ოკეანეში ხასიათდებოდა ფართო მასშტაბიანი საზღვაო და საჰაერო ბრძოლებით. ცეცხლის ალში გახვეული იაპონური თვითმფრინავი შეერთებული შტატების ავიამზიდების ფლოტის შეტევის შედეგად მარიანის კუნძულებზე 1944 წლის ივნისში. შეერთებული შტატების არმია და საზღვაო ძალები ახორციელებენ „კუნძულებზე ხტომის" კომპანიას, რომელიც დაიწყო 1924 წლის აგვისტოში გვადალკანალზე და გაგრძელდა ოკინავაზე თავდასხმისას 1945 წლის აპრილში.

სულ ზემოთ. გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი – მოკავშირეთა უმაღლესი მეთაური ევროპაში – ესაუბრება საპარაშუტო-სადესანტო რაზმის წევრებს ნორმანდიაში შეჭრამდე ცოტა ხნით ადრე 1944 წლის 6 ივნისს. ეს იყო უდიდესი სამხედრო ოპერაცია ისტორიაში. ზემოთ. გენერალმა დუგლას მაკარტურმა განაცხადა: "მე დავბრუნდები", როდესაც იგი დაუსხლტდა ხელიდან ფრიშზე გადმოსულ იაპონელთა ძალებს ფილიპინებზე 1942 წელს. 2 წლის შემდეგ მან შეასრულა დაპირება და გადავიდა ლეიტის ნაპირზე, როდესაც ამერიკის რაზმებმა ფილიპინების განთავისუფლება დაიწყეს.



ზემოთ. P-38 საბრძოლო თვითმფრინავების ასაწყობი კონვეიერი მეორე მსოფლიო ომის დროს. შეერთებული შტატები თავის უზარმაზარი საომარი პროდუქციით, პრეზიდენტ რუზველტის თქმით, „დემოკრატიის არსენალი" გახდა. ზემოთ მარჯვნივ, მოპირდაპირე გვერდზე, იაპონური წარმოშობის ამერიკელები ელოდებიან ბანაკებში ინტერნირებას ადამიანის უფლებების დარღვევის უკიდურეს გამოვლინებისას, რასაც ადგილი ჰქონდა შეერთებულ შტატებში მეორე მსოფლიო ომის დროს. მარჯვნივ მოპირდაპირე გვერდზე, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის, პრეზიდენტ რუზველტისა და საბჭოთა ლიდერის იოსებ სტალინის შეხვედრა იალტაში 1945 წლის თებერვალში. თუმცა ისინი შეთანხმდნენ ომის წარმართვის საკითხში, მაგრამ ევროპის მომავლის შესახებ უთანხმოებამ თავი იჩინა ევროპის კონტინენტის დაყოფაში აღმოსავლეთად და დასავლეთად, რაც „ცივი ომის" საწინდრად იქცა.


268







მარჯვნივ, შეერთებული შტატების სამხედრო რაზმები ესწრებიან ბირთვულ გამოცდას ნევადის უდაბნოში 1951 წელს. ბირთვული იარაღის საფრთხე მუდმივად რჩება, და „ცივი ომის" ერა ადამიანთა სიცოცხლეს ემუქრება.

ქვემოთ. შეერთებული შტატების ქვეითი ჯარის ცეცხლი, მიმართული ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ძალების წინააღმდეგ, რომლებიც 1951 წელს სამხრეთ კორეაში შეიჭრნენ. ეს კონფლიქტი სამ მტკივნეულ წელს გაგრძელდა.









სულ ზემოთ. ალბათ ყველაზე ცნობილი ფოტოსურათი ამერიკის პოლიტიკურ ისტორიაში. პრეზიდენტ ჰარი ტრუმენს ხელში უჭირავს გაზეთი, რომელმაც შეცდომით გამოაქვეყნა ცნობა მისი დამარცხების შესახებ რესპუბლიკელ კანდიდატთან თომას დიუისთან 1948 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. ტრუმენმა, რომელიც არჩევნების გარეშე გახდა პრეზიდენტი, განაცვიფრა იმ დროს ყველა პოლიტიკური ექსპერტი, რამაც მხნეობა შემატა ყველას, ვისაც კი ოდესმე მარცხი განუცდია არჩევნებში. ზემოთ. მოხსენება კონგრესში 1954 წელს. სენატორი ჯოზეფ მაკკარტი რუკის მეშვეობით უჩვენებს 1950 წელს კომუნისტური პარტიის გავლენას შეერთებულ შტატებში. მარცხნივ ზის მისი მოხსენების მთავარი მოწინააღმდეგე ადვოკატი ჯოზეფ უელჩი. უელჩმა წარმატებით მოახდინა მაკკარტის დისკრედიტაცია ამ მოსმენაზე, რომელიც მთელ ქვეყანაში ტელევიზიით გადაიცა.





სულ ზემოთ. ელვის პრესლი – ამერიკის როკ-ენ-როლის პირველი ვარსკვლავი. დღესაც, მისი სიკვდილის შემდეგ, მას როგორც „მეფეს" კვლავ ჰყავს თაყვანისმცემელთა ლეგიონები.
ზემოთ. ჯეკი რობინსონი 1948 წლის ბეისბოლის თამაშის დროს. რობინსონმა გადალახა შავკანიან პროფესიონალ ბეისბოლისტთა წინააღმდეგ აღმართული ბარიერი, როდესაც ის მიიღეს ბრუკლინის „დოჯერებში" და ის იქცა ბეისბოლის ერთ-ერთ ვარსკვლავად.





ზემოთ. ლუსილ ბოლი (მეორე მარცხნიდან) და მისი პარტნიორები (მისი ქმრის დეზი არნაზის ჩათვლით, დგას) 1950-იანი წლების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კომედიურ შოუში „მე მიყვარს ლუსი". შოუმ დაამკვიდრა ბევრი ახალი ტექნიკური ხერხი და გამოგონება, რომლებიც გამოყენებული იქნა ასობით სხვა სატელევიზიო კომედიებში. მარცხნივ. პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის პორტრეტი, რომლის პიროვნება დომინირებდა მთელი ათწლეულის მანძილზე.



ზემოთ. როზა პარკსი ზის ქალაქის ავტობუსის ერთ-ერთ წინა სკამზე, რომელიც წარმატებით ახორციელებს ავტობუსების სისტემის ბოიკოტს, რომელიც 1955-1956 წლებში წამოიწყეს მონტგომერის (ალაბამა) შავკანიანმა მოქალაქეებმა. ბოიკოტი ჩატარდა იმის პროტესტის ნიშნად, რომ შავკანიანები უნდა მსხდარიყვნენ ავტობუსის უკანა ადგილებზე, რაც ერთი წლის შემდეგ უმაღლესმა სასამართლომ აღიარა კონსტიტუციის დარღვევად. მონტგომერის ავტობუსების ბოიკოტის შემდეგ გამოჩნდა სამოქალაქო უფლებათა მოძრაობის აღიარებული ლიდერი მარტინ ლუთერ კინგი უმცროსი.

მოპირდაპირე გვერდზე მარჯვნივ. მარტინ ლუთერ კინგი აცილებს ბავშვებს სახელმწიფო სკოლაში გრენადაში (მისისიპი), 1966 წელს, რომელიც ადრე მხოლოდ თეთრკანიანებისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა სკოლების სეგრეგაცია კანონგარეშედ იყო გამოცხადებული 1954 წლის უმაღლესი სასამართლოს დადგენილებით, მაინც საჭირო გახდა პროტესტების ათწლეული, პოლიტიკური ზეწოლა და სასამართლოების დამატებითი გადაწყვეტილებანი იმისათვის, რომ მომხდარიყო სკოლების დესეგრეგაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით.







მარცხნივ, მოპირდაპირე გვერდი. ჯონ ფ. კენედი მეუღლესთან ჟაკლინ კენედისთან ერთად მოგზაურობს ქალაქ ნიუ-იორკში 1960 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს, რომელშიც მან გაიმარჯვა რესპუბლიკელ რიჩარდ ნიქსონზე, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ვიცე-პრეზიდენტზე. კენედიმ თავის ახალგაზრდობით და მომხიბვლელობით მოიხვეჭა დიდი პოპულარობა ხანმოკლე პრეზიდენტობის პერიოდში, რომელიც 1963 წელს ტრაგიკული მკვლელობით დამთავრდა.

ზემოთ. რ. სერჯენტ შრაივერი, „მშვიდობის კორპუსის" დირექტორი, ესაუბრება კორპუსის პირველ ჯგუფს 1961 წელს. „მშვიდობის კორპუსი", რომელიც მოხალისეებისაგან შედგებოდა, ორ წელს ემსახურებოდა განვითარებადი ქვეყნების ხალხების სწავლისა და დახმარების საქმეს. იგი კენედის „ახალი ფრონტირის" ერთ-ერთი მემკვიდრეა.







ზემოთ. პრეზიდენტი კენედი მიმართავს გერმანელთა დაახლოებით მეოთხედ მილიონს დასავლეთ ბერლინში 1963 წლის ივნისში. მიაგო რა პატივი მათ სიმამაცეს, ვინც „ცივი ომის" ყველაზე ცხელ წერტილში ცხოვრობდა, მან თქვა: „ყველა თავისუფალი ადამიანი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, ბერლინის მოქალაქეა, და, მაშასადამე, როგორც თავისუფალ ადამიანს მე მეამაყება სიტყვები – „მე ბერლინელი ვარ".
მოპირდაპირე გვერდი, მარცხნივ 1963 წელს რატიფიცირებული დოკუმენტი, „შეზღუდული ბირთვული გამოცდის ხელშეკრულება", იარაღის მაკონტროლებელი ერთ-ერთი პირველი შეთანხმება დასავლეთსა და საბჭოების ბლოკს შორის, რომლითაც ბოლო მოეღო ბირთვულ გამოცდებს ატმოსფეროში.



თარგუდ მარშალი, ყველა ამერიკელთა უფლებების დამცველი. მარშალი როგორც „ფერადკანიანთა პროგრესის ეროვნული ასოციაციის“ ადვოკატი ჯერ კიდევ 1954 წლის სასამართლოს პროცესამდე „ბრაუნი განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“ წარმატებით მოითხოვდა სკოლების დესეგრაგაციას. შემდგომში მან მიაღწია უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის გამორჩეულ თანამდებობას.



პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი 1968 წელს. ტეხასში დაბადებული ჯონსონი იყო უმრავლესობის ლიდერი სენატში ეიზენჰაუერის წლებში და ჯონ კენედის ვიცე-პრეზიდენტი. იგი ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკოსი იყო. ჯონსონმა შეადგინა ყველაზე ამბიციური საკანონმდებლო დღის წესრიგი რუზველტის „ახალი კურსის" დროიდან მოყოლებული. მაგრამ ვეტნამის ომმა ბოლო მოუღო მის პრეზიდენტობას, რადგან მან გახლიჩა ერი.



შეერთებული შტატების არმიის ქვედანაყოფი ეძებს სნაიპერებს სამხრეთ ვიეტნამში პატრულირების დროს 1965 წელს. ამერიკის არმია 1965 წლიდან 1969 წლამდე 60 000-დან 540 000 ჯარისკაცამდე გაიზარდა. ამ კონფლიქტის გამო ერი გაიყო ისე, როგორც არასდროს თავის ისტორიის განმავლობაში. შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა ვიეტნამი დატოვეს 1973 წელს.









მარცხნივ ზემოთ, მოპირდაპირე გვერდზე. ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია და პოლიციასთან შეტაკება ძლიერი საპროტესტო გამოსვლისას 1968 წელს, დემოკრატიულ-ეროვნული ყრილობის დროს ჩიკაგოში (ილინოისი). ომის მოწინააღმდეგე დელეგატებმა ყრილობაზე დააკარგვინეს პრეზიდენტობის კანდიდატობა ლინდონ ჯონსონის ვიცე-პრეზიდენტს ჰუბერტ ჰამფრეის. პარტიის გაყოფის გამო ჰამფრეიმ წააგო არჩევნები რესპუბლიკელ რიჩარდ ნიქსონთან. მარცხნივ, მოპირდაპირე გვერდზე კონტრკულტურული ტალღის აზვირთება ამერიკაში. 1969 წლის 3 დღიანი კონცერტი და შეკრება ღია ცის ქვეშ, რომელიც „ვუდსტოკის" სახელითაა ცნობილი. ზემოთ. 1960-იანი წლების ქალთა მოძრაობის ორი ლიდერი. ქეით მილე (მარცხნივ), ავტორი იმ დროის სადაეო წიგნისა „სექსუალური პოლიტიკა" და გლორია სტეინემი ჟურნალისტი და აქტივისტი.





მარჯვნივ. პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი თავის მეუღლესთან პეტ ნიქსონთან და სახელმწიფო მდივანთან უილიამ როჯერსთან ერთად სეირნობენ ჩინეთის დიდი კედლის გასწვრივ. პრეზიდენტი ნიქსონის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში 1972 წელს წარმოადგენდა იმ დროის ყველაზე დიდ დიპლომატიურ მიღწევას, ვინაიდან შეერთებული შტატების სამხედრო ძალები ნელნელა ტოვებდნენ სამხრეთ ვიეტნამს.

ზემოთ. ცეზარ ჩავესი (მარჯვნივ), მექსიკელების უდიდესი პროფკავშირების ლიდერი კალიფორნიაში. აფრო–ამერიკელებისა და ქალების მსგავსად, ლათინო–ამერიკული წარმოშობის ამერიკელები პოლიტიკურად გააქტიურდნენ 1960–იან და 1970–იან წლებში.







სულ ზემოთ. სამოქალაქო უფლებათა მოძრაობის ლიდერი და
აქტივისტი ჯესი ჯექსონი 1984 წლის პოლიტიკურ რალიში.
სამი ათეული წლის განმავლობაში, ჯექსონი, რომელიც მარტინ ლუთერ კინგის
თანაშემწე იყო რჩებოდა ყველაზე ცნობილ, პოლიტიკურად აქტიურ და მჭერმეტყველ
წარმომადგენლად იმისა,რასაც იგი უწოდებდა ღარიბთა, აფრიკელ ამერიკელთა და
სხვა ეთნიკურ ჯგუფთა „ცისარტყელის კოალიციას". იგი მონაწილეობდა დემოკრატიული
პარტიის საპრეზიდენტო არჩევნებში 1984 და 1988 წლებში.
ზემოთ. მკვიდრ ამერიკელთა დემონსტრაცია ვაშინგტონში 1978 წელს,
რომლებიც იბრძოდნენ თავისი უფლებებისათვის უკანასკნელ ათწლეულებში.

ქვემოთ. სამი ჯარისკაცის ქანდაკება. ვიეტნამის მემორიალის ნაწილი, რომელიც ხარკს უხდის იმ 58 000 ამერიკელს, რომელიც დაიღუპა კონფლიქტში და მილიონობით სხვას, ვინც იქ მსახურობდა.



ამერიკის ისტორიის ეპოქები

# 21-ე საუკუნის ერი

ისტორია სურათებში

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულმა შეერთებულ შტატებს ბევრი ახალი პრობლემა გაუჩინა შინ და გარეთ. მუდმივი იყო მხოლოდ ცვლილებანი. ცივი ომი დამთავრდა. კომპიუტერების და ტელეკომუნიკაციების სფეროში მომხდარმა რევოლუციებმა განაპირობეს ეკონომიკისა და ადამიანთა ცხოვრების წესის შეცვლა. იმიგრაციის ახალ-ახალმა ტალღებმა წინანდელზე უფრო მეტად შეცვალეს ამერიკის საზოგადოება და შექმნეს ის, რასაც ერთმა კომენტატორმა უწოდა „პირველი უნივერსალური ქვეყანა". ამ სწრაფი ცვლილებებით მოცული ქვეყანა ესწრაფვის გაძლიერდეს მისი ისტორიის წარმატებებზე დაყრდნობით და პატივი სცეს მათ, ვინც თავი შესწირა მას.







მარცხნივ. „შატლის" გაშვება – პირველი ხომალდისა, რომლის ხელახალი გამოყენება შეიძლება. „შატლი", რომელიც გამოიყენება თანამგზავრთა ორბიტებზე გასაყვანად მრავალმხრივი ექსპერიმენტების ჩასატარებლად, აუცილებელია კოსმოსის გამოკვლევის შემდგომ ეტაპზე: საერთაშორისო კოსმოსური სადგურების ორბიტაზე დასამონტაჟებლად. ზემოთ. პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და პოლონელი ლეხ ვალენსა ვარშავაში, 1989 წლის ივლისში. ამ მნიშვნელოვან წელს დამთავრდა „ცივი" ომი და ევროპის 40-წლიანი დაყოფა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ დასავლეთად და აღმოსავლეთად.



მარჯვნივ. ცეცხლმოკიდებული ნავთობი ერაყის დამსხვრეული ტანკის წინ ყურეს ომის დასასრულს 1991 წლის თებერვალში. შეერთებული შტატები ხელმძღვანელობდნენ კოალიციას „უდაბნოს შტორმის" სახელით ცნობილ საჰაერო და სახმელეთო კომპანიაში, რომელიც მიმართული იყო ერაყის მიერ კუვეიტის ოკუპაციის წინააღმდეგ.
ზემოთ. მანტგომერის (ალაბამა) მემორიალი, რომელიც მიეძღვნა მათ, ვინც სიცოცხლე შესწირა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლას შეერთებულ შტატებში. მასზე წარწერილია 40 ადამიანის სახელი. მოპირდაპირე გვერდი. სულ ზემოთ, მარჯვნივ. CNN (ახალი ამბების საკაბელო ქსელი) გადმოსცემს ცნობებს მოსკოვიდან. კაბელური ტელევიზიისა და 24-საათიანი ახალი ამბების სამსახურის მეშვეობით CNN-ს მიეცა უპრეცენდენტო შესაძლებლობა გვაუწყოს მთელ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.




Bernard Shaw
Moscow
LIVE




MUSIC TELEVISION










მოპირდაპირე გვერდი. სულ ზემოთ. ექსტრავაგანტურად მორთული ახალგაზრდა, როკ მუსიკა და 24-საათიანი საკაბელო ტელევიზია, ანუ MTV – სატელევიზიო ქსელი, რომლის გავლენა იზრდება მუსიკის, მოდების ჩვენებისა და რეკლამების წყალობით.

მოპირდაპირე გვერდი, მარცხნივ. შიდსის მსხვერპლნი. თითოეული კვადრატი მიანიშნებს იმ პირზე, ვინც დაიღუპა ამ დაავადებისაგან, რომელიც მთელ მსოფლიოშია მოდებული.

ზემოთ. ალუმინის ქილების გადამამუშავებელი ცენტრი ნიუ ჯერსიში. გარემოს დაცვაზე ზრუნვამ წარმოშვა მრავალი მცდელობა ისეთი ნივთიერებების გადამუშავებისა, როგორიცაა მინა, ქაღალდი, ფოლადი და ალუმინი.

მარცხნივ. ამერიკელთა სიყვარული ავტომობილებისადმი გრძელდება, რაც იწვევს ტრანსპორტის მომრავლებას და ხელისუფლების ძალისხმევას ქალაქებში ჰაერის დაჭუჭყიანების შემცირების მიმართულებით.



ბილ ქლინტონი, შეერთებული შტატების 42-ე პრეზიდენტი,
წარმოთქვამს საინაუგურაციო მიმართვას ქვეყნისადმი, 1993 წლის 21 იანვარი.





სულ ზემოთ. ცოლ-ქმარი ტიპიურ ამერიკულ ოჯახებში, როგორც წესი, მსახურობენ. დღის განმავლობაში ბავშვების მომვლელი ცენტრები ჩვეულებრივი მოვლენაა შეერთებულ შტატებში.
ზემოთ. ამერიკელთა ახალი თაობა უცქერის მომავალს.

პრეზიდენტები რონალდ რეიგანი და მიხეილ



ამერიკის ისტორიის ესკიზები

თავი მეცამეტე

# XIII

# 21-ე საუკუნისაკენ

გორბაჩოვი შუალედური სიშორის ბირთვული იარაღის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, 1987 წლის დეკემბერი.



„ამერიკამ რომ გაძლოს, საჭიროა შეიცვალოს... შეიცვალოს, რათა დაიცვას ამერიკის იდეალები – სიცოცხლე, თავისუფლება, ბედნიერებისაკენ სწრაფვა. თუმცა ფეხს ვუწყობთ ჩვენი დროის მუსიკას, ჩვენი მისია მარადიულია.“

პრეზიდენტი ბილ ქლინტონი, 1993

### საზოგადოება გარდაქმნის პერიოდში

ამერიკის საზოგადოების სტრუქტურული ცვლილებანი, რაც წლების თუ ათწლეულების წინ დაიწყო, 1980-იანი წლებისათვის გამომჟღავნდნენ. მკვეთრი ცვლილებები მოხდა ამერიკის მოსახლეობის შემადგენლობის, პრესტიჟულ პროფესიათა ტიპების, კვალიფიკაციის საჭირო დონის მხრივ.

მომსახურების სფეროს უპირატესობა ეკონომიკაში უდავო გახდა. 1980-იანი წლების შუა პერიოდში მთელი მოსამსახურეების სამი მეოთხედი მომსახურების სექტორში მუშაობდა, კერძოდ, საბითუმო ვაჭრობის კლერკებად, ოფისის მოსამსახურეებად, მასწავლებლებად, ექიმებად და ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტებად, ხელისუფლების ორგანოების მუშაკებად, იურისტებად, სამართალდამცავი და ფინანსური სფეროს მუშაკებად.

მომსახურების სექტორის საქმიანობას ხელი შეუწყო კომპიუტერების გამოყენების სულ უფრო მზარდმა შესაძლებლობებმა. ეს იყო ინფორმაციის ერა თავისი კომპიუტერული მოწყობილობებით და შესაბამისი პროგრამებით, რომელთაც შეეძლოთ უზარმაზარი რაოდენობის მონაცემების დამუშავება ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტენდენციების შესახებ. 1950 და 1960-იან წლებში ფედერალურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდება მოახდინა კომპიუტერულ ტექნოლოგიაში, როგორც მისი სამხედრო და კოსმოსური პროგრამის ნაწილში. 1970-იანი წლების ბოლოს ორმა ახალგაზრდამ, საკუთარ გარაჟში,ააწყო პირველი, შემდგომში ფართოდ გავრცელებული, პერსონალური კომპიუტერი, რომელსაც უწოდეს „Apple", და ამით ნამდვილი გადატრიალება მოახდინეს. ჯერ კიდევ ადრეულ 1980-იან წლებში შეერთებული შტატების ბიზნესის ოფისებსა და სახლებში გამოიყენებოდა მილიონობით კომპიუტერი, და უკვე 1982 წელს ჟურნალმა „TIME" კომპიუტერი „წლის მანქანად" გამოაცხადა.

ამასობაში ამერიკის „მბოლავი წარმოებანი", როგორიცაა ფოლადისა და საფეიქრო მრეწველობანი, დაღმავლობას განიცდიდნენ. საავტომობილო მრეწველობის მდგომარეობა შეირყა ისეთი უაღრესად ეფექტური იაპონური მანქანების მწარმოებლებთან კონკურენციაში, როგორიცაა ტოიოტა, ჰონდა და ნისანი. ამ მწარმოებელთაგან ბევრმა თავიანთი ქარხნები შეერთებულ შტატებში გახსნა. 1980 წლისათვის იაპონური ავტომობილების მწარმოებლები ამერიკის შინაური ბაზრების ერთ მეოთხედს აკონტროლებდნენ. მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში შეერთებული შტატების მწარმოებლებმა დაიწყეს იაპონელ მეტოქეებთან შეჯიბრება ფასების ეფექტურობასა და საინჟინრო სტანდარტების მხრივ და შეუდგნენ შიდა საავტომობილო ბაზრის

დაბრუნებას, რომელიც წინა ორი ათწლეულის მანძილზე მათ დათმობილი ჰქონდათ. ამ ულმობელი კონკურენციის შედეგად მომხმარებელი სარგებელს ნახულობდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ცხარე ბრძოლა ფასების შემცირებისათვის ნიშნავდა შეერთებული შტატების ავტომრეწველობაში დასაქმებულ ათასობით ადამიანის მიერ სამუშაოს დაკარგვას.

იცვლებოდა მომხმარებლის ცხოვრების წესიც. ომისშემდგომი „ჩვილ ბავშვთა ბუმი", რომელიც დახლოებით 1946 წლიდან 1964 წლამდე გრძელდებოდა, შეცვალა მოსახლეობის ზრდის საერთო ტემპის დაცემამ და ხანდაზმულთა წილის მატებამ. შეიცვალა ოჯახის წევრთა შემადგენლობაც. 1980 წელს ნათესაური ოჯახების წილი შემცირდა. ყველა არსებული ჯგუფის მეოთხედი ამჟამად კლასიფიცირდებოდა, როგორც „არანათესაური ოჯახები", რომელშიც ორი ან მეტი არამონათესავე პიროვნება ერთად ცხოვრობდა.

ახალმა იმიგრანტებმა სხვა გზით შეცვალეს ამერიკის საზოგადოების ხასიათი. 1965 წლის რეფორმამ იმიგრაციის პოლიტიკაში განაპირობა დასავლეთ ევროპის გადასვლა უკანა პლანზე, იმავდროულად კატასტროფულად იმატა აზიიდან და ლათინური ამერიკიდან ჩამოსულთა რიცხვმა. მაგალითად, ვიეტნამელი ლტოლვილები ჩამოვიდნენ შეერთებულ შტატებში ომის შემდეგ. 1980 წელს 808 800 იმიგრანტი ჩამოვიდა, მაგრამ მათი ყველაზე დიდი რაოდენობა 1960-იან წლებში აღინიშნებოდა, როცა ქვეყანა გარედან მოსულ ადამიანთათვის სამოთხედ იქცა.

1980-იან წლებში თანასწორობისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილენი გახდნენ ეგრეთ წოდებული უმცირესობათა ჯგუფები. ჰომოსექსუალისტები, რომლებიც ხშირად სარგებლობდნენ სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლთა ტაქტიკით, ეძიებდნენ იმავე განთავისუფლებას დისკრიმინაციისაგან, რასაც სხვა ჯგუფები. ხშირად ასეთი მეთოდები შედეგს იძლეოდნენ. მაგალითად, 1975 წელს შეერთებული შტატების სამოქალაქო სამსახურის კომისიამ მოხსნა აკრძალვა ჰომოსექსუალისტთა სამსახურში მიღებაზე, და ბევრმა შტატმა შემოიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი. მაგრამ ამავე დროს, გაჩნდა გაჩნდა ბზარი და ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ მალულად არსებული მტრული განწყობილება აშკარა გახდა.

შემდეგ 1981 წელს თავი იჩინა შიდსმა (შეძენილი იმუნოდეფიციტური სინდრომი) – სისხლის იმუნური სისტემის დამანგრეველმა დაავადებამ. შიდსი სექსით და სისხლით გადაეცემა. შეერთებულ შტატებში დაავადებამ განსაკუთრებული სისასტიკით შეუტია ჰომოსექსუალისტებსა და ვენაში შესაყვანი წამლების მომხმარებლებს, თუმცა ზოგადად მოსახლეობასაც შეეხო. 1992 წელს 150 000-ზე მეტი ამერიკელი

დაიღუპა შიდსით. შიდსის ვირუსის მატარებელთა რიცხვი მერყეობდა 300 000-დან 1 მილიონამდე. მაგრამ შიდსის ეპიდემია მხოლოდ შეერთებული შტატებით არ შემოიფარგლა. ამ დაავადებისაგან განკურნების საქმეში მთელი მსოფლიოს ექიმები და მედიცინის დარგის მკვლევარნი ჩაებნენ. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მიღწევა, უმთავრესად, შეერთებული შტატების და ფრანგი მკვლევარებისა, იყო ის, რომ მოხდა შიდსის ვირუსის გამოყოფა და შეიქმნა ტესტების სისტემა სისხლის მარაგის დაცვის უზრუნველსაყოფად.

---

## კონსერვატიზმი და რონალდ რეიგანის აღმავლობა

ბევრი ამერიკელისთვის წინა ათწლეულები მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებით, რაც მოიცავდა დანაშაულობის ზრდას და რასისტულ დაპირისპირებას ქალაქებში, კარტერის პრეზიდენტობის წლები ეკონომიკურ დაღმავლობას და ინფლაციას, ილუზიების გაქრობის წლების იყო. ამ წლებში გაძლიერდა ძველი უნდობლობა მთავრობისადმი და ეჭვი, რომ მას არ შეეძლო შედეგიანად გადაეჭრა ძლიერ ფესვგადგმული სოციალური და პოლიტიკური პრობლემები.

კონსერვატორებს, რომლებიც დიდი ხანია ჩამოშორებული იყვნენ უმაღლესი დონის ხელისუფლებას, კარგი საშუალება მიეცათ გამოეყენებინათ ეს განწყობილება. ეს იყო დრო, როდესაც ბევრი ამერიკელი მზად იყო გაეზიარებინა ლიმიტირებული ხელისუფლების, ძლიერი თავდაცვის სისტემის და ტრადიციული ფასეულობების დაცვის იდეა იმისგან, რაც ხშირად ქაოსური და თავაშვებული თანამედროვე საზოგადოების შედეგად მიიჩნეოდა.

კონსერვატორების აღმავლობას ბევრი წყარო გააჩნდა. ფუნდამენტალისტი ქრისტიანების დიდი ჯგუფი, რომელიც ღმერთის უშუალო და წმინდა სიტყვად ბიბლიას მიიჩნევდა, განსაკუთრებით იყო შეშფოთებული დანაშაულის ზრდით და სექსუალური აშვებულობით. პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანად მომქმედი ჯგუფი 1980-იან წლებში იყო „მორალური უმრავლესობა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბაპტისტი მღვდელი ჯერი ფოლუელი. მეორე ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა პეტ რობერტსონი, შექმნა ორგანიზაცია სახელად „ქრისტიანული კოალიცია“, რომელიც 1990-იან წლებში წარმოადგენდა ძლიერ ძალას რესპუბლიკურ პარტიაში. ბევრი სხვა მსგავსი ჯგუფის დარად, მათ სურდათ, რომ რელიგის დაებრუნებინა ცენტრალური როლი ამერიკის ცხოვრებაში. ტელევიზიით გამომსვლელ ევანგელისტებს, როგორებიც იყვნენ ფოლუელი და რობერტსონი, მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავდათ.

კონსერვეტორების კიდევ ერთი მაცოცხლებელი წყარო იყო იმ დროის ყველაზე საკამათო და ამაღელვებელი პრობლემა – აბორტი. უმაღლესი სასამართლოს 1973 წლის გადაწყვეტილებას პროცესზე „რო უეიდის წინააღმდეგ“, გაუჩნდა ბევრი ოპონენტი, რადგან იგი მხარს უჭერდა ქალების უფლებას აბორტზე ორსულობის ადრეულ პერიოდში.

ამ საკითხმა შეაკავშირა მრავალი ორგანიზაცია და პიროვნება. მათ რიცხვში იყო ბევრი კათოლიკე, კონსერვატორი პოლიტიკოსი და რელიგიური ფუნდამენტალისტი, რომელთა უმეტესობა თითქმის ყველა შემთხვევაში განიხილავდა აბორტს მკვლელობის ტოლფასად. ისინი მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც გაიზიარებდნენ მათ შეხედულებას, და წასულიყვნენ მათ წინააღმდეგ, ვინც ამ აზრს არ ეთანხმებოდა. აბორტის მოწინააღმდეგთა დემონსტრაციები იქცა იმ დროის პოლიტიკური ცხოვრების ძირითად მოვლენად.

რესპუბლიკური პარტიის შიგნით კვლავ გაძლიერდა მემარჯვენეთა ფრთა. მემარჯვენეებმა ცოტა ხნით ჩაიგდეს ხელში რესპუბლიკური პარტიის მართვის სადავეები ბარი გოლდუოტერის, მათი 1964 წლის პრეზიდენტობის კანდიდატის, მეშვეობით და შემდეგ სწრაფად დაკარგეს ეს კონტროლი. მაგრამ 1980 წელს, ფონდების გაზრდის ახალი ტექნიკის გამოყენების შედეგად, მემარჯვენეები კვლავ დაეწიონ პარტიის ზომიერ ფრთას. ეყრდნობოდნენ რა ისეთი კონსერვატორების ცეცხლოვან ინტელექტს, როგორებიც იყვნენ ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი, ჟურნალისტები უილიამ ფ. ბაკლი და ჯორჯ უილი, და ისეთ კვლევით ინსტიტუტებს, როგორიცაა „ჰერითიჯ ფაუნდეიშნ“, „ახალმა მემარჯვენეებმა“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 1980 წლების პრობლემების განსაზღვრაში.

სხვა კონსერვატორების, ანუ „ძველი მემარჯვენეების“ მსგავსად, „ახალი მემარჯვენეები“ ემხრობოდნენ ეკონომიკაში მთავრობის ჩარევის შეზღუდვის იდეას. მაგრამ „ახალ მემარჯვენეებს“ სურდათ სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენება ოჯახის მნიშვნელობის განსამტკიცებლად ჰომოსექსუალისტების შესაზღუდად და პორნოგრაფიის ასაკრძალავად. „ახალი მემარჯვენეები“ მხარს უჭერდნენ მკაცრ ზომებს დანაშაულის წინააღმდეგ, ძლიერ თავდაცვით სისტემას, კონსტიტუციაში შესწორების შეტანას, რომელიც სახელმწიფო სკოლებში ლოცვის ნებას დართავდა, აბორტის აკრძალვას და ქალების თანასწორუფლებიანობასთან დაკავშირებული შესწორების მიღების ჩაშლას.

ფიგურა რომელიც ყველა ამ მისწრაფებას აერთიანებდა, იყო რონალდ რეიგანი. რეიგანი, რომელიც ილინოისში

დაიბადა, ჰოლივუდის კინო და ტელევარსკვლავი იყო, სანამ პოლიტიკას მიჰყოფდა ხელს. პირველად მან პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია მაშინ, როდესაც 1964 წელს ტელევიზიით მთელ ქვეყანაში გადაიცა მისი სიტყვა ბარი გოლდუოტერის მხარდასაჭერად. 1966 წელს მან მოიგო არჩევნები კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე, რაშიც მას დაეხმარა ამომრჩეველთა რეაქცია კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის სტუდენტთა ამბოხებაზე. ამ პოსტზე რეიგანი დარჩა 1975 წლამდე. მას ცოტა დააკლდა, რომ გამხდარიყო პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკელთა პარტიიდან 1976 წელს, მაგრამ მიაღწია წარმატებას 1980 წელს და საპრეზიდენტო არჩევნებში აჯობა ჯიმი კარტერს. რეიგანმა დიდი წარმატებით მოიგო ხელმეორე არჩევნებიც 1984 წელს კარტერის ვიცე-პრეზიდენტის უოლტერ მონდეილის წინააღმდეგ.

რეიგანს თავისი პრეზიდენტობის ორი ვადის მანძილზე ოდნავადაც არ დაუკარგავს დაუცხრომელი ოპტიმიზმი და უნარი ხოტბა შეესხა ამერიკელი ხალხის მიღწევებისათვის და მისწრაფებებისათვის. ეს იყო ფიგურა, რომელსაც რწმენა და სტაბილურობა მოჰქონდა ბევრი ამერიკელისათვის. მიუხედავად მისი მიდრეკილებისა გაეკეთებინა მცდარი განცხადებები, რეიგანი ცნობილი იყო როგორც „დიდი ორატორი“, ძირითადად, თავისი სატელევიზიო გამოსვლების გამო. ბევრ ადამიანს მან კვლავ მოუტანა კეთილდღეობა და შედარებითი სოციალური სიმშვიდე, რომლებმაც დაისადგურეს 1950-იან წლებში – ეპოქაში, სადაც დომინანტურ როლს ასრულებდა კიდევ ერთი დიდი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა, პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი.

რეიგანს მიაჩნდა, რომ სახელმწიფო მეტისმეტად ღრმად იჭრებოდა ამერიკის ცხოვრებაში. მან შეკვეცა პროგრამები, რომლებიც, მისი აზრით, ქვეყანას არ სჭირდებოდა, „ფუჭი, უსაფუძვლო და უმართებულო“ ღონისძიებების აღკვეთის გზით. თავისი მოღვაწეობის პერიოდში რეიგანი კარტერზე უფრო საფუძვლიანად ახორციელებდა სახელმწიფო რეგულირების შესუსტების პროგრამას. რეიგანს უნდოდა იმ კანონების გაუქმება, რომლებიც გავლენას ახდენდნენ მოხმარებაზე, სამუშაო ადგილებზე, გარემოზე და ამავე დროს, მისი აზრით, უშედეგო, ძვირი და საფრთხის მომტანნი იყვნენ ეკონომიკის განვითარებისათვის.

**ეკონომიკა 1980-იან წლებში**

პრეზიდენტ რეიგანის საშინაო პოლიტიკა ემყარებოდა მის რწმენას, რომ ქვეყანა აყვავდებოდა, თუ ეკონომიკის კერძო სექტორს სრულ თავისუფლებას მისცემდნენ. ის იზიარებდა „მარაგის მომხრე" ეკონომიკას, თეორიას, რომლის მიხედვითაც პროდუქციის და მომსახურების მარაგის შექმნა წარმოადგენდა ეკონომიკური წინსვლის უსწრაფეს გზას, და ცდილობდა მნიშვნელოვნად შეემცირებინა გადასახადები მოხმარების ხარჯების, დანაზოგებისა და ინვესტიციების გაზრდის მიზნით. „მარაგის მომხრე" ეკონომიკის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ გადასახადების შეკვეცა გაზრდის საქმიან ინვესტიციებს, გაიზრდება შემოსავალი და ამ საშემოსავლო გადასახადების გზით – სახელმწიფო შემოსავალიც. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელებს სენატში მხოლოდ მცირე უმრავლესობა ჰქონდათ, წარმომადგენელთა პალატას კი დემოკრატები მართავდნენ, პრეზიდენტმა რეიგანმა მოღვაწეობის პირველივე წლის მანძილზე შესძლო გაეტარებინა თავისი ეკონომიკური პროგრამის ყველა ძირითადი შემადგენელი ნაწილი, გადასახადების 25 %-იანი შემცირების ჩათვლით, რაც ეტაპობრივად უნდა განხორციელებულიყო სამი წლის მანძილზე. რეიგანის ადმინისტრაცია აგრეთვე ისწრაფვოდა და მიაღწია კიდეც თავდაცვის ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას ქვეყნის სამხედრო ძალების მოდერნიზაციის მიზნით, რათა დაეპირისპირებინა ის, მისი აზრით, საბჭოთა კავშირის მხრიდან არსებული მუდმივი მუქარისათვის.

რეიგანის პრეზიდენტობის პირველი წლებისათვის დამახასიათებელი იყო ეკონომიკური დაღმავლობა, რამაც მოიცვა ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. ეროვნული პროდუქციის მოცულობა (GNP) დაეცა 2,5 %-მდე 1982 წელს, უმუშევრობის დონემ აიწია 10 %-მდე და ამერიკის საწარმოების თითქმის ერთი მესამედი გაჩერებული იყო. შუა დასავლეთში „ჯენერალ ელექტრიკის" და „ინტერნეშნლ ჰარვესტერ"-ის მსგავსმა უდიდესმა საწარმოებმა დაითხოვეს მუშები. ნავთობის კრიზისს თავისი წვლილი შეჰქონდა დაღმავლობაში. როდესაც აშშ-ს პროდუქციულობა შემცირდა, მისი ეკონომიკური მეტოქეები – გერმანია და იაპონია – დაეუფლენ მსოფლიო ვაჭრობის  მეტ წილს. ამერიკის მიერ სხვა ქვეყნების ნაწარმის მოხმარებამ სწრაფად აიწია.

ფერმერებსაც მძიმე ყამი დაუდგა. ფერმერთა რიცხვი შემცირდა და წარმოება მოექცა მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში. 1970-იანი წლების განმავლობაში ამერიკელი ფერმერები ეხმარებოდნენ ინდოეთს, ჩინეთს, საბჭოთა კავშირს და სხვა ქვეყნებს, რომლებიც მოსავლის ნაკლებობას განიცდიდნენ და დიდ სესხებს იღებდნენ მიწის საყიდლად და მოსავლის გასაზრდელად. შემდეგ  ნავთობზე  ფასების მომატებამ

გაზარდა სოფლის მეურნეობის ხარჯები, და მთელი მსოფლიოს მოხმარების მკვეთრმა დაცემამ შეამცირა მოთხოვნა ფერმერთა პროდუქციაზე. ფერმერებს ძლივს გაჰქონდათ თავი.

მაგრამ 1982 წლის დაღმავლობას დადებითი შედეგიც ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მან დააგდო ნავთობის ფასები, შემცირდა აგრეთვე გაუკონტროლებელი ინფლაცია, რომელიც დაიწყო კარტერის პრეზიდენტობის წლებში. ეკონომიკის ზოგიერთ სფეროში მდგომარეობა გამოსწორდა 1983 წლის ბოლოსათვის; 1984 წლის დასაწყისისათვის ეკონომიკაში თავი იჩინა გატარებული ღონისძიებების შედეგებმა და შეერთებული შტატები შევიდნენ მდგრადი ეკონომიკური ზრდის ყველაზე ხანგრძლივ პერიოდში II მსოფლიო ომის შემდეგ. იაპონია დათანხმდა დაეწესებინა ნებაყოფლობითი კვოტა თავისი მანქანების ექსპორტზე შეერთებულ შტატებში. მომხმარებელთა ხარჯები გაიზარდა ფედერალური მთავრობის მიერ გადასახადების შეკვეცის შედეგად, ბირჟები გამოცოცხლდნენ, რადგანაც ისინი ასახავდნენ მყიდველთა ოპტიმისტურ განწყობილებას. გავიდა ხუთი წელი აღმავლობის დაწყებიდან, ეროვნული პროდუქციის მოცულობა (GNP) ყოველწლიურად 4,2 %-მდე იზრდებოდა. ინფლაციის წლიური დონე რჩებოდა 3 %-დან 5 %-მდე 1983–1987 წლებში, გარდა 1986 წლისა, როდესაც ის მხოლოდ 2 %-ით დაეცა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო ათწლეულების მანძილზე. 1980-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ეროვნული პროდუქციის მოცულობა; 1982–1987 წლებში ამერიკის ეკონომიკაში გაჩნდა 13 მილიონზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

მაგრამ ამ ზრდის უზარმაზარი პროცენტი ემყარებოდა დეფიციტურ ხარჯვას. რეიგანის პრეზიდენტობის დროს ქვეყნის სესხი თითქმის სამჯერ გაიზარდა. მეტიც, ეროვნული სიმდიდრის ნამატი თითქმის მთლიანად ეკუთვნოდა მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიან ჯგუფს. ბევრმა ღარიბმა და საშუალო ოჯახმა ფაქტიურად დაკარგა შემოსავალი, რადგან შავი სამუშაოს და ნახევრად კვალიფიცირებული სამუშაო ადგილები გაუქმდა ან ვერ ეწეოდა დანარჩენი საზოგადოების წინსვლას.

რეიგანმა, რომელიც ერთგული იყო დაბალი გადასახადების პოლიტიკისა, თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს ხელი მოაწერა გადასახადების სახელმწიფო რეფორმის ყველაზე რადიკალურ ღონისძიებას, რაც კი გატარებულა 75 წლის მანძილზე. მას ფართოდ დაუჭირეს მხარი როგორც დემოკრატებმა, ასევე რესპუბლიკელებმა. რეიგანმა შეამცირა საშემოსავლო გადასახადები, გაამარტივა საგადასახადო წესები, მოსპო კანონის გვერდის ავლის შესაძლებლობა და შემოიღო დაბალშემოსავლიან ამერიკელთა შეღავათიანი

დაბეგვრის მეტად მნიშვნელოვანი წესი. მაგრამ კიდევ დარჩა სერიოზული პრობლემები. ღარიბები ქრონიკულად ვერ სარგებლობდნენ ეკონომიკის გაუმჯობესების შედეგებით. ფერმერები კვლავ გასაჭირში იყვნენ, ამასთან ერთად 1986, 1988 წლების გვალვამ კიდევ უფრო დაამძიმა მათი მდგომარეობა.

სამხედრო ბიუჯეტის ზრდამ გადასახადების შემცირების პარალელურად და სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობისათვის გამოყოფილი ხარჯების გადიდებამ გამოიწვია ის, რომ ფედერალური მთავრობის წლიური ხარჯები გაცილებით უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მისი წლიური შემოსავალი. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ დეფიციტი ადმინისტრაციის სპეციალურ სტრატეგიას წარმოადგენდა და გამიზნული იყო შინაური ხარჯების შემდგომი ზრდის ხელშესაშლელად, რაც დემოკრატები ითხოვდნენ. მაგრამ დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც კონგრესში უარს ამბობდნენ ხარჯების შეზღუდვაზე. 1980 წლის 74 000 მილიონი დოლარიდან დეფიციტი გაიზარდა 221 000 მილიონ დოლარამდე 1986 წელს, ვიდრე 1987 წელს არ დაეცა ისევ 150 000 მილიონ დოლარამდე. ბირჟამ განიცადა კრახი, რამაც გააძლიერა ეჭვი ეკონომიკის სტაბილურობაში.

---

**საგარეო პოლიტიკა**

საგარეო პოლიტიკაში პრეზიდენტმა რეიგანმა ქვეყნისათვის უფრო მტკიცე კურსი აირჩია, რომლის პირველი გამოცდის შემთხვევა მოუცა ცენტრალურ ამერიკაში. შეერთებულმა შტატებმა ელ სალვადორს გაუწია ეკონომიკური დახმარება და უზრუნველყოფდა ის სამხედრო წვრთნით, როდესაც შეიარაღებული მეამბოხეები სამხედრო გადატრიალებით ემუქრებოდნენ მის მთავრობას. შტატები აქტიურად უწყობდნენ ხელს კანონიერად არჩეული დემოკრატიული ხელისუფლების მოსვლას, მაგრამ მცდელობა აელაგმათ მემარჯვენეთა მებრძოლი რაზმები მხოლოდ ნაწილობრივი წარმატებით დასრულდა. აშშ-ს მხარდაჭერით მოხერხდა ხელისუფლების სტაბილიზაცია, მაგრამ ძალმომრეობა სალვადორში არ შემცირებულა, პირიქით, 1989 წლის ბოლოსათვის კიდევ უფრო გაიზარდა. მხოლოდ 1992 წლის დამლევს იქნა მიღწეული სამშვიდობო ხელშეკრულება.

აშშ-ს პოლიტიკა ნიკარაგუას მიმართ ბევრად უფრო წინააღმდეგობრივი იყო. 1979 წელს რევოლუციონერებმა, რომლებიც თავს „სანდინისტებს“ უწოდებდნენ, დაამხეს მემარჯვენე სამოსას რეპრესიული რეჟიმი. სანდინისტების მთავრობამ უარი თქვა აშშ-ს წინადადებაზე გაეწყვიტა სამხედრო კავშირი კუბასთან და საბჭოთა კავშირთან და დაეწყო დემოკრატიული გარდაქმნები თავის პოლიტიკურ

სისტემაში. რეგიონებში მშვიდობის დამყარების მცდელობა ჩაიშალა, ამდენად აშშ-ს ადმინისტრაციამ შეცვალა კურსი და შეუდგა სანდინისტთა მოწინააღმდეგე ძალების დახმარებას, რომლებსაც უწოდებდნენ „კონტრას“. პოლიტიკურ საკითხზე მწვავე დებატების შემდეგ კონგრესმა 1984 წლის ოქტომბერში შეწყვიტა „კონტრას“ სამხედრო დახმარება, და გააგრძელა მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა. თუმცა შემდგომ 1986 წლის შემოდგომაზე ადმინისტრაციის დაჟინებული მოთხოვნით კონგრესმა უარი თქვა თავის ამ გადაწყვეტილებაზე და გამოყო 100 მილიონი დოლარი „კონტრას“ სამხედრო დახმარებისათვის. მაგრამ ბრძოლის ველზე განცდილმა დამარცხებებმა, ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებმა და იმის გამოაშკარავებამ, რომ ირანისათვის იარაღის საიდუმლო მიყიდვით მიღებული ხარჯები ხმარდებოდა „კონტრას“ ხელშეწყობას, გამოიწვია ის, რომ ანტისანდინისტური მოძრაობის მუდმივ სამხედრო დახმარების პოლიტიკამ კონგრესის მხარდაჭერა დაკარგა.

ამის გამო პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა ოპოზიციურ პოლიტიკურ კოალიციას ვიოლეტა ჩამოროს მეთაურობით, რომელმაც 1990 წელს გასაოცარ წარმატებას მიაღწია არჩევნებში სანდინისტების წინააღმდეგ.

რეიგანის ადმინისტრაციას უფრო გაუმართლა დემოკრატიის აღდგენის საქმეში ლათინურ ამერიკაში – გვატემალიდან არგენტინამდე. დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობები გაჩნდა არა მარტო ლათინურ ამერიკაში, აზიაში „ხალხის ძალაუფლებისათვის“ ბრძოლის კამპანიის შედეგად კარასონ აკინომ დაამხო ფერდინანდ მარკოსის დიქტატურა, კორეაში ჩატარებული არჩევნებით კი დასრულდა მრავალწლიანი სამხედრო დიქტატურა.

ამის საპირისპიროდ, სამხრეთ აფრიკაში რეიგანის ადმინისტრაციის ცდას მოესპო რასისტული აპარტეიდი „კონსტრუქციული საქმიანობის“ წინააღმდეგობრივი პოლიტიკის მეშვეობით წარმატება არ მოჰყოლია. 1986 წელს წარუმატებლობით შეშფოთებულმა აშშ-ს კონგრესმა რეიგანის ვეტოს მიუხედავად მიიღო ეკონომიკური სანქციები სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ. მხოლოდ 1988 წლის დეკემბერში, რეიგანის ადმინისტრაციის მმართველობის ბოლო კვირებში, აშშ-ს დიდი ხნის შუამავლობამ შედეგი გამოიღო – მოხდა ისტორიული სამშვიდობო მოწესრიგება და სამხრეთ აფრიკაში ნამიბიის დამოუკიდებლობის აღიარება.

მიუხედავად აშკარად გამოხატული ანტიკომუნისტური გამოსვლებისა, რეიგანის ადმინისტრაცია თავს იკავებდა სამხედრო ძალის პირდაპირი გამოყენებისაგან. 1983 წლის

25 ოქტომბერს აშშ-ს სამხედრო ნაწილები გადაეშვნენ კარიბის ზღვის კუნძულ გრენადაზე მას შემდეგ, რაც მეზობელმა ქვეყნებმა დაჟინებით მოითხოვეს დახმარება. ეს მოხდა მაშინ, როდესაც გრენადის მემარცხენე პრემიერ-მინისტრი მოკლული იქნა მისივე პარტიის მარქსისტული ორიენტაციის მქონე წევრთა მიერ. ხანმოკლე ბრძოლების შემდეგ აშშ-ს ჯარებმა დაატყვევეს ასობით კუბელი სამხედრო მოსამსახურე და ინჟინერი და ხელთ იგდეს საბჭოთა კავშირიდან მიღებული იარაღი. 1983 წლის დეკემბერში გრენადა დატოვეს ამერიკის საბრძოლო ჯარებმა, სადაც ერთი წლის შემდეგ ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები.

მაგრამ სამხედრო მოქმედება ლიბანში, სადაც შეერთებული შტატები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ სუსტი, მაგრამ ზომიერი პრო-დასავლური ხელისუფლება, ტრაგიკულად დამთავრდა, როდესაც 241 ამერიკელი სამხედრო მეზღვაური დაიღუპა ტერორისტული დაბომბვის დროს 1983 წლის ოქტომბერში. აშშ-ს ხომალდებმა და თვითმფრინავებმა დაბომბეს ტრიპოლი და ბენგაზი ლიბიაში ევროპაში მოსამსახურე აშშ-ს სამხედროებზე ლიბიელი ტერორისტების თავდასხმის გამო.

სამხრეთის ყურეში აშშ ურთიერთობის კრიზისი და ირან-ერაყის ომი იქცა აშშ-ს სამხედრო ხომალდების ამოქმედების მიზეზად. თავდაპირველად შეერთებული შტატები გამოეხმაურნენ კუვეიტის თხოვნას დაეცვათ მისი ტანკერების ფლოტი. საბოლოოდ შეერთებული შტატები დასავლეთ ევროპის ხომალდებთან ერთად ინარჩუნებდნენ სასიცოცხლო მნიშვნელობის საზღვაო გზებს იმით, რომ ესკორტით მიაცილებდნენ ტანკერებს და ნეიტრალური ქვეყნების სხვა ხომალდებს სპარსეთის ყურეში.

---

**აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა**

საბჭოთა კავშირის მიმართ პრეზიდენტმა რეიგანმა გამოაცხადა მშვიდობიანი, მაგრამ ძალისმიერი პოლიტიკის კურსი. ის ემყარებოდა „ცივი ომის" პოლიტიკის ტრადიციებს და გადაწყვეტილი ჰქონდა მტკიცე კურსი განეხორციელებინა ქვეყნის მიმართ, რომელსაც „ბოროტების იმპერია" უწოდა. ორმა მოვლენამ გაამძაფრა დაძაბულობა აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში: პოლონეთში მოძრაობა „სოლიდარობის" ჩახშობამ 1981 წლის დეკემბერში და 1983 წლის 7 სექტემბერს საბჭოთა გამანადგურებლის მიერ კურსს აცდენილი თვითმფრინავის განადგურებამ, რომელიც ეკუთვნოდა კორეის ავიაკომპანიას და ასრულებდა რეისს 007. შეერთებულმა შტატებმა აგრეთვე დაგმეს საბჭოთა კავშირი ავღანეთში შეჭრის გამო და დახმარება გაუწიეს მუჯაჰედინთა წინააღმდეგობას.

რეიგანის პირველი საპრეზიდენტო ვადის დროს მისმა ადმინისტრაციამ დახარჯა უპრეცენდენტო თანხები თავდაცვის მასიური სისტემის შექმნაზე, მათ შორის საშუალო სიშორის ატომური რაკეტების განლაგებაზე ევროპაში, რათა დაპირისპირებოდნენ საბჭოთა კავშირის მიერ განლაგებულ მსგავს რაკეტებს. 1983 წლის 23 მარტს რეიგანმა განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ, რომელმაც ყველაზე მწვავე კამათი გამოიწვია. ეს იყო „სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის" (SDI) კვლევითი პროგრამა, რომელსაც გაუმჯობესებული ტექნოლოგიის გამოყენებით, როგორიცაა ლაზერი და მაღალი ენერგიის მქონე ბომბები, უნდა უზრუნველეყო დაცვა კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებისაგან. თუმცა ბევრი მეცნიერი ეჭვის ქვეშ აყენებდა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას, ეკონომისტები კი მიუთითებდნენ უჩვეულოდ დიდ ხარჯებზე, ადმინისტრაციამ მაინც დაიწყო პროექტის განხორციელება.

1984 წელს ხელმეორედ არჩევის შემდეგ რეიგანმა შეარბილა თავისი უდრეკი პოზიცია შეიარაღების კონტროლთან დაკავშირებით. თავის მხრივ, მოსკოვიც მიდიოდა შეთანხმებაზე, ნაწილობრივ იმიტომ, რომ საბჭოთა ეკონომიკა ვერ უძლებდა ხარჯებს რომლიც საჭირო იყო აშშ-ს თავდაცვით სისტემასთან კონკურენციისათვის. 1985 წლის ნოემბერში რეიგანს უმაღლესი დონის შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა ლიდერთან მიხეილ გორბაჩოვთან ჟენევაში. ისინი პრინციპულად შეთანხმდნენ სტრატეგიული თავდაცვითი ატომური იარაღის 50 %-იან შემცირებაზე ისევე, როგორც შუალედურ შეთანხმებაზე საშუალო სიშორის ატომურ იარაღთან დაკავშირებით. 1987 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა რეიგანმა და გენერალურმა მდივანმა გორბაჩოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას საშუალო სიშორის ატომური იარაღის (INF) შესახებ, რომლის მიხედვით ატომური იარაღის ერთი კატეგორია მთლიანად უნდა განადგურებულიყო.

---

**კოსმოსური შატლი**

თუ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა პრობლემატური იყო რეიგანის ადმინისტრაციისათვის, კოსმოსთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები უფრო იმედისმომცემად გამოიყურებოდნენ. 1981 წელს აშშ-მ გაუშვა კოსმოსური შატლი „კოლუმბია" – პირველი მრავალჯერადი პილოტირებული ხომალდი. 1981 და 1885 წლებში შატლმა გამოამჟღავნა საოცრად მრავალფეროვანი შესაძლებლობები, ასტრონავტები ატარებდნენ ექსპერიმენტებს და იღებდნენ ფოტოებს, უშვებდნენ, აღადგენდნენ და არემონტებდნენ თანამგზავრებს ორბიტაზე. მაგრამ 1986 წლის იანვარში მოხდა ტრაგედია:

კოსმოსური შატლი „ჩელენჯერი“ აფეთქდა სტარტიდან 73 წამის გასვლის შემდეგ, მომენტალურად დაიღუპა ექვსი ასტრონავტი და სკოლის მასწავლებელი, რომელიც კოსმოსში გაშვებული პირველი ჩვეულებრივი მოქალაქე იყო. კოსმოსური შატლის შემდგომი გაშვება გადაიდო განუსაზღვრელი ვადით და NASA-მ დაიწყო შატლის კონსტრუქციის შეცვლა მისი საიმედოობის გაზრდის მიზნით. იმ დროისათვის, როდესაც 1988 წლის ბოლოს შეერთებულმა შტატებმა წარმატებით გაუშვეს შატლი „დისკავერი“, შატლის სისტემაში და კომპიუტერების პროგრამებში 300 ცვლილება იყო შეტანილი.

---

**ირან-კონტრა და შავი ორშაბათი**

რეიგანის ადმინისტრაციის ყველაზე სერიოზული პრობლემა საგარეო საქმეებში წამოიჭრა მისი პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს. 1987 წელს ამერიკელებმა გაიგეს, რომ ადმინისტრაცია საიდუმლოდ ყიდიდა იარაღს ირანზე და ამით ცდილობდა გაეთავისუფლებინა ამერიკელი მძევლები, რომლებიც ლიბანში ჰყავდათ დაკავებული ჰომეინის დაქვემდებარებულ რადიკალურ ორგანიზაციებს. გამოძიებამ აჩვენა, რომ იარაღის გაყიდვით მიღებული თანხები ხმარდებოდა ნიკარაგუის „კონტრას“ იმ პერიოდში, როდესაც კონგრესმა აკრძალა ამგვარი სამხედრო დახმარება.

ამას მოჰყვა ირან-კონტრა საქმის მოსმენა სენატის და წარმომადგენელთა პალატის ერთობლივი კომისიის მიერ, რომელმაც შეისწავლა საკითხი კანონის შესაძლო დარღვევისა და შუა აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ამერიკაში ამერიკის ინტერესების უგულვებელყოფის შესახებ. უფრო ფართო გაგებით, ირან-კონტრას საქმის გარჩევა, მსგავსად ცნობილი უოტერგეიტის საქმისა 14 წლის წინად, სვამდა ფუნდამენტალურ საკითხებს იმის თაობაზე, რომ მთავრობა ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე და უნდა არსებობდეს სწორი ბალანსი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის.

1987 წლის 19 ოქტომბერს შეერთებულმა შტატებმა განიცადეს ეკონომიკური კრიზისი – ეგრეთ წოდებული „შავი ორშაბათი“, როდესაც აქციები დაეცა 22 %-ით, რამაც მაშინვე გაახსენა ყველას 1929 წლის ლეგენდარული კრიზისი, რომელსაც მოჰყვა 1930-იანი წლების „დიდი დეპრესია“. კრიზისის გამომწვევ მიზეზთა შორის იყო შეშფოთება აშშ-ს საგარეო ვაჭრობისა და ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის გამო, კორპორაციების და პირადი დავალიანების მაღალი დონე, აგრეთვე „პროგრამული ვაჭრობის“ სახელით ცნობილი საბირჟო სიახლე, რომლის მიხედვითაც კომპიუტერები ავტომა-

ტურად იძლეოდნენ ბრძანებას აქციების დიდი პარტიების ყიდვა-გაყიდვაზე გარკვეულ სიტუაციაში.

მიუხედავად ამისა ქვეყანა საოცრად მოკლე დროში გამოვიდა მძიმე მდგომარეობიდან. თუმცა ბევრმა ამერიკელმა პირი იბრუნა ბირჟისაგან და მიმართა ინვესტირების უფრო უსაფრთხო ფორმებს, მაგრამ უკუსვლის პერიოდი არ დამდგარა. ფაქტიურად გაგრძელდა ეკონომიკური წინსვლა, უმუშევრობის დონე დაეცა 14 წელიწადში ყველაზე დაბალ 5,2 %-მდე 1988 წლის ივნისში.

---

**ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის წლები**

პრეზიდენტი რეიგანი არაჩვეულებრივად პოპულარული იყო მის მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს, მაგრამ აშშ-ს კონსტიტუციის თანახმად მას არ შეეძლო 1988 წლის არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენება. მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრემ, ჯორჯ ბუშმა, რომელიც ვიცე-პრეზიდენტი იყო რეიგანის პრეზიდენტობის 8 წლის მანძილზე დიდი უპირატესობა მიიღო რეიგანის პოპულარობის გამო და არჩეულ იქნა შეერთებული შტატების 41 პრეზიდენტად.

ბუში თავისი წინასაარჩევნო კომპანიის დროს შეპპირდა ამომრჩევლებს იმ კეთილდღეობის პერიოდის გაგრძელებას, რაც მათ რეიგანმა მოუტანა; ის აგრეთვე ამტკიცებდა, რომ თავისი გამოცდილების წყალობით მას შეეძლო უკეთ უზრუნველეყო ქვეყნის ძლიერი დაცვა, ვიდრე დემოკრატიული პარტიის კანდიდატს მაიკლ დუკაკის. დუკაკისი, მასაჩუსეთსის შტატის გუბერნატორი, აცხადებდა, რომ შედარებით უიღბლო ამერიკელები ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ და მთავრობა უნდა დახმარებოდა ხალხს, ამავე დროს შეემცირებინა ფედერალური ვალი და დაცვის ხარჯები. მაგრამ საზოგადოება უფრო მოხიბლა ბუშის ეკონომიკურმა შეპირებამ: არავითარი ახალი გადასახადები. კენჭისყრაში ბუშმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების 54 % დუკაკისის 46 % საწინააღმდეგოდ.

თავისი პრეზიდენტობის პირველ წლებში ბუში ახორციელებდა კონსერვატიულ ფისკალურ პროგრამას, გადასახადების, ხარჯების და ვალების ისეთ პოლიტიკას, რომელიც დამახასიათებელი იყო რეიგანის ადმინისტრაციის ეკონომიკური პროგრამისათვის. მაგრამ საჭირო იყო უშეღავათო საბიუჯეტო დეფიციტისა და დეფიციტის შემცირების შესახებ კანონის შესაბამისობაში მოყვანა. ბუშს აღმოაჩნდა შეზღუდული პროგრამა, რომელიც თითქმის არ აძლევდა ახალი საბიუჯეტო ხარჯების გაწევის საშუალებას და, პირიქით, მოითხოვდა მათ შემცირებას. ამრიგად ყველაზე

დიდხანს გაგრძელდა ადმინისტრაციის ის პროგრამები, რომლებიც ყველაზე ნაკლებ ხარჯებს მოითხოვდნენ.

ბუშმა შეცვალა პოლიტიკა გარემოს დაცვისა და განათლების საკითხებთან დაკავშირებით, სადაც ხარჯების უდიდეს ნაწილს იხდიდნენ კერძო საწარმოები და შტატების ხელისუფლება. 1990 წლის ნოემბერში მან ხელი მოაწერა კანონებს, რომლებიც აწესებდნენ ახალ ფედერალურ ნორმებს ქალაქებში სმოგის, მანქანების გამონაბოლქვის, ჰაერის ტოქსიკური გაბინძურების და მჟავიანი წვიმებისათვის, მაგრამ ხარჯების უმეტესობა ეკისრებოდა თვით გამბინძურებელ საწარმოებს. მან ხელი მოაწერა კანონებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ინვალიდთა დახმარებას, მაგრამ ამის ხარჯებს იხდიდა ბიზნესი. პრეზიდენტმა აგრეთვე წამოიწყო კომპანია მოხალისეების ჩასაბმელად სოციალური დახმარების სფეროში, რასაც იგი თავის ცნობილ ფრაზაში უწოდებდა „ათასი მანათობელი წერტილი“.

**ბიუჯეტი და დეფიციტი**

ბუშის ადმინისტრაციის მცდელობა შეეზღუდა ბიუჯეტის დეფიციტი პრობლემატური აღმოჩნდა. სირთულის ერთი წყარო მდგომარეობდა დანაზოგების და სესხების კრიზისში. თაღლითობამ, მართვის უუნარობამ, სუსტმა კანონმდებლობამ, ეკონომიკურმა სიძნელეებმა შეერთებული შტატების ზოგურთ რაიონში 1980-იანი წლების დასაწყისში და შუა პერიოდში გამოიწვია მრავალი შემნახველი და საკრედიტო დაწესებულებების მიერ გადახდის უნარიანობის დაკარგვა. 3 100 ასეთი დაწესებულებიდან, რომლებიც არსებობდნენ 1970-იან წლებში, 1990 წლის 30 ივნისისათვის დარჩა მხოლოდ 2 453. 1993 წლისათვის ასეთი გაკოტრებული დაწესებულებების, რომელთა დეპოზიტების გარანტი მთავრობა იყო, გაყიდვის და დახურვის მთლიანმა ღირებულებამ გასაოცარ ციფრს მიაღწია: 300 და 500 ათას მილიონ დოლარს.

1990 წლის იანვარში პრეზიდენტმა ბუშმა წარუდგინა კონგრესს თავისი ბიუჯეტის პროექტი. დემოკრატები ამტკიცებდნენ, რომ ადმინისტრაციის პროექტი მეტისმეტად ოპტიმისტური იყო და რომ დეფიციტის შემცირების კანონი მოითხოვდა გადასახადების გაზრდას და თავდაცვის ხარჯების უფრო მკვეთრ შემცირებას. კამათი ბიუჯეტის შესახებ გაჭიანურდა, და ივნისისათვის, მიუხედავად მისი საარჩევნო დაპირებებისა, პრეზიდენტმა ბუშმა განუცხადა კონგრესის ლიდერებს, რომ ქვეყნის ეკონომიკაში სიტუაციის შეცვლის გამო გადასახადების ზრდა უნდა იქცეს ნებისმიერი ბიუჯეტის პროექტის ნაწილად.

მიუხედავად საბიუჯეტო შეთანხმებისა, ეკონომიკურმა დაცემამ, დანაზოგების და სესხების სფეროს გადასარჩენად ჩატარებულმა ოპერაციებმა, გაზრდილმა ხარჯებმა სამედიცინო მომსახურების და სამედიცინო დახმარების სფეროში გამოიწვია ის, რომ დეფიციტის შემცირებისათვის მიღებული ზომები არ აღმოჩნდა საკმარისი და 1991 წელს დეფიციტი, თუ მეტი არა, ისეთივე დონის მაინც იყო, როგორც წინა წელს.

---

**„ცივი" ომის დასასრული**

1980 წელს ზესახელმწიფოების ურთიერთობას განსაზღვრავდა პოლიტიკური არეულობა აღმოსავლეთ ევროპაში. შეერთებული შტატები და მთელი მსოფლიო თვალს ადევნებდნენ თუ როგორ იწვევდნენ ხალხის აჯანყებები და დემოკრატიული რეფორმები ერთი მეორის მიყოლებით კომუნისტური რეჟიმების დამხობას მთელს რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ მალტაში გამართული უმაღლესი დონის შეხვედრა ბუშსა და გორბაჩოვს შორის წარმატებით დასრულდა, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა იმ არაჩვეულებრივ მიღწევებს, რომლებიც მოხდა აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში 1990 წელს. იანვარში წარმოთქმულ სიტყვაში, რომელიც ქვეყნის მდგომარეობას ეხებოდა, პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ შეემცირებინა ევროპაში განლაგებული აშშ-ს ჯარები 195 000-მდე. თებერვალში ბუშის ადმინისტრაციამ ჩაატარა საბჭოთა კავშირთან დისკუსიები შეიარაღების კონტროლის თაობაზე და აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გაერთიანებაზე. შვიდი თვის შემდეგ მრავალი ორმხრივი და მრავალმხრივი დისკუსიების შედეგად საბჭოთა კავშირმა უარი თქვა თავის ომისდროინდელ უფლებებზე და აღიარა გაერთიანებული გერმანია NATO-ს სრულუფლებიანი წევრის სტატუსით. საბოლოო ხელშეკრულება გერმანიის საკითხთან დაკავშირებით ხელმოწერილი იყო მოსკოვში, 12 სექტემბერს.

პრეზიდენტმა ბუშმა და 21 სხვა ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურებმა 1980 წლის 19 ნოემბერს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების" შესახებ (CFE) უმაღლესი დონის სამდღიან შეხვედრაზე „ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენციაზე" (CSCE). CFE ხელშეკრულება იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული და ამბიციური შეთანხმება შეიარაღების საკითხებზე, რომელიც კი ოდესმე ყოფილა დადებული. იგი შეეხებოდა ათასობით ტანკს, თვითმფრინავს და საარტილერიო დანადგარს, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ NATO-ს და ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი ქვეყნების მიერ ატლანტის ოკეანიდან ურალის მთებამდე.

# იმიგრანტების ერა

იმ დროისათვის, როდესაც გამოცხადდა ამერიკის დამოუკიდებლობა 1776 წელს, მოსახლეთა ორი მეხუთედი არაინგლისელი წარმოშობის იყო. 1790 წელს ჩატარებული პირველი აღრიცხვის მიხედვით აშშ-ს მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიონ კაცზე ნაკლები იყო, ყოველწლიურად აქ ჩამოდიოდა 10 000 ახალი იმიგრანტი. როდესაც აშშ-ს მთავრობამ დაიწყო ჩამოსულთა აღრიცხვა 1820 წელს, იმიგრანტების უმეტესობა იყო ჩრდილო ევროპიდან; მე-19 საუკუნის დამლევს ისინი ჩამოდიოდნენ ძირითადად სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან. დღეისათვის იმიგრანტების უმრავლესობა ჩამოდის ლათინური ამერიკიდან და აზიიდან. მაგრამ მათი ჩამოსვლის მიზეზი – შესაძლებლობები და თავისუფლება – უცვლელი რჩება.

Number of Immigrants Admitted

800,000
700,000
600,000
500,000
400,000
300,000
200,000
100,000

**1820-1840**

The Industrial Revolution, which began in Great Britain in the 1700s, spreads to other parts of Europe in the early 1800s and, in combination with other factors, spurs emigration.

U.S. immigration begins to rise in the 1830s, with about 600,000 newcomers arriving in this decade.

**1841-1860**

Immigration soars, largely from German-speaking areas of Europe, Great Britain and Ireland.

The Irish potato famine (1845-1849) and improvements in ocean transportation contribute to the mass migration.

The Know-Nothings, a political party established in the 1850s, call for laws to stem immigration.

**1861-1880**

The 1862 Homestead Act offers public land free to any citizen or immigrant who plans to become a citizen.

Scandanavia, Austria-Hungary, Italy and Russia become important sources of immigration

Between 1864 and 1869, thousands of Chinese are brought to the U.S. to build the Central Pacific Railroad. The U.S. and China sign the 1869 Burlingame Treaty to protect this immigration.

**1881-1900**

Italians, Greeks, Russians and East Europeans immigrate to the United States in large numbers.

The Chinese Exclusion Act of 1882 places a temporary ban on immigration from China, which is made permanent in 1902. This ban is lifted during World War II.

Ellis Island in New York Harbor opens in 1892 as a receiving station for newly arrived immigrants.



Textile production is among the earliest to industrialize.



FINANCIAL PANIC

IRISH POTATO FAMINE

CALIFORNIA GOLD RUSH

CASTLE GARDEN IMMIGRANT DEPOT OPENED

CIVIL WAR

HOMESTEAD ACT

POST-WAR DEPRESSION

ECONOMIC DEPRESSION

POGROMS IN RUSSIA AGAINST JEWS

CHINESE EXCLUSION ACT

STATUE OF LIBERTY

ELLIS ISLAND OPENED

1820 1830 1840 1850 1860 1870 1880 1890 1900

### [illegible]–1920

[illegible] immigration [illegible] 1907.

[illegible] 1907 "Gentlemen's [illegible]ment," Japan's [illegible] agrees to [illegible] Japanese laborers [illegible] entering the U.S.

[illegible] 1917 law bars most [illegible] from Asia and [illegible] Pacific, and creates [illegible] requirements for [illegible] immigrants.

### 1921–1940

In 1921 Congress passes the first legislation restricting the number of immigrants on the basis of nationality. It limits the annual number of immigrants from a nation to not more than three percent of foreign-born persons from that nation living in the U.S. in 1910. Also, the total number of people allowed to enter the U.S. per year—from all areas outside the Western Hemisphere—is limited to 357,803.

In 1924 the Johnson-Reed Immigration Act creates nationality quotas based on 1920 U.S. census data. It reduces the total quota for immigration from outside the Western Hemisphere to 150,000.

The Great Depression of the 1930s and the beginning of World War II severely reduce immigration into the U.S.



### 1941–1960

The War Brides Act of 1946 enables 120,000 wives and children of American servicemen to enter the U.S. as immigrants.

Under the Displaced Persons Acts of 1948 and 1950, and the Refugee Relief Act of 1953, an additional 600,000 people immigrate to the U.S. from Germany, Hungary, Latvia, Poland, the Soviet Union, Yugoslavia and Korea.

Airliners begin making daily nonstop flights across the Atlantic Ocean in the early 1950s. By the end of the decade, jet passenger planes revolutionize global travel.

The McCarran-Walter Act of 1952, better known as the Immigration and Nationality Act, retains nationality-based quotas for immigration, but sets up quotas for previously excluded Asian nations.

### 1961–1980

In 1965 President Lyndon B. Johnson signs into law an immigration act that modifies the McCarran-Walter Act, replacing the nationality-based system with hemispheric ceilings. Immigration from India, Korea, the Philippines and other Asian nations soars.

President Johnson designates Ellis Island a national monument.

The Refugee Act of 1980 provides for the admission of refugees "of special humanitarian concern to the U.S."

### 1981–1989

Immigration from Asia and Latin America increases, as does illegal immigration from a number of countries.

In 1986, the Immigration Reform and Control Act gives many illegal aliens a chance to become legal residents. Approximately 1.7 million illegal aliens seek legal status by May 1989.



| 1820-1840 | 1841-1860 | 1861-1880 | 1881-1900 |
|---|---|---|---|
| სამრეწველო რევოლუციამ, რომელიც დაიწყო ევროპის გერმანულენოვან რაიონებში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში, სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო ემიგრაციას.<br>იმიგრაცია აშშ-ში მატულობს 1830-იან წლებში. ამ ათწლეულებში ჩამოვიდა დაახლოებით 600 000 ადამიანი. | იმიგრაცია იზრდება ძირითადად ევროპის გერმანულენოვანი რაიონებიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ირლანდიიდან ჩამოსულთა ხარჯზე.<br>ირლანდიის „კარტოფილის განადგურებამ (1845-1849) და ოკეანეზე მოგზაურობის გაადვილებამ 1850 წელს აუცილებელი გახადა იმიგრაციის შეჩერების კანონის მიღება.<br>1850-იან წლებში ჩამოყალიბდა „უცნობთა" პოლიტიკური პარტია, რომელმაც მოითხოვა იმიგრაციის შეჩერების კანონის მიღება. | 1862 წლის განსახლების აქტი უფასოდ სთავაზობს სახელმწიფო მიწებს ყველას, ვისაც მოქალაქეობა უნდა.<br>იმიგრაციის მნიშვნელოვან წყაროებად იქცნენ სკანდინავია, უნგრეთი, იტალია და რუსეთი.<br>1864-1869 წლებში ათასობით ჩინელი ჩამოყვანილია აშშ-ში „სენტრალ პასიფიკ რეილროუდ" რკინიგზის ხაზის ასაშენებლად. 1869 წელს აშშ და ჩინეთი ხელს აწერენ ხელშეკრულებას ამ იმიგრაციის დასაცავად. | იტალიელები, ბერძნები, რუსები და აღმოსავლეთ ევროპელები დიდი რაოდენობით ჩამოდიან შეერთებულ შტატებში.<br>1882 წელს „ჩინელთა ჩამოსვლის აკრძალვის აქტი" დროებით კრძალავს იმიგრაციას ჩინეთიდან, რაც სამუდამო აკრძალვად იქცევა 1902 წელს. ეს აკრძალვა მოიხსნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.<br>1892 წელს იხსნება ელისის კუნძული ნიუ-იორკის უბეში როგორც ახალჩამოსულ ემიგრანტთა მიმღები პუნქტი. |
| ერთ-ერთი პირველი ინდუსტრიული დარგი – საფეიქრო მრეწველობა<br>ფინანსური პანიკა | კალიფორნიის ოქროს ციებ-ცხელება<br>გახსნა იმიგრანტთა მიღების პუნქტი „კასლ გარდენ"<br>ირლანდიის კარტოფილის განადგურება<br>სამოქალაქო ომი | საკარმიდამო აქტი<br>ომისშემდგომი დეპრესია<br>ეკონომიკური დეპრესია | ებრაელთა დარბევა რუსეთში<br>ჩინელების ჩამოსვლის აკრძალვა<br>თავისუფლების ქანდაკება<br>ელისის კუნძულის გახსნა |

## 1901-1920

ელისის კუნძულზე იმიგრაციის კულმინაციური წერტილი 1907 წელს.

1907 წელს „ჯენტლმენური შეთანხმება". იაპონიის მთავრობა თანახმაა არ დაუშვას იაპონელი მუშების ჩასვლა აშშ-ში.

1917 წლის კანონი კრძალავს თითქმის მთელ იმიგრაციას აზიიდან და წყნარი ოკეანის კუნძულებიდან და უყენებს წერა-კითხვის ცოდნის მოთხოვნას იმიგრანტებს.

## 1921-1940

1921 წელს კონგრესი იღებს პირველ კანონს იმიგრანტთა რიცხვის შეზღუდვის შესახებ. ზღუდავს იმიგრანტთა წლიურ რაოდენობას 1910 წელს აშშ-ში მცხოვრებ ამ ეროვნების ადამიანთა 3 პროცენტით. აგრეთვე აშშ-ში ჩამოსულთა ემიგრანტთა საერთო რიცხვი წელიწადში – მსოფლიოს ყველა კუთხიდან, გარდა დასავლეთი ნახევარსფეროსი შეიზღუდა 357 803-მდე.

1924 წლის ჯონსონ-რიდის იმიგრაციის აქტი აწესებს კვოტებს 1920 წლის აღრიცხვის მონაცემების მიხედვით. ის ამცირებს სამხრეთის ნახევარსფეროდან ემიგრაციის კვოტას 150 000-მდე.

დიდი დეპრესია 1930-იან წლებში და II მსოფლიო ომის დაწყება მნიშვნელოვნად ამცირებენ იმიგრაციას აშშ-ში.

## 1941-1960

1946 წლის „ომის ცოლების აქტი" უფლებას აძლევს ამერიკის მოსამსახურეთა ცოლებს და შვილებს ჩამოვიდნენ აშშ-ში როგორც იმიგრანტები.

„გადაადგილებულ პირთა აქტით" 1948 წელს და 1950 წელს დამატებით 600 000 კაცი ჩამოდის აშშ-ში გერმანიიდან, უნგრეთიდან, ლატვიიდან, პოლონეთიდან, სსრკ-დან, ჩეხოსლოვაკიიდან და კორეიდან.

1950-იან წლებში ავიაკომპანიები აწარმოებენ ყოველდღიურ პირდაპირ რეისებს ატლანტის ოკეანეზე. ათწლეულების ბოლოს რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავები რევოლუციას მოახდენენ მსოფლიო მოგზაურობაში.

1952 წლის მაკკარან-უოლტერის აქტი, ცნობილი „იმიგრაციის ეროვნული აქტის" სახელით აწესებს კვოტებს ეროვნების ნიადაგზე. აწესებს კვოტებს აზიური ერებისთვის, რომლებიც ადრე არ დაიშვებოდნენ.

## 1961-1980

1965 წელს პრეზიდენტი ლინდონ ბ. ჯონსონი ხელს აწერს იმიგრაციის აქტს, რომელიც აუქმებს მაკკარან-უოლტერის აქტს და ცვლის ეროვნების ნიადაგზე დამყარებულ სისტემას ნახევარსფეროდან ემიგრირებულთა რიცხვის შეზღუდვის სისტემით. იზრდება ემიგრაცია ინდოეთიდან, კორეიდან, ფილიპინებიდან და სხვა აზიური ქვეყნებიდან.

პრეზიდენტი ჯონსონი ხსნის ელისის კუნძულს როგორც მუზეუმს.

ლტოლვილთა აქტი 1980 წელს ლტოლვილებს აძლევს აშშ-ში ჩასვლის უფლებას განსაკუთრებული ჰუმანური მიზეზებით.

## 1981-1990

იზრდება იმიგრაცია აზიიდან და ლათინური ამერიკიდან და უკანონო ემიგრაცია მთელი რიგი ქვეყნებიდან.

1986 წლის იმიგრაციის რეფორმის და კონტროლის აქტის საფუძველზე უკანონოდ ჩამოსულ უცხოელებს ეძლევა საშუალება გახდნენ კანონიერი მცხოვრებნი. დაახლოებით 1,7 მილიონი უკანონოდ ჩამოსული უცხოელი იღებს კანონიერ სტატუსს 1989 წლის მაისისათვის.

I მსოფლიო ომი

არაკვალიფიცირებულ იაპონელთ მუშათა ჩასვლის აკრძალვა

იმიგრაციის აქტი

ჯონსონ რიდის ემიგრაციის აქტი

დიდი დეპრესია

ბირჟის კრახი

II მსოფლიო ომი

გადაადგილებულ პირთა აქტი

ვიეტნამის ომი

იმიგრაციის აქტი

კორეის ომი

ლტოლვილთა აქტი

იმიგრაციის რეფორმა და კონტროლის აქტი

ამის შემდეგ, 1991 წლის 31 ივლისს, შეერთებულმა შტატებმა მიაღწიეს შეიარაღების თაობაზე ყველაზე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან, როდესაც ბუშმა და გორბაჩოვმა ხელი მოაწერეს დიდი ხნის მოლაპარაკების შედეგად „სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებას“ (START) მოსკოვში, რომლის მიხედვითაც ორივე მხარის ბირთვული არსენალები მცირდებოდა 30-დან 40 პროცენტამდე. მაგრამ ეს შემცირებაც კი უმნიშვნელო გამოჩნდა პრეზიდენტ ბუშისა და ბორის ელცინის, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, მიერ დადებული ხელშეკრულების შემდეგ, რომლის მიხედვითაც 2003 წლისთვის მთლიანად უნდა განადგურებულიყო ქობინებიანი რაკეტები, ორივე შეთანხმება ერთობლიობაში დაახლოებით ორი მესამედით ამცირებდა ბირთვული ქობინების რაოდენობას – 21 000-დან 6 000–7 000 ცალამდე. ბირთვული იარაღის განადგურებამ და მუდმივმა შიშმა ატომური საფრთხის წინაშე შეაჩერა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ატომური კონფლიქტის საშიშროება.

„ცივი“ ომი დასრულდა.

---

**ომი ყურეში**

ცივი ომის შესუსტებით გამოწვეული სიხარული დრამატიულად დაჩრდილა ერაყის შეჭრამ კუვეიტში 1990 წლის 2 აგვისტოს. ერაყის მიერ კუვეიტის კონტროლი და შესაძლო საფრთხე, რომელიც მოელოდათ საუდის არაბეთსა და ყურეს სხვა პატარა სახელმწიფოებს, დაემუქრა შეერთებული შტატების სასიცოცხლო ინტერესებს, ვინაიდან შეერთებული შტატები და საზოგადოდ დასავლეთი დამოკიდებული რჩებოდნენ ამ რეგიონზე, როგორც ნავთობის ძირითად მომწოდებელზე.

პრეზიდენტმა ბუშმა მკაცრად გააკრიტიკა ერაყის მოქმედება და მოუწოდა მას დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაეყვანა თავისი ჯარები. გაეროს უშიშროების საბჭოს რიგგარეშე სესიამ ერთსულოვნად აღიარა ერაყი დამნაშავედ და მოითხოვა ერაყის ჯარების გაყვანა კუვეიტიდან.

მოგვიანებით, ერაყმა გამოაცხადა კუვეიტის ანექსია, ბრძანება გასცა ამ ქვეყანაში  ყველა საელჩოს დახურვის თაობაზე და დაიწყო კუვეიტში მყოფი ამერიკელი და ბრიტანელი მოქალაქეების მძევლებად აყვანა. 8 აგვისტოს პრეზიდენტი ბუში გამოვიდა ტელევიზიით და განაცხადა შეერთებული შტატების ჯარების შუა აღმოსავლეთში განლაგების განზრახვის შესახებ. შემდეგ პრეზიდენტმა გარკვეული მუშაობა გასწია, რათა შეექმნა თანამედროვეობის დროის ერთ-ერთი ყველაზე ექსტრაორდინალური სამხედრო და

პოლიტიკური კოალიცია ევროპის, აზიის, აფრიკის და თვით შუა აღმოსავლეთის სამხედრო ძალებისაგან.

ოკუპაციის შემდგომი დღეებისა და კვირების განმავლობაში გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 12 რეზოლუცია, რომლებიც გმობდა ერაყის მიერ კუვეიტის ოკუპაციას და აწესებდა ეკონომიკურ სანქციებს ერაყის წინააღმდეგ. მე-12 რეზოლუციით, რომელიც მიღებულ იქნა 29 ნოემბერს, გაეროს წევრ ქვეყნებს დაერთო ნება გამოეყენებინათ სამხედრო ძალა, თუ ერაყი არ გამოიყვანდა თავის ჯარებს 1991 წლის 15 იანვრამდე. ამერიკა-საბჭოთა კავშირის ახალი ურთიერთდამოკიდებულება ქმნიდა შესაფერის პირობებს გაეროს მოქმედებისათვის, რათა აღეკვეთათ ერაყის მიერ კუვეიტის სპეკულაცია. ამ ორ ქვეყანას შორის რომ არ არსებულიყო მეგობრული შეთანხმება , შეერთებული შტატები ვერასოდეს გაბედავდნენ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების წამოწყებას.

კონგრესის წევრებმა საჯაროდ მოუწოდეს პრეზიდენტ ბუშს და საერთაშორისო საზოგადოებას ყველა ღონე ეხმარათ ყურეს კრიზისის მშვიდობიანი მოგვარებისათვის. მაგრამ აქედან გამომდინარე დებულება იყო კონსტიტუციური. ამერიკის კონსტიტუცია იძლევა ომის გამოცხადების კანონიერ უფლებას. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში შეერთებული შტატები ვიეტნამის შემდეგ კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ ჩათრეული შეიარაღებულ კონფლიქტში კონგრესის მიერ მინიჭებული ასეთი მანდატის გარეშე, კონგრესის ზოგიერთმა წევრმა განაცხადა, რომ ბუშს უნდა მიეღო კონგრესის მხარდაჭერა, სანამ ომს დაიწყებდა. სხვები ამტკიცებდნენ, რომ კონგრესს სინამდვილეში სურდა ცოდნოდა, თუ სად, როდის და რა პირობებში აპირებდნენ ომს შეერთებულ შტატები, და არ უნდოდა პასუხისმგებლობის აღება ომის გამოცხადებაზე.

1991 წლის 12 იანვარს, გაეროს მიერ მოცემულ ვადაზე სამი დღით ადრე, კონგრესმა მიანიჭა პრეზიდენტ ბუშს უფლება, რომლის აღება მას სურდა; ეს იყო ყველაზე უფრო ზუსტი და ყოვლისმომცველი უფლება ომის წარმოებისა, რომელიც კი ჰქონია მინიჭებული პრეზიდენტს უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში.

ომი დაიწყო გაეროს მიერ მოცემული ვადიდან 24 საათის გასვლის შემდეგ. შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, საუდის არაბეთმა და კუვეიტმა წარმატებას მიაღწიეს კუვეიტის განთავისუფლებაში. შეერთებული შტატები ხელმძღვანელობდნენ საჰაერო კომპანიას, რომელიც დაახლოებით ერთ თვეს გრძელდებოდა. მას მოჰყვა მასიური შეჭრა კუვეიტსა და ერაყში. სწრაფი

მოქმედების, მობილურობის და იარაღის წყალობით მოკავშირეთა ძალებმა სძლიეს ერაყის ძალებს ხმელეთზე წარმოებულ კომპანიაში, რომელიც მხოლოდ 100 საათს მიმდინარეობდა.

შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა მიაღწიეს დასახულ სამხედრო მიზანს, მაგრამ გამარჯვება არასრული იყო. ქვეყნის სათავეში დარჩა სადამ ჰუსეინი, რომელმაც ეწეოდა ომის დამთავრებისთანავე მიჰყო ხელი აჯანყებული ქურთების რეპრესიას ჩრდილოეთში და შიიტების სამხრეთში. ასობით ნავთობის ჭაბურღილი იწვოდა, რომლებსაც ერაყელებმა ჯერ კიდევ 1991 წლის ნოემბრამდე წაუკიდეს ცეცხლი მათი მოსპობის მიზნით. სადამის რეჟიმი აგრეთვე შეეცადა დაებრკოლებინა გაეროს ინსპექტორები, რომლებიც მოქმედებდნენ უშიშროების საბჭოს რეზოლუციის თანახმად და უნდა აღმოეჩინათ და გაენადგურებინათ ერაყის მასობრივი განადგურების იარაღი, ბირთვული მოწყობილობებისა და ქიმიური იარაღის საწყობების ჩათვლით.

ყურეს ომმა, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც მისცა შეერთებულ შტატებს საშუალება დაეყოლიებინა არაბული სახელმწიფოების – ისრაელისა და პალესტინის დელეგაციები დაეწყოთ ერთმანეთთან პირდაპირი მოლაპარაკება რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. მოლაპარაკება დაიწყო მადრიდში, ესპანეთში, 1991 წლის 30 ოქტომბერს. ამ მოლაპარაკებებმა, თავის მხრივ, დასაბამი მისცეს საიდუმლო მოლაპარაკებებს ნორვეგიაში, რომელსაც მოჰყვა ისტორიული შეთანხმება ისრაელსა და პალესტინის განმანთავისუფლებელ მოძრაობას შორის, რომელიც ხელმოწერილი იყო თეთრ სახლში 1993 წლის 13 სექტემბერს.

## პანამა და NAFTA

პრეზიდენტმა აგრეთვე მიიღო კონგრესში შემაეალი ორივე პარტიის ფართო მხარდაჭერა პანამაში ხანმოკლე შეჭრისათვის 1989 წლის 20 დეკემბერს, რომლის შედეგად გადაყენებულ იქნა დიქტატორი გენერალი მანუელ ანტონიო ნორიეგა. 1980-იან წლებში კოკაინის გამოყენებამ თითქმის ეპიდემიის ხასიათი მიიღო, და პრეზიდენტმა ბუშმა „ნარკოტიკებთან ომი" დააყენა დღის წესრიგის ცენტრალურ საკითხად. შეერთებული შტატებისათვის ნათელი გახდა, რომ ნორიეგა ჩათრეული იყო ნარკოტიკების კონტრაბანდის ოპერაციებში, და პანამაში შეჭრის ერთ-ერთი მიზანი მდგომარეობდა ნორიეგას გადაცემაში მართლმსაჯულებისათვის. მაგრამ არსებობდა სხვა მიზეზებიც. ბუშს სურდა ნორიეგას მთავრობის შეცვლა გაილერმო ენდარას მთავრობით, რომელმაც მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები, ნორიეგამ კი

ის გააუქმა. ბუშმა რეპორტიორებისათვის მიცემულ ინტერვიუში აგრეთვე აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების ჯარები პანამაში შეყვანილ იქნა ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლის დასაცავად, დემოკრატიის აღსადგენად და პანამის არხის ხელშეკრულების მთლიანობის შესანარჩუნებლად. ბოლოს და ბოლოს ნორიეგა ჩაბარდა შეერთებული შტატების ხელისუფლებას და მოგვიანებით გასამართლებელი და დაპატიმრებული იქნა ამერიკის ფედერალური სასამართლოს მიერ მაიამში (ფლორიდა), ნარკოტიკების გადატანისა და გამომძალველობისათვის.

ბუშის ადმინისტრაციამ მიაღწია პროგრესს ეკონომიკურ ფრონტზეც მექსიკასა და კანადასთან დადებული „ჩრდილო ამერიკის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების" (NAFTA) ხელმოწერის წყალობით, რომლის რატიფიცირება გახდა აქტიური დებატების საგანი ქლინტონის ადმინისტრაციაში. პროფკავშირებმა დაადანაშაულეს ის მასში, რომ ეს ხელშეკრულება წაახალისებდა ამერიკული სამუშაო ადგილების ექსპორტს; გარემოს დამცველებმა გამოხატეს წუხილი იმის გამო, რომ შეთანხმება წააქეზებდა მრეწველობას განლაგებულიყო ისეთ რეგიონებში, სადაც სუსტი კონტროლი იყო სამრეწველო დაწესებულებების მხრიდან გარემოს გაბინძურებაზე. ბუშისა და ქლინტონის ადმინისტრაციები, ორივე, ამტკიცებდნენ, რომ NAFTA გამოიწვევდა დიდი რაოდენობით საქონლის შემოსვლას დაბალ ფასებში და გახდიდა სამივე ქვეყნის მრეწველობას უფრო კონკურენტუნარიანს. NAFTA, რომელიც 1993 წლის ბოლოს დაამტკიცა კონგრესმა დიდი ნაციონალური დებატების შემდეგ, ბევრის მიერ განიხილება, როგორც საცდელი ნიადაგი მომავალი სავაჭრო ხელშეკრულებებისათვის, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს თავისუფალი ვაჭრობა მთელ დასავლეთ ნახევარსფეროში.

---

### 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ამერიკელებმა აღმოაჩინეს, რომ ისინი ცხოვრობდნენ ისე გარდაქმნილ მსოფლიოში, რომლის წარმოდგენაც კი ოთხი წლის წინათ შეუძლებელი იყო. „ცივი" ომის ნაცნობი ნიშნები – დაწყებული ბერლინის კედლიდან და დამთავრებული მუდმივ მზადყოფნაში არსებული კონტინენტთაშორისი რაკეტებით და ბომბდამშენებით – გაქრა. აღმოსავლეთ ევროპა დამოუკიდებელი გახდა, საბჭოთა კავშირი დაიშალა, გერმანია გაერთიანდა, არაბეთმა და ისრაელმა დაიწყეს მოლაპარაკება და ბირთვული საფრთხე საოცრად შემცირდა. დიდი ისტორიის ერთი ტომი დაიხურა და მეორე დაიწყო.

სახლშიაც კი ამერიკელები ნაკლებად სანგვინიკური იყვნენ

და შეეჩეხნენ ღრმა და ნაცნობ პრობლემებს. როცა დასრულდა დღესასწაული, რომელიც ყურეს ომს მოჰყვა, შეერთებული შტატები აღმოჩნდნენ 1980 წლებიდან ყველაზე ღრმა ეკონომიკური დაღმავლობის წინაშე. საშუალო მმართველობით თანამდებობაზე მყოფმა ბევრმა მოსამსახურემაც კი დაკარგა სამუშაო ადგილი, რომ არაფერი ვთქვათ წარმოებაში დასაქმებულ მუშებზე, რომლებმაც მძიმე დარტყმა განიცადეს ჯერ კიდევ ადრეულ წლებში. მაშინაც კი, როცა 1992 წლისათვის ეკონომიკამ აღდგენა დაიწყო, მისი ზრდა უმნიშვნელო იყო წლის ბოლომდე და ქვეყნის ბევრი რაიონი კვლავ განიცდიდა დაქვეითების სირთულეებს. უფრო მეტიც, ფედერალური დეფიციტი მატულობდა, რაც ყველაზე მძაფრად ვლინდებოდა ჯანმრთელობის დაცვაზე ხარჯების ზრდაში. ბევრი ამერიკელი პესიმისტურად უყურებდა მომავალს და შიშობდა, რომ მათი ქვეყანა მცდარი მიმართულებით იქნა წაყვანილი.

მიუხედავად ადრეული კამათისა კონსერვატიულად განწყობილ ჟურნალისტთან, პატრიკ ბიუკენენთან, პრეზიდენტი ბუში და ვიცე-პრეზიდენტი დენ კუეილი ადვილად გახდნენ რესპუბლიკური პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატები. დემოკრატების მხრიდან ბილ ქლინტონმა, არკანზასის გუბერნატორმა, დაამარცხა უამრავი მეტოქე და გახდა პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატი. ვიცე-პრეზიდენტად მან აირჩია სენატორი ალ გორი, ტენესიდან, რომელიც ცნობილი იყო როგორც კონგრესის ერთ-ერთი ყველაზე მცოდნე და მჭერმეტყველი ადვოკატი გარემოს დაცვის დარგში.

მაგრამ ღრმა სირთულეებმა ქვეყნის ეკონომიკის მართვაში გამოიწვია მეტად ანგარიშგასაწევი დამოუკიდებელი კანდიდატის გამოჩენა ტეხასელი მდიდარი მწარმოებლის ჰ. როს პეროს სახით. პერო, რომელიც გამდიდრდა კომპიუტერების და მონაცემთა დამუშავების ბიზნესით, ასპარეზზე გამოვიდა, როცა ვაშინგტონს არ შეეძლო ეფექტურად ემართა ეკონომიკა, განსაკუთრებით გამკლავებოდა ფედერალური დეფიციტის პრობლემას. მისმა მოხალისეებმა შეაგროვეს იმდენი ხელმოწერა, რაც საკმარისი იყო, რომ მას კენჭი ეყარა ყველა 50 შტატში. პეროს გამოჩენამ ასპარეზზე, თუმცა მან მიუხედავად არჩევნების მოგების შანსისა მიატოვა ის ივლისში, კიდევ ერთხელ გაამჟღავნა ის ვითარება, რომ ეკონომიკური პრობლემები ისევ რჩებოდნენ ეროვნული მსჯელობის საგნად.

ყოველი საპრეზიდენტო არჩევნები შეერთებულ შტატებში არის ნარევი პრობლემების, წარმოდგენების და პიროვნებების; და მიუხედავად ინტენსიური ყურადღებისა ქვეყნის ეკონომიკის მომავლისადმი, არც 1992 წლის საარჩევნო შეჯიბრი იყო გამონაკლისი. ბუშის საარჩევნო მცდელობანი ემყარებოდა

იდეებს, რომლებიც ტრადიციულად საკალდებულოდ ითვლებოდა: გამოცდილებას და ნდობას. გარკვეული აზრით, ეს იყო თაობათა ბრძოლა. 68 წლის ჯორჯ ბუშს, ალბათ, ბოლო პრეზიდენტს, ვინც მონაწილეობდა II მსოფლიო ომში, შეხვდა ახალგაზრდა, 46 წლის მეტოქე ბილ ქლინტონი, რომელსაც არასდროს უმსახურია სამხედრო ნაწილებში, უფრო მეტიც, ის მონაწილეობდა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში. ბუში თავისი, როგორც პრეზიდენტის და მეთაურის გამოცდილების ხაზგასმის გარდა, ყურადღებას ამახვილებდა აგრეთვე ქლინტონის განსჯის უნარის ნაკლებობაზე და ხასიათზე.

მეორე მხრივ, თავისი საარჩევნო კომპანია ქლინტონმა ააგო ისეთი უძველესი და მძლავრი საარჩევნო პოლიტიკის საკითხის გარშემო, როგორიცაა ცვლილებანი. ახალგაზრდობაში ქლინტონი ერთხელ შეხვდა პრეზიდენტ კენედის. 30 წლის შემდეგ მან თავისი საარჩევნო კომპანიის დროს მოუწოდა ამერიკელებს ახალი ცვლილებებისაკენ, რაც გამოძახილი იყო კენედის მოწოდებებისა მისი 1960 წლის საარჩევნო კომპანიისას.

ქლინტონი არკანზასის გუბერნატორი იყო 12 წლის განმავლობაში და მას შეეძლო ხაზი გაესვა თავისი გამოცდილებისათვის ეკონომიკური ზრდის მრავალ პრობლემებთან, განათლებასთან და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, რომლებიც როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, წარმოადგენდნენ პრეზიდენტ ბუშის მტკივნეულ საკითხებს. მაშინ, როდესაც ბუშმა წამოაყენა დაბალ გადასახადებზე და სამთავრობო ხარჯების შემცირებაზე დამყარებული პროგრამა, ქლინტონმა ხაზი გაუსვა შეძლებულთათვის მაღალი გადასახადების დაწესების საჭიროებას, ინვესტიციების გაზრდას განათლებაზე, ტრანსპორტსა და კომუნიკაციებზე, რაც, მისი რწმენით, აიმაღლებდა პროდუქტიულობას და შესაბამისად შეამცირებდა დეფიციტს. ანალოგიურად ჯანმრთელობის დაცვის ქლინტონისეული პროგრამა ითვალისწინებდა ფედერალური ხელისუფლების მხრიდან ფასების უფრო მკაცრ კონტროლს, ვიდრე ეს ბუშის დროს იყო.

ქლინტონმა წარმატებით გაატარა მის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თემა მთელი საარჩევნო კომპანიის განმავლობაში, ისევე როგორც სატელევიზიო დებატებისას პრეზიდენტ ბუშთან და როს პეროსთან ოქტომბრის თვეში. 3 ნოემბერს ქლინტონმა მოიგო არჩევნები და გახდა შეერთებული შტატების ორმოცდა მეორე პრეზიდენტი, მიუხედავად იმისა, რომ მიიღო ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 43 პროცენტი.

## ბოლოსიტყვაობა

შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც წარმოიშვნენ ატლანტის ოკეანის ნაპირებზე მყოფი კოლონიებიდან, განიცადეს ძირეული გარდაქმნები იმ მხრივ, რასაც პოლიტიკური ანალიტიკოსი ბენ უატენბერგი უწოდებს „პირველ უნივერსალურ ქვეყანას“, რომლის მოსახლეობა თითქმის 250 მილიონს შეადგენს და დედამიწის ყველა ეროვნებასა და ეთნიკურ ჯგუფს მოიცავს. ეს არის აგრეთვე ქვეყანა, სადაც ეკონომიკურ, სამრეწველო, კულტურულ, დემოგრაფიულ და სოციალურ ცვლილებათა ტემპი სულ უფრო მატულობს. შეერთებული შტატები ხშირად მოდერნიზაციისა და ცვლილებების მაუწყებელია, რომელიც გარდუვლად ვრცელდება ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთდაკავშირებულ სამყაროს სხვა ერებსა და საზოგადოებებში.

შეერთებული შტატები მხარს უჭერენ იმ ძირეულ ღირებულებებს, რომლებიც მისი არსებობის საფუძველს შეადგენენ. ეს ღირებულებანი გულისხმობენ პიროვნების თავისუფლების იდეას, დემოკრატიულ მმართველობას, ეკონომიკური კეთილდღეობის დამყარებას და პროგრესს ყველასათვის. შეერთებული შტატების უცვლელ ამოცანად რჩება სხვების დარწმუნება იმაში, რომ თავისუფლება, დემოკრატია და კეთილდღეობა დაცული და აყვავებული იქნება, როგორც თვითონ ქვეყანა და მსოფლიო, რომელიც ახალი საუკუნის კარიბჭესთან დგას.

## მესამე პარტია და დამოუკიდებელი კანდიდატები

შეერთებულ შტატებს ხშირად ორპარტიულ სისტემად თვლიან. პრაქტიკულად 1852 წლიდან მოყოლებული თეთრი სახლი უჭირავთ დემოკრატებს ან რესპუბლიკელებს. მაგრამ ამავე დროს ყოველწლიურად ქვეყანაში იქმნება მესამე და სხვა მცირე პარტიები. მაგალითად, 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ერთ შტატში წარმოდგენილი იყო 58 პარტია. მათ შორის ისეთი ბუნდოვანი მიმართულების პარტიები, როგორიცაა „აპათი“, „უკან მაცქერალთა პარტია“, „ნიუ-მექსიკოს ალკოჰოლიანი სასმელების ამკრძალავი პარტია“, „ტიშის დამოუკიდებელ მოქალაქეთა პარტია“ და „ვერმონტის გადასახადის გადამხდელთა პარტია“.

ზოგადად, მესამე პარტიები ყალიბდებიან ცალკეული საკითხების ან საკითხთა ჯგუფის ირგვლივ. მათ სწამთ, რომ უკეთ იცხოვრებენ, თუ კარგი ხელმძღვანელი ეყოლებათ. საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებისას ისინი ცდილობენ თავიანთი პოლიტიკური და სოციალური პლატფორმის გამოქვეყნებას.

**თეოდორ რუზველტი.** მესამე პარტიიდან წამოსული და ყველაზე დიდი წარმატების მქონე კანდიდატი ჩვენს საუკუნეში იყო რესპუბლიკელი თეოდორ რუზველტი, შერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი. მისმა „პროგრესულთა“, ანუ „მამალ ცხენ-ირემთა“ პარტიამ ამომრჩეველთა ხმების 27,4 პროცენტი მოიპოვა 1912 წლის არჩევნებში. რესპუბლიკური პარტიის პროგრესულმა ფრთამ, რომელსაც იმედები გაუცრუა უილიამ ჰოვარდ ტაფტმა, ვინც რუზველტმა თავის მემკვიდრედ აირჩია, – სთხოვა რუზველტს ყოფილიყო პარტიის კანდიდატი 1912 წლის არჩევნებში, რაზეც ის დათანხმდა; რუზველტმა დაამარცხა ტაფტი წინასაარჩევნო კომპანიაში, თუმცა მიუხედავად ამისა, ტაფტი აკონტროლებდა პარტიის აპარატს და უზრუნველყოფდა თავისი კანდიდატურის სიძლიერეს.

რუზველტის მომხრეები გამოეყვნენ პარტიას და შექმნეს „პროგრესულთა პარტია“. მათ უწოდეს თავის თავს „მამალი ცხენ-ირემი“ (აქედან წარმოსდგა პარტიის სახელწოდებაც). რუზველტმა თავისი სარჩევნო კომპანია წამოიწყო პლატფორმით, რომელიც მოიცავდა „დიდი ბიზნესის“ რეგულირებას, ქალთა საარჩევნო ხმის უფლებას, საშემოსავლო გადასახადბის განაწილებას, პანამის არხისა და ნაკრძალების საკითხებს. მისი მიზანი ტაფტის დამარცხებაში მდგომარეობდა. რესპუბლიკელთა ხმების გაყოფით მან ხელი შეუწყო დემოკრატი ვუდრო ვილსონის არჩევას.

**სოციალისტები.** სოციალისტურმა პარტიამ თავის ყველაზე დიდ წარმატებას 1912 წელის მიაღწია, როდესაც ხმების 6 პროცენტი მოიპოვა. იმ წელს პარტიის კანდიდატმა იუჯინ დებსმა, რომელმაც წამოაყენა ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო მრეწველობაზე კოლექტიური საკუთრების იდეა და სამუშაო საათების შემცირების მოთხოვნა, მიიღო 900 000 ხმა. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი დააპატიმრეს აჯანყებისკენ მოწოდების გამო. დებსი ციხის კამერიდან ეწეოდა საარჩევნო კომპანიას, მაგრამ ვერც მან და ვერც მისმა მემკვიდრეებმა ვერასოდეს ვეღარ გაიმეორეს 1912 წლის წარმატება.

**რობერტ ლაფოლეტი.** პროგრესულობის პარტიას მიუკუთვნებოდა სენატორი რობერტ ლაფოლეტი, რომელმაც 1924 წლის არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 16,6 პროცენტი მოიპოვა. იგი იყო ფერმერებისა და სამრეწველო მუშების ინტერესების დამცველი და დიდი ბიზნესის დაუძინებელი მტერი. მან პირველმა, სცადა პროგრესულთა მოძრაობის აღდგენა I მსოფლიო ომის შემდეგ. ლაფოლეტი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ფერმერები და მუშები, ასევე სოციალისტები და რუზველტის „მამალ ცხენ-ირემთა პარტიის“ ნარჩენები, აყენებდა რკინიგზებისა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაციის იდეას. იგი აგრეთვე მტკიცედ უჭერდა მხარს ჯანმრთელობის გადასახადის გაზრდას და კოლექტიური სავაჭრო გარიგებების უფლებას. მიუხედავად კარგი მაჩვენებლებისა ცალკეულ

*რეგიონებში მას მხარი დაუჭირა მხოლოდ მისმა მშობლიურმა ვისკონსინის შტატმა.*

*ჰენრი უოლესი. პროგრესულთა პარტია ხელახლა გამოჩნდა ასპარეზზე 1948 წელს და წამოაყენა ჰენრი უოლესის კანდიდატურა, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრი და ფრანკლინ რუზველტის ვიცე-პრეზიდენტი იყო. ჰარი ტრუმენის პრეზიდენტობისას იგი ვაჭრობის მინისტრი იყო. უოლესი გადააყენეს სამსახურიდან იმის გამო, რომ ის ეწინააღმდეგებოდა ტრუმენის მუდმივ კონფრონტაციულ კურსს საბჭოთა კავშირის მიმართ. უოლესის 1948 წლის პლატფორმა ეწინააღმდეგებოდა „ცივ" ომს, მარშალის გეგმას და დიდ ბიზნესს. იგი აგრეთვე მოითხოვდა შავკანიანებისა და ქალების დისკრიმინაციის შეწყვეტას, ხელფასის მინიმუმის დაწესებას და „ანტი-ამერიკული საქმიანობის სახელმწიფო კომიტეტის" გაუქმებას. მისმა უარმა ჩამოშორებოდა კომუნისტურ პარტიას, რომელიც მხარს უჭერდა მას, შეარყია მისი პოპულარობა, და მან მხოლოდ ხმების 2,4 პროცენტი მიიღო.*

*დიქსიკრატები. ხმების იგივე რაოდენობა მიიღო „შტატების უფლებების", ანუ „დიქსიკრატების" პარტიამ, რომელსაც სამხრეთ კაროლინის გუბერნატორი სტრომ თარმონდი ხელმძღვანელობდა. „პროგრესულების" მსგავსად, „დიქსიკრატები" 1948 წელს ჩამოშორდნენ დემოკრატებს. მათი ოპოზიცია ტრუმენის „ცივი" ომის პოლიტიკიდან კი არ მომდინარეობდა, არამედ მისი სამოქალაქო უფლებების პლატფორმიდან. „შტატების უფლებებში" მათ განსაზღვრეს პარტიის მთავარი მიზანი, რომელიც მდგომარეობდა რასობრივი სეგრეგაციის გაგრძელებაში და „ჯიმ ქროუ"-ს კანონებში, რომელიც ამას მხარს უჭერდა.*

*ჯორჯ უოლესი. 1960-იანი წლების რასობრივ და სოციალურ ძვრებს ხელი შეუწყო ჯორჯ უოლესმა, სეგრეგაციონისტმა სამხრეთელმა გუბერნატორმა. უოლესმა თავისი მოქმედება ააგო თავდასხმებზე სამოქალაქო უფლებებზე, ლიბერალებზე და ფედერალურ მთავრობაზე. 1968 წელს მის მიერ იქნა დაფუძნებული „ამერიკის დამოუკიდებელი პარტია". კომპანია მან დაიწყო მონტგომერის (ალაბამა) მთავრობის სახლში ყოფნისას და დააგროვა საპრეზიდენტო ხმების 13,5 პროცენტი.*

*ჰ. როს პერო. ყოველი მესამე პარტია ცდილობდა პოპულარობის მოპოვებას მთავარი პარტიებისა და ფედერალური მთავრობისადმი უკმაყოფილების არსებობის ხარჯზე. ასე იყო 1992 წელსაც. საოცრად მდიდარმა ტეხასელმა ბიზნესმენმა პერომ გამოიყენა თავისი უნარი, რათა მიეწოდებინა ხალხის ფართო მასებისათვის თავისი ცოდნა ეკონომიკის გაჯანსაღების გზებისა და ფინანსური პასუხისმგებლობის შესახებ. ის ხშირად სარგებლობდა სატირით ქვეყნის ლიდერების მიმართ და ხალხისათვის ხელმისაწვდომ ფორმაში აყალიბებდა ეკონომიკურ ინფორმაციას, რის წყალობითაც პერომ იოლად შესძლო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების მიპყრობა. მისი საარჩევნო კომპანიის „ჩვენ ერთად ვდგავართ" ორგანიზაციულ მხარეს ძირითადად წარმართავდნენ მოხალისეები, ზურგს კი მას უმაგრებდნენ მისი პირადი მიღწევები. ბევრი მოხიბლული იყო პეროს წარმატებით ბიზნესში, რამაც საშუალება მისცა მას თვითონ დაეფინანსებინა თავისი საარჩევნო კომპანია. პერო საარჩევნო ბრძოლას ჩამოშორდა ივლისში. იგი მასში ჩაერთო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე და მიიღო 19 მილიონი ამომრჩევლის ხმა, ბევრად მეტი, ვიდრე მესამე პარტიის რომელიმე სხვა კანდიდატმა და მხოლოდ რუზველტის მაჩვენებელს ჩამორჩა პროცენტული თვალსაზრისით.*

# აშშ ისტორიის შესახებ საკითხავი ლიტერატურის მოკლე სია

AHLSTROM, SYDNEY E.

*A Religious History of the American People*
Yale University Press, 1972

ALBANESE, CATHERINE

**America: Religions and Religion*
Wadsworth Publishing Co., 1992

ALLEN, FREDERICK L.

*The Big Change: America Transforms Itself, 1900–1950*
Harper & Row, 1986

AMBROSE, STEPHEN E.

*Eisenhower* (2 vols.)
Vol. 1: *Soldier, General of the Army, President-Elect, 1890–1952*
Vol. 2: *The President*
Simon & Schuster, 1985

AMBROSE, STEPHEN E.

*Rise to Globalism: American Foreign Policy since 1938*
6th rev. ed., Viking Penguin, 1991

ASHWORTH, JOHN

*Agrarians & Aristocrats: Party Political Ideology in the United States, 1837–1846*
Cambridge University Press, 1987

BADGER, ANTHONY

*The New Deal: The Depression Years, 1933–1940*
Hill & Wang, 1989

BAILYN, BERNARD

*Faces of Revolution: Personalities and Themes in the Struggle for American Independence*
Random House, Inc., 1992

BAILYN, BERNARD

*Ideological Origins of the American Revolution*
Harvard University Press, 1967

BAILYN, BERNARD, ROBERT DALLEK, DAVID B. DAVIS, DAVID H. DONALD, JOHN L. THOMAS AND GORDON S. WOOD

*The Great Republic: A History of the American People*
(2 vols.), 3rd ed., D.C. Heath, Co., 1985

BANNER, LOIS W.

*Elizabeth Cady Stanton: A Radical for Woman's Rights*
Scott Foresman, 1987

* მაგარყდიანი გამოცემა

BEISNER, ROBERT L.

*From the Old Diplomacy to the New, 1865–1900*
2nd ed., Harlan Davidson, 1986

BERLIN, IRA

*Slaves Without Masters: The Free Negro in the Antebellum South*
New Press NY, 1992

BILLINGTON, RAY A.

*The Far Western Frontier, 1830–1860*
HarperCollins, 1962

BLUM, JOHN MORTON

*The Progressive Presidents: Theodore Roosevelt, Woodrow Wilson, Franklin D. Roosevelt, Lyndon B. Johnson*
W.W. Norton & Co., Inc., 1982

BLUM, JOHN MORTON

*V Was for Victory: Politics and American Culture During World War II*
Harcourt Brace Jovanovich, Inc., 1977

BLUMENTHAL, SIDNEY AND THOMAS EDSALL

*The Reagan Legacy: A Nation Adrift*
Pantheon Books, 1988

BODNAR, JOHN

*The Transplanted: A History of Immigrants in Urban America*
Indiana University Press, 1985

BOORSTIN, DANIEL J.

**The Americans* (3 vols.):
Vol. 1: *The Colonial Experience*
Vol. 2: *The Democratic Experience*
Vol. 3: *The National Experience*
Random House, Inc., 1975

BOWEN, CATHERINE DRINKER

*Miracle at Philadelphia: The Story of the Constitutional Convention*
Little, Brown & Co., 1986

BOYER, PAUL AND STEVEN NISSENBAUM

*Salem Possessed: The Social Origins of Witchcraft*
Harvard University Press, 1974

BRANCH, TAYLOR

*Parting the Waters: America in the King Years, 1954–1963*
Simon & Schuster, 1989

BRIDENBAUGH, CARL

*Jamestown, 1544–1699*
Oxford University Press, 1980

BRODIE, FAWN M.

*Richard Nixon: The Shaping of His Character*
Harvard University Press, 1983

BROWN, DEE

*Bury My Heart at Wounded Knee: An Indian History of the American West*
Henry Holt & Co., 1991

BURNER, DAVID

*John F. Kennedy and a New Generation*
Scott Foresman & Co., 1988

CANNON, LOU

*President Reagan: The Role of a Lifetime*
Simon & Schuster, 1992

CHAFE, WILLIAM H.

*The Unfinished Journey: America since World War II*
2nd ed., Oxford University Press, 1991

CHASE, GILBERT

**America's Music: From the Pilgrims to the Present*
3rd rev. ed., University of Illinois Press, 1987

COCHRAN, THOMAS C.

*Frontiers of Change: Early Industrialism in America*
Oxford University Press, 1981

COTT, NANCY F.

**The Grounding of Modern Feminism*
Yale University Press, 1987

CRAVEN, WAYNE AND RICHARD MARTIN

*Two Hundred Years of American Art: The Munson-Williams Proctor Institute*
University of Washington Press, 1987

CRAVEN, WESLEY F.

*The Southern Colonies in the Seventeenth Century, 1607–1689*
Louisiana State University Press, 1949

DALLEK, ROBERT

*Franklin D. Roosevelt and American Foreign Policy, 1932–1945*
Oxford University Press, 1979

DANGERFIELD, GEORGE

*The Awakening of American Nationalism, 1815–1828*
HarperCollins, 1965

DEGLER, CARL N.

*Out of Our Past: The Forces that Shaped Modern America*
3rd ed., Harper & Row, 1984

DELORIA, VINE JR.

*American Indian Policy in the Twentieth Century*
University of Oklahoma Press, 1992

DE TOCQUEVILLE, ALEXIS (THOMAS BENDER ET AL., EDS.)

*Democracy in America*
McGraw-Hill, Inc., 1981

DE VOTO, BERNARD, ED.

*The Journals of Lewis and Clark*
Houghton Mifflin, 1973

DIGGINS, JOHN P.

*Proud Decades: America in War & Peace, 1941–1960*
W.W. Norton & Co., Inc., 1989

DINNERSTEIN, LEONARD, ROGER NICHOLS AND DAVID M. REIMERS

*Natives and Strangers: Blacks, Indians and Immigrants in America*
2nd. ed., Oxford University Press, 1990

DIVINE, ROBERT

*The Cuban Missile Crisis*
2nd rev. ed., Wiener Publishing, Inc., 1988

DIVINE, ROBERT

**Eisenhower and Sputnik*
Oxford University Press, 1993

DOUGLASS, FREDERICK

*The Life and Times of Frederick Douglass: The Complete Autobiography*
Macmillan Publishing Co., 1962

DRAPER, THEODORE

*A Very Thin Line: The Iran-Contra Affairs*
rev. ed., Simon & Schuster, 1992

DUBOIS, ELLEN C.

*Feminism and Suffrage:*
*The Emergence of an Independent Women's Movement in America, 1848–1869*
Cornell University Press, 1978

DU BOIS, W.E.B.

*Black Reconstruction in America, 1860–1880*
Macmillan Publishing Co., 1992

DURHAM, PHILIP AND EVERETT L. JONES

*The Negro Cowboys*
University of Nebraska Press, 1983

FEARON, PETER

*War, Prosperity and Depression: The U.S. Economy, 1917–1945*
University Press of Kansas, 1988

FERRELL, ROBERT H.

*Harry S. Truman and the Modern American Presidency*
Scott Foresman, 1987

FERRELL, ROBERT H.

*Woodrow Wilson and World War I, 1917–1921*
HarperCollins, 1986

FITZGERALD, FRANCES

*Fire in the Lake: The Vietnamese and the Americans in Vietnam*
Random House, Inc., 1989

FLEXNER, ELEANOR

*Century of Struggle: The Women's Rights Movement in the United States*
rev. ed., Belknap Press, 1975

FLEXNER, JAMES T.

*Washington: The Indispensable Man*
New American Library, 1984

FONER, ERIC

*Free Soil, Free Labor, Free Men:*
*The Ideology of the Republican Party before the Civil War*
Oxford University Press, 1970

FONER, ERIC

*Reconstruction: America's Unfinished Revolution, 1863–1877*
HarperCollins, 1989

FOOTE, SHELBY

*The Civil War: A Narrative*
(3 vols.), Random House, Inc., 1986

FRANKLIN, JOHN H. AND ALFRED A. MOSS JR.

*From Slavery to Freedom: A History of Negro Americans*
6th ed., Alfred A. Knopf, 1987

FREDERICKSON, GEORGE M.

*The Black Image in the White Mind:*
*The Debate on Afro-American Character & Destiny, 1817–1914*
University Press of New England, 1987

FREEHLING, WILLIAM W.

**The Road to Disunion: Secessionists at Bay, 1776–1854*
Oxford University Press, 1990

FREELAND, RICHARD M.

**The Truman Doctrine & the Origins of McCarthyism:*
*Foreign Policy, Domestic Policy & Internal Security, 1946–1948*
New York University Press, 1985

FREIDEL, FRANK

*Franklin D. Roosevelt: Rendezvous with Destiny*
Little, Brown & Co., 1991

FRIED, RICHARD M.

*Nightmare in Red: The McCarthy Era in Perspective*
Oxford University Press, 1991

FRIEDMAN, LAWRENCE M.

*American Law: An Introduction*
W.W. Norton & Co., 1985

GALBRAITH, JOHN KENNETH

*The Great Crash of 1929*
Houghton Mifflin, 1988

GARROW, DAVID J.

*Bearing the Cross:*
*Martin Luther King Jr. & the Southern Christian Leadership Conference*
Random House, Inc., 1987

GENOVESE, EUGENE D.

*Roll, Jordan, Roll: The World the Slaves Made*
Random House, Inc., 1976

GOODWIN, DORIS K.

*Lyndon Johnson and the American Dream*
St. Martin Press., 1991

GRAEBNER, NORMAN A.

*America as a World Power: A Realist Appraisal from Wilson to Reagan*
Scholarly Resources, Inc., 1984

GRAHAM, OTIS L. JR.

*The Great Campaigns: Reform and War in America, 1900–1928*
abridged ed., Krieger Publishing Co., 1987

GREENSTEIN, FRED I. AND FRANK B. FEIGERT

*The American Party System and the American People*
rev. 3rd ed., Prentice-Hall, 1985

HALBERSTAM, DAVID

*The Best and the Brightest*
Fawcett Books, 1993

HAMILTON, ALEXANDER, JAMES MADISON AND JOHN JAY

*The Federalist Papers*
Bantam Books, 1982

HANDLIN, OSCAR

*The Uprooted*
2nd ed., Little, Brown & Co., 1973

HERRING, GEORGE C.

*America's Longest War: The United States and Vietnam, 1950–1975*
2nd ed., McGraw-Hill, Inc., 1986

HOFSTADTER, RICHARD

*The Age of Reform: From Bryan to FDR*
Random House, Inc., 1960

HOFSTADTER, RICHARD

*The Idea of a Party System:*
*The Rise of Legitimate Opposition in the United States, 1780–1840*
University of California Press, 1969

HOGAN, MICHAEL J.

*The Marshall Plan:*
*America, Britain, & the Reconstruction of Western Europe, 1947–1952*
Cambridge University Press, 1989

HOWE, DANIEL W.

*The Political Culture of the American Whigs*
University of Chicago Press, 1984

HUGGINS, NATHAN I.

*Harlem Renaissance*
Oxford University Press, 1971

JANDA, KENNETH, JEFFREY M. BERRY, JERRY GOLDMAN, EDS.

*The Challenge of Democracy: Government in America*
3rd ed., Houghton Mifflin, 1992

JENNINGS, FRANCIS

*Empire of Fortune: Crowns, Colonies and Tribes in the Seven Years' War in America*
W.W. Norton & Co., Inc., 1990

JOHANNSEN, ROBERT W.

*To the Halls of the Montezumas: The Mexican War in the American Imagination*
Oxford University Press, 1984

JOHNSON, HAYNES

**Sleepwalking through History: America through the Reagan Years*
W.W. Norton & Co., Inc., 1991

JONES, LANDON

*Great Expectations: America and the Baby Boom Generation*
Ballantine Books, 1986

JORDAN, WINTHROP D.

*White Over Black: American Attitudes Toward the Negro, 1550–1812*
W.W. Norton & Co., Inc., 1977

KARNOW, STANLEY

*Vietnam: A History*
Viking Penguin, 1991

KEEGAN, JOHN

*The Second World War*
Viking Penguin, 1990

KENNAN, GEORGE F.

*American Diplomacy, 1900–1950*
University of Chicago Press, 1985

KERBER, LINDA K.

*Women of the Republic: Intellect & Ideology in Revolutionary America*
W.W. Norton & Co., Inc., 1986

KINDLEBERGER, CHARLES P.

*The World in Depression: 1929–1939*
rev. ed., University of California Press, 1986

KRAUT, ALAN M.

*The Huddled Masses: The Immigrant in American Society, 1880–1921*
Harlan Davidson, 1982

KUTLER, STANLEY I.

*The Wars of Watergate: The Last Crisis of Richard Nixon*
W.W. Norton & Co., Inc., 1992

LAFEBER, WALTER

*America, Russia, and the Cold War*
4th ed., McGraw-Hill, Inc., 1987

LAVENDER, DAVID

*The Way to the Western Sea: Lewis and Clark Across the Continent*
Doubleday, 1990

LINCOLN, ABRAHAM (DON E. FEHRENBACHER, ED.)

*Speeches and Writings* (2 vols.):
Vol. 1: *1832-1858*
Vol. 2: *1859-1864*
Library of America, 1989

LINK, ARTHUR S.

*Woodrow Wilson and the Progressive Era, 1910–1917*
HarperCollins, 1963

LIVESAY, HAROLD

*Andrew Carnegie and the Rise of Big Business*
Scott Foresman, 1987

LIVESAY, HAROLD

*Samuel Gompers and Organized Labor in America*
Scott Foresman, 1987

LONG, RICHARD A. AND EUGENIA W. COLLIER, EDS.

**Afro-American Writing: An Anthology of Prose and Poetry*
2nd ed., Pennsylvania State University Press, 1985

MALONE, DUMAS

*Thomas Jefferson and His Time*
(6 vols.), Little, Brown & Co., Inc., 1948–1981

MANCHESTER, WILLIAM

*American Caesar: Douglas MacArthur, 1880–1964*
Dell Books, 1983

MANCHESTER, WILLIAM

*Death of a President: November 1963*
HarperCollins, 1988

MARABLE, MANNING

*W.E.B. Du Bois: Black Radical Democrat*
Macmillan Publishing Co., 1987

MARSDEN, GEORGE M.

*Religion and American Culture*
Harcourt Brace Jovanovich College Publications, 1990

McCULLOUGH, DAVID

**Truman*
Simon & Schuster, 1992

McDONALD, FORREST

*Alexander Hamilton: A Biography*
W.W. Norton & Co., Inc., 1982

McFARLAND, GERALD W., ED.

**Mugwumps, Morals and Politics, 1884–1920*
University of Massachusetts Press, 1975

McPHERSON, JAMES

*Battle Cry of Freedom: The Era of the Civil War*
Ballantine Books, 1989

MILLER, JOHN C.

*The Federalist Era, 1789–1800*
HarperCollins, 1963

MILLER, PERRY G.

*The Transcendentalists: An Anthology*
Harvard University Press, 1950

MONTGOMERY, DAVID

*The Fall of the House of Labor:*
*The Workplace, the State, and American Labor Activism*
1865–1925, Cambridge University Press, 1989

MORRIS, RICHARD B.

**The Peacemakers: The Great Powers and American Independence*
Northeastern University Press, 1983

MURPHY, FRANCIS, ED.

*Of Plymouth Plantation, 1620–1647*
McGraw-Hill, 1981

MURRAY, CHARLES

*Losing Ground: American Social Policy, 1950–1980*
Basic Books, 1986

NASH, GARY B.

*Red, White and Black: The Peoples of Early North America,*
3rd ed., Prentice-Hall, 1991

NASH, GARY B. ET AL.

*The American People: Creating a Nation and a Society*
(2 vols.), 2nd ed., HarperCollins, 1990

NEUSTADT, RICHARD E.

*Presidential Power: The Politics of Leadership from FDR to Carter*
Macmillan Publishing Co., 1980

NEVINS, ALLAN

*Ordeal of the Union*
(4 vols.), Macmillan Publishing Co., 1992

OATES, STEPHEN B.

*With Malice Toward None: The Life of Abraham Lincoln*
NAL-Dutton, 1978

OATES, STEPHEN B.

*Let the Trumpet Sound: The Life of Martin Luther King Jr.*
NAL-Dutton, 1983

PATRICK, REMBERT

**Jefferson Davis and His Cabinet*
AMS Press, 1944

PARRISH, THOMAS

**Roosevelt and Marshall*
McGraw-Hill Publishing Co., 1989

PERKINS, GEORGE, E. SCULLEY BRADLEY, RICHMOND BEATTY AND E. HUDSON LONG

*The American Tradition in Literature,*
7th ed., McGraw-Hill, 1989

PERMAN, MICHAEL

*Emancipation and Reconstruction, 1862–1879*
Harlan Davidson, 1987

PETERSON, MERRILL D.

*Thomas Jefferson & the New Nation: A Biography*
Oxford University Press, 1986

PRANGE, GORDON W.

*At Dawn We Slept: The Untold Story of Pearl Harbor*
Viking Penguin, 1982

QUARLES, BENJAMIN

*The Negro in the Civil War*
Da Capo, 1989

REEVES, THOMAS C.

*The Life and Times of Joe McCarthy*
Madison Books UPA, 1983

REMINI, ROBERT V.

*Andrew Jackson*
HarperCollins, 1969

RODGERS, DANIEL T.

*The Work Ethic in Industrial America, 1850–1920*
University of Chicago Press, 1979

ROYSTER, CHARLES

*A Revolutionary People at War:*
*The Continental Army & American Character, 1775–1783*
W.W. Norton & Co., Inc., 1982

SCHLESINGER, ARTHUR M. JR.

*Age of Roosevelt: The Coming of the New Deal*
Houghton Mifflin Co., 1959

SCHLESINGER, ARTHUR M. JR.

*The Crisis of the Old Order*
Houghton Mifflin Co., 1988

SCHLESINGER, ARTHUR M. JR.

*The Politics of Upheaval*
Houghton Mifflin Co., 1988

SCHLESINGER, ARTHUR M. JR.

*Robert Kennedy and His Times*
Ballantine Books, Inc., 1985

SCHLESINGER, ARTHUR M. JR.

*The Age of Jackson*
Little, Brown & Co., 1988

SCULLY, VINCENT

*American Architecture and Urbanism*
rev. ed., Henry Holt & Co., 1988

SELLERS, CHARLES, HENRY MAY AND NEIL R. MCMILLEN

*A Synopsis of American History*
7th rev. & comb. ed., Ivan R. Dee, 1992

SHEEHAN, NEIL

*A Bright Shining Lie: John Paul Vann and America in Vietnam*
Random House, Inc., 1989

SITKOFF, HARVARD

*The Struggle for Black Equality, 1954–1980*
Hill & Wang, 1981

SMITH, ADAM

**The Roaring '80s*
Summit Books, 1988

STEGNER, WALLACE E.

*The Gathering of Zion: The Story of the Mormon Trail*
University of Nebraska Press, 1992

STEWART, JAMES B.

*Holy Warriors: The Abolitionists and American Slavery*
Hill & Wang, 1976

SUNDQUIST, JAMES L.

*Politics and Policy: The Eisenhower, Kennedy, and Johnson Years*
Brookings Institution, 1968

THOMAS, EMORY M.

*The Confederate Nation 1861–1865*
HarperCollins, 1981

TINDALL, GEORGE B. AND DAVID E. SHI

*America: A Narrative History*
3rd ed., W.W. Norton & Co., Inc., 1992

TINDALL, GEORGE B.

*The Emergence of the New South, 1913–1945*
Louisiana State University Press, 1967

TOFFLER, ALVIN

*Future Shock*
Bantam Books, 1971

TOLAND, JOHN

*Infamy*
Doubleday, 1992

TRACHTENBERG, ALAN

*The Incorporation of America: Culture & Society in the Gilded Age*
Hill & Wang, Inc., 1982

TRASK, DAVID F.

*The War with Spain in 1898*
Macmillan Publishing Co., 1981

UTLEY, JONATHAN G.

*Going to War with Japan, 1937–1941*
University of Tennessee Press, 1985

UTLEY, ROBERT M.

*The Last Days of the Sioux Nation*
Yale University Press, 1963

VAN DEUSEN, GLYNDON G.

*The Jacksonian Era, 1828–1848*
Waveland Press, 1992

VAN DEUSEN, GLYNDON G.

*The Life of Henry Clay*
Greenwood Press, 1979

VAN DOREN, CARL

*Benjamin Franklin*
Viking Penguin, 1991

VIORIST, MILTON

*Fire in the Streets: America in the 1960s*
Simon & Schuster, 1981

WALTERS, RONALD G.

*American Reformers, 1815–1860*
Hill & Wang, 1978

WASHBURN, WILCOMB E.

*The Indian in America*
HarperCollins, 1981

WHITE, THEODORE H.

*America in Search of Itself: The Making of the President 1956–1980*
Warner Books, 1988

WILKINSON, J. HARVIE

*From Brown to Bakke: The Supreme Court and School Integration, 1954–1978*
Oxford University Press, 1979

WITTNER, LAWRENCE S.

*Cold War America: From Hiroshima to Watergate*
Harcourt Brace Jovanovich College Publications, 1978

WOLFE, TOM

*The Right Stuff*
Bantam Books, 1984

WOODWARD, C. VANN

*The Strange Career of Jim Crow*
3rd rev. ed., Oxford University Press, 1974

WOODWARD, BOB AND CARL BERNSTEIN

*All the President's Men*
Simon & Schuster, 1987

YORK, NEIL L.

*Toward a More Perfect Union: Six Essays on the Constitution*
State University of New York Press, 1988

# შენიშვნა

„ამერიკის ისტორიის ესკიზები“ არის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს (USIA) ერთ-ერთი უძველესი გამოცემა. პირველად წიგნი გამოქვეყნებულ იქნა ფრენსის უოტნის რედაქციით (1940-1950) აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო სააგენტოს მიერ, ხოლო შემდგომში აშშ-ს საინფორმაციო სააგენტოს მიერ. აკადემიური კონსულტანტები იყვნენ კოლუმბიის უნივერსიტეტის ისტორიკოსი, პროფესორი რიჩარდ ჰოფსტადტერი და ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ამერიკის ისტორიის დარგში ვუდ გრეი. დამატებითი მასალა მოამზადა დ. სთივენ ენდსლიმ ბერკლიდან (კალიფორნია). მოგვიანებით წიგნი ხელმეორედ იქნა შესწორებული და შემოწმებული მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორის ისტორიის დარგში ქეის ვ. ოლდენის და აშშ-ს საინფორმაციო სააგენტოს ჟურნალ „დიალოგი“-ს ყოფილი რედაქტორის მწრალ ნათან გლიკის მიერ. თავი II „მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი“ დაწერა მაიამის (ოჰაიო) უნივერსიტეტის ისტორიკოსმა, პროფესორმა ალან უინკლინმა. უკანასკნელი გამოცემა მომზადებულ იქნა სარედაქციო კოლეგიის მიერ:

რედაქტორი: ჰოვარდ ქინოტა
რედაქტორის თანაშემწეები: დებორა მ.ს. ბრაუნი, სტეფენ ბურანტი, მაიკლ გრინი, ჯინ ს. პოლდენი, რიჩარდ მარშალი
ფოტოგრაფი: შერი ჯონსონ-ჯორდანი
სამხატვრო რედაქტორი: ბარბარა მორგანი

ქართული გამოცემის რედაქტორი: არჩილ კობალაძე
მთარგმნელები: ქეთევან და ირაკლი ავალიანები
სარედაქციო ჯგუფი: ბელა არუთინოვა, ლალი საყვარელიძე, ეკა ზერეკიძე, ირაკლი კირტავა

Distributed by
UNITED STATES INFORMATION SERVICE
EMBASSY OF THE UNITED STATES OF AMERICA

Produced by
USIA REGIONAL PROGRAM OFFICE, VIENNA

RPO 9503-055 GEORGIAN
(An Outline of American History)